საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ რ ი გ ო ლ  ვ ა შ ა ძ ი ს  პ ი რ ა დ ი  ა რ ქ ი ვ ი

თბილისი 2009

**რედაქტორ-შემდგენელი:** მანანა ყვავილაშვილი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ლევან პაპალაშვილი

(საარქივო მასალა დაამუშავა, შესავალი წერილი კომენტარები და პირთა საძიებელი დაურთო მანანა ყვავილაშვილმა)

ISBN 978-9941-0-1738-4

«დროშასას შენსას, საქართველოვ,
კვლავ ვუერთგულებ,
ენისა შენის უკვდავებას _
შევეწირები!...»

*გრიგოლ ვაშაძე*

## წინასიტყვაობა

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წერია: „არქივი – კრებული წერილობითი მასალებისა, რომლებიც განეკუთვნება ამა თუ იმ დაწესებულების ან პირის საქმიანობას». განსაზღვრება სრულია, მაგრამ, ერთგვარად, უკმარისობის გრძნობას ბადებს, მით უფრო, თუ ის რომელიმე პიროვნების არქივს ეხება. ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა მაშინ, როდესაც ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში შემოსული გრიგოლ ვაშაძის არქივს გავეცანით. ეს ნამდვილად არ არის მხოლოდ „კრებული წერილობითი მასალებისა», ეს არის ცხოვრება კაცისა, რომლის დახასიათებაც ერთი სიტყვით შეიძლება – მამულიშვილი..., თავადაც ხომ წერს: „დღიდან ჩემი თავის შეცნობისა, საქართველო ჩემთვის რელიგიაა და ასეთი დარჩება იგი კუბოს ფიცრამდის» (№58, გვ. 2).

ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალის» შესავალში (ჭ. ამირეჯიბი, „გორა მბორგალი». – თბ., 1995. – გვ. 3.) ვკითხულობთ – ავტორსა და მკითხველს შუამავალი არ სჭირდებაო, მართლაც, გრიგოლ ვაშაძესა და მისი არქივის მკითხველსაც არ სჭირდება შუამავალი, რადგან ავტორი გასაოცარი ემოციითა და გულწრფელობით გადმოგვცემს ამბებს, რომლის უშუალო მონაწილეც თვით არის, რაც, თავისთავად, განუმეორებელ ელფერს სძენს მონათხრობს. მკითხველი თავად ადევნებს თვალს, ძალადობაზე დამყარებული სახელმწიფო რეჟიმის პირობებში როგორ ყალიბდება პიროვნება. არქივი, ეს არის გრიგოლ ვაშაძის თვალით დანახული საქართველო გასული საუკუნის დასაწყისიდან ოთხმოციანი წლების ჩათვლით. მისი ცხოვრება თითქოს სიმბოლურად გამოხატავს მაშინდელი ახალგაზრდობის ცხოვრებას, წარმოაჩენს მთელი თაობის სულისკვეთებას, თაობისა, რომლისათვის ქვეყნის სიყვარული, მისთვის თავდადება, ღირსება, პატიოსნება და ვაჟკაცობა უმაღლესი ღირებულებებია. ისინი ქმნიდნენ არა მარტო თავის მომავალს, არამედ ერის მომავალსაც და არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. გრიგოლ ვაშაძის ბავშვობა დამთავრდა ისე, რომ რიგიანად არც დაწყებულა: ჯერ კიდევ 15–16 წლის ბიჭი, გრიგოლი, სოც.-ფედერალისტთა შორისაა, იბრძვის ოსმალებისა და წითელი ურდოს (როგორც თავად უწოდებს) წინააღმდეგ, აქტიური მონაწილეა 1924 წლის აჯანყებისა... ანუ არის იქ, სადაც ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, სადაც უნდა იყოს ერის გულშემატკივარი და სხვაგვარად არ ძალუძს: „სანამ ცოცხალი ხარ, ეცადე საკუთარი სამკალი მკა. შენი კალო გალეწო, ხოლო როცადაიშლები მოლეკულებად და ატომებად, ამ სახით შეეზრდები ბუნებას, შენი წილი კუთვნილი

სიხარული და სიმწარე განვლილი გექნება» – წერდა გრიგოლ ვაშაძე. რა იყო მისთვის სამკალი და გასალეწი? საქართველოს მტრები მხოლოდ. მათი სახელი კი ერთ ცნებაში კონცენტრირდებოდა – რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა მისი სასტიკი შედეგებით: „ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში პიროვნება ჩაკლული იყო და მონად იყო ქცეული. ძმობასა და მეგობრობას მაშინ აქვს ფასი, როცა ჩვენი ეროვნული სახე გვინარჩუნდება... თუ გსურს საბჭოთა კავშირში უზრუნველათ იცხოვრო, უნდა იყო ბრმათ, ყრუთ, მუნჯათ შობილი – ვერაფერს ხედავდე, ისმენდე და არაფერზე მსჯელობდე» – ასე ხედავდა გრიგოლ ვაშაძე წითელი რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისათვის მოტანილ „ბედნიერებას».

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გრიგოლ ვაშაძე იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1924 წელს ჭიათურაში დაწყებული აჯანყებისა: „აჯანყება დაიწყო 1924 წლის 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, ჭიათურაში, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელიც ქალაქის დაკავებისთანავე სათავეში ჩაუდგა დროებით ხელისუფლებას... მან 29 საათი იარსება. 29 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ქალაქი კომუნარებმა და წითელარმიელებმა დაიკავეს... ჭიათურიდან გაქცეულმა ერთმა ნაწილმა ჩხარს, ხოლო ერთმა ნაწილმა კი ტყეს შეაფარა თავი» (ენდელაძე თ. ტრაგიკული 1924. თბ., 2004. – გვ.15). მათ შორის იყო გრიგოლ ვაშაძის ცხენოსანი რაზმიც. ხელისუფლებამ მხოლოდ წითელარმიელთა ძალები არ იკმარა და „სერგო ორჯონიკიძემ, საქართველოს ოკუპაციის მთავარმა „გმირმა», ორი გზით – ხმელეთითა და ჰაერით – ჯავშნოსანი მატარებლით და თვითმფრინავით მიუსია ჭიათურას დამსჯელი ლეგიონები» (ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996, გვ. 172). შემდეგში ეს გამოსვლა სხვაგვარად იქნა შეფასებული, როცა ვითომდა მემამულეები, ოფიცრები, გენერლები და სხვა „ნაძირლები» მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების სახით, შეეცადნენ მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყება და მოახდინეს „ბანდიტური თავდასხმა» ჭიათურასა და საქართველოს სხვა კუთხეებში. 1924 წლის აჯანყების დამარცხებას არნახული რეპრესიები მოჰყვა, რასაც გრიგოლისათვისაც არ აუვლია გვერდი...

არქივში ცალკეა გამოყოფილი 1937–1938 წლები, წლები, რომელთაც სტიქიურ უბედურებასაც ვერ დაარქმევ, იყო უფრო უარესი, საზარელი დრო, როცა ადამიანი არ ენდობა ადამიანს, როცა ახლობლის მისალმება გეშინია, როცა ღამით ნებისმიერი ჩქამიც კი ძილს გიფრთხობს...ძილს გიფრთხობს? არა! რაღაც საშინელი, ცხოველური შიში გაიძულებს შეშლილი სახითა და თვალებით მიაჩერდე კარს... მოვიდნენ!... და იცი კი, რომ დამნაშავე არაფერში ხარ და ერთადერთი დანაშაული შენი უბედური და აწეწილი სამშობლოს სიყვარულია. ეს შენ, მაგრამ ოჯახი, შვილები? ცხოვრებისა თუ სახელმწიფო წყობის უკუღმართობამ მარადიული დაღა რომ დაასვა – ხალხის მტრის შვილობა... კეთროვანებივით ერიდებიან, წყალს არ მიაწვდიან მაშვრალთ, ლუკმას არ აღირსებენ მშიერთ, სითბოს არ უნაწილებენ გათოშილებს. ყველაზე მეტად უჭირდათ მათ, ვისაც „დანაშაულებრივი წარსული» ჰქონდა – თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარული. მათ კიდევ დიდი გამოცდა ელოდათ – როგორმე უნდა დაეძლიათ არსებული სინამდვილით გამოწვეული დამთრგუნველი, ზოგჯერ წარმწყმედელი საზარელი ძალა – შიში დაეძლიათ, რათა გაეგრძელებინათ ცხოვრება. მათ შორის აღმოჩნდა გრიგოლ ვაშაძეც: მამამისი, ბესარიონი, 37 წლის რეპრესიებს შეეწირა... გრიგოლზე მეგობრებმა იზრუნეს

და ყიზლარის გზას გაუყენეს სამუშაოდ – ეს უფრო გადასახლება იყო, გადასახლება გადარჩენისათვის... ყიზლარი, ალიბეგლო, ტარიუმოვკა, რაზდოლიე, ჩორნი რინოკი – 1941 წლამდე.

არქივის დამუშავებისას ყურადღება მივაქციეთ ერთ ფაქტს, რომ „გამარჯვებული სოციალიზმის» პერიოდის ჩანაწერები უფრო გაფანტულად გამოიყურება – ხშირია ამონარიდები ქართველ თუ უცხოელ მოღვაწეთა გამონათქვამებიდან საქართველოსა თუ ქართველების შესახებ, ასევე ცნობები არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხო ქვეყნების სინამდვილიდან. ამ ვრცელ მასალაში, შიგადაშიგ იყო მინაწერები – მოგონებები წლებისა, რომელთა ხსენებაც კი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული არა მარტო ავტორისათვის, არამედ მისი ახლობლებისათვისაც. როგორც ჩანს, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ავტორი მისთვის მტკივნეულ და მნიშვნელოვან ამბებს თითქოსდა შეფარვით მიმოაბნევს, ან თავს არიდებს. ამის მაგალითია დაუმთავრებელი ნოველა სათაურით „ჩაწყვეტილი ხმები. ნოველა 1924 წლის შესახებ» (№64, გვ. 9). რამდენიმე გვერდი სუფთაა, ტექსტი სხვა გვერდებზე გრძელდება. ჩანს, ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ავტორმა სხვა, შესაფერისი დროისათვის გადადო მისი დასრულება.

არანაკლებ საინტერესოა მოკლე, მაგრამ ტკივილიანი მოგონება ტერენტი გრანელზე, რომელსაც გრიგოლი კარგად იცნობდა, თუმცა ხშირად ახლოს მისვლასაც ვერ ბედავდა, გულწრფელად კი სურდა დახმარების ხელი გაეწვდინა, ეგონა, რომ თავის თავთან მოლაპარაკე პოეტს ძირს დაანარცხებდა, მიწაზე დააბრუნებდა, ჩვეულებრივსა და ჩვენნაირს გახდიდა. რადიკალურად განსხვავებული ამ ორი ადამიანის სული მაინც ერთზე ფიქრობდა, ამ ერთზე დარდი ახალგაზრდობიდანვე არ აძლევდა მოსვენების უფლებას _ ეს იყო სამშობლოს ბედი, მასზე წუხილი, ლექსით გადმოცემული გრანელის მიერ და გრიგოლ ვაშაძისათვის სამუდამოდ დასამახსოვრებელი: „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს».

არქივი, გარდა იმისა, რომ გვაძლევს მდიდარ მასალას 20–30-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, წარმოაჩენს ასევე მეტად საინტერესო ცნობებს მაშინდელი თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შესახებ, რომელთა უმრავლესობა: უშანგი ჩხეიძე, ვანიკო აბაშიძე, სანდრო ახმეტელი, ნიკოლოზ შენგელაია, სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, დოდო ანთაძე და სხვები გრიგოლი ვაშაძის მეგობრები იყვნენ.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, სადაც გრიგოლი სწავლობდა, არა მხოლოდ განათლების, არამედ კულტურის კერაც იყო. გრიგოლ ვაშაძის მოგონებიდან ჩანს (№74), რომ აქ, 1919 წელს მიხეილ ჭიაურელი მოუწვევიათ ორი პიესის: „ოთხი იმერელისა» და „პანსიონის ზღუდეთა შორის» დასადგმელად. მონაწილეობა უშანგი ჩხეიძესაც მიუღია, მხოლოდ არა პიესაში „პანსიონის ზღუდეთა შორის» როგორც ეს მითითებულია ა. თევზაძის მონოგრაფიაში „უშანგი ჩხეიძე», არამედ დ. მესხის ვოდევილში „ოთხი იმერელი», რომლის შესახებაც აღნიშნულ მონოგრაფიაში არაფერია ნათქვამი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული დ. მესხის ნაწარმოებებს შორის ვოდევილი „ოთხი იმერელი» არ შეგვხვედრია, გრიგოლ ვაშაძეს ტექსტი გადაუწერია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას პიესა ხელნაწერის სახით უნახავს. შესაძლოა, რაიმე სხვა მიზეზის გამო ვოდევილი დ. მესხის ნაწერებში არ შეუტანიათ. აღნიშნული უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ

გრიგოლ ვაშაძე ამ დადგმებში თავადაც მონაწილეობდა. პიესის არსებობას ადასტურებს 1924 წლის აჯანყების მონაწილის, გიგლა გარსიაშვილის ცნობა, რომელსაც მისი არქივის დამუშავებისას წავაწყდით: მეტეხის ციხიდან გამოგზავნილ წერილში იგი დედას სთხოვს შეუგზავნოს რამდენიმე წიგნი, მათ შორის «ოთხი იმერელი» (1924წ. აგვისტო №54, გვ. 1).

საინტერესო მასალას შეიცავს არქივში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი (№68, გვ. 56–61), რომელიც ადასტურებს სანდრო ახმეტელის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, კერძოდ: რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, რის შესახებ ს. ახმეტელმა მოსწერა სანდრო შანშიაშვილს, რაც პოეტის ქალიშვილსაგან გახდა ცნობილი. წერილში აღწერილია, თუ როგორ დაიგვიანა 30 ივნისს „ლამარას» დადგმაზე სტალინმა, როგორ ააგეს უკვე დაშლილი დეკორაციები ხელმეორედ და როგორ ითამაშა დასმა მეორედ „ლამარას» ბოლო აქტი, რა შთაბეჭდილება დასტოვა მან დამსწრეებზე. გრიგოლ ვაშაძეს, შანშიაშვილისადმი გამოგზავნილი ეს წერილი, თავად გადმოუწერია. აღნიშნული შინაარსის წერილი ს. ახმეტელის წერილების სხვადასხვა გამოცემაში არ მოიძებნა. მხოლოდ ერთ წერილში (ალ. ახმეტელი, წერილები. შეადგინა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ვასილ კიკნაძემ, 1964 წ., გვ. 118–122), რომელიც დასათაურებულია „რუსთაველის თეატრის მეგობარი», აღნიშნული შემთხვევაა გადმოცემული, მაგრამ აქ სტალინის მაგივრად ს. კიროვია მოხსენიებული. წერილი დათარიღებული არ არის. გრიგოლ ვაშაძის არქივში მოხმობილი ცნობის საფუძველზე, სანდრო ახმეტელის ს. შანშიაშვილისადმი გამოგზავნილ წერილს მივაკვლიეთ ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (შემოსულია 1978 წლის 27 აპრილს). იგი დათარიღებულია 2 ივლისით. ახმეტელის ხელნაწერში მოცემული შინაარსი და გრ. ვაშაძის მიერ გადმოწერილი ტექსტის შინაარსი იდენტურია (წერილის ქსეროასლი დავურთეთ გრ. ვაშაძის არქივს). აღნიშნულის შესახებ შევიტყვეთ ქალბატონ მანანა მაჩაბლისაგანაც, რომელმაც დედის, რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობ ეკატერინე კედიას მონათხრობი გადმოგვცა. ქალბატონი ეკატერინე თეატრს ახლდა მოსკოვში გასტროლების დროს, მონაწილეობდა სპექტაკლში და თავად შეესწრო ამ შემთხვევას. დიდი რეჟისორის დამსახურებულმა წარმატებამ სულაც არ შეუშალა ხელი ხელისუფლებას. სანდრო ახმეტელი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა, რადგან მის მიერ ჯერ კიდევ 1915 წელს ნათქვამი: „მოიგონეთ ის ხანა, როცა საქართველო, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა, მოკვდა. როცა საქართველოს მზე ჩაესვენა და ერს მისი უმაღლესი წმიდათა წმიდა უფლება, მისი დამოუკიდებლობა ხელიდან გამოეცალა» (ალექსანდრე ახმეტელი, „წერილები», თბ., 1964, გვ. 57) სცენაზე გადმოიტანა და ქართველი ხალხის გმირული სული, ზნეობრივი სიმტკიცე, რაინდული ბუნების გამომხატველი სპექტაკლები უჩვენა საზოგადოებას, ეს მაშინ, როცა ნებისმიერი ეროვნული გამოვლინება ახალი ცხოვრების პრინციპების ღალატად ითვლებოდა... არც აპატიეს...

არქივის დამუშავებისას ავტორის სტილი, ფაქტობრივად, არ დაგვირღვევია, ხელნაწერებიდან ამოვარჩიეთ ძირითადი საკითხები (ვაშაძეთა გენეალოგია, გიმნაზიის წლები, პოლიტიკური მოღვაწეობა, გეოლოგიური საქმიანობა, განვლილ მოვლენათა ანალიზი 1941 წლის ჩათვლით) და თარიღების მიხედვით გავაერთიანეთ. სიცოცხლის ბოლო წლების მოგონებებიც თარიღების მიხედვით გავანაწილეთ, სათაური კი, თავად

გრიგოლ ვაშაძეს დავესესხეთ – „მწარე ფიქრები». არქივში დაცული ხელნაწერები, ძირითადად, ქართულენოვანია, ნაწილობრივ – რუსულენოვანი, ახლავს ფოტომასალაც, სულ 104 ერთეული. ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცულ პერიოდულ გამოცემებში (30-იანი წწ.) გამოქვეყნებული გრიგოლის მამის, ბესარიონ ვაშაძის წერილებიც გადმოვიღეთ, რომელშიც კარგად ჩანს მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, პიროვნება (ბესარიონ ვაშაძე 1937 წელს დახვრიტეს, სამწუხაროდ, უკვალოდ გაქრა მისი დღიურები).

ტექსტის ბოლოს დართული გრიგოლ ვაშაძის ლექსები არ გამოირჩევა მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ იმდენად გულწრფელი გრძნობაა მასში გადმოცემული, რომ გვეხმარება ავტორის პიროვნების უკეთ წარმოჩენაში. ამაში, ასევე, დაგვეხმარება მოგონებები, რომელნიც მისმა ახლობლებმა და კოლეგებმა გაგვიზიარეს:

**ნინო ჩხეიძე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი:** „დედაჩემი, ქრისტინე, ვაშაძე იყო და ჩვენ ახლო ნათესავები ვიყავით. ძალიან მიყვარდა გრიგოლი. იგი ჩემი ძმის, უშანგის უახლოესი მეგობარი იყო. ორივე ჩემზე კარგა ხნით უფროსები იყვნენ და ისე ვუყურებდი მათ, როგორც ადამიანებს, ვისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. ასაკი მომემატა და მაშინაც კი, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა მიჭირდა, გრიგოლი იყო ჩემი ჭკუის დამრიგებელიცა და გზის მაჩვენებელიც. მე მგონი უშანგისაც ვაშაძეებისაგან მოსდევდა მსახიობური ნიჭი. არ მავიწყდება, ბავშვობაში როგორი იმპროვიზაციით გვიყვებოდა დედაჩემი ზღაპრებს... ტანში მზარავდა... როგორც მახსოვს, ბოლოს ბუკა ნაკაიძის ოჯახში შევხვდით ერთმანეთს, როგორ გვიხაროდა ერთად ყოფნა?! ჩოხოსნები შეიკრიბნენ დამეც ქართული კაბითა და ჩიხტიკოპით მივედი... როგორ გაიხარეს...ულამაზესი კაცი იყო გრიგოლი, თავისი თეთრი წვერითა და თმით, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი...»

**ოთარ მაჭავარიანი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი:** „შორიდან ბესიკს მეძახდა, ალბათ იმიტომ, რომ მეც ცისფერი თვალები მაქვს. ჩვენ კი „ულვაშას» ვეძახდით, ზურგს უკან, რასაკვირველია, თორემ ვინ გაუბედავდა... ჩემზე უფროსი იყო, პატივისცემითა და მოწიწებით ვექცეოდით, მაგრამ ეს მხოლოდ ზრდილობის გამო არ ხდებოდა, სხვაგვარად არ შეგვეძლო, ბატონი გრიგოლის გარეგნობა, მისი დახვეწილობა, თავისთავად, ასე განგაწყობდა. მე მისი შვილების მეგობარი ვიყავი, მათ ოჯახშიც ხშირად ვყოფილვარ და დამიჯერეთ, ხმამაღლა ლაპარაკსაც ვერ ვბედავდით მასთან, გვერიდებოდა. მოქმედებაცა და საუბარიც ისეთი ჰქონდა, ვგრძნობდით, რა დიდი ღირსებისა და შინაგანი სიმდიდრის პატრონი იყო.»

**ხათუნა ვაშაძე, გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილი:** „წარმოსადეგი, ქართული გარეგნობის მოხუცი – ასეთი დარჩა ჩემს მეხსიერებაში ბაბუა. ბუნებით მკაცრი იყო, მაგრამ ჩვენთან, შვილიშვილებთან _ თბილი და მოსიყვარულე. ბავშვობის შთამბეჭდავ მოგონებად დამრჩა ჩვენს ოჯახში აღდგომის დღესასწაულების აღნიშვნა, როცა ბაბუასთან სტუმრები მოდიოდნენ – ქართულ ჩოხებში გამოწყობილი მისი მეგობრები.

ბაბუა ბევრის მომსწრე იყო და ამის შესახებ არა ერთხელ მოუყოლია კიდეც, მაგრამ ახალგაზრდობით იყო, რომ უყურადღებოდ ვუსმენდი ხოლმე, არადა რამდენი რამის გაგება შემეძლო, ახლა ვნანობ... საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა,

გახარებულმა ეროვნული გვარდიის მხარდასაჭერად ფული გადარიცხა. უხაროდა, დამოუკიდებლობას ვეღირსეთ, ახლა ამას შენარჩუნება სჭირდებაო.

განათლებული კაცი იყო, თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულ და გერმანულ ენებზე, ძალიან საინტერესოდ და მიმზიდველად შეეძლო ნებისმიერ საკითხზე ესაუბრა, უამრავს კითხულობდა ღრმა მოხუცებულობამდე. თითქმის ერთი თვე ლოგინად ჩავარდა – დაგვიბარა, ჩოხით დამკრძალეთო... გასვენების დღეს ჩოხოსნები მოვიდნენ, გვთხოვეს და ათი წუთი მიცვალებულთან მარტო დავტოვეთ...ეთხოვებოდნენ... შემდეგ თვითონ გამოასვენეს და ატენის ქუჩის ბოლომდე მიიყვანეს... საოცარი სანახავი იყო...»

**გიორგი მაღალაშვილი, გეოლოგი, პროფესორი, კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:** „მასთან არ მიმუშავია, მაგრამ მისი პრინციპული ხასიათის ამბავი, ყველამ ვიცოდით. მახსოვს, აფხაზეთში ორი საბადო იყო: ახეი და ავათხარა. გასვლითი სესია გვქონდა – მარაგების სახელმწიფო კომისია ჩამოვიდა. ესწრებოდნენ ბორის გუჯეჯიანი, საქ. გეოლოგიის მთავარი გეოლოგი ჯიბრაელ დოლიძე. საკითხის განხილვა დამთავრებული იყო, როცა ბატონმა გრიგოლმა სიტყვა ითხოვა და დაუფარავი, რაც მთავარია, საქმის ღრმა ცოდნით, ისეთი ანალიზი გააკეთა, მაშინ ბევრი „გაშავდა» ამის გამო... ძალიან პრინციპული კაცი იყო».

**თიურა ვაშაძე, ჟურნალისტი:** „განსაკუთრებული სიყვარული მქონდა მისი, ნათესაურ სიყვარულს ასაკობრივი პატივისცემაც ემატებოდა. შეხვედრით კი ხშირად არ ვხვდებოდით ერთმანეთს – სიხარულსა თუ ჭირში მხოლოდ. ერთხელ დამირეკა, მითხრა, რომ მოგონებები დაეწერა და ხელნაწერების რედაქტირება მთხოვა. მაშინ ჩემი მეუღლე, მწერალი თამაზ ბიბილური, მძიმედ იყო ავად და, სამწუხაროდ, გრიგოლს ეს თხოვნა ვერ შევუსრულე, მართლაცდა, სამწუხაროდ...».

**ქეთი ვაშაძე, გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილი**: „ყოველთვის ყურადღებიანი და მოსიყვარულე მახსოვს... შემიყვანდა ხოლმე თავის ოთახში, საწერ მაგიდაზე შემომსვამდა, წინ დამიჯდებოდა და მიყვებოდა...მიყვებოდა ყველაფერს: ზღაპრებს, სხვადასხვა ამბებს. მეც ყურადღებით მისმენდა, არასოდეს მაწყვეტინებდა, მახატვინებდა ხოლმე. დიდი ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ყველა ჩემი ბავშვური ნაჯღაბნი გულდასმით შეუნახავს...

ღრმა განათლება და არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა. რუსულადაც ხშირად ლაპარაკობდა, მაგრამ სასტიკად ღიზიანდებოდა, როცა ქართულ მეტყველებაში რუსულს გავურევდით, განსაკუთრებით ბარბარიზმებს ებრძოდა. გვიან ღამემდე ბაბუს ოთახში სინათლე ენთო – საწერ მაგიდასთან იჯდა, სულ რაღაცას წერდა, თარგმნიდა, კითხულობდა... ჩაცმის მთელი რიტუალი სრულდებოდა, როცა ჩოხოსანთა შეკრებაზე მიდიოდა. მე ჩოხის შიდა კაბის ღილებს ვუკრავდი ხოლმე... ბაბუ განსაკუთრებით მიყვარდა, ყოველთვის ვგრძნობდი მის სიყვარულსაც. ახლა, როცა გავიზარდე, უფრო დავაფასე და მივხვდი, თუ რა საამაყო ბაბუ მყოლია».

**ვ. გელეიშვილი, გეოლოგი, პროფესორი, კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე:** „შეუძლებელი იყო, პატივისცემითა და მორიდებით არ მოპყრობოდი ბატონ გრიგოლს. ის უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო, ნამდვილი გეოლოგი, პრაქტიკოსი, ასაკში შესულსაც კი რომ არ ეზარებოდა ველზე, გეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა, რაც არცთუ ისე

ადვილია. თავის პროფესიაში შეყვარებულმა, შვილებიც თავის გზაზე დააყენა, სამივე ვაჟი – ნოდარი, ბესიკი და თენგიზი ბრწყინვალე გეოლოგები იყვნენ».

**შალვა ნადარეიშვილი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტის გეოლოგიური კარტირების განყოფილების გამგე:** „კარგად მახსოვს, როგორ უფრთხილდებოდა ქართულ ენას. ალექსანდრე ჯანელიძე და ბატონი გრიგოლი იყვნენ, ვინც საქმიან დოკუმენტებს, თვით უმნიშვნელოსაც კი, ქართულ ენაზე ადგენდნენ ისე, რომ ერთ კალკსაც კი არ გაურევდნენ. მისაბაძი კაცი იყო, ჭეშმარიტი ქართველი...»

**თაკო ჩხეიძე, გრიგოლ ვაშაძის შვილთაშვილი:** „ჩემი საყვარელი დიდი ბაბუ! ასე ვეძახდი მას ბავშვობაში. ძალიან ვტრაბახობდი ხოლმე, რომ იგი იყო ერთ-ერთი, ვინც ჩოხოსანთა საზოგადოება ჩამოაყალიბა. მახსოვს, როგორი რუდუნებითა და სიყვარულით უვლიდა ჩოხას, ქამარ-ხანჯალს... თამუნიკას მეძახდა და საღამოობით, როცა მასთან შევდიოდი, თვალები გაუბრწყინდებოდა ხოლმე. დამისვამდა, თავის დიდ რუკას გადამიშლიდა და თითს მადევნებინებდა – აი, აქ არისო შენი საჩხეიძეო. ძალიან მიყვარდა მასთან თამაში, თოვლის ბაბუადაც აღვიქვამდი მაღალსა და თეთრწვერას».

და ბოლოს, ჩვენი მიზანი ერთი იყო – გრიგოლ ვაშაძის მოგონებებზე დაყრდნობით, წარმოგვეჩინა სახე მამულიშვილისა, რომლის ზურგს უკან უამრავნი იყვნენ – ახალგაზრდები, მოზრდილები, ასაკოვანნი, მოხუცებულნი, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიითა და სამშობლოზე უსაზღვრო სიყვარულით გულანთებულნი, რომელთათვის წლებს ვერაფერი დაუკლია: მათ ისევე თავდადებით უყვარდათ ბედკრული მამული ჩვიდმეტი წლისებს, როგორც შემდეგ, უკვე ოთხმოცს გადაცილებულებს. ერთი მისხალიც კი არ დაკლებია ამ უსაზღვრო, უკიდეგანო, შესაშურ სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსადმი. ისინი ჩრდილში იდგნენ, არ ყვიროდნენ, მჯიღს ტყუილუბრალოდ მკერდზე არ იცემდნენ, არა... ისინი ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ, საერთოდ, არსებობდნენ მამულის სიყვარულით, მამულის სიყვარულის გამო, მამულის სიყვარულის მიხედვით, უჩუმრად. სხვაგვარად არც შეეძლოთ... მოგონებების მიზნის შესახებ კი თავად გრიგოლ ვაშაძე წერს: „ყველაფერს, ყოველ მოვლენას საქართველოში თავის სახელი უნდა დაერქვას... ვწერ, რათა სხვამაც წაიკითხოს, წაიკითხოს და დასკვნა გააკეთოს...». ახალგაზრდობაზე ამყარებდა იმედს, თორემ თავადაც კარგად უწყოდა, რომ „ჩვენი დრო რთულია და რომ აირჩიო სწორი გზა... არცთუ ადვილია... დღეს საქართველოს ცხოვრება, მისი ისტორია მის შვილთა სულმოკლეობით თუ უმეცრებით, უფრო სწორად, ზოგთა სულმოკლეობითა და უმეცრებით, ისეთ კალაპოტში მოაქცია, როცა მის ბედს უცხო ერი განაგებს მოხერხებულად, ფლიდურად, ისევ ქართველთა ხელით.

სად არის შველა?

«როგორ უნდა მოიქცეს ჭეშმარიტი ქართველი, თავდავიწყებით შეყვარებული თავის სამშობლოში? რომელია სწორი გზა?» (№71, გვ. 1329). ეს იყო კითხვა, რომელიც არა მხოლოდ გრიგოლ ვაშაძეს, არამედ სამშობლოსათვის გულანთებულ ბევრ ქართველს აწუხებდა 1918, 1921, 1924-შიც... და დღესაც... ისევ დიდი ილია გვაგონდება: „როდემდის, ჩემო სამშობლოვ, როდემდის?»....

## საარქივო მასალების ანოტირებული ბიბლიოგრაფია

1. „Свидетельство”: [ბესარიონ ვაშაძის დაბადების მოწმობა. გაცემულია იმერეთის წმინდა სინოდალური კანტორის მიერ. ხელმოწერილია სინოდალური კანტორის წევრის არქიმანდრიტ კესარის, მდივნისა და მაგიდის უფროსის მიერ. მოხსენიებულნი არიან: იაკობ სვიმონის ძე ვაშაძე, ბესარიონ ვაშაძე, პელაგია გველესიანი (ვაშაძე), სოგრატ ლეჟავა, ევა ვახტანგის ასული ლეჟავა, მღვდელი ისიდორე ვაშაძე, გიორგი ქავთარაძე, არქიმანდრიტი კესარი, სუხიევი, მ. მატაფიევი, ნიკოლოზ ფლეროვი, დავით ყიფიანი]. დედანი. 1886 წლის 29 ნოემბერი. არშიაზე მინაწერია: „№7615». დოკუმენტი ბეჭედდასმულია. ტექსტი შედგენილია რუს. ენაზე. მეორე ფურცელზე ქართ. ენაზე მინაწერია: „ჩემი მეტრიკა». 3 ეგზ. [ასლები: N8–9. დედანი და ერთი ასლი დაზიანებულია]. 6 ფ.

2. „Удостоверение”: [ბესარიონ ვაშაძის სახელზე სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის მიერ („Мингрельскаго Городского Училища”) მეოთხე კლასის მოსწავლის, ბესარიონ ვაშაძის სახელზე გაცემული დოკუმენტი. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, ვ. ტეპცოვი]. დედანი. 1891 წელი, 17 თებერვალი. დოკუმენტი ბეჭედდასმული და ხელმოწერილია. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით. 1 ფ.

3. „Свидетельство”: [ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მიერ ბესარიონ ვაშაძის სახელზე გაცემული ცნობა სასწავლებლის დამთავრებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ. ტექსტის ბოლოს მინაწერია: „№1363». მოხსენიებულნი არიან: ალექსანდრე [გვარი გაურკვეველია], ივანე გოირიმლიშვილი, ვ. ვასილიევი]. დედანი. 1893 წ. 19 ნოემბერი. ტექსტი ბეჭედდასმულია, ხელმოწერილია და შესრულებულია რუს. ენაზე. 2 ფ.

4. „Удостоверение”: [ქუთაისის გუბერნიის ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო კანტორის მიერ ბესარიონ ვაშაძის სახელზე გაცემული მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ბ. ვაშაძე კანტორაში 1893 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე მუშაობდა. მოცემულია ბ. ვაშაძის დახასიათება. აღნიშნულია, რომ იგი პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, სამსონ აბესაძე]. დედანი. 1893 წელი, 1 ნოემბერი. არშიაზე მინაწერია: „№10». ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე და ხელმოწერილია. საბუთი ბეჭედდაუსმელია, აქვს შტამპი. 2 ფ.

5. „Учителю Симонетского общественного училища Висариону Вашадзе”...: [ბ. ვაშაძეს ატყობინებენ, რომ იგი დანიშნულია სიმონეთის საზოგადოებრივი სასწავლებლის მასწავლებლად. სთხოვენ, გამოცხადდეს სასწავლებელში და გადაიბაროს ბიბლიოთეკა. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, კ. ქორქია, ტ. გაჩეჩილაძე]. 1891 წელი, 21

დეკემბერი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე და ხელმოწერილია. არშიაზე მინაწერია: „Получено 23 Декабря 1891 г." 1 ფ.

6. „Удостоверение": [იმერეთის ეპარქიის სასწავლებლის საბჭოს მიერ ჭიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლის ბესარიონ იაკობის ძე ვაშაძის სახელზე გაცემული დახასიათება. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, ლუკა ჭიპაშვილი, ლავრენტი ფერაძე]. 1900 წელი, 19 ივნისი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე. ბეჭედდასმული და ხელმოწერილია.  2 ფ.

7. „თქვენო ბრწყინვალებავ! ყველასაგან დიდად პატივცემულო თავადო კიტა(ივანე) გიორგის ძევ!» : [ბესარიონ ვაშაძის წერილი კიტა აბაშიძისადმი ლუი-პანასიეს სავაჭრო სახლთან დაკავშირებით გაუგებრობის გამო. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, კიტა აბაშიძე, ნიკოლოზ ვოტრენი, ვალოდია გოგოლაშვილი, კოტე წერეთელი]. 1914 წ. 14 ნოემბერი. ჭიათურა. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით ქართ. ენაზე. 2 ფ.

8, 9 იხ. №1

10. „Его превосходительству, Господину Директору Кутаиской  Класссической  гимназии": [ბესარიონ ვაშაძის თხოვნა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორისადმი გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების მისაღები გამოცდებისათვის  ვაჟის, გრიგოლის დაშვების თაობაზე. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, გრიგოლ ვაშაძე, სოფიო აბდუშელიშვილი-ვაშაძე,]. ასლი. თარიღი მითითებული არა არის. ტექსტის ბოლოს მინაწერია, რომ ბ. ვაშაძე აღნიშნულ დოკუმენტს ანდობს სოფიო აბდუშელიშვილ-ვაშაძეს. არშიაზე მინაწერია ქართულ ენაზე: „მეტრიჩესკის ნამდვილი გიმნაზიაში წარმადგენიეს, პირი კი უკანვე დამიბრუნეს», ხოლო მეორე ფურცელზე – «გრიშას მეტრიჩესკის პირი სინოდალური კანტორისა». ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე. 1 ფ.

11. „Ваше Высокоблагородию...": [ბესარიონ ვაშაძის წერილი ჭიათურის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორს ადრე მიწერილი წერილის გამო, რომელიც ეხებოდა  მისი, ბესარიონ ვაშაძისა და მღვდელ გერვასი ბარათაშვილის ურთიერთობას]. 1917 წ. 17 ოქტომბერი. ხელნაწერი შესრულებულია შტამპიან ქაღალდზე, შავი ფერის მელნით. ტექსტის ბოლოს: „Священик В. Вашадзе". ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია. 1 ფ.

12. „Дневник для записывания уроков...": [ბესარიონ ვაშაძის სასწავლო დღიური – 1890 სასწავლო წელი მეოთხე კლასი. სატიტულო ფურცელზე წარწერაა»: „Ученика Мингрельскаго 4-х класснаго городскаго училища Вашадзе Виссариона". მოხსენიებულია ბესარიონ ვაშაძე]. 1890 წ. რვეული ჩასმულია ყდაში. ბოლო ფურცლებზე მოცემულია წლიური აკადემიური შეფასება  და პედსაბჭოს თანხმობა ოთხი კლასის დამთავრების შესახებ. რვეულში ტექსტი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით რუს. ენაზე. ხელმო-

წერილია სასწავლებლის დირექტორისა და პედსაბჭოს მდივნის მიერ. ხელმოწერები გაურკვეველია. 96 ფ.

13. „Ученика 4-ого класса Мингрельского городского училищща...”: [ბესარიონ ვაშაძის მათემატიკის რვეული (მე-4 კლასი)]. ხელნაწერი შესრულებულია რუს. ენაზე ლურჯი ფერის მელნით. ყდაზე შტამპია წარწერით: «ძმ. წერეთლებისა. წიგნის მაღაზია ქუთაისში». 12 ფ.

14. „Ученика 4-ого класса...”: [საქალაქო საწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლე ბესარიონ ვაშაძის რუსული ენის რვეული]. თარიღი მითითებული არა არის. ყდაზე შტამპია წარწერით: «ძმ. წერეთლებისა წიგნის მაღაზია ქუთაისში”. 10 ფ.

15. „მარიამი შინ არ არის...»: [ბესარიონ ვაშაძის ქართული წერის რვეული (მეოთხე კლასი)]. თარიღი მითითებული არ არის. რვეული უყდოა და დაზიანებულია. 8 ფ.

16. „აბედი...»: [ქართულ-რუსული ლექსიკონი შედგენილი ბ. ვაშაძის მიერ]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით. ტექსტი დაუმთავრებელია. ყდა არ აქვს. 35 ფ.

17. „Справка...”: [1887 წლის 27 ივლისს გაცემული ცნობის ასლის ასლი. ეხება ალექსი, ქაიხოსრო, ყარამან, სიმონ, ისიდორე, იაკობ, მატათია, ლუარსაბი, ილიკო, დარისპან, გიორგი, გრიგოლ, სიკო ვაშაძეებისათვის აზნაურის წოდების მინიჭებას]. 1906 წლის 17 აგვისტო. არშიაზე მინაწერია: „392». მოხსენიებულნი არიან: ალექსი, ქაიხოსრო, ყარამან, ისიდორე, სიმონ, იაკობ, მატათია, ლუარსაბ, ილიკო, დარისპან, გიორგი, გრიგოლ, სიკო ვაშაძეები, თავადი ნიჟარაძე, იოსელიანი, ვასილ ნიკოლოზის ძე სამოილოვსკი, დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე. ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე. ხელმოწერილია. 1 ფ.

18. „План участка земли....”: [ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. ზედა რგანში აზნაურების _ ვაშაძეების კუთვნილი მამულის გეგმა. მოხსენიებულნი არიან: სიკო ვაშაძე, იაკობ ვაშაძე, ისიდორე ვაშაძე]. ასლი. ქუთაისი. დედანი გაცემულია 1915 წლის 14 მარტს. ტექსტი შესრულებულია გასანთლულ ქაღალდზე (50/39) რუს. ენაზე, შავი ფერის მელნით. 1 ეგზ.

19. „Его Богословениюъ Председателю Комисии по постройке Чиатурского школьного здания”: [შორაპნის სამაზრო განყოფილების იმერეთის საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარის წერილი ჭიათურის სკოლის საამშენებლო კომისიის თავმჯდომა-რისადმი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით. მოხსენიებულია კ. ანთაძე]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია რუს. ენაზე, გაკრული ხელით, შავი ფერის მელნით, ხელმოწერილია. 1 ფ.

20. „მეტრიკის ამონაწერი. სკანდის შტატის მთავარანგელოზის ეკლესიისა 1846 წლისა. ნაწილი პირველი დაბადებულთათვის»: [ელისაბედ ჩიქვილაძის დაბადების მოწმობა

გაცემული სკანდის მთავარანგელოზის სახ. ეკლესიაში. მოხსენიებულნი არიან: ელისაბედ ჩიქვილაძე, ნიკოლოზ სიმონის ძე ჩიქვილაძე, მატრონა ოტიას ასული ჩიქვილაძე, მიხეილ ბესარიონის ძე ბარდაველიძე, სპირიდონ ჯუღელი, პეტრე ჩიქვილაძე]. 1897 წელი, 24 თებერვალი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით, ქართ. ენაზე. დადასტურებულია ეკლესიის ბეჭდითა და ხელმოწერით. 2 ფ.

21. «ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ ესე...»: [ისიდორე ვაშაძის გარდაცვალებაზე წარმოთქმული სიტყვა]. 1906 წ. 3 მაისი. ხელმოუწერელია. ტექსტი შესრულებულია შავი ფერის მელნით ქართ. ენაზე, ჩასწორებულია ლურჯი ფერის მელნით.

22. „ბატონთ ქუთაისის გუბერნიის იმერეთისა და გურიის თავადთა და აზნაურთა...»: [ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ დიმიტრი ყიფიანის წინადადება თავადაზნაურთა ყრილობისადმი გვართმეტყველების წიგნის შემოღების თაობაზე. მოხსენიებულნი არიან: დიმიტრი ყიფიანი, დ. კანდელაკი, ისიდორე ვაშაძე, იაკობ ვაშაძე, სიკო ვაშაძე]. 1886 წელი, 7 მაისი. ნაბეჭდი. ხელმოწერილია. სათაურის ზემოთ წარწერაა: „ჭიათურაში აზნაურებს მღვდ. ისიდორეს და მის ძმებს იაკობ და სიკო ვაშაძეებს». ტექსტი ქართ და რუს. ენებზე. 2 ფ.

23. „От наложенной на них...": [ტექსტის ამონარიდი, რომლის მიხედვითაც ვაშაძეების ოჯახი გაურკვეველი პირისაგან ვალის დაბრუნებას ითხოვს]. 1911 წ. 15 აპრილი. ხელნაწერს თავფურცელი აკლია. შესრულებულია რუს. ენაზე, შავი ფერის მელნით. ქაღალდის გარე მხარეს წარწერაა: „ჩემი შვილების საბუთები». ხელმოწერილია ქართ. ენაზე. ხელნაწერი დაზიანებულია. 1 ფ.

24. „Свидетельство": [ბესარიონ ვაშაძის ქალიშვილის, ბაბოს დაბადების მოწმობა გაცემული იმერეთის წმინდა სინოდალური კანტორის მიერ ბესარიონ ვაშაძის სახელზე. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, ბაბო ვაშაძე, მელქისედეკ საყვარელიძე, სოფიო საყვარელიძე, დიმიტრი ოქროპირიძე, ხუნდაძე, ისაია ვაშაძე, ერმილე ხარაიძე]. 1910 წელი, 7 აპრილი. მეორე ფურცლის გარეკანზე წარწერაა ქართულ ენაზე: „ვარვარას მეტრიკა». მოწმობა ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია. ტექსტი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე. 2 ფ.

25. «სამემკვიდრო მოწმობა»: [ჭიათურის სანოტარო კანტორის გამგის არჩილ, გოცაძის მიერ გაცემული მოწმობა ბესარიონ ვაშაძის კუთვნილი სახლის ერთადერთ მემკვიდრედ ბაბო (ბარბალე) ვაშაძის ცნობის შესახებ. მოხსენიებულნი არიან: ბაბო ვაშაძე, ბესარიონ ვაშაძე, არჩილ გოცაძე, გ. სოფრომაძე]. 1940 წ. 11 სექტემბერი. ნაბეჭდი. ასლი. დოკუმენტი ბეჭედდასმულია და ხელმოწერილი. ტექსტის ბოლოს: „ჭიათურის ნოტარიუსი არ. გოცაძე; [თანამდებობა გაურკვეველია] გ. სოფრომაძე». 1 ფ.
27. «ძვირფასო მამა! გიგზავნი პერანგს...»: [ბაბოს მოკლე წერილი მამისადმი. ატყობინებს, რომ უგზავნის პერანგს, კითხულობს მის ჯანმრთელობას. იმავე წერილზე მიწერილია ბესარიონის პასუხი, სადაც მადლობას უხდის შვილს ყურადღებისათვის]. 1937 წ.

წერილი დაზიანებულია. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით. ტექსტის ბოლოს: „სირცხვილი და ზიზღი მაგ ურჯულოებს».

28. „ბესარიონ ვაშაძეს...»: [ბაბოს წერილი მამისადმი. ჩამოთვლილია შეგზავნილი ნივთები. ტექსტის ბოლოს მინაწერი: „შენი ბაბულია». ბესარიონის პასუხი წერილის ბოლოსაა მიწერილი]. 1937 წ. ხელნაწერი მქრქალია. შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე. გარკვეული ნაწილი არ იკითხება.

29. „ჩემო მამა! ...»: [ბაბო ატყობინებს, რომ თბილისში ორი თვით ჩამოვიდა. ბესარიონის პასუხი დაუმთავრებელია]. 1937 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე. დაზიანებულია.

30. „ძვირფასო მამა! გიგზავნი, გენაცვალე...»: [ასახელებს შეგზავნილ ნივთებს, ამშვიდებს: „ჯავრი ნურაფრის გაქვს. შენი ბაბო». წერილის ბოლოს ბესარიონის მინაწერი – ადასტურებს ნივთების მიღებას]. 1937 წ. 21 სექტემბერი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე.

31. „ძვირფასო მამა! გიგზავნი ზეწარს...»: [ბაბოს წერილი მამისადმი. უგზავნის საჭირო ნივთებს და ატყობინებს, რომ ნახვა არავისთვის არა არის ნებადართული. ბარათის ქვეშ ბესარიონის მინაწერია ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ]. 1937 წელი. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ნახევზე შავი ფერის ფანქრით.

32. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს მოკლე შეტყობინება მამისადმი შეგზავნილი ნივთების თაობაზე. ბესარიონის მინაწერიდან ჩანს, რომ ავადაა და შეიძლება საავდმყოფოში გადაიყვანონ]. 1937 წელი. წერილი დაუსრულებელია, ბოლო ნაწილი – დაზიანებული. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე.

33. „ძვირფასო მამა! გიგზავნი...»: [ბაბოს წერილი მამისადმი. სთხოვს, შეატყობინოს, თუ რამე სჭირდება. ბარათის ბოლოს ბესარიონის მინაწერია: აქებს ბაბოს კარგ ქალობას, ატყობინებს, რომ ყველაფერი მიიღო და ზიზღით იხსენიებს დამსმენლებს: „მოკითხვა ერთგულებს, მედანოსეებს ფურთხი და ზიზღი»]. 1937 წ. 18 სექტემბერი. ხელნაწერი დაზიანებულია, შესრულებულია შავი ფერის ფანქრით.

34. „ჩემო მამა! გამოგიგზავნე საბანი...»: [ბაბოს წერილი მამისადმი. ატყობინებს, რომ საჭმლის გაგზავნის ნება ჯერ არ მიუღია. ბარათის ბოლოს ბესარიონი მინაწერში სთხოვს შვილს მიაღწიოს მისი ნახვის ნებართვას, თუნდაც უფროსის კაბინეტში]. 1937 წელი, 27 სექტემბერი. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტი დაზიანებულია.

35. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი. უგზავნის ფულს და აიმედებს, რომ არსად არ მიდის. მინაწერში ბესარიონი სთხოვს შვილს, თუთუნი გაუგზავნოს და

მიაღწიოს ნახვის ნებართვას]. 1937 წელი. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით.

36. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი ციხეში. უგზავნის საცვლებს და სთხოვს სარეცხი გაუგზავნოს. მინაწერში ბესარიონი ატყობინებს შვილს, რომ მალე საავადმყოფოში გადაიყვანენ. ტექსტის ბოლოს: „შენი მამა ბესარიონი»]. 1937 წელი, 26 ოქტომბერი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით რვეულის ფურცლის ნახევზე.

37. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი. სთხოვს შეატყობინოს, რა სჭირდება. ბესარიონის მინაწერი დაზიანებულია და ძნელად იკითხება]. 1937 წ. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით.

38. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი ციხეში. ჩამოთვლილია გადასაცემი ნივთები. ბესარიონის მინაწერიდან ჩანს, რომ მალე საავადმყოფოში გადაიყვანენ, მადლობას უხდის გზავნილისათვის]. 1937 წ. ბაბოს ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ხოლო ბესარიონის – შავი ფერის ფანქრით. ტექსტი დაზიანებულია.

39. „ძვირფასო მამა!...»: [ბაბოს წერილი მამისადმი. უგზავნის ნივთებს. ატყობინებს, რომ ცდილობს მიაღწიოს მასთან შეხვედრას. სთხოვს იმოძრაოს, დაწოლილი ნუ იქნება და აიმედებს, რომ არსად არ მიდის. ბესარიონი მადლობას უხდის ყველაფრისათვის: „გმადლობ, რომ არ მივიწყებ». სთხოვს საბინაო წიგნაკში ჩაეწეროს]. 1937წელი. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით. 1 ფ.

40. „ძვირფასო მამა!...»: [ბაბოს ბარათი მამისადმი. უგზავნის საბანს. ბესარიონი მინაწერში იტყობინება, რომ მიიღო საპონი, ცუდადაა და ელოდება, როდის გადაიყვანენ საავადმყოფოში. სთხოვს ქვეშაგები გაიტანოს გასარეცხად]. 1937 წელი, 27 ოქტომბერი. ხელნაწერი შესრულებულია ქაღალდის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით.

41. „ჩემო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი ციხეში. ჩამოთვლილია შესაგზავნი ნივთები. ბესარიონი პასუხში სთხოვს, არ დაკარგოს ჯვარი]. 1937 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით ქაღალდის ნახევზე. დაზიანებულია.

42. „ძვირფასო შვილო ბაბულია...»: [ბესარიონ ვაშაძის წერილი ბაბოსადმი ციხიდან. სთხოვს, შეუკეროს საცვლები და შეუგზავნოს]. 1937 წელი. ხელნაწერი შესრულებულია რვეულის ფურცლის ნახევზე შავი ფერის ფანქრით. ტექსტი ძლიერ დაზიანებულია.

43. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი ციხეში. მოცემულია შესაგზავნი ნივთების ნუსხა. ბესარიონი მინაწერში სთხოვს ამდენ ნივთებს ნუ უგზავნის. ტექსტის დანარჩენი ნაწილი არ იკითხება]. 1937 წ. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით რვეულის ნახევზე.

44. „ძვირფასო მამა!..»: [ბაბოს წერილი მამისადმი ციხეში. სთხოვს ნივთები უკან არ დაუბრუნოს, დასჭირდება და ნურაფერზე იჯავრებს. ბესარიონის პასუხი არ იკითხება]. 1937 წელი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით რვეულის ფურცელზე. ტექსტი დაზიანებულია.

45. „Паспортная книжка": [ბესარიონ ვაშაძის პასპორტი გაცემული 1898 წ-ს]. 1898 წელი, 22 დეკემბერი. 1 ეგზ.

46. „გრ. რობაქიძის ხსოვნის ჟურნალ „ბედი ქართლისა»-დან ამონაწერი»: [გრიგოლ რობაქიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიების ამონარიდები ჟურნალ „ბედი ქართლისადან» – გრ. ვაშაძის ხელნაწერი. მოხსენიებულნი არიან: ლიდა რობაქიძე, ნინო სალია, ნინო ნაკაშიძე, კალისტრატე სალია, ალ. ყიფიანი, ირაკლი ოთხმეზური, ალექსანდრე შათირიშვილი, ოთარ ზალდასტანიშვილი, მ. წერეთელი, ირაკლი ბაგრატიონი, რუდოლფ კარმანი, ი. გოგოლაშვილი, ს. ჭირაქაძე, ა. პაპავა, მინდია ლაშაური]. რვეული. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრითა და წითელი ფერის მელნით. გვერდები აღურიცხავია. 5 ფ.

47. „Свидительство": [გრიგოლ ვაშაძის დაბადების მოწმობის ასლი. გაცემული იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ ბესარიონ ვაშაძის მოთხოვნის საფუძველზე. მოხსენიებული არიან: გრიგოლ ვაშაძე, ბესარიონ ვაშაძე, ელიზავეტა (ელისაბედ) ვაშაძე, იაკობ ვაშაძე, სპირიდონ ბრეგვაძე, ოქროპირ ჭუმბურიძე, არქიმანდრიტი აფილოხი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ბერიევი]. 1905 წელი, 8 აპრილი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით რუს. ენაზე. ხელმოწერილია და ბეჭედდასმული. ხელმოწერები გაურკვეველია. დოკუმენტი დამოწმებულია ჭიათურის ნოტარიუსის მიერ 1908 წ. 26 აგვისტოს. არშიაზე აღნიშვნაა: „№4051». 2 ეგზ. 4 ფ.

48. „მეტრიკული ამოწერილობა ქუთაისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის კურს დამთავრებულის გრიგოლ ბესარიონის ძის ვაშაძის დაბადებაზე და მონათვლაზე 1901 წლისა»: [ამონარიდი გრ. ვაშაძის დაბადების მოწმობიდან. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, იაკობ ვაშაძე, ელისაბედ ვაშაძე, ოქროპირ ჭუმბურიძე, სპირიდონ ბრეგვაძე, პართენ ყიფიანი]. ასლი. დამოწმებულია 1920 წლის 12 სექტემბერს. ხელნაწერი შესრულებულია ყავისფერი მელნით. დოკუმენტი ბეჭედდასმული და ხელმოწერილია ჭიათურის მილიციის უფროსის მიერ: „კაპიტანი ვაშაძე». 1ფ.

49. „იურიდიული შეკითხვა გაზ. „კომუნისტის» რედაქციას»: [სადავო მიწის ნაკვეთის შესახებ ბ. ვაშაძესა და ს. მდინარაძეს შორის. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ და გრიგოლ ვაშაძეები, სამსონ და გრიშა მდინარაძეები]. 1927 წელი, აპრილი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით, დაზიანებულია. ტექსტის ბოლოს მინაწერია, სადაც ბესარიონ ვაშაძე სთხოვს შვილს, გრიგოლს, გადაწეროს წერილი და რედაქციაში მიიტანოს. 1 ფ.

50. იხ. №47.

51. „ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები» ქ. ქუთაისი 1919 წ...»: [1919 წელს ქუთაისში გამოცემულ სიმბოლისტთა ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების» პირველი წიგნი. მოხსენიებულია იოსებ ასლანიკაშვილი]. 1919 წელი. ქუთაისი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა. არასრული. ტექსტი იწყება 31-ე გვერდიდან. ჩასმულია რვეულის ყდაში წარწერით: „გამოვიდა ქ. ქუთაისში. გამომცემელი იოსებ ასლანიკაშვილი. დაიბეჭდა ქუთაისის ქართველთა შორის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში». 36 ფ.

52. „Кахадзе И. Р. Грузия в Юрское время: [სახელმძღვანელოს მოკლე კონსპექტი]. თარიღი მითითებული არ არის. შავყდიანი რვეული. დაზიანებული. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. 21-ე გვერდიდან იწყება უსათაურო ჩანახატი („მზე პირს იბანს!..»), რომელიც ორ თორმეტფურცლიან რვეულში გრძელდება. ხელნაწერები შესრულებულია იისფერი და ლურჯი ფერის მელნით. ჩანახატის ტექსტი დაუმთავრებელია. 16 ფ.

53. „ვაშაძე. გარდასულ ვნებათა მოგონებანი»: [გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფია; მოგონებები ბესარიონ ვაშაძეზე, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებსა და პედაგოგებზე; 1905 წლის რევოლუცია და მისი გამოძახილი საქართველოში; მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, მამია ორახელაშვილი, ალექსანდრე ვაშაძე, გიორგი ვაშაძე, მიხაკო ვაშაძე, იაშა ვაშაძე, მანჯავიძე, ბაბო ვაშაძე, შალვა დადიანი, პელაგია ვაშაძე, კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, იაკობ (ბაბუა) ვაშაძე, სვიმონ ვაშაძე, იოველ ვაშაძე, დემეტრე ვაშაძე, ნიკოლოზ ვაშაძე, ქაქუჩა ვაშაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი), პაპავა, ს. ხუნდაძე, გრიგოლ მუხაძე, კიკვიძე, ს. ქვარიანი, ს. ჯაფარიძე, კაკო გამრეკელი, საშა გამრეკელი, ირაკლი გამრეკელი, პაოლო იაშვილი, ჯიბო იაშვილი, ნაპა წერეთელი, ნინო შარაშიძე, გიგო შარაშიძე, ისაია ვაშაძე, მარგალიტა ვაშაძე, ბუდუ მდივანი, კიტა აბაშიძე, ბესარიონ ლომინაძე, ნინო ლომინაძე, შაგინიანი, თამარ ლომინაძე, ჯ. ლოლუა, ვარლამ რუხაძე, ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი, ბოშკო, კოტილევსკი, კობახიძე, ალექსანდრე ბოგდანოვი, ფიალკოვსკი, გრიგოლ ივანოვი, ფანცულაია, რუმიანცევი, გლუშაკოვი, ლორთქიფანიძე, პარმენ თვალჭრელიძე, გრიშა გველესიანი, დობროვოლსკი, სისოევი, მაჭავარიანი, პალიკო ბეშკენაძე, ავტონომიოს ჩიქოვანი, ანდრო ჩიქოვანი, გრიშა ჩაჩავა, დათიკო ელიგულაშვილი, ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), ფილიპე მახარაძე, კერენსკი, ჩერნოვი, მიხაილოვი, გ. პლეხანოვი, ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, პაშა ვაშაძე]. 1952 წ. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრით. 114 ფ.

54. „გრიგოლ ვაშაძე. მემუარული ჩანაწერები...»: [გრ. ვაშაძის გადმოსვლა თბილისში; ოჯახის ეკონომიური სიდუხჭირე; სხიველები და მათი პოლიტიკური შეხედულებანი; იუნკერთა სასწავლებელში შესვლის განზრახვა; დაბრუნება ქუთაისში, შეხვედრა უფროს ძმა გიორგისთან; მოგონება – მამიდა პაშა, გიმნაზიელი მეგობრები; ჭიათურაში

დაბრუნება; 1921 წლის შობა ჭიათურაში; 1914 წლისა და პირველი მსოფლიო ომის გახსენება; ჭიათურა 1921–25 წლებში („ვიდრე ხვალ, საქართველო?»). საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ვითარების ანალიზი. მოხსენიებულნი არიან: ვალოდია ფხაკაძე, გოგი ჩხიკვაძე, ივანე გომართელი, გრიშა კიკიანი, კოწია იაშვილი, სერგეი კიროვი, ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ოდიშელიძე, გედევანიშვილი, ვალიკო ჯუღელი, გ. დგებუაძე, გიორგი ვაშაძე, უშანგი ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, გ. ჩიჩერინი, შალვა გველესიანი, ბუიღლიშვილი, ქეთო აბესაძე, ლიდა აბესაძე, კოწია ლილუაშვილი, იოსებ ოცხელი, შხვაცბაია, ანტონ კამპანიონი, დოტია ლეჟავა, ერემია ლეჟავა, პოკია ლეჟავა, გრიგოლ ლეჟავა, კერენსკი, დოლიძე, ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ვასო აბაშიძე, ტასო აბაშიძე, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, გოგი მოსეშვილი, ქეთო წერეთელი, სოლომონ საყვარელიძე, ბესარიონ ვაშაძე, ლიდია ვაშაძე, ბაბო ვაშაძე, გუნია (გულნარა) გეგეშიძე, დათიკო წერეთელი, პლატონ ცქიტიშვილი, ბორის გამრეკელი, ბუტა გამრეკელი, დათიკო გამრეკელი, თამარ გამრეკელი, საშა გამრეკელი, ანდრო წერეთელი]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრითა და სხვადასხვა ფერის მელნით. 193 ფ.

55. „გრიგოლ ვაშაძე. მემუარული ჩანაწერები. რვეული მე-7. 1931_41 წ. ფიცი დამიდევს: „ხარის ქედივით გავცვთები შენთვის საქართველო ჩემო, სასიქადულო და საყვარელო სამშობლო»: [გრ. ვაშაძის ბიოგრაფიული მონაცემები. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის აღწერა და ანალიზი. ინსტიტუტის დამთავრება; განჯის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელობა; განჯა; ურთიერთობა სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის; გერმანული კოლონიები; გრ. ვაშაძე – სსრკ გეოლოგთა პირველი ყრილობის დელეგატი (1931 წ.); შეხვედრები მოსკოვში; შამქორის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელობა; გადასვლა განჯის ბაზიდან ჩილდირის პარტიაში; მოგონებები გეოლოგიური პარტიების თანამშრომლებზე; ს. კიროვის მკვლელობა; პოლიტიკური ცვლილებები ქვეყანაში; სსრკ – ახალი სახის იმპერიის ჩამოყალიბება; სომხეთის კომპარტიის ცეკას მდივნის, ხანჯიანის წინადადება ამიერკავკასიის დედაქალაქად თბილისისა და საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადების შესახებ; გამგზავრება ნახჩევანში; დაბრუნება თბილისში; რეპრესიების დასაწყისი; ყიზლარის სამუშაოები; „სტანიცა ჩერვლიონნაია» და მისი „გაკაზაკებული» ქართველთა შთამომავლები; გეოლოგიური სამუშაოები ყარანოღაისა და გაიდუკის სტეპებში; საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამარცხების მიზეზების ანალიზი; არტეზიული ჭების გაჭრა; წარმატებული საძიებო სამუშაოები;. ყიზლარის მოსახლეობის საქმიანობის შესახებ; თბილისში დაბრუნება; მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. მოხსენიებულნი არიან: სერგო ხვედელიძე, ყიფშიძე, ბუდუ მდივანი, დავით ლეჟავა, კალისტრატე გაბუნია, საფარ ალიევი, კოლია ბეჟანიშვილი, დიმიტრი სუხინი, ვალოდია შოტნიევი, მალხაზოვი, მელკუმიანცი, ალბერტ კუნი, ლეონიდ კონიუშევსკი, გოგი საბაშვილი, ვლადიმერ სუხინი, გოგი ჯიღაური, კარლო ჩხეიძე, გ. პლეხანოვი, კაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სილიბისტრო ჯიბლაძე, გიორგი მოწენიძე, პოგრებოვი, ტელემაქე ასათიანი, ლადო სიხარულიძე, მაყვალა ეგაძე, საშა ჯატიევი, თედეევი,

ბიჭიკო ჩხეიძე, კოტე მარჯანიშვილი, დოდო ანთაძე, სერგო გორბუნოვი, ვერა პეტროვა, ლილი მაჩაბელი, ნიკოლოზ ჯორჯაძე, დალაქიანი, სერგო კანდელაკი, მკრტჩიანი, მოისეენკო, ფედერმანი, ნესტორ უგრეხელიძე, გაგელაროვი, ხარიტონოვი, რიბაკოვა, სერგეი ბოგოიავლენსკი, გლდანსკი, ანეტა კახიძე, ზახტაძე, პოტაპენკო, ნახლებნიკოვი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, პავლე თვალჭრელიძე, როყვა, ასტახოვა, ჩილინგაროვი, ნიკოლაევი, ფილიპე მახარაძე, გიორგი ასათიანი, სოსიკო კონცელიძე, გ. წერეთელი, მოისწრაფიშვილი, დავით გუნიავა, სერგო ორჯონიკიძე, მ. ოტიანი, ათაბეგოვი, მოგილევსკი, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ოკუჯავა, მამია ორახელაშვილი, მარიამ ორახელაშვილი, თენგიზ ჟღენტი, მიხეილ კახიანი, ალექსანდრე აბაშელი, ხანჯიანი, დავით თავაძე, ლავრენტი ბერია, გალაქტიონ ვაშაძე, კიმოთე ვაშაძე, მალაქია ტოროშელიძე, ტიციან ტაბიძე, ვანიკო აბაშიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ლელი ჯაფარიძე, ალექსანდრე ახმეტელი, ე. მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ყურულაშვილი, დოლიძე, კუხალეიშვილი, ხვედელიძე, შამშე ლეჟავა, ბიტოლი ლეჟავა, პაოლო იაშვილი, ენუქიძე, ეჟოვი, ს. მამულია, გ. სტურუა, შალვა ელიავა, ლევან ღოღობერიძე, ლავრენტი ქართველიშვილი, აზალი სულტანოვი, რიბინი, ნიკოლოზ ჯორჯაძე, ჟორა ლევანიძე, ბორის ფომინი, ვასო გუნცაძე, ბორის გუჯეჯიანი, ალექსანდრე ხუჭუა, ბედია, ჯაიანი, ზუმბულიძე, ნოდარ ვაშაძე, თენგიზ ვაშაძე, ბესიკ ვაშაძე, დათიკო ელიგულაშვილი, სიმონ ციციაშვილი, დავით ენუქაშვილი, მიშა კაკიტელაშვილი, ვლას იაშჩენკო, დიმიტრი გოგეშვილი, ვალიკო გოგეშვილი, ხაჟომია, მაისურაძე, იაშა აშიანცი, მიტუშა წერეთელი, ლადო სიხარულიძე, გრიშა ქომეთიანი, ანტიფორე კალანდაძე, ალექსანდრე (პატარა) ვაშაძე, არსენ მარსაგიშვილი, შაქრო რობიტაშვილი, ბ. დიდებულიძე, სულიკო ვაჩნაძე, ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, გოგლიძე, იოველ თუთბერიძე, პეტრე ლობჟანიძე, გიორგი (ჟორჟიკა) ასათიანი, ბაქრაძე, ჯიბო აბაშიძე, ვ. ულრიხი, ი. მატულევიჩი, ბ. ბატნერი, ა. ვიშინსკი, ნ. კომოდოვი, ი. ბრაუდე, თ. ძამა[ნა]შვილი, ივანე ზვიადაძე, სურენ კაზარიანი, სუჯაშვილი, ალექსანდრე ბედიაშვილი, გარიკ ღარიბიანი, ივანე დუგინი, ალექსანდრე ხვედელიძე, სუსლოვი, პეტრე ურმანოვი, ქეთო აბესაძე]. 1987 წ. 26 მაისი. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია შავი, ხოლო გვ. 1975-დან – სხვადასხვა ფერის მელნით. 474 ფ.

56. „გრიგოლ ვაშაძე მემუარული ჩანაწერები 1941–1945 წწ. მსოფლიო ომის პერიოდი...»: [1914 წლის ომის გახსენება; მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა პირობები; რეფორმები საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში; „გამანადგურებელი ბატალიონის» ჩამოყალიბება; ქართველთა მონაწილეობა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში; ტექსტს დართული აქვს კ. ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი 1921 წელი», მ. ლებანიძის „მუხა», ამონარიდი შ. ნიშნიანიძის ლექსიდან. მოხსენიებულნი არიან: გავრილა პრინციპი, ჟელიაბოვი, ღლონტი, ობოლაძე, პეტრე ლობჟანიძე, ვოროშილოვი, ბუდიონი]. თარიღი მითითებული არ არის. ტექსტი დაუსრულებულია. 31 ფ.

57. „სექტემბერში 1934 წელს თბილისში გაიმართა»..: [ფირდოუსის იუბილე თბილისში; წმინდა შუშანიკის სახელობის ეკლესიის დაცვა ქართული ინტელიგენციის მიერ. ფუტურისტული მიმდინარეობა ქართულ პოეზიაში; მოგონებები მსოფლიო ჩემპიონატების შესახებ ფეხბურთში; კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის

ურთიერთობა, „დურუჯის» ჩამოყალიბება და ახმეტელის დაპატიმრების მიზეზები; ქართული პროფესიული თეატრის ისტორიიდან; მოგონება ტერენტი გრანელზე; ქართველ მოღვაწეთა ამონარიდები ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის შესახებ; კაფე „ქიმერიონის» დაარსების ისტორია; გრ. ვაშაძის ლექსები. მოხსენიებულნი არიან: ნეფერი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ნიკოლო მიწიშვილი, ლავრენტი ბერია, დიტო შევარდნაძე, ნიკოლოზ შენგელაია, ქეთო წერეთელი, კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, უშანგი ჩხეიძე, დათიკო ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, მიასნიკოვი, ეჟოვი, მოგილევსკი, ათაბეგოვი, ილიაჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი თუმანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ეფემია მესხი, ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ვ. შალიკაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ქორელი, აკაკი ფაღავა, ვ. ანდრონიკაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. დავითაშვილი, ა. იშხნელი, ტასო აბაშიძე, ზარდალიშვილი, ნათელა არველაძე, ლერი ალიმონაკი, გაბრიელ ჯაბუშანური, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, გრიგოლ აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, დათო კაკაბაძე, კირილე ზდანევიჩი, სერგეი სუდეიკინი, ზიგმუნდ ვალიშევსკი, ალიოშა ბოკერია, შალვა ალხაზიშვილი, ნოე ჟორდანია, ზურაბ კაკაბაძე, დავით ყიფიანი, გიორგი ჯიბლაძე, ზინა დუმბაძე, თამარ იმერლიშვილი, გრიგოლ ჩიქვილაძე, მ. მცურავიშვილი, ე. კაცობაშვილი, ზაალ ქიქოძე, შალვა ჯინჭველაშვილი, მიქელ პატარიძე, აკაკი ბერეკაშვილი, ვასო ბოცვაძე, მიხეილ გორგაძე, სოსიკო ფანცხავა, ლ. მარტიაშვილი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, პალიკო ნოზაძე, აკაკი ბელიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ბესო ჟღენტი, ნიკოლოზ შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, შალვა ალხაზიშვილი, ლევან ასათიანი, გრიგოლ რობაქიძე, მარიახინი, სუჯაშვილი, ბენია ფხაკაძე, მიშა გაბელაშვილი, ზამთარაძე, ჟ. თევდორაძე, მისაბიშვილი, ილო ბაინდუროვი, ისაკ გალუსტიანი, ჟორჟიკა ნოზაძე, კუდრიავცევი, ბურჯანაძე, კუკური პატარიძე]. 1982 წ. 11 ივნისი. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და წითელი ფერის მელნითა და შავი ფერის ფანქრით. 96 ფ.

58. „ვაშაძე. ლექსები, ესეები, ნააზრევი. ამონაწერები 10 ივლისიდან 1986 წ.»: [ქუთაისი 1935–37 წლებში; ილიას მკვლელობის გამო; აფრიკის პაპისა და პატრიარქის, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის სტუმრობა საქართველოში; ფანასკერტელ-ციციშვილთა გენეალოგია; მოგონება გარდაცვლილი მეუღლის, ქეთო თუთბერიძის შესახებ; კოლექტივიზაცია – სოფლის მეურნეობის უკუსვლა; 1924 და 1937 წლების რეპრესიები; რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში რკინიგზის მშენებლობაზე; 1924 წლის გახსენება; ამონაწერები პერიოდული გამოცემებიდან მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე; ფუტურისტთა ლიტერატურული მიმდინარეობის ისტორია; „ველიკორუსული» ზრახვები – წითელი კოლონიალიზმი და საქართველო; გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების მიმდინარეობა ბორჯომ-ახალციხე-ხერთვისის ტერიტორიაზე; „კინტოს კულტის» რაობისათვის ძველ თბილისში; ტერენტი გრანელის გახსენება; ეროვნულ ფასეულობათა დაკნინების გამო; 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და მისი გამოძახილი საქართველოში; გარდაქმნის ეპოქა – დასასრულის დასაწყისი, მისი უპერსპექტივობა; პიროვნული თავისუფლების შესახებ; გამოხმაურება გ. გაჩეჩილაძის წერილზე „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?»; თანამედროვე ქართული

მწერლობის ინერტულობაზე; კ. მარჯანიშვილის სპექტაკლ „ინტერესთა თამაშის» შესახებ; ახმეტელის „ლამარა»; გამოხმაურება ფ. მახარაძის საფლავის აფეთქების გამო; 1937 წლის რეპრესიების შედეგები საქართველოში; ავტორის მოსაზრება მეტეხის ტაძარში თეატრის გახსნის თაობაზე; სტალინის კულტის შესახებ; ტექსტში გაბნეული მოკლე ცნობები სხვადასხვა თემებზე: საქართველოს ისტორია, მოგონებები პიროვ-ნებებზე; სპორტი; ქართული ენა და ლიტერატურა; რელიგია; სხვა ავტორთა და საკუთარი ლექსები. მოხსენიებულნი არიან: ვანიკო გვიჩია, ლალიაშვილი, ვასილ ბარნოვი (ბარნაველი), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ნიკოლოზ მეექვსე – ალექსანდრიისა და აფრიკის პატრიარქი, ვაშინგტონის ეპისკოპოსი თეოდოსი, ქეთო თუთბერიძე, გიორგი ხამაშურიძე, ნადია კაკაბაძე, გოგი გოგოლაშვილი, თამარ გოგოლაშვილი, გიგო შარაშიძე, ნინო შარაშიძე, სერგო ორჯონიკიძე, ანზორ წიკლაური, ივანე ჯავახიშვილი, ანდრია რაზმაძე, არჩილ ხარაძე, ლევან გოკიელი, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ბეგაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, კარლო ჩხეიძე, ნუცა ჩხეიძე, გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე), ნოდარ ჩხეიძე, თემურ ჩხეიძე, ციალა ჩხეიძე, ბორის ჩხეიძე, უშანგი ჩხეიძე, ნინო ჩხეიძე, დათიკო ჩხეიძე, რეზო ჩხეიძე, ოთარ ჩხეიძე, სეით დევდარიანი, ნოე ჟორდანია, გრიგოლ (გია) ვაშაძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ირაკლი თოიძე, სერგო სუდეიკინი, სიგიზმუნდ ვალიშევსკი, ნიკოლოზ შენგელაია, დიმიტრი მჟავია, ალიოშა ბოკერია, ტერენტი გრანელი, კოლია ჯორჯაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ლავრენტი ბერია, ბუდუ მდივანი, ბესარიონ ლომინაძე, ნინო ლომინაძე, ბესო (ბესარიონის ძე) ლომინაძე, ლევან ლომინაძე, ლევან ლოლუა, რებეკა ვაშაძე, სიმონ ვაშაძე, დავით ვაშაძე, თიურა ვაშაძე, გოგი მოსეშვილი, კოწია ლილუაშვილი, ვალოდია ფხაკაძე, პავლე მოსეშვილი, ფილიპე მახარაძე, არისტო ჭუმბაძე, ალექსანდრე ვაშაძე, დავით გაჩეჩილაძე, აკაკი ბელიაშვილი, პალიკო ნოზაძე, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, დემნა შენგელაია, ბესო ჟღენტი, პაოლო იაშვილი, ბენო გორდეზიანი, ირაკლი გამრეკელი, ჟანგო ღოღობერიძე, ბიძინა აბულაძე, შალვა ალხაზიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, მიხა ცხაკაია, ოვან-ბაბა ბუჟღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ჭირიტაშვილი, მიხეილ ყულოშვილი, ივანე შალიკაშვილი, ს. ციციშვილი, დიმიტრი უზნაძე, არჩილ სულაკაური, ზურაბ სოტკილავა, გუჩკოვი, ევგენი გრებენკა, მარიამ კილაძე, თ. ვაშაძე, ვახტანგ ჟორდანია, კალისტრატე ცინცაძე, სიმონიკა საყვარელიძე, პაჭუ თუთბერიძე, გრიგოლ ფერაძე, ი. ლენჩევსკი, დავით კასრაძე, ნინო შარაშიძე, გიგო შარაშიძე, გაბრიელ ქიქოძე (გაბრიელ ეპისკოპოსი), გერონტი ქიქოძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ოტია იოსელიანი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე ახმეტელი, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, გიორგი დავითაშვილი, კიტა აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილი, გია აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, ბაზო ვაშაძე, ოთარ ეგაძე, გურამ ასათიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), იოსებ სტალინი, მიხეილ გორბაჩოვი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, აბელ ყურბანოვი]. 1986 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და შავი ფერის მელნით. ყველა მოგონება დათარიღებულია. გვერდები აღურიცხავია. 194 ფ.

59. «ჩემი ჩანაწერები ნაირ სახის»: [საქართველოს ისტორიიდან – ქეთევან დედოფალი; კავკასიური ენების შესახებ; ჟურნალ „მეოცნებე ნიამორები» და ქუთაისში გამოცემული სხვა პერიოდული გამოცემები; ცნობები ბულგარეთში მოღვაწე ქართველ ი. ბიწაძეზე; ფიქრები ქართულ გეოლოგიაზე; ს. ორჯონიკიძის თვითმკვლელობა. კუშჩის ბარიტის საბადოებზე; მოგონება გ. ქუჩიშვილსა და მის ოჯახზე. მუსიკალური სკოლის გახსნა ქუთაისში; მოცემულია მოკლე ცნობები ცალკეულ პიროვნებებზე. ავტორის ლექსები. მოხსენიებულნი არიან: ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ბერია, სერგო ორჯონიკიძე, რიკოვი, გალაკტიონ ტაბიძე, საბანეევა, მელიტონ ბალანჩივაძე, პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, ალი არსენიშვილი, შულგინა, გრანელლი, მოროზოვა, ლადო ინაშვილი, ილიკო ქურხული, ზალიპსკი, ა. მამარდაშვილი, ნინო ყაუხჩიშვილი, ნიკო მარი, გიორგი ქუჩიშვილი, სალომე ბაქრაძე, დავით თურდოსპირელი, გიორგი ჯავახიშვილი, აზილ ყურბანოვი, ი. კიბორძალიძე, ერმაკოვი, ვ. ხოდოროვიჩი, ანა ალილუევა, პავლე ალილუევი, ლინა შტერნი, ს. ლოზოვსკი, კორონა, თალაკვაძე, ნაფეტვარიძე, ლევან გოთუა, ბესარიონ ვაშაძე, იოსებ იმედაშვილი, სერგეი კიროვი, ნიკოლაევი, ლავრენტი ბერია, ი. ბიწაძე, ნიკურაძე, ინწკირველი]. 1983 წელი, 9 თებერვალი. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და შავი ფერის მელნით. ზოგიერთი მასალა მოცემულია რუს. ენაზე. 112 გვ.

60. „გიას დამატებით გავუგზავნე „მირაბოს თხზულება» გამოც. 1910 წ. ნოდარის ხელით»: [ავტორის ლექსები განთავსებულია ტექსტში სხვადასხვა ადგილას; მოკლე ჩანაწერები ბასკებზე, ჟურნალ „არიფიონზე», ოციანი წლების მოღვაწეეებზე; ამონარიდები აკ. ბაქრაძის სტატიიდან „ისტორიული სევდა»; საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობები; მოხსენიებულნი არიან: ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სანდრო შანშიაშვილი, დავით სულიაშვილი, ილო მოსეშვილი, კონსტანტინე კაპანელი, შალვა დადიანი, ვასო გორგაძე, ლევან მეტრეველი, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე, კონდრატე თათარაშვილი, გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), ნოე რამიშვილი, ივანე გომართელი, აკაკი ჩხენკელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ლაშქარაშვილი, დავით შარაშიძე, ნოე ჟორდანია, ვოიტინსკი, კედია, ფაჩულია, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ლავრენტი ბერია, მ. დადიანი, ნიკო მუსხელიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ბუდუ მდივანი, გიორგი ჩიჩერინი, ა. სუმბათაშვილი, თანხაზ ხიმშიაშვილი, შალვა ელიავა, გიორგი შატბერაშვილი, პაატა ანდრონიკაშვილი, პავლე პოტიომკინი, იოანე ზაგრატიონი, გარსევან ჭავჭავაძე]. 1981 წ. 19 ივლისი. ხელნაწერი რვეული. ტექსტი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, ზოგან – რუს. ენაზე. 17 ფ.

61. „გრიგოლ ვაშაძე. ესეისტური ჩანაწერები. ლექსები. მოვლენების აღრიცხვანი და ამონაწერები მარტიდან 1986 წ.»: [გამოხმაურება თ. ბაბლუანის ინტერვიუზე („თბილისი» 1986 წ. 17 თებ.); თანამედროვე ქართული პოეზიის შესახებ; გაზეთ „დროების» დაარსება; ოსკარ შმერლინგის მოღვაწეობაზე; ამონარიდები ქართული პერიოდიკიდან; ფილოსოფოსთა გამონათქვამები; ქართული მათემატიკური სკოლა და

ქართველი მათემატიკოსები; სოციალურ-პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური მოვლენების განვითარება რუსეთსა და საქართველოში 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე – ზოგადი მიმოხილვა; საქართველოს მწერალთა ყრილობების შესახებ. რუსეთ-თურქეთის ომი და მასში მონაწილე ქართველები; მოხსენიებულნი არიან: თემურ ბაბლუანი, ბაბო ვაშაძე, ბესარიონ ვაშაძე, დიმიტრი ხუნდაძე, ისაია ვაშაძე, ერმილე ხარაიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი, პეტრე უმიკაშვილი, ოსკარ შმერლინგი, ვალერიან გუნია, ნინო შარაშიძე, გიგო შარაშიძე, ლადო გუდიაშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, ლ. გოკიელი, ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, არჩილ ხარაძე, ფელიქს ძერჟინსკი, ეჟოვი, ლავრენტი ბერია, გიორგი პლეხანოვი, კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ნოე ჟორდანია, ნიკიტა ხრუშჩოვი, ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), იოსებ სტალინი, პეტუხოვი, მალენკოვი, ვასილ მჟავანაძე, კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, კარლო რუხაძე, ლეო ქიაჩელი, ვასილ ბარნაველი, დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ეკატერინე გაბაშვილი, დუტუ მეგრელი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, პ. ჩხიკვაძე, გ. ყურულაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, სანდრო ეული, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, ა. მაშაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ფადეევი, ირაკლი აბაშიძე, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ დუმბაძე, რომან მიმინოშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, თამაზ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე, ო. ნოდია, გ. პეტრიაშვილი, დავით კვიცარიძე, გურამ ფანჯიკიძე, ა. ჯონუა, რეზო ამაშუკელი, ფრიდონ ხალვაში, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე ჭილაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), ალიოშა წერეთელი, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ჩუბინაშვილი, მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი]. 1986 წ. 17 მარტი. ხელნაწერი შესრულებულია შავი და ლურჯი ფერის მელნით. ტექსტი იწყება ლ. ნადარეიშვილის ლექსით. 93 ფ.

62. „ჩემი ჩანაწერები»..: [საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა გახსენება; მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველთა შესახებ; რელიგიის ისტორიის თაობაზე; მზადება აღდგომის შესახვედრად – ბავშვობის მოგონება; პოლიტიკური ბრძოლის შესახებ საქართველოში; ამონარიდები ცნობილი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების წერილებიდან; 1924 წლის გახსენება; ავტორის ლექსები. მოხსენიებულნი არიან: დავით ვერულაშვილი, ივანე დანგაშვილი, დიანოზ ტაბაღუა, ალექსანდრე ხუჭუა, სტეფანე ხატიაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, თინათინ წერეთელი, გიორგი წერეთელი, მიხაკო წერეთელი, მურმან ჯგუბურია, ელისაბედ ჭავჭავაძე, კოკი დადიანი, თამარ შერვაშიძე, გიორგი შერვაშიძე, მექი ფაღავა, ბაბო დადიანი, გრიგოლ წერეთელი, კოტე აფხაზი, ილია ჭავჭავაძე, სერგი წულაძე, თამარ ტარასაშვილი, ვერა ფაღავა, ნოე ჟორდანია, დავით ვაშაძე, ვანო ენუქიძე, სორინი, მელიტა ჩოლოყაშვილი, მერი შერვაშიძე, იაკობ ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დიმიტრი ამილახვარი, ივანე აბრამიძე, ივანე ჩხენკელი, ეფრემ ებრალიძე, იოსებ

სულხანიშვილი, სულიკო აბულაძე, ნიკო გარგებაძე, არჩილ მირიანაშვილი, მიკენასი, ფილიპე მახარაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, შულმანი]. 1984 წ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით, გვერდები აღურიცხავია. ყველა ჩანაწერი დათარიღებულია. 94 ფ.

63. „ფიქრები, ჩანაწერები, ლექსი, ესე, გახსენება»..: [ფიქრები ნიკო ნიკოლაძის შესახებ; უკანასკნელი შეხვედრა აკაკი ხორავასთან; ქართული საზოგადოების ინდეფერენტულობის გამო; დემოგრაფიული საფრთხისა და რუსეთის ეკონომიკური ანექსიის შესახებ საქართველოში; მოკლე ამონარიდები, ფრაზები, ციტატები სხვადასხვა პერიოდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებიდან. მოხსენიებულნი არიან: ნიკო ნიკოლაძე, ნოე ჟორდანია, სერგო ქავთარაძე, იოსებ სტალინი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ აბრამიშვილი, აკაკი ხორავა, უშანგი ჩხეიძე, დოდო ანთაძე, ვანიკო აბაშიძე, დიმიტრი მჟავია, ემანუელ აფხაიძე, აკაკი ვასაძე, ლავრენტი ბერია, ალექსანდრე ახმეტელი, ბესო ჟღენტი, გურამ ქაშაკაშვილი, დავით პატატიშვილი, გიორგი ნაფეტვარიძე, მირზა გელოვანი, პეტრე ბაგრატიონი, საშა ბედიაშვილი, მიხა ცხაკაია, სერგეი კიროვი, კალისტრატე სალია, ნინო სალია, ტერენტი გრანელი]. 1985 წელი, 20 იანვარი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით. ყველა მინაწერი, ორიოდეს გამოკლებით, დათარიღებულია. ზოგი ტექსტი – რუს ენაზე. 47 ფ.

64. „ბეთანია, ბათანია»..: [ტექსტი იწყება ლექსით; ცნობა ქეთევან ფეტვიაშვილის მხატვრობის ევროპაში აღიარების შესახებ; ამონარიდი „დროებიდან» საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონის მიერ წმინდა შუშანიკის ნეშტის მეტეხის ეკლესიაში (ტრაპეზის მარჯვნივ) გადმოსვენების თაობაზე; ქართველები უცხოეთში – ლევან საღარაძე; მოგონება აისიდორა დუნკანზე; პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები; გრ. ვაშაძის ლექსები. მოხსენიებულნი არიან: პავლე ფრანგიშვილი, უშანგი ჩხეიძე, ამირან არაბული, აისიდორა დუნკანი, სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, გალაკტიონ ტაბიძე, ლევან საღარაძე, რეზო თაბუკაშვილი, პეტრე ხარისჭირაშვილი, მიხეილ თამარაშვილი, შალვა ვარდიძე, მერაბიშვილი, პაკაძე (გულიაშვილი), ლაზარე გოზალიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, ქრისტეფორე დე კასტელი]. 1969–1984 წწ. ბლოკნოტი. გვერდები აღურიცხავია. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის ფანქრითა და ლურჯი ფერის მელნით. 73 გვ.

65. „გრ. ვაშაძე»..: [რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ეკონომიკური და ადმიანური რესურსების ექსპლუატაცია; საბჭოთა მეურნეობების მავნებლური ხასიათი; ჟინვალჰესის მშენებლობა ქართველი ერის ინტერესების გაუთვალისწინებლად; დემოგრაფიული პრობლემა საქართველოში; ი. სტალინის პიროვნება; თანამედროვე მწერლობის შემობრუნება ბიბლიური სიმბოლოებისაკენ, ფოლკლორსა და მითოლოგიისაკენ _ საბჭოთა იდეოლოგიის კრიზისი; „ნაროდნიკობა» რუსეთში; ფიქრები თანამედროვე ახალგაზრდობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ქართულ ჩაცმულობასა და ქართველი კაცის შინაგან ღირსებაზე; ამონარიდები, ფრაზები, ლექსები პოეტებისა და ცნობილი ადამიანების გამონათქვამებიდან; გრ. ვაშაძის ლექსები.

მოხსენიებულნი არიან: ანთელიძე, იოსებ სტალინი, უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ რუზველტი, ლავრენტი ბერია, ნიკიტა ხრუშჩოვი, ბულგარინი, გიორგი ჟუკოვი, მალაქია ტოროშელიძე, სერგო ორჯონიკიძე, ბაჭუჭი მესხი, თინა წერეთელი, სილვა თოდრია, გ. სტურუა, ტ. ენუქიძე, აბელ ენუქიძე, პაოლო იაშვილი, უ. ჯაში, ეპისკოპოსი ლეონიდე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, სერგო ლაბაძე, ანდრო. ჩიქოვანი, უშანგი ჩხეიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, ივანე ჯავახიშვილი, გერონტი წერეთელი, ახმედ მელაშვილი, მიხეილ ბარტყულაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი, სერგი ჭილაია, მიხეილ ჩიქოვანი, სიმონ ჩიქოვანი, გურამ ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი, ტარიელ ჭანტურია, მურმან ლებანიძე, ზვიად გამსახურდია, ბუდუ მდივანი, ლავრენტი ქართველიშვილი, მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, სერგო ხვედელიძე, კალისტრატე გაბუნია, ტელემაქე ასათიანი, სოსანა აბაშიძე, კალისტრატე ჭიჭინაძე, ნიკიფორე ასათიანი, ანეტა ვოლსკაია, სვანიძე, მოგილევსკი, ათაბეგოვი, მიასნიკოვი]. 1979 წელი, 4 დეკემბერი. ბლოკნოტი. ხელნაწერი შესრულებულია ქართულ და მცირედი – რუსულ ენებზე, ლურჯი და შავი ფერის მელნით. გვერდები აღურიცხავია. 82 ფ.

66. „ვაშაძე 20. XII. 80.»: [თბილისის ქუჩების ძველი სახელწოდებები; ცნობები ბრაზილიის შესახებ; გეორგიევსკის ტრაქტატის არსი; ამონაწერები ცნობილი ადამიანების ნაწარმოებებიდან, სტატიებიდან, გამონათქვამებიდან; ერის როლის შესახებ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში; ქართველი კომუნარები; 1921 წლის მოკლე გახსენება; „რადიუმი» და მონოპლეზი» – მონოკინოდარბაზები ქუთაისში; რაინდობის არსის გაგებისათვის; 20-იანი წლების ქართული ლიტერატურული მიმდინარეობები. მოხსენიებულნი არიან: ალექსანდრე ბაგრატიონი, ალექსანდრე ამილახვარი, ივანე მაჩაბელი, პ. ტკაჩოვი, ა. ფავლენიშვილი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, შუვალოვი, ლევაშოვი, ობრეზკოვი, ილია ჭავჭავაძე, კ. კოჩიაშვილი, ფილიპე მახარაძე, გ. ხუხაშვილი, ვ. ჯაფარიძე, ვ. ხაბურზანია, საშა გამრეკელი, გერონტი ქიქოძე, ვალია ბახტაძე, შ. დუდუჩავა, სერგო ამაღლობელი, ბესო ჟღენტი, სიმონ ხუნდაძე, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, ალექსანდრე სულავა, ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მოსაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, პეტრე ქავთარაძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე]. 1980–1981 წწ. ბლოკნოტი. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი, წითელი და მწვანე ფერის მელნით. გვერდები აღურიცხავია. 43 ფ.

67. „ჩანაწერები, სამახსოვრო ესეები და სხვა»: [გახსენება: ჟურნალი „არიფიონი», 1941 წელი, რელიგია საბჭოთა წყობის პირობებში. ბესარიონ ვაშაძე; საქართველოს წიაღისეული – მოკლე მიმოხილვა; ლენინიზმის რაობისათვის; რუსული შოვინიზმის შესახებ. მოხსენიებულნი არიან: გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სანდრო შანშიაშვილი, დავით სულიაშვილი, შალვა დადიანი, ლევან მეტრეველი, პეტრე ქავთარაძე, იოსებ ტატიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კულაუ ნადირაძე, ი. ყიფიანი, სანდრო

ცირეკიძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი, ალი არსენიშვილი, მალაქია ტოროშელიძე, ბესო ჟღენტი, ირაკლი აბაშიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ბარამიძე, მიხეილ ზანდუკელი, შალვა რადიანი, დ. დემეტრაძე, იოსებ სტალინი, ვანიკო გვიჩია, რაჟდენ ჯიქია, ნიკო ბეჟანიშვილი, მიშა ნასიძე, ვასო ჩაჩანიძე, გრიგოლ რაჩკოვსკი, დავით ბუაჩიძე, კ. კაკაბაძე, კოლია ტყემალაძე, ი. ხუხუნაიშვილი, გ. გვიჩია, პ. გალკოვი, ა. წივწივაძე, ფორე კალანდაძე, ვ. კერესელიძე, ჟანგო ღოღობერიძე, შულმანი, დევი აბაშიძე, გალაქტიონ საჩინოს ძე ვაშაძე]. 1984 წ. ბლოკნოტი. ხელნაწერი შესრულებულია შავი და ლურჯი ფერის მელნით, დაზიანებულია. გვერდები აღურიცხავია. 52 ფ.

68. „გრიგოლ ვაშაძე. ესეისტური ჩანაწერები. ლექსები, მოვლენების აღრიცხვა, ამონაწერები...»: [გახსენება: ამონარიდები სხვადასხვა ფაქტების შესახებ (ჟორდანიას ფსევდონიმი, მოსახლეობის კლება, ტოლერანტობის არსი, „სმერჩი») თანამედროვე ქართული მწერლობა; ბიოგრაფიული ცნობები ნ. მარის შესახებ; დავითკრაწაშვილის გახსენება; თეთრი ლექსის კრიტიკა; გალაკტიონის თვითმკვლელობა; ტიციანის, რ. თაბუკაშვილის გახსენება; ქერჩი, 1942 წელი; ქუთაისი-ცისფერყანწელები; გენუის კონფერენცია; ზოროასტრიზმი და მაზდეიანიზმი; ჩინეთის დიდი იმპერიის თაობაზე; მენშევიკური მთავრობის მიერ წაღებული განძის დაბრუნება ექ. თაყაიშვილის მიერ; სანდრო ახმეტელის უცნობი წერილი სანდრო შანშიაშვილისადმი; ბათუმი – 1918 წელი; მოგონება – 1920 წელი; ცნობა ტიციან ტაბიძის რედაქტორობით ბათუმში გაზეთ „მთლიანი საქართველოს» გამოსვლის შესახებ; ტიციანის საღამო ბათუმში; ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წარწერა 1066 წელს საქართველოში კომეტის გამოჩენის შესახებ; ბათუმი, 1921 წელი; მოგონება: მამია გურიელი, ვანიკო აბაშიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ 1922, 1936 წწ.; ბოლშევიზმის რაობისათვის; 1937 წლის რეპრესიები; საქართველოს ისტორიისა და მართლმადიდებლური რწმენის შესახებ; ქართველები 1920 წლის პარიზში გამართულ გამოფენაზე; ცნობა 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ; დემოკრატიული საქართველოს ისტორიიდან; გენუის კონფერენცია _ მოკლე ცნობა; გრ. ვაშაძის ლექსები. მოხსენიებულნი არიან: ნიკო მარი, დათო კრაწაშვილი, იაშა ვაშაძე, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ოლია ოკუჯავა, ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კულაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, კიტა ჩხენკელი, ეთერი ფაღავა, რეზო თაბუკაშვილი, ნოე ჟორდანია, გიგო გაბაშვილი, შოთა აბაშიძე, ირინე დადიანი, გიგლა ბერბიჭაშვილი, მახარაძე, ილია ჭავჭავაძე, ლავრენტი ბერია, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, რუბენ ორბელი, ლეონ ორბელი, იოსებ ორბელი, რუსუდან ორბელი, ხანჯიანი, გ. ჩიჩერინი, ლიტვინოვი, ვოროვსკი, კრასინი, ბუდუ მდივანი, ლერი ალიმონაკი, ალექსანდრე ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი, აბელ ენუქიძე, ლატავრა შანშიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იონა ტუსკია, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, მიხეილ კახიანი, ჟორა ჟიკაშვილი, ლადო სუხიშვილი, ლუნაჩარსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, ელიზბარ ნადარეიშვილი, ს. დავითაია, ბენია ჩხიკვიშვილი, გერონტი ქიქოძე, ილია ზდანევიჩი, ალი არსენიშვილი, ს. გოროდცევი, შალვა ამირეჯიბი, ლელი ჯაფარიძე, კულაუ ნადირაძე, სანდრო ყანჩელი, გიორგი

ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, დ. კოპალი, სანდრო ჩაჩიკაშვილი, ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, ზინოვიევი, რადეკი, აბელ ენუქიძე, კამენევი, ტოცკი, სერგეი კიროვი, მ. რეხვიაშვილი, შალვა ელიავა, მიხეილ კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, გ. ოკუჯავა, გ. სტურუა, ევგენი მიქელაძე, გ. ვაშაძე, მალაქია ტოროშელიძე, თენგიზ ჟღენტი, ყურაშვილი, ხვედელიძე, ალექსანდრე ვაშაძე, ვანიკო აბაშიძე, აკაკი ფაღავა, ნინო ანდრონიკაშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ირაკლი ანდრონიკაშვილი, არჩილ მაისურაძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, გ. ელისაბედაშვილი, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკველია, ნოე ჟორდანია, სერგო ორჯონიკიძე, რაფიელ ისარლიშვილი]. 1985 წელი, 11 ოქტომბერი – 1986 წელი, მარტი. ბლოკნოტი. ხელნაწერი შესრულებულია შავი ფერის მელნით. გვერდები აღურიცხავია. 50 ფ.

69. „ურეკი. სანატ. კოლხეთი...»: [მოგონება ნ. ჩიქვილაძის (გრიგოლის ბაბუა დედის მხრიდან) შესახებ; გრ. ვაშაძის ორი ლექსი. მოხსენიებულნი არიან: გრიგოლ ტყაბლაძე, ნიკო ჩიქვილაძე]. 1980 წელი, 2 აგვისტო. ხელნაწერი რვეული. ტექსტი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. 5 ფ.

70. „ოქტომბერი წყალტუბოს საგზური 1981»...: [დასვენება წყალტუბოს სანატორიუმში; რუსული სიმბოლიზმი; მოგონება ქრისტეფორე რაჭველიშვილზე; გრ. ვაშაძისა და სხვა ავტორების ლექსები; ამონარიდები პერიოდული პრესიდან; მოხსენიებულნი არიან: სოლიკო კვანტალიანი, ბესიკ ვაშაძე, ღარიბიანი, სევერიანინი, სოლოგუბი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სერგო კლდიაშვილი, პაატა გედევანიშვილი, ბელინსკი, დიმიტრი გედევანიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ფილიპე მახარაძე, დიმიტრი ჯაში, გიგლა ბერბიჭაშვილი, მამია ორახელაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, ივანე ჯავახიშვილი, ივანე მაჩაბელი, მარჯორი უორდროპი, ელენე თარხნიშვილი, გ. მიასნიკოვი, ფხაკაძე, ო. კონსტანტინოვი, პლატონ იოსელიანი, რაფიელ ერისთავი, ხაჩატურ აბოვიანი, მიხალევი, მალაქია ტოროშელიძე, რევაზ ჯაფარიძე, გრიგოლ რობაქიძე, ირაკლი ბაგრატიონი, გ. ჩიჩერინი, ექვთიმე თაყაიშვილი, ჰასან მელიმიში, იოსებ გრიშაშვილი]. 1981 წლის ოქტომბერი. ხელნაწერი რვეული. ტექსტი შესრულებულია რუსულ და ქართულ ენებზე, ლურჯი ფერის მელნით, დაზიანებულია და ძნელად იკითხება. გვერდები აღურიცხავია. 53 ფ.

71. «გრიგოლ ვაშაძე მემუარული ჩანაწერები. „...და ვიმედოვნებ, რომ არ გამწირავ და შენს კალთასთან მიწყივ მამყოფებ»: [გრ. ვაშაძის სამსახურის შესახებ ჭიათურის მაღაროების საზოგადოება „Каруто"-ში (Кавказское рудниковое общество); მოგონებები თანამშრომელებზე, მეგობრებზე; თურქეთში არალეგალურად წასვლის ჩაშლას; „ჩემოს» საავადმყოფო და მისი სამედიცინო პერსონალი; ანტიქართული მოძრაობა აფხაზეთში (ლაკობა); გრიგოლის დის, ბაბოს ქორწინება; გრიგოლის დაბრუნება თბილისში და სწავლის გაგრძელება; შეხვედრა მეგობარ მსახიობებთან; კოტე მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის ურთიერთობისათვის; 1926 წლის თეატრალური სეზონის გახსნა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში; პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე; ინსტიტუტის

დამთავრება; გრიგოლის დაოჯახება; ქვეყანა „ჩეკას» მარწუხებში; შიდა პოლიტიკური ვითარების გართულება 1927 წელს; სოხუმში ოჯახთან ერთად; რუს ემიგრანტთა გაზეთ „Посев»-ში სტალინის შესახებ გამოქვეყნებული წერილის ანალიზი; პირველი შვილის, ნოდარის დაბადება; ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემების ნუსხა; საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში; ქართული სოფელი 30-იან წლებში – „გაკულაკება»; ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა; მოგონება საშა გეგეჭკორზე; რვეულის ყდაზე მოცემულია მოკლე ცნობები ყარსის ხელშეკრულებისა და მეფე ალექსანდრე მეორის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერში საქართველოს სამეფოს გაუქმების თაობაზე. ტექსტის ბოლოს: „1931 წლის 3 ივნისს 30 წელი შემისრულდება». მოხსენიებულნი არიან: გაბრიელ აბდუშელიშვილი, კარპე მოდებაძე, დათიკო ჩხეიძე, გარდტი, ნიკოლოზ ვოეკონიკოვი, ქეთევან წერეთელი, დათო წერეთელი, პაპავა, საფონოვი, ვერა საფონოვა, ჟორჟიკა ასათიანი, ბიქტორ კუჭუხიძე, ვანო ვაშაძე, მიხეილ გაფრინდაშვილი, მასხარაშვილი, იონა ბელიაშვილი, ნოე ჟორდანია, კაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ფილიპე მახარაძე, საშა გეგეჭკორი, ბუდუ მდივანი, ხელაშვილი, აკაკი ბელიაშვილი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, ბაბო ვაშაძე, იაშა ვაშაძე, ქეთო თუთბერიძე, ნადია კაკაბაძე, გიორგი ხამაშურიძე, ელენე ნიორაძე, დიომიდე თუთბერიძე, ვასო თუთბერიძე, ალიოშა თუთბერიძე, რაისა თუთბერიძე, გოგი გოგოლაშვილი. თამარ გოგოლაშვილი, საყვარელიძე, ბიქტორ კუჭუხიძე, ალექსანდრე (პატარა)ვაშაძე, გიორგი ვაშაძე, ვანო სარაჯიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, სერგო ხვედელიძე, გიორგი ხუნდაძე, გრიგოლ რუხაძე, სიმონ ჯაფარიძე, ჭაბუკი მიშველიძე, გრიშა ჯაფარიძე, შალვა დადიანი, მაშო ანჩაბაძე, ვიანორ ანჩაბაძე, ვალოდია ხარიტონოვი, თათული ლაბაძე, მარო ჩიტაძე, მიშა ლომიძე, დათიკო ლომიძე, ტარასი მგალობლიშვილი, კალისტრატე გამეზარდაშვილი, მიშა ნიორაძე, ივანე ჯავახიშვილი, ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, შალვა ნუცუბიძე, მიხეილ ჭიაურელი, უშანგი ჩხეიძე, დოდო ანთაძე, ნესტორ ლაკობა, სერგო ორჯონიკიძე, გ. შერვაშიძე, თამარ წერეთელი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ წულუკიძე, ბაბუცა გამრეკელი, ალექსანდრე ახმეტელი, ბიჭიკო ჩხეიძე, დათიკო ჩხეიძე, ვანიკო აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, ჯიბო აბაშიძე, მიშა აბაშიძე, იოსებ ოცხელი, ნატო ვაჩნაძე, მერაბ ვაჩნაძე, პლატონ კორ[ჩ]იშვილი, გიორგობიანი, ნესტორ ლაკობა, ვასო წერეთელი, ლორთქიფანიძე, ჩაპლაზიდი, კოლია გვათუა, მიშა ჯაფარიძე, ბენია ფხალაძე, მიშა ცუცქირიძე, ბუხარინი, ტროცკი, ტუხაჩევსკი, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე, ნოე ჟორდანია, ვლადიმერ (ვალოდია) ხარშანელი, შაქრო ვაშაძე, ისაია გაფრინდაშვილი, ბორის გუჯეჯიანი, ვლადიმერ შონია, ალიოშა ხუჭუა, ზამბახიძე, ევგენი ხარაძე, გიორგი ნიკოლაძე, კალისტრატე გაბუნია, გრიგოლ წულუკიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ნათელა ვაშაძე, გიგი ვაშაძე, თიკანაძე, ყაუხჩიშვილი, პეტრე გამყრელიძე, ლილი გელოვანი, ალექსანდრე ბუხნიკაშვილი, ფაჩუ იოსელიანი, დათიკო გაბუნია, ალექსი ბარბაქაძე, კუზნეცოვი, გრიგოლ ნასიძე, კოლია ბარათაშვილი, გოგი ჯაფარიძე, პეტრე ტოგონიძე, გოგი მოსეშვილი, ნესტორ კახიძე, სერგეი კიროვი, მამია ორახელაშვილი, მარიამ ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, კოლია სულაქველიძე, ევგენი გეგეჭკორი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კულაუ ნადირაძე, ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე, რაჟდენ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა

აფხაიძე, შალვა კარმელი, ნიკოლო მიწიშვილი, ალი არსენიშვილი, ი. ყიფიანი]. 1925–1930 წწ. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და შავი ფერის მელნით. 143 ფ.

72. „ჩემი მემუარული ნაწერების ცალკე თავი»!: [ბესარიონ ვაშაძისა და ბაზო ვაშაძის მიმოწერა ბესარიონ ვაშაძის დაპატიმრების შემდეგ ჭიათურიდან თბილისში გადმოყვანამდე. მოხსენიებულნი არიან: ბესარიონ ვაშაძე, ბაზო ვაშაძე, ნესტორ ვაშაძე, ნადია ვაშაძე, მოდებაძე, ჯიბო აბაშიძე, გიგლა კვიცარიძე, სიმონიანცი, გრიგოლ აბაშიძე, გ. ასათიანი, იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ეჟოვი, ლავრენტი ბერია,]. 1937 წლის ნოემბერი. რვეული. ტექსტები გადაწერილია, თავმოყრილია და კომენტარები დართულია გრ. ვაშაძის მიერ. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. 12 ფ. დედნები იხ. №29–44.

73. «გრიგოლ ვაშაძე. მემუარული ჩანაწერები. გარდასულ ამბავთა, განცდათა მოგონებანი»...: [ოპოზიციური ჯგუფი („ქართველოფილები») საქართველოს ბოლშევიკთა პარტიაში; ქართველ ბოლშევიკთა (ს. ორჯონიკიძე და სხვები) ანტიეროვნული მოღვაწეობა; ანტიბოლშევიკური იატაკქვეშეთი იმერეთში; ბოლშევიკთა ზეწოლა ქართულ მწერლობაზე; „ფუტურისტების» ჯგუფის დაარსება და მათი პერიოდული ორგანო; ავტორის დამოკიდებულება ამ მიმდინარეობისადმი; ჭიათურა 1923 წელს; ახალი ეკონომიკური პოლიტიკა – „ნეპი»; ფუტურისტების საღამო ჭიათურაში; მესამე დასის ჩამოყალიბება; სტუდენტთა ანტისამთავრობო მიტინგი უნივერსიტეტში 1922 წლის 25 თებერვალს. მონაწილეობა საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლაში და მისი შედეგები – გრიგოლის დაპატიმრება, მეტეხის ციხე, გათავისუფლება; დაბრუნება ჭიათურაში; კავშირის აღდგენა იატაკქვეშელებთან; ემიგრანტული მთავრობის მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის; პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში, აჭარასა და სამეგრელოში; გენუის კონფერენციისა და მასზე წარმოდგენილი საბჭოთა დელეგაციის შესახებ; სსრკ-ს შექმნა; კ. გამსახურდიას დაპატიმრება; რეფორმა ქართულ თეატრში – კ. მარჯანიშვილის დადგმა „ცხვრის წყარო»; 1922 წელი, ჭიათურა; ცნობები ოჯახის წევრებზე; ბოსლევის ინციდენტი; 1923 წლის აღდგომა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის აღნიშვნა ჭიათურაში; მოსაზრება იმდროინდელ ქართულ მწერლობაზე; ბოლშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ეკლესიისადმი; 1922 წლის აღდგომის აღნიშვნა და ბესარიონ ვაშაძის დაპატიმრება; მისი გათავისუფლება მამია ორახელაშვილის დახმარებით; 1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები ჭიათურაში (დაწყება, მიმდინარეობა, დამარცხება, ანალიზი); ბაზო ვაშაძისა და გიორგი ასათიანის ქორწინება; რუსი „სმენავეხოველები» და ქართული „სმენავეხოველობა»; 1925 წელი, ჭიათურა; გრიგოლის დაპატიმრება და თბილისის ჩეკას წინასწარპატიმრობის საკანი; გრიგოლის გათავისუფლება და დაბრუნება ჭიათურაში. მოხსენიებულნი არიან: ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, გალაქტიონ ვაშაძე, მალაქია ტოროშელიძე, სერგო ქავთარაძე, ბიქტორ დუმბაძე, შალვა ელიავა, ტარასი მგალობლიშვილი, ტარასი გამეზარდაშვილი, ბიტოლი ლეჟავა, სერგო ცხვედაძე, კარპე მოდებაძე, ბურჯანაძე, გოგიბერიძე, ჭაბუკი მიშველიძე, სერგო ორჯონიკიძე, ქქუცა ჩოლოყაშვილი, ა. გვერდწითელი, ბაჭუჭი მესხი, გრიგოლ აბაშიძე, ვალიკო ჯუღელი,

ბესო ჟღენტი, აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პალიკო ნოზაძე, ნიკოლოზ შენგელაია, დემნა შენგელაია, კოლია ჩაჩავა, ლევან ასათიანი, ალიოშა წერეთელი, ისიდორე ვარაზაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ჟორჟიკა ნოზაძე, გუგული გამყრელიძე, ნატო ვაჩნაძე, მერაბ ვაჩნაძე, ალექსანდრე (საშა) გამრეკელი, ბესარიონ ვაშაძე, ილია ჭავჭავაძე, ფილიპე მახარაძე, გეგეჭკორი, ალიოშა ბოკერია, ი. მისაბიშვილი, ნიკო ყიასაშვილი, ალეკო ჩიქოვანი, ნადია კაკაბაძე, ქეთევან თუთბერიძე, გიორგი ხამაშურიძე, კოლია ლოსაბერიძე, გოგი გოგოლაშვილი, თამარ გოგოლაშვილი, ვასილ ციცქიშვილი, უშანგი ჩხეიძე, დოდო ანთაძე, დიმიტრი მჟავია, ცაცა ამირეჯიბი, ვასილ არაბიძე, დათიკო ჩხეიძე, დიდიმ ჭუმბურიძე, გიორგი ვაშაძე, პაშა ვაშაძე, კუიბიშევი, ფელიქს ძერჟინსკი, შულმანი, გრამიტონ სვანიძე, ანეტა იურკევიჩი, ზაქრო გელაშვილი, მიშიკო აბაშიძე, ზაქრო დევიძე, ოთხმეზური, იოსებ გედევანიშვილი, გიგო შარაშიძე, ნინო შარაშიძე, თუშმალიშვილი, შნეიდერი, შალვა გველესიანი, ღაღანიძე, ზედგენიძე, სამუშა მასხარაშვილი, გედე წერეთელი, ბაგრატ ცომაია, ვასილ არჩაია, ჟორჟიკა ნიკიტენკო, ჰარიმანი, ალექსანდრე ჯაყელი, სერგო ხვედელიძე, იროდიონ ბურჯანაძე, ალიოშა კოპალეიშვილი, ვალოდია წერეთელი, გიორგი (ჟორჟიკა) ასათიანი, ლევან ასათიანი, კოლია ტყემალაძე, შალვა ვაშაძე, შაქრო ვაშაძე, ისიდორე ხარატიშვილი, სიხარულიძე, ახვლედიანი, ალექსანდრე სუმბათაშვილი, ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, თახზან ხიმშიაშვილი, ნესტორ ლაკობა, ისაკ ჟვანია, კონსტანტინე გამსახურდია, ვალია ბახტაძე, შალვა დადიანი, მიხა ცხაკაია, მიხეილ კახიანი, გიორგი ჯაბადარი, პავლე ფრანგიშვილი, კუკური პატარიძე, ემანუელ აფხაიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ფაღავა, თამარ ჭავჭავაძე, სუმბათაშვილ-იუჟინი, სოლომონ საყვარელიძე, ჭიჭიკო რუხაძე, ბენია ფხალაძე, დავით შარაშიძე, სანდრო კავსაძე, ულიანოვი (ლენინი), სავლე ჩიხლაძე, ბაბო აბაშიძე, თამარ წერეთელი, ვიქტორ [გექტორი]იოსელიანი, დოტია ლეჟავა, სესია ლეჟავა, ბიჭია ლეჟავა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, ალიო მაშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ვასილ ბარნაველი, მიხეილ კოღუაშვილი, სიმონ ვაშაძე, დავით ვაშაძე, თიურა ვაშაძე, სერგო ლაბაძე, მიშა ცუცქირიძე, შალვა ლაბაძე, პაშა მოდებაძე, საშა აბაშიძე, მიხეილ ნიორაძე, ალექსანდრე ვაშაძე, ვლადიმერ ხარბანიდი, მარო ჩიქოვანი, ჯიბო ჩიქოვანი, ილო ჯუღელი, თამარ წულუკიძე, ალექსანდრე ახმეტელი, კუშა ღოღობერიძე, ალმასხან ღოღობერიძე, აფაქიძე, პროკოფი გუნცაძე, ბორის სავინკოვი, მარიამ კილაძე, ლადიკო ნაკაიძე, იოსებ ოცხელი, გრიგოლ რუხაძე, სიმონ ჯაფარიძე, ნათელა ვაშაძე, პელაგია გველესიანი, ნიკიფორე ასათიანი, ბიქტორ კუჭუხიძე, შალვა ასათიანი, ვანო ასათიანი, იაშა ვაშაძე, ტყემალაძე, შალვა ღამბაშიძე, მამია ორახელაშვილი, ტიმოთე ვაშაძე, სოფიო ვაშაძე, ზაქრო ხუროძე, ალიკო მაჭავარიანი, ტიტიკო საყვარელიძე, გრიშა ჩაჩანიძე, დათიკო კიღურაძე, ტიტიკო ჩაჩანიძე, კოლია ჩაჩანიძე, არჯევანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, კოლია ბარათაშვილი, ტარიელ აბდუშელიშვილი, დიმიტრი აბაშიძე, გიორგი წერეთელი, გრიშა გამყრელიძე, ალექსანდრე (სიკოს ძე) ვაშაძე, ბორის გამყრელიძე, პატუკა ვაშაძე, ხეჩინაშვილი, მიხეილ ლომიძე, ლადია ვაშაძე, ტალახაძე, კახიძე, გიორგი მამულაიშვილი, ალექსანდრე ხვედელიძე, ბიქტორ გამყრელიძე, კიმოთე ვაშაძე, პაოლო იაშვილი, თამარ ბოდოკია, ჩიხლაძე, კაკია სიკინჭილაშვილი, გიორგი სევასტოპულო, დავით გამრეკელი, კაკო გამრეკელი, ბორის გამრეკელი, კოწია ყიფიანი, ჩუბინიძე, გაფრინდაშვილი, კახიძე, მიხეილ კავთელაძე, ნაპა წერეთელი, ბიქტორ მელიქოვი (მელიქიშვილი), ტარასი

გოგოლაძე, იონა ვაშაძე, ნესტორ ბრეგვაძე  ათაბეგოვი, მოგილევსკი, გ. მიასნიკოვი, ტიტიკო აბაშიძე, მიშა კეკელიძე, სერგო ორჯონიკიძე, სიმონიკა საყვარელიძე, კაკო გაგუა, მაჭარაშვილი, წერეთელი, მ. ყველი[ა]შვილი, საღარაძე, პიროგოვი, კოტე აფხაზი, კარლო ნინიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, სიმონ ჯაფარიძე, კოწია სულაქველიძე, გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), კარლო ჩხეიძე, სიმონიანცი, პოპოვი, მ. ჯაოშვილი, ზაინდუროვი, ვარდენ ჩიქოვანი, შალვა ნუცუბიძე, გარდტი, დათიკო ჩხეიძე, თოფაძე, გრიგოლ დუმბიშიძე, კოკი ჟორჟოლაძე, დათიკო გაბუნია, საყვარელიძე, მანსუდ ზაირამოვი, კუდერტონი (კუდრიავცევი), არმაპეტ კაზაროვი, დ. ყიფიანი, ვაჩნაძე, ჯანდიერი, მიქაძე, ზურაბ ავალიშვილი, შალვა ალხაზიშვილი, ვალია ბახტაძე, სანდრო ახმეტელი, გუგული გამყრელიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, ალექსანდრე (საჩინოს ძე) ვაშაძე, ვასიკო ვაშაძე, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ოკუჯავა, მიტუშა წერეთელი, ირაკლი ცომაია, წერეთელი, ილია ბეჟანის ძე წერეთელი. რვეული. ყდაზე მინაწერია: „29. VI. 1954.». ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი და შავი ფერის მელნით. 265 ფ.

74. „გრიგოლ ვაშაძის პირად არქივიდან. „ოთხი იმერელი». ვოდ. 1 მოქმ. დ. მესხი»: [ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ დავით მესხის ერთმოქმედებიანი ვოდევილის წარმოდგენის თაობაზე. მოცემულია ვოდევილის ტექსტი. დამდგმელი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. ტექსტის ბოლოს არის გრ. ვაშაძის შენიშვნა. მოხსენიებულნი არიან: უშანგი ჩხეიძე, კოლია შენგელაია, დათიკო მაჭავარიანი, გრიშა ბერიძე, გრიგოლ ვაშაძე,  დოდო ანთაძე, ანდრო ჩიქოვანი, ნ. ზაქარაძე, ვ. მინდელი, მიხეილ ჭიაურელი, ვანო ბაკურაძე]. 1965 წელი, 10 მაისი. რვეული. ხელნაწერი შესრულებულია ლურჯი ფერის მელნით. 8 ფ.

75. „კნინათ მემუარული ჩანაწერებიდან»...: [1916–1925 წლებში საქართველოში, კერძოდ, იმერეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ცხოვრებიდან, სოც.-ფედერალისტური პარტიის კლუბის დარბევა; ქართველ სოც.-დემოკრატთა დამოკიდებულება ქვეყნის სამომავლო მოწყობის შესახებ; 1917 წლის რუსეთის რევოლუციის გამოძახილი საქართველოში; 1918 წლის მოვლენები; შეხვედრა პოლკოვნიკ წერეთელთან და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან; ბრძოლა თურქებთან; ქართული თეატრი 20-იან წლებში. ბოსლევის ინციდენტი; დაბრუნება ჭიათურაში; 1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები. მოხსენიებულნი არიან: ავტონომიოს ჩიქოვანი, ანდრო ჩიქოვანი, დადაშ გელოვანი, დავით ელიგულაშვილი, გრიგოლ ჩაჩავა, პავლე ბეშკენაძე, პარმენ თვალჭრელიძე, ნინო ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია,  ვ. შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ა. ლოლუა, დობროვოლსკი, ალექსნდრე ბოგდანოვი, გლუშაკოვი, ბესარიონ ლომინაძე, ბესო ლომინაძე, ტიტიკო ლორთქიფანიძე, კარპინსკი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, სპირიდონ კედია, ნოე რამიშვილი, ჩაჩანიძე, ერემია ლეჟავა, ტარასი აბაშიძე, ბიქტორ დალაქიშვილი, გიორგი ნუცუბიძე, იროდიონ ბურჯანაძე, დიმიტრი მელქაძე, გიორგი რუხაძე, ალექსანდრე საჩინოს ძე ვაშაძე, გალაქტიონ ვაშაძე, ვალიკო კუპატაძე, კოწია ვაშაძე, ალექსანდრე სიკოს ძე ვაშაძე, ბრეგვაძე, ნოე ჟორდანია, ბესარიონ ვაშაძე, ჯიბო იაშვილი, ნაპა წერეთელი, ვალოდია გოგუაძე, ცაგურია, გიორგი მაზნიაშვილი, ტიტიკო როინიშვილი, შაქრო ვაშაძე, ისიდორე რამიშვილი, ნიკო

მესაბიშვილი, ევსევი თოდუა, წერეთელი, კუსა ვაშაძე, მარგალიტა ვაშაძე, რებეკა ვაშაძე, ისაია ვაშაძე, დიდიმ ჭუმბურიძე, მილოსი ხომერიკი, მიხეილ დიდებულიძე, პავლე ბური, იოსებ (სოსო) გედევანიშვილი, შულმანი, შალვა გველესიანი, შალვა ტყავაძე, ბუდუ მდივანი, სოსიკო მდივანი, ალიოშა ბოკერია, ა. სვანიძე, ზაქრო გელაშვილი, ნადია კაკაბაძე, ქეთო თუთბერიძე, ბაჭუჭი მესხი, გიორგი აბაშიძე, პოპოვი, სერგო ორჯონიკიძე, მოგილევსკი, ათაბეგოვი, მიასნიკოვი, დოდო ანთაძე, თამარ ჭავჭავაძე, თინა წერეთელი, დუტუშა მშვენიერაძე, გოგიბერიძე, ალიოშა კოპალეიშვილი, ჭუნია იაშვილი, ტიტიკო საყვარელიძე, ალეკო მაჭავარიანი, დათიკო კიღურაძე, ჯაყელი, კარპე მოდებაძე, სიმონიკა ვაშაძე, დავით ვაშაძე, ბესარიონ ვაშაძე, მამია ორახელაშვილი, ბაბო ვაშაძე, კვანტალიანი, ლავრენტი ბერია, კოტე აფხაზი, კალე მისაბიშვილი, იოსებ ოცხელი, მიხეილ კიღუაშვილი, გრიგოლ ლაღიძე, ვალიკო ჯუღელი, გიორგი წერეთელი, ვახტანგ ბარათაშვილი, კოლია ბარათაშვილი, დათიკო ჩხეიძე, ტარასი მგალობლიშვილი, ლადია ვაშაძე, ჯაფარიძე, შალამბერიძე, თამარ გოგოლაშვილი, მარუსია ხეჩინაშვილი, ვასიკო ვაშაძე, გრიშა გამყრელიძე, ბახტაძე, ტალახაძე, ბორის გამყრელიძე, გოგია მამულაიშვილი, მოსიძე, ნესტორ ვაშაძე, ჩიხლაძე, ჭაბუკი მიშველიძე, ბიტოლი ლეჟავა, ლეონტი ვაშაძე, სიმონ ჭალაშვილი, იაშა ვაშაძე, მიხეილ ლომიძე, ვალერიან ბახტაძე, იონა ვაშაძე, სეით დევდარიანი, კოწია სულაქველიძე, ბიქტორ მელიქიძე, ხოშტარია, ტიტიკოაბაშიძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, სტეფანე მელიქიშვილი, ოსკარ შმერლინგი, ლადო გუდიაშვილი, გიორგი (გიგო) შარაშიძე, ნინო შარაშიძე, გ. პლეხანოვი, აკაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ტროცკი, ბუხარინი, ლუნაჩარსკი, ლავრენტი ბერია, კოტე მაყაშვილი, სილოვან თოდრია, პ. ჩხიკვაძე, გ. ყურულაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ბესო ჟღენტი, ა. მაშაშვილი, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსეშვილი, ირაკლი აბაშიძე, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ნატროშვილი, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი, გრიგოლ აბაშიძე, რეზო ჯაფარიძე, ნოდარ დუმბაძე, რომან მიმინოშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა, იოსებ იმედაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი), რამზეი მაკდონალდი, ემილ ვანდერველდე, პიერ რონედელი, თამარ კვიტაიშვილი, დათიკო გაბუნია, მიშა ნიორაძე, შალვა ლაბაძე, ტარიელ ბრეგვაძე, ახვლედიანი, ფილიპე მახარაძე, მანსვეტაშვილი, ჯვებე ლორთქიფანიძე, კარგარეთელი, ნიკო მერაბიშვილი, ევსევი თოდუა, უშანგი ჩეიძე, გუჯეჯიანი, საფონოვი, გიორგი ნუცუბიძე, კარლ კაუცკი, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, დიმიტრი რუხაძე, ჟორჟიკა ნიკიტენკო, მიხეილ ცუცქირიძე, ბენია ფხალაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიგინეიშვილი, ჩაჩანიძე] კოლია იოსელიანი, ქარუმიძე, ჩიჟავაძე, ილია წერეთელი, ნინო დგებუაძე, ვანო ასათიანი, შალვა ასათიანი, გექტორ იოსელიანი]. თარიღი მითითებული არ არის. ხელნაწერი შესრულებულია შავი და ლურჯი ფერის მელნით. 2 ეგზ. (ერთი მათგანი ასლია). 41 ფ.

*«როცა ჩემი ქვეყნის წარსულის შესახებ მასალას ვეცნობი, სიამაყის გრძნობა ამიტაცებს ხოლმე და უსაზღვროდ ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ დიდი, ძალიან დიდი წარსულისა და უმდიდრესი კულტურის ერის შვილი ვარ.»*

*გრიგოლ ვაშაძე*

## გზის დასაწყისი

...და კვლავ გადაიარა ჩემს თავზედ ჩვენი დროისათვის დამახასიათებელმა ქარიშხალმა და კიდევ ერთხელ დაიხა ჩემი „მოგონებები». ვხევდი და ვგლეჯდი რვეულებს ჩემივე ხელით, მეგონა, რომ ჩემს გულს ვგლეჯდი... მაინც მოვკიდე ხელი, ეგებ კიდევ შევძლო ზოგი რამ აღვადგინო, კვლავ გავიხსენო ის, რაც მინახავს, გადამხდენია თავს და განმიცდია. ეს სიჯიუტე და „წერისადმი» მიდრეკილება, ვფიქრობ, თანდაყოლილია, ჯიშობრივია. პაპაჩემის, სიმონ დეკანოზისაგან შემორჩენილი მისი ხელნაწერები, კიდევ წერისადმი სიყვარულის გარდა, სიჯიუტეზედაც მეტყველებენ. მის შემდეგაც შთამომავალთა აყრილი შტოებიც საკმაოდ ხელმომარჯვებულნი მწიგნობრობდნენ!

ეხლა საიდან დავიწყოთ ხვნა? ცხოვრების რომელ კიდურიდან დავიწყოთ კვალის გატანა?

მოვასწრებ? მოვასწრებთ! _ მეუბნება გული.

ეს თუ ასეა, მაშ რატომ გავაგდოთ ხელიდან კალამი?

– რა დიდად მოგაქვს, შე კაი კაცო, შენი კალამი? – იკითხავს კაცი; რა ძალით მოხსავ მას, რომ წინასწარ ფასდაუდებლად ხდი „გაკალმებულს'? ჩვენს დროში მირონცხებულთა გვერდით იმდენი მოკალმენიც ირევიან ბუზანკალივით, მათი გნიასით ყურთასმენაა წაღებული და შენმა წვეთმა ავსილ აუზს რაღა შემატოს?

– ეგებ ასეცაა, მაგრამ... მთავარი ის არის, რომ მე ხვალისთვის ვწერ, ისინი კი დღეისათვის, ხოლო ხვალის აუზის ასავსებად მიშვებულ უჩუმარ ნაკადში ჩემი წვეთიც თავისას იზამს.

– შენ გეტყობა, კარგად ჯერაც ვერ გარკვეულხარ „დღეის» და „ხვალისაში», – გაჯიუტდება შემკითხველი.

– სწორია – ვუპასუხებ მე, – მაგრამ დღევანდელობა ხომ ერთი ძაფით არ იქარგება. მე ჩემი კაცურ-კაცობა სასწორის ქართულ ჯამზედ მიმქონდა, როგორც კი ხელი მიმიწვდებოდა, კალამსაც ამიტომ ვიმარჯვებ, რომ ის რაც გადაგვხვდა, სხვამაც რომ გაიგოს და სწორად გაერკვეს, არას დააკლებს თუ არ შემატებს...

– დიდი განგიძრახავს, ძმობილო, დაბრმავებული თვალხილულთ არა სჭირდები...

– შეიძლება, ეგრეც იყოს, – ვუპასუხებ მე, – შეიძლება პირუკუღმაც! მე კვლავ ჩემსას ვეცდები...

1901 წელს დავიბადე, სოფელ დილიკაურში. ჩვენი ოჯახი ჭიათურაში მალე გადმოვიდა და ბაბუას ოჯახს შეუერთდა. მამაჩემი ბესარიონი ჯერ მასწავლებელი, მერე მოძღვარი, თავის დროისათვის განათლებული ადამიანი იყო. თანამშრომლობდა მრავალ ჟურნალ-გაზეთში „ბესარიონ ჭიათურელის», ხან „ბესარიონის» ფსევდონიმით და აქტიური მონაწილე იყო ყოველნაირი საზოგადოებრივი წამოწყებისა თავის კუთხეში. იგი ითვლებოდა ჭიათურის თეატრის ერთ-ერთ დამაარსებლად. როდესაც ამ თეატრს 30 წლის იუბილე გადაუხადეს უკვე გაწითლებულ საქართველოში, მიუხედავად მისი ანაფორისა, მას სთხოვეს გაზეთ „ჭიათურელ მაღაროელში» მოეთავსებინა თავისი მოგონებები, რაც კიდეც შეასრულა. ეს იყო მისი ერთადერთი და უკანასკნელი საგაზეთო წერილი „წითელჩაბალახიან» საქართველოს დროს. ოპტიმისტურად განწყობილი, გონებამახვილი, დიდი შრომისუნარიანი, ხალისიანი, თავმდამდაბალი, ამავე დროს, ზედმიწევნით პრინციპული და თავმოყვარე იყო, ზედმიწევნით ფიცხიც, რაც მას ძვირად უჯდებოდა – უცბად აენთებოდა და ხშირად ეს დარბაისელი კეთილი ადამიანი თავის შეკავებას ვერ ახერხებდა...

მახსოვს 1922 წელს, მე მაშინ ჯერ კიდევ ჭიათურაში ვიყავი, აღდგომის წინა დღით სოფ. ზედარგნის თავკაცები ეწვივნენ ბესარიონს და მორიდებით სთხოვეს, ეკლესიას ბეჭედი ავხსნათ და ქრისტეს აღდგომა ვიდღესასწაულოთო (ეკლესია დაკეტილი და დალუქული იყო). მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემმა კარაგად იცოდა, რაც მოელოდა, უყოყმანოდ შეუდგა მზადებას. წირვა გადაიხადა, დამსწრეთ სიტყვა-ქადაგებით მიმართა, დალოცა და ....ერთი თვე ჭიათურის „გეპეუში» გაატარა... ამასაც არ დაჯერდებოდნენ რომ შემთხვევით დიდ ალექსანდრესთან [ალექსანდრე საჩინოს ძე ვაშაძე] სტუმრად ჩამოსულ მამია ორახელაშვილს არ გაეწია დახმარება. შემდეგ ბესარიონი მიყვებოდა, რომ სააღდგომო წირვა ისეთი აღტყინებით მიდიოდა, ისეთი მხურვალე იყო, როგორც პირველყოფილი ქრისტიანების ლოცვები რომის კატაკომბებში, თანაც დასძინა – გარდა ყველაფრისა, აკრძალული ხილი ხომ უფრო გემრიელიაო. ის ხშირად მეუბნებოდა,... მთავარია, არის თუ არა მისაღები ქრისტიანიზმი, როგორც იდეა; აკეთილშობილებს თუ არა ადამიანს მისი მრწამსი და აახლოებს თუ არა იგი ათ მცნებაზედ, როგორც მორალის მაღალ საფუძველზედ აღზრდილს იმ ჭეშმარიტ ადამიანს, რომლის შექმნისათვისაც უნდა იბრძოდეს ყოველი საკაცობრიო იდეა. მას მიაჩნდა, რომ თანამედროვე სოციალური ძვრები ადამიანთა უფლებრივი და მატერიალური ერთიანობისათვის თუ არ შეერწყა ქრისტიანულ მოძღვრებას, ცალ-მხრივი იქნება და არა სრული, მოკლებული უდიდეს მორალურ-აღმზრდელობით ძალას. მიწიერისა და ზეციურის შერწყმა მიაჩნდა მას იმ მყარ საფუძვლად, რომელზედაც შესაძლებელია შეიქმნას ნამდვილად ჰარმონიული წყობა...

ბესარიონი ბუნებით ზედმიწევნით მხიარული ადამიანი იყო. როგორც მოძღვარს მას ხშირად უხდებოდა ლხინშიდაც ყოფილიყო და უმთავრესად სუფრის თამადობა და გაძღოლაც უწევდა. ასეთ შემთხვევაში ვლინდებოდა მისი მჭერმეტყველებაც, მსუბუქი იუმორიცა და მოლხენის უნარიც... შემდეგ წლებში ბესარიონმა მიამბო, თუ როგორ ნახა მღვიმის მონასტერში ის, ახალგაზრდა მასწავლებელი, გურია-იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა [ქიქოძე] და როგორ მოეწონა მას ეს თავმდაბალი, ლამაზი ახალგაზრდა და დაჟინებით მოსთხოვა მამამისს, იაკობს, სასულიერო ხაზით ემოღვაწნა. იმ დროისათვის

ეს დიდი ყურადღება იყო და მასთან ერთად თუ მშობლების ზეგავლენასაც გავიხსენებთ, ადვილი მისახვედრია, ბესარიონის ბედის ასეთი შეტრიალება...

32 წლის ასაკში ბესარიონმა დაკარგა ჯერ მამა, შემდეგ მეუღლე. დაობლდა ოთხი ბავშვი, რომელთაგან უფროსი, გიორგი, ოთხი წლის იყო, იაშა – 10 თვის, მე – ხუთი წლისა და ბაბო – წლინახევრის. საგლოვო ჰქონდა საკუთარი თავიც, გასათხოვარი დაც (რომელიც გვიან, 1917 წელს გათხოვდა სოლომონ საყვრელიძეზე, რომელიც შორაპნის დეპოშო მექანიკოსად მუშაობდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მონაწილეობდა ჭოლოქის ბრძოლაში თურქების წინააღმდეგ. მამიდა ადრე გარდაიცვალა და დარჩა ქალ-ვაჟი), მამისაგან დატოვებული ქონებაცა და ამასთან, ვალებიც. ამას ემატებოდა ისიც, რომ უმცროსი ძმა, მიხაკო, ნახევრად ინვალიდი, ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა 1905 წლის ამბებთან დაკავშირებით – მან პოლიციელი მხეიძე მოკლა. ცხადია, ამ ვითარებაში ბესარიონის წინაშე დადგებოდა საკითხი პირადი ცხოვრების მოწყობისა – მოკიდებოდა მეორე ოჯახს და ეტარებინა „ნახუცარის» სახელი, რასაც მოყვასთა და ავთა ენაც შეარქმევდა, ჩვენი ხალხის ჩვეულების მიხედვით, და, რაც მთავარია, შემოეყვანა დედინაცვალი თავის შვილებისათვის. იყო მეორე გზაც – ყველაფერი უარეყო და ეტარებინა ბოლომდის ჯვარზე გაკრული კაცის ცხოვრება... (დაქვრივებული სასულიერო პირი ხელმეორედ დაოჯახების შემთხვევაში სასულიერო მოღვაწეობის უფლებას კარგავდა). არჩეული იქნა მეორე გზა, გზა ეკლიანი, მაგრამ კეთილშობილი.

ბესარიონი მოყვარული იყო ლამაზი და მოხდენილი ჩაცმისა – სამოსელს ქუთაისში განთქმულ მკერავს, მიშა მაჭავარიანს აკერვინებდა. ბუნებით ძალიან სუფთა და ფაქიზი ადამიანი, ყველასათვის სასიამოვნო მოძღვარი იყო... რამდენჯერ მინახავას ის ჩვენი სახლის პატარა აივანზედ ჩაფიქრებული, თვალებში ჩამდგარი ნაღველით... ფიქრებში წასული აისის ჟამს. შვილების დაზრდას, დავაჟკაცებას, დედის მოვლას, ციხეში მყოფი ძმის შენახვას, დის დაოჯახებას შეალია მან თავისი ცხოვრების საუკუთესო წლები და, ამასთან ერთად, არ იყო ისეთი საზოგადოებრივი საქმე, მისი მონაწილე, ან წამომწყები რომ არ ყოფილიყო. საინტერესოა ერთი ფაქტი: ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, შემდეგ ე.წ. პატარა ციხეში, სადაც მისი ძმა მიხაკო იჯდა, ჭიათურის სოც.-დემოკრატიული პარტია პოლიტპატიმრებს აწვდიდა მხატვრულსა და ცენზირებულ პოლიტიკურ ლიტერატურას. ციხის ადმინისტრაცია ამის ნებას იმ შემთხვევაში აძლევდა, თუ მოძღვრის სამრევლო ბეჭედი ესვა. ცხადია, ეს ლიტერატურა, ზოგჯერ, დაშიფრულიც იყო. ბესარიონი არ ერიდებოდა მოსალოდნელ უსიამოვნებებს და ბეჭედს მაინც სვამდა. ამას მოწმობს ის მრავალი წერილი, რომელსაც ბესარიონი ტუსაღებისაგან ღებულობდა.

ყოველთვის მიკვირდა, რომ შვილების თანდასწრებით ერთხელაც კი არ გამოუთქვამს საყვედური ან წუხილი დაკარგული ქონების გამო, მაშინაც კი, როცა მატერიალური სიდუხჭირე ჩვენს ოჯახში საგრძნობი გახდა საქართველოში ახალი რუსული ძალაუფლების დამყარების შემდეგ. ამ დროისათვის ბესარიონის წინაშე კვლავ წამოიჭრა ანაფორის გახდის საკითხი. მრავალჯერ მიმართეს მას მისმა ყოფილმა მოწაფეებმა, ახლო ნათესავებმა, რომელნიც ახალ ხელისუფლებას აყოლოდნენ, რომ ანაფორა გაეხადა და სამაგიეროდ სამსახურსაც სთავაზობდნენ. ბესარიონი, გაჯიქებული, უარს ამბობდა. ეს მაშინ, როცა ანაფორის გახდა იმ დროის საქართველოს სამღვდელოებას სენივით მოედო. მითხრეს, რომ ერთხელ ბესარიონმა თავის ყოფილ მოსწავლეს, ერთ გავლენიან

ჭიათურელ პარტიულს, ასე უთხრა: „კომუნისტები ამაში მაინც ხართ პატივსაცემი, რომ სამღვდელო წრეების ჭეშმარიტი წმენდა მოახდინეთ. ის, ვინც უღირსი იყო და ანგარებით იყო დაკავშირებული რელიგიასთან, ადვილად ჩამოგვშორდა, ხოლო ვისთვისაც ქრისტეანიზმი იდეაა, მას ანაფორას მაშვინ გახთით, როცა ტყავსაც გააყოლებთ». მას გაცინებოდა და ასე ეპასუხა: „ჯვარს, რომელსაც ჩვენს დროშიც თქვენ ასე ამაყად ატარებთ, მე პატივს არ ვცემ ჩემი რწმენის მიხედვით, მაგრამ თქვენი, პირადი პატივისმცემელი ეხლაც ვარ უფრო მეტადაც თქვენი პრინციპულობის გამო, მაგრამ ვწუხვარ, რომ ზეციდან თქვენი მიწაზე ჩამოყვანა არ ხერხდება. მიწას ჩვენ, კომუნისტები განვაახლებთ ისე, რომ ნამდვილი სიკეთე ადამიანმა აქ დაიმკვიდროსო». ეს პიროვნება «გეპეუს» უფროსი იყო, ახლოს იცნობდა ჩვენს ოჯახს და იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც მართლა სწამდა ის, რასაც აკეთებდა. როგორ მოუვიდოდათ აზრად რომელიმეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იდეურ ანაფორიანსაც და იდეურ კომუნისტსაც შემოსული მოძალადე თანაბრად გაუსწორდებოდა 37-ში...

მამას, დაჭერის მომენტიდან, სანამ ჭიათურის ჩეკაში იმყოფებოდა, თბილისიდან ბაბო ჩამოვიდა და პატრონობდა. შემდეგ თბილისში გადიყვანეს და უკვალოდ გაქრა. კონფისკებული იყო ყველაფერი. წაიღეს უბრალო ქაღალდის ნაგლეჯიც კი. ბესარიონი სისტემატურად წერდა დღიურებს სპეციალურად სქელ ყდაში ჩასმულ ალბომში, შეჰქონდა პირადიცა და საზოგადოებრივი ამბებიც, წვრილმანიცა და მნიშვნელოვანიც. ცხადია, ჩხრეკისას, ისიც წაიღეს. სამწუხაროა, თუ მოსპეს, ეგებ ე.წ. საქმესთან დართული, ოდესმე გამოიჩხრიკოს... თბილისში საპატიმროში მცირე ხნით ყოფნისას, მასთან ერთად ჩამოყვანილმა ჩვენი ცნობილი მწერლის მამამ, ჯიბო აბაშიძემ, (შემდეგში გადასახლებიდან შვილის წყალობით დაბრუნებულმა), უამბო ბაბოს: ჩეკაში უცბად არჩევდნენ დაპატიმრებულთა „საქმეებს». დიდ ეზოში შეჯგუფებულები ვიყავით. ბესარიონს მოვკარი თვალი, როცა «სამეულის» მიერ გამოტანილი განაჩენის შემდეგ ეზოში გამოდიოდა. ნაღვლიანი და გაფითრებული იყო. როცა თვალით ვანიშნე, რა გითხრეს-მეთქი, ხელი ჩაიქნია. ეს იყო და ეს. მისი მნახველი ან ბედის მცოდნე არავინ შეგვხვედრია... როგორი იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთები? მას ხომ მთელი ცხოვრების მანძილზედ, გარდა სიკეთისა, არა უთესია რა... ეგების ჯვარცმულს ავედრებდა თავის გაფანტულ შვილებს, შვილიშვილებსა და საყვარელ ქვეყანას... მოინანია და მასვე შეევედრა: „ნუ განმსჯი, მეუფეო, ჯვრისა შენისა პატიოსნისა მტვირთველს, რამეთუ მე ვარ ადამიანი».

ბაბუა, იაკობ სიმონის ძე ვაშაძე, საშუალო ტანის კაცი იყო, მოხდენილ წვერ-ულვაშს ატარებდა, წიგნიერი მამის ხელში, მასაც უყვარდა კითხვა. ამან განაპირობა ასე მონდომებულად რომ გააკვალვინა შვილს, ბესარიონს განათლებისაკენ გზა. რაც იმ დროისათვის არც თუ ადვილი იყო. იაკობის მამა, სვიმონი, ასევე მოძღვარი იყო სოფ. მღვიმის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში, ხოლო სვიმონის მამა, ივანე (იოანე) მღვიმის მაცხოვრის სახელობის მონასტრის არქიმანდრიტი ყოფილა 1922 წელს, რაც ჩვენს საოჯახო არქივშია შემორჩენილი. [არქივს დედანი არ მოჰყოლია, იგი ინახება გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილთან, ხათუნა ვაშაძესთან]. ამ დოკუმენტებს „ღრამოტა» ეწოდება. აქედან სჩანს, რომ იოანე ყოფილა დემეტრე ვაშაძის შვილიშვილი. მასში წერია: „...ეს ღრამოტა განგიახლეთ და გიბოძეთ შენ დემეტრე ვაშაძის შვილიშვილს, პატიოსანს მღვდელს, იოანე დეკანოზს და შვილსა შენსა სვიმონსა და ძმასა შენსა ნიკოლოზსა და

ძმისწულსა შენსა გრიგოლსა და შენს ბიძაშვილს ქაქუჩას... რადგან ეხლა არის ოცდაათი წელი, რომ მღვიმის წინამძღვრად ვდგევარ და მეურვეობა ვალადა მაძევს. ამისთვის მაქვს ძველთა მოხუცებულთა კაცთა გამოკითხული და შეტყობილი, რომ ახლა 200 წელიწადი მეტი იქნება, რომ თქვენი შვილი რომ მოუყვანია სვიმონ წინამძღვარს და ამას შვილი ჰყოლია და მღვდლად აღუზრდია და ურწმუნებიათ მისთვის დეკანოზობა და წარჩინებული მღვდელიც ყოფილა, რომელსაც დღესაც ღირსებით იხსენიებენ და მუნდგანვე ყოფილა თქვენი ოჯახი მონასტრის ერთგულნი და განთვისობით უერთგულესი მსახურების მოწადენი და შთამომავლობით დეკანოზნი. როგორიც იყო გარდაცვალებული შენი ბუნებით მამა სიმონ დეკანოზი, დემეტრეს შვილი, ეგრეთვე შენთვის მომინიჭებია ამ მონასტრის დეკანოზობა»... აქედან დგინდება გენეალოგია. როგორც არქიმანდრიტი მღვიმის მონასტრისა იოანე ამბობს, წინაპარნი ორასი წლის განმავლობაში ამ მონასტრის მღვდელმსახურნი ყოფილან. იაკობი, ბაბუაჩემი, როგორც მეტრიკიდან ჩანს, დაბადებული ყოფილა 1839 წელს. მის ბაბუას, მღვიმის მონასტრის არქიმანდრიტს, უკვე 1822 წელს აღნიშნული „ღრამოტა» შეუტანია იმერეთის დროებით მმართველობაში, რაც სჩანს, იმავე „ღრამოტის» რუსული ამონაწერიდან [მოცემულია ტექსტი რუს. ენაზე] ხელმოწერილია: პოლკოვნიკ ქაიხოსრო წერეთლის მიერ, ბეჭედდასმულია. ხელითაა ჩაწერილი: „Печать Имеретинского временного правления". ასლი შემოწმებულია ნოტარიუს დიმიტრი აბაშიძის მიერ 11 მაისს 1898 წელს. ამ „ღრამოტის» ასლი მამაჩემს, ბესარიონს გამოუტანია არქივიდან და შეუმოწმებია აღნიშნულ დროს. ბაბუა იაკობი, ბესარიონი რომ შესძენია, 30 წლის ყოფილა. ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, მე ექვსიოდე წლის ვიყავი. მამაჩემისაგან ვიცი, რომ ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა, ოჯახში ხშირი სტუმრიანობა გვქონია. მახსოვს დეიდაჩემის ქმარი, ნესტორ კახიძე, კარგი შეხედულების ვაჟკაცი, დეიდა ანეტას, ზემო იმერეთში სილამაზით განთქმული ქალის, ღირსეული მეუღლე იყო. ნესტორი შეძლებული კაცი იყო – მამულებს ფლობდა ხარბინში, აფთიაქი ჰქონდა თერჯოლაში. ისინი ხშირად სტუმრობდნენ ჩვენთან. არ მახსოვს დრო, როცა სიძე-ქალიშვილი ან მოყვარე, ან ბებიას ნათესავები არ ყოფილიყვნენ ჩვენთან სტუმრად.

ოჯახს შემოსავალი მიწის რენტისაგან ჰქონდა. იჯარა მიწაზე ჭიათურაში დიდი იყო და შემოსავალსაც იძლეოდა. გასაყიდი ფასიც დიდი ჰქონდა. სავაჭროები და ხელოსნების დუქნები ჩვენი სამი ოჯახის – იაკობის, სიკოსა და ისიდორე ვაშაძეების მამულებზე იყო გაშენებული... დიდი ოდენობა მამულისა, მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპიროსი, მთავრობამ წაიღო რკინიგზის გაყვანის შემდეგ. სანაპიროს დაბლობი ნიგვზით იყო დაფარული და ამ ნიგვზნარს „სამზიარი» ეწოდებოდა. ე. ი. სამი ოჯახის საზიარი. ჩემს ყმაწვილობაში კიდევ მახსოვს დარჩენილი ოთხიოდე ძირი ძვირფასი ჯიშის კაკლის ხეებისა. მთელი ეს დაბლობი, ორ კილომეტრამდე სიგრძისა, მარგანეცის პლატფორმებმა დაიკავა და რკინიგზის შტოებს ეკავათ. გასაბჭოების შემდეგ, ოცდაათიან წლებში, ეს პლატფორმები გაუქმდა და მანგანტრესტმა საცხოვრებელი სახლები ააშენა...

ბებიაჩემი, პელაგია გველესიანის ქალი იყო, ბუნებით გოროზი და ამაყი. თეთრი პირისახე და ცისფერი თვალები ხანშიშესულსაც ლაზათს მატებდა. მამაჩემი, ბესარიონი მას ჰგავდა – ცისფერი თვალები ჰქონდა და ჭიათურაში ულამაზეს კაცად ითვლებოდა. ბებია მამაჩემს, უკვე ორმოცდაათი წლისასაც კი „ბიჭოთი» მიმართავდა და ... მამას

უხაროდა კიდეც ასეთი მიმართვა. საერთოდ დიდი პატივს სცემდა დედას და ვაგლახათ არავის აპატიებდა მისდამი მცირე უტაკტობასაც კი.

ყველაზე დიდხანს სიცოცხლე გამჩენმა მამიდა ივდითს არგუნა. იმ დროს, როცა მამიდა პაშა პირამდის იყო სავსე განცდებით, მამიდა ივდითის მთელი ყურადღება მიმართული იყო ქალური სიკოხტავისაკენ. მას არასოდეს ნახავდი მოჩლართულად ჩაცმულს, მაშინაც კი, როცა დიასახლისობდა. ქმარიც ასეთივე შეხვდა – პროკოფი გუნცაძე, სოფ.კვალიეთის მცხოვრები, ევროპული ტანსაცმლის მკერავი თერძი, იშვითი ნიჭიერების კაცი და არტისტული გემოვნებით დაჯილდოებული, ამავე დროს ქეიფის მოყვარული. უყვარდა თავის თავზე უამრავი მოგონილი და განცდილი ამბების მოყოლა და ისეთი ამბების აკინძვა, რომ სიცილით რომ იტყვიან, მოკლავდა ადამიანს. მას და ბესარიონს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მან მამაჩემს ჩამოუტანა მოზრდილი ზომის არაჩვეულებრივი ნაკეთები ეკლესიის მაკეტი თავის ჯვრით, რომელიც მამას ედგა მაგიდაზე, ზალის აღმოსავლეთ კუთხეში. აქ ჰქონდა საღვთო წიგნები, ხატები და ოლარი. ...ივდითსა და პროკოფის ოთხი შვილი დარჩათ: სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ქალიშვილი ბაბუცა ჩვენთან იზრდებოდა, უფროსი ვაჟი შალვა და შუათანა უცოლშვილო ძმა [მისი სახელი არა არის] მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. ბაბუცა შეძლებული ოჯახის შვილმა, ბეკო ჯანაშიას ვაჟმა, სერგომ ითხოვა. მათ ორი ვაჟი – ნუგზარი და ზაზა შეეძინათ, ორივე ინჟინერი გახდა.

ჩვენი ოჯახის მშვენება, ავი და კარგი იყო მამიდაჩემი პაშა. ქალი ზედმიწევნით გატაცებული ქართული ლიტერატურით, ბრწყინვალე მცოდნე ქარგვისა, კარგად უკრავდა გიტარას და მღეროდა, ისევე, როგორც მამაჩემი. პაშა მამიდა ცოლად გაყვა სოფ.ზემო საქარის მცხოვრებ სოლომონ საყვარელიძეს, კაცს ენაწყლიანს, ხუმრობის მოყვარულს. მამამ ბრწყინვალე ქორწილი გადაუხადა და მზითვებიც საკმოდ მისცა. ...პირველ ხანებში სოლომონი და პაშა ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ, შემდეგ ნაქირავებ ბინაში გადავიდნენ. სოლომინი შავი ქვის ერთ-ერთ კომპანია „კარუტოს» მადნის გამამდიდრებელ ქარხანაში მუშაობდა მექანიკოსად. შემდეგ ზესტაფონში გადავიდა, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდნენ. ორი შვილი შეეძინათ. ... მამიდა საშვილოსნოს კიბოთი გარდაიცვალა... ჩვენ, და-ძმას, ძალიან გვიყვარდა პაშა მამიდა, რადგან ჩვენი ობლობა მისმა მზრუნველობამ და სითბომ გადაგვატანინა, ერთგვარად შეარბილა, სანამ წამოვიზრდებოდით.

ბესარიონის ძმა, მიხაკო, შალვა დადიანის ნარკვევ „სტალინი ჭიათურაში» არის მოხსენიებული. მიხაკო დაბალი ტანის, გამხდარი, კაფანდარა კაცი იყო. პოლიციელ მხეიძის მკვლელობის გამო დააპატიმრეს, სიკვდილით დასჯა (ჩამოხრჩობით) მიუსაჯეს და ოჯახს დიდი ვაი-ვაგლახი გადახთა, რომ ჩამოხრჩობა 15 წლის კატორღით, ხოლო შემდეგ კატორღა 22 წლითა და ხუთი თვით ციხის პატიმრობით შეუცვალეს. უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ოჯახის წევრის პატიმრობისა, მისი ახლობლები, ოჯახის სხვა წევრები დევნას არ განიცდიდნენ. საბჭოთა კანონიერებამ ძირფესვიანად „შეასწორა» ეს ვითარება და 37-ში იმ ქვეყნად გასტუმრებულ პატიმრებს, ოჯახის სხვა წევრებსაც მიაყოლებდნენ ხოლმე, ზოგჯერ ოჯახის მთელ განშტოებასაც... 1905 წელი გონებაში ჩამრჩა როგორც ფილთა თოფებით შეიარაღებული ნათესავების აღმა-დაღმა სირბილი, ჩვენს ოჯახში კი მერკვილაძისა და მიხაკოს გაუთავებელი ხსენება. უკვე პატარა გიმნაზიელს მიხაკო არ მახსოვდა, მაგრამ წარმომედგინა ზღაპრის დევგმირად. ერთხელ,

ქუთაისში ჩამოსულმა მამამ და ბებია პელაგიამ წამიყვანეს ციხეში მის სანახავად. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ციხის დერეფანში გამოიყვანეს პატარა ტანის ჩია კაცი. ცრემლი მომერია – ზღაპრული სამყაროდან ჩამოვარდნის შედეგი. ცხრა წლის ბიჭუნას გულში რაღაც ჩემთვის გაუგებარი და მიუწვდომელი ჩამწყდა და დაიმსხვრა. გაოგნებული ვიჯექი ეტლში და ვფიქრობდი, რა ოხერი ყოფილა ეს „მძვინვარე და სისხლიანი» მეფე, თანაც ასეთი უმწეო, თუ ასეთი კაცუნების ეშინია და ციხეში ისე ჰყავს გამომწყვდეული, როგორც ბებია პელაგიას გოჭი საღორეში.

როგორც ვთქვი, მიხაკოს გათავისუფლებამ ერთი წლით დაასწრო თებერვლის რევოლუციას და მას შემდეგ ხელიდან ყანწი არ გაუგდია, არც მაშინ, როცა „მისი უდიდებულესობა» რევოლუცია ჯერ მკრთალი წითელი ფერით, ხოლო შემდეგ წითელი სისხლისფერი დროშით მობრძანდა. მიხაკომ სიცოცხლე იმით დაასრულა, რომ ზაფხულის ერთ დღეს, მთელი ღამის ნაქეიფარი, აღმართ ქუჩაზე შეისვენა, ქვაზედ ჩამომჯდარმა წონასწორობა დაკარგა და ქუჩაში გაიშხლართა. ბედისწერამ მოინდომა რომ იმ დილით თბილისიდან ჭიათურაში ჩამოსული ჩემი და, ბაბო, შემთხვევით წაადგა თავს მაშინ, როცა მომაკვდავის გარშემო ორიოდე კაცი ფუსფუსებდა. ბაბომ მიამბო, რომ მიხაკოს თვალები ღია ჰქონდა და კიდევ სუნთქავდა და მე რომ ჩავყვირე, თვალები ააპარპალა და რაღაც სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა, თანაც გაოცებამ, თითქოს ამბობდა – აქ საიდან გაჩნდი, ჩემო დომფალაო. მიხაკო ოჯახს არ მოჰკიდებია, მოხუცი დედა მასთან გადავიდა და ცხოვრობდა კაცი თავისი დარდითა და სიხარულით, ღვინო და ლხინი უქარვებდა ყოველივეს. დარდი კი არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა – ფიზიკურად ხეიბარსა და უმწეოს ქვეყანა დედინაცვლად წარმოედგინა და მისგან სითბოსა და ალერსს ჩვეული არ იყო. ერთადერთი ვინც მას უყვარდა, ჩემი და ბაბო იყო და სიყვარულით „დომფალას» უძახოდა. ბედმა ეს მაინც არგუნა, რომ ქვეყანასთან გამოთხოვების ჟამს, მისი უსაყვარლესი არსება ედგა თავს და ცრემლს აფრქვევდა მის კიდევ ოდნავ მფეთქავ სხეულს....მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებს მისთვის არაფერი არ მოუტანია...არ მახსოვს ოდესმე ელაპარაკოს ციხეში ყოფნის ან პატიმრობასთან დაკავშირებულ თავგადასავლებზე. პატიმრობის 11 წელი იმ დროს დიდი „კოზირი» იყო პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. მაგრამ მიხაკოს არც დემოკრატიული რესპუბლიკისათვის წაუყენებია ეს „მანდატი» და არც რუსული ხიშტებით მოხდენილი გადატრიალებისათვის, რათა მიზღვეოდა მისაზღვევი. საკვირველი იყო, რომ ამ მოვლენებს ისევე გულგრილად შეხვდა, როგორც ქემალ-ფაშას მიერ მოხდენილ თურქულ რევოლუციას. მე, უკვე წამოყვინჩილებული გიმნაზიელი, როცა ჩამოვუგდებდი საუბარს, მოწყურებული, გამეგო მისი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, გაიცინებდა და მეტყოდა – „შენ იცი, რა არის საკრამენტო?' მე არ მესმოდა რას მეკითხებოდა და შემდეგ მივხვდი, რომ ეს მისთვის ყველაფრის მიმართ ნიჰილისტური განწყობის გამომხატველი სიტყვა იყო, სიტყვა, რომელიც მას მოსწონდა და ღმერთმა უწყის სად ან ვისგან გაეგონა. ბუნებით ხელგაშლილი იყო და ძუნწ ადამიანს ვერ იტანდა. პელაგია ბებიას გარადაცვალების შემდეგ, მიხაკომ სოფელ ზედარგნიდან ერთი უპატრონო ქალი შეიკედლა მომვლელად, რომელსაც მიხაკოს სიკვდილის შემდეგ სახლი დარჩა. ბესარიონმა ღირსეულად მიაბარა მშობლიურ მიწას თავისი უმცროსი ძმა, მიწას, რომელსაც თვით ვერ ეღირსა და რომელიც ასე უყვარდა და ელოლიავებოდა. „სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა» – ჩვენს ბედუკუღმართ ისტორიის

რომელ ეპოქაში არ დასჭირვებია ქართველ კაცს ამ სულისშემძვრელი სიტყვების გახსენება, მაგრამ სულმნათმა პოეტმა თავის ერს, მისი სულიერი სიმტკიცის დღეღაბათ ისიც უანდერძა „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა». მაგრამ რამდენ ჭირს უნდა გაუძლოთ, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ვკარგავთ ნელ-ნელა მშობლიურ მიწას და ვიძახით „ჭირსა შიგან გამაგრება»..., გვართმევენ ენას და ისევ ვგოდებთ: „ჭირსა შიგან»..., აღარას გვიტოვებენ საკუთარს და ვკნავით – „ჭირას შიგან» ...არა!! არა! ასე ვეღარ ვივლით, ეს ჩვენი გზა აღარ არის და დროა ვიფიქროთ, გარდუვალათ ნუ გადავაქცევთ გარდასასვლელს, არ შევურიგდეთ ჩვენივე ხელით ჩვენივე საფლავის გათხრას. დროა, ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი ვარჩიოთ – გაისმის დროდადრო ვიღაცის ყიჟინა. მაგრამ... მოაღწევს კი ქართველი კაცის გულამდე, შეძრავს მის სულს ეს გაბედული ძახილი, როცა მას გულიც წაართვა და სულიერი სამყაროც გაუჩანაგა მეგობრის სამოსლით თქეშად მოვარდნილმა ბიწიერებამ?...

როგორც ვთქვი, მამაჩემმა, ბესარიონმა ერთ წელიწადში მამაც დაკარგა და ცოლიც... ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ოთხი და-ძმა ისე ვიზრდებოდით, უდედობის ხელი არ გვაჩნდა. ჩვენთვის ყველაფერი თავის დროზე იყო. თითქოს არც ალერსი გვაკლდა, მაგრამ სხვა რამ ყოფილა დედის ხელი. აბა, რამ შეცვალოს ის სითბო, რომელიც გეღვრება მთელ სულსა და სხეულში, როცა დედის კალთაში თავჩარგულს, მისი ხელები ნაზად ფათურობენ შენს ქოჩორში. ვაი, მას, ვინც ადრე დაკარგა ეს სითბო. მაშინაც კი, როცა დავვაჟკაცდი, ვგრძნობდი მუდამ ამ დანაკლისს. ადამიანის ყველა ადამიანური მონაცემის ბუნებრივი განვითარება შეუძლებელია დედობრივი სითბოს გარემოცვის გარეშე. მის სულიერ სამყაროში რაღაც კოჭლდება, რაღაც მრუდდება, ყალიბდება წინააღმდეგობებით სავსე ხასიათი. ამას ვერ ვიტყოდი ჩემს უმცროს ძმაზედ იაშაზედ. დედის სიკვდილის შემდეგ, ძუძუმწოვარა გააბიძეს სოფ.გუნდაეთში, ერთი კეთილი გლეხის, მანჯავიძის ოჯახში. ბესარიონი ამ ოჯახს მზრუნველობდა მას შემდეგაც, რაც იაშა წამოიყვანეს სახლში. აქ კი მამიდა პაშამ, სულიერად სპეტაკმა ადამიანმა, მთელი თავისი ქალური, დედობრივი გრძნობა და სითბო მის აღზრდას შეალია, რამაც, შეიძლება ნაწილობრივ, შეუწყო ხელი მის გვიან გათხოვებას. იაშა თავმდაბალი, კეთილი და გულჩვილი, ეგოიზმსა და პატივმოყვარეობას მოკლებული, ვაჟკაცური ბუნებისა იყო. იგი თეატრმა გაიტაცა და ჭიათურის თეატრში დაიწყო მუშაობა სცენისმოყვარედ. შემდეგ თბილისის სხვადასხვა თეატრში, ბოლოს – კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობად მუშაობდა. იაშამ ცოლად შეირთო ტყემელაძის ქალი, მერი. მათი დაახლოება იმანაც განაპირობა, რომ ორივე თეატრში სცენის მოყვარეებად მუშაობდნენ. საცხოვრებლად თბილისში გადავიდნენ და იქაც თეატრში დაიწყეს მუშაობა. იაშას ცოლი პარტიის წევრი გახთა. ხოლო იაშა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მსახიობათ იყო იმ დროს, როცა იქ უშანგი, დოდო ანთაძე, შალვა ღამბაშიძე მოღვაწეობდნენ. კოტეს უყვარდა უჩინარი მსახიობების ახალგაზრდა წრიდან მოულოდნელად აფეთქება. მას თვალში მოხვდა გარეგნულად მშვენიერი შეხედულების, ჩუმი, უპრეტენზიო ახალგაზრდა და გადაწყვიტა!.... 1933 წლის თებერვალი იყო. მე ახალი ჩამოსული ვიყავი აზერბაიჯანიდან, სადაც გეოლოგიურ სამუშაოებს ვხელმძღვანელობდი, მე მაშინ რუსთაველის თეატრის უკან ვცხოვრობდი ერთ ოჯახში ცოლ-შვილით. თბილოდა, აივანზე ვეწეოდი და ვხედავ, იაშა მოდის და თითქოს თავის თავს რაღაცას ელაპარაკება. გადავძახე, გაეხარდა, – შენთან მოვდიოდიო – ამომძახა და

სწრაფი ნაბიჯებით ამოირბინა კიბე. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ჩემს ჯალაბს მოესიყვარულა და გარეთ ქურქმოხურულები აივანზე დავსხედით. რა ბედნიერი ვიყავით თურმე იმხანად, რასაც ვერ შევიგრძნობდით მთელი სისრულით... იაშა რაღაც აწეული განწყობილებით მეჩვენებოდა და იმასაც ვატყობდი, ცდილობდა დაეოკებინა ეს განწყობა. ჩემს შეკითხვაზე, შენ რაღაც ახალი შთაბეჭდილებებითა ხარ დახუნძლული, ბატონო მსახიობო და არ მიყვები-მეთქი, მიპასუხა: იცი, კოტემ ამასწინათ თავის კაბინეტში გამომიძახა, დაწვრილებით გამომკითხა ჩემი თეატრალური ბიოგრაფია, სად რა მითამაშია, მიხუმრია, მომეფერა და მერე უცბად, ტონშეცვლილმა, დარწმუნებული კილოთი, თვალებში შემყურემ, დინჯად მითხრა: „Мы с тобой способны и на большие дела, вот чтоб до моего возвращения займись этой работой....Ни звука об этом даже жене”. მე სულელურად წამოვროშე: „ვფიცავარ» და რვეულით გარეთ გამოვვარდი. არც მადლობა ყურადღებისათვის, არც გამომშვიდობება, აღარ გამახსენდა. და ამის შემდეგ ისე ვარ, თითქოს ხელახლა დავიბადე. ავასკდი არტახებს, რომელიც მბოჭავდა, ავვარდი სადღაც შორს, შორს, ცისკენ და... დავდივარ ახალ სამყაროში. მე იმხელა ენერგიას ვგრძნობ, იმდენად ვიწამე ჩემი თავის კოტესთან საუბრის შემდეგ, რომ მიკვირს, რატომ ვიყავი ასე უპრეტენზიო ჩემი შესაძლებლობისადმი აქამდე!.. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ბევრმა წყალმა ჩაიარა – სუფთამ და მღვრიემ, ბევრთა იმედის კოცონი აინთო, ბევრის სანთელი ჩააქრო. ასევე ჩაქრა ის ხანძრად ქცეული იმედი შემოქმედების მწვერვალისაკენ, რომელიც გენიის შეხებამ პატარა მსახიობის სულში აანთო. მოსკოვიდან კოტეს მაგივრად მხოლოდ ურნა დაუბრუნდა მის მოსიყვარულე ქვეყანას თავის სასიქადულო შვილის ფერფლით.

იაშა მეორე მსოფლიო ომში იქნა გაწვეული... იგი ქერჩში ფეხში დაჭრილი რუმინელებს ჩაუვარდა ტყვედ. მანამდის კი, სხვა დაჭრილებთან ერთად, ერთმა რუსმა გოგონამ თავის ოჯახში შეიკედლა. იაშას მისთვის წერილი მიეცა, ეგებ მოხდეს შემთხვევა და ჩემიანებს მიაწვდინოო. შემდეგში, როცა ქერჩი დაბრუნებული იქნა გოგონა დაგვიკავშირდა, უფრო მეტიც, ჩემმა უფროსმა ძმამ, გიორგიმ, რომელიც ფოთში მსახურობდა, თავისთან ჩაიყვანა და სამსახურშიც მოაწყო. იაშა, სხვა დაჭრილებთან ერთად, ამ გოგონას ოჯახიდან რუმინელებმა წაიყვანეს. იქიდან კი სლაუტის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილიყო. ეს იყო ყველაფერი, რაც იცოდა ამ გოგონამ იაშას შესახებ.

ომის დამთავრების საკმაო დროის შემდეგ ჩემმა უფროსმა ვაჟმა საიდუმლოდ მითხრა, ერთი ამბავი ვიცოდი და ვერ გეუბნებოდი, ეხლა უნდა გითხრაო. ჩემი ამხანაგის ძმა, ექიმი [გვარი გამოტოვებულია] ტყვედ იმყოფებოდა სლაუტის ბანაკში. მან მითხრა, რომ იქ იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იაშა ვაშაძე, რომელიც ჩემი მისვლის დროს ტიფით იყო დაავადებული, დასიებული, სრულიად შიშველი, მაზარაწახურული, გონდაკარგული იწვა და ალბათ, დაიღუპაო... ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ, შერიგებული ვიყავით იმ აზრს, რომ ის ცოცხალი აღარ იყო, ძნელი იყო ამის მოსმენა. მე ვუამბე ჩემს დას, ბაბოს, რომელიც იაშას მთავარი პატრონი იყო იაშას ერთადერთი ვაჟის, გურამისა. ბაბომ ბევრი ტირილისა და ვაების შემდეგ მოინახულა ეს ექიმი, რომელმაც იგივე გაუმეორა, რაც უკვე ვიცოდით. ცხადია, მან ყველაფერი არ თქვა. ცნობილია, რომ ასეთ ბანაკებში არამცთუ ტიფით დაავადებულებს, დავრდომილ

ტყვეებსაც არ ინდობდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ იაშაც ამ ულმობლობის მსხვერპლი შეიქმნა.

ჩემი და, ბაბო ბავშვობიდან ძლიერ სუსტი არსება იყო, რაღაცნაირად მიუსაფარი. იგი დაბადებულია 2 ივლისს და მონათლულია 17 ივლისს 1905 წელს. მამა ამ დროს იყო დილიკაურის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარი. ნათლია იყო დიმიტრი ოქროპირის ძე ხუნდაძე და სოფიო მელქისედეკის ასული საყვარელიძე. მოუნათლავს მღვდელს, ბიძაჩემ ისაია ვაშაძეს, დიაკონი იყო ერმილე ხარაიძე. მამას ოჯახი მაშინ დილიკაურში ცხოვრობდა. მე მაშინ ოთხი წლისა და ერთი თვის ვიყავი. დედის გარდაცვალების შემდეგ, ორი წლის გოგონა ყველას ეცოდებოდა, მამას თავდავიწყებამდე უყვარდა ერთადერთი ქალიშვილი... ეს პატარა ცინდალა გოგო ისე აწრთო ცხოვრებამ, გადატანილმა უბედურებებმა, რომ გამბედაობით, შრომითა და თავისი საქციელით ნამდვილ ვაჟკაცურ ქალად იქცა. 1922 წელს ჭიათურაში ჩამოვიდა გიორგი (ჟორჟიკა) ასათიანი და როგორც ფარმაცევტმა, აფთიაქში დაიწყო მუშაობა. ცხოვრობდა თავისის ბიძის, ნიკიფორე ასათიანის ოჯახში. გარეგნულად ლაზათიანი და მოხდენილი ახალგაზრდა ჩვენს წრეში მოხვთა. თავისუფალ დროს ჩვენი თავშეყრის ადგილი აფთიაქთან იყო. აქვე მუშაობდა ძალიან კარგი ვაჟკაცი ბიქტორ კუჭუხიძე, რომელთან ერთად ხშირად ტკბილ ჭუკჭუკში და ღიღინში შუღამეც მოგვადგებოდა. ჩვენს ოჯახში შეკრებაზეც ჟორჟიკა ხშირად იმყოფებოდა... ჟორჟიკა მამით ობოლი იყო, ხოლო დედა თბილისში ძმასთან ცხოვრობდა. ჰყავდა ორი ძმა: შალვა და ვანო...მოხთა ისე, რომ ბაბო და ჟორჟიკა დამეგობრდნენ, რაც მათი ქორწინებით დამთავრდა და 1924 წელს ხელი მოაწერეს. გიორგი ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად.

ჩემი უფროსი ძმა, გიორგი, ძლიერ პრაქტიკული, ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი იყო, ყმაწვილობისას – ძლიერ ცელქი. მახსენდება ერთი შემთხვევა: გიორგიმ, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს, გალახა აფხაზი მოწაფე შხვაცბაია, რომელიც გაკვეთილების შემდეგ ეზოდან გასვლისას, უკნიდან მიეპარა და რიყის ქვა ჩაარტყა... გიორგი უგრძნობლად მიიყვანა საავადმყოფოში გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა. გიორგის მარცხენა თვალი დაუზიანდა და ცუდად ხედავდა. გიმნაზიიდან მამამ გიორგი კერძო გიმნაზიაში გადაიყვანა, ბოლოს კი ქ. როსტოვის გიმნაზიაში შეიყვანა, სადაც ჩვენი ახლობელი სესია ლეჟავას ვაჟი, დოტია ლეჟავა სწავლობდა. დადგა 1914 წლის 1 აგვისტო. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, გიორგიმ სამხედრო სასწავლებელში ამოჰყო თავი და, როგორც ოფიცერი, იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ. კონტუზირებული და ტიფით დაავადებული თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში აღმოჩნდა. მამამ, გაიგო თუ არა ეს ამბავი, ჩააკითხა და ჭიათურაში წამოიყვანა, მრეწველთა მიერ გახსნილ საავადმყოფოში მოათავსა. გიორგი ისე იყო გამხთარი და დასუსტებული, რომ საუბარიც კი უჭირდა. აქ მყოფს მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ. გიორგის მომჯობინებას კარგი დრო დასჭირდა. შემდეგ იგი ქართულ არმიაში მსახურობდა. პოლიტიკური ბრძოლისა არაფერი სწამდა, თანაუგრძნობდა ნაციონალ-დემოკრატებს, რადგან კერძო საკუთრება მიაჩნდა ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად. იგი იბრძოდა წითელი ურდოს წინააღმდეგ და დამოუკიდებელი საქართველოს დაცემის შემდეგ, წითელ ჯარში აღარ უმსახურნია. 1921 წელს დაქორწინდა მარიამ კილაძეზე და ქუთაისში დარჩა...

ყოველი ერის სასიცოცხლო ეროვნული ენერგია, მისი ახალგაზრდა თაობის მოღვაწეობაში ვლინდება. ჩემი თაობა 1917 წლის თებერვლის რევოლიუციას და მის მომდევნო მოვლენებს საკმაოდ გათვითცნობიერებული, პატრიოტული სულიკვეთებით დატვირთული შეეგება და ეს ყოველივე იმის წყალობით, რომ ჩვენ საამისოდ გვზრდიდა ოჯახი, სკოლის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები, ერის ინტელექტუალურ ძალთა მიერ შექმნილი გარემო.

ქუთაისის იმდროინდელ საშუალო სასაწავლებელთა მოწაფეობა ჩაბმული იყო მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა არალეგალურ წრეებში. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი და 1906 წელს ვირიცხებოდი სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წრეში, სადაც ასევე იყვნენ: ავტონომიოს ჩიქოვანი, ანდრუშა ჩიქოვანი, დადაშ გელოვანი, დათიკო ელიგულაშვილი, გრიშა ჩაჩავა, პალიკო ბეშკენაძე, მიშა გორგაძე. პარტიაში ლიდერობდნენ: არჩილ ჯორჯაძე (დამაარსებელი), გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, გრიშა რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შალვა ნუცუბიძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი და სხვები. ვცემდით პატარა ხელნაწერ გაზეთს. წრეში იკითხებოდა ლექციები საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს განთავისუფლებაზედ, სამეფო ხელისუფლების დამხობაზედ, როგორც აუცილებელ პირობაზედ ქართველთა თავისუფლების მოსაპოვებლად. ამაში ხელს გვიწყობდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პარმენ თვალჭრელიძის გაკვეთილები. იგი გვიყვებოდა მოღვაწეებზე, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, წმინდა ნინო, გვიხსნიდა პირობებს, რამაც გამოიწვია მეფე ერეკლეს გადაწყვეტილება, შესულიყო რუსეთის მფარველობაში. ახალგაზრდობის პატრიოტული გრძნობის გაღვიძებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქუთაისის ქართული დრამტული თეატრი, სადაც მოღვაწეობდნენ ისეთი ბრწყინვალე მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ნ. ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, ვ.გუნია, ვ.შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ა.ლოლუა და სხვები. ასეთი გარემოების გამოძახილი იყო რიგი აქციებისა, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც ჩვენს გიმნაზიაში, ასევე სხვა სასწავლებლებშიც, როგოც ქუთაისში, ისე სხვაგან. აი, ზოგი მათგანი: 1912 წელს, როცა რუსეთის სამეფო გვარის – რომანოვების 300 წლისთავი გადაიხადეს, ჩვენ, მეორე კლასის მოწაფეებმა, საიუბილეოდ დარიგებულ წიგნაკებში მეფეთა სურათები ამოვხიეთ და კალმებით დავაზიანეთ, რაზედაც შემოგვისწრო მღვდელმა დობროვოლსკიმ, საღვთო სჯულის მასწავლებელმა და ყურები დაგვაგლიჯა. მოიყვანა კლასის დამრიგებელი ალ. ბოგდანოვი. ათიოდე მოწაფე, ჩვენივე დახეული წიგნაკებით, წაგვიყვანეს დირექტორ გლუშაკოვის კაბინეტში. გლუშაკოვიცა და ბოგდანოვიც პროგრესულად მოაზროვნე რუსობას ეკუთვნოდნენ და «ინოროდცებს» მტრული თვალით არ გვიყურებდნენ. მაგრამ დობროვოლსკი, რუსული პოლკის მღვდელი, ქართველთა ისეთი მოძულე იყო, რომ მზად იყო ჩვენთვის ისევე დაეთხარა თვალები, როგორც ჩვენ _ მეფის სურათებს. დირექტორი გაგვიწყრა, უბრძანა ბოგდანოვს კოდუიტში შეიტანეთ ამათი გვარები და ამით დავკმაყოფილდეთ, ოღონდ წიგნაკები როგორც უნდათ, ისე გაანახლონო. წიგნაკის ყდაზე შტამპი იყო დარტყმული და ზედ ჩვენი გვარი და სახელი ეწერა. უფროსკლასელებმა თავიანთ წიგნაკებიდან ხელუხლებელი სურათების დასტა ამოგლიჯეს და შტამპიან წიგნაკებში ჩააკრეს. ასე განახლებული წიგნაკები ჩვენი სახელ-გვარებით ბოგდანოვმა წარუდგინა დირექტორს,

რომელმაც ფაქტიურად ხელი დაგვაფარა და გიმნაზიიდან გამოყრას, რასაც დობროვოლსკი მოითხოვდა, გადაგვარჩინა. დირექტორმა ამით საქმის «პოპეჩიტელამდე» მიყვანას გზა გადაუღობა. ამით თავიც გადაირჩინა, რადგან მისი რეპუტაციისათვის არ იყო მიზანშეწონილი ამ ინციდენტის გახმაურება. საშუალო სასწავლებლებში (გარდა სათავადაზნაურო სასწავლებლისა), მასწავლებლებიცა და ადმინისტრაციაც, ძირითადად, რუსები იყვნენ და მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველთა მოძულე შავრაზმელობას ეკუთვნოდნენ. ამ ნიადაგზე მრავალ ექსცესებს ჰქონდა ადგილი: თავისი უხიაგობით ცნობილმა, ლათინური ენის მასწავლებელმა ბოშკომ, გაკვეთილზე ქართულად მოლაპარაკე მოწაფეს შეუძახა: „Перестаньте болтать на собачьем языке“, რამაც არამარტო გიმნაზიის, არამედ მთელი ქალაქის მოწაფეობა აღაშფოთა. მე მაშინ ბესარიონ ლომინაძის ოჯახში ვიმყოფებოდი „ნახლებნიკათ.“ მისი შვილი ბესო ხელმძღვანელობდა მოწაფეთა გამოსვლას. ამის გამო ბოშკო არამარტო გიმნაზიიდან, არამედ ქალაქიდანაც გააგდეს. ეს მოხდა 1910 წელს. შემდეგ წელს კი, ქართველ მოწაფეთა უსამართლო დევნის გამო, მეჯლისზე მოკლეს რეალური სასწავლებლის დირექტორი კარპინსკი, სამწუხაროდ, დაიჭრა აგრეთვე ჩვენი გიმნაზიის დირექტორი გლუშაკოვიც.

გიმნაზიაში დიდ პატივს ვცემდით გრიშა ჯაფარიძეს, რომელიც ხელმძღვანელობდა გიმნაზიის ლიტერატურულ წრეს. ამ წრის ერთ შეკრებაზე გადაწყდა საღამოს მოწყობა და რაიმე პიესის დადგმა. საამისოდ მსახიობ მიხეილ ჭიაურელის მოწვევა....საღამოს მოწყობა უნდა დამთხვეოდა სწავლის დამთავრებას – 24 მაისს. მიხეილ ჭიაურელი ძალიან გულთბილი, თავაზიანი და თეატრში შეყვარებული ადამიანი იყო. მან სიამოვნებით მოკიდა ხელი გრიშა ჯაფარიძის მიერ შემოთავაზებული ორი პიესის მომზადებას, რაც მან დაიწყო 1919 წლის მარტის პირველ რიცხვებში. ეს იყო დ. მესხის ერთმოქმედიანი ვოდევილი „ოთხი იმერელი» და „პანსიონის ზღუდეთა შორის». ამ უკანასკნელში უშანგი ჩხეიძეს მონაწილეობა არ მიუღია. მთავარ როლს ანდრუშა ჩიქოვანი ასრულებდა, ქალის როლს – ნ. ბაქრაძე, შემდეგში მწერალ რაჟდენ გვეტაძის მეუღლე. ცინცინატიუსის როლს ვ. მინდელი ასრულებდა. მ. ჭიაურელს ხშირად თავის სახლში მივყავდით რამოდენიმე კაცი და გვაჩვენებდა თავის ნაძერწ ფიგურებს. რამდენჯერმე უშანგი, დოდო და მინდელი სტატისტებათ გამოიყვანა ქუთაისის დრამატულ თაეტრში. გიმნაზიის დირექტორი იმ დროს იყო ნიკო მისაბიშვილი, თავისი ქვეყნის პატრიოტი და განათლებული პიროვნება. ჩვენ საქმიანობას ის ყოველმხრივ ხელს უწყობდა. საღამო ბრწყინვალეთ ჩატარდა. იყო მოწყობილი ვახშამიც, რომელსაც გრიშა ჯაფარიძე თამადობდა.... ზაფხულში, იმავე წელს, უშანგი შეეკედლა ზესტაფონის თეატრს, რის შესახებაც თავის წერილებში ხშირად მწერდა... მახსოვს ჩემი გიმნაზიელობის დროს ქუთაისში ორი კინოდარბაზი იყო: „რადიუმი» და „მონპლეზირი», სადაც ყოველთვის აჩვენებდნენ კინო-ჟურნალს ფრანგული ფირმის „პატე-ჟურნალის» გამოშვებებს. როცა გათავდებოდა ჟურნალის ჩვენება, ასეთი კადრი გამოჩნდებოდა – მამლაყინწა და ქვეშ წარწერა „პატეჟურნალმა ყოველივე იცის და ყოველივეს ხედავს». მართლაც, ჟურნალი საინტერესო იყო ყოველთვის, რადგან მსოფლიო ამბებს, მოვლენებს, ფაქტებს გვიჩვენებდა, როგორც ევროპის, ასევე რუსეთის იმპერიის ცხოვრებიდან.

რუსეთში მომხდარმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, როგორც ცნობილია, ქართველობა აღაფრთოვანა, რადგან ჩაისახა იმედი ნანატრი თავისუფლების მიღწევისა. მაგრამ ისეთი მძლავრი პარტია, როგორიც იყო ესდეკთა პარტია, ნიჰილისტურად იყო განწყობილი ეროვნული საკითხის მიმართ. ისინი უხამს ჭორებს ავრცელებდნენ ქართველ სოციალ-ფედერალისტებზე, რომელნიც პოლიტიკური ავტონომიისათვის იბრძოდნენ, ვითომც ავტონომიას იმიტომ ითხოვენ, ბატონყმობის აღდგენა სურთო. ამ უხიაგ ფორმას პოლიტიკური ბრძოლისას მოჰყვა ის, რომ ქუთაისში გახულიგნებულმა რუსმა ჯარისკაცთა ბრბომ სოც.-ფედერალისტთა კლუბი დაარბია. მე სადგურ ბოსლევში ჭიათურელმა მაღაროს მუშებმა ვაგონიდან გადმომიყვანეს ავტონომიის სასარგებლოდ აგიტაციისათვის და ვალიკო კუპატაძე რომ არ მომშველებოდა, ალბათ უბედურებას შემამთხვევდნენ. შემდეგ პერიოდში ამ პოლიტიკურ პარტიას გამოეყო ე.წ. „სხიველთა» ჯგუფი ივანე გომართელის თავკაცობით, რომელნიც საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას იზიარებდნენ. მათ საკუთარი გაზეთიც გამოსცეს, „სხივის» სახელწოდებით.

რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ამიერკავკასიის მოსახლეობაში, მის პოლიტიკურ ელიტაში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და 1917 წლის ნოემბერში შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, შემდეგი წლის თებერვალში – სეიმი. გერმანიასთან დადებული ბრესტის ხელშეკრულებით, ბოლშევიკურმა რუსეთმა უფეშქაშა ოსმალეთს ბათუმის ოლქი და ყარსი. ოსმალო თავის ასკერებით დაიძრა რუსი ჯარის მიერ მიტოვებულ ტერიტორიათა დასაკავებლად. ყარსი დაიკავა და ბათუმს მიადგა. საქართველოს ბედ-იღბალს ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტია განაგებდა. მან შექმნა გვარდია, რომლის მეშვეობით შეეცადა დაეცვა ბათუმი. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და მსხვერპლისა, ბათუმი დაეცა. ოსმალოებმა დაიკავეს შემდეგ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და შეიჭრნენ გურიაში. დაძახილზე – „ქუდზე კაციო» – ახალგაზრდებმა, მოწაფეებმა და სტუდენტებმა საჯარისო შენაერთებს მიაშურეს. ქუთაისიდან, ჩატარებული მიტინგების შემდეგ, ახალგაზრდებმა ერთი ეშელონი შევავსეთ და თბილისისაკენ გავეშურეთ. გაგვანაწილეს არტილერიასა და ცხენოსან ჯარში. მე, ჩემს ამხანაგებთან: ჯვებე ლორთქიფანიძესთან, კოლია იოსელიანთან და სხვებთან ერთად, გამანაწილეს საარტილერიო დივიზიაში, რომლის სარდალი იყო ჩიჟავაძე, ოფიცრები: კარგარეთელი, ქარუმიძე, კანდელაკი, მანსვეტაშვილი, ვაჩნაძე, ნოდია და სხვანი. მე მოვხვდი მეოთხე ბატარეიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაპიტანი კარგარეთელი. ყაზარმები განლაგებული იყო საბურთალოზე, სადაც ოციოდე ძველი ჯარისკაცი დაგვხვდა. გადაგვპარსეს თმები, ჩაგვაცვეს ჯარისკაცის ტანსაცმელი, მოგვცეს შინელები, დაგვირიგეს ხანჯლები, ხმლები და კარაბინები. დაწესდა სასტიკი დისციპლინა, ხანგრძლივი დღიური წვრთნა. ყველანი დიდი მონდომებით და ხალისით ვეუფლებოდით საარტილერიო მხედრულ საქმიანობას და ოფიცრების მხრივ ყურადღებასა და მზრუნველობას ვიმსახურებდით. ფიცი დავდეთ, რომ სიცოცხლესაც შევწირავდით სამშობლოს კეთილდღეობას, თუ საჭირო გახდებოდა. ამასთან, დივიზიაში ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, ვსწავლობდით ქართულ მხედრულ სიმღერებს. მალე მთელი დივიზიონი ცხენებზე ამხედრებულნი, მწყობრით, რომლის მოწინავენი მომღერალთა გუნდი ვიმყოფებოდით, ჩვენი ოფიცრობით და გენერალ ჩიჟავაძის სარდლობით,

ქართულის მხედრულის გუგუნით, გავედით გოლოვინის პროსპექტზე და ჩავიარეთ მცხოვრებთა ტაშის გრიალში. ქართველი მოსახლეობა აღტაცებული იყო და სიხარულის ცრემლით გვაცილებდა. კვირა დღე იყო და პროსპექტი სავსე იყო ხალხით.

ერთ დღეს ყაზარმათა გარშემოვლებულ ფართო ეზოში თვალი მოვკარი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილ კონსტანტინე გამსახურდიას, იმ დროისათვის უსახელო, დამწყებ მწერალს, „აბაშისპირელის» ფსევდონიმით რომ იბეჭდებოდა. იგი ხელკავით მიჰყვებოდა ოფიცერ ნოდიას და რაღაცაზე ცხარედ ესუბრებოდა. კ. გამსახურდია იმ დროს სიძე იყო ბიძაჩემი ისაია ვაშაძის, რომელმაც თავის ქალიშვილ რებეკასთან ერთად გერმანიაში გაგზავნა კონსტანტინე უმაღლესი განათლების მისაღებად. მე არ მქონია შემთხვევა ბიძაჩემის ოჯახში მას შევხვედროდი, ამიტომ პირადად არ ვიცნობდი. შესახედავად ჩია ტანის ახალგაზრდად გამოიყურებოდა...მას სხვა დროსაც რამდენჯერმე მოვკარი თვალი ოფიცერთა წრეში მყოფს.

ერთხელ ოფიცერმა მანსვეტაშვილმა მეოთხე ბატარეიაში მოიყვანა უცნობი ოფიცერი და შემდეგი სიტყვებით გაგვაცნო: „მე ახლა გაგაცნობთ ერთ ქართველ მხედარს, ჩემს ახლო ნათესავს, რომელსაც აინტერესებს, თუ როგორ შეეგუეთ მხედრულ ცხოვრებას. ის ცხენოსან ესკადრონს სარდლობს, რომელიც ასევე მოწაფე-სტუდენტებით არის დაკომპლექტებული». ბრძანება „სმენას» შემდეგ, ყველანი მწკრივში დავეწყვეთ. შემოსული მოგვესალმა, გვკითხა, როგორ ხართ, ხომ არ გეძნელებათ ჯარისკაცობა?!. ესკადრონში თქვენხელა ბიჭები ვაჟკაცურად იქცევიან და ბრწყინვალე მხედრებად ყალიბდებიან. მიხარია, რომ თქვენი ოფიცრობა თქვენით კმაყოფილი არიან, მითხრეს, რომ სპეციალობას კარგად ეუფლებით და იმედი აქვთ, ბრძოლაში ჩაბმა რომ მოგიხდებათ, თავს არ შეირცხვენთ და ნამდვილ ქართველებს რომ შეგვფერის, ისეთ ვაჟკაცობას გამოიჩენთო. მე მწკრივიდან ორი ნაბიჯით წინ გამოვედი, მოსულს გავეჭიმე და ვკითხე, თქვენთან თუ ირიცხება ესკადრონში გიმნაზიელი უშანგი ჩხეიძე-მეთქი. მიპასუხა: ირიცხება და ისე კარგად დაეუფლა თავის საქმეს და შეგვაყვარა თავი, რომ ვახმისტრადაც დავაწინაურეთო. მე გამიხარდა და მადლობა მოვახსენე ცნობისათვის. მხოლოდ შემდეგ გავიგეთ, რომ მოსული ოფიცერი ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო, ვაჟკაცური შესახედაობის, სათნო სახის მქონე ადამიანი, კეთილი კაცის შთაბეჭდილებას რომ სტოვებდა...ეს მოხდა მარტის ბოლო რიცხვებში, აპრილის ოთხ რიცხვში კი ჩვენი მეოთხე ბატარეია, საბარგო ვაგონებში მოთავსებული, თავისი ოთხი ზარბაზანითა და ცხენებით გაეშურა დასავლეთისაკენ. ბატარეიას ახლაც კაპიტანი კარგარეთელი მეთაურობდა. თბილისიდან დილის ათ საათზე გავედით. ეშელონი ნელა მოძრაობდა და შორაპანში საღამოს ხუთ საათზე ვიყავით. გვითხრეს, საკმაო ხანს შევყოვნდებითო და ჩვენც ფეხის გასამართად სადგურის ბაქანზე გამოვედით. ბაქანზე თვალი მოვკარი მამაჩემს, ბესარიონს და მის მეგობარს, ჩოხოსან ჯიბო იაშვილს, პაოლო იაშვილის მამას, რომელსაც ჭიათურაში აფთიაქი ჰქონდა ნაპა წერეთელთან ერთად (ეს ის ჯიბო გახლდათ, პაოლოს მოარულად გავრცელებულ ნათქვამში რომ ფიგურირებს: „რითი ვცხოვრობ და ჯერჯერობით ჯიბოს ჯიბითო»). მათკენ გავეშურე და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ორივეს სამხედრო სალმით გავეჭიმე. მე გიმნაზიაში მეგონე და ქუთაისში გავიგე, ჯარში წასულხარ სხვებთან ერთადო – მითხრა მამაჩემმა. ბატონმა ჯიბომაც მომიწონა საქციელი და შემაქო: თქვენი გვარის შესაფერისი ნაბიჯიაო.

მოხუცებმა ბუფეტში შემიყვანეს, პურღვინით გამიმასპინძლდნენ. მამამ ფულიც მისაგზლა, რაც შეეძლო, და თვალცრემლიანი, გამარჯვების სურვილით, დამემშვიდობა.

სამტრედიის სადგურში ღამით ჩავედით. სადგურში გვარდიელებით სავსე ეშალონები იდგნენ, ვისაც გავესაუბრეთ, ამბობდნენ – ოსმალო, იოლი გამარჯვებით გაზულუქებული, ქუთაისის აღებას აპირებსო. ფრონტის დასახმარებლად ჯერ ფეხოსნით დატვირთული ეშელონები გაისტუმრეს, ხოლო გამთენიისას ჩვენი ეშელონებიც დაიძრა. გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებელი გვარდიელთა ბოლო ეშელონს გააყოლეს. სადგურ ნატანებში ჩამოგვსხეს. ქართულ ჯარს მდინარე ჭოლოქის ნაპირზე გაყოლებით გათხრილ ტრანშეებში დაეკავებინა პოზიცია. ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანისათვის პატარა მანძილზე რკინიგზის შტო გაეყვანათ. ჩვენმა ბატარეამაც დაიკავა პოზიცია. 7 აპრილს ჩვენს პოზიციებს ასკერთა ბატალიონი მოადგა. თავგანწირული ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. მტერი დამარცხდა, დიდი რაოდენობით ასკერი გაიჟლიტა, განსაკუთრებით ზიანს აყენებდა ტყეში შეფარებული ჯავშნოსანი. ეს იყო ჩვენი საბრძოლო ნათლობა. 9 აპრილს ჩვენი ბატარეა, გვარდიის ათასეულთან ერთად, სოფ. ვაჩნარში გადაისროლეს – პოზიციის დაკავებისთანავე ბრძოლაში ჩავებით. მტერს უკვე დაკავებული ჰქონდა ოზურგეთი. ბრძოლა 10 აპრილის საღამომდე გაგრძელდა. ჩვენს მეზობლად პოზიცია ეკავა კაპიტან ცაგურიას ბატარეიას, რომელიც თვით ცაგურიას ინიციატივით შეიქმნა. 11 სექტემბერს დროებით ზავი ჩამოვარდა. მტერმა ოზურგეთი კი დატოვა, მაგრამ ყოველმხრივ გაძარცვა – წაღებული იქნა მოსახლეობის მიერ მიტოვებული ბინებიდან, რის წაღებაც შიძლებოდა. 12 აპრილს ჩვენი ბატარეია დაბრუნდა ნატანებში... განუწყვეტელი ნასკდომებით იფარებოდა სივრცე, სადაც ბატარეის ცხენები და სავაზნე ყუთები ელაგა. საცეცხლე წერტილიდან მოსული ჩემს ცხენთან მივედი მოსაფერებლად, რადგან ძალიან მიყვარდა, ცხოველიც გრძნობდა ამას და ხიხვინით შემხვდა. ამ დროს ჯვებე ლორთქიფანიძის ხმა გავიგონე – მიხმობდა და მეც ცხენს მოვშორდი, ჯვებესკენ წავედი. უცბად, ახლოს ჭურვი გასკდა და ნახლეჩებმაემი ცხენი ხერხემალში ჩასჭრა. ცხენმა საცოდავად დაიწყო ფართხალი და რომ არ ეწვალა, ტყვია დავახალე. ჯვებეს კი მადლობა მოვუხადე – შენ რომ არა დაგეძახა, მეც ჩემი ცხენივით დავიღუპებოდი-მეთქი. მითხრა: არ გეწერა და მიტომ არ დაიღუპე, ეს განგების ხელიაო. ჭეშმარიტად...

თურქეთთან ზავის შემდეგ მატარებლებს ბათუმიდან ჩამოჰყავდათ ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართველი ჯარისკაცები. როგორც გავიგეთ, ბრძოლებსა და მთლიანად მთელ ფრონტს სარდლობდა გენერალი მაზნიაშვილი. ერთ დღეს ჯარისკაცებს დაგვირიგეს ფულადი ნიშნები – „ბონები» და ჩვენც უბნისაკენ გავწიეთ, სადაც გურულ მოსახლეობას გასაყიდად გამოჰქონდა ჭადი, ყველი, ბოსტნეული. აღებული ფული იმდენად გვეყო, რომ ყველით, მჭადითა და კომბოსტოთი დავნაყრდით. წავუღიღინეთ კიდეც, ჯარისკაცის ყოველდღიური ულუფა ხომ მწირი იყო, ამიტომ, ფაქტიურად, ნახევრად მშიერნი ვიხდიდით ჩვენს მოვალეობას, მაგრამ სამშობლოზე შეყვარებული ახალგაზრდები არად ვაგდებდით გაჭირვებას და ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა, მწყობრში ვდგებოდით და მორიგე ოფიცერთაგანი პატაკით ეგებებოდა ბატარეის სარდალს. შემდეგ – ვარჯიში, ზარბაზნებით წვრთნა და ცხენების ზღვაზე საბანაოდ გაყვანა. ჩვენთვის, ჯარისკაცებისათვის სუფსაში გახსნილი იყო საექიმო პუნქტი, სადაც ექიმ ტიტიკო როინიშვილი მუშაობდა.

მაისი ილეოდა, უმოქმედობას ვეღარ ვიტანდით. 28 მაისის ნათელი მზიანი დღე დაგვიდგა. დილის ჩვეულებრივი საქმიანობა მოლეული გვქონდა და კარვებში ვისვენებდით, როცა გაისმა შეკრების სიგნალი. სწრაფად შევიკრიბეთ. ოფიცრები შეშფოთებულები იყვნენ. ნახევარ საათში გაჩნდა კარგარეთელი, რომელსაც ორი უცნობი მოჰყვებოდა. გაისმა მორიგის ბრძანება „ბატარეია, სმენა»! და მოსულთაგან ჩვენ მოგვმართა: „ჩემო შვილებო და ძმებო, საყვარელო მამულიშვილნო! მე მოვედი თქვენთან დავალებით, რათა მოგილოცოთ – 26 მაისს საქარათველოს ეროვნულმა ყრილობამ საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა...ვაშა თავისუფალ საქართველოს»! თითქოს ვიღაცამ გვიბრძანაო, ვაშას ძახილით მივცვივდით მოსულსა და კარგარეთელს, ყიჟინით მაღლა ავწიეთ, ათიოდე წუთი ხელით ვატარეთ... როგორც იქნა დაგვაშოშმინეს. ისევ დავეწყეთ და ახლა კარგარეთელმა მოგვმართა: „ჩემო საყვარელო ქართველნო, მამულიშვილნო, ვაჟკაცურად ბრძოლაგადახდილნო, მოგილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ახალ საქართველოს დაბადებას. გახსოვდეთ, მას მტერი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მოყვარე და წინ მრავალი ბრძოლა მოგველის. ვაშა საქართველოს»! ამ სიტყვებს ჩვენი ყიჟინა მოჰყვა. კარგარეთელის ბრძანებით სამჯერ გავისროლეთ. ცოტა ხანში დავიშალეთ. წვიმაც დაიწყო. მე ფოსტაში გავიქეცი და სახლში მამას დეპეშით დამოუკიდებელი საქართველოს დაბადება მივულოცე. დეპეშა გავუგზავნე ჭიათურის სოციალ-ფედერალისტთა კომიტეტს, რომელსაც შაქრო ვაშაძე თავკაცობდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, თითქოს გული რაღაცის გაკეთებას მოითხოვდა... დამოუკიდებელ საქართველოში სამი პოლიტიკური პარტია მოღვაწეობდა: სოციალ-დემოკრატიული, რომლის ბელადი ნოე ჟორდანია იყო, ეროვნულ-დემოკრატების, რომლის ბელადი იყო [გამოტოვებულია], სოციალ-ფედერალისტებისა გიორგი ლასხიშვილის მეთაურობით. მათ შორის პირველი წევრთა სიმრავლით გამოირჩეოდა და მთავრობაც მისი წევრებით იყო შემდგარი. ამ პარტიებს ჰქონდათ თავიანთი ცენტრალური ორგანო. სოც.-დემოკრატებს გაზეთი „ერთობა» და რუსულ ენაზე „ბორბა», ეროვნულ-დემოკრატებს – „საქართველო», სოც.-ფედერალისტებს – „სახალხო საქმე». სამივე პარტიას ჰყავდა ახალგაზრდათა ორგანიზაციები: სოც.-დემოკრატებს – „ახალგაზრდა მარქსისტთა», თავისის ორგანოთი „ახალი კვალი», ეროვნულ-დემოკრატებს „ახალი ძალა», სოც.-ფედერალისტებს „[გამოტოვებულულია]».

1918 წელს 1 აპრილს ბათუმი ოსმალეთის ჯარმა დაიკავა. შემდეგ ინგლისელების ხელში გადავიდა, ხოლო 1920 წლის 7 ივლისს ქალაქი ქართველთა ჯარმა დაიკავა და მთავარ მოედანზე ინგლისელების დროშა შეცვალა ქართულმა დროშამ. ამ წლის 18 ოქტომბერს ორშაბათი დღე იყო. ახლად შემოერთებულ ბათუმში ტიციან ტაბიძემ გამოსცა გაზეთი „მთლიანი საქართველო», რომლის სულ სამი ნომერი გამოვიდა. 3 სექტემბერს ბენია ჩხიკვიშვილის – აჭარის მმართველის ბრძანებით იგი დაიკეტა. მიზეზი იყო ტიციანის სტატია „ირრედენტისათვის», სადაც გამოთქმული აზრი გამოიწვევდა ოსმალეთის მმართველის ქემალ-ფაშას წყენას. მასთან კი საქართველოს ხელისუფალთ არ სურდათ კონფლიქტი. ერთი წლით ადრე კი, 1919 წლის 17 აპრილს გაიმართა ტიციან ტაბიძის საღამო და მეორე განყოფილებაში – პოეზიის საღამო. მოხსენება გააკეთა გერონტი ქიქოძემ. სიტყვები წარმოთქვეს: პაოლო იაშვილმა, ილია

ზდანევიჩმა, ალი არსენიშვილმა, ს. გოროდეცკიმ, შალვა ამირეჯიბმა, ლელი ჯაფარიძემ, კოლაუ ნადირაძემ, სანდრო ყანჩელმა, გოგლა ლეონიძემ, ნიკოლო მიწიშვილმა, ხარიტონ ვარდოშვილმა, კოპალიმ, სანდრო ჩაჩიკაშვილმა, სერგეი რაფაელოვიჩმა, [არ იკითხება]. იმ დროსაც არსებობდა საქართველოს მწერალთა კავშირი, რომლის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იყო ტიციან ტაბიძე...

ერთ დღეს ბატარეიას ესტუმრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრი, ჩია ტანის ხანდაზმული კაცი – ისიდორე რამიშვილი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოგვილოცა... მოგვიწოდა, რომ ახლა ყველა ქართველს ევალება სამშობლოს დასაცავად თავი არ დაეზოგა. ვინ იფიქრებდა, რომ ერთი წლის წინ, როცა ნიჰილისტურად განწყობილი ქართველი მარქსისტები, რომლებიც საქართველოს ავტონომიასაც კი ვერ ურიგდებოდნენ, ახლა საქართველოს დამოუკიდებლობის მოციქულებად მოგვევლინებოდნენ. ეს აღარ შევახსენეთ პარტიის ვეტერანს, დავინდეთ მისი ჭაღარა, ქართულმა თავაზიანობამ, უფროსისადმი მორიდებამ არ დაგვრთო ამის ნება, პირიქით, ვაშათი გავისტუმრეთ.

ერთი კვირის შემდეგ კარგარეთელს მივმართე თხოვნით, სამი დღით სახლში წასვლის ნება მოეცა და ისიც დამთანხმდა. ჩემი იარაღითა და ჭოლოქთან ბრძოლების დროს ასკერისათვის ართმეული მაუზერით აღჭურვილი მატარებელში ჩავჯექი და შორაპნამდის, ხოლო შორაპნიდან პატარა ვაგონებიან მატარებლით, ვიმგზავრე ჭიათურამდე, ბილეთი არცერთ რკინიგზელს არ მოუთხოვია, ღიმილით მივლიდნენ გვერდს. ჭიათაურაში ბაქანზე ისე გადმოვედი, თითქოს მთელი თურქეთი დამეპყროს. ნაცნობები კი ჩემს იარაღს და ჯარისკაცულ ჩაცმულობას (მეტი არც მქონდა) ზოგი გაკვირვებით, ზოგიც ხაზგასმული გულგრილობით აღიქვამდა. ოჯახი და ახლობლები ზარ-ზეიმით შემხვდნენ და ერთი და იმავეს ათასჯერ მაყოლებდნენ, განსაკუთრებით ჩემი უმცროსი და-ძმა, რომლებიც ჯერ მოსწავლეები იყვნენ. სამიოდე დღის შემდეგ, მამაჩემის რჩევით, ქუთაისს მივაშურე და გიმნაზიას მივაკითხე. გიმნაზიის დირექტორმა, კარგმა ქართველმა და ნამდვილმა პატრიოტმა (რისთვისაც 1937 წელს დახვრიტეს) ნიკო მისაბიშვილმა მამაშვილურად მიმიღო, ყველაფერი მომაყოლა, მომიწონა საქციელი და დახმარებას დამპირდა, მირჩია მათემატიკური საგნები მემეცადინა, რომ შემდეგ სწავლა არ გამჭირებოდა. ქუთაისს ძალიან უჭირდა – პურის მაგივრად მჭადი ცხვებოდა და იყიდებოდა. ქუთაისი, თავისი ბაზრით ცნობილი, მჭლედ გამოიყურებოდა. ჭიათურაშიც იგივე ხელმოკლეობა იგრძნობოდა. ქალაქის მმართველობის თავკაცად, იმ ხანებში, წვრილი მრეწველი, სოციალ-დემოკრატი ევსევი თოდუა იყო. ... მე მიმაჩნია ისტორიულ ბედუკუღმართობად და უიღბლობად, რომ საქართველოს ბედის გამგებლობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაიგდო ხელთ. ბოლშევიკური ომის შედეგად, მტკიცედ პოლარიზებულ პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში, გულუბრიყველოდ გამოიყურებოდა ჟორდანიას მთავრობის „არც აქეთ-არც იქითის» პოზიციაზე მდგომი პოლიტიკა, ინტერნაციონალის წევრობა და მისი ბელადების პრესტიჟული სტუმრობა, რაც საქართველოს, მისი კეთილდღეობის მხრივ, ვერაფერს მატებდა. ნელა, მაგრამ მაინც ღონეს კი იკრეფდა რესპუბლიკა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გადარჩენისათვის. საჭირო იყო მყარი პოლიტიკური ორიენტაციის აღება მათ მიერ, ვინც ხალხის ბედს განაგებდა. ამან შეუწყო ხელი ბალტიისპირა ქვეყნებს შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა ხანგრძლივად, ვიდრე ჩვენ. 1920 წლის 7 მაისის

ხელშეკრულებამ საბჭოთა რუსეთთან, ფაქტიურად განაიარაღა საქართველოს მთავრობა და იმის მაგივრად, რომ ეზრუნათ სამხედრო ძლიერებაზე, გამოეყენებინათ დიდი საომარი გამოცდილების მქონე ქართველი ოფიცრობა, რომელიც არმიას დააკომპლექტებდა, არ ენდობოდა მას, თანაც მთავრობას თავი ქუდში ეგონა, რადგან რუსეთმა სცნო ქვეყნის დამოუკიდებლობა და მასთან ერთად რიგმა ევროპულმა სახელმწიფოებმაც. მახსოვს, 1920 წელს ცხენოსანთა დივიზიის სარდალთან, პოლკოვნიკ წერეთელთან მივედი წერილით, ნოემბრის დასაწყისი იყო. მასთან კაბინეტში ფეხზე მდგომი მამაკაცი ცხარედ ესაუბრებოდა. მაშინვე ვიცანი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. დამინახა და ბაასი შეწყვიტა, ჩამაცქერდა. მერე მომმართა – რაღაც მეცნაურებით, სადღაც მინახიხართო. მე შევახსენე და მხედრულად გავეჭიმე. აი, შევეკითხოთ – მიმართა მან წერეთელს – ამ ნაბრძოლ ახალგაზრდას, ვარ თუ არა მართალი. მერე მე მომიბრუნდა: მე ვამბობ, რომ მთავრობას, რომლის სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძეა და რომელიც ამბობს, რომ კავალერია თავად-აზნაურობის მოგონილი საჯარისო სახეობა არის, რადგან მათ ფეხით სიარული ეუკადრისებათო, შეიძლება ხეირი დაადგეს? წერეთელი იცინოდა და აოკებდა ქაქუცას – არა უშავს, ქვეყნის მართვას ისწავლიან და ამაშიდაც გაერკვევიანო.....1920 წელს დამფუძნებელი კრება დაიშალა და პოლიტიკური პარტიები პარლამენტის არჩევნების მზადებას შეუდგნენ. ჭიათურაში გამოკრული იყო მოქალაქეთა სიები. სოც.-ფედერალისტები 5 ნომრით გამოდიოდნენ. სიის ერთ-ერთ წევრი მეც ვიყავი...გამიხარდა და თავი სრულფასოვან მოქალაქედ ვიგრძენი...

პარლამენტში ოპოზიციურ ძალას ქმნიდნენ, ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატები სპირიდონ კედიას მეთაურობით, რომელიც ქართველი გლეხობისა და ვაჭარ-მრეწველთა ინტერესებს გამოხატავდა, ასევე, ორი მოსოციალისტო პარტია – ფედერალისტებისა და ესერებისა. მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და მსოფლიოს ბედის მკაცრად პოლარიზებულ ძალთა ჭიდილში, ერთი მხრივ, კაპიტალისტური სამყარო, და მეორეს მხრივ, ბოლშევიკური რუსეთი რევოლუციის ლოზუნგებით მსოფლიოს რომ აფორიაქებდა, საქართველოს მთავრობის „არც აქეთ და არც იქეთის» პოლიტიკა უსუსურად გამოიყურებოდა. როდესაც რუსეთმა საქართველოსარმია შემოუსია, დახმარებისათვის გაწვდილი ხელი ჩვენს მთავრობას ჰაერში დარჩა. ბევრი მიფიქრია ამაზე და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მთავრობას ნოე რამიშვილი რომ შერჩენოდა თავმჯდომარედ, შეიძლება მისი ბედი სხვანაირად წარმართულიყო. ეს იყო ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, რომელიც მოქმედებდა არა პარტიის დოქტრინიდან გამომდინარე, არამედ სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით. განა გამართლებული იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის სამხედრო მინისტრად დანიშვნა, გარდა იმისა, რომ ის მმართველი პარტიის წევრი იყო. იგი მისაღები იყო, როგორც განათლებული და წესიერი კაცი, მაგრამ ეს საკმარისი როდია, რომ ჩაუდგე სათავეში ისეთ უწყებას, როგორიც სამხედრო სამინისტროა?! უნდა შერჩეულიყო რომელიმე იმ ბრწყინვალე გენერალთა კოგორტიდან, რომელიც იმ დროს საქართველოს გააჩნდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაეხსნებოდა გზა საქართველოს სამხედრო პოტენციალს ბრწყინვალე არმიის შექმნისათვის რიცხვითაც და ხარისხითაც. ბედმა უმტყუნა საქართველოს, რადგან დამოუკიდებლობის პატრონად სოციალ-დემოკრატები მოუვლინა....და აი, ისინი, ვინც გაბედა ერის მამაზე ხელის აღება – მოგვიკლა ილია,

ისინი შემოუძღვნენ რუსულ ურდოებს და მოკლეს საქართველოს დამოუკიდებლობა – სულ რაღაც 45 დღე დასჭირდა საქართველოს სრულ წაქცევას.

## გასაბჭოება

1920 წლის 8 აპრილს რუსეთის რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადწყვეტილება კავკასიის ბიუროს, აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომუნისტური პარტიების და მათი ცენტრალური კომიტეტების შექმნის შესახებ. „კავბიუროს» შემადგენლობაში შევიდნენ ს.ორჯონიკიძე, ს.კიროვი, ა.ნაზარეტიანი, ე.სტაროვა და სხვები. „კავბიურო» სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს. ცხადია, რომ ამიერკავკასიის დაპყრობამდე უკვე ჩამოყალიბდა, ჯერ ქაღალდზე «ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა» თავისი კავბიუროთი და ცენტრალური კომიტეტებით. ცნობილია, რომ ამ დროისათვის მოსკოვმა სცნო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და მასთან 1920 წლის საზავო ხელშეკრულება დადო. თბილისში კი დიპლომატიური წარმომადგენელი ს.კიროვი დანიშნა. სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შედიოდნენ სერგო ივანეს ძე ქავთარაძე (საელჩოს მრჩეველი), მ.ი. ნუცუბიძე (მდივანი), ს.ი. ლეკიშვილი, და თარჯიმანი ნ. პ. რამაზაშვილი და სხვ. , სულ 51 კაცი. ამხელა შტატი ინგლისს არ ჰყავდა შეერთებულ შტატებში. მათ ეს სჭირდებოდათ ჯაშუშობისა და ანტიქართული პროპაგანდისათვის. კიროვი (ნამდვილ გვარი კოსტრიკოვია) დაინიშნა 29 მაისს. წარმომადგენლობა მოთავსებული იყო ველიამინოვის ქუჩაზე. კიროვი თბილისში 20 ივნისს ჩამოვიდა და დიდი ჯაშუშური მუშაობა ჩაატარა. 1920 წლის 8 აპრილის დადგენილება მოსკოვმა მეთერთმეტე არმიის საშუალებით განახორციელა – ა/კ ფედერაციის გამზადებული თარგი დაედვა საფუძვლათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ არსებობასა და ცხოვრებას... არავინ იცოდა, თუ რას მოგვიტანდა 1921 წელი. რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. რა ხთებოდა იქ, რა სახეს ატარებდა ეს ძმათამკვლელი ომი ნათელი წარმოდგენა არავის გვქონდა. ქუთაისში ყოფნისას შალვა ლილუაშვილმა მომითხრო, რაც თვითონ ნახა: ბათუმში ბოლშევიკური რუსეთიდან გამოქცეულნი შემოეხიზნენ, მათ შორის იყვნენ თეატრის მოღვაწენიც, ოპერის მსახიობები მარიუს პეტიპას მეთაურობით. როდესაც ისინი გადმოსულან გემიდან, მშვიდათ მოსიარულე ხალხი დაუნახავთ, დამხობილან მიწაზე დაქართული მიწისათვის უკოცნიათ ცრემლების ფრქვევით.... ეს ერთგვარად მცირე წარმოდგენას იძლეოდა, თითქოს ჭუჭრუტანიდან დაგვანახა ის უჩვეულო ბობოქარი სამყარო, სადაც განუკითხაობა, უხეში ძალადობა ბატონობდა...

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავს თვლიდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილად და საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია არ არსებობდა. ქართველი სოც.-დემოკრატები, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ასევე წინააღმდეგნი იყვნენ არარუს ეროვნებათა ავტონომიისა, როგორც საერთოდ რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტია, რომლის ლიდერები იყვნენ: პლეხანოვი, კაკი წერეთელი და ჩხეიძე. ცნობილია, რომ კაკი

წერეთელმა ლუქი დაადო ჰელსინკში ფინეთის პარლამენტს, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა...სოც.-ფედერალისტების პარტიის პოლიტიკური კრედოს ძირითადი მუხლი საქართველოსათვის ავტონომიის მოთხოვნა იყო. ერთხელ კიდევ გავიხსენებ, ქუთაისიდან ჭიათურაში მიმავალ მოწაფეს, სადგურ ზოსლევში ჩამოყვანასა და გასამართლებას მიპირებდნენ ჭიათურელი მუშები, რადგან ავტონომიის მოთხოვნის სამართლიანობაზე ვეკამათებოდი. და რატომ? იმიტომ რომ მენშევიკი სოციალ-დემოკრატები უსინდისო ცილისწამებას ეწეოდნენ ავტონომისტების წინააღმდეგ: ვინც ავტონომიას მოითხოვს, საქართველოში ბატონყმობის აღდგენისთვის იბრძვისო. განა ბედმა არ დასცინა საქართველოს? მისი დამოუკიდებლობის საჭე სწორედ იმ პარტიას მიანდო, რომელმაც ქართული იარლიყიც მიიკრა და თავის წოდებას სიტყვა „საქართველოს» დაუმატა. ისიც მას შემდეგ, რაც რუსეთს ბოლშევიკები დაეპატრონნენ...

თბილისში ცხოვრება და სწავლა ჩემი მდგომარეობის ახალგაზრდისათვის ძალიან ძნელი იყო და საერთო გაჭირვების ფონზე ოჯახიდან რაიმე დახმარების იმედი ფაქტიურად არ არსებობდა. გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. დედაქალაქი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა იმათთვის, ვისაც ქისაში რაიმე ედვა. ფულის შოვნა კი ჭირდა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ის, ვინც მსახურობდა, საქმიანობდა – ხელოსნობდა და ვაჭრობდა. მაგრამ დასაქმება ახალგაზრდობისა ხელისუფლებას უჭირდა. მოსწავლე – სტუდენტობისათვის სტიპენდიები არ არსებობდა, რომელსაც სტუდენტთა წრიდან არჩეული გამგეობა ხელმძღვანელობდა. გამგეობის არჩევნები პარლამენტის არჩევნებს მოგაგონებდათ და იყო პარტიული ვნებათა ღელვა და ჭიდილი. სასადილო დიდი დარბაზი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მუდამ სავსე იყო ახალგაზრდობით, სადაც ხშირად გაასმაგებული პარტიული ბრძოლის არენად გამოიყურებოდა. იკამათე, იჩხუბე, აგინე, ვინც გინდა, დაწყებული ნოე ჟორდანიადან გათავებული მილიციამდე, ვინ არის ხმის გამცემი?! სახელმწიფო ხომ დემოკრატიულია, ყოფა დემოკრატიულია. როცა დაიფუყები ბოღმისაგან შენ თვითონ წყნარდები და მშვიდობიანად მიდიხარ სახლისაკენ და იძინე რამდენიც გინდა, თუკი ცარიელი არ გაქვს ის ოხერი კუჭი, რომელიც ანგრევს და აშენებს ქვეყანას, რომელიც გამოძრავებს, ბადებს საბრძოლო განწყობასაც და ათასნაირ იდეებსაც, აახლოებს და აშორებს ადამიანთა მოდგმას, აშიშვლებს ხმალს, სატევარს და ხანჯალს და ღებავს მათ ადამიანთა სისხლით...იმ პირობებში, რომელშიც თბილისში ვიმყოფებოდი, დარჩენას აზრი არ ჰქონდა და გადავწყვიტე ქუთაისში წავსულიყავი ჩემს უფროს ძმა გიორგისთან, რომელიც სამხედრო პირი იყო და ქუთაისში განლაგებული ნაწილის ერთ-ერთ ლეგიონში მსახურობდა. აქვე ვიტყვი, რომ 1920 წელს საქართველოს შეიარაღებული ლაშქარი შედგებოდა სახალხო გვარდიის ჯარების გარდა, სამი ქვეითი დივიზიისაგან და ორი სათადარიგო ლეგიონისაგან, სამი საარტილერიო ბრიგადისაგან, ერთი მესანგრე ათასეულისაგან, ერთი ცხენოსანი ლეგიონისაგან და რამდენიმე სპეციალიზებული ასეულისაგან... არსებობდა ასევე იუნკერთა სასწავლებელი. ლაშქრის მთავარსარდლად დანიშნული იყო გენერალი ოდიშელიძე, განსწავლული და სამეფო არმიის ცნობილი მხედარი, რომელიც ერთხანს კავკასიის არმიის მთავარსარდლადაც კი იქნა დანიშნული მეფის სამხედრო მინისტრის მიერ. ამ დროისათვის საქართველოს სამხედრო მინისტრი იყო[გამოტოვებულია], ხოლო მინისტრის მოადგილე და

დაზვერვის უფროსი – გენერალი გედევანიშვილი. გარდა იუნკერთა სამხედრო სასწავლებლისა, არსებობდა კიდევ უნტეროფიცერთა სასწავლო ათასეული.

ჩემი ქუთაისში წასვლა ერთგვარად შეაჩერა ერთმა გარემოებამ: იმ ხანად საინჟინრო სასწავლებელში, რომელიც რუსთაველის გამზირზე, ოპერის თეატრის მახლობლად მდებარეობდა, სწავლობდნენ ბევრი ჩემი ახლო ნაცნობები. მათ შორის, გიმნაზიაში ჩემთან ერთად ნასწავლი გრიშა კიკიანი და მწერალ პაოლო იაშვილის ძმა, რეალური სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე კოწია იაშვილი. სანამ ქუთაისში წავალ, ვიფიქრე, მოდი, ერთი ბიჭებს შევუვლი და მოვინახულებ, თანაც მოვაყოლებ სასწავლებელზე რუსეთის აგენტურის მიერ მოწყობილ თავდასხმის ამბებს და სხვა. ეს თავდასხმა წინა წელს მოაწყვეს იუნკერთა სასწავლებელზე სრულიად უშედეგოდ და თავდამსხმელთა სრული განადგურებით დამთავრდა, რაც მიზნად ისახავდა შთაბეჭდილება შეექმნა საქართველოს მთავრობის სისუსტეზე და უავტორიტეტობაზე, საერთოდ გამოეყენებინათ ანტიქართული მიზნებისათვის. მაგრამ მოტყუვდნენ მონაწილეები, თორემ ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ გამაიმუნებული საქმიდან რეალურად არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ სალაპარაკო მაინც ექნებოდათ და წინასწარ განწირულთა ბედი არ აინტერესებდათ. მართლაც, საქართველოს მთავრობის სიმტკიცე, ყველა პირობაში ნათლად ჩანდა და მისი შერყევა მოსკოვმა ვერ მოახერხა ვერც შიმშილითა და ვერც მეზობლების მისევით – 1918 წლის 18 ოქტომბერს სომხეთი გააბრიყვეს და ისიც თავს დაესხა საქართველოს. ქართული ჯარი მალე ერევანს მიადგებოდა, რომ ნოეს ყურად არ ეღო სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის თხოვნა... ხოლო 1920 წლის დამდეგს მოგვისიეს გასაბჭოებული აზერბაიჯანი, რისგანაც არაფერი გამოუვიდათ. ყოველივე „ფოილოს ზავით» დამთავრდა. მოკლედ, მოსკოვი არ გვასვენებდა და რაზედაც ხელი მიუწვდებოდა თავისი აგენტურით, რომელსაც მისი სრულუფლებიანი ელჩი – კიროვი ხელმძღვანელობდა. როგორც ვთქვი, განვიზრახე მეგობრების ნახვა. სიმართლე რომ ითქვას მე თვითონ ჩემს თავს არ ვუმხელდი, თორემ ჩემში მწიფდებოდა აზრი შევსულიყავი იუნკერთა სასწავლებელში. ცოტა ლოდინი დამჭირდა, რადგან ასე ადვილად არავის უშვებდნენ კომენდანტის ნების გარეშე. კურსანტს კი მისაღებში არავინ ჩამოუშვებდა. მე გრიშა კიკიანის ნახვა მოვახერხე. ძალიან გაეხარდა და გადავეხვიეთ ერთმანეთს და გრიშამ პირდაპირ მითხრა: ყოფილი მეომარი ხარ, არტილერისტი, შენი ადგილი ჩვენთან არის, იქ მიგიყვან, ვისთანაც საჭიროა და მიღებას სასწავლებელში მოგიწყობო. შემიპირა, რომ მეორე დღის დილით იქ უნდა გავჩენილიყავი. ასე დავშორდით ერთმანეთს. მეორე დღესაც საშვის დაშვება გაჭირდა. აღმოჩნდა, რომ სწავლა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაიწყებოდა და ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა. იმ ხანად თბილისში ქუთაისიდან ჩამოვიდა დათიკო ჩხეიძე, სამხედრო პირი, წოდებით ლეიტენანტი, რომელმაც უშანგი მოინახულა და მეც მასთან გავიცანი. ეს კაცი თეატრში შეყვარებული აღმოჩნდა, თანაც ყოფილი სცენის მოყვარული ზესტაფონის თეატრისა, სადაც როლებიც უთამაშია. თბილისში მისი ჩამოსვლის მიზანი იყო ნებართვა მიეღო ქუთაისის ლეგიონის თეატრის მოყვარულთა ჯგუფისათვის ნება დაერთოთ ჯარისკაცებისათვის წარმოდგენები მოეწყოთ, რასაც თვითონ, როგორც დამდგმელი რეჟისორი, უხელმძღვანელებდა, მაგრამ ლეგიონის ხელმძღვანელობა ვერ დაეთანხმებინა და მათივე რჩევით თბილისში, მთავარ შტაბში სათხოვნელად იყო ჩამოსული...დათიკო ჩხეიძემ ბევრი იხლაფორთა, ბევრი

იდავიდარაბა, მაინც ვერ მიაღწია მიზანს, და როგორც იტყვიან, ხელცარიელი ბრუნდებოდა ქუთაისში. გამოვკითხე თუ იცნობდა ჩემს ძმას, გიორგის. გამოირკვა, რომ იცნობდა, რომელიც ამხანაგთან ერთად ცხოვრობდა სასტუმრო «ორიანტში». გადავწყვიტე, როცა დათიკო დააპირებდა წასვლას, მასთან ერთად მემგზავრა. მან ბევრი რამ გვიამბო მე და უშანგის. ის ჩვენთან ათევდა ღამეს ისე, რომ საღამოს, როცა შევიკრიბებოდით, დროს ვერ ვგრძნობით. სხვათაშორის დავითმა რაღაც უცნაური რამ შეგვატყობინა – ქართული არმიის შემცირება ხდება, მაშინ, როცა გასაბჭოებული სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან საფრთხე გვემუქრება და მოარული ხმების მიხედვით, წითელი რუსეთის თავს უნდა დაგვესხასო. იმასაც ამბობდნენ, რომ ეს გენშტაბისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის თანხმობით ხდებაო...საქართველოს მთავრობის წინდაუხედავ ნაბიჯად არმიის თითქმის განახევრება იმ დროს, როცა მტრების მეტი არავინ გვყავს, დათიკოს ღალატად მიაჩნდა. იმასაც ამბობდნენ, რომ მაისის ხელშეკრულება წითელ მოსკოვთან და მის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩიჩერინის ფანდია, რომ ჩვენი მთავრობის სიფხიზლე მოადუნოს, თორემ სხვა არაფერიაო...

ნოემბრის შუა რიცხვებში დათიკოსთან ერთად თბილისიდან ქუთაისში გავემგზავრე. ჩემი ნივთები ბინაში უშანგისთან დავტოვე. ქუთაისში დილით ჩამოვედით. დათიკომ ჩემს ძმასთან ეტლით მიმიყვანა, მაგრამ გიორგი არ დამხვდა და საღამომდე ვერც ვნახავდი, ამიტომ ქალაქში გავედი...მოქუფრული იყო ქუთაისური ნოემბერი, ცრიდა, თუმცა სიცივე არ იგრძნობოდა, ვიხეტიალე... კლასიკური გიმნაზიის და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული იყო და ქუჩაში მოწაფეები ირეოდნენ. ბაღის კიდე ყოველთვის პაემნის ადგილად ითვლებოდა. ჩოხოსნებიც ნელ-ნელა შეიკრიბნენ. ბალახვანის ქუჩას რომ დავუყევი, გულმა რეჩხი მიყო – ბევრი რამ შემახსენა ამ ქუჩაზე გავლამ – ერთხნას ამ ქუჩის ერთ-ერთ შესახვევში ვცხოვრობდი, ბუიღლიშვილების ოჯახში. აგრეთვე, ბაბოც აქ ცხოვრობდა ერთი გაუთხოვარი რუსი დების ოჯახში... ქალაქის ცენტრში რომ ამოვედი, ქუჩაში ჯარისკაცთა ასეულმა ჩაიარა. მიხაროდა, რომ მივჩერებოდი ამ ვაჟკაცური იერის მხედრიონის მწყობრ სიარულს და წინამძღოლ ლეიტენანტს რომ დავაკვირდი, ისევ დათიკო დავინახე, რომელმაც თავად ვერ დამინახა – გული დამწყდა... ფურნეები უმეტესად დაკეტილი იყო. ფქვილის შოვნა ჭირდა. იმ ფურნეებშიც კი, რომელნიც მუშაობდნენ, მჭადს ჰყიდდნენ. შიმშილი ვიგრძენი და ისევ ბაზარში გავედი. ახალგამომცხვარი ლობიანი მჭადები გამოეტანათ და იქვე შევექეცი. მოსაღამოვდა და მე სასტუმროსაკენ გავემართე, კიბეზე ჩემი ძმა გიორგი და მისი ამხანაგი შემხვდნენ. ხელში თეთრი პურის „ბუხანკა» ეჭირა. გიორგიმ ჩემს დანახვაზე გაიხარა. სადილად სასტუმროსთან ახლოს სახლში მიდიოდნენ. აქ რუსის ქალებს ოჯახური სასადილო ჰქონდათ მოწყობილი, მხოლოდ პური თვითონ უნდამიგეტანა. სასმელების შეტანა არ შეიძლებოდა. პურს კი პოლკში აძლევდნენ ოფიცრებს...მივყევით და მოვყევით ამბებს, აინტერესებდათ, თუ თბილისში რა მდგომარეობაა, რა ისმის კარგი და ავიო. თვით მითხრეს, რომ ომის სუნი ტრიალებდა. ნუთუ რუსეთი დადებულ ხელშეკრულებას დაარღვევსო. ჩვენი აზრით, ძალა უნდა გაგაჩნდეს, ან გვერდში უნდა გედგეს ძალის მქონე, რომ წონასწორობა არსებობდეს ხელშეკრულებას მაშინ რეალური საფუძველი ექნებაო – ასე ბჭობდნენ მხედრები... რუსეთმა კვლავ ხელთ იგდო ბაქოს ნავთი, მაგრამ საქართველოს ხელში ისეთი

ნავთსადგურები, ურომლისოდაც ბაქოს ნავთი გზას ვერ გაიკვლევს ევროპისაკენ. საქართველო უქმნის პირობებს, რომ ბაქომ ბათუმის გზით ისარგებლოს. მთავარი ის არის, რომ რუსეთი, გინდა მონარქისტული, გინდ ბოლშევიკური ერთი ზრახვით არის შეპყრობილი – არამცთუ კავკასია, მას ირანისა და ოსმალეთის ასევე ახლო აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიას, ცეცხლის დანთებას არ მოერიდება, თუკი მოიხელთაო – ასე ბჭობდა ყველა.

ერთხელ, გიორგის ამხანაგებთან პურმარილზე მოვხვდი. აქ იყო პოლკოვნიკი დოლიძე, ლეგიონის უფროსი, რწმენით სოციალ-დემოკრატი, რუსეთის თებერვლის რევოლუციის მონაწილე და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაპატრონების მომსწრე პეტერბურგში. მან გვითხრა: რუსეთი ვერასოდეს ვერ შეურიგდება საქართველოს დამოუკიდებლობას, მიუხედავად დადებული ხელშეკრულებისა და მის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ცნობისა. რუსეთი თავს დაგვესხმის – ეს გარდაუვალია, ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში, უცნობებია საქართველოს მთავრობისათვის, რომ ბაქოში ყალიბდება მეთერთმეტე არმია, ვინმე გეკერის მეთაურობით, რომლის დანიშნულება საქართველოს ოკუპირებაა. პოლკოვნიკი წუხდა, რომ არ ჩანდა ჩვენი მთავრობის მიერ საჭირო ღონისძიებების განხორციელება და არავინ იცის, რას ფიქრობს და რისი იმედი აქვსო. ...ასე მსჯელობდნენ არა მხოლოდ სამხედრო პირები... ქუთაისიდან ჭიათურაში გავემგზავრე... მამა მხნედ დამხვდა. ჩემი და-ძმა საშუალო სასწავლებელში სწავლობდნენ. ეს სასწავლებელი მოთავსებული იყო იმ შენობაში, სადაც გახსნილი იყო სასულიერო უწყების ე. წ. სამრევლო სასწავლებელი, რომლის გამგე თავის დროზე იყო მამაჩემი. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესია სახელმწიფოსა და სკოლას ჩამოაშორა, ამიტომ ყველგან, სადაც სამრევლო სასწავლებელი იყო და სასულიერო სემინარია, გადააკეთეს ან დაწყებით სასწავლებლად ან საშუალო სასწავლებლებად. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდნენ. ჩვენთან ცხოვრობდა კიდევ ბაბოს სკოლის ამხანაგი სოფ. ბოსლევიდან, გუნია გეგეშიძე. ბაბოს ძალიან უყვარდა და თავისი კეთილი ხასიათით ყველას შეგვაყვარა თავი. მამამისი რკინიგზელი იყო, მეისრე სადგ. ბოსლევში. ღარიბი ოჯახი ჰქონდა. ხანდახან თუ მოაწვდიდა თავის შვილს ცოტა სიმინდის ფქვილს. ყველას უჭირდა... ჭიათურას რაიმე სიკეთე ეკონომიკური გაუმჯობესებისა, არ ეტყობოდა. შუა დეკემბერში თბილისიდან ჩამოვიდა დათიკო წერეთელი, რომელიც ადრე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. გაქნილი ახალგაზრდა იყო. მოწაფეობის დროს ჩვენი გიმნაზიის ეკლესიაში წირვის დროს მღვდელ პლატონ ცქიტიშვილს ეხმარებოდა. რევოლუცია რომ მოხდა, ეს გიმნაზიელი თეატრში მოგვევლინა. თბილისში კი შემძვრალი იყო სტუდენტთა ორგანიზაციებში. იგი ჭიათურაში ჩამოსული იყო, რათა სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის სახელით საღამო მოეწყო. მოიწვია ახალგაზრდების კრება, გვთხოვა ყველამ ჩვენი შეძლების მიხედვით მიგვეღო მონაწილეობა. ჭიათურაში ამ დროს თოვლის სისქე ზოგან ერთ მეტრს აღწევდა. ჩემი წინადადებით გადაწყვიტეს ჩამოყალიბებულიყო ქართული სიმღერების გუნდი. ამ საქმის ორგანიზაცია ბორია გამრეკელს დაევალა. მას საშუალო დამთავრებული არ ჰქონდა და ჭიათურის თეატრში სცენის მოყვარედ მუშაობდა. იგი ალექსანდრე (საშა) გამრეკელის ვაჟი იყო პირველი ქორწინებიდან. საშა გამრეკელი მრეწველთა საბჭოში ბუღალტრად მსახურობდა და იყო შეუცვლელი

მამასახლისი ჭიათურის კლუბისა. საღამო 22 დეკემბერს მოეწყო. გუნდი კარგად მღეროდა. მიუხედავად დიდი თოვლისა, დღეში ორჯერ ვიკრიბებოდით. ბორისი ლოტბარობდა. ბილეთები ადგილობრივ ვაჭრებსა და მრეწველებში გაყიდეს. საღამოს კარტის თამაშიც იყო, რულეტკაც და ვახშამიც. დათიკო დადიოდა ყულაბით და დამსწრეთ სთხოვდა შემოწირულობაზე. ვახშმობამდე მივატოვე საღამო და მეორე დღეს გავიგე, რომ დათიკო წერეთელი „დაზვინული» ბონებით თბილისისაკენ გამგზავრებულიყო. ხოლო სტუდენტობამდე მიაღწია თუ არა ნაცოდვილარმა თანხამ, არც ვიცოდით და არც გაგვხსენებია. ბორისი ბრაზობდა, მადლობაც კი არ უთქვამს, ისე წავიდაო. ჩემთვის გაუგებარი იყო, რა ფასი ჰქონდა დათიკო წერეთლის მადლობას, მთავარი ის იყო, მიაღწია თუ არა თანხამ სტუდენტებამდე.

...ახლოვდებოდა შობა-ახალწლის დღეები... შობა დილა, მართლაც, სასიამოვნო დღე დადგა. ამინდი პირდაპირ საქეიფო იყო – თოვდა, ბარდნიდა ისე, რომ ხალისს მატებდა ადამიანს. ჩვენს დიდ „ზალაში» დიდი ბუხარი იყო დატანებული ჩრდილოეთ კედელში. შიგ ჯირკი გიზგიზებდა და მის ახლოს სუფრა იყო გაშლილი. მთავარი ყველაფერი გვქონდა: ხორცი, მჭადები, ცივი ღვინო, მამამ სუფრა აკურთხა და შემდეგ შემოვუსხედით: მამა, ბებო, ბიძია მიხაკო, პაშა, სოლომონი, იაშა, ბებო და მე. თამადად სოლომონი დავაყენეთ. ყველა ვმღეროდით, მამა ბრწყინვალედ უკრავდა გიტარაზე და პაშასაც ასწავლა. არაჩვეულებრივად მოვილხინეთ. ბიძიამ ბევრი საინტერესო ამბავი მოყვა. მამამ საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა: რაღამც ქართველი ხალხი დამოუკიდებლობას ეზიარა, მას ადვილად არ დათმობსო. ამან შეიძლება მსხვერპლი მოითხოვოს ერისაგან, მაგრამ არ უნდა შევშინდეთ. უბრძოლველად დამოუკიდებელი ცხოვრება არც არავის მოუპოვებია და არც შეუნარჩუნებია. ჩვენი მოსახლეობის მიხედვით საქართველოს დიდი არმიის შექმნა შეუძლია, რაც ამიერკავკასიის ფრონტს იარაღი ჰქონდა, თბილისის სამხედრო საწყობებს შერჩა. თუ მთავრობას ერის ორგანიზების უნარი შესწევს, ჩვენ არაფერი გაგვიჭირდება. ქართველი ოფიცრობა ღირსეული იყო ყოველთვის. საქართველომ ბევრი ბრწყინვალე გენერალი მისცა ჯერ მარტო ორბელიანებისა და ბაგრატიონების გვარიდან. ნუთუ დღევანდელი ქართველი ოფიცრობა ვერ გამოადგება თავის ერს და არ იბრძოლებს სამშობლოს ინტერესებისათვისო? – დაასრულა თავისი შეგონება მამაჩემმა. სოლომონი გადაეხვია მამას და უთხრა: მე რომ მეკითხებოდეს, სამხედრო მინისტრად გაგამწესებდიო. ამან ყველას მხიარულება გამოიწვია. მამაჩემიც გულიანად იცინოდა. ასე სიცილ-ხარხარში შევხვდით შობას...ზემო იმერეთში კარგი წესი არსებობს ახალი წლის შეხვედრისა და გაცილებისა. ჭიათურაში, მაგალითად, საახალწლო ლოცვის შემდეგ, რისთვისაც მღვიმის მონასტერში მოვდიოდით (ჭიათურა ერათადერთი ქალაქი იყო საქართველოში, სადაც არცერთი რჯულის სალოცავი არ იყო აშენებული). რის შემდეგ მონასტრის (დედათა მონასტერი) შევიდოდით და მივულოცავდით ახალ წელს იღუმენიას, შემდეგ, ჭიათურაში დაბრუნებისას, ჯგუფები, მეგობრებისა და ხნოვანების მიხედვით, შევდიოდით სახლებში, მივულოცავდით, მცირე ხნით გაწყობილ სუფრას (რომელიც სამი დღის განმავლობაში იყო გაწყობილი ხილეულით, ტკბილეულით, თაფლუჭითა და სასმელით) შემოვუსხდებოდით და თითო-ოროლა ჭიქის შემდეგ სხვა ბიძაშვილებს, მეზობლებს, ახლობლების ოჯახებს ჩამოვუვლიდით და ბოლოს შეზარხოშებულნი რომელიმე ოჯახს შევრჩებოდით. ეს პირველ ორ დღეს, მესამე დღეს კი ქალები

სტუმრობდნენ. რატომ მოხდა რომ ჭიათურას არ ჰქონდა საკუთარი ეკლესია? მარგანეცის მრეწველობის ჩასახვამდე ჭიათურა პატარა დასახლება იყო, ისიც მდინარე ყვირილას მარჯვენა მხარეს. აქ ძირითადი მოსახლე მხოლოდ ვაშაძეები იყვნენ, რომელნიც ხეობის აღმოსავლეთ ნაწილში სახლობდნენ, ხოლო დასავლეთში – ჩამოსიძებული ბიჭია ლეჟავას ოჯახი და მისი სიძე მიშველიძე და რამდენიმე სხვა ოჯახი (წესიდან ჩამოსახლებული ვაშაძეებისა – სიმონ და ექვთიმე ვაშაძეთა ოჯახები) და მათი სალოცავი მღვიმევის მონასტერი იყო. მისი მოძღვარი იოანე ზოსიმეს ძე ვაშაძე დეკანოზი, მწიგნობარი და თავისი დროის შესაფერი განათლების მქონე იყო. ბაბუაჩემი იაკობის ბაბუა ზოსიმეს შვილიშვილები იყვნენ ბაბუაჩემის განაყოფნი: სიკო და ისიდორე. იაკობს ჰყავდა ორი ვაჟი: ბესარიონი და მიხაკო და ხუთი ქალიშვილი: ეფროსინე, გათხოვილი ელიზბარ ქადაგიძეზე, მეორე [სახელი არ არის მითითებული] გათხოვილი სოფრომ გამყრელიძეზე, ეკატერინე, გათხოვილი ბიქტორ ქადაგიძეზე, ივდითი, გათხოვილი პროკოფი გუნცაძეზე, და პაშა, გათხოვილი სოლომონ საყვარელიძეზე. სიკო ვაშაძეს, ბაბუა იაკობის ძმას ჰყავდა ორი ვაჟი: ნესტორი და ალექსანდრე, ქალიშვილი პიღასი, გათხოვილი [სახელი მითითებული არ არის] წერეთელზე, მესამე ძმას, ისიდორეს ჰყავდა სამი ვაჟი: ვანო, ისაია და პარმენი, ერთი ქალიშვილი ქრისტინე, რომელიც მღვიმევის მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა. ჩვენი ოჯახები, ზოსიმეს შთამომავალნი, ორი წოდების მატარებლები იყვნენ: სასულიერო და აზნაურთა წოდების მქონენი. ზოსიმე ვაშაძე მეთვრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში ცხოვრობდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში, 1879 წელს ჩაეყარა საფუძველი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას. ჭიათურა დაბად იქცა. ასე იწოდებოდა რევოლუციამდე. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჭიათურას ქალაქის სტატუსი დაუმკვიდრა. მოსახლეობის გაზრდამ მოითხოვა საკითხი ეკლესიის მშენებლობის შესახებ. შეიქმნა საინიციატივო კომისია, რომელმაც მოახერხა ქუთაისის ეპისკოპოსის მეშვეობით საქართველოს საეგზარხოსოსაგან აეღო ნებართვა. ამავე კომიტეტმა დაიწყო შემოწირულობათა შეგროვება. დაისვა საკითხი, სად აშენდეს ეკლესია? მოსახლეობის სურვილი იყო მდინარის მარჯვენა ნაპირზე აგებულიყო. აქ გამოჩნდნენ ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები. ისინი არ იყვნენ მომხრენი ჭიათურაში ეკლესიის აგებისა. პარტიამ მოახერხა, კომიტეტში თავისი ხალხის გაყვანა, რომლებიც დავის გაღვივებას ცდილობდნენ. მრეწველთა საბჭოს, რომელსაც გიორგი ზდანევიჩი ხელმძღვანელობდა, ამ დავაში თავისი აზრი წამოუყენებია... ბესარიონი, როგორც მოძღვარი, რომელსაც ზედარგნის ეკლესია ებარა, ხოლო ჭიათურა, როგორც მრევლი, მიწერილი იყო ზედარგნის ეკლესიას, ეკლესიის აგების მომხრე იყო. საკითხი გაჭიანურდა და ბოლოს შეგროვილ თანხას სოც.-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი დაეპატრონა და თავის მიზნებისათვის გამოიყენა. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო (1914 წ.) და ამ საკითხისათვის არავის ეცალა...

1921 წელს რუსეთის არმიამ საომარი მოქმედება რომ დაიწყო, საქართველოში სრული სიწყნარე სუფევდა, არამც თუ აჯანყება, უბრალო ექსცესებიც არავის მოუწყვია. მე მაშინ ჭიათურაშივიყავი და აქ, სადაც მუშათა ფენა საკმაოდ არსებობდა, „ინტერნაციონალიც» კი არავის უმღერია. 16 თებერვალს ჭიათურაში მოხალისეთა მიერ ჩამოყალიბდა ორი რაზმი. ერთს, უფრო მრავალრიცხოვანს, სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი ჩაჩანიძე, მეორეს, რომელიც სულ ოციოდე სტუდენტისა და მოწაფისაგან

შედგებოდა, ხელმძღვანელობდა კაპიტანი ერემია ლეჟავა. ჩვენ ყოველდღე ვიკრიბებოდით – გვასწავლიდნენ შაშხანის ხმარებას, მწყობრად სიარულს, პატაკის მიცემას და სხვა. 24 თებერვალს პოლკოვნიკ ჩაჩანიძის რაზმი კორბოულისაკენ გაისტუმრეს, ჩვენ კი – სოფელ ხრეითისაკენ. სათავეში ჩაგვიყენეს პორუჩიკი ტარასი აბაშიძე, ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დაგვირიგეს შაშხანები და 15 პატრონა თითოეულს, აგრეთვე, წუღები. ყველა ჩვენი ტანსაცმლით ვიყავით. მე, როგორც „გამოცდილი ნაომარი», აბაშიძემ თანაშემწედ ამიყვანა. ხრეითში მოგვათავსეს ერთი ოჯახის დიდ დარბაზში. ვიცოდით, რომ რუსეთის არმია შემოგვესია, მაგრამ რა მდგომარეობა იყო ფრონტზე – არაფერი ვიცოდით. ჩვენი სურსათით მომარაგება სოფელმა აიღო თავზე: მოჰქონდათ მჭადი, ყველი, მწვანილი, ზოგჯერ არაყი და ღვინოც. აბაშიძემ აგვიხსნა ჩვენი მიზანი: იმ შემთხვევაში, თუ მტერი მამისონის უღელტეხილზე გადმოვიდოდა და იქ მყოფ დამცველ ჯარის შენაერთს დაამარცხებდა, ჩვენ უნდა მივშველებოდით. ჩვენი სახლის პატრონი, სოფლის თავკაცი, სოციალ-დემოკრატი, ბიქტორ დალაქიშვილი აბაშიძეს ეხუმრებოდა: ბატონო ტარასი, კარგი ბიჭებით კი არის დაკომპლექტებული შენი რაზმი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ასე მცირე ძალამ, ისიც, ფაქტიურად უიარაღომ, შეძლოს რაიმე გააწყოს მტერთან, რომელიც, არ ვეჭვობ, ყელამდის არის შეიარაღებული.

ტარასი ყოველ დღე უკავშირდებოდა ჭიათურას ტელეფონით და მისი განწყობით ვხვდებოდით, რომ საქმე ცუდად მიდიოდა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ 25 თებერვალს საქართველოს მთავრობის ჯარებმა დედაქალაქი დატოვეს და იგი ოკუპანტებს ჰქონდათ დაკავებული. ხრეითში წამოსვლის წინ ჩანდა, რომ ტარას აბაშიძეს ეჭვი ეპარებოდა, რომ ევროპიდან დაძრული იყო ჯარით დატვირთული გემები ჩვენს დასახმარებლად. მაშინ ეს რატომღაც ყველას სჯეროდა, რადგან იმ დროისათვის საქართველოს რესპუბლიკა თითქმის ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ იყო აღიარებული. თებერვლის ბოლოს, ერთ დილას, უთენია წამოგვყარეს და სასწრაფოდ ჭიათურისაკენ გავეშურეთ. ციოდა. ვიყინებოდით, თუმცა შემდეგ, სიარულში გავხურდით. ჭიათურას რომ მივუახლოვდით, გუჯეჯიანის სახლის ბოლო სართულის კედელზე დიდი აბრა იყო მიკრული ხუთქიმიანი ვარსკვლავით – მყვირალა წითელი ფერის. ეს რომ დავინახეთ, ყველას სევდა შემოგვაწვა. აბაშიძე მიხვდა, რომ საშველი აღარსაიდან ჩანდა, ყველაფერი დამთავრებული იყო და გვითხრა, რომ სახლებში დავბრუნებულიყავით, ხოლო იარაღს ახალი ხელისუფლება ჩაიბარებდა... ჩვენ არა ვიცოდით, რა ხდებოდა მთლიანად დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდისათვის. შემდეგ გავიგეთ, რომ ბრძოლები კიდევ გრძელდებოდა, რომ შავი ზღვის სანაპიროთი, ვინმე ჟლობას მეთაურობით, რუსის კავალერია შემოვიდა, ერთი სიტყვით, საბრძოლო ფრონტი მრავალი გაიხსნა, ქართული ჯარი ბრძოლებით უკან იხევდა. ჟლობას რომ არ გადაეჭრა გზა ბათუმისაკენ, მთავრობამ ქუთაისიც დატოვა და ბათუმში გადავიდა. დიდძალ ქართულ ჯარს მოეყარა თურმე თავი სამტრედია-საჯავახოს ხაზის გასწვრივ და აქ სწარმოებდა პოზიციური ბრძოლები, მაშინ როცა ჟლობას შემოვლით გოდერძის უღელტეხილი გადმოელახა და შესულიყო აჭარაში. ამავე დროს თურქებმაც დაარღვიეს საზღვარი და ჯერ კიდევ მთავრობა ბათუმში იყო, როცა თურქი გენერალი ქიაზიმ-ბეი თავის ჯარით ბათუმში შევიდა. საჯავახოს ფრონტზე კი ბრძოლები მიმდინარეობდა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით. 17 მაისს მთავრობა,

იუნკერების სკოლის მსმენელები, ზოგი პარლამენტის წევრი, წარჩინებული მენშევიკები ოჯახებით საფრანგეთის გემებზე გადავიდნენ. ბათუმის მთავრობა შედგა ციხიდან განთავისუფლებული ბოლშევიკებისაგან... ბათუმის რევკომის თავმჯდომარე სერიოჟა ქავთარაძის მეთაურობით, გენერლების წულუკიძის, მაზნიაშვილისა და ართმელიძის სარდლობით, ოსმალოს ასკერები ბათუმიდან განდევნილნი იყვნენ, რისთვისაც საჯავახოდან შემოიყვანეს ქართული ჯარი. 18–20 მარტისათვის ბათუმი მთლიანად გაწმენდილი იყო ოსმალოებისაგან. ბოლშევიკური რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო თურქეთთან ურთიერთობის გაფუჭება და ამიტომ მაზნიაშვილს დაავალეს ქართული ჯარით ოსმალოთა ბათუმიდან გარეკვა, რუსის ჯარის გარეშე. ჭიათურაში ამ ბრძოლების ექომ შემოაღწია: ბათუმისათვის ბრძოლებში დაღუპული სტუდენტ ცომაიას ნეშტი ჩამოასვენეს, რომელსაც ჭიათურის საზოგადოება შეეგება...ასე დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, რომელსაც ბოლო მოეღო ქართველ სოციალ-დემოკრატების უღიმღამო პოლიტიკის შედეგად და სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგებით გაბრუებული ქართველი ბოლშევიკების წყალობით. ეს კი გამოიყენა ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ხელმეორედ ოკუპაციისათვის, რომელიც 120 წლის წინ განახორციელა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა. ბევრჯერ მიფიქრია იმაზედ, თუ როგორ მოხთა, რომ ბალტიისპირეთის ხალხებმა – ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა ოც წელზე მეტ ხანს იარსებეს, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, ჩვენ კი სამ წელზე მეტი ვერ შევინარჩუნეთ ეს ბედნიერება. მაშინროცა თბილისის ცეიხხაუზებში იმოდენი სამხედრო ტანისამოსი, იარაღი, მოწყობილობა დარჩა სამეფო ხელისუფლებას. შემდეგში ცნობილი გახდა, რომ როცა მეთერთმეტე არმია შემოვიდა თბილისში, იმ დღესვე გაიხსნა ყველა ცეიხხაუზები და იქიდან გამოტანილი იარაღი ასობით ვაგონი დაიტვირთა და რუსეთისაკენ უქნეს პირი. საქართველოს არმიის ჯარისკაცებს კი ხეირიანათ ტანთ არ ეცვათ და ცხენებისათვის უნაგირებსაც სოფელ-სოფელ აგროვებდნენ... ბალტიისპირა ქვეყნებს კი თავიდანვე ეროვნულ პოზიციებზე მდგომი პოლიტიკური მოღვაწენი ჩაუდგნენ სათავეში. ისინი თავისი ხალხის პატრიოტული გრძნობის გაღვივებას ეშურებოდნენ რევოლუციამდეც და მის შემდეგაც. ამან დიდი როლი ითამაშა და ამ ერებმა მეტი გამძლეობა გამოიჩინეს. საქართველოში კი ვითარება სხვაგვარად წარიმართა. ერის პოლიტიკური ცხოვრების სადავე თავიდანვე ქართველი სოც.-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის დღეებში ქართველი სოც.-დემოკრატები ბრძოლას ეწეოდნენ სხვა პარტიების წინააღმდეგ... გლეხობასა და ქალაქის მშრომელ მოსახლეობას ტვინს ულაყებდნენ იმის ქადაგით, რომ რუსეთის გარეშე საქართველოს არსებობა არ შეუძლიაო და რომ საქართველოსათვის ავტონომიის მოთხოვნა ბატონყმობის აღდგენის საფუძველი იქნებოდა. ასეთი ტვინის ჭყლეტის შედეგი მენშევიკებს წინ დახვდათ – რუსეთის სიძლიერეზე გაუთავებელმა ჩაძახებამ თავისი გაიტანა. მენშევიკების მიერ სიტყვა „სოციალიზმის» გაუთავებელმა ბრუნვამ ის მოიტანა, რომ როცა დამპყრობელს წინ წითელი დროშა მოუძღოდა, ქართველი გლეხი და მუშა კარგა ხანი იყო შეჩვეული ამ ფერს, უფრო მეტიც იგი იდეურად სრულიად განიარაღებული დახვდა შემოსეულ ბოლშევიკურ ბრბოს. ქართული არმია მოკლებული იყო იმ პატრიოტულ აღტყინებას, რაც საჭიროა ერის ინტერესების დასაცავად. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბოლშევიკურ არმიას წინ ქართველი სერგო ორჯონიკიძე მოუძღოდა. ამ პირწავარდნილმა რუსულმა

ჩექმამ გაუგზავნა ლენინს დეპეშა: „თბილისზედ ფრიალებს წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს»! შემდეგში გავიგეთ, რომ თბილისში შემოსულ რუსულ არმიას მხოლოდ სომხები შეჰგებებიან, ქართველობა მას არ დახვედრია. წითელ ბრბოს შემოჰყვა ფილიპე მახარაძე, როგორც საქართველოს რევკომის თავმჯდომარე. სწორედ მან მოაწყო ერის მამის, დიდი ილიას მკვლელობა...ვაჟა ფშაველამ ილია დაიტირა: ვინც შენ მოგკლა, მას რომ შესაძლებლობა მიეცეს, საქართველოსაც მოკლავსო. ილიას მკვლელმა ფილიპე მახარაძემ გაამართლა ვაჟას წინასწარმეტყველება და საქართველოს დამოუკიდებლობა დაასამარა 1921 წლის 25 თებერვალს, ეს ის ფილიპე მახარაძეა, რომელმაც ...განაცხადა, რომ საქართველოში მყოფი მეთერთმეტე არმიის ნაწილები საქართველოს მთავრობამ იშვილაო. ეს სასაცილო და პოლიტიკური მასკარადი ამ თახსირ ადამიანთა ჯგუფს იმიტომ დასჭირდა, რომ ქართველ ბოლშევიკთა შორის თავი იჩინა უკმაყოფილებამ მოძალებული და აღვირახსნილი რუსული შოვინიზმის გამო და ბუდუ მდივნის მეთაურობით ჩამოყალიბდა ოპოზიციური მიმდინარეობა, რომელთაც „ქართველოფილები» შეარქვა რუსულმა საოკუპაციო რეჟიმმა....გავიგეთ, რომ სერიოჟა ქავთარაძეს, გრიგოლ ლორთქიფანიძის დახმარებით, შესაძლებლობა მიეცა ჯერ კიდევ ბათუმში მყოფ ნოე ჟორდანიას შეხვედროდა და ლენინის წინადადება გადაეცა, დარჩენილიყო საქართველოში და პირდებოდა გარანტიას, რომ მიეცემოდა საშუალება მას და მისი მთავრობის წევრებს მშვიდობიანად ეცხოვრათ. რასაკვირველია, ბოლშევიკური მთავრობის მიერ გაცემული სიტყვიერი გარანტია სანდო არ იყო, რადგან ეს მთავრობა სახელმწიფო დოკუმენტს, რომელსაც თვითონ მოაწერა ხელი, არაფრად აგდებდა (საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ) და მისი დაპირებაც მიუღებელი იყო.....რუსული სახელმწიფოებრიობის ინტერესების პოზიციიდან ლენინი გამოიყურება, როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტი...მან ალღოიანათ გამოიყენა რევოლუციამდე არსებული ურთიერთობანი, გააბრუა ყველა მსოფლიო რევოლუციის თითქოსდა კარზედ მოკაკუნებით და მოახერხა, რომ ცალკეული ერების წარმომადგენლები თვითონ შეუძღვნენ წითელ არმიას თავისივე სამშობლოს „გასაბედნიერებლად“, ფაქტიურათ კი დასაპყრობათ, მათი ეროვნული ინტერესების ხელსაყოფათ. მე, როგორც ქართველს, მე, როგორც სომეხს, მე როგორც უკრაინელს, მე, როგორც ლატვიელს, ლიტველს, ესტონელს და სხვა კულტურული ერის შვილს, არ შემეფერება, მეთაკილება, სამარცხვინოდ მიმაჩნია სულიერი დაკნინების მაჩვენებელი ბოლშევიკურ მსოფლმხედველობის პოზიციებზე დგომა. მაგრამ, ამასაც ხმამაღლა ვაღიარებ, რომ მთელი რიგი წვრილი ერებისათვის, ანდა განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ერებისათვის, რომელთაც დამწერლობაც კი არ გააჩნდათ და რომელნიც ასე ბლომად მოიპოვება რუსეთის მიერ დაპყრობილ ციმბირის ველებზედ და შორეული აღმოსავლეთის ტრამალებზედ, საბჭოთა ხელისუფლება ერთადერთი საშუალება იყო ფიზიკური გადარჩენისათვის. ამისათვის ამ ერებისაგან პატივი და დიდება ბოლშევიზმს. შემდეგში ისიც გახდა ცნობილი, რომ უკვე მოგვიანებით, მიხა ცხაკაიასთან მისულა ინგილოთა დელეგაცია და თხოვნა წარუდგინა ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობას საინგილოს საქართველოსათვის დაბრუნების შესახებ. ამ დროს ცხაკაია საკამოდ მოხუცი იყო, თუმცა არც ახალგაზრდობაში გამოირჩეოდა ნათელი გონებით, აი, რა პასუხი გაუცია: თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად შედიხართ ადმინისტრაციულად და ვის ექვემდებარებით, სოციალიზმი

აზერბაიჯანშიდაც ისევე იქნება, როგორც სხვაგანო. ასეთი ადამიანების ხელში იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბედი. ეს ყოველივე შემდეგ შევიტყვეთ, მანამდე კი, გასაბჭოების დღეებში ჭიათურა თითქოს ჩამკვდარიყო. რკინიგზის სადგურში მივედით და იქიდან დავიშალენით. გვითხრეს, რომ ტექნიკოსი საფონოვის თავკაცობით ვიღაცები იარაღს იბარებენო...თოფი ჩავაბარე, მაგრამ ვაზნები დავიტოვე...სადგურიდან ხიდისაკენ გავუყევი, გზაში არავინ შემხვედრია. ოჯახი, ცხადია, აფორიაქებული დამხვდა. მამა გაოგნებული იყო იმით, რომ ასე მცირე დრო დასჭირდა საქართველოს წაქცევას. ქალაქში ხმა დაირხა, რუსეთის ჯარი ოჯახების ძარცვას დაიწყებს და მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს დახოცავსო. მალავდნენ ყოველივე ფასეულს. მე ჩემებს ვეუბნებოდი, რომ რაიმეს გადამალვას აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი გადამალულსაც მიაგნებდნენ და ეს შეიძლება მათი გამხეცების მიზეზი გამხდარიყო.

მეორე დღეს ქალაქში უკვე გაჩნდნენ ბოლშევიკები. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბრწყინვალე ახალგაზრდობა და ინტელიგენცია ჰყავდა. მათი პოლიტიკური მრწამსი იყო სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება და სხვა რამ რაც ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მათ შორის ფეხს ვერ იკიდებდა _ ბოლშევიკური განწყობით თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. მათ არ გააჩნდათ არავითარი პოლიტიკური მომზადება და ვერ ერკვეოდნენ ელემენტარულ მოვლენებში...ახალგაზრდა ბოლშევიკებმა არც იცოდნენ, რა უნდოდათ და სხვას რას დაპირდებოდნენ. ასეთებად მოგვევლინნენ – გიორგი ნუცუბიძე, სცენის მოყვარე, „ეშმაკის მათრახის" თანამშრომელი, იროდიონ ბურჯანაძე – ტექნიკოსი და ზოგნი სხვანიც. ისინი კი, ვინც ცნობილნი იყვნენ როგორც ბოლშევიკები – ძმები ალექსანდრე და გალაქტიონ ვაშაძენი, ბიტოლი ლეჟავა, მცირე განათლების ახალგაზრდა ვალიკო კუპატაძე, ბუნებით კეთილშობილი ადამიანი, დაპატიმრებულნი იყვნენ და ზესტაფონის საპატიმროში იყვნენ გადაყვანილნი მათთან ერთად ელსადგურის მუშები, კარგი ახალგაზრდები ბენია ფხალაძე და მიშა ცუცქირიძე, გიორგი რუხაძე, ბუღალტერი ჯაოშვილი და ხანში შესული პედაგოგი ელეფთერ ღვალაძე და სხვები. მარტის დასაწყისში ჭიათურის სადგურში შემოვიდა ერთვაგონმობმული ორთქმავალი, რომლის წინ უშველებელი წითელი დროშით ხელში გაჩხირული იმყოფებოდა კოწია ვაშაძე, კაცი უვიცი და ხეპრე, ძმა ალექსანდრესა და გალაქტიონისა. ხოლო ვაგონში სხვებთან ერთად ისხდნენ პატიმრობიდან განთავისუფლებული ჭიათურელი ბოლშევიკები. ალექსანდრე ვაშაძემ (საჩინოს ძე) მეორე ალექსანდრე ვაშაძესთან (სიკოს ძე) ერთად ჩამოაყალიბა იმ დღესვე ცხენოსანთა რაზმი – ჩოხებში გამოწყობილნი შემოსა ხანჯლებით, შაშხანებით და წითელი დროშით შეეგება მამისონიდან ხრეითზე გადმოსულ ცხენოსანთა წითელარმიელების ასეულს და მათთან ერთად რკინიგზის სადგურთან მოაწყო მიტინგი. თავისი რაზმი ალექსანდრემ რუსებს გააცნო როგორც პარტიზანული რაზმი, რომელმაც დაიკავა მათ მოსვლამდის ქ. ჭიათურა. მიტინგზე გამოვიდა «წითელი კომანდირი", რომელმაც ილაპარაკა იმაზე, რომ ისინი მოვიდნენ ქართველი ხალხის გასანთავისუფლებლად კაპიტალისტებისგან და რომ მალე მათგან გაანთავისუფლებენ მსოფლიოს ხალხებს; ხალხი მდუმარედ ისმენდა მის ასეთ ლაპარაკს და ცოტას თუ ვისმეს ესმოდა. შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა ალექსანდრე ვაშაძე და მან თავისი გამოსვლა ზუსტად შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „აწი არაფერი გაუჭირდება ჩვენ მშრომელ ხალხს. მამისონზე რომ დააგორებენ რუსული პურის თეთრ ბუხანკებს, თავზე

საყრელად ექნება ის ჩვენ ხალხს, გაუმარჯოს ბოლშევიკურ საქართველოს". ამ სიტყვებზე მოხდა საოცარი ამბავი: სადგურთან ახლოს ვიღაცას ვირი დაება და მან დაიწყო ხმამაღლა ყროყინი, რამაც გამოიწვია დამსწრეთა შორის მიტინგისა ხმამაღლა სიცილი და ზოგმა ტაშიც დაუკრა. ალექსანდრეს ფერი ეცვალა, მაგრამ არ შეიმჩნია და განაცხადა – ახლა ამხანაგებო, თქვენ მოგესალმებათ წითელი გენერალი ამხ. ბრეგვაძე და ტრიბუნაზე ავიდა ერთი ტლუ ბიჭი, ყოფილი მეწისქვილე, ჯარისკაცულ მაზარაში და წითელვარსკვლავიანი წოწოლა ქუდში გამოწყობილი. კაცმა არ იცოდა საიდან მოევლინა ჭიათურას ეს «გენერალი" ალექსანდრემ განაცხადა – ვინაიდან მან ქართული კარგად არ იცის, ის რუსულათ მოგესალმებათო. მანაც დაიწყო «ტოვარიშჩი რაბოჩიე ი კრესტიანი" და შემდეგ კაცმა ვერ გაიგო თუ რა ენაზე მეტყველებდა, ეს ქართულ – რუსული სიტყვათა უკავშირო აბსურდული დიდხანს არ გაგრძელებულა, ალექსანდრემ ხელი მოკიდა და არცთუ მორიდებით ჩამოიყვანა ძირს ეს წითელი «გენერალი" (რომელიც შემდეგ მილიციის უფროსად მოევლინა ჭიათურას, შემდეგ ელექტრო წისქვილის გამგეთ, მალე იქიდანაც გააგდეს და სად გადაიხვეწა აღარავინ იცოდა) ასე დაიწყო ჭიათურაში რუსული კომუნიზმის მშენებლობა. ქალაქში დიდხანს ახსენებდა მოსახლეობა ერთმანეთს ანეკდოტად ქცეულ ეპიზოდს, თუ როგორი ყროყინით შეხვდა ერთი პატარა ვირი საქართველოს ერთ პატარა ლამაზ ქალაქში «ახალი ბედნიერი ეპოქის» დასაწყისის მაუწყებელთ. ან რა იცოდა მაშინ ამ ერის მაუწყებელმა ალექსანდრე ვაშაძემ, შვეიცარიაში ლენინთან ნამყოფმა, რომ სულ რაღაც სამიოდე ხუთწლედის შემდგომ, არც თუ შორს იმ ადგილიდან, სადაც ვირი აყროყინდა მის საფლავთან ძეგლს მოარღვევდნენ და მის ნეშტს უდიერად ამოაგდებდნენ...

უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენაც, რასაც ადგილი ჰქონდა 1920 წლის 6 მაისს ნოე ჟორდანიას მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის (სოციალისტურის) დელეგაცია, კარლ კაუცკის თავმჯდომარეობით. მასში შედიოდნენ ამ ინტერნაციონალის პოლიტიკური წევრები, რომელთაც დიდი გავლენა ჰქონდათ მსოფლიო სოციალისტურ სამყაროში, ცნობილნი ანტიბოლშევიკური საქმიანობით, რომელთაც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს როგორც შეფერის ქართველთა ბუნებას. როდესაც ისინი იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის დეტალური გაცნობის შემდეგ, დაუბრუნდნენ ევროპას, არა ერთი აღფრთოვანებული სტატიები და მოხსენებები მიუძღვნეს საქართველოს, იმის ხაზგასმით, რომ საქართველო წარმოადგენს უნიკალურ ქვეყანას, სადაც მსოფლიოში პირველად სოციალ-დემოკრატებს მიეცათ შესაძლებლობა, შედგომოდნენ თავიანთი იდეების განხორციელებას – დემოკრატიული სოციალიზმის მშენებლობას. თუ ეს ყოველივე სიამაყეს და სიხარულს იწვევდა მეორე ინტერნაციონალში გაერთიანებულ პოლიტიკურ პარტიებში, არც თუ სასიამოვნო ემოციებს იწვევდა ევროპის იმ წრეებში, რომელთაც ხელში იყო მსოფლიოს ხალხთა ბედის გადამწყვეტი ძალა, რომელთათვის ნებისმიერის სოციალიზმი დაუოკებელი სიძულვილის ობიექტს წარმოადგენდა და მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ არა დადებითად, თუ მტრულად არა, განაწყობდა, ბოლშევიკურ რუსეთს კი ეს თავაზი მცირე ინტერნაციონალისა საქართველოს მიმართ აღიზიანებდა, და კიდევ უფრო მეტად განაწყობდა საქართველოს, ამ მეორე ინტერნაციონალის «სამოთხის» გადასაყლაპავად, და როცა საამისოდ დრო მოხერხებულათ ცნო, გადაყლაპა კიდეც (თუმცა ყელში გაეჩხირა და როგორც შემდეგმა

მოვლენებმა დაანახვა მსოფლიოს) და მის დასაცავად მეორე ინტერნაციონალის მესვეურთ ძალა არ აღმოაჩნდათ, ხოლო ვისაც ძალა გააჩნდა, მან თვალი დახუჭა, ვერაფერს ხედავდა თითქოს და უბრალოდ საპროტესტოდაც ხელი არ გაანძრია...

გაქრა პური და სანოვაგე. შიმშილი სუფდებოდა ქალაქს. ვისაც საკუთარ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ვენახი და სათესი გააჩნდა ჯერ-ჯერობით იოლად გადიოდნენ. თბილისიდან ჩამოსულებმა ჩამოიტანეს ამბავათ, რომ თბილისი აივსო რუსი ბოსიაკებით და პროსტიტუტკებით. უკანასკნელნი სრულიად ტიტველნი, პლაკატებადაკრულნი წარწერით «დოლოი სტიდ», ჯოგებად დადიან რუსთაველის გამზირზე. ჭიათური რკინიგზის სადგურში მოაწყვეს «აგიტპუნქტები», სადაც სამი რუსის ბოზანდარა ქალი დამკვიდრდა, შემოსეს კედლები წითელი დროშებით და ლოზუნგებით, რომელნიც მოუწოდებდნენ მოსახლეობას ებრძოლათ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, რომ მოახლოებულია მსოფლიო რევოლუცია და სხვა მსგავსი „სიკეთე“. ქალაქში გაჩნდნენ საბჭოური დაწესებულებები, «კომუნისტებად» წოდებული, რომლის უფროსად დაინიშნა გიორგი რუხაძე, კაცი უწყინარი და უხერხემლო, რომელიც მალე შეცვალა ტექნიკოსმა ბურჯანაძემ, კაცმა გაქნილმა და მოხერხებულმა. რუხაძე კი ელსადგურის უფროსად დაინიშნა. ე. წ. აღმასკომის თავმჯდომარეთ დიდი ალექსანდრე ვაშაძე დანიშნეს. ალექსანდრემ სამაზრო ცენტრი შორაპნის მაზრისა, ზესტაფონიდან ჭიათურაში გადმოიტანა, რასაც ზესტაფონის ბოლშევიკები პავლე საყვარელიძის თაოსნობით, ვერ შეურიგდნენ და შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა რამოდენიმეჯერ გადაინაცვლა ზესტაფონიდან ჭიათურაში და ჭიათურიდან ზესტაფონში, საბოლოოდ კი დამკვიდრდა ზესტაფონში. ამას მოჰყვა გამოთქმა «რავა მაზრასავით დადიხარო”. ალექსანდრე ვაშაძე ზესტაფონში დასახლდა, იქვე შეირთო ვინმე თამარ კვიტაშვილის ქალი, რომელიც ჩემი გიმნაზიის ამხანაგის დათიკო გაბუნიას საცოლეთ ითვლებოდა. ალექსანდრე შვეიცარიაში იყო ნამყოფი აგრონომიული განათლების მისაღებად და თითქოს იქ ლენინსაც კი გაეცნო, როგორც მის გარშემო შეთხზულ მრავალ ლეგენდას ავრცელებდნენ მისი ჭიათურელი თანამებრძოლნი. ჭიათურის აღმასკომის (ქალაქის) თავმჯდომარედ ალექსანდრე ვაშაძემ თავისი დისშვილი მიშა ნიორაძე დააჯინა. კარგი დინჯი ახალგაზრდა. დაარსდა კომპარტიის კომიტეტი, რომლის მდივნად მოეწყო უპარტიო შალვა ლაბაძე, რომლის როლი ისეთივე იყო, როგორიც ჩვეულებრივი დაწესებულების ჩვეულებრივი მდივნის. ქართული მილიციაც ჩამოყალიბდა, რომლის უფროსად ზედარგნელი ტარიელ ბრეგვაძე დაინიშნა. გაჩნდა ჩეკაც, რომელსაც მეთაურობდა ახალგაზრდა კაცია ტანმორჩილი მიშა ლომიძე, კაცი დინჯი და წესიერი. ჩამოყალიბდა „ჩონი” რომელიც იშიფრებოდა «ჩასტი ოსობოვო ნაზნაჩენია” და რომელსაც «სიკოვიჩი” მეთაურობდა, როგორც უწოდებდნენ მეორე ალექსანდრე ვაშაძეს, თავის დროზე კარგ ვაჟკაცს, მშრომელ ადამიანს. ომში ნამყოფს, სადაც ფეხში დაიჭრა და ძლიერ კოჭლობდა. ომიდან უნტეროფიცრის ჩინით დაბრუნდა. ის მამაჩემის მკვიდრი ბიძის, სიკო ვაშაძის უმცროსი ვაჟი იყო. მან ცოლად წერეთლის ქალი შეირთო და ქორწილი მამაჩემმა გადაუხადა, რადგან ჩვენ ოჯახს ძალიან უყვარდა ალექსანდრე, თავისი წესიერებისა და შრომისმოყვარეობის გამო.

ხმარებაში იყო ქართული ფული, ქაღალდის «ბონად” წოდებული. ის საკმაოდ მყარი იყო და ახლა დღითიდღე უფასურდებოდა. არც უცხოელი და არც ადგილობრივი მანგანუმის მრეწველთათვის ხელი არ უხლიათ. მაღაროები მოქმედებდნენ.

ჭიათურიდან რკინიგზით გადიოდა მანგანუმის მადანი. მე მოვახერხე და მუშაობა დავიწყე «კომუნხოზის" ტექნიკურ განყოფილებაში, რომელსაც მშენებელი ზაგრატ ცომაია უფროსობდა. «კომუნხოზის" მთავარი ბუღალტერი იყო ვინმე ახვლედიანი, საშინლად კუზიანი, მაგრამ ძალიან მოხერხებული, თავისი საქმის მცოდნე, გულკეთილი და რაც მთავარია თავის კუზსს არაფრად არ აგდებდა, ცოლიც ჰყავდა და შვილიც.

მოსახლეობაში ვრცელდებოდა ნაირ-ნაირი პოლიტიკური ხასიათის ჭორი, იმედის მომცემი. კრებებზე «ინტერნაციონალთან» ერთად ქართული ჰიმნი «დიდებაც" სრულდებოდა. ხალხის მოთხოვნით ცნობილი კომპოზიტორის და მომღერლის სანდრო კავსაძის გუნდის მიერ. უნდა ითქვას, რომ მან ძალიან მალე შეასწავლა გუნდს «ინტერნაციონალის" მოტივი....თებერვალში შემოსული რუსული ჩექმა აკეთებდა იმას, რაც უნდოდა... და იღვრებოდა უსამართლოდ ქართველთა სისხლი, პოხიერდებოდა დედამიწა ამ უსამართლოდ დაღვრილი სისხლით, რათა ებატონა ველურთა ურდოს კულტურულ ერზედ...

თბილისში 10 აპრილს ხელისუფლების ნებართვით შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია თუ თავყრილობა, რომელმაც თავისი თავის ლიკვიდაცია, დაშლა გამოაცხადა. მალე მას მოჰყვა სხვა პარტიების დაშლის კონფერენციები, რეზოლუციების გამოტანით, რომ ისინი უარს აცხადებენ რაიმე სახის ანტისაბჭოური მუშაობა, პოლიტიკური საქმიანობა აწარმოონ. შემოსულმა ძალამ თავისის ბილწი მიზნების განსახორციელებლად, წელში გატეხა დაპყრობილი საქართველო, რისთვისაც მთელი რიგი აქციები ჩაატარა. საქართველოს ჩამოეჭრა მისი ტერიტორიის თითქმის მესამედი და ჩამოურიგდა: აზერბაიჯანს ზაქათალა და თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების ნაწილი, რომელზედაც მდებარეობდა არაერთი ძვირფასი ისტორიული ძეგლი, სომხეთს – სადახლოს რაიონი, ოსმალეთს – ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და საზღვარი თურქეთთან _ სოფელი სარფის _ შუაზედ გაიყვეს. რაც დარჩა ისიც დაიფლითა ავტონომიებით...

1921 წელსვე თბილისს ეწვია იოსებ ჯუღაშვილი. სტალინათ შერქმეული. ცოტა თუ ვინმემ იცოდა, თუ ვინ იყო სტალინი. მანამდი ეს სახელი არ გაგვეგონა. ითქვა, რომ ეს კაცი დიდი ფიგურა არის რუსეთის კომუნისტურ პარტიაშიო. მას პლეხანოვის სახელობის კლუბში დიდი შეკრება მოუწყვია და მოხსენებით გამოსულა. მას ყვირილით გამასპინძლებიან თურმე და კრებიდან გაქცეულა. ამ ამბავს უკავშირებდნენ იმას, რომ ფილიპე მახარაძის, ამ ბინძური ადამიანის, ილიას მკვლელის ადგილი ბუდუ მდივანმა დაიკავა. ამ დროისთვის იუსტიციის კომისიაში იყო სერიოჟა ქავთარაძე, ხოლო ჩეკას სათავეში იმყოფებოდა კოტე ცინცაძე. ჭიათურაში. «კომუნხოზის" შენობა და ელექტროსადგური ერთ ფართობზედ სულ ახლო-ახლო იყვნენ განლაგებულნი, სადგურის მთავარი ხელოსანი იყო ვასილ არჩაია, რომელსაც ჰყავდა ორი თანაშემწე უმცროსი მექანიკოსი გიორგი რუხაძის ძმა დიმიტრი და ჟორჟიკა ნიკიტენკო, გაქართველებული უკრაინელი. ეს ორი ღამით რიგრიგობით მორიგეობდნენ. სადგური შუაღამის 12 საათამდე მუშაობდა, შემდეგ წყვეტდა მუშაობას და გამაყრუებელი სიგნალით აცნობდა მოსახლეობას ამის შესახებ. ტექნიკურ განყოფილებაში სამუშაოდ მიიღეს ორი ახლად გაკომუნისტებული ახალგაზრდა მიხეილ ცუცქირიძე და ბენია ფხალაძე. ძალიან კეთილშობილი და პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდები.

ელსადგურის ყველა მუშაკი სოციალ-დემოკრატების მიმდევარნი იყვნენ და ნოე ჟორდანის სახელს პატივით იხსენიებდნენ. ანტიბოლშევიკურად განწყობილნი ჭიათურაშიც გაჩნდნენ. გაჩნდნენ ისეთნიც, რომლებიც ბოლშევიკებთან ბოლშევიკობდა და მენშევიკებთან მენშევიკობდა. ასეთად გამოიყურებოდა ჩემი ბიძაშვილი მარგალიტა ვაშაძე, ქალი განათლებული, ერთი პირველი ქალთაგანი, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო განათლება...

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის ფასად რა სარგებლობა, რა მორალური ფასეულობა ანუ რა მატერიალური აღზევებანი მიიღო ერმა? განვიხილოთ:

1) მშვიდი, მოსვენებული ცხოვრების გარეშე მტრისაგან დაცვა?

1921 წლიდამ დღემდის საქართველომ თავისი მოსახლეობის თითქმის მესამედი დაკარგა – 800 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა რუსეთმა თავისი ბატონობის განმტკიცებისათვი საქართველოში, რაც ჩეკისტების მიერ დახვრეტების, გადასახლებაში დაღუპვითა და ოჯახების აწიოკებით გამოიხატა. მეორე მსოფლიო ომის მრავალი ოჯახი პირწმინდათ მოისპო: 7-8 კაცი მიჰყავდათ ერთი ოჯახიდან, მოხუცებულ მშობლებს უპატრონოთ ტოვებდენ და ისინი შიმშილისაგან იღუპებოდნენ. გარეშე მტრისაგან ასეთ ზარალს არავითარი ომის დროს საქართველო არ მიიღებდა.

2) გარეშე მტრისგან ტერიტორიის მიტაცებისაგან დაცვა?

1921 წლის შემოსევის შედეგედ რუსეთმა საქართველოს 26 ათასი კვადრატული კილომეტრი ჩამოაჭრა: გარყვნილი, გათახსირებული, გამყიდველი ორჯონიკიძის ხელით. რუსეთმა საქართველოს მეზობლები მოიმადლიერა – აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი და თავისი თავიც არ დაავიწყდა: სოჭის ოლქი ჩამოგვგლიჯა და მიითვისა. განა რომელიმე მეზობელი ძალით წაგვართმევდა ამდენ ტერიტორიას და მერე რაც დარჩა, ისიც ავტონომიებად დაგლიჯა, დაფლითა და დაანაწევრა.

3) ქართული ენის შენარჩუნება და დაცვა?

ენამ, ამ მსოფლიოს ულამაზესმა ენამ, სახელმწიფოებრივი ფუნქცია დაკარგა – ისვრება, იჭვარტლება და ოხრდება.

4) ყოველწლიურათ ათეული ათასი არაქართველი სახლდება ქართულ მიწაზედ და ყოველივე გვიქადის გათქვეფას სხვა ერებში. ამ ასიმილაციას დაღუპვისაკენ მიყავს საქართველო.

5) ინტერნაციონალობას ამოფარებულმა რუსულმა შოვინიზმმა გადარეცხა, ამოშიგნა ქართველთა მამულიშვილური გრძნობა, იდეურათ დაეუფლა ქართველ ახალგაზრდობას. აი, მათი კონცეფცია: „ქვეყნად არ არსებობს ფასეულობანი, რისთვისაც ღირდეს თავგანწირვა“. ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა მოელის იმ ერს, ვისაც ასეთი მომავლის შემქმნელი ახალგაზრდა ეზრდება. საქართველოს დაღუპვისაგან გადარჩენას დიდი ილიას მსგავსი ბუმბერაზის დაბადება თუ იხსნის...დიდი ილია გვასწავლიდა, რომ სიტყვა საქმედ უნდა აქციო, აზრი – მოქმედებას უნდა წარმართავდეს, რწმენა – ქრისტიანული მოძღვრება კი ადამიანის საქციელს, მორალურ-ეთიკურს შეგნებას უნდა ედვას საფუძვლათ და დასაყრდენათ. ის გვასწავლიდა, რომ ადამიანს სამი უწმინდესი საგანძური გააჩნია და მას უნდა ემსახუროს მთელი თავისი არსებით. ეს არის ჩვენი მრავალჭირნახული, დროშათ ქცეული მშობლიური ენა, სამშობლო და სარწმუნოება. ადამიანს თუ ეს სამი სიწმინდე, საუნჯე გულით არ უტარებია, თუ მათთვის არ უბრძოლია, მას პირუტყვის ცხოვრებით უცხოვრია და ადამიანი არ ეთქმის.

21 წლის სექტემბერში მე განვიზრახე უმაღლესი განათლება მიმეღო და თბილისში ჩამოვედი. დოკუმენტები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიტანე. ჩემი ოცნება იყო სამთო საინჟინრო განათლება მიმეღო. პოლიტექნიკუმი ერთადერთი იყო, რომელიც ამზადებდა საშუალო ცოდნის საინჟინრო პერსონალს – ტექნიკოსებს. თბილისის უნივერსიტეტში ჯერ არ არსებობდა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. სასწავლებელი მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე. მისი აუდიტორიები თეატრის ზემო დარბაზებსა და მოპირდაპირე შენობის მეორე სართულებზე მდებარეობდა. ვცხოვრობდი იმავე ბინაში, სადაც ადრე უშანგისთან (ჩხეიძე) ვცხოვრობდი. ჩემი საწოლი და ქვეშაგები ისევ ხელუხლებელი იყო. უშანგი ისევ თეატრში იყო შეხიზნული, თეატრის მსახიობობა გადაწყვეტილი ჰქონდა. ჩემი გეგმა ასეთი იყო: უნდა მემუშავა, თუნდა მუშათ და სწავლაც უნდა შემძლებოდა. იმედი მქონდა ეელექტროსადგურში მოვეწყობოდი, რადგან ჭიათურაში მიღებული პრაქტიკა დამეხმარებოდა. მაგრამ ამის ასრულება არ მოხერხთა. სტუდენტისათვის სამუშაოს შოვნა ძალიან ძნელი აღმოჩნდა, მით უფრო, რომ არც კომკავშირელი ვიყავი, არც პარტიული, არც ბოლშევიკი. ჩემი მატერიალური მდგომარეობა კატასტროფული იყო – ნახევრად მშიერს მიჭირდა მეცადინეობა. სწორედ ამ გაჭირვების დროს რუსთაველზე შემხვდა ლადიკო ნაკაიძის დისშვილი მილოსი ხომერიკი. აღმოჩნდა, რომ ის მუშაობდა წითელი არმიის საინჟინრო დისტანციაში, რომელიც არსენალის რაიონში მდებარეობდა და სამუშაოებს აწარმოებდა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე. მან მომაწყო თავისთან სამუშაოთ. მე მადათოვის კუნძულზე მდებარე სახერხი ქარხნიდან ოთხთვალათი სხვადასხვა სახის მასალა მიმქონდა მშენებლობაზე. დახერხილი მასალის საწყობში ერთი კახელი კაცი, უაღრესად კეთილი ადამიანი მუშაობდა. ჩუმი ღიღინი უყვარდა, მეუბნებოდა, დარდს ამით ვიქარვებო. ერთხელ ვკითხე, ამისთანა რა დარდი გაქვს-მეთქი. ჩუმად ჩაიღიღინა: „სამი ეს და ერთი რანი, კვლავ შებოჭეს ამირანი", თან ჭაღარა წვერ-ულვაშზე გადაისვა ხელი...შემდეგ წლებში უშანგი ჩხეიძე ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. იგი რუსთაველის სახელობის თეატრში მსახიობათ იყო მოწყობილი. მე მას შევეკედლე, გვერდით დიდი ოთახი ეკავა დიდიმ ჭუმბურიძეს, თავის მეუღლით და პატარა ქალიშვილით... ხელფასი არც თუ მცირე მქონდა თავს ცუდად არ ვგრძნობდი. დიდიმის ოჯახს მე და უშანგი ძალიან დავუახლოვდით. ხშირად ერთად ვაწყობდით პურ-ღვინოს, ხმები შეწყობილი გვქონდა და ხშირად კარგ დროსაც ვატარებდით.

1922 წელი...

საქართველოს მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ეწყობოდა საპროტესტო ანტისაბჭოური დემონსტრაციები პატრიოტულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობისა. ერთ-ერთი ასეთი საპროტესტო მიტინგი მოვაწყვეთ სოციალ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრთა ბლოკმა უნივერსიტეტის ეზოში 1922 წლის 25 თებერვალს.

ეზოს შესასვლელ კარებში ჩვენი კაცი დავაყენეთ. როცა ეზო გაივსო მიჩენილ ორ ამხანაგს დარაჯი ჯიხურში უნდა ჩაეკეტა... მიტინგი მე გავხსენი მიმართვით დაეცვათ სიწყნარე და მოესმინათ ორატორებისათვის, ავუხსენი, რომ მიტინგი ეძღვნება

საქართველოს ოკუპანტებისა და მათი ყურმოჭრილი საოკუპაციო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ჩემს გვერდით ტრიბუნასთან, რაც ერთ გრძელ მაგიდას წარმოადგენდა, ავტონომიოს ჩიქოვანს გრძელტარიანი ეროვნული დროშა ეკავა ხელში. მიტინგი საღამოს დაიწყო. გამოვაცხადე, რომ სიტყვა გეგეჭკორს ეძლეოდა (რეალურად ალიოშა ბოკერიას). შემდეგ ილაპარაკა ეროვნულ-დემოკრატიული ბლოკის წარმომადგენელმა [კალე] მისაბიშვილმა. იყო მოწოდებები მტკიცე, შეურიგებელი ბროლოსაკენ; „ძირს ოკუპანტები!“, „ძირს ახალი გამყიდველები!“ და სხვა. მიტინგის დაწყებიდან ერთი საათიც არიყო გასული, „ახალგაზრდა მარქსისტების“ (მენშევიკების ახალგაზრდული ორგანიზაცია) წარმომადგენელს ნიკო ყიასაშვილს ჰქონდა დაწყებული სიტყვა, რომ უნივერსიტეტის ეზოს კარებთან გაჩნდა ცხენოსანი მილიცია. კარებში ვერ შემოდიოდნენ, რადგან ბოქლომით გვქონდა დაკეტილი. კარებთან ყვირილი და ჩხუბი გაიმართა. ჩამოქვეითებული მილიცია ყორეზე გადმოდიოდა. იქიდან სტუდენტები ხვდებოდნენ და  ურტყამდნენ. ამ ჯგუფს ანდრიუშა ჩიქოვანი (ჩვენი გიმნაზიელი) ხელმძღვანელობდა. მიტინგი გრძელდებოდა. კარებთან მთავრობის მანქანა გამოჩნდა, საიდანაც ბუდუ მდივანი გადმოვიდა. კარებთან მივიდა თუ არა, რიხიანად შემოგვძახა: ბიჭებო, მე ბუდუ მდივანი ვარ. მთავრობის სახელით მოვითხოვ კარები გაგვიღოთ. გვინდა გავიგოთ, რას თხოულობთ სტუდენტები და პირობას გაძლევთ არავის დავაპატიმრებთო. ჩვენ მოვითათბირეთ და ბუდუ, ამალასთან ერთად, შემოვუშვით. იგი ჩვენს ტრიბუნასთან მივიდა. მე დრო ვიხელთე და ჩვენი დროშა შიგნით, წელზე შემოვირტყი. მდივანი აფორიაქებული ჩანდა. ეს იყო ჩემი პირველი საცნაურო ხილვა ერთ–ერთი წამყვანი ქართველი ბოლშევიკისა. მისი სახელი მრავალთათვის ჯერ კიდევ 1920 წელს იყო ნაცნობი მისი სხარტულა გამოთქმით: „Я не буду Буду если Кутаисским губернским комиссаром не буду“. რა გინდათ, რას თხოულობთ, რა არ მოგწონთო – მიმართა მან სტუდენტებს. აღტყინებულმა სტუდენტებმა ყვირილით უპასუხეს: „ძირს ოკუპანტები“, „ძირს გამყიდველები!“. სტუდენტები ძლივს დაშოშმინდნენ. რა ხალხი ხართ თქვენ, სტუდენტები, – განაგრძობდა მდივანი, – ნიკოლოზის მთავრობა არ მოგწონდათ, მენშევიკური მთავრობა არ გინდოდათ, ჩვენ მოვედით, ბოლშევიკები და არც ჩვენ გინდივართ. აბა, ვინ გინდათ თქვენ?. აქა-იქ სიცილი ატყდა, ზოგმა ტაში დაუკრა. მდივანმა უბრძანა და მილიცია მიტინგს დაერია. შეიქნა ზრიალი, ყვირილი. გავიქეცით. მე რუსთაველის თეატრის უკანა მხარის პირდაპირ, მეთულიხჩის ქუჩის №14-ში, სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ჩემი ჭიათურელი ნაცნობი ნადია კაკაბაძე და მისი მეგობარი ქეთო თუთბერიძე. სწორედ მათთან მივედი წელზე შემოხვეული დროშით. აქ ჟორჟიკა ხამაშურიძე დამხვდა. ქეთო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე  სწავლობდა,  ძალიან ბეჯითი სტუდენტი იყო [გრ. ვაშაძის მომავალი მეუღლე], ნადია კი ოპერის მომღერლობაზე ოცნებობდა. ...ქეთოსა და ნადიას, ცხადია, არ გავუზიარე ჩემი საქმიანობა და არც მიფიქრია მათი არალეგალურ წრეში ჩაბმა....ჩვენმა მიტინგმა დიდი მითქმა–მოთქმა გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ მიტინგის არცერთი მონაწილე არ დაუპატიმრებიათ – ბუდუ მდივანმა თავისი სიტყვა შეასრულა. ...

არალეგალურ სამყაროს რომ დაკავშირებოდა ვინმე, ადვილად ამას ვერ მოახერხებდა. ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა წრეს ხარიტონ სვანიძე ხელმძღვანელობდა. მეტეხში ეჭვმიტანილი ჩვენი მეგობრები ისხდნენ. მათთან კავშირი

ორმაგი ძირის მქონე პატარა ჩემოდნებით მყარდებოდა, რითაც სანოვაგეს უგზავნიდით ხოლმე რომელიმეს სახელზე. ხშირად ასეთი ჩემოდნით მეც ვყოფილვარ ატუზული მეტეხის ციხის შესასვლელთან. ერთხელ მსახიობი ანეტა იურკევიჩიც ვნახე ასეთი საეჭვო ჩემოდნით. თავი დავუქნიე, მაგრამ ერთამანეთს არ მოვსალმებივართ...როგორც ჩანს ის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული... ახალგაზრდები კვლავ არ ცხრებოდნენ...ხელმძღვანელ წრეში გადაწყდა 26 მაისისათვის დემონსტრაცია ჩატარებულიყო ინტერპარტიული და ანტიოკუპანტური. დემონსტრაციული სვლა უნდა მოწყობილიყო. უნდა შევკრებილიყავით სხვადასხვა ადგილას: უნივერსიტეტის ეზოში, რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, ქალაქის მმართველობის შენობასთან, ქარვასლის მახლობლად და გარკვეული დროისათვის დავძრულიყავით მთავრობის სასახლისაკენ და აქ მოგვეწყო მიტინგი.

ფრიალებდა ეროვნული დროშები და ისმოდა ქართული ჰიმნი «დიდება" მერე აქედან გავემართეთ ქალაქის ცენტრისაკენ. სანამ რუსთაველის გამზირს მიუახლოვდებოდით, შემოგვესიენ ჩეკისტები და კომკავშირელები, შეიქნა ხელჩართული ცემა-ტყეპა. მე, ზაქრო გელაშვილი, მიშიკო აბაშიძე, შაქრო დევიძე ერთმანეთთან ზურგშექცეულები, ერთმანეთსაც ვიცავდით და რომელი ჩეკისტიც მოგვეკარა, ცხვირ-პირს ვუმტვრევდით. მაგრამ, ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. გაჩნდა ცხენოსანი მილიცია და ასიოდე კაცი მოგვამწყვდიეს რკალში და დაგვაპატიმრეს, დაგვაწყვეს და წაგვიყვანეს სობორის [რუსული ეკლესია]უკან მდებარე ჩეკას ეზოში, სადაც გაგვათევინეს ღამე, ხოლო გათენებისას, ოთხ საათზე, წაგვასხეს მეტეხის ციხეში და გაგვანაწილეს პირველი კორპუსის საკნებში ზემო, ქვემო და სარდაფების სექტორებში, სადაც პოლიტიკური პატიმრები ისხდნენ.

მე მოვხვდი ერთ დიდ კამერაში, სადაც უმრავლესობა სტუდენტობა იყო და ინტელიგენციის წარმომადგენელი. პატიმრობაში ჰყავდათ სოსო გედევანიშვილი. ცნობილი პიროვნება, სოც.-ფედერალისტი, ომის დროს გაზეთ „სახალხო საქმის" სამხედრო კორესპონდენტი.

1905 წელს დუშეთში სოც.-ფედერალისტთა პარტიამ მოაწყო დუშეთის ხაზინის (ბანკის) ექსპროპრიაცია, რასაც სოსო გედევანიშვილი ხელმძღვანელობდა. აი, რა მიამბო სოსო გედვანიშვილმა: პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა იარაღის შეძენა დარევოლუციური რაზმის ჩამოყალიბება. იარაღის შეძენა მხოლოდ უცხოეთში შეიძლებოდა. საამისოდ ფული პარტიას არ გააჩნდა. პარტიის სამხედრო სექციამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, გადაწყვიტა რომელიმე ქალაქის სამაზრო მნიშვნელობის ხაზინის ექპროპრიაცია. არჩევანი დუშეთზე შეჩერდა, რადგან იქ პარტიის წევრებიც საკმაოდ გვყავდა და ხაზინის ერთ-ერთი მომუშავე, გვარად თუშმალიშვილი, ჩვენი თანამოაზრე იყო. უნდა მოგვეხერხებინა სახელმწიფო ბეჭდის გაკეთება. შევიგულეთ ებრაელი ხელოსანი იოახიმ მოსეს ძე შნეიდერი, რომელსაც კარგი ანაზღაურება შევპირდით. ცნობილია, რა უბედურ დღეში ჰყავდა საიმპერიო რუსეთს ებრაელობა და მათაც ისე ეზიზღებოდათ ეს ხელისუფლება, როგორც არავის. ...ბეჭედი რომ გამზადდა, ერთ დანიშნულ დღეს მივადექით დუშეთის ხაზინას. ყარაული მოვხსენით, იქ ჩვენი შეიარაღებული ხალხი დავაყენეთ. ყოველივეს ერთი საათი მოუნდა. სალაროდან 360 000 მანეთი გავიტაცეთ. შემდეგ ცხენები და მისი ჯანი – სიცილით დაამთავრა სოსომ ამბავი. გედევანიშვილს ციხის ადმინისტრაციაც კი მორი-

დებით ექცეოდა. განსაკუთრებით შულმანი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ჯალათს“ ეძახდნენ. შულმანი  პატიმრებს ეზიზღებოდათ და ერთხელ პოლიტიკურების საკანში, სადაც მეც ვიჯექი, ტუსაღები შემოეხვივნენ და მოიმწყვდიეს და გალახვა დაუპირეს. შულმანი ჯერ რიხიანად იყო, მაგრამ მერე მოლბა და წახთა. ამ ამბავს სოსოც შეესწრო და ის რომ არა, შულმანი ვერ გადარჩებოდა. შულმანმა მადლობა უთხრა და სირბილით დაეშვა ჩასასვლელ კიბეზე....მეორე დღეს ხმა დაირხა, რომ შულმანს შუაღამისას დასახვრეტად ორი „უგალოვნიკი“ გაუყვანია... ჩვენთან დიდხანს აღარ გამოჩენილა....

შულმანზე ამბობდნენ, რომ ის უშუალოდ თვითონ აწარმოებდა დახვრეტებს. იდგა 22 წლის აპრილი, ვიწექით ნარებზედ. გავცივდი და სიცხიანი გამიყვანეს და შავათ შეღებილ უფანჯრო «კარეტაში” შემაგდეს. ამ დროს ვიღაც ქალი გაჩნდა ჩემთან, ჩემი გვარი და სახელი ჩაიწერა და წამსვე გაქრა. კარეტაში ორი რუსი დედაკაცი დამხვდა პროსტიტუტკები ჩანდნენ, არხეინად გრძნობდნენ თავს. ჩვენ საგუბერნიო ციხის შენობაში არსებულ საავადმყოფოში მიგვიყვანეს, საღამო ხანი იყო და მე ღამე გამათენებინეს ე.წ. მუშათა კამერაში, სადაც მუშა სოციალ-დემოკრატები ისხდნენ მხოლოდ. როგორც აქ მითხრეს წესად დაუმკვიდრებიათ მათთვის ციხის ადმინისტრაციას, რომ მორიგეობით ყოველ შაბათს ორი ტუსაღი ორი დღით თავისუფლდებოდა, მიდიოდა სახლში და ორშაბათს დილით ბრუნდებოდა კამერაში, მორიგეობას თვით ტუსაღთა არჩეული მამასახლისი კამერისა აწესებდა...

მეორე დღეს, დილით, გადამიყვანეს საავადმყოფოში, სადაც შედარებით ჩემ სახელზედ, ისე როგორც სხვა პოლიტიკურ ტუსაღზეც შემოდიოდა პროდუქტები – შაქარი, პური, ყველი, მაწონი. როგორც შემდეგ მითხრეს ამას აკეთებდა ამერიკელთა საქველმოქმედო საზოგადოება და ის ქალიც ჩემი გვარი და მიზეზი პატიმრობისა რომ ჩაიწერა, თურმე ამ საზოგადოების წარმომადგენელი ყოფილა. მე სიცხე ანთებით პროცესად გადამექცა და არამც თუ ჭამის თავი, ლაპარაკიც მიჭირდა. როგორც შეეძლოთ მივლიდნენ, თვით ფეხზე მდგარი ტუსაღნიც. 12 დღე და ღამე დაჭირდა ჩემს გამოკეთებას. ჯანიანი ახალგაზრდა ვიყავი და იმან გადამატანია ეს დაავადება. საკმაოდ გამოკეთების შემდეგ გამიყვანეს და სამი ჯარისკაცის თანხლებით ფეხით მიმაბრაძანეს ისევ მეტეხში. მეტეხს რომ მივუახლოვდით, საიდანღაც გაჩნდა ჩემი გიმნაზიის ამხანაგი შალვა გველესიანი, მომაყვირა სად დაიკარგე გეძებთ მე და უშანგი [ჩხეიძე] და შენი გზაკვალის ვერა გავიგეთო. მოვარდა და ხელში შემომაჩეჩა ქაღალდში გახვეული სანოვაგე, რაც არ დაუშალეს ჩემმა მობადრაგე ახალგაზრდა ქართველმა ჯარისკაცებმა. მეტეხში ყოფნისას მე ხშირად გავდიოდი მეორე კორპუსში, სადაც დიდი ტაძარი იყო. იქ ტაძართან ახლოს ერთი მოხუცი იმყოფებოდა ხოლმე და ვიღაც ახალგაზრდას, რომელიც წერდა, რაღაცას კარნახობდა. ეს მოხუცი იყო სოციალ-დემოკრატი, ისიდორე რამიშვილი. მას ცალკე პატარა კამერა ჰქონია და თავისთვის იყო, არავის იკარებდა (თუ არ აკარებდნენ) ერთი კვირის შემდეგ მე გამომიძახა ვიღაც შედარებით ახალგაზრდა გამომძიებელმა. ჩემთან ერთად სხვა დაპატიმრებულნი დაგვკითხეს, როდის და რისთვის დაგვაპატიმრეს. ეს ახალგაზრდა სიმპატიური გამომეტყველების მქონე ცდილობდა ბოხი ხმით ელაპარაკა და მრისხანე ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა. გვტუქსავდა და გვარიგებდა, გვეუბნებოდა მალე მსოფლიოს რევოლუცია მოიცავს და ყოველივე მოწესრიგდებაო. დაკითხვის მეორე დღეს გაგვათავისუფლეს. როცა ბინაში დავბრუნდი დიდიმი და უშანგი სახლში არ დამხვედრიან. დიდიმის მეუღლე

თვალცრემლიანი გადამეხვია და მომილოცა განთავისუფლება. შემდეგ დიდიმიც მოვიდა სამსახურიდან, ორშაბათი დღე იყო. საღამოს უშანგიც გაჩნდა და შალვა ტყავაძეც, რომელიც ფულის საბეჭდი ექსპედიციის თანამშრომელი იყო და ყოველთვის ჰქონდა ახალი ტკიცინა ბონები. გაიმართა პატარა პურღვინოობა და სიმღერები, მომაყოლეს ჩემი თავგადასავალი და მილოცავდნენ ადვილად გადარჩენას. უშანგი ამ დროს რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობდა. ამ დროისთვის თბილისის უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამთო და მშენებელ ინჟინერთა განყოფილებებით. მე, უკვე იქ გადასული, ვისმენდი ისეთი სწავლულთა ლექციებს, როგორიც იყვნენ მათემატიოსები რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, გიორგი ნიკოლაძე, დიდებულიძე (ფიზიკოსი). სასტიკი სიმკაცრე და დისციპლინა იყო გამეფებული რაზმაძის ლექციებზე სტუდენტის სუნთქვასაც კი გაიგონებდი...

ვრცელდებოდა მრავალი ისეთი ჭორი, რომელიც იმედით კვებავდა დამონებულ ერს, თითქოს გენუის კონფერენციაზე, სადაც შეიკრიბებიან მსოფლიოს წამყვანი, მისი ბედის გადამწყვეტი, ომში გამარჯვებული სახელმწიფოთა მეთაურნი. თითქოს ერთ-ერთ საკითხათ იქნება განსახილველი საქართველოს საკითხი: მოითხოვენ რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან, რისთვისაც ამ კონფერენციაზე მოწვეულმა საბჭოთა რუსეთმა (საკავშრო მთავრობამ) უნდა აგოს პასუხი, რადგან მან მოახდინა დე იურე «აღიარებული საქართველოს სახელმწიფოს» დაპყრობა, ოკუპაცია და მრავალი იმედის ამღძვრელი ხმები ტრიალებდა მაშინ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ასეთი ხმების გავრცელებას ვფიქრობ ხელისუფალნიც შეიძლება უწყობდნენ ხელს, რათა დაეშოშმინებინათ განრისხებული ახალგაზრდობა, გარედან შემოტანილი განთავისუფლების იმედის მიცემით.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციას საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი ხელმძღვანელობდა. საქართველოდან წარმომადგენლად ბუდუ მდივანი ესწრებოდა. ... იმედით იკვებებოდა იატაკქვეშეთიც, მაგრამ...ჩვენ არ გვესმოდა, რომ საქართველოს ბედი არ წარმოადგენდა, არ ეკუთვნოდა საერთაშორისო საკითხთა ორბიტას, არ იყო იმათ ხედვათა არეში, ვის ხელშიც იყო მსოფლიო ბედ-იღბალი...გენუის კონფერენციას არ შეეძლო და არც მოუტანია საქართველოსათვის რაიმე სიკეთე. მსოფლიო ბედის გამგებელნი თურმე იმას ცდილობდნენ, რომ ბოლშევიზმის გავრცელება რამენაირად შეეკავებინათ და არ აწუხებდათ, თუ ის ყოფილი იმპერიის ფარგლებში იპარპაშებდა...წითელი რუსეთის ხელით შავრაზმული რუსეთის საქმე უნდა გაკეთებულიყო. მოვლენათა მსვლელობაც სწორედ ამის დასტური იყო: 1922 წლის 11 აგვისტოს ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს მიერ შექმნილ კომისიას (სტალინი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, სოკოლნიკოვი და რესპუბლიკებიდან – პირწავარდნილი რუსიფიკატორები) უნდა დაემუშავებინათ და ჩამოეყალიბებინათ საბჭოთა რესპუბლიკებისა და საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების პოლიტიკური ურთიერთობანი. როგორც შემდეგ, მოგვიანებით გახდა ცნობილი, კომისიას დაუდგენია, რომ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის სრული დაკარგვით, ავტონომიის მინიჭებით უნდა შესულიყვნენ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ლენინი, ავადმყოფობის გამო ამ კომისიის საქმიანობაში არ მონაწილეობდა და გორკაში იმყოფებოდა. როცა მას ეს პროექტი წარუდგინეს, არ დათანხმებულა...შემდეგ ცნობილი გახდა მისი გამოთქმა: „Великорусскому шовинизму объявляю бой не на жизнь а на смерть...“ ...6 ოქტომბერს

პლენუმმა მხარი დაუჭირა ლენინის პროექტს საბჭოთა „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების შექმნის შესახებ და „საკუთარი სურვილის“ ბაზაზე საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ამას მოჰყვა ყრილობები რესპუბლიკებში და 1922 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა. ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი სუვერენობის მოჩვენებით ნასახსაც კი. რუსეთი თანდათან აშიშვლებდა თავის ზრახვებს. მას სურდა აღედგინა ძველი რუსეთის იმპერია და, ოდნავ სახეშეცვლილი, წითელი ფერით შეზავებული. ლოზუნგები – გონების გამაბრუებელი, ამავე დროს ზუსტად მოქმედი, დაჯერებით მკეთებელი იმისა, რასაც რუსული შოვინიზმი საუკუნეები ელოლიავებოდა, მაგრამ ვერ აკეთებდა თავისი ბრიყვული პოლიტიკის გამო. აქ კი ყოველივე კეთილშობილური, თუკი რამ შეუქმნია მსოფლიო გონებას, ხელზე იქნა დახვეული: თანასწორობა? ინებეთ! თავისუფლება? ინებეთ! ერთა თანასწორობა და უფლებები თავის ცხოვრების მოწყობისა? ინებეთ! ქარხანა მუშას? ინებეთ! მიწა გლეხებს? ინებეთ! ეს ყოველივე ხომ ჩვენი ბრძოლის არსია, ალფა და ომეგაა. გვაბრალებთ რევოლუციის ბოლშევიკური მეთოდებით ცხოვრების ექსპორტს? ჩვენ მხოლოდ იქ შეგვყავს წითელი არმია, საიდანაც თხოვნა მოდის, დახმარება გავუწიოთ აჯანყებულ პროლეტარიატს. ცხადია, გამოფხიზლების, გონზე მოსვლის დრო უნდა დამდგარიყო და დადგა ეს დროც...

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 1922 წლის 15 მარტს ქართულ ემიგრაციაში ჩამოყალიბდა ინტერპარტიული კოლეგია – დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტების წარმომადგენლები. საქართველოშიც შეიქმნა 22 წლის ბოლოსთვის დამოუკიდებლობის კომიტეტი. კომიტეტში შევიდნენ, აგრეთვე, სხიველები და სოციალ-რევოლუციონერები. საამისოდ იყვნენ მზადმყოფნიც და დაეჭვებულნიც, რომელთაც აჯანყების მოწყობა და იარაღით თავისუფლების აღდგენა უპერსპექტივოთ ეჩვენებოდათ...

ჩვენი სოციალ-ფედერალისტთა პარტიის რიგებშიც არ იყო თანხმობა. მრავალნი განზედ გაუდგნენ ბრძოლის გამწვავების იდეას. მათი მოსაზრება არ იყო მოკლებული დამაჯერებლობას. ისინი ამბობდნენ – გვყავდა მთავრობა, იურიდიულად ცნობილი, გვყავდა არმია, მაგრამ როცა რუსეთი შემოგვესია, ოთხი მხრიდან, არც ერთ ევროპელმა სახელმწიფომ ჩვენს დასახმარებლად ხელი არ გაანძრია და როგორც სჩანს დღეს, როდესაც რუსეთი მომძლავრდა უფრო მეტად, ვინ და რისთვის აიტკივებს თავს ჩვენი გულისთვისო. წაწოლის პოლიტიკა ვაწარმოოთ და ფიზიკური გადარჩენისთვის ერს ხელი შეუწყოთო... ეს ჭკუა დამჯდართა, ცხოვრების სიბრძნით დამძიმებული ადამიანთა აზრი იყო, თითქოს გონივრულიც, მაგრამ ირყვნებოდა ქვეყანა, ერის სალოცავი ტაძრები, იხვრიტებოდნენ და რეპრესიას განიცდიდნენ ქართული სამღვდელოების მოწინავენი, ისე როგორც ინტელიგენციის, იდევნებოდა დაწესებულებებიდან ქართული ენა...

ბობოქრობდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სერგო ორჯონიკიძის, ამ ღრიანკალის საშოდან ნარწყევი ორფეხა ნადირის მეთაურობით...ქართველ ახალგაზრდობას ყოველივე, რაც საქართველოში ხდებოდა ბოღმით უვსებდა სულს და ეს ბოღმა ბრძოლისაკენ მიდევნიდა... როცა წაქცეულად მიიჩნიეს საქართველო, ყველა სახისა და რჯულის ერები გათავხედდნენ და თავი წამოყვეს, ყველას მოუნდა ჩვენს

უბედურებაზე ხელი მოეთბო.. ...სადაც ნიადაგი მოიძიეს, ყველგან ანტიქართულ პროპაგანდას ეწეოდნენ...აჭარაში მთავრობის თავმჯდომარედ მყოფმა თახზან ხიმშიაშვილმა, აჭარის ცაკის მესამე სესიის პირველ სხდომაზე მოწვეულთ, სოფ. ქედაში ისეთი რეზოლუცია მიაღებინა დამსწრეთ, სადაც მოთხოვნილი იყო აჭარის საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან დაკავშირება. საგანგებოდ მოწვეულ სესიაზე შალვა ელიავამ, მამია ორახელაშვილმა გააუქმებინეს ეს რეზოლუცია და აჭარის ხელისუფალნი დახსნეს. ხიმშიაშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. აფხაზეთში მსგავსი ამბავი ნესტორ ლაკობამ  მოაწყო აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნით... რისთვისაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც თავისებური ცვლილება შეიტანეს... ლაკობას ჯგუფი მოაშორეს ხელისუფლებას...მსგავსი ხასიათის ინტრიგებს ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთში, სადაც წამოწყებას საშა ჯატიევი, სანაკოევი და მათი ჯგუფი ახორციელებდა. ახალქალაქის სომხებმაც წამოყვეს თავი და მოითხოვეს ან ავტონომია, ან ერევანთან შეერთება...ყველაზე სამარცხვინო იყო სამეგრელოში დატრიალებული ამბავი. აქ წყალს ვინმე ისაკ ჟვანია ამღვრევდა, რომლის ჯგუფმა გაზეთიც კი გამოსცა: „ყაზახიშა-გაზეთიშა“, რაც მწარე სიცილს იწვევდა. ეს უკვე ერის გათიშვისა და ფეოდალური ხანის საქართველოს აჩრდილი ისახებოდა ერის პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე. ამ იდეის მცირე ამყოლმა ჯგუფმა, რომელშიც ვიღაც დადიანიც შედიოდა, კალინინს მისწერეს საჩივარი საქართველოს იმდროინდელ მთავრობაზე და მის „უკლონისტობაზე“...შეგნებული მოსახლეობა წინ აღუდგა ამ გამასხრებულ, ანეგდოტურ საქციელს...შემდეგში ჟვანია დახვრიტეს... თბილისში მოწყობილ კრებაზე ჟვანიას ინტრიგის საპასუხოდ გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც ამ უსაქციელო მოვლენის წინააღმდეგ გაილაშქრა და თქვა, რომ საქართველოს ძნელბედობის ჟამს ადგილი ჰქონდა საქართველოს რომელიმე პროვინციის პარტიკულარიზმს, მაგრამ ქართველი ერის შვილთა სიმტკიცე ყოველთვის  წინ აღუდგებოდა მისი ტერიტორიის დანაწევრებას. მე მწამს დღევანდელი წითელჩაბალახიანი საქართველო, ვიდრე სხვა საქართველო წარმოიშობოდესო. კრებას ვალია ბახტაძე, ერთი მეტიჩარა, წუნკალი ქართველი ბოლშევიკი ხელმძღვანელობდა და გამოეკიდა კონსტანტინეს გამოსვლის ბოლო ფრაზას – შენ, კონსტანტინე, რომელ სხვა საქართველოს მოელიო და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კონსტანტინე ჩეკაში გამოიძახეს და იქიდან ჩრდილოეთ ზღვისაკენ მდებარე სალოვკის საკონცენტრაციო ბანაკში [სატუსაღოდ ქცეული სამონასტრო კომპლექსი, სადაც პოლიტპატიმრები, მათ შორის ქართველები, იხდიდნენ სასჯელს] უკრეს თავი. შალვა დადიანმა ითავა და მწერალთა დელეგაცია შეიყვანა მიხა ცხაკაიასთან. ცხაკაია ღრმა მოხუცი იყო, ნახევრად გამოჩერჩეტებული, მაგრამ ვალია ბახტაძის ჯაშუშობით (იგი ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი იყო) გადაკარგული კონსტანტინე გამსახურდია შეიცოდა და გაათავისუფლებინა. ამ ამბების შესახებ თქვა საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე ცეკას მდივანმა მიხეილ კახიანმა, ერთადერთმა წესიერმა ქართველმა კაცმა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში....იგი რეპრესირებული იყო როგორც „უკლონისტი“ და დახვრეტილ იქნა ბერიას ბრძანებით.

22 წლის სექტემბერში არსენალზე წარმოებული მშენებლობა შემცირდა, მე რომელიც ისევ იქ მუშობით ვინახავდი თავს, გამანთავისუფლეს. სამუშაოს შოვნა გაჭირდა. უშანგიმ და დოდო ანთაძემ რომელნიც რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში

მუშაობდნენ ეცადნენ მე სუფლიორად მოვეწყვე თეატრში, მაგრამ ეს მე არ მიზიდავდა და უარი განვაცხადე. ლექციებს ვაცდენდი. იმ ხანად რუსთაველში დაიდგა ლოპე დე ვეგას "ფუენტო ო ვეხუნა" (ცხვრისწყარო), რამაც მთელი საქართველო შეძრა. დადგმას, უშანგის წყალობით, დავესწარით მე და დიდიმ ჭუმბურიძე. დარბაზი ინგრეოდა ტაშის გრიალით. მთავარ როლს ქ-ნი თამარ ჭავჭავაძე ასრულებდა, შეუდარებელი ნიჭის მსახიობი, სათაყვანებელი რომ გახდა ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობისთვის...

სოც.-ფედერალისტთა უფროსი თაობა, თავს იკავებდა აქტიური ბრძოლისაგან, ჩვენ კი მასში შემავალი ახალგაზრდობა საბრძოლველად ვიყავით განწყობილნი. უნდა ითქვას ეროვნულ – დემოკრატიული პარტია მთლიანად გადავიდა არალეგალურ ბრძოლის ფორმაზე და მოქმედი პარტიზანული რაზმებიც მათი თაოსნობით, ყოველმხრივი ხელშეწყობით მოქმედებდა. ნოემბრის ბოლოს მე მივატოვე თბილისი და ჭიათურას მივაშურე. შორაპანში ჭიათურა-საჩხერისკენ მიმავალი პატარა, მაგრამ ლამაზი ორთქმავალი, ვაგონებიანი, ვიწრო ლიანდაგიანი მატარებლით, „კუკუშკას“ რომ უძახდნენ სასიყვარულოდ, უნდა მემგზავრა, შორაპანში ჩემი კარგი ნაცნობი ქალიშვილი თინა წერეთელი ვნახე, აგრეთვე ჭიათურაში მიმავალი ბიტოლი ლეჟავა და მარო ჩიტაძეს. ჭიათურაში მიმავალნი ბევრი იყვნენ, მათ შორის პაოლოს მამა, ჯიბო იაშვილი, ჩვეულებრივ, ჩოხა-ნაბადში გამოწყობილი. მე შორაპნამდის «ჩემი» სპეცვაგონით, ბოლოს რომ აბამდნენ მატარებლის შემადგენელობას, უფასოდ ვიმგზავრე. შორაპანში კი თინას პატივისცემისთვის ჩემთვისაც და მისთვისაც რბილი ვაგონის ბილეთები შევიძინე.

შორაპნიდან მატარებელი გვიან გავიდა. ვაგონში მე და თინა ერთად ვისხედით და ვერთობოდით ბაასით. ჩვენს პირდაპირ ბატონი ჯიბო მოთავსდა და მალე ჩაეძინა. ეძინა თითქმის ყველას თავიანთ რბილ სკამებზედ. ბოსლევში რომ შევდიოდით სროლა ატყდა, საკმაოდ გარკვევით გვესმა მისი ხმა. მატარებელი თითქოს მოწყვეტით უცბად გაჩერდა. ჯიბოს, როგორც სხვებს, გაეღვიძა, ჯიბომ გაღვიძებისთანავე წამოიძახა – ნამდვილათ ყაჩაღები დაგვესხნენო და ნაბადში გაეხვია, თითქოს ამით აპირებდა თავის დაცვას. ათი წუთი არ იყო გასული, რომ კარი გაიღო და იარაღასხმული, მაუზერით ხელში, ბაჭუჭი მესხი გამოჩნდა. ვიცნობდი, ჩხარში გავიცანი დეიდაჩემის წვეულებაში. მე რომ დამინახა სახეზე ღიმილი აუთამაშდა, შემდეგ ჯიბოს შეხედა თუ არა, ბოდიშის მოხდით მიმართა ვაგონში მსხდომთ, ნივთები დატოვეთ და გარეთ ვაგონებთან მოშორებით მოეწყვეთო. უნდა ითქვას, რომ ვაგონში მსხდომმა პარტიულებმა ქუდებიდან და მკერდებიდან ვარსკვლავები მაშინვე დაიძვრეს, როგორც სროლის ხმა შემოესმათ. გავედით თუ არა ბატონმა ჯიბომ თავისი ნაბადი ორფად ძირს დააფინა და მე და თინაც გვერდით მოგვიჯინა. უკვე ინათა და დავინახე მოშორებით ოციოდე ცხენი იყო დაბმული, ხოლო ვაგონების ორივე მხრივ შეიარაღებული ჩოხოსანი ახალგაზრდები იდგნენ. ჩვენთან ახლოს ვიღაც სათვალეებიანი წვერმოშვებული, უიარაღო, ევროპულ ტანსაცმელში (დანარჩენები ჩოხებში იყვნენ) გამოწყობილი შუატანის მამაკაცი გაჩერდა და მასთან მალე გაჩნდა კარგი შესახედაობის, ვაჟკაცური იერის მქონე, მოკლეწვერულვაშიანი იარაღასხმული ჩოხოსანი და ამ სათვალიან ინტილიგენტს რაღაც მორიდებით უპატაკა. სათვალიანმა ხელი ჩაიქნია, თითქოს რაღაც არ მოეწონა თუ იწყინა და წასასვლელად მიბრუნებულს რაღაც მიაძახა, ბრძანების კილოთი. მე ახლოს

გავიარე და შევიცანი ეს კაცი. ეს იყო ილო ჯუღელი, ვალიკო ჯუღელის ძმა. ამის შემდეგ მალე გაისმა სტვენის ხმა. რაზმელები ორივე მხრიდან მოიხსნენ, ცხენებს მიაშურეს, მოახტნენ მათ და მწყობრად მისცეს თავი ტყეზე გამავალ ბილიკს. ჩვენ ყველანი ავდექით და შეცივნულნი შევედით ჩვენს ვაგონებში. რაზმელებს არავისთვის, მათ შორის პარტიის წევრებისთვის, არა-სახის შეურაცხყოფა არ მიუყენებით. ვაგონებში ისინი რაღაცას ეძებდნენ და ვერ აღმოაჩინეს ის, რაც უნდოდათ და ხელცარიელნი წავიდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა მათ განზრახული ჰქონდათ იმ ფულიანი ტომრების ხელში ჩაგდება ექსპროპრიაცია, რომელიც დრო გამოშვებით თბილისიდან „ჩემოს“ ვაგონით ექსპედიტორებს თბილისიდან ჩაჰქონდათ ხოლმე შორაპნამდის, შემდეგ კი „კუკუშკით“ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობისთვის რომ იგზავნებოდა ორგანიზაცია «ჩემოს” მიერ. ახლაც უნდა წამოეღოთ თურმე ეს მილიონები, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გამოგზავნა შემდეგი დღეებისთვის გადაედოთ.

ჭითურაში უკვე მიეღოთ ცნობა ბოსლევში მომხდარი ინციდენტის შესახებ და უკვე გზაში იყო ცხენოსანი, «ჩონათ» წოდებული რაზმი, ბოსლევისკენ წამოსული, რასაც ცხადია არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ ვითომ ვალი მოიხადეს. რაზმის შესახებ კი გავიგეთ, რომ მალე დაიშალა. მხოლოდ ბაჭუჭი მესხი და აბაშიძე ხუთიოდე კაცით განაგრძობდნენ მოქმედებას. ალექსანდრე (დიდი) ვაშაძემ, მაზრის ხელმძღვანელობის ჟამს, მათ მოციქულად ახლობლები მიუგზავნა _ შემოურიგდით ხელისუფლებას და დაგასაქმებთ, მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდითო. შემოუთვალეს – ალექსანდრეს კი ვენდობით, მაგრამ ჩეკას არ ვენდობით...ის არის მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონიო. ბოლოს მაინც მოხდა მათი შეხვედრა სოფ. ზემო საქარაში, ერთ ოჯახში. ალექსანდრე თამადობდა. ცდილობდა გაემხიარულებინა ყველა. მას ერთი თვისება ჰქონდა: ქეიფის დროს რომელიმე მეინახეს თავზე ღვინის ჭიქას დაადგამდა და ესროდა... აბაშიძესაც მიმართა – თუ ვაჟაკაცი ხარ, ჭიქა თავზე დაიდევიო. აბაშიძეს თავი სამართებლით ჰქონდა გადაპარსული, წვერი კი კოხტად მოშვებული, ლამაზი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. მან ასე მიმართა ალექსანდრეს: თუ ჩემი მოცილება ამ ხერხით გინდა, ვაჟკაცობად არ ჩაგეთვლება, ბატონო ალექსანდრე, დავანებოთ თავი ამას, რადგან არ გამოგადგება ჩემი ვაჟკაცობის გასარკვევადო... ალექსანდრე კი დაჟინებით მოითხოვდა. ...აბაშიძემ მასპინძლისაგან ყველაზე პატარა სასმისი მოითხოვა.... ალექსანდრემ დაუმიზნა და ჭიქა ნამსხვრევებად იქცა. აბაშიძე ალექსანდრესთან დინჯად მივიდა, მხარზე აკოცა და ასევე აუჩქარებლად გარეთ გავიდა...მათი მოლაპარაკება არ შედგა...

ჭიათურა ახლა უფრო სხვანაირად გამოიყურებოდა ლენინის მიერ შემოღებული «ნეპი” მასაც დატყობოდა. მოქმედებდნენ ახლად გახსნილი კერძო სავაჭრონი, მათ შორის რესტორანი. მაგრამ იყო უმუშევრობაც. ოჯახს უჭირდა. მე ერთი კვირა დამჭირდა უსაქმოდ ყოფნა სანამ ისევ არ მომიხერხა ბაგრატ ცომაიამ «კომუნხოზში” მოწყობა, რაშიდაც ჩემი ახალგაზრდა მეგობრებიც – ფხალაძე და ცუცქირიძე დამეხმარნენ. მე შევეცადე დავუფლებოდი ელექტროსადგურში ელექტროობის ტექნიკოსობას, იქვე იყო სამჭედლო და მოცლის დროს აქაც ვეხმარებოდი მჭედლებს, რათა ეს პროფესიაც შემეთვისებინა. საერთოდ ფიზიკურად შრომა მიყვარდა და მემარჯვებოდა, რის გამოც მამამ, ზედმიწევნით განათლებულმა ადამიანმა, თავისი მაგალითი მომცა – თუ კაცი ფიზიკურ შრომასაც არ ეწევა და მას გაურბის, ის დაჩლუნგდებაო, გვეუბნებოდა ის

შვილებს და ბაღსა და ვენახში შრომით გვაქეზებდა. იმ ხანად გავაბი კავშირი ადგილობრივ ახალგაზრდობასთან და შიგა და შიგ ვარკვევდი ვინ როგორ იყო განწყობილი არსებულ მდგომარეობასთან. ქალაქში კომკავშირული ორგანიზაციაც არსებობდა და როგორც სხვაგან აქაც ისე გამოიყენებოდნენ ყველა არა კაცურ და არა ადამიანურ საქმიანობაში, სოფლებში შესულნი კეტავდნენ და ანგრევდნენ სალოცავ კერებს, ეკლესიებს, შეურაცხჰყოფდნენ მორწმუნეთ და სამღვდელო პირთ...

ალექსანდრე ვაშაძის დახმარებით, მისი დისშვილი, ჭიათურის აღამასკომის თავმჯდომარე ნიორაძე სასწავლებლათ მოსკოვში გაიგზავნა. მის მაგივრად მოავლინეს ვინმე გოგიბერიძე, კაცი ძლიერ ვაჟკაცური და კარგი ქართველიც. მდივნათ ყავდა დუტუშა მშვენიერაძე, რომელიც ყოველთვის ცდილობდა თავისი საქციელით ხაზი გაესვა თავისი პარტიულობისთვის. ერთ დღეს გოგიბერიძეს მან შეუტანა წყება საქმიანი ქაღალდებისა, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერა, ქვეშ წარწერათ ჰქონდა «პრეკრასნოვ". გოგიბერიძემ წაიკითხა და გაოცებულმა შეხედა მშვენიერაძეს და შეეკითხა – როდის დაინიშნა მდივნათ და ვის მიერ ეს პრეკრასნოვიო. მშვენიერაძემ მრისხანება რომ იგრძნო თავმჯდომარის საუბრის ტონში მობოდიშების ტონით უპასუხა – ეს მე გახლავართ ამხანაგო გოგიბერიძე, ჩემი გვარი ბოლშევიკურათ შევიცვალე და მშვენიერაძე პრეკრასნოვათ გადავაკეთეო. გოგიბერიძე წამოვარდა ზეზე, ისეთი მაგარი სილა გააწნა, რომ მშვენიერაძე წაიქცა. გოგიბერიძემ მიაყარა შემოტანილი ქაღალდები და მრისხანებით მიაძახა წამომდგარ მშვენიერაძეს – შენისთანა პროვაკატორებია რომ ქართველ ხალხს აძულებენ ჩვენ თავს. გაეთრიე აქედან და მოხსნილათ ჩათვალე თავი დღეიდან. არამც თუ ჩემს დაწესებულებაში, ქუჩაში არ შემხვდე იცოდე, თორემ ტყვიას გესვრიო. ამის შემდეგ დუტუშა მშვენიერაძე ჭიათურაში აღარავის უნახავს...

იანვარში თბილისიდან ზაქრო გელაშვილი ჩამოვიდა და ჩემთან დაიდო ბინა. ჩამომიტანა არალეგალურად გამოცემული ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტების კომიტეტის ორგანო «მებრძოლთა ხმა", მიამბო, რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიასთან ბლოკი შევკარით და ერთობლივი გეზი შემუშავდა არალეგალური ბრძოლის, რომლის მიზანია მზადება აჯანყებისათვის, რადგან სხვა გზა არ არსებობს საქართველოს განთავისუფლებისათვისო. ინტერპარტიული კომიტეტი ყოველივეს აკეთებს იმისათვის, რომ აჯანყება ორგანიზებულად ჩატარდეს, როცა საამისო დრო დადგება. საჭიროა ჭიათურაში, სადაც სოციალ-დემოკრატების პარტია ძლიერია და სათანადო არალეგალურ საქმიანობას ანვითარებს, ჩვენი პარტიის კარგად შეკრული მძლავრი ჯგუფი შევქმნათ. შენი თბილისში ყოფნის დროსაც ჩაეყარა საფუძველი ეროვნულ –დემოკრატებთან ბლოკს, მაგრამ ეხლა ეს უფრო რეალურად გამოიყურება და უფრო საქმიანადაც. დამავალეს გადმოგცე აგრეთვე რომ რიცხობრივად მცირე იყოს და სულიერად ძლიერი გვიჯობს, წრის ოდენობას ნუ გავიხდით მიზნათო. არც თბილისში ვართ ჩვენ რიცხობრივად ძლიერი, მაგრამ რაც ვართ, ცუდად არ გამოვიყურებითო. ზაქროს ცოტაოდენი გროშით ხელი გაუმართე და ღამით გავისტუმრე... იმ ხანათ ახლო მეგობრობა გავაბი ალიოშა კოპალეიშვილთან, ალეკო მაჭავარიანთან, დათიკო კიღურაძესთან, რომელიც მილიციაში მუშაობდა, ჭუნია იაშვილთან (პაოლოს უმცროსი ძმა), ტიტიკო საყვარელიძესთან – ყველა ესენი სტუდენტები იყვნენ და ყოველმხრივ საიმედონი. ვიკრიბებოდით ჩემთან, თუ ამას საჭიროთ დავინახავდით. ყველა მათგანს დავალება მიეცა, დიდი სიფრთხილით სამ-სამი კაცი შეერჩიათ, საიმედონი და მათთან

ეწარმოებინათ საუბარი, შეეყვანათ საქმის კურსში, გაეცნოთ მათთვის მიღებული ცნობები, ამა თუ იმ მოვლენათა შეფასებანი, რაზედაც სჯა-ბაასი წარმოებდა ჩემს ძირითად ბირთვში...

ჭიათურაში ცხოვრება თანდათან ლაგდებოდა. დაწესებულებებში შემოიღეს ე.წ. „ტავარნი რუბლი» და ხელფასი ეძლეოდათ ამ მანეთით, რომელიც არ ეცვლებოდა მუშაკს და იყო მტკიცე, ჯამაგირს მიიღებდა იმ კურსით, რაც ეღირებოდა ეს მანეთი ბონებით ხელფასის დარიგების დღეს. იყო სიახლეც – ჭიათურის მრეწველობას მოევლინა ამერიკული სააქციო საზოგადოება «ჰარიმანის" სახით, რომლის ინიციატორი იყო ქართველი მრეწველი ვინმე ჯაყელი, კაცი ფაქტიურად უსწავლელი, მაგრამ დიდი კომერციული ნიჭით დაჯილდოვებული, რომელიც შუამავლობდა «ჰარიმანსა" და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. პარალელურად ჩამოყალიბდა «მანგანუმის ტრესტი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ბოლშევიკი კარპე მოდებაძე, გაჩნდნენ ახალი მოდის ნეპური პოდრიადჩიკები, რომელნიც მანგანუმის მადანს აბარებდნენ აღნიშნულ მანგანუმის ტრესტს.

მარგალიტა ვაშაძის ქმარმა მანგანუმის ტრესტში დაიწყო მუშაობა მთავარ ბუღალტრათ. მარგალიტამ იმდენი მოახერხა, რომ თავისი უნცროსი ძმები, ალექსანდრე ვაშაძის დახმარებით, გერმანიაში გაისტუმრა სასწავლებლად, ჩემი კბილა სიმონიკა და უმცროსი დავითი. დავითი გამოირჩეოდა ჭარბი ენერგიით და აქტიურობით. ორივე ძმა სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრები იყვნენ. დავითი თავკაცობდა ჭიათურაში გიმნაზიის ახალგაზრდობას, სიმონი რაღაცნაირად გულჩათხრობილი, რომ იტყვიან უენო კაცი იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სიმონი 1930 წელს დაბრუნდა სამშობლოში და გერმანულ ენას ასწავლიდა საშუალო სასწავლებელში. იგი მწარე მოსაგონარ 37 წელს გაიწვიეს მოსკოვში და იქ დახვრიტეს, როგორც გერმანიის ჯაშუში, დარჩა ცოლი და ერთი ქალიშვილი თიურა, შემდეგში – ჟურნალისტი. დავითი იქ დაქორწინდა გერმანელ ქალზე, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა, ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოს გასანთავისუფლებლად.

**1923 წელი... ჭიათურა**

ქალაქი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად ემზადებოდა... იყიდებოდა პასკის გამოსაცხობი ფქვილიც... ე.წ «ნულიანი"...ჭიათურაში ფართოდ ტრიალებდა უცხო ვალუტაც, განსაკუთრებით თურქული ლირა და ინგლისური გირვანქა. ყოველი ჯამაგირის დღეს იყო მათი ყიდვა და გაყიდვა., ცხდია, მორიდებულათ, რადგან ოფიციალურად აკრძალული იყო ვალუტით ვაჭრობა.. მათი კურსი ცვალებადობდა. ამ ამბავმა ერთი პატარა ლექსი დამაწერინა:

„ლია, ლია, ჩემო ლია,
თათრის ლირამ გადაგვრია,
ხან აიწევს, ხან დაიწევს,
მისი ვერა გამიგია"

ლექსი მალე გავრცელდა ქალაქის ახალგაზრდებში...პასკას ფურნეში ჩემი და, ბაბოც აცხობდა..ძირითადად ამას ქალიშვილები თავობდნენ. იმავე ფურნეში, სადაც ბაბო აცხობდა, აცხობდა ბაბო აბაშიძეც (ირაკლი აბაშიძის და), ახალგაზრდა მასწავლებელი. პასკის ცხობის ღამე ახალგაზრდებისათვის დროს ტარების ღამე იყო – თავისებური რიტუალი. ფურნის ახლოს ისმოდა ერთი განგაში, ხუმრობა, სიცილი...მამაჩემმა ბესარიონმა ზედარგნის ეკლესიაში ჩაატარა აღდგომის წირვა. ეკლესია სავსე იყო მომლოცველებით... ქრისტიანული სამყაროს უპირველეს დღესასწაულს ერთმანეთს ულოცავდნენ... გამთენიისას, წირვის დასრულების შემდეგ საერთო სუფრა გაიშალა. მრავალრიცხოვანი მლოცველებით აივსო მღვიმის მონასტრის ტაძარი, თამარის მიერ ნაგები წმინდა სამლოცველო...ამ მონასტერში იყო საოცარი აღსავლის კარები მთლიანად ვაზისაგან გაკეთებული, შემდეგში საქართველოს მუზეუმში მოთავსებული.

...ანტისაბჭოური ბრძოლა საკმაო ორგანიზებულ ხასიათს იღებდა. პარტიზანული ბრძოლაც ფართოვდებოდა, მაგრამ სამხედრო სექტორი გაცემული იქნა და 23 წლის გამოზაფხულს ჩეკამ თხუთმეტამდის სამხედრო პირი დააპატიმრა, მათ შორის ილიას დისწული გენერალი კოტე აფხაზი, რომელნიც სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს. გაცემა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს კალე მისაბიშვილს დაედო ბრალად, კალეს ვიცნობდი ქუთაისიდან, სადაც ის სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და იგი დირექტორის, სახელმოხვეჭილი პედაგოგის, იოსებ ოცხელის საყვარელი მოწაფე იყო. გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით და შრომის უნარით, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1920 წელს დემოკრატიული საქართველოს განათლების სამინისტროს მეშვეობით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ნაციონალიზირებული იქნა დიდი სასტუმრო «ბომონდათ" წოდებული, სახლი ორასრთულიანი, რომლის სარდაფი რესტორანს ჰქონდა დათმობილი, ხოლო ზემო ორი სართული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლათ იქნა გამოყენებული. პირველ სართულზე მე და უშანგი ჩხეიძე ვცხოვრობდით, ერთ პატარა ოთახში, ხოლო მეორე სართულის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ ზაქრო გელაშვილი და კალე მისაბიშვილი, რომელთაც ხშირად ვხვდებოდი, ხან შემთხვევით და ხანაც როცა მოვინახულებდი ხოლმე. მაშინ სტუდენტ ახალგაზრდობისთვის გახსნილი სასადილო-საჩაიე ქალაქის ცენტრში ახლანდელი ბანკის შენობის მოპირდაპირე დიდ შენობაში მდებარეობდა, სადაც ახლა დიდი უნივერმაღია. სასურსათო სასადილოს სტუდენტთა მიერ არჩეული გამგეობა მართავდა და ამ გამგეობაში, მაშინ კალეც შედიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, ამიტომ ხშირად მასთან ამა თუ იმ საკითხის გამო დაკავშირებულს სასადილოს საქმიანობასთან, მიხდებოდა შეხვედრა, ერთი ჯგუფი სტუდენტთა სახელით...

იატაკქვეშეთი სასტიკია და დაუნდობელი. იქ ძალით არავინ შეჰყავთ და თუ ნებით შედიხარ, შენი თავის იმედი უნდა გქონდეს, რომ შეგწევს ძალა რწმენით განმტკიცებული, გაუძლო მდგომარეობას და თუ ეს რწმენა არა გაქვს ასეთ ნაბიჯს ნუ გადადგამ... «დამკომმა" მისაბიშვილს სიკვდილი მიუსაჯა. კალე განმარტოვდა, არავის იკარებდა. გრძნობდა რომ გაცემას, რაც 23 წლის მაისში ბრწყინვალე მხედართა მოსპობა მოყვა, იატაკქვეშეთი არ შეარჩენდა. განაჩენის სისრულეში მოყვანა დაევალა სოციალ-ფედერალიტური პარტიის წევრს მიხეილ კოღუაშვილს. პარტიაში ცნობილ პიროვნებას. აქვე ვიტყვი, რომ 1917 წელს გრიგოლ ლაღიძის თაოსნობით მოწყობილ ექსპედიციაში –

იარაღი ჩამოეტანათ თურქეთის ფრონტისპირა რუსთა მიერ მიტოვებულ არსენა-ლებიდან, კოღუაშვილმა დიდი როლი იმთამაშა. კოღუაშვილმა საქმეში ჩაითრია კალე მისაბიშვილის სიყრმის მეგობარი ზაქრო გელაშვილი, რომელსაც ღამით კალე ენდო და კარი გაუღო, ოთახში კი ზაქროს კოღუაშვილმა შეასწრო და ნაგანით ყოველივე მოათავა.

1924 წელი....

1924 წელიც დადგა. ახალ წელს ჭიათურელები ტრადიციულად შეხვდნენ...ჩვენი ოჯახი იმედიანად შეხვდა დღესასწაულს. ამ დროს იყო ხალხისათვის დიდი დღესასწაული – ნათლისღება. ამ დროს ჭერეხთან, მდინარის პირას პატარა ჯიხური შენდებოდა, სადაც ბესარიონი ასრულებდა ხოლმე ნათლისღების ლოცვას, წყლის კურთხევას. ბოლოს მდინარეში ჯვარს ჩაასვენებდა ჯიხურის მოშორებით. ამ დროს ვინმე ხტებოდა წყალში და ამოჰქონდა ჯვარი, გადასცემდა მოძღვარს. ამისათვის იგი საჩუქარს ღებულობდა. ატყდებოდა ხოლმე თოფებისა და დამბაჩების სროლა. ამის ნიშნის მიმცემი ყოველთვის ღრმად მოხუცი საჩინო ვაშაძე იყო, მეფის დროს ჯიხურთან პოლიციელების ცხენოსანი რაზმი იდგა, რომელსაც „ოკოლოდოჩნი“ აფაქიძე ხელმძღვანელობდა და საჩინოს დამბაჩის გასროლისთანავე ატყდებოდა მწყობრი სროლა. მე საჩინო ბაბუასთან ახლოს დგომა მიყვარდა და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, როდის ისროდა იგი დამბაჩას. რასაკვირველია, ამ წელს ეს ტრადიცია ჭიათურაში არ ჩატარებულა, თუმცა ქართველ და ბერძნულ მოსახლეობასთან ერთად ბესარიონმა მაინც მოაწყო წყლით კურთხევა და შემდეგ, საღვთო დროშით მსვლელობა. ბესარიონი, ოლარში გამოწყობილი, ჯვრით ხელში, ამაყად თავაღერილი მიუძღოდა ქრისტიანულ პროცესიას. ბოლშევიკებს, კომკავშირლებს თუ პოლიციას პროცესიისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, ვერ გაბედეს – ბესარიონი ჭიათურაში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბევრი სიკეთის გამკეთებელი იყო....

24 წლის დასაწყისში ჩატარებულმა ფულის რეფორმამ, როცა შემოღებული იქნა ჩერვონეცი, რომელიც მტკიცე კონვერტირებულ ვალუტად იქცა, ძირფესვიანათ შეცვალა ცხოვრების დონის სიმაღლე. თუ კი სამუშაო ადგილი გაგაჩნდა, უმუშევრობას თავს დააღწევდი, არსებობა გიადვილდებოდა.

ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ბევრ მერყევთ გაუნელა ზედაპირული პატრიოტიზმი და თანამგზავრობის იდეას მიეკედლა. იატაკქვეშეთი მაინც მოქმედებდა და საერთო აჯანყებისთვის ემზადებოდა. 24 წლის აპრილში ჩამოვიდა თბილისიდან ალიოშა ბოკერია და ჩემთან სახლში ჩვენი წრის ძირითადი ბირთვი შევახვედრე, მან ინფორმაცია გააკეთა და კატეგორიული მოთხოვნა გადმოგვცა ცენტრის მხრივ, სულიერადაც და ყოველმხრივ მოვმზადებულიყავით საყოველთაო აჯანყებისათვის, რაც გარდაუვალიაო. ლენინის გარდაცვალებას დიდი გლოვა მოყვა ოკუპანტთა და მათ მიმდევართა გარემოცვაში. ჩვენ კი მივიღეთ პროკლამაცია სათაურით «ლენინი მოკვდა, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს»... არც თუ ბევრის მთქმელი...

აგვისტოს პირველ დეკადაში გაზეთ «კომუნისტში» გამოქვეყნდა ცნობა მეტად დამაფიქრებელი და ავის მომასწავებელი – 6 აგვისტოს დაპატიმრებულ იქნა შენიღბულად გამოწყობილი ვალიკო ჯუღელი, არალეგალურად ჩამოსული პარიზიდან.

ჩვენთვის ცხადი იყო რომ ვალიკო მოვლინებული იყო აჯანყების ერთ-ერთ წარმმართველად, გვარდიის ყოფილი თავკაცი, მისი ბელადი და სულის ჩამდგმელი. იბადებოდა კითხვა – შეიძლებოდა ვალიკოს ჩავარდნა თუ გაცემას არ ჰქონდა ადგილი. ამ მოვლენამ ბევრში შეარყია რწმენა აჯანყების პერსპექტივისადმი... მაგრამ აჯანყების საკითხი, იმდენად იყო მომწიფებული, რომ მას, როგორც აგორებულ ქვას, მხოლოდ ძალა შეაჩერებდა...

თბილისიდან ჩამოვიდა ზაქრო გელაშვილი. მან ჩამოიტანა სოც.-ფედერალისტური პარტიის ახალგაზრდათა არალეგალური კომიტეტის სახელით გამოშვებული პროკლამაცია. გამოთქმული იყო აზრი, რომ ლენინის სიკვდილი არეულობას გამოიწვევდა ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობაში და ეს იქნებოდა საბაბი დიქტატორული ხელისუფლების დამხობისა... ზაქრომ გადაჭრით მტკიცე ცნობა და დავალება ჩამოიტანა – აჯანყების დღე უცნობია, მაგრამ ის ამ თვეს ვერ გადაშორდება. მას ჰქონდა დავალებული, რისთვისაც ხელთ ჰქონდა იატაკქვეშეთის ვიზა, დაკავშირებოდა ჭიათურის მენშევიკთა იატაკქვეშეთს, რათა გამოძებნილიყო კავშირი ჩვენსა და მათ მძლავრ ორგანიზაციას შორის. მეორე დღეს ღამით ჩემთან ზაქრომ მოიყვანა ყოფილი ოფიცერი ტიტე ჩაჩანიძე, რომელსაც მე საკმაოდ კარგად ვიცნობდი, არა მარტო მას, აგრეთვე მთელ რიგ ჩაჩანიძეებს სტუდენტებს, ქუთაისის გიმნაზიის ყოფილ მოსწავლეთ, გამიხარდა ძალიან მისი დანახვა, ისიც რომ აწი ის იქნებოდა დამაკავშირებელი ჩვენსა და აჯანყების შტაბსშორის, რომელიც როგორც ტიტემ თქვა, უკვე ყოფილა ჩამოყალიბებული. მანვე გაგვანდო რომ შტაბის სამხედრო ხელმძღვანელია პოლკოვნიკი ჩაჩანიძე, ხოლო პოლიტიკური ემიგრაციიდან – გიორგი წერეთელი. ყოველივემ სიმხნევე შემმატა. მე ტიტეს უთხარი, რომ საჭიროა ჩვენი იარაღით მომარაგება, რადგან მხოლოდ ორ კაცს გვაქვს ჩვენ ჯგუფში იარაღი და ისიც ორიოდე ვაზნით. შეგვპირდა, თუმცა მთლად იმედიანად არა. იმავე ღამით ზაქრო გაქრა ჭიათურიდან... ძირითადი ჯგუფის ბიჭები შევკრიბე და გავაფრთხილე მცირე ინფორმაციის შემდეგ, რომ აჯანყების დღე გვიახლოვდება, ზუსტად არა ვიცით რა, მასში მონაწილეობას ვერავის ვერ დავაძალებთ, ეს ყველა ჩვენთაგანის პატრიოტული განწყობის საქმეა, თუ მას მივაღწევთ, დამოკიდებული იქნება მის მასშტაბებზედ და წარმატებაზედ. მთავარია მხნეობა და იმედი – ამბობდნენ ბიჭები, ყველაზე მეტად ჭუნა ბობოქრობდა...

25 აგვისტოს თბილისიდან კვლავ გვეწვიენ, ამჯერად ალიოშა ბოკერია, მოვახერხე მისი შეხვედრა ჩვენი ჯგუფის ბიჭებთან. მან გადმოგვცა, რომ აჯანყების დღედ დანიშნულია 28 აგვისტო, ღვთისმშობლობის დღესასწაულის დღეს. საქართველო ხომ ღვთისმშობლის მარიამის წილხვდომი ქვეყანაა. დილის 6 საათზე ჭუნა იაშვილი წამოდგა, პიჯვარი გარდისახა და გრძნობით, მაგრამ როხ-როხა ხმით წამოიძახა – წმინდა მარიამის და ქრისტეს მადლი ნუ მოგვაკლოს გამჩენმა ჩვენს მართალ საქმეშიო. რაღაც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი განწყობა დაგვეუფლა და ერთხანს გარინდებულები ვიყავით ყველა. გამყოლ მცველად თან ახლდა ვახტანგ ბარათაშვილი. იგი იმ ღამესვე გავიდა ჭიათურიდან, დაგვავალა _ დილის 6 საათზედ შენი ბიჭების ნაწილით გევალება პირადათ თქვენ, დაიკავოთ რკინიგზის სადგური, განიარაღოთ რკინიგზის მილიცია, დაიკავოთ ტელეგრაფი, რათა აღკვეთოთ გადაცემებია. თბილისიდან შემოსული (უფრო სწორად შორაპნიდან) მატარებლის მგზავრები

მთლიანად გადმოიყვანოთ დარბაზში, ყველას ჩამოერთვას იარაღი, რის შემდეგ ნება დაერთოს სადგურის უფროს გაისტუმროს მატარებელი საჩხერისაკენ. ყველა განიარაღებულ პარტიულს დაავალებთ წავიდეს სახლში და ქუჩაში არ გამოვიდეს. მოქმედებას დაიწყებთ მაშინ, როცა მთავარი რაზმი საშევარდნოს კლდიდან ასტეხს მილიციის შენობისკენ ზათქსო. ეს იქნება აჯანყების დაწყების სიგნალი. ერთი ჯგუფი თქვენი ბიჭებისა შეგროვდნენ ელექტროსადგურთან და ჩვენ მათ გამოვიყენებთო. როცა იარაღზედ შევახსენე, ამოიღო ორი პატარა ხელსასროლი ბომბი და ღიმილით მითხრა – თქვენ ბიჭებს ელსადგურში მისულთ შევაიარაღებთ სადარაჯოზე, ამა თუ იმ ადგილას მდგარ მილიციელთაგან ჩამორთმეულ შაშხანებით. თქვენ კი ჩვენგან ეს იკმარეთო. მე არ მივიღე ეს ბომბები, რადგან მათი გამოყენება უაზრო იქნებოდა. რადგან მარიობას დიდი ამბით იხდიდა ტრადიციულად საჩხერე და ჭიათურიდან დიდი ოდენობით მოდიოდა ხოლმე ხალხი სადღესასწაულოდ, ასე რომ სადგურში მგზავრები საკმაოდ იქნებოდა. მე ყოველივე გავახაზირე, რათა დავალება შეგვესრულებინა. შევქმენი ჯგუფი, რომელშიც ჩემთან ერთად შევიყვანე ალეკო მაჭავარიანი, ტიტიკო საყვარელიძე, დავით კიღურაძე, ხოლო დანარჩენი ბიჭები, ჭუნა იაშვილის განკარგულებაში იყვნენ, რომელსაც დაევალა ელასდგურში თავშეყრა შემდეგი მოქმედებისათვის. საქმე ის არის, რომ მდინარე ყვირილას მარჯვენა მხარეს, რომელიც ქალაქის უძველეს სამოსახლოთ ითვლებოდა, იყო განლაგებული ხელისუფლების ყველა ორგანო – აღმასკომი, მილიცია, ჩეკა და ძირითადად დარტყმა მათ მიმართ უნდა განხორციელებულიყო, მაშასადამე აჯანყებულთა მოქმედებისთვის მთავარი ძალა აქეთ იყო მიმართული. მარცხენა მხარეს იყო ფოსტა-ტელეგრაფის რკინიგზის სადგური მწარმოებელთა კანტორები, საავადმყოფო, თეატრი, კლუბი, მანგანუმის ტრესტი და სხვა. როგორი იყო ჩემი ჯგუფის შეიარაღების საქმე, იკითხავს ყოფილი საქმიანი პოლიტიკოსი კაცი, როგორი და შეიძლება ითქვას ნულოვანი. მე პირადათ მქონდა ფრონტიდან ჩამოტანილი ბერდანის სისტემის შაშხანა, ორი ვაზნით, იარაღი სრულიად მოუხერხებელი, გრძელი, მძიმე, სანადიროთ გამოსადეგი, რაც არ ჩაითვლებოდა. ქონდა იაპონური შაშხანა უვაზნოთ, რაც აგრეთვე არარათ ჩაითვლებოდა. მოკლე კაზაკური კარაბინი, ასევე უვაზნოთ. მიმაჩნდა, რომ გამოგვადგებოდა და აგრეთვე ფრონტიდან ჩამოტანილი ასკერზედ ჩამორთმეული მაუზერი, უვაზნოთ, რომლის გამოყენება შეიძლებოდა მისი მრისხანების შთამბეჭდავი და შიშის მომგვრელი თვისებების გამო. დათო კიღურაძემ ნაგანი მოიტანა ექვსი ვაზნით. ამრიგად უვაზნო შაშხანით, უვაზნო მაუზერით და ექვსტყვიიანი ნაგანით, 4 კაცი ვაპირებდით დავალების შესრულებას. დილის 5 საათისკენ სადგურის წინ მდებარე «პლატფორმებში» უნდა განვლაგებულიყავით... რა პოზიციებზე ვიდექით მე და ჩემი ჯგუფის წევრები? მენშევიკური ხელისუფლების აღდგენისათვის ფრჩხილსაც კი არ ავიტკივებდით, ჩვენ გვინდოდა აღდგენა დამოუკიდებლობისა იმ საზღვრებში, რომელიც არსებობდა 1921 წელს, რუსეთის შემოსევამდის. ვიზიარებდით ექსპროპრიაციის გამოყენებას მსხვილ მემამულეთა და კაპიტალისტთა მიმართ, სახელმწიფოს მოწყობას დემოკრატიულ საწყისებზე ყველა სახის პრივლეგიების მოსპობით, სახელმწიფოს ხელში მსხვილი მრეწველობის, წიაღისეული სიმდიდრისა და საგარეო ვაჭრობის მოქცეით. ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო მცირემიწიანი მეურნეობები და ქალაქად– ხელოსნობა. მჭიდრო კავშირი როგორც რუსეთთან ასევე ევროპულ სახელმწიფოებთან. ამ შეხედეულებებს მე ვაცნობდი თბილისში, რაც

არსებულ ახალგაზრდა სოც.-ფედერალისტთა არალეგალურ შეხვედრებზეც მომისმენია. არავითარი ავტონომიები საქართველოს შიგნით, რადგან ეს იყო საქართველოს დასაუძლურებლად მოგონილი აბსურდი. ამრიგად, ჩვენ ვიცოდით, რატომ ვიბრძოდით და ეს ძალასა და რწმენას გვმატებდა.

27 აგვისტოს საღამოს მეჩვენებოდა, რომ ქალაქი შეიცვალა, რაღაცნაირად მოლოდინში იყო, მეჩვენებოდა, რომ ჩვეულებრივზე მეტი ჟრიამული იყო სადგურზე. როგორც ჩვევად იყო გადაქცეული მოსახლეობის მრავალთაგანი, მეც სადგურში გავედი, შორაპნისკენ მიმავალ საჩხერიდან შემოსულ მატარებლის დასახვედრათ, ნაცნობ – მეგობრებთან შესახვედრათ. მაინტერესებდა გამეგო, თუ ხვალინდელი დღის ამბების მოსალოდნელი პერსპექტივების რაიმე ნასახი თუ დაეტყობოდა და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ქონდა, რომ სადგურის უკან თხელ ტყეში, ერთ საკმაოდ გამორჩეულ ხეზედ, ქართული სამფეროვანი დროშა ფრიალებდა. ამას ხედავდა ყოველი სადგურში მყოფი ადამიანი, სადგურის მილიციელი, პარტიის წევრები და ყველა ისე იქცეოდა, თითქოს ვერ ამჩნევდნენ ამ სამფეროვან ეროვნულ დროშის ფრიალს. ჟრჟოლამ ამიტანა, მის დანახვაზედ და ძლივს შევიკავე თავი რომ არ მეკივლა «გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!”. ვერავითარი ახსნა ვერ მოვუძებნე ამ უცნაური მოვლენას. ვინ გააკეთა ეს მტერმა, გამცემმა თუ უჭკუო მოყვარემ? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ან რით აიხსნება რომ ხელისუფალნი, მათი ერთგულნი, არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ, თუმცა ნათლად ხედავდნენ თავისუფალი საქართველოს ამ სიმბოლიკის ამაყ ფრიალს. ვერ მოვახერხე გამერკვია ვერც იმ ხანად, ვერც მრავალი წლის შემდეგ, თუ ვინ ჩამოკიდა ეს დროშა და რატომ არ ჩამოხსნა ის მილიციისა და ჩეკას მუშაკებმა. რაღაცის მოლოდინში იყვნენ და შიშს გვრიდა მათ, რადგან მყარათ ვერ გრძნობდნენ თავს?...

28 აგვისტოს, გამთენიისას, მე ჩუმად ავდექი და სახლიდან ისე გამოვედი, არავის გაუგია. ისე ვიარე, კაცი არ შემხვედრია. ღამის სამი საათი იყო. მე მაუზერით, ალეკო შაშხანით, დათიკო ნაგანით და ტიტიკო უიარაღოთ „პლატფორმებში“ განვლაგდით. დილის 6 საათზე ისეთი მგრგვინავი შაშხანათა ბათქი ატყდა, რომ მთელი მოსახლეობა ფეხზე წამოყარა. ბათქი საშევარდენოს კლდიდან მიმართული იყო მილიციის და აღმასკომის შენობათა წინააღმდეგ. ამ დროს აბანოს მგრგვინავი სიგნალი უნდა ჩართულიყო, რაც დავალებული ჰქონდა მოხუც ვასო არჩაიას, ვისაც შეეშინდა და ეს არ გააკეთა. ჩვენ შევიჭერით სადგურში და ყოველნაირი წინააღმდეგობის გარეშე განვაიარაღეთ რკინიგზის მილიცია, შევიძინეთ პისტოლეტებიც, შაშხანებიც და, რაც მთავარია, ვაზნები. მილიციელები თავის საკუჭნაოში შეგვიძღვნენ და სამარქაფო ვაზნები ჩაგვაბარეს. ისინი მშვიდობინათ გავუშვით სახლებში. დავიკავეთ ტელეგრაფი, სადგური. ტიტიკო გავგზავნე და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა დავკეტეთ. დარაჯი სახლში გავისტუმრეთ. გაღმიდან ისმოდა ყიჟინი და სროლის ხმა. მალე მატარებელიც შემოვიდა შორაპნიდან. ხალხი შევაქუჩეთ დარბაზში და თავაზიანათ მოვითხოვეთ, იარაღი, რაც ცოტას აღმოაჩნდა. მე პირადათ დიდი თავაზითა და ბოდიშით ჩვენს შორებელ ნათესავს კოლია ბარათაშვილს ჩამოვართვი და წელზე დავიკიდე. პისტოლეტში შვიდივე ტყვია იყო. სადგურის უფროსს დავრთე ნება მატარებელი საჩხერისაკენ გაეშვა. დილის 10 საათისთვის ქალაქი მთლიანად აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მალე სადგურში მოვიდა ტიტე ჩაჩანიძე, მას მოყვა ყოფილი ოფიცერ დათიკო ჩხეიძე, ჭიათურის თეატრის მსახიობი. მათ გვიამბეს, რომ მილიციის შენობაში

გამაგრებული იყვნენ მილიციის უფროსი «სიკოვიჩი" (პატარა ალექსანდრეთ წოდებული, ვაშაძე) თავისი მილიციელებით, აგრეთვე აღმასკომის თავმჯდომარე, ტარასი მგალობლიშვილი, ჩეკას უფროსი მიშა ლომიძე და არ აპირებდნენ დანებებას, მაგრამ როდესაც ლადია ვაშაძემ ყუმბარა გადააგდო შენობის მიმართულებით და იღბლათ არ გასკდა, მათ იარაღი გადმოყარეს და დანებდნენ აჯანყებულთ...

მე და ტიტე ჩაჩანიძე სადგურის ტელეგრაფში შევედით და ზესტაფონს დაუკავშირდით, კითხვაზე – რა ამბავია მადეთო, რაზე კითხულობთ, აქეთ მშვიდობააო, რამაც ცუდ ხასიათზე დაგვაყენა, მაგრამ არ ვიმჩნევდი არც მე და არც ტიტე. ამასობაში ერთი ორთქმავალი, რომელშიც ჩემი ნაცნობი ჯაფარიძეც იჯდა, როგორც თვალი მოვკარი, ნელა ზოზინით ჯერ „პლატფორმებში" შევიდა, მერე იქედან გამოსული დასავლეთისკენ გასრიალდა და სწრაფად მოკურცხლა ზესტაფონისკენ, რაც ძალიან საეჭვოთ აღვიქვით. ტიტე ამ დროს წასული იყო შტაბში. სადგურში გამოჩდნენ ახლო მცხოვრები ქალიშვილები, რომელთაც აინტერესებდათ გაეგოთ თუ რა ხდებოდა ქალაქში, ორი მათ შორის თამარ გოგოლაშვილი და მარუსია ხეჩინაშვილი – ჩემი კარგი ნაცნობები. ვუთხარი, რომ ახლავე გასცლოდნენ აქაურობას-ჩემი თხოვნა მაშინვე შეისმინეს. შუადღისით ტიტე მოვიდა რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდით. გადამეხვია მე და ჩემს ბიჭებს, სადგურის უსისხლოდ აღება მოგვილოცა. მერე ჩუმათ მითხრა, შორაპნიდან გამოდის ერთი თუ ორი ვაგონი შეიარაღებული პარტიულები მოყავს ჭიათურაში, საჭიროა გზის გადაკეტვაო. სადგურის უფროსს ორთქმვალი და ერთი ვაგონი მოსთხოვა, თანაც ლიანდაგის ასაშლელი იარაღები. მეც მასთან ერთად წავედი. სადგურში დათიკო ჩხეიძე და რამდენიმეშეიარაღებული კაცი დავტოვეთ. შორაპანს რომ მივუახლოვდით, გავჩერდით, ორთქმავალი და ვაგონი ერთ კილომეტრზე უკან გავისტუმრეთ და ლიანდაგები ავყარეთ. რის შემდეგაც ტყეს შევეხიზნეთ. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ შორაპნიდან ერთი ვაგონი, რომელსაც წითელი დროშაც ჰქონდა წინ დამაგრებული, შეიარაღებული ხალხი მოგვადგა. მემანქანემ მაშინვე შეაჩერა ორთქმავალი, რადგან აყრილი რელსები დაინახა. ჩვენ სროლა ავტეხეთ და ორთქმავალმაც უკუსვლა დაიწყო. არავინ დაშავებულა. უნდა ითქვას, რომ მითითება იყო, ზედმეტ სისხლისღვრას მოვრიდებოდით. ჩვენივე ორთქმავლითა და ვაგონით დავბრუნდით. გავწიეთ საჩხერისაკენ და საღამოს უკვე იქ ვიყავით. დათიკომ გვითხრა, რომ ჭიათურის ადმინისტრაცია და ჩეკა-მილიცია დაპატიმრებული არიანო. დავუკავშირდით საჩხერეს და ისიც აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. ტიტიკო წავიდა შტაბში, რომელსაც პოლკოვნიკი ჩაჩანიძე ხელმძღვანელობდა. ხელმძღვანელ შტაბში აგრეთვე შედიოდნენ დიმიტრი აბაშიძე, გიორგი წერეთელი და მე... აქ ყოველივე მოთავებული იყო და ქალაქი მართლაც აჯანყებულთ ეკავათ. საქმეს თავობდნენ ჩემთვის უცნობი ადამიანები. კარგად მიგვიღეს, როცა გაიგეს, რომ ხვალ დილით ჭალისკენ გავუყვებით, ცხენები დაათვალიერეს და დააჭედეს. დილით ჩემთან მოვიდა გრიშა გამყრელიძე, ტყეში გასული აბრაგი, რომელიც ხელისუფლებამ შეირიგა და მე დავესწარი როგორ გადაიღო მასთან სურათი «კომუნხოზის" ეზოში თბილისიდან ჩამოსულმა ჩეკისტმა, ვინმე ბახტაძემ.... გრიშა გამყრელიძემ მითხრა რომ მას ყავს რავაკაციანი ცხენოსანი რაზმი, ახლად ჩამოყალიბებული და სურვილი აქვს ჩვენ შემოგვიერთდეს და ჭალაში წამოვიდეს. მე დავთანხმდი იმ პირობით, რომ რაზმი მთლიანად იმოქმედებდა ჩემი სურვილის და გეგმისამებრ, რაზედაც მან ნიშნათ

თანხმობისა, ორივე ხელი ასწია მაღლა. დილას 11 საათზე გაუდექით სოფ. ჭალისკენ.. ჩვენ ნელა მივდიოდით, გავლილ სოფლებში არსებულ მდგომარეობას ვეცნობოდით და შუადღით ჭალაში ავედით. აჯანყებულებს ერთი ხანდაზმული თავკაცობდა. ადგილობრივი პარტიულები და სოფლის ბატონ-პატრონნი დაეპატიმრებინათ და დამწყვდეული ჰყავდათ საბჭოს სარდაფში. ვიხმე თავკაცი და წინადადება მივეცი დაპატიმრებულნი გაეთავისუფლებინათ, რაც მან მაშინვე შეასრულა... ერთმა ოჯახმა ჩვენ ოთხი და გრიშა გამყრელიძე სახლში მიგვიწვია და დაგვაპურა. გვითხრეს რომ ოსეთის მოსახლეობამ კაცი გამოგზავნა დავალებით, რათა ეცნობებინათ, რომ ჩვენ არ ჩამოვალთ მანდეთ, ნურც თქვენ შემოგვიტევთო, რაზედაც თანხმობა მიიღეს. მალე საჩხერეში ჩავედით. რკინიგზის სადგურისკენ ავიღეთ გეზი. ქალაქი უსიცოცხლო ჩანდა. სადგურში რომ ჩავედით, მის მახლობლათ მჯდომ ოციოდე შეიარაღებულ ახალგაზრდას მოვკარით თვალი, რომელთა შორის იმყოფებოდა პატუკა (პავლე) ვაშაძე, ჩემი მოგვარე, გარე ბიძაშვილი, რომელიც მაშინვე დაიძრა შესახვედრად. როგორ არის პატუკა საქმე, დაიღუპა ყოველივე-მეთქი შევძახე. განვმარტოვდით და მოყვა: დღეს დილით თვითმფრინავები გაჩდნენ ჭიათურის თავზე, შუადღით კი ჯარი და ტალახაძის მეთაურობით სამხედრო სკოლის კურსანტები. დიდი ბრძოლებია ჩხარში, აჯანყება მოედო დასავლეთ საქართველოს, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველებაო. ახლა რას აპირებ მეთქი და დაღამდება, დავნაწილდებით და მოვედებით შორეულს სოფლებსო. შევედი სადგურში და უფროსს ჭიათურის სადგურთან დაკავშირება ვთხოვე. მან კი მიპასუხა ქირქილით – ჭიათურაში უკვე აღსდგა საბჭოთა ხელისუფლებაო. მე მაგრად შევუკურთხე მას და მის ხელისუფლებას. მინდოდა ამეფეთქებინა ტელეგრაფიც, ტელეფონის ქსელიც, რომ სადგურის უფროსს არაფერი გადაეცა ჭიათურაში ჩვენ შესახებ, მაგრამ სადგურის უფროსი აღმოჩნდა მარუსია ხეჩინოვის მამა, დამიჩოქა და მთხოვა – ნუ იზამ ამას და სიტყვას გაძლევ არავინ მივუშვა მათზე, სანამ თქვენ საკმაოდ შორს არ იქნებით საჩხერიდან. გამოვედი გარეთ პატუკას გადავეხვიე და გამოვემშვიდობე, გრიშა გავიხმე გვერდზე და ავუხსენი თუ როგორი მდგომარეობა არის შექმნილი, საჭიროა გავეცალოთ აქაურობას და ეგებ სადმე ტყეს შევაფაროთ თავი-მეთქი. მითხრა, ჩემთან მყოფი ყველა გამყრელიძეა, წავიდეთ ზოდისკენ და იქ გადასასვლელამდე ეგებ დღეს მივიდეთ და მერე მოვიფიქროთ ყოველივეო. დარკვეთში ზოდისკენ ასასვლელს რომ ავუყევით, დარკვეთის სადგურის მისადგომიდან ბათქით სროლა აგვიტეხეს, ჩვენ სასწრაფოდ დავქვეითდით, ხეობის გადამყურე სერზე განვლაგდით და ისეთი ცეცხლი გავხსენით, რომ ეტყობა ამას არ მოელოდნენ. როგორც გავიგეთ შემდეგ, ტალახაძე იყო თავის რაზმით. ბრძოლა თითქმის ერთი საათი გაგრძელდა, ჩვენ წყვეტილად ვისროდით, რადგან ტყვია-წამალი თითქმის შემოგვეხარჯა, მცირეღა დაგვრჩა. ჩვენ უფრო მოხერხებული პოზიცია გვეკავა და უფრო იმედიანად ვიყავით განლაგებულნი. ყოველივე შეწყდა შეღამებისას და ვინაიდან აქაურობას კარგად იცნობდა გრიშა გამყრელიძე, მას მივანდე მეგზურობა. ვიარეთ ღამე და შუაღამემდე სიარულის შემდეგ ნელი, ფრთხილი სვლით გავჩერდით ტყეში, ცხენები გავლამბეთ და ჩვენ კი მივეყარეთ დასაძინებლათ ქანცგამოლეულნი. გზაში ერთ-ერთი გამყრელიძე ჩამოგვშორებოდა და თავის სოფელ ზოდში ჩასულიყო, გამყრელიძეები სოფ. ზოდის ძირითადი მცხოვრებნი არიან და დილას ამოვიდა ცხენით, პურღვინით, ერთი დიდი ტიკი ღვინით, რგვლად მოხარშული ქათმები, ყველით, მჟავეულობით და

მწვანილით. თან ამოყვა კარგად შეიარაღებული ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა ბორის გამყრელიძე, რომელმაც გვამცნო, რომ ჩხარში დიდი ბრძოლებით ხელიდან ხელში გადავიდა დაბა ჩხარი, რომ ჭიათურა აივსო ჯარით, სწარმოებს დაპატიმრებები, აჯანყებას ადგილი აქვს გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, მაგრამ ბრძოლა მაინც წაგებულია და რა მოგველის, კაცმა არ იცისო.

პურღვინოს ლაზათიანად შევექეცით, ღვინომ თავისი ქნა უჟმური განწყობა ოდნავ მაინც შეანელა, დავიწყეთ თათბირი, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ, ტყვია-წამალი მცირე გვაქვს. ერთადერთ ხსნად გვეჩვენებოდა ჩრდილო კავკასიაში გადასვლა და იქ ქართულ სოფლებში თავის შეფარება წალიკ-წალიკ სიარულით, ისიც ღამით. მოვითათბირეთ, პატუკას რაზმი ჯრუჭის ხეობით გავიდოდა, თავს შეაფარებდა, შემდეგ კი დაიშლებოდა. მე კი ჩემი ცხენოსანი რაზმით ზოდისაკენ წავიდოდი. გამყრელიძეები დაჟინებით მოითხოვდნენ ისეთ ადგილებში შევეხიზნებით, რომ კაცი ვერ მოგვაგნებსო. მე და პატუკა ერთმანეთის გასამხნევებელ სიტყვებს ვერ ვპოულობდით. იმასაც ვწუხდით, რომ ოჯახებს აგვიწიოკებდნენ. შუადღისით საჩხერიდან ოთხი კაცი მოგვადგა, გვითხრეს ტალახაძე ბობოქრობსო თავისი კურსანტებით და მას გამოვექეცითო. ისინი მასწავლებლები იყვნენ. მათ თუ მოგვაგნეს და ჩვენსკენ გზა იციან, განა ჩეკა ვერ მოგვაგნებს– მეთქი, ვფიქრობდი. ჩემი აზრი გვუზიარე ყველას. ღამით დარაჯების მორიგეობა დავაწესეთ. გამთენიისას კლდის თავზე ადამიანთა მოძრაობა შენიშნა დარაჯმა. ფრთხილად, ცოცვით გავედი მის ძირისაკენ. უკან ალეკო მაჭავარიანი მომყვებოდა. დაფერდებულ ადგილს რომ მივუახლოვდით, ალეკო ხეზე ავგზავნე. მან დაათვალიერა იქაურობა და დაადასტურა, რომ შეიარაღებული მილიციელები გვიახლოვდებოდნენ. რაც მთავარია, ტყვიამფრქვევების დადგმასაც ვხედავდით....ვფიქრობდით, რომ ჭიათურის „ჩონი“ გამოგვიგზავნეს. დავბრუნდით ბანაკში. გამოსავალი ერთადერთი იყო – ღამით ამ უბანს უნდა გავცლოდით, მაგრამ სად წავსულიყავით? თუ მართლა თერჯოლა-კაცხისაკენ ბრძოლები მიდიოდა, იქით სჯობდა გადახვეწა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ სხვა ადგილებშიც სწარმოებდა ბრძოლები? ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში, მაგრამ ვისთვის გამემხილა. მივედით ჩვენს სამყოფელში და ...გადავწყვიტეთ კაცხისაკენ წასვლა ღამით. გამყრელიძეებიც დავითანხმეთ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ბორის გამყრელიძემ, რომელმაც მაგრად შეუტია ზოდელებს – ამის მეტი თუ არ შეგეძლოთ, იარაღს ხელს რას კიდებდითო. საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე გამოგვეჩინა, თავდაცვაზე გვეფიქრა ყველას თავისი ადგილი მივუჩინეთ მილიციელების თადასხმის შემთხვევაში. მაგრამ მოხდა მოულოდნელი... დარაჯმა თეთრი ბაირაღით ხელში, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ჭიათურაში ცნობილი მილიციელი გიორგი (გოგია) მამულაიშვილი შემოიყვანა. მე მას კარგად ვიცნობდი. ერთხელ, რესტორანში ვიჯექი ბიძია ნესტორთან და ალექსანდრე ხვედელიძესთან ერთად. ალექსანდრე სოც.-ფედერალისტთა რაზმში იყო 1918 წელს თურქებთან ბრძოლის დროს. გოგია რესტორანში შემოვიდა და დაუპატიჟებლად შემოგვიჯდა სუფრაზე. არ მესიამოვნა, დამცინავად იქცეოდა და მახსოვს, სილაც გავაწანი, ნესტორ ბიძიამ ძლივს დამაშოშმინა. ...და ეს კაცი გამჩენმა ასეთ გამწარებულ მდგომარეობაში მყოფს მომივლინა. გოგია მოვიდა, რიხით მოგვესალმა და თქვენც აქ ბრძანდებითო – მითხრა. ამ სიტყვებში დაცინვა ვიგრძენი და ცეცხლი მომეკიდა. ახადეთ იარაღი მაგ წუნკალს – მეთქი – დარაჯებს ვუბრძანე.

იმწამსვე განაიარაღეს. მამულაიშვილს ფერი ეცვალა და მითხრა: მე ზავისათვის მოვსულვარ და თქვენ რას მიპირებთო. დაჯექი და გვიამბე, ვინ რა დაგაბარაო – უთხრა ალეკო მაჭავარიანმა და გოგიაც ალაპარაკდა: ალბათ თქვენ არ იცით, რომ აჯანყება ყველგან არ მომხდარა და სადაც მოხთა, იქ ჩაქრობილია. აზრი აქვს აწი თქვენს ბრძოლას? ჩვენი რაზმი 40 კაცისაგან შედგება, ყოველმხრივ შეიარაღებულია, ტყვიამფრქვევიც გვაქვს, განლაგებულია თქვენს მახლობლად და ფაქტიურად თავზე გადგივართ. ტყვიამფრქვევის პირველი ზალპის შემდეგ თქვენგან არაფერი არ დარჩება. ჩვენ არ გვინდა სისხლისღვრა და გვინდა ყოველივე მშვიდობიანად დავამთავროთ. ჩვენს რაზმს ალექსანდრე (პატარა) ვაშაძე ხელმძღვანელობს. მან შემოგითვალათ, იარაღი ჩაგვაბარეთ და შინ მშვიდობით წადითო. თუ ამ ამბების დროს ვინმეს ვინმე შემოაკვდება, ჯობია გაგვშორდეს, დანარჩენს გარანტიას ვაძლევ სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ. მოსაფიქრებლად ერთ საათს გაძლევთ და შემდეგ იარაღს ავამოქმედებთო. ცხადი იყო, რომ ულტიმატუმი წამოგვიყენეს. ბიჭებს დავავალე გოგია მცირე ხნით გაეყვანათ, ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდით. ამის შემდეგ მივმართე: ალექსანდრე სიკოს ძე ვაშაძე ბაბუაჩემის, იაკობის ძმისშვილია, ე.ი. ბიძად მეკუთვნის. ჩვენს სახლებს ერთი ქუჩა ჰყოფს. მე მას ყოველმხრივ ვენდობი, მაგრამ შეიძლება მისი მოცემული დაპირება არ შესრულდეს, რადგან მაგაზე მაღლა სხვაც დგას, ვისაც ჩეკაც კი ემორჩილება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თბილისიდან ჭიათურაში შემოსულ რუსის ჯართან ერთად ამიერკავკასიის ჩეკას (ზაკჩეკა) წარმომადგენელიც წამოყვებოდა და ალბათ ისიც, ვინც დიდი უფლებებითაა აღჭურვილი. აი, ისინი იქნებიან ჩვენი ბედის გადამწყვეტნი და არა ჭიათურის ხელისუფალნი. ასე რომ სრული გარანტიის ძალა ალექსანდრეს დაპირებას არ გააჩნია. საჭიროა, დრო მოვიგოთ, რაღაცნაირად ღამით გავიდეთ აქედან და ჩხარისაკენ გადავიდეთ. გრიშა გამყრელიძე არ დამეთანხმა, რადგან ენდობოდა ალექსანდრეს. ის გულწრფელია, გაგვაფრთხილა კიდეც, თუ ვინმეს ვინმე შემოგაკვდათ, გირჩევთ, თავს უშველოს და გაგვეცალოსო – ამბობდა გრიშა. უმრავლესობა მას მიემხრო. ყველას სჯეროდა ალექსანდრეს ვაჟკაცობის. დიდხანს ვარწმუნებდი, რომ ალექსანდრე ყოვლისშემძლე არ არის და არც იმას იზამს, რომ ჩვენი გულისათვის ვინმეს შეედავოს. ბოლოს გადავწყვიტეთ მივენდოთ, იარაღი ჩავაბაროთ, მაგრამ აქ კი არა, ჭიათურაში. ჩვენ ჩვენი იარაღით წავიდეთ, მათი თანხლებით, მშვიდობიანად ჩასულნი ჭიათურაში განვიარაღდეთ. მოვიხმეთ გოგია მამულაიშვილი და ყოველივე გადავეცით. გოგიამ თავისი იარაღი მოითხოვა. მე უარი ვუთხარი – როცა შერიგება მოხდება, შენს იარაღსაც მაშინ მიიღებ-მეთქი. გრიშა გამყრელიძემ შემოგვთავაზა ჩვენი კაცი გაგვეყოლებინა. დავთანხმდი და კარგად შეიარაღებული ბორის გამყრელიძე გავაყოლე, თან დავაბარე, ჩვენ ქვემოთ, ტბასთან დავხვდებოდით და თვითონაც იქ ჩამოსულიყო და იქიდან წავიდოდით ზოდისაკენ. საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა ბორისი დაბრუნდა და ამბავი მოგვიტანა, რომ ალექსანდრე თანახმაა, მხოლოდ იარაღს ჭიათურაში კი არა, ზოდში ჩამაბარებთო. ჩვენთვის ესეც კარგი იყო, რადგან ჩვენს „კაპრიზსაც" გაუწიეს ანგარიში.... ახალი კაცი გამოჩნდა, დროშის გარეშე, ეს იყო მილიციელი ჩიხლაძე. ჩვენ თანხმობა გავეცით ყოველივეზე. ის მოვიდა ჩემთან და მითხრა, გოგია მამულაიშვილს ისეთი სილა გააწნა სიკოვიჩმა, რომ სისხლი ადინა ცხვირიდან, იარაღი როგორ ჩააბარე, უნდა მომკვდარიყავი და არ ჩაგებარებინაო. მე მას ვკითხე როგორ და სად შევხვდეთ ერთმანეთს ეს ორი რაზმი მეთქი. მან გადმოგვცა

ალექსანდრე სიკოს მე ვაშაძის დავალება, რომ ჩვენ გავალთ ტყიდან ცხენებით და გზაზე ტბასთან დაგვხვდებიან ისინი და ერთად ჩავალთ ზოდში. მე ისე, რომ სხვას არ დაენახა მოფარებულ ადგილას დავმალე მაუზერი და ჩავილაგე შარვლის ტოტსა და კრაგის ყელს შორის მე გალიფე შარვალი, კარაგები და ქართული ღილკილოებიანი ბლუზა მეცვა, ქართული ქამრით, წელს შემოკრული. ბრაუნინგი მოვიხსენი და ჯიბეში ჩავიდე, არც იმის ჩაბარებას ვაპირებდი... რაზმი მხედრულად დავაწყვე, წინ მე დავუდექი ალექსანდრეს თეთრ ცხენზე ამხედრებული. ცოტა ხანში ალექსანდრეც გამოჩნდა, რაზმი კი ქვეითი ახლდა. მე წინ წავედი და ალექსანდრეს მხედრული სალმით შევეგებე. ყოველივეს მოველოდი, მაგრამ თუ შენ აქ გნახავდი, არ მეგონაო – მითხრა მან. მე რაზმთან დავბრუნდი და ბრძანებაზე „ცხენიდან სხედ!“, ყველა ჩამოქვეითდა და მხედრულად გაიჭიმა. ეს ყოველივე მოფიქრებული გვქონდა, რათა ბანდიტები კი არ ვგონებოდით, არამედ ნამდვილი მხედრები, დისციპლინირებულნი და მიზანსწრაფულნი. ჩემს რაზმში ყველა ჯარში ნამსახური იყო და ამდენად, მხედრულად უვიცნი არ იყვნენ. მე ალექსანდრეს თავისი ცხენი გადავეცი, სხვებმაც მილიციელებს ჩააბარეს ცხენები. რაზმს ვუბრძანე – „რაზმეულო, ზოდისაკენ იარ!“ და ფეხაწყობილი რაზმიც ზოდისაკენ დაიძრა.

ზოდში შებინდებისას ჩავედით. ზოდელებმა დიდი ვახშამი გააწყვეს, რასაც არაფერი აკლდა ხაჭაპურიც კი. ჩასვლისას ერთ ოთახში ალექსანდრე მოთავსდა, მაგიდას მიუჯდა და სათითაოდ შევდიოდით, გვარს სახელს და მამის სახელს იწერდა და გვერდზე თუ რა იარაღი ჩააბარა ის აღინიშნა. მილიცია გარს შემოერტყა სახლს, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. უნდა ითქვას, რომ იმ ოთხი მასწავლებელმა მოლაპარაკების დროს მიგვატოვეს და კაცმა არ იცის საით წავიდნენ. გაირკავა აგრეთვე, რომ კარგად შეიარაღებული ბორის გამყრელიძეც ზოდში შემოსვლისას გაქრა, თავს უშველა. მე შაშხანა-კარაბინი ჩავაბარე, ალექსანდრემ მითხრა ის ბრაუნინგი სად წაიღე გოგია მამულაიშვილის რომ აართვი, რას ვიზამდი, ისიც ამოვიღე ჯიბიდან და ჩავაბარე. შემდეგ ვახშმად დავჯექით, რომელსაც არც ერთი მილიციელი არ დასწრებია, მხოლოდ მათი უფროსი ალექსანდრე ვაშაძე დაესწრო, ის თამადობდა მაგიდას...არ ჩანდა ბორის გამყრელიძე. იგი მიიმალა. ვაშაძე ამ ამბავს თავშეკავებულად შეხვდა. ალექსანდრე ფერდაკარგული და იერდაკარგული მეჩვენა. რა ტრიალებდა მის გულში, კაცმა არ იცის. ალექსანდრეს ჩემთვის არავითარი საყვედური არ უთქვამს, აჯანყებაში ჩემი მონაწილეობისათვის. მან პირველი სადღეგრძელო საქართველოს მიუძღვნა, გამოთქვა ჩვეულებრივი მოსაზრება, რასაც იშველიებდნენ ხოლმე ბოლშევიკები, რომ საქართველო სხვაზე ნაკლებად არც ქართველი ბოლშევიკები მოუვლიანო, დაგვაცალეთ და დაგანახვებთო. მე მაინტერესებს ვიცოდე რისთვის და ვისთვის აჯანყდით, რა არ მოგწონთ ჩვენი მმართველობის. რა ჩაიდინეთ ეს, ნუთუ ერთი ჭკვიანი კაცი არ აღმოჩნდა თქვენს წრეში, რომ შეეჩერებინეთ და იარაღისათვის ხელი არ წამოგეკრათ. მერე ვის წინააღმდეგ, წითელი არმიის წინააღმდეგ, რომელმაც ...მთელი მსოფლიოს არმიებს გაუძლო და თეთრგვარდიელებთან ერთად შორს გადარეკა. ვისი იმედით მოკიდეთ იარაღს ხელი. განა მენშევიკური მთავრობისათვის ვინმე ამ ვეებერთელა ქვეყანას გადაიკიდებსო....შენ, პოლიტიკურად მომზადებული ახალგაზრდა, როგორ გადაწყვიტე გარეულიყავი ამ სახიფათო საქმეშიო – მომმართა მე. მე განსაკუთრებული ხაზგასმით დავლიე საქართველოს სადღეგრძელო და ვუთხარი: ჩვენ მენშევიკური

ხელისუფლების აღდგენისათვის არ მოგვიკიდია ხელი იარაღისათვის. ჩვენ ვიბრძვით რუსეთის ურდოს, შემოსეული ურდოს წინააღმდეგ, საქართველოს, ქართველი ხალხის თავისთავადობისათვის, ვინც მის სიკვდილს აპირებს, იმის წინააღმდეგ. ჩვენ ვერც იმას შევურიგდებით, რომ მისი ამყოლი რუსი ან სომეხი ან სხვა ეროვნების ხალხი თავზე დაგვაჯდეს, ვერც იმას, რომ ქართული ენა, ჩვენი სიამაყე, პატივაყრილად გადაიქცეს ქართულ მიწაზე. ვინც ყოველივე ამას დაიცავს, ვინც დაგლეჯილ საქართველოს შეკრავს ერთ მთლიან სახელმწიფო ერთეულად, ჩვენც იმის გვერდით ვიქნებით, ბოლშევიკი იქნება ის, მენშევიკი თუ სხვა ვინმე. ისტორიულად ხომ ცნობილია, რომ არც ერთი ერი არ შესულა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ დაუღვრია სისხლი დაპყრობილის გამდიდრების, გაკეთებისა და ფეხზე დაყენების მიზნით. რუსეთი წითელი იქნება, თეთრი თუ მწვანე, რა ფერის დროშით არ უნდა შემოვიდეს ჩვენთან, ის მოვა, როგორც დამპყრობელი. შემოვა უამრავი ლოზუნგით, რაღაცის დაპირებით. აბა, რომელ მტერს უთქვამს, შენი შეჭმა მინდა და იმიტომ მოვდივარო. 1918 წელს თურქებმა რომ შემოგვიტიეს და ბათუმი დაიკავეს, პროკლამაციებს ყრიდნენ, მე ხომ მაშინ მოხალისეთ ვიყავი ჯარში, ქართველები ჩვენი ძმები არიან და იმიტომ მოვდივართ, რომ ბოლშევიკებისაგან დავიხსნათო. ახლა ბოლშევიკები მოვიდნენ – მენშევიკებისაგან უნდა გაგანთავისუფლოთო. არც ერთს და არც მეორეს ქართველების ბედი კი არ აწუხებდათ, არამედ ჩვენი მიწა–წყალი უნდოდათ....ასე, რომ ალექსანდრე ბატონო – მივმართე მე ვაშაძეს, – მალე შენცა და შენი ამხანაგებიც დარწმუნდებით, რა ფასი აქვს მოსკოვის ლოზუნგებს და რისთვის ვჭირდებით. მუხამ თქვა, ნაჯახი რას დამაკლებდა, ჩემიანი რომ არ ჰქონდეს ტარათო. ნუ იწყენთ, მაგრამ თქვენ, ქართველ ბოლშევიკებს კარგად გიყენებთ რუსული ნაჯახი და ამიტომ უადვილდებათ ქართველი ხალხის ჩაგვრა. ჩვენ გვინდა გვქონდეს თავისუფალი, სხვისგან დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელი სახელმწიფოც არ უნდა იყოს, მეზობელი თუ შორებელი. ჩვენ მოვითხოვდით რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანას საქართველოდან და ყველა იმ ტერიტორიის უკან დაბრუნებას, რაც ჩამოგვაჭრა და ჩამორიგდა ორჯონიკიძის მიერ, თითქოს მისი ბაღის კიტრს არიგებდა.... ქართველი ხალხი უნდა განაგებდეს თავის ბედს თვითონ და არა სხვისი ხელის შემყურე... ალექსანდრე ჩაფიქრებული მისმენდა... მე კარგად ვიცოდი ალექსანდრეს და მრავალი ჭიათურელი ბოლშევიკის განწყობა, ისეთი როგორც იყვნენ ვალიკო კუპატაძე, ბიტოლი ლეჟავა, ჭაბუკ მიშველიძე, რომელთა პატრიოტობაში მე ეჭვი არ მეპარებოდა... აბა, რა შეეძლო ალექსანდრეს ეთქვა რაიმე საწინააღმდეგო ამისა. ვახშამზე სიმღერაც კი ითქვა სევდიან საქართველოზე, რომელიც თავდებოდა სიტყვებით «მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული"...პურღვინო ხანგრძლივი არ იყო. ყველას რაღაც გვაწუხებდა. ალესანდრეს შევახსენე, რომ აქ იმიტომ ვიყავით, რომ მის სიტყვას ვენდეთ. არაფერი მიპასუხა, მხოლოდ თქვა: „ყოველივე გასაგებია“... ძილი არ მეკარებოდა... მდგომარეობა გაურკვეველი იყო... ალექსანდრე ალექსანდრეა და თითქოს გაბოროტებული არ ჩანს, მაგრამ ის ხომ მარტო არ არის და ვინ იცის, იმ სხვებში გამოჩნდება „ზემოდან“ გამოგზავნილი განსაკუთრებული დავალებით აღჭურვილი... ყველაზე მეტად მამას და იაშას მდგომარეობა მაწუხებდა. ვინ იცის, ჩემი საქციელით მათ აზღვევინონ... ამ ამაწიოკებელ ფიქრებში დამათენდა თავზე.

დილას ადრე ალექსანდრე ამოვიდა ჩვენთან, მითხრა შენი რაზმეული გაამზადე წასასვლელად და მკვახედ დაამატა, შეთანხმებას არღვევთ, ერთი თქვენგანი, ბორის გამყრელიძე თავის იარაღიანად გაგვეპარა და ეს კარგი არ არის, რა მოყვება ამას არ ვიცი, მეც ხომ მყავს უფროსებიო.... საათის ცხრისათვის მოვწესრიგდით და, როგორც პატიმარნი, მილიციელთა თანხლებით, ჭიათურისკენ გავეშურეთ. ჭიათურაში რომ შევედით, კომუნალური შენობისა და ელსადგურთან საკმაო ხალხი შეგროვილიყო. ხალხი იყო გამოფენილი მთავარ ე.წ. ბაზრის ქუჩაზეც. მე ჩემს რაზმს წინ მოვუძღოდი. ბიჭები გავაფრთხილე ცხვირჩამოშვებული და დაგლახავებულნი ნუ გახთებით, რიხი შევინარჩუნოთ-მეთქი. ქალაქში გავრცელებული იყო თურმე, რომ მილიციამ მიიმწყვდია სამოციოდე აჯანყებული, სასტიკი შეტაკების შემდეგ განაიარაღეს და ჩამოყავთ ჭიათურაშიო. ყველას აინტერესებდა, თუ ვინ იყვნენ ეს ცხენოსანი აჯანყებულები. ....ასე შევუდექით მოლიციის აღმართისაკენ და მალე აღმასკომის შენობის ეზოში შეგვიყვანეს. რევოლუციამდის ეს შენობა ერთსართულიანი, კარგად ნაგები ქვის შენობა, პოლიციის კანცელარია იყო. აქვე იყო პოლიციის ხელმძღვანელის, პროკოფი მესხის საცხოვრებელი. მოშორებით იყო სტრაჟნიკების სახლი და სატუსაღო მდებარეობდა. ეს დროებით, თორემ ტუსაღებისათვის ადგილ-სამყოფი სამაზრო ქალაქის, ზესტაფონის სატუსაღო იყო, საიდანაც პატიმრები შემდეგ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში იგზავნებოდნენ. ჩვენ აღმასკომის შენობის წინ მიწაზე დაგვსხეს, შემდეგ აღმასკომის დიდ ოთახში შეგვიყვანეს, მანამდის ვიხილეთ დიდი ალექსანდრე (საჩინს ძე) ვაშაძე რომელიც მოვიდა აღმასკომში, თან ახლდა პაოლო იაშვილი. მისი დანახვა გამიკვირდა, როგორც ჩანს, იმ დღეებში თავის სოფელში იყო ჩასული დასასვენებლად, თბილისისათვის თავი აურიდებია. მისი უმცროსი ძმა, ჭუნა, ძალოვანი ვაჟკაცი, აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. აღმასკომის იმ სადარბაზოში, სადაც ჩვენ შეგვყარეს, სხვებიც შემოიყვანეს. შემდეგ მეზობელ პატარა ოთახში ვიღაცეები ისხდნენ. იქიდან გამოვიდა ვიღაც ახალგაზრდა ჩეკისტი და გვითხრა სათითაოდ გამოგიძახებთ გვარებით და შემოხვალთ ამ ოთახშიო. როცა მე მომიწია რიგი და შევედი, იქ ისხდნენ აღმასკომის თავმჯდომარე ტარასი მგალობლიშვილი, ჩეკისტი ბახტაძე (რომელზედაც მქონდა საუბარი ზემოთ) რომელიც თბილისიდან იყო ჩამოსული და ორიოდე ადგილობრივი ბოლშევიკი. ტარასიმ რომ დამინახა მომაძახა – ეხ, გრიშა, შენც ამ აბდალა მენშევიკებთან რა გაკავშირებდა, აბა, ამას როგორ ვიფიქრებდი, ჩვენს წინააღმდეგ იარაღს აამოქმედებდიო. კითხვები, როგორც გაირკვა, სტანდარტული იყო: რა გსურდათ, მენშევიკები მოგენატრათ, რომელი პარტიის წევრი იყავი, მსახურებდი თუ უმუშევარი იყავი, რა წოდების ხარ და ასე. გულახდილათ უთხარი თუ რისთვის ვიბრძოდი, რაზედაც მწარეთ დამცინავად ქირქილებდნენ. აქ რაღაცნაირათ გაგვცხრილეს და ნაწილი შეგვყარეს მილიციის სატუსაღოში. ჩემთან ერთად მოხვდნენ დათიკო კიღურაძე, ალეკო მაჭავარიანი. ტიტიკო საყვარელიძე არ ჩანდა, არც გამყრელიძეები, ჩვენთან აღმოჩნდა აგრეთვე ტიტიკო ჩაჩანიძე. ყველა ერთად ასე ოციოდე კაცი ვიყავით, შებინდებული არ იყო, რომ მოვიდნენ ტუსაღებთან ჭაბუკ მიშველიძე, ლეონტი ვაშაძე და ბიტოლი ლეჟავა არა ხელცარიელნი, არამედ ერთი ჩაფი ღვინით, პურით, ყველით და მოხარშული ხორცით, რამაც ძლიერ გაგვაკვირვა. ჭაბუკამ მითხრა, ქვეყანა აირია გურია და სამეგრელოში ერთი ამბავია და რა ვიცით, რა დააწყნარებს ქვეყანას. არა და ასე თუ დავერიეთ ერთმანეთს, ვიღასთვის გვინდა ეს

საქართველო ვერ გამიგიაო. ეტყობოდათ, რაღაცით იყვნენ ძლიერ შეშფოთებული... შევექეცით პურღვინოს და კარგათ შევზარფეშდით. მე გავიხმე ალეკო მაჭავარიანი და დათიკო კიღურაძე ვუთხარი: მოვახერხოთ ეგებ, დავუძვრეთ ხელიდან ჩეკას, თორემ მე ვატყობ რაღაც ცუდი მოგველის. სიკეთის პირი არაფერს უჩანდა. გული მეუბნებოდა, რომ განწირულნი ვიყავით. ჩვენ სატუსაღოს ერთი კარი ქონდა და კომკავშირელი სიმონ ჭალაშვილი ყარაულობდა ჩვენს ჯალაბს. მას ზურგზე ეკიდა ერთი ძველი შაშხანა. მე უთხარი ალეკოს, მოვითხოვოთ ორივემ საჭიროებისთვის გარეთ გასვლა. ის კარს დაკეტავს, ჩვენ გამოგვყვება, ღამე გვიან რას გაიგებს, თოფი ავართვათ, წინ გავიგდოთ და მდინარეზე მდებარე წისქვილამდე მივაღწიოთ და მერე ღმერთი მოწყალეა... შუაღამით ჩვენ დავუკაკუნეთ კარებზე ყარაულს და ვთხოვეთ – ორივეს გვიჭირს და გაგვყევიო. ის იმ შთაბეჭდილების ქვეშაც იყო ნამდვილათ, რომ დაინახა თუ რა პურღვინით გვესტუმრენ ბოლშევიკები და უყოყმანოთ გაგვიყვანა და კარები ჩაკეტა. ჩვენ ყოველივე ისე გავაკეთეთ, როგორც ჩავიფიქრეთ. სიმონ ჭალაშვილი ზედარგნელი იყო, ჩემი კბილა, უწყინარი ახალგაზრდა, ხშირათ ბავშვობისას გვიბანავია მდინარე ყვირილაში. გზაში როცა თოფი ავართვით გვითხრა – ჩემი ცოდვა არ დაიდოთ არ მომკლათო. მე დავამშვიდე. წისქვილთან თოფიდან ყველა ვაზნა (სულ ორი ცალი იყო), ამოვყარეთ და მდინარეში გადავყარეთ, თოფი მივეცით და უთხარით – წადი ახლა, ირბინე და ჩვენს წასვლას თუ შენ არ იტყვი, კაცი ვერ გაიგებს. ერთი კოლომეტრის აღმართ-აღმართი სიარულით მივაღწიეთ ჩემ სახლამდის, იქ ბიძაჩემის, მიხაკოს მარანში შევედით. ჩემი სახლის მიმდებარე ფერდობზედ, სადაც ბებიაჩემს ბოსტანი ჰქონდა (ის ბიძაჩემთან ცხოვრობდა). მარანი მამაჩემის აშენებული იყო და როცა ძმები გაიყვნენ, მარანი ბიძაჩემს მიეკუთვნა, მან თავისი ფუნქცია დაკარგა, რადგან მიხაკო მეურნე კაცი არ იყო და ჭურებში ღვინო არასოდეს არ ესხა, არც იკეტებოდა. მარანში მოვეწყვეთ, ჯერ გარეთ მყოფ უძველეს ქვევრებში, დიდი მოცულობის რომ იყო და ნახევრათ მიწით იყო სავსე, შიგ ჩავძვერით, მაგრამ ვერ მოვეწყვეთ საჭიროთ, რადგან ჩემი კომპლექციის კაცისათვის ჭირდა სულ ფეხზე დგომა. ამოვედი და ალეკოსთან მივედი, ისიც ჭურში იჯდა. ალეკო იცინოდა, ამას ჰქვია მართლაც, ჭურში ჯდომა: ამ ქვეყნად არც არაფერი იცი და არც არაფერი გვესმისო. მარანში შევედით. იქ გავათიეთ ღამე, მიხაკოსაც არ ვენდევით და სანამ ის არ წავიდა სახლიდან, დატოვება მარნის საჭიროდ არ ვცანით. ღობესთან გიორგი ზერძენს (სევასტოპულოს) უმცროსი ძმის სახლის კედელი ჰქონდა აღმართული, რომელსაც ფანჯარა ჰქონდა და მარანი იქიდან კარგად ჩანდა, რაც საშიში და გასათვალისწინებელი იყო...სახლი, რომელიც მამას ერგო, იყო თანამედროვე ნაგებობა, ორსართულიანი. ქვემო სართულში ორი დიდი ოთახი იყო თავის ბუხრებითა და სამზარეულოთი. ჩემს პატარაობისას მახსოვს, რომ ერთ ოთახში მამა და დედა ცხოვრობდნენ, მეორეში – ბაბუა და ბებია უმცროსი ქალიშვილით, პაშათი. ოთახების წინ იყო კირქვით დაგებული გალერეია, ქვის ბოძებით და სამზარეულოში ამ გალარეით იყო შესასვლელი სამზარეულოში, ასევე ზემო სართულზე, სადაც შვიდი ოთახი იყო. მათგან ორი ოთახი მამაჩემმა მიაშენა. ზემო სართულის ხუთი ოთახი გაქირავებული იყო (საჯალაბო სახლის მხრიდან), რომელსაც კიბეებით შესასვლელი ჰქონდა. სამ ოთახში ცხოვრობდა ალექსანდრე (საშა) გამრეკელი, ცნობილი პიროვნება ჭიათურაში, მამა ცნობილი მომღერლისა დავით გამრეკელისა, ასევე ცნობილი ექიმისა კაკო გამრეკელისა, რეჟისორ ბორის გამრეკელისა... გადასვლისას საშამ მამას კარტის

სათამაშო სპეციალური მაგიდა დაუტოვა საჩუქრად. ამ დროისათვის სახლში ჩვენს გარდა არავინ ცხოვრობდა.... მე ჩემი დაშლილი მაუზერი ავაწყვე, რაც გაუკვირდა ალეკოს რომ დაინახა, იქ მოძებნილ ქაღალდში გავხვიე და საწნახელის ქვეშ შევდევი. მე უთვალთვალებდი ჩემი სახლის იმ მხრივ მდებარე კიბეს და როდესაც თვალი მოვკარი ჩემ დას ბაბოს, დაუსტვინე და ძლივს გავაგონე, ხელი დაუქნიე მოვიდა ჩემთან და გადამეხვია, ატირდა. დავაწყნარე, ავუხსენი ყოველივე და გავაფრთხილე არავის – არც მამას, არც ჩემ ძმას იაშას არ აცნობო-მეთქი... ეჰ! ახალგაზრდობავ, სად არის საზღვარი შენი სწრაფვისა, რა იოლადმეჩვენებოდა ხშირად ყოველივე, რადგან ენერგია მოზღავებულია და დაუოკებელი, სურვილები კი ხალასი, წმინდა და ხშირად გულუბრყვილო. მაშინ ყოველივე იოლი მეგონა და არ ვიცოდი, წინ რა გველოდა... ბაბოს უთხარი თუ ვინც იყო ჩემთან, ცხადია, დავავალე წყალი და საჭმელი მოეტანა. ასე გავატარეთ მთელი დღე, ღამით ალეკომ გადაწყვიტა წასულიყო და რამენაირათ გაეღწია მონასტრამდის სადაც ნათესავები ყავდა მიმდებარე სოფელში. გადავეხვიე, სიკეთე უსურვე, საჭმელი უსაგზლე. მე კი ისევ მარანში მოვეწყვე, ეხლა უკვე ლეიბ-საბნით. კარებს შიგნიდან ვკეტავდი – საკმაო კარგი ჩასარაზი ჰქონდა. ბოსტანში ხშირად ვხედავდი ბებიას ან რაღაცას კრეფდა, ან რა ვიცი, რას აკეთებდა. მარანში ერთხელაც არ შემოუხედია. შემდეგ უკვე მე კარებსაც არ ვკეტავდი და საწნახელში გავიშოლტებოდი, სადაც ლოგინი მქონდა გაწყობილი. აქ ყოფნის მესამე დღეს ბაბო აცრემლებული შემოვიდა ჩემს ციხე-დარბაზში, მითხრა, ხმა დადის, რომ საჩხერე-ჭიათურიდან დატუსაღებულნი, ვაგონებში ჩამწყვდეულნი, სადღაც ზესტაფონთან ახლოს, მგონი „პიტომნიკებში“, პირდაპირ ტყვიამფრქვევით დაუცხრილავთ და ამოუჟლეტიათ დაუზოგავათ, უწყლობით მივარდნილი, ნაშიმშილარი ხალხი. სიმწრის ოფლმა დამასხა...ბაბო ტიროდა: რა გვეშველება, გრიშა, შენ რომ დაგიჭირონ, დახვრეტა არ აგცდებაო. მე გასამართლებასაც მოველოდი და დახვრეტასაც, მაგრამ ასეთი გაუგონარი მხეცობა ვერ წარმომედგინა. ვინ იცის, რა ხდებოდა სხვა რაიონებში, სადაც გამოსვლები იყო...ცხოვრება ქალაქში ჩამკვდარია, გარეთ შიშით ვერავინ გამოსულა, კარის მეზობელთან თუ შეიხედავს ვინმე. ქალაქი აივსო შეიარაღებული ადამიანებითო – მიყვებოდა ბაბო.. დაპატიმრებულები საჩხერედანაც ჩამოიყვანეს, სოფლებიდანაც მოჰყავთ: მასწავლებლები, სტუდენტები, ყოფილი ოფიცრები და ისეთებიც. რომელთაც ხელიც კი არ გაუნძრევიათო. გავიგე, რომ ჩეკას ქართველი მრეწველებიც დაუპატიმრებია – კოწია ყიფიანი, სესია ლეჟავა, ჩუბინიძე, გაფრინდაშვილი. ბაბომ საჭმელი მოგვიტანა და საღამოს იაშაც მოვიდა. მან შემატყობინა, რომ ჩხარში, ვინმე კახიძის ხელმძღვანელობით, დიდი ბრძოლები ჩატარებულა. ზესტაფონის მხრიდან რუსის ჯარი ზარბაზნებსაც კი ისროდა ჩხარის მიმართულებით. ახლა იქ ყოველივე ჩაწყნარებულია. კახიძე, თავის ბიჭებით, ხელში ჩაუგდიათ და დაუპატიმრებიათო.... ბაბოს გაზეთები მოჰქონდა...წერდნენ კონტრრევოლუციონერებს თვით მოსახლეობა გაუსწორდა და გასცა პასუხიო... ალექსანდრე ვაშაძეს რამდენჯერმე უკითხავს ბაბოსათვის ჩემი ამბავი, მაგრამ ბაბოს უთქვამს, არაფერი ვიცითო. ალექსანდრეს გაუფრთხილებია, თუ ხმა მიგიწვდებათ გრიშამდის, უთხარით, მისთვის უკეთესი იქნება მილიციაში გამოცხადდეს, სხვაფრივ გაურთულდება საქმე მასაც და ოჯახსაც და მე ვერაფერს გიშველითო. ტყეში გასვლას და აბრაგობას მაგაზე უკეთესი ვაჟკაცები ვერ ახერხებენ და თავს ვერ ინახავენ. ყალყზეა დაყენებული მთელი რაიონები და გთხოვთ

მენდოთო... 5 სექტემბერს დილით 10–11 საათი იქნებოდა, ჩვენთან მიხეილ კავთელაძე შეიარაღებული კაცის თანხლებით მოსულა, ბესარიონთან ბოდიში მოუხდია, ბინა უნდა გავჩხრიკოთო. დაუთვალერებიათ ოთახები, სარდაფი... თანხლებს ნებართვა უთხოვია ჭერზე ავალ დავათვალიერებო, მაგრამ მიშას არ დაუნებებია (სწორედ ჭერში ვინახავდით იარაღს). მიხაკოს სახლიც გაჩხრიკეს. მე ამ დროს ჭურში ვიჯექი. მიშა ალექსანდრეს სახლისაკენ წასულა და ბიცოლა ქეთევანს ცომის ზელის დროს წასწრებია, ბიძია ნესტორს კი ეძინა თურმე. მიშას ჩემი ამბავი უკითხავს და ქეთევანს ტირილით უპასუხია, გრიშას აქ რა უნდა, ზესტაფონთან ვაგონებში დაიღუპა, მაგრამ მამამისს არ ეუბნებიანო. უკან დაბრუნებულ კავთელაძეს მამაჩემისათვის უთქვამს, რა დაგიმალოთ, თქვენი მდგომარეობა სახიფათოა, თუ გრიშას კვალს ვერ მივადექით, თქვენ რეპრესირებული იქნებითო....დამალვას აზრი არ ჰქონდა და მამასთან სახლში გადმოვედი. ბესარიონმა აცრემლებულმა გულში ჩამიკრა და მითხრა: „მადლობა ღმერთს, შვილო, რომ კარგად ხარ“. მამა მიამბო, რომ ქალაქისათვის საყვარელი ადამიანები ჯიბო იაშვილი, კოწია ყიფიანი, სესია ლეჟავა, ნაპა წერეთელი, ბიქტორ მელიქოვი [მელიქიშვილი], სასიკვდილოდ გაიმეტეს. მამა იცრემლებოდა და ლოცულობდა ქვეყნის გადარჩენისათვის....ჩემი გამოცხადება ძლიერ საშიში იყო ჩემთვის, მაგრამ ჩემიანები?....მეორე დღეს, შუადღისას, ალექსანდრე (პატარა) ვაშაძე მოვიდა ჩვენთან და მამას უთხრა, რომ მოვიდა დიდი ალექსანდრეს დავალებით, გრიშას გამოცხადება აუცილებელია და მე ვიძლევი გარანტიას, რომ მას სიკვდილით დასჯა არ მოელის და სხვა სასჯელს კი შეურიგდესო. ეს საუბარი ჩვენი სახლის აივანზე მიმდინარეობდა. მე ზალაში ვიყავი და ყოველივე მესმოდა. ჯანდაბას ჩემი თავი-მეთქი და გარეთ გამოვედი. ალექსანდრემ გაკვირვებულმა შემომხედა და გამარჯობაო – მითხრა. არ მივსალმებივარ. ვუთხარი: აგერ ვარ და ამ მოხუცს კი ნუ მიწუხებთ-მეთქი. პატარა ხნის შემდეგ ალექსანდრე სახლიდან გამოვიდა. ბაბომ საჭირო ნივთები ჩამილაგა. ალექსანდრე კოჭლობით მივიდა ცხენთან (მარჯვენა ფეხი მსოფლიო ომში ყოფნისას დაიზიანა), შეჯდა ცხენზე, მე ჩვენებს ვთხოვე არ გავეცილებინე, ჩავდექი მილიციელსა და ალექსანდრეს შორის, როგორც პატიმარს შეჰფერის და ჩავუყევით შარაგზას ბაზრის ქუჩისაკენ. დუქნები ღია იყო...მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ერთ კილომეტრზე გაშენებული იყო სახელოსნოები, დუქნები, სამიკიტნოები, ფურნე, ხოლო შუა ხიდთან, რიყეზე, საკამოდ დიდ ფართობზე, კვირაობით ნამდვილიბაზრობა ეწყობოდა, რომელსაც „იარმურკას» უწოდებდნენ. ამ ქუჩას ბაზრის ქუჩა ან უბრალოდ, ბაზარი ეწოდებოდა. ბაზრიდან ოთხი ხიდით შეიძლებოდა მდინარის მარცხენა ნაპირზე გასვლა, სადაც რკინიგზის სადგური და მისი მეორე ნახევარი იყო გაშენებული. ორი ხიდი საკმაო სიფართისა ბაზრის თავსა და ბოლოში მდებარეობდა და მასზე ურემს, ცხენოსანსა და სხვა ტრანსპორტს შეეძლო გასვლა, ხოლო ორი, ვიწრო ხიდი, მხოლოდ მგზავრთათვის იყო განკუთვნილი (ზემო შუა ხიდი, ქვემო შუა ხიდი). ...ჩვენ ბაზარში ჩავედით და ქვემო შუა ხიდისაკენ გავუხვიეთ, საკმაოდ ბევრი ნაცნობი შემხვდა...ყველა გაკვირვებული მომჩერებოდა და ხელს მიქნევდა. მე ხომ ყველას ვაგონებში ჩაცხრილული ვეგონე....ჩეკაში მიმიყვანეს და მაშინვე უფროსთან შემიყვანეს: ორმაგი სასჯელი მოგელისო – მაშინვე მომახალა, – ერთი რომ აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ხარ და მეორეც, კომუნარი განაიარაღე და გაიქეციო... ჩამიყვანეს დიდ დარბაზში, რომელიც ტუსაღებით იყო სავსე. და ღმერთო ჩემო, აქ არ არიან დათიკო კიღურაძე,

ტიტიკო ჩაჩანიძე?!... ალეკოც შემოიყვანეს გადავეხვიეთ ერთმანეთს, მოვულოცეთ, რომ ცოცხლები ვართ...ალეკოს ორი ღამე უვლია მდინარე ჯრუჭის ხეობაში, ერთხანს დაკეტილ ჯრუჭის მონასტერში შეუფარებია თავი, შემდეგ სოფელ ჯრუჭაში ასულა ნათესავთან და მათ დაუფარავთ... ალეკოს თავი ისე დაუჭერია, ვითომ არაფერი იცოდა, ყველას ოჯახს ამშვიდებდა, რადგან ბევრმა ახლობლის ამბავი არ იცოდა...მოხთა ის, რაც მოსალოდნელი იყო... ადგილობრივი ხელისუფალნი მისდგომიან...ჭირის ოფლს დაუსხამს ალეკოსათვის... გამოსულა გარეთ და ერთ კომკავშირელს უყვირია, ეს კაცი ცხენზე ამხედრებული ვნახე 29 აგვისტოსო. წაუვლიათ ხელი, ცემა-ტყეპით წამოუყვანიათ და საჩხერეში ჩაიყვანიათ. კარგა ხანს ურტყეს თურმე და გასავათებული დროგით ჭიათურაში მოუყვანიათ. ალეკო ისე იყო დაჟეჟილი, რომ სისხლს აფურთხებდა. დათიკო და ტიტიკო ჭაბუკ მიშველიძეს გამოუყვანია, რაღაც უთქვამს ტარასი გოგოლაძისათვის, რომელიც თაობდა ტუსაღთა გადაყვანას, რაღაც ქაღალდიც გადაუცია. ტარასი არ ეთანხმებოდა თურმე, მაგრამ ბოლოს დათანხმებულა, მათი გვარები ამოუკითხავს და მიშველიძისათვის გაუყოლებია. დათიკო და ტიტიკო გაოგნებულები იყვნენ, რადგან არ იცოდნენ, სასიკეთოდ იყო ეს, თუ საზოროტოთ. საღამო ხანს მიშველიძეს ისინი აქ, ჩეკაში მოუყვანია. აქ არავინ იცოდა, რა ხდებოდა საქართველოში. ჩემგან გაიგეს ზესტაფონთან დატრიალებული უბედურების შესახებ და შეძრწუნდნენ. საკანში 25 კაცი ვიყავით. ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა... გამაცვნეს კაცხის რაინდი კახიძე და მასთან ერთად ჩამოყვანილი ოთხი რაზმელი. კახიძე საშუალო ტანის, თხელი აღნაგობის, 30–35 წლის კაცი იყო. ელვარე შავი თვალებითა და ქართული ცხვირით, ხავერდოვანი ხმით მოსაუბრე, რაღაც თავისებური, მომხიბვლელი ღიმილით. შიში, დარდი, ზიზღი, ცრემლი – აი, რა იყო გამეფებული საკანში...სიკვდილის შავი აჩრდილი დანავარდობდა მთელ საქართველოში, ქართველთ მოძულე ძალა დაპარეპაშებდა და ვერ ძღებოდა ჩვენი სისხლით. აი, დედასა! სად იყო ჭკუა, თორემ როცა წითელი ურდო შემოგვესია, მთელი საქართველო შემჭიდროებული, ერთსახოვანი და ერთპიროვანი რომ გადაღობებოდა ამ ურდოს იარაღით ხელში, იმისი მესამედი მსხვერპლის გაღება არ დასჭირდებოდა ქვეყანას მათ გასაძევებლად რა ჟლეტაც განიცადა საქართველომ დღემდის და ვინ იცის, რა მოგველოდა... ტიტიკომ და დათიკომ შუაში ჩამიწვინეს საკნის კუთხეში. ღამით კახიძე გაიძახეს და ჯერაც არ იყო დაბრუნებული...კარისაკენ ვიყურებოდით... ველოდით... მეორე დღეს მე გამიძახეს. მეორე სართულზე დარაჯის თანხლებით ამიყვანეს და ერთ პატარა ოთახში შემიყვანეს. მცირე ხნის შემდეგ შემოვიდა უცხო ადამიანი, ტყავის ქურქში გამოწყობილი, სათვა-ლებიანი, მაუზერი ხის ქარქაშში ჰქონდა. უჯრიდან საქაღალდე ამოიღო და განმიცხადა, რომ მას ის აინტერესებდა, თუ როგორ მოვახერხეთ გაქცევა: კომუნარები დაგვეხმარნენ, მათ ადრე ვიცნობდით თუ არა. ყოველივე მოვუყევი, როგორც იყო, რომ ის თავგამეტებით იბრძოდა, რომ ხელი შეეშალა ჩვენი განზრახვისათვის, რომ ჩვენ ვაიძულეთ დაგვნებებოდა და ძალით ავართვით იარაღი. ეს ყოველივე დამაწერინა და ხელიც მომაწერინა. საკანში დამაბრუნეს. მე ალეკოს ყველაფერი მოვუყევი და გავაფრთხილე, რომ დაკითხვაზე რომ გაიძახებდნენ, ჩვენ ერთნაირად მოგვეთხრო ჩვენი გაქცევის ამბავი. მართლაც, მეორე დღეს გაიძახეს და ჩემს ჩვენებაზე ხელი მოაწერინეს: „აქ აღნიშნულს ახალს ვერაფერს დავუმატებ“. ამ დღესვე შემოიყვანეს კახიძე. სახე დალილავებული, დაბეჟილი ჰქონდა. დაეგდო და თითქოს გათავდაო, ხმას არ იღებდა.

არც კი კვნესოდა. ბიჭებმა სოველი ცხვირსახოცი შუბლზე დაადეს, შეუძახეთ, მივაყვირეთ და გონზე მოვიყვანეთ.

საღამოს ჩეკასთან ბაბო და იაშა დავინახე – საჭმელი მოეტანათ. მე დარაჯს პაპიროსი ვაჩუქე და ბაბოსთან ახლოს მიმიშვა. კალათს რომ ვართმევდი, ჩავჩურჩულე: ჩემი მაუზერი იაშამ ჭაბუკ მიშველიძეს გადასცეს-მეთქი. ეს იმიტომ განვიზრახე, რომ არ ვიცოდი, რა იყო მოსალოდნელი და რომ ენახათ, მთელ ოჯახს ააწიოკებდნენ. ჭაბუკი კი ნათესავად მერგებოდა, ჭიათურაში წამყვანი სცენის მოყვარე, დარდიმანდი, უბოროტო და პატრიოტულად განწყობილი კაცი იყო. ჭაბუკისათვის იარაღი არ მენანებოდა.

საკანში პატარა ელნათურა იყო ჩამოკიდებული და ძლივს ბჟუტავდა, 12 საათის შემდეგ შუაღამისას საერთოდ მთელ ქალაქში ითიშებოდა დენი... გადიოდა დღეები, შემოდიოდათ ტუსაღებს ნებადართული საჭმელი და ცხადია არავითარი სასმელი, გარდა წყლისა. არც მე მაკლდა კვლავ ყურადღება ოჯახიდან. გავიგეთ, რომ ვაგონებში ჩაკეტილი პატიმრების დახოცვას ტალახაძე და დუტუშა მშვენიერაძე თავკაცობდნენ, რომ უკანასკნელი თვითონ მიუჯდა ტყვიამფრქვევს და ნამდვილი ჯალათის აღტკინებით ცხრილავდ ჩაკეტილ ვაგონებს... რა დედამ გაზარდა ეს ორფეხა მხეცები – ბრაზით სავსენი და ცრემლმორეულნი ეკითხებოდნენ ერთმანეთს კამერაში ტუსაღები... ჩემი საპატიმროში ყოფნის მესამე დღეს კამერაში დაკითხვიდან, შეიძლება ითქვას, შემოაგდეს ალეკო მაჭავარიანი, დაძენძილი ტანისამოსით, წვერმოშვებული, გამხდარი და გაძვალტყავებული, რომ დაგვინახა, აქვითინდა და მუხლებზე დაეცა სიტყვებით – ეს რა ქნეს კაცო, რა გაუგონარი სამხეცეთი გახსნეს ამ ზნედაცემულმა ადამიანებმა, ვინ არის ეს ოხერი ტალახაძე რომ მთელი ზემო იმერეთი გაანადგურაო. რავარც იქნა დავაშოშმინეთ, საჭმელი ვაჭამეთ, ერთმა საცვლებიც კი მისცა, მეორემ სუფთა ბლუზა გაიხადა და ჩააცვა, წვერიც კი გაპარსეს და ცოტა ზევრათ ადამიანს დავამგვანეთ...

ვიჯექით საკანში და არ ვიცოდით, რას გვიპირებდნენ. ზოგის აზრით, უცილობლივ თბილისში გადაგვგზავნიანო და იქიდან კი ალბათ გაგვისტუმრებენ შორეთისაკენო. გადიოდა დღეები მწარე უიმედო ფიქრებში. საკანში გატარებული საათი უფრო გრძელი ჩანდა. რა დასამალია, ყველას თავში იბადებოდა კითხვა, ჰქონდა აზრი, რაიმე გამართლება აჯანყებას? კანტიკუნტათ მნახველთაგან მონატანი მცირე ცნობებიდან ირკვეოდა, რომ ვაგონებში ამოჟლეტილ ადამიანთა შორის მრავალი ისინი იყვნენ, ვისაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა აჯანყებულებთან. გავიგეთ რომ იქ იყვნენ ხანდაზმული მრეწველნიც, თავად-აზნაურთა ოჯახის წევრები, ინტელიგენციის, ძველი ოფიცრობის წარმომადგენელნი, რომელთაგან ბევრს არავითარი კავშირი არ ჰქონდა აჯანყებასთან. რა იყო ეს გენოციდი? საბჭოური გენოციდი? ალბათ ასეთივეს ჰქონდა ადგილი მთელ საქართველოში, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა...

ერთ დღეს კარი გაიღო და გარეთ გამოსვლა გვიბრძანეს. წასულია ჩვენ საქმეო – ვიფიქრეთ და ვზოზინობთ... გამოვედით საკნიდან, ვდგავართ ორ რიგად შენობის წინ, ეზოში. თითქმის საათი გავიდა, ჩამოვწყდით ფეხზე დგომით, დავჯექით მიწაზე და ვიცდით, თუ რა გველის. მხოლოდ ორი მილიციელი დგას, ერთი ზურგს უკან, ერთიც ჩვენს წინ. შენობის აივანზე გამოვიდა ჭიათურის ჩეკას უფროსი მიხეილ ლომიძე, შემოუძღვა ვიღაცა შესახედავად მოინტილიგენტო კაცს, რომელიც გაჩერდა და მოჭუტული თვალით გვათვალიერებდა. მის სახეში ვერ ამოიკითხავდი ნატამალს ლმობიერებისას. მიხეილმა რამოდენიმე წუთის შემდეგ გვითხრა – თქვენთან

სასაუზროთ მოვიდა, თბილისიდან ჩამოსული მწერალი, ჟურნალის რედაქტორი ამხ. ვალერიან ბახტაძე, რასაც ჩვენგან არავითარი რეაქცია არ მოყოლია. ბახტაძემ უსიამო ხმით, რომელშიც ზიზღი იგრძნობოდა, როგორც იქნა მოგვმართა – თქვენ მადლობა უნდა უთხრათ ღმერთს, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ ასეთი ლმობიერება გამოიჩინა და სიცოცხლე გაჩუქათ, ყურადღება გამოიჩინა თქვენი ოჯახებისადმი და მათ თქვენი თავი აჩუქა, სამაგიეროდ არ გადაგიხადათ თქვენი ბანდიტური მოქმედებისათვის. ჩვენ ქართული პროლეტარიატის მტრები ძირითადათ გავსრისეთ. ეს ჭკუის სასწავლებელი იყოს თქვენთვის. გახსოვდეთ, ტყვიას არც თქვენთვის დავიშურებთ, თუ არ გამოსწორდებით და კვლავ გაბედავთ მტრობას კომუნისტური პარტიისადმი და მისი ხელისუფლებისადმი. ამას კიდევ იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენ, ბოლშევიკებს თქვენი არ გვეშინია. ისე გაგსრისავთ, რომ კაცი მშველელი არ გეყოლებათ. ასე იბობოქრა ნახევარი საათი მაინც და ბოლოს ამ სიტყვებით დაამთავრა: საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა ლმობიერება და დაადგინა დანაშაული გეპატიოთ და განთავისუფლებული იქნეთო. კამერა შეირხა, შეიმუშნა და ხმა არ ამოგვიღია. მან განაგრძო – გახსოვდეთ, სულ მცირე რამეც შეიძლება გახდეს მიზეზი თქვენი კვლავ მობრძანებისა... მოტრიალდა კარებისაკენ მოწყვეტით. ცხადია, ასეთ ბოლოს არ მოველოდით და გავმხნევდით, თუმცა კაცს ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს, ეს იყო 21 სექტემბერი, დილის 9 საათზე ჩვენი ხაზაკით გამოგვიყვანეს ეზოში, ასევე მეორე კამერის ტუსაღნი, სულ 35 კაცამდის. დაგვაწვეს მწკრივში და აივნიდან კვლავ იმავე ბახტაძემ დაიწყო ჩვენი უსუსური დარიგება და კომუნისტური შეგონებანი. შემდეგ გვიბრძანეს ეზოდან გადით და საითაც გინდოდეთ იქით გასწიეთ, ვისაც როგორ გაწყობთო. დავიშალეთ, გამოვეთხოვეთ ერთმანეთს გადარჩენის მილოცვით. მე ხევს გავუყევი და წისქვილისაკენ ჩავუხვიე. გავედი მდინარე რგანისღელის მარცხენა ნაპირზე, დავჯექი, დავშოშმინდი. მაშ, თავისუფალი ვარ!? არა არიან ტიტიკო საყვარელიძე, ლადია და იონა ვაშაძეები, ჭუნია იაშვილი... სხვები და სხვები... სახლისკენ გავსწიე. სახლში დიდი ცრემლიანი სიხარულით შემეგებნენ, დამბანეს მომიარეს, დამაპურეს და ლოგინში შემაგდეს. ხმა არ ამოიღო, დაისვენე და იძინეო. მე სახლის განაპირას პატარა ოთახი მქონდა საკუთრად და მოხერხებულათ ვცხოვრობდი, იქ ვღებულობდი ამხანაგებს თუ ნათესავთ. თითქმის საღამომდის ვიწექი, ჯერ კარგად მეძინა და შემდეგ ძილ-ღვიძილით, ათასნაირ ფიქრში გახვეული სანამ ბაბო, არ შემოვიდა და არ მომაძახა – კარგი, გეყოფა დიდკაცობა და ადექ, ჩაიცვი და გამოდიო. იაშამ მითხრა, რომ იარაღი ჭაბუკის გადასცა.

დაწყო ყოველდღიური უღიმღამო ცხოვრება, მოდუნებული, უპერსპექტივო. მოსახლეობა გაიტაცა სპირიტიზმმა, დაიწყო ღამეებით, სიბნელეში დაღუპულ სულთა გამოძახება, გაჩნდნენ სათანადო მედიუმებიც. არ იყო ქართული ოჯახი, რომელსაც რომელიმე წევრი, ან ახლო ნათესავი, ან მეგობარი, ან უახლოესი და საყვარელი არ დაღუპულიყო. იმ ავად სახსენებელ ვაგონებში დაიღუპა ჩვენი მოგვარის სიმონ ვაშაძის ოჯახის ორი წევრი ლადია და იონა. დაირხა ხმა, რომ განსაკუთრებით მხეცობდნენ ჭიათურელი მილიციელები სიმონიკა საყვარელიძე და გოგია მამულაიშვილი, რომ თხრილებში ვაგონებიდან გადმოყრილ დახვრეტილთ ყრიდნენ, ზოგი კიდევ ნახევრათ ცოცხალ-მკვდარნი რომ იყვნენ, ისე აყრიდნენ მიწას და მარხავდნენ, ჩქარობდნენ მალე მოეთავებინათ ყოველივე, ჩადენილი დანაშაულის კვალი გაექროთ. გვიან გავიგეთ, რომ

მათ ეხმარებოდათ ზესტაფონიდან ცნობილი კიჭო გაგუა (ავტ.-თუ გაბუნია). მეორე ვაგონის კარი რომ გაუღიათ, ბალიში გაუგლეჯია ლადია ვაშაძეს და ბუმბული სახეში მიუყრია ჩეკისტებისათვის, გადმომხტარან ტუსაღები ვაგონიდან გასაქცევად, მაგრამ მხოლოდ ორ კაცს – ახალგაზრდა ბიჭს, მაჭარაშვილსა და ყოფილ ოფიცერს, წერეთელს მოუხერხებიათ გაქცევა. დანარჩენებს, ფეხებდაბიჟვინებულებს ცუდათ ჯდომისაგან, ნაბიჯი ვერ გაუდგამთ და მათ იქვე ხვრეტდნენ. იმასაც ამბობდნენ სიმონიკა საყვარელიძე და გოგია მამულაიშვილი მკვდრებსა და მომაკვდავებს ოქროს კბილებს აძრობდნენო. ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი მანამდე მიუშვეს, სანამ იქ კივილი, ყვირილი, ბღავილი არ შეწყდა...კახეთში, როგორც ჩემმა მეგობარმა მ. ყველიშვილმა მიამბო, „წითელმა ტერორმა“ უფრო საზიზღარი სახე მიიღო. ...ჩეკისტების წაქეზებით ნათავადარის ერთ დიდ დარბაზში მწყემსის ბომბორა ძაღლები შეჰყარეს და ორი დღე აშიმშილეს. მესამე დღეს იქ თავადაზნაურთა ოჯახის წევრები, ბავშვები, ხანდაზმულები, ქალები შეყარეს და ძაღლებთან ერთად ჩაკეტეს.... მშიერ ძაღლებს ისინი დააგლეჯინეს და შეაჭამეს... გოლგოთის ადგილებში შემდეგ ქარხნები და სხვა შენობები აშენდა...24 წლის აჯანყებას 78 ათასი ქართველი შეეწირა....თუმცა, ჯერ კიდევ აჯანყებამდე, 1923 წელს, განაჩენი გამოუტანეს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას – სიკვდილით დასაჯეს კოტე აფხაზი, ჯიბლაძე, კარლო ნინიძე, სიმონ ჯაფარიძე, და სხვები.

ოქტომბერში თბილისში ჩატარდა სასამართლო, გათამაშდა სამართლებრივი პროცედურა პარიტეტული კომიტეტის წევრთა მიმართ, რომელთა ბედი წინასწარ პარტიულ ინსტანციებში უკვე იყო გადაწყვეტილი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა გალაქტიონ ვაშაძე, ძველი ბოლშევიკი ალექსანდრე ვაშაძის უფროსი ძმა, მცირე განათლების მქონე, იურისპრუდენციასთან უბირათ მყოფი...

მენშევიკთა ნაწილმა ჩამოაყალიბა საზოგადოება «ახალი გზა”, რომელიც სცემდა ამავე სახელწოდების გაზეთს, რომელიც მოუწოდებდა ყოფილ წევრთ მენშევიკური პარტიისას, უარყონ კონფრონტაცია ხელისუფლებისადმი და დადგნენ მასთან თანამშრომლობის გზას, ხოლო ემიგრაციას მიმართეს წერილით, რომელსაც ხელს აწერდა სეით დევდარიანი მოთხოვნით, შეწყვიტონ ანტისაბჭოური საქმიანობა, აღიარონ ახალი საქართველოს არსებობის კანონიერება, რაზედაც ნოე ჟორდანიამ მწარედ აგდებული პასუხი გასცა, სათაურით: «რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია”. გაზეთის საქმიანობასთან დაკავშირებით, ჭიათურაში ჩამოვიდა კოწია სულაქველიძე, ცნობილი ვალოდია სულაქველიძის (რომელიც ნოე რამიშვილის მარჯვენა ხელი იყო, როგორც თბილისის მილიციის უფროსი) ძმა. მან კრება მოიწვია ჭიათურის თეატრის შენობაში, სადაც მას ობსტრუქცია მოუწყვეს რეპრესირებული ოჯახის წევრებმა და ძლივს გადაურჩა გაბრაზებულ ადამიანთა შურიძიებას, რომელნიც გაიძახოდნენ: „რატომ მაშინ არ ფიქრობდით ახალგაზრდობაზედ, აჯანყებას რომ აწყობდითო”. ადგილობრივი ხელისუფალნი რომ არ ჩამოსულიყვნენ, ნამდვილათ თვითგასამართლებას მოუწყობდნენ კოწიას, განსაკუთრებით თურმე აქტიურობდა ბიქტორ მელიქოვის ქალიშვილი, რომელიც მოუწოდებდა ხალხს «ჩავქოლოთო”. მე არ დავსწრებივარ ამ კრებას პირადათ, სხვებმა მიამბეს... განხეთქილება მოხთა ემიგრაციაში. ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვეშაპიძემ (ვეშაპელმა), რომელიც გაზეთ „კლდის“ რედაქტორი იყო 1919–1920 წლებში

საქართველოში და, რომელიც თავის პარტიას გამოეთიშა და ქართველი გლეხების ინტერესების დამცველი პარტია ჩამოაყალიბა, აღიარა საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება, გამოსცა საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ქართული ორგანო პარიზში. ამბობდნენ, რომ აჯანყების დამარცხების შემდეგ პარიზში ჩასულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ვეშაპელი გალახა: მე ტყეში გავძელი იარაღით ხელში სამი წელი და შენ აქ, პარიზში ვერ გაძელიო?...ერთ დღეს ვიღაც ემიგრანტმა პისტოლეტით მოკლა გრიგოლ ვეშაპელი, რამოდენიმე ხნის შემდეგ კარლო ჩხეიძემ, ჯერ კიდევ გაურკვეველი მიზეზის გამო, თავი მოიკლა პარიზში...

აქვე მინდა შევეხო ერთ საკითხს. დაარხიეს ხმა, ზოგიერთმა საქმის არ მცოდნემ კი აიტაცა და გავრცელდა სრულიად უსაფუძვლოდ, თითქოს აჯანყების დამარცხების მიზეზი გახდა ის, რომ ჭიათურამ ერთი დღით დაასწრო დათქმულ თარიღს, თითქოს უნდა დაწყებულიყო 29 აგვისტოს, ჩვენ კი 28 აგვისტოს დავიწყეთ, რამაცსაშუალება მისცა ხელისუფლებას ზომები მიეღო. ყოველივე ეს შეთითხნილია იმავე მენშევიკების მიერ, რათა რაღაცას შეახოცონ ხელი, რათა მიზეზი დამარცხებისა და პასუხისმგებლობა მისთვის, აიცილონ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ აჯანყება ჭიათურამ დაიწყო დანიშნულ დღეს, და თუ სხვაგან ამ დღეს არაფერი არ მომხდარა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ვალიკო ჯუღელის ჩავარდნამ და ჩატარებულმა რეპრესიებმა, შეანელა სწრაფვა ბრძოლისაკენ. ჭიათურაში დანთებულმა ცეცხლმა სტიმული მისცა სხვა რაიონებსაც, ცნობილი გახდა, რომ როდესაც ვალიკო ჯუღელი ჩაიგდო ჩეკამ ხელში, მას აჩვენეს აჯანყების გეგმა, რაზედაც მან ითხოვა, მიეცათ საშუალება დაკავშირებოდა სათანადო პირთ რაიონებში, რათა აშორებული ყოფილიყო აჯანყება და სისხლისღვრა, რაზედაც მას იქედნურად უპასუხეს – თქვენ როგორ შეგაწუხებთ ამას ჩვენ თვითონ მოვახერხებთო. ამრიგად აჯანყება გაცემული იყო, გამცემი პარიზში იჯდა და იქიდან ჩამოვიდა და თურქეთის საზღვარზე გადმოსვლისას, ჩეკას ხელში ჩავარდნა გათამაშდა და მას ჩააბარა ყოველივე. ეს იყო გენერალი გ.მ. მოუსმინოთ შემდეგ ნაამბობს თავის მოგონებებში, რომელიც წიგნად გამოსცა: მას აპატიმრებს ჩეკა, საიდანაც უვნებელი გამოდის. ეს ხდება 1923 წელს, შემდეგ იგი «იპარება” ირანში, სადაც ცნობილი მრეწველი ხოშტარია შესთავაზებს, როგორც დევნილ პიროვნებას თანამდებობას, პატრონობას და კეთილდღეობას, მაგრამ მას ეს არ აწყობს. იგი გადადის თურქეთში და შემდეგ აღმოჩნდება პარიზში, სადაც მას ქართული ემიგრაცია ხელგაშლით მიიღებს, როგორც ნაწვალებ, ყოფილ თავისი არმიის გენერალს. მან დავალება ჩეკას მიერ მიცემული პირნათლათ შეასრულა, სამაგიეროც გადაუხადეს, კასპის რაიონში თავისი სახლ-კარი და მამული დაუბრუნეს... ყოველივე ეს არის ჩემი მოსაზრება და არ მტკიცება. ძნელია ადამიანს ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა მიაწერო, მაგრამ როცა გაანალიზებ ყოველივეს, რაზედაც თვითონ საუბრობს, არ შეიძლება არ დაეჭვდე. ახლა თვით აჯანყებაზე, მის ავკარგზე.

რა მოხთა, ვისით მოხთა, რისთვის მოხთა!

უნდა ითქვას, აჯანყება გაიცემოდა თუ არ გაიცემოდა, მაინც განწირული იყო და პერსპექტივა გამარჯვებისა არ გააჩნდა. ფილთა თოფით ამოდენა რუსული არმიის დამარცხება და საქართველოდან მისი გარეკვა რომ შეუძლებელი იქნებოდა, ყოველ გონებაგახსნილ ადამიანს კარგად ესმოდა, მაგრამ ყოველივე იმან, რაც თავს დაატეხეს საქართველოს შემოსულმა აღვირახსნილმა ძალამ და მედროვეთა ხროვამ, იმდენი ბოღმა

დააგროვა ჭეშმარიტ ქართველთ გულში, რომ არ გადმოენთხია ეს ბოღმა, შეუძლებელი იყო. ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებინა მსოფლიოსათვის, რომ ქართველობას შესწევს ძალა იბრძოლოს თავისუფლებისთვის, რომ ის ღირსეული ერია და მონობას ვერ აიტანს. თვით რუსეთისთვის გვინდოდა დაგვენახვებინა, რომ ქართველობა ის ერია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს, რომ არც ისე ადვილი მოსანელებელია წითელი იმპერიისათვის... ცხადია ძვირათ დაუჯდა საქართველოს 24 წელი. იბადება კითხვა, რატომ არ ცდილობდა მაინცდამაინც საოკუპაციო მმართველობა ხელი შეეშალა აჯანყებისათვის. ჩეკამ ადგილობრივი რაიონული ხელისუფალნიც არ გააფრთხილა, არ განაწყო საბრძოლველად. ჭიათურის მმართველობას არავითარი ცნობა არ ჰქონდა ხელთ, რომ აჯანყება მზადდებოდა. ეს იყო სწორედ ქართველი ერის მტრის სივერაგე. მას აწყობდა აჯანყება მომხდარიყო, რათა ქართველთ ერთმანეთი გაეჟლიტათ. აჯანყებული თუ ქართველ ბოლშევიკს მოკლავდა, ან პირუკუღმა, ეს ურთიერთ ჟლეტა აწყობდა ვერაგ მტერს, მეორეს მხრივ, მიზეზს მისცემდა მტერს თავისი ორგანოებით მასიური ჟლეტა ჩაეტარებინა....

გაირკვა ერთი ვერაგული ამბავიც, განსაზღვრული ათაბეგოვ-მიასნიკოვ-მოგილევსკის ჯგუფის მიერ, რომელთა გეგმით უნდა მოკლულიყო ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, კერძოდ, ფილიპე მახარაძე, რაც ტერორისტულ აქციათ გასაღდებოდა და ახალი მიზეზი მიეცემოდათ ქართველი ინტელიგენციის დაპატიმრების და მასიური დახვრეტების... როგორც ჩანს გეგმა შეიცვალა... ერთ დღეს თვითმფრინავით სერგო ორჯონიკიძე, ათაბეგოვი, მოგილევსკი, მიასნიკოვი, როცა გამგზავრებას აპირებდნენ რაღაც საქმეებთან დაკავშირებით, სანამ თვითმფრინავი აფრინდებოდა (მას ქართველი მფრინავი საღარაძე მართავდა), თვითმფრინავთან გაჩნდა ვიღაც სამხედრო და პაკეტი მიართვა სერგოს. უკანასკნელმა გახსნა და რომ წაიკითხა თავის თანამგზავრთ შესძახა: თქვენ გაფრინდით, მე ერთ საათში მეორე თვითმფრინავით თქვენთან გავჩნდებიო. ჩაჯდა მანქანაში და წავიდა, თვითმფრინავი აფრინდა, წრე დაარტყა და გაეშურა, არ გასულა ორი წუთიც და თვითმფრინავი ჰაერში აფეთქდა და სამივემ საქართველოს ჭირი მოჭამა...

ცოტა უფრო ადრე, თბილისში, უნივერსიტეტის მიმდებარე ქუჩაზე, სტუდენტთა შეიარაღებულ ჯგუფს შეტაკება ჰქონდა ჩეკისტებთან, რომელთაც ისინი მიიმწყვდიეს ერთ ადგილას და დახოცეს, მათ შორის სტუდენტი მიშა კეკელიძე (კორნელი კეკელიძის ვაჟი), ხოლო ტიტიკო აბაშიძე, ულამაზესი ვაჟკაცი, ზედმეტ სახელათ შოთას ვუძახდით, რადგან რუსთაველს ჰგავდა, მარცხენა მკლავში დაჭრილი ჩეკისტებმა ხელში ჩაიგდეს. ჭრილობა თავის ხელით ცხვირსახოცით შეიხვია, ასე წაიყვანეს და ათაბეგოვის მოთხოვნით, მასთან შეიყვანეს კაბინეტში. ათაბეგოვმა მას რუსულად დედა შეაგინა სიტყვებით «Это ты и тебе подобные сволочи поднимаютруку против нас за ебаную Грузинскую свободу?" ამ სიტყვებზე ტიტიკომ ისეთი სილა სთხლიშა მარჯვენით და თან მიაფურთხა, რომ ათაბეგოვი ჩაიკეცა სკამზე, მაგრამ უცებ წამოდგა და პისტოლეტიდან სახეში ტყვიები დააყარა საწყალ ტიტიკოს... რომელიც სისხლში მოსვრილი გაათრიეს... ზაქრო გელაშვილი ხუთი კაცით ღვინის ქარხნის მოპირდაპირე სახლში მიემწყვდიათ, არ დანებებულან და გაუჟლეტავთ ახალგაზრდები. ზაქრო მეორე სართულის ფანჯრიდან გადამხტარა, დაჭრილს გაქცევა უნდოდა, მაგრამ ზეზე ვერ წამომდგარა და ჩეკისტებს იქვე ჩაუცხრილავთ. ეს ამბავი და თვითმფრინავის ამბავი ერთი წლის შემდეგ

მომიყვნენ თბილისში... ამ თხრობას ერთსაც დაუმატებ იმავე დროს გაგონილს. ვალიკო ჯუღელი და მიშა კოღუაშვილი დასახვრეტად ერთად გაუყვანიათ, სხვა და სხვა კამერებში მსხდომნი. მიშას რომ დაუნახავს ვალიკო, უთქვამს: „აი, ბედმა სად შეგვახვედრა, როცა გვარდიის თავკაცი იყავი მოსაკლავათ დამდევდი და ხევსურეთში ვიმალებოდი, გულწრფელად ვწუხვარ შენს დაღუპვას. ქვეყნისთვის საჭირო კაცი ხარო...»

როცა აჯანყების ქარცეცხლმა ჩაიარა... ათასობით ქართველის ოჯახი განადგურდა, ბევრ რამეს აეხადა ფარდა, ბევრი რამ უცნობი და მიუწვდომელი ხელშესახები გახდა....რუსული ოკუპაცია ელოლიავებოდა ერთ აზრს: საქართველოში ჩაეკლა ქართული სული, შეექმნა მოჩვენებითი სიკეთე, ჩაეკლა და მოესპო ქართველში თავისთავადობისაკენ სულ მცირედი სწრაფვაც კი და ყოველივე ეს ეკეთებინა ისეთი ქართველების ხელით, რომლებმაც განიცადეს ბოლშევიკური ტვინის ჭყლეტა, გაირეცხნენ ყოველივე ქართულისაგან და შეიგნეს, რომ 1. მათი სამშობლო პატარაა და უძლურია როგორც ეკონომიურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც, 2. ამიტომ მას არ შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად და მისი ყველაზე საიმედო მფარველი მხოლოდ რუსეთია, წითელი რუსეთი...მის ერთგულებაშია საქართველოს საშველი...ჭკვიანმა კაცმა თქვა, რომ ადამიანი დაბრკოლებებთან ბრძოლაში ყალიბდება პიროვნებად. მეორე ჭკვიანმა კი დაუმატა: ერის სულიერი ფიზიონომიის ჩამოყალიბებას უთუოდ წინააღმდგობათა გადალახვა უწყობს ხელს. თუ ეს ასეა, მაშინ ქართველ ხალხს ასეთი „ხელშემწყობი" პირობები საკმაოზედ მეტი ჰქონიაო – დაუმატა მესამემ და ნაღვლიანად შეხედა წიგნზე გამოსახულ საბჭოურ ქართულ გერბსა და დროშას...

გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო, მცირე თანხა მომეგროვებინა და საზღვარგარეთ გავსულიყავი, გავპარულიყავი (მე ვიზას ვინ მომცემდა) და იქ მიმეღო საინჟინრო განათლება....მივიჩნიე, რომ „წაწლის" პოლიტიკა, რომელსაც შალვა ნუცუბიძე გვთავაზობდა, გარკვეულ ეტაპზე სწორი გზა იყო, სხვა გზა არც ჩანდა, სხვა გამოსავალი არც არსებობდა. დასახმარებლად მივმართე ტარიელ აბდუშელიშვილს, რომელიც „კარუტოში" – მარგანეცის სააქციო ფირმაში (გერმანული) მუშაობდა...სამი კვირის შემდეგ ტარიელმა შემატყობინა, რომ მასთან მაღაროში ავსულიყავი... გულისფანცქალით ავედი და მეღირსა „ჰო-ს" თქმა. ...ჩემი თანამდებობა იყო ინსტრუმენტთა საწყობის გამგეობა, ჯამაგირი 32 მანეთი მქონდა. მანეთი მაშინ საკმაოდ მტკიცე ვალუტა იყო და პური 15 კაპიკი ღირდა... ასე დამთავრდა 1924 წელი...

რა მისცა საქართველოს გასაბჭოებამ და მისმა შემდგომმა ხანამ? 1921 წლის რუსეთის შემოსევის შედეგად საქართველომ სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობასთან ერთად დაკარგა ეროვნული მთლიანობა. და რა სურთ შემოსეულ მოძალადეებს? უსაზღვრო მორჩილება ერთპიროვნული დიქტატორული მმართველობისადმი, რაც განაპირობებს ყოველგვარი დამოუკიდებელი აზროვნების არ არსებობას, თანმიმდევრულ ტვინის ჭყლეტვას, გონებრივი სიჩლუნგის პროგრესირებას. გასაბჭოების შემდეგ გაბატონდა მკვეთრად ორგანიზებული პრივილიგირებულთა კლანი, რომელსაც „პარტია» ეწოდება. მას თავში ერთპიროვნული გამგებელი უდგას, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბელადს უწოდებენ. რომელიმე თავყრილობაზე, რომელიმე არქიმლიქვნელი, ექსტაზში შესული, წამოისვრის სიტყვებს ბელადისადმი და დაიბადება შურიც და სინანულიც – როგორ მოხდა, რომ მან მოგვასწრო პირველობაო და

აღრიალდება მთელი კლანი: ვაშა, ურა, ჩვენს პეტრეს... ივანეს... და დაიწყება მუცლით ხოხვა ბელადის პორტრეტის წინ...ხელებზე უჩნდებათ მაზოლები ტაშის ცემისაგან, ხორხში _ ვაშას ძახილისაგან და ვინ იცის, სად და რისგან. ხელისუფლების იერარქიულ კიბეზე ჩნდებიან სხვადასხვა ზომის, წონისა და ძალის ბელადები დაწყებული „უჯრედიდან», ზემოთ, აღმასვლით. რაც უფრო „წვრილფეხია» ბელადი, მით უფრო აფხორილია, მით უფრო შეყვარებულია თავის თავში. ინტერნაციონალიზმის არსი საბჭოთა პირობებში წარმოადგენს „ველიკორუსული» ნაციონალიზმისა და „Единая, неделимая" იდეის შენადნობს, რომელიც ერთ მიზანს ისახავს: რუსულ ეროვნებას შეადუღოს, შეასრუტოს ყველა, რუსეთის მიერ დაპყრობილი ერი, მათი თანდათან დენაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებით, აღნიშნულ „ინტერნაციონალიზმზე» დაყრდნობით. რუსეთი ექსპლუატაციას უწევს არა მარტო დაპყრობილი ერების ეკონომიკურ რესურსებს, იგი უღვთო ექსპლუატაციას უწევს ადამიანთა რესურსებს, მათ გონებას, წარმოსახავს რა იმ კალაპოტში, რომელიც მას მეცნიერების ამა თუ იმ დარგში სჭირდება. ამავე დროს ეს ხდება ფარულად, შენიღბულად, ათასნაირი მზაკვრული ხერხით.

ყოველ დაპყრობილ ერს მიწა, ფაქტიურად, ჩამორთმეული აქვს. აქედან ხდება მისი შემოსავლის სრული მითვისება... კოლმეურნეობებში შექმნილი ფულადი შემოსავლის ფონდის ხელუხლებლობის გარდა, ამ თანხების სრული მითვისებისა და გამოყენების მიზნით შეიქმნა „საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობათა საბჭო», რომელსაც დაუქვემდებარეს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სამინისტროები, მაშინ, როცა ეს სამინისტროები, შესაბამის საკავშირო სამინისტროსაც ექვემდებარებიან. ამ საბჭოს უფლება აქვს კოლმეურნეობებში შექმნილი განუყოფელი ფონდი, რომელსაც თავად შემქმნელი – კოლმეურნეობა – ხელს ვერ ახლებს (რომც მოინდომოს, ბანკი არ მისცემს), როგორც ისურვებს, ისე გამოიყენოს. თავისთავად ისმება კითხვა: რას წარმოადგენს, რა ფუნქციას ასრულებს რესპუბლიკა, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მიწა, მის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოები და აქ წარმოებული პროდუქცია? კითხვა ჩნდება მაშინაც, როცა ჩვენი ქვეყნის ელექტოენერგიაზე ვსაუბრობთ. საქართველო ხომ მდიდარია ჰიდროენერგიით. მდინარეებზე აგებული ჰოდროსადგურების მიერ წლის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერგია კილოვატსაათებში რამდენიმე ასეულ მილიარდს უდრის. სად მიდის, ვის მიაქვს ეს ენერგია და ვინ განაგებს მას? ვის ეროვნულ ინტერესებს ემსახურება მილიარდები? ტექნიკური რევოლუციის პირობებში შესაძლებელია, რომ რუსეთმა ეს დოვლათიც მიითვისოს. როგორ? ეს სადგურები ჩართულია ერთიან ენერგოსისტემაში, სადაც მისი პროდუქციის ხუთიდან ექვს პროცენტამდე ხმარდება საქართველოს, დანარჩენი კი რუსეთს მიაქვს. არის კიდევ ერთი უბედურება ამასთან დაკავშირებით: რიგ შემთხვევაში ელექტროსადგურები ისეთ ადგილას შენდება, რაც საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებელია. მაგალითად, ჟინვალჰესის მშენებლობა. მეცნიერთა მიერ არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება, რომ არაგვის შეგუბება დაფარავს უნიკალურ მცენარეთა რეგიონს, ისტორიულ ძეგლებს, რასაც დაცვა სჭირდება და არა შეუბრალებელი მოპყრობა. ამ მოსაზრებას მოსკოვმა ანგარიში არ გაუწია, არაფრად ჩააგდო ქართველი ხალხის ინტერესები და ...ჟინვალჰესი შენდება.

მსხვილი საწარმოებისა თუ ელსადგურების მშენებლობებზე მოსკოვი აგზავნის რუს სპეციალისტებს მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩამოსვლის საჭიროება არა არის – ადგილზე საკმაოდ გამოცდილი კადრებია. ეს ჩასახლება დროებითის მაგიერ, მუდმივ ხასიათს იღებს და ახალმშენებლობებთან ქართული მოსახლეობა უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე რუსები ან სხვა ერის წარმომადგენლები. ქართულ ეროვნულ სხეულს მოსკოვი მათ ტკიპებივით ასხამს, რომელსაც ვერ მოიშორებ, ან რატომ მოგშორდება, როცა მოსკოვი ყველას ავალდებულებს ისინი შეღავათებით უზრუნველყონ. მათ თან ოჯახებიც მოჰყვებათ, თუ არა, აქვე ოჯახდებიან, ძირითადად, თავისი ჯიშის ქალებზე. ყოველივე ეს „ინტერნაციონალიზმად» ინათლება. ასეთ ჩასახლებას ემსახურება, ასევე, კანონი ჯარიდან დემობილიზებულთა შესახებ. ოფიცრებს შეუძლიათ დარჩნენ საცხოვრებლად იმ ტერიტორიაზე, სადაც მოესურვებათ. რესპუბლიკის ხელისუფალთ კი კანონის ძალის მითითება აქვთ, რომ ისინი ბინითა და სამსახურით უზრუნველყონ. ცხადია, ბევრს მოუნდება დასახლება „ამქვეყნიურ სამოთხეში» – საქართველოში. მნიშვნელოვანია შერეული ქორწინების საკითხიც. ...ასეთ ოჯახში ბავშვი არც რუსია, არც ქართველი. უფრო რუსია, რადგან მამა აძლევს შვილს სისხლს, ხოლო დედა ფლობს შვილის სულიერ სამყაროს და რძესთან ერთად თავის სულიერებას შთაბერავს პირმშოს...ასეთი ადამიანები შემოსული ძალისათვის კარგი დასაყრდენია, ზედმეტი შესაძლებლობის იარაღია პოზიციების განსამტკიცებლად. ამიტომ არის, რომ მოსკოვი სიხარულით აღიქვამს ასეთ მოვლენას, რაც დაუფარავად ითქვა კიდეც პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის ტრიბუნიდან.

საქართველო ბუნებით უმდიდრესი ქვეყანაა. მას მრავალი კურორტი გააჩნია, მათ შორის შავი ზღვის სანაპიროების არეალი...ვინ იყენებს ამ კურორტებს? პირველ ყოვლისა, არაქართველები, ძირითადად, რუსები. წამყვანი კურორტების საგზურები, ძირითადად, მოსკოვს მიაქვს. დასარწმუნებლად უბრალო რამ არის საჭირო: შეიხედეთ სანატორიუმებში! ჩვენი ჯანმრთელობის კერები სხვა ეროვნების ადამიანებს უფრო ემსახურება: სახელი ჩვენია, სახრავი – სხვისი. ამასაც, რასაკვირველია, „ინტერნაციონალიზმით» ნათლავენ, რის უკანაც რუსული შოვინიზმი იმალება.

ყოველი დიდი სახელმწიფო, როცა იპყრობს რომელიმე ტერიტორიას, ცდილობს ეთნიკური სხვადასხვაობა გამოიყენოს და, ძირითადად, სახელმწიფოებრიობის შემქმნელ ერს დაუპირისპიროს, რათა დაანაწილოს და დაარღვიოს მისი ერთიანობა, მთლიანობა და ამით მოსპოს წინააღმდეგობის უნარი. ასე მოიქცა წითელი იმპერიალისტური რუსეთი: საქართველოს ჩამოათალა ზაქათალა და აზერბაიჯანს მისცა, ალავერდის მაზრა – სომხებს, სამხრეთი ოლქები: ლაზეთი და მესხეთი ოსმალოს გადაულოცა, თავისთვის კი სოჭის ოლქი წაიღო. რაც დარჩა, ისიც აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიებად და ოსეთის ოლქის გამოყოფით დაფლითა. ეს კი გააკეთა ისეთი გადაგვარებული, წუნკალი რუსოფილების ხელით, როგორებიც იყვნენ ორჯონიკიძე, ილიას მკვლელი ფილიპე მახარაძე, ორახელაშვილი და სხვები, რომლებიც დაბრმავებულები იყვნენ ლენინიზმის ლოზუნგებით. საერთოდ კი რუსული ბოლშევიზმი ეს არის კიბური სიმსივნე საქართველოს ეროვნულ სხეულზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის სახით ღრღნის ჯანმრთელ ეროვნულ უჯრედებს და ნელი ორგანიზებული მეტასტაზით განადგურებით ემუქრება, მაგრამ დადგება ის დღე, როცა უსამართლოდ დაღვრილი სისხლი აბობოქრდება და სიბინძურე ქვეყანას წალეკავს,

პირწმინდათ წალეკავს. ძრწოდეთ, ძრწოდეთ, ვისაც ხელები სისხლში გაქვთ ნაზანი, ძრწოდეთ!...

1925 წელი...

1925-ის ახალ წელს ჭიათურა მდუმარედ, მგლოვიარედ შეხვდა. ძნელი იყო იმ მდგომარეობიდან გამოსვლა, რაც მოსახლეობამ განიცადა...ამ დროისათვის გამოსული იყო მიხეილ ჯავახიშვილის: «ჯაყოს ხიზნები». ვფიქრობდი და ვერ გამეცა პასუხი, რამ დააწერინა ამ მამულიშვილ მწერალს ქართველი კაცის ღირსების შემლახველი ნაწარმოები...თებერვლის ბოლოს ჭიათურაში მოაწყვეს ამ ნაწარმოების გმირთა ლიტერატურული გასამართლება. მეც დავესწარი, თუმცა გული მეუბნებოდა, მოეშვი, ნუ წახვალო... წავედი...ხალხი ბევრი იყო. სცენაზე იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის გაკომუნისტებული მენშევიკი თოფაძე. ისინი ტაშს უკრავდნენ და ძირითად ღირსებად თვლიდნენ, რომ მიწასთან იყო გასწორებული ყოფილი დიდი გვარიშვილის ოჯახი და კლასობრივი მტრის წარმომადგენლები. მე სიტყვა ვითხოვე და სცენაზე ავედი. იმით დავიწყე, რომ რომანის ავტორმა ძალადობას, უკანონობას, მხეცისაგან ადამიანის ღირსების შელახვას უკმია საკმეველი და რაც მთავარია, ქართველის ბუნება სიბილწით შემოსა...ის ისედაც წაქცეულს თავზე ლაფს ასხამს... სიტყვის დამთავრება არ მაცალეს. თოფაძე წამოხტა და დაიძახა: მოვითხოვ, ამ კონტრამ დატოვოს სცენაო. დარბაზიდან მას კომკავშირელებიც აჰყვნენ და ...მე კულისებში გავედი და იქიდან სახლისაკენ გავწიე... მეორე დღეს სადგურზე გავედი და იქ ორი უცნობი ახალგაზრდა მომიახლოვდა, მთხოვეს გავყოლოდი. მივხვდი, ვინც იყვნენ... თვალი მოვკარი ჩემს მეგობარს გრიშა დურმიშიძეს და ბაზოსთან დავაბარე ამაღამ არ მოვალ-მეთქი. ჩეკას შენობაში შევედით, ოთახში შემიყვანეს. პატარა ხნის შემდეგ ერთი ბიჭი შემოიყვანეს. მე მას ვიცნობდი, ამბობდნენ, რომ ჩეკას ინფორმატორი იყო... მთხოვა მეთქვა სად იყო იონა ვაშაძე. იმიტომ მაინტერესებს, რომ მე მისი ცოლი მომწონს და მინდა ცოლათ შევირთოო. ამბობენ, იონა სხვებთან ერთად ტყეშია გასულიო. ჩემთვის ნათელი იყო, რომ მას სურდა გაეგო ის, რაც ჩეკამაც არ იცოდა: ზესტაფონთან ვაგონების დახვრეტის დროს რამდენიმე გაქცეული ჩხარში თუ თერჯოლაში ადგილობრივმა პარტიულებმა დაიჭირეს და დახვრიტეს. ამასთან ჩეკამ არ იცოდა ზუსტად, ვინ დახვრიტა და ჩაყარა თხრილებში ან ვინ გადარჩა. ხმები კი მრავალნაირი დადიოდა. ახლა ჩეკას უნდოდა გაეგო, თუ რამე ვიცოდი ამის შესახებ. ამ ბიჭის დანიშნულებაც ეს იყო. მე ვურჩიე ჩეკასაგან გაეგო იონას ამბავი, მით უფრო, რომ მისი ქვრივის შერთვა გინდა-მეთქი. ღამე დავიძინეთ და მეორე დილით ის ბიჭი საკანში აღარ იყო. მე თვითონ მოვითხოვე ჩეკას უფროსთან შეხვედრა. თქვენ საჯაროთ გამოხვედით და უდიერათ მოიხსენიეთ არსებული მდგომარეობა. ამის შესახებ ჩვენ წერილობითი განცხადება გვაქვსო. ეს განცხადება, რასაკვირველია, ვერ მაჩვენეს... სამი დღის შემდეგ, ღამით გამომიყვანეს, ჩემთან ერთად კიდევ ორი კაცი და თბილისისაკენ გამამგზავრეს... ვაგონში დავინახე, რომ ჩვენი ბადრაგი ჩემი ქუთაისელი ნაცნობი კოკი ჟორჟოლაძე იყო. საკმაოდ უხერხულად გრძნობდა თავს. ჩემთან ერთად იყო კიდევ ორი პატიმარი: სამთო ინჟინერი საყვარელიძე, რომელიც ციმბირის ოქროს

საბადოებში მუშაობდა და გაქართველებული ბერძენი, მაღაროს მუშა, სოციალ-დემოკრატი [გვარი არ არის მითითებული]. ...თბილისში მატარებელი გამთენიისას ჩამოვიდა. ფეხით წაგვიყვანეს ძერჟინსკის ქუჩამდე, სადაც ჩეკას შენობა იყო. რუსთაველზე რომ ამოგვიყვანეს, ვხედავ დათიკო გაბუნია, ჩემი გიმნაზიელი ამხანაგი, დგას. კოკი მომიბრუნდა და მეუბნება: დათიკომ კი გვნახა ამ მდგომარეობაში – შენ ტუსაღი და მე კი კონვოი, ახლა უშანგი ჩხეიძე არ შეგვხვდებოდეს ნეტავი და არაფერი მინდაო...ჩეკაში საკანში შეგვიყვანეს მე და ბერძენი. იქ ოთხი კაცი დაგვხვდა. საკანში ერთი მაგიდა და პარაშა იდგა. გაივსებოდა პარაშა და დილის მორიგე, როცა დილით გაგვიყვანდნენ, თან წამოიღებდა, გაცლიდა, წყალს გამოავლებდა და ისევ საკანში დაგვიდგამდა... გავიდა რამდენიმე დღე. ტუსაღები დავაახლოვდით. აი, ვინ იყვნენ ისინი: აზერბაიჯანელი სტუდენტი, მანსუდ ბაირამოვი, რომელიც თურქეთში საბჭოთა წარმომადგენლობაში მსახურობდა და დასწამეს ჯაშუშობა ...ის უკვე ექვსი თვე იჯდა, ტანზე ეცვა, ძვირფასი კოსტუმი, სხვა არაფერი არ ჰქონდა, იწვა მოკუნტული ფიცარზე, გამხდარი, გაყვითლებული, საცოდავი შეხედულების, საჭმელს ტუსაღები უზიარებდნენ; არმენ აკა ყალბი ფულის დამზადებისათვის იჯდა; ამერიკის მოქალაქე კუდერტონი ერთ მეგრელ ემიგრანტთან ერთად იყო ჩამოსული საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ზუგდიდის მაზრაში საცდელი მეურნეობის მოსაწყობად, უმტკიცებდნენ, რომ იყო ემიგრანტი კუდრიავცევი და ამერიკის სასარგებლოდ ჯაშუშობდა. ანტისაბჭოური საქმიანობისათვის იყო დაპატიმრებული სომეხი, დაშნაკების ჯარის ოფიცერი არმაპეტ კაზაროვი და ორი პიროვნება – ტროცკისტული საქმიანობისათვის. ბოლოს შემოიყვანეს ოფიცერი ჯანდიერი, რომელთანაც ძალიან დავახლოვდი. მან მიამბო ერთი ქართველი ოფიცრის, ვაჩნაძის ამბავი, რომელიც მეტეხის ციხეში გადაყვანისას, ხიდიდან მტკვარში გადამხტარა და მებადრაგეებს ტყვიები დაუშენიათ, გადარჩა თუ არა, არ იცოდა. გავიდა ათი დღე და არავინ მეძახის. ერთ დღეს ბაირამოვს შემოუტანეს ქაღალდი და ფანქარი. ისიც ფაციფუცით დაჯდა და დაიწყო წერა. ყველას გაგვიკვირდა... ჩვეთან ხშირად შემოდიოდა და გვათვალიერებდა ხოლმე ჩეკისტი პოპოვი, ახმახი, ჭროღათვალებიანი, რომელსაც ზედმეტ სახელად ეძახდენენ „Комендант смерти”. ეს კაცი, როგორც გავიგეთ, თვითონ ხვრეტდა სიკვდილმისჯილ პატიმრებს, რომელნიც, ჩვეულებრივ, შუაღამისას გაჰყავდათ. ბაირამოვი წერას რომ მორჩა, კარზე დააბრახუნა. სწორედ ამ პოპოვმა შემოიხედა, კარი გააღო და ბაირამოვს ნაწერი გამოართვა, არც დახედა, ისე წაიღო. იმ ღამეს ბაირამოვს საწოლის მოწყობილობაც და საჭმელიც შემოუტანეს. საწყალი ბიჭი მხიარულ ხასიათზე იყო. მერე მიმიხმო და ყველაფერი მომიყვა, თუ როგორ დააპატიმრეს, გამოაპარეს თურქეთიდან გემით და ოდესიდან აქ როგორ გამოაგზავნეს, რა წამება გადაიტანა, მაგრამ არ გატყდა. ახლა გამომძიებელი გამომიცვალეს და მან მითხრა, თავს რაზე იკლავ, გულახდილად აღიარე, რომ ცნობებს აწვდიდი თურქეთის უშიშროების ორგანოს და დიდი-დიდი ხუთი წლის გადასახლება მოგისაჯონ, ახალგაზრდა კაცი ხარ, გადასახლებაში გაგიშვებენ, იქ დრო მალე გადის, სამშობლოში დაბრუნდები და ადამიანურად იცხოვრებო. დამაჯერა ამ კაცმა და მეც დავწერე, რაღაცნაირად მომეშვაო. ჩუმად ვუსმენდი... ისღა ვუთხარი, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი... ერთხელ, ღამის პირველი საათი იქნებოდა, რომ კამერის კარი გაიღო და პოპოვი ერთ მეგრელ, ხელებდაკაპიწებულ ბიჭთან ერთად შემოვიდა. ფულისმჭრელს

უბრძანეს, ქვეშაგები წამოიღე და წამოდიო. მან არაფერს ხელი არ მოჰკიდა, ისე გაჰყვა...მისი ქვეშაგები იმ ბიჭმა გაიტანა... მასზე ამბობდნენ, რომ პოპოვის მარჯვენა ხელი იყო...კუდერტონმა წამოიძახა: „Видно сегодня день расхода". ერთი საათიც არ იყო გასული, კვლავ გაიღო კარები და ამჯერად აზერბაიჯანელ სტუდენტს მიმართეს – გამოდიო. იგი დაფეთებული წამოვარდა და საჩქაროდ ჩაიცვა...მისი ხარახურაც ბიჭმა გაიტანა...ამრიგად, ჩვენი საკნიდან ერთ ღამეს ორი დაიხვრიტა. მძიმე დუმილი გამეფდა. კუდერტონიც კი, ვინც ყველაზე ენაწყლიანი და მოქაქანე იყო, მოტყდა, ჩაქრა, დაკითხვიდან დამძიმებული ბრუნდებოდა...ერთი კვირის შემდეგ, შუაღამისას, პოპოვი თავის ამქართან ერთად შემოვიდა, კუდერტონს მიაჩერდა, გაყოლა უბრძანა. კუდერტონი მოულოდნელად ემგერა პოპოვს, წააქცია და შემოვარდნილმა ხუთმა კაცმა ძლივს გააკავა პატიმარი, ბორკილები დაადვეს და გარეთ გაათრიეს, მაგრამ კორიდორშიც ერთი ბრახა-ბრუხი ისმოდა, მერე უცბად ყველაფერი მიწყნარდა, ალბათ თავში რამე ჩაარტყეს...ჩვენი საკნიდან მესამე ტუსაღი დაიხვრიტა... მეორე დღეს შეშის დასახერხად გაგვიყვანეს. ჩემთან ერთად ბერძენიც წამოვიდა. ეზოში, სადაც დასახერხი შეშა ეყარა, კოკი ჟორჟოლაძეს მოვკარი თვალი. მან ალბათ დამინახა, მაგრამ თვალი ამარიდა. საქმე ერთ საათში დავამთავრეთ და ახალგაზრდა ჩეკისტმა საკნისაკენ წაგვიყვანა. გზაში შემეკითხა, სტუდენტი ხარო და პასუხი რომ გავეცი, უცბად პოპოვი გამოჩნდა და მიყვირა, რა უფლებით ვლაპარაკობდი ხმამაღლა, როგორც ჩანს, მით-ვალთვალებდა – მაშინვე კარცერში გამაგზავნა. კარცერში კიბე საკმაოდ მაღალი იყო და დანახვა ძლივს მოვასწარი, სანამ კარს დაკეტავდნენ. უკუნეთ სიბნელეში აღმოვჩნდი, მარტო ვირთხების ფაჩუნი ისმოდა. დაბლა ჩასვლას აზრი არ ჰქოდა, ამიტომ კიბეზე გავათენე. თან თავზე ვბრაზობდი – ხომ გინდოდა სუფთა ჰაერზე ყოფნა, აი, შენ, ჩემო გრიგოლ სუფთა ჰაერიცა და მსუქანი ვირთხებიც. დროის მსვლელობა ამერია, მეგონა მთელი კვირა გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღო კარი და ისევ ჩემს საკანში გამიყვანეს. ძველი პატიმრებიდან არავინ დამხვედრია...ბაბოს წერილი მომივიდა: „შენი კოსტიუმი იკერება და მალე მზად იქნება, შეკერვაში ხელს გვიმართავს ალექსანდრე». ჩემთვის გასაგები იყო, რომ ბაბო ალექსანდრე ვაშაძესთან (საჩინოს ძე) სათხოვნელად მივიდა. ამ დროს ალექსანდრე მიწათმოწყობის მინისტრის მოადგილე იყო. კარცერიდან გამოსვლის ორი დღის შემდეგ გამომიძახეს. საუბრის შემდეგ, გამომძიებელმა მიქაძემ დამაწერინა წერილობითი დასტური, რომ ყოველნაირ ანტისაბჭოთა საქმიანობას ვემიჯნები. ამასთან დავუმატე, რომ მე მათ ბინძური საქმეების საკეთებლად არ გამოვადგებოდი, თუნდ დავეხვრიტე, თუნდა გადავესახლებინე....გავიდა კიდევ ერთი კვირა და მე გამათავისუფლეს. გამოსვლის შემდეგ ბინაზე მივედი ალიოშა ბოკერიასთან, რომელიც ამინისტიით იყო გათავისუფლებული. მან ცოტაოდენი ფული მომცა და რუსთაველის თეატრში მოთავსებულ რესტორანში მიმიყვანა. აქ მწერალი შალვა ალხაზიშვილი გაგვიმასპინძლდა. ღამე ალიოშასთან გავათიე. ბაბოს თხოვნით, ალექსანდრესთან მივედი. მან, ცოტა გულმოსულმა, მითხრა: აღარ გინდა მოჭკვიანდე, რას მისტირი ამ ჟორდანიასო. მე არავის მივტირი და გლახა დედამთილივით სულ ეჭვის თვალით ნუ მიყურებ, სჯობია, რამე სამსახური მომიძებნო-მეთქი. შენი ბედი, რომ მიქაძე ჩემი მეგობარია, თორემ მე ვიცი, სად იქნებოდი. აქვერსად მოგაწყობ და ჭიათურაში მიგიწერე კარპე მოდებაძესთან, ის მოგაწყობსო. მადლობა გადავუხადე და მალე ჭიათურაში დავბრუნდი. სადგურზე ბაბო და ჟორჟიკა დამხვდნენ, არ მელოდნენ

და გაიხარეს ჩემი ნახვით. სახლში მამაც იყო და იაშაც... მთელი კვირა არ გავსულვარ გარეთ. ვკითხულობდი ზურაბ ავალიშვილის წიგნს და ბევრ რამეზე ამეხადა თვალი...ჩემი პირადი ცხოვრება მოწესრიგებას მოითხოვდა... ჩემი ოცნება კვლავ იყო უმაღლესი ტექნიკური განათლება უცხოეთში მიმეღო. შეიძლება მოხდეს რაიმე პოლიტიკური აღრევა და ჩეკამ „წაგვხვეტოს» და დამცველი არავინ იქნება. თვით ბოლშევიკურ პარტიაში არ იყო ერთსულოვნება – ტროცკისტები, ბუხარინელები, სტალინელები, ქართველი „უკლონისტები» და ვინ იცის, კიდევ ვინ...მაშასადამე, თავდაცვის ინსტიქტი მკარნახობდა – უცხოეთი. საჭირო იყო გროშის დაგროვება. მამას გავენდე და ისიც დახმარებას დამპირდა...1925 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ისევ ტ. აბდუშელიშვილს მივაკითხე. ალექსანდრეს წერილი კარპე მოდებაძესთან კი ჯერჯერობით გვერდზე გადავდევი... გული არ მიმიწევდა... აბდუშელიშვილმა სამსახურში მომაწყო. მე კმაყოფილი ვიყავი ჩემი მდგომარეობით...მამამ საარენდო მიწა გაყიდა და დიდი ნაწილი მე მომცა, რაც თურქულ ლირებად ვაქციე...ივნისის დასაწყისში ჩემთან მოვიდა ჩვენი ნათესავი, ბიძია ვანო ვაშაძის შვილიშვილი, მიშა გაფრინდაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ იყვნენ სამნი, ვინც არალეგალურად თურქეთში, ხოლო შემდეგ პარიზში წასვლას აპირებდა. შენს მდგომარეობაში მყოფთათვის აქ დარჩენა სახიფათოა და მეოთხე კაცად თუ წამოხვალო. აღმოჩნდა, რომ გასვლა მხოლოდ მენშევიკური მთავრობის იატაკქვეშეთის რეკომენდაციით იყო შესაძლებელი. გაგვიყვანდნენ საზღვარზე და გადაგვცემდნენ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელს, რომელიც ამ დროს თურქეთთან მოსაზღვრე სოფელში იმყოფებოდა. ეს იყო ჭიათურელი მასხარაშვილი, ჩემი ნაცნობის, საშურას ძმა, რომელიც ჟორდანიას მთავრობის დროს მილიციაში მსახურობდა. მე ძალიან გამიხარდა და მადლობით თანხმობა მივეცი. მიშამ მითხრა, რომ ათ დღეში მზად უნდა ვყოფილიყავი. თან ატესტატი და ხუთასი თურქულ ლოტიც უნდა მქონებოდა. გასვლას წინა დღით შემატყობინებდა. ბათუმამდის და ბათუმშიც ერთმანეთთან ურთიერთობა არ გვექნებოდა. ჩემი ატესტატი უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ინახებოდა. ჭიათურიდან არა ერთი და ორი კაცი გავიდა თურქეთში. ჩემი ბიოგრაფიის პატრონი ჩეკას ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფებოდი. ჭიათურის მატარებლით ჩემი წასვლა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ამიტომ საჭირო იყო სხვისი საშუალებით თბილისიდან ჩემი ატესტატი მიმეღო. ატესტატის გამოტანის ცნობა უკვე გამოიწვევდა ჩეკას გამახვილებულ ყურადღებას და შეიძლება „კუდი» ბათუმშიც წაგვყოლოდა. მიშამ მითხრა, რომ ჭიათურიდან მატარებლით ვერ ვიმგზავრებდით. საჭირო ოყო ფეხით ჩასვლა სულიეთამდის და იქ შესვლა ვაგონში. კაცი დაგვხვდება ბილეთებითო. მაგრამ ატესტატი? ჩვენი ოჯახი მეგობრობდა იონა ბელიაშვილის ოჯახთან. იონა მარკშეიდერი იყო, კალამიც უჭრიდა. ამანაც დააახლოვა მამაჩემთან. იონას ორი ვაჟი ჰყავდა – შემდეგში მწერალი კაკო ბელიაშვილი და უმცროსი [სახელი არ არის], რომელიც საფრანგეთში წავიდა და მისი კვალიც დაიკარგა. მახსოვს 1920 წელს მიტინგზე (მაშინ ის მენშევიკური პარტიის წევრი იყო), ბოლშევიკების საწინააღმდეგო გამოსვლა ლექსით დაამთავრა:

„საქართველომ გამოზარდა ოთხი საიმედო შვილი
ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე და რამიშვილი.

მან აგრეთვე გამოზარდა ოთხი მოღალატე შვილი:
მახარაძე, გეგეჭკორი, მდივან, ორახელაშვილი»....

კაკო [აკაკი] იმ ხანად მამამისთან იყო და პრაქტიკულად ეუფლებოდა მარკშეიდერობას. რამდენიმე დღის შემდეგ კაკოს შევხვდი და ვკითხე თბილისში თუ მიდიოდა. მიპასუხა, რომ ორიოდე დღეში წავიდოდა მათი ლიტერატურული ორდენის საქმეების გამო. ვთხოვე უჩემოდ არ წასულიყო. დავწერე მინდობილობა...მამამ ნოტარიუსთან დაამოწმებინა და კაკომ მეორე დღესვე შემომიარა და ავუხსენი, რომ მოსკოვში ვაპირებდი წასვლას სასწავლებლად და ატესტატის ჩამოტანა ვთხოვე. ის დამთანხმდა....

მე უკვე მზათ ვიყავი, მოველი კაკოს 9 ივნისისათვის. არ ჩანს, 10 ივნისს – არ ჩანს. არადა ღამით მოვიდა მიშა და გამაფრთხილა – ხვალ მივდივართ, არავითარი ბარგი არ წამოიღო, მხოლოდ ფული და ატესტატიო. დამარიგა როგორ უნდა მოვქცეულიყავი. დაღამდა და კაკო კიდევ არ ჩანდა. გადავედი მასთან სახლში და ჯერ ჩამოსული არ იყო. ჩემს ნერვიულობას საზღვარი არ აქვს. საღამოს 9 საათზე მიშასთან უნდა ვიყო. ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი, საქმე მეფუშებოდა. კაკო მეორე დღეს მოვიდა ატესტატის გარეშე. მზად ვიყავი ჩემი ხელით დამეხრჩო. შენი დავალება ვერ შევასრულე, მაგრამ მე არაფერ შუაში არ ვარო, – მითხრა მან. ქეთო [თუთბერიძე] შემხვდა უნივერსიტეტის ეზოში და შენი ატესტატის ამბავი რომ ვუთხარი, ასე მითხრა: რამ გააგიჟა, ახლა რომ ატესტატი გაიტანოს, რომ დასჭირდეს უნივრსიტეტში დაბრუნება, მაგის ბიოგრაფიის პატრონი უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდებაო. ვაჩვენე შენი მინდობილობა, წაიკითხა და რა ვქნა, ძმაო, კინაღამ გავგიჟდი, დახია, სულ ნაკუწებად აქცია. თან დამაბარა, რომ უთხარიგრიშას, მე დავამთავრე სწავლის კურსი, ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციითა და მითითებით განაწილებული ვარ სოხუმის ქართულ სასწავლებელში და აგვისტოს შუა რიცხვებში მივემგზავრები სოხუმშიო. რა მექნა კაკოსათვის, ვინ დაავალა რამის თქმა, მაგრამ საქმე უკვე გაფუჭებული იყო და გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. ორი დღის შემდეგ ჩვენთან მოვიდა მიშას და, მარო გაფრინდაშვილი და მითხრა, რომ მიშას ჩემი მიუსვლელობა ძალიან გაჰკვირვებოდა. თვითონ უკვე თურქეთში იყო....

ქეთევან დიომიდეს ასული თუთბერიძე 1922 წელს ქუთაისელი ნაცნობის ნადია კაკაბაძის მეშვეობით გავიცანი. დედა, ელენე ნიორაძე ძირულიდან იყო, მამამისი, ყოფილი სემინარიელი, სანოტარო კანტორაში მუშაობდა, საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონდათ. ქეთოს სამი ძმა და ერთი და ჰყავდა: ვასო, პატე(ალიოშა), ჭუკუ და რაისა. კაკომ ჩემი დავალების შესახებ რომ უთხრა, ქეთო მაშინვე მიხვდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვკარგავდით და ქალურმა ალღომ უკარნახა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ქეთოს ამ მოქმედებამ განსაზღვრა შემდეგში ჩემი ცხოვრება, სრულიად შეიცვალა.. მე კვლავ სამუშაოს დავუბრუნდი...მიყვარდა სამთო ინჟინრის სპეციალობა. მაღაროში მუშაობისას პრაქტიკულად ვეუფლებოდი სამთო საქმეს...ერთ დღეს მაღაროში საზარელი ამბავი მოხდა: მთავარ გვირაბში მარგანეცით დატვირთული რონოდა მუშას დაეტაკა და ბარძაყი გადაუმტვრია. საწყალი ტკივილებისაგან გათანგული, ხმას არ იღებდა, კვნესოდა. სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. მაშინვე მოვიდა პროფკავშირების თავმჯდომარე სერგო ხვედელიძე, რომელმაც ღდინი გაართვა მაღაროს ადმინისტრაციას

უსაფრთხოების ტექნიკის დაბალი დონის გამო და აიძულა ოჯახისათვის დახმარება გაეწია. ჭიათურის საავადმყოფოში იმ ხანად მოღვაწეობდნენ ქირურგი გიორგი ხუნდაძე, თერაპევტი კაკო გამრეკელი, ვასილ წერეთელი, და სხვანი. საავადმყოფო ჭიათურის მრეწველთა მიერ იყო აშენებული. რევოლუციამდე აქ მუშაობდნენ დასტაქრები გრიგოლ მუხაძე, სიმონ ჯაფარიძე. საავადმყოფო დაკეტეს ოციანი წლების დასაწყისში დაჭრილი პარტიზანების (მათ შორის ჩოლოყაშვილისა და ლაშქარაშვილის რაზმის) მკურნალობისათვის. სერგო ხვედელიძეს მომავალშიც შემახვედრა ბედმა. იგი კარგი ვაჟკაცი და კარგი ქართველი იყო.

1926 წელი... 1927 წელი...

ჩვენი ოჯახი მხნედ შეეგება ახალ წელს. ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგებოდა. განვლილით მიღებული ჭრილობები ნელა, მაგრამ მაინც შუშდებოდა. სოხუმიდან ქეთოს წერილი მივიღე, მწერდა, ნუ მიწყენ, რომ ხელი შეგიშალეო. რაში და რატომ, რასაკვირველია, ამაზე არაფერს წერდა. იწერებოდა, რომ უმაღლესი განათლებით მხოლოდ მე და გრიშა ჯაფარიძე ვართ და აქაურობით ძალიან კმაყოფილი ვარო. სკოლას შეფობენ შალვა დადიანი, მაშო ანჩაბაძე და მისი ვაჟი ვიანორ ანჩაბაძეო. მთხოვდა უნივერსიტეტს დავბრუნებოდი. იქნებ სოხუმშიც ჩავსულიყავი ორიოდე დღით. პასუხი წერილზე არ გამიცია, რადგან არ მქონდა მონელებული „წასვლის ჩავარდნა». ხმები დადიოდა პარტიულ წრეებში განხეთქილებააო. პარტიულები ენაზე კბილს აჭერდნენ და არას ამხელდნენ, გაზეთებში კი არაფერი იწერებოდა...თანდათან ნათელი ხდებოდა სისწორე დებულებისა, რომ საბჭოთა ხელსუფლებისათვის არ არსებობს გადაულახავი სიძნელეები...იყო ერთგვარი რომანტიკა დამახასიათებელი ისეთი ადამიანებისათვის, ვისაც გულწრფელად სწამდა სიმართლე და სწამდა, რომ სიკეთესა და სიმართლის მსახურნი იყო. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თითს არ აიტკივებდნენ მოყვასისათვის და მთავარი მიზანი მათთვის ხელისუფლების შენარჩუნება იყო, მათთვის მთავარი იყო არ დაეკარგათ ძალაუფლება. ისინი უკვე შეეჩვივნენ, რომ „პირველი კაცები» იყვნენ და ამისათვის ყველასა და ყველაფერს გასწირავდნენ. ასეთი დაუნდობლები იყვნენ ჩამჯდარი ჩეკაში, მილიციაში, პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე... თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სიმპატიით სარგებლობდნენ ხალხში. ასეთები იყვნენ ჭიათურაში: თათული ლაბაძე, სერგო ხვედელიძე, მარო ჩიტაძე, ბიტოლი ლეჟავა, ჭაბუკ მიშველიძე, მიშა ლომიძე, გიორგი რუხაძე, დათიკო ლომაძე, ტარასი მგალობლიშვილი, მიშა ნიორაძე, ალექსანდრე (დიდი) ვაშაძე და სხვები. გიორგი რუხაძის გარდა, ყველა რეპრესირებულნი იყვნენ სხვადასხვა დროს. 1937 წლის სისხლის წვიმების დროს ბუხარინმა თქვა: „Мать революция пожирает свох сыновей"....ბიტოლი ლეჟავას, ამ უმწიკვლო ადამიანს, სიკეთის განსახიერებას თოფს რომ ესვრის, ის ორფეხა პირუტყვია. კალისტრატე გამეზარდაშვილი – ტიპიური მშრომელი გლეხი, დაუზარელი (გლეხკომის თავმჯდოარე იყო). ქართულ მიწაში შეყვარებული შვილი და თავისი პარტიის ერთგული, რატომ უნდა ყოფილიყო რეპრესირებული, თუკი მართლა სიმართლე მიუძღვის დღევანდელ ხელისუფალთ. „Москва, где твоя правда"? ამ სიტყვებით მოიკლა

თავი ერთმა ახალგაზრდა რუსმა მწერალმა ლენინის ძეგლის კვარცხლბეკთან. ...ჭეშმარიტად, სად არის შენი სიმართლე, მესამე რომო?

1927 წლის 25 აპრილს გარდაიცვალა დიდი ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი. დამკრძალავ კომისიაში შედიოდნენ: ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნინო ნაკაშიძე, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა, იოსებ იმედაშვილი და სხვები. მიაცილებდა ქუდმოხდილი ივანე ჯავახიშვილი, იმჟამად უკვე დევნილი საოკუპაციო მთავრობის მიერ. ილიამ სახლი ანდრიას ქუჩაზე წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა, თახსირმა ფ. მახარაძემ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს, ჩეკისტების ოჯახები ჩაასახლა და მაშინ ბევრი ნივთი დაიკარგა.

აგვისტოს დასაწყისში ქეთოსაგან წერილი მივიღე, მწერდა, რომ სურამში ისვენებდა და მთხოვდა ჩავსულიყავი, სამი დღის შვებულება ავიღე და სურამისაკენ გავწიე....ქეთო თავის მეგობართან, დირექტორის ქალიშვილთან, საშასთან ერთად ცხოვრობდა. ქალს პატარა შვილი ჰყავდა და ქმრის ჩამოსვლას ელოდა...მარტო რომ დავრჩით, ქეთომ მითხრა: მე ნადიასაგან ვიცი 24-ის და შემდეგი წლების ამბები. დაანებე თავი ევროპას, თბილისის უნივერსიტეტი ისეთი ბრწყინვალე კადრებით დააკომპლექტა ბატონმა ივანემ [ჯავახიშვილი], რომ ბევრი უნივერსიტეტისათვის არის შესაშური. მარტო რაზმაძე, მუსხელიშვილი, დიდებულიძე და შალვა ნუცუბიძე კმარა ჩამოსათვლელად. რას აგიტეხია ეს ევროპა, შენზე ნაკლები ვაჟკაცები არიან ისინი, ვინც უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობენ? დამიჯერე, დროს ნუ კარგავ. დაუბრუნდი უნივერსიტეტს. თუ კაცს სპეციალობა არ გააჩნია, არავისათვის გამოსადეგი არ არის. სამშობლოს შენისთანები სჭირდება, ერთგულები და თავდადებულები, ოღონდ თოფ-ზარბაზნით შეიარაღებული კი არა, სწავლა-ცოდნით აღჭურვილი. მე აფხაზეთში მიტომ დავთანხმდი ბატონ ივანეს წამოსვლას, რომ აფხაზეთი ჩვენი მერყევი ოლქია და საჭიროა მისი შემომტკიცება და ნუ იცინი, შენზე ნაკლები პატრიოტი მე არა ვარო – მითხრა ქეთომ... ჰყვებოდა სოხუმის ამბებს, მასწავლებელ ჯაფარიძეზე, რომელიც გიმნაზიაში ჩემი მასწავლებელიც იყო. სწორედ მან ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე გიმნაზიაში და მოიწვია მიშა ჭიაურელი და დადგეს ორი პიესა. ქეთომ მიამბო, როგორ მფარველობდა მაშო ანჩაბაძე ქართულ საქმეს სოხუმში, აგრეთვე მისი ვაჟი, ვიანორი, სანამ დააპატიმრებდნენ და გადაასახლებდნენ, თუ როგორ ბატონკაცურად ცხოვრობს ნესტორ ლაკობა და მისი ამალა. სწორედ მისი ანტიქართულობითა და მეცადინეობით, სერგო ორჯონიკიძის წყალობით იყო, რომ აფხაზეთი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უკავშირდებოდა, როგორც „ხელშეკრულებითი რესპუბლიკა» ...ნესტორ ლაკობა და მისი ამალა ყველა ქართველს მენშევიკებად ნათლავდნენ და გზას უღობავდნენ საქმიანობისაკენ. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის სამი მეოთხედი ქართველობაა და აფხაზეთი ისტორიულად მუდამ საქართველო იყო. თვით ტერიტორია, მიწა-წყალი ქართულია, ხოლო მისი მესვეურნი, შერვაშიძეები სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ და ასეთად რაცხდდნენ თავინთ თავს... მე და ქეთო ბორჯომში წავედით. კარგი დრო გავატარეთ და ხაშურიდან ეტლით ამოვედით სურამში. მეორე დღეს ქეთოს მამა და საშას ქმარი ჩამოვიდნენ...მოულოდნელი ქეიფი გაიმართა. საშა ძალიან კარგად მღეროდა რუსულ რომანსებს, რომლებიც თამარ წერეთლის წყალობით მოდაში იყო შემოსული. კარგად რომ შევზარხოშდით, ლადომ, საშას ქმარმა, საზეიმო ტონით დალია ჩემი და ქეთოს მომავალი ცხოვრების

სადღეგრძელო. ...მე და ქეთომ მოვილაპარაკეთ და პირველი სექტემბრისათვის თბილისში ჩავიდოდი და უნივერსიტეტში თავს აღვიდგენდი...ერთი წლის შემდეგ კი ხელს მოვაწერდით. ასე დავშორდით ერთანეთს... იწყებოდა ჩემი ცხოვრების ახალი ფურცელი.

ჭიათურაში სამშაბათ დილით ჩავედი. მთელ თავისუფალ დროს მეცადინეობას ვანდომებდი, მამასაც ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილება და იგი შემპირდა, რომ თუ რამე საშუალება მომეცემა, არაფერს დავიშურებ შენთვისო. დავიწყე ხელმოჭერილი ცხოვრება და ჩავუჯექი მეცადინეობას, განსაკუთრებით მათემატიკურ საგნებს. დამეუფლა ისეთი წყურვილი ცოდნის შეძენისა, რომ თითქოს ენერგია გამიათკეცდა. სამსახურიდან გავეთავისუფლებინე და თბილისში ჩავედი. მეთულუხჩის ქუჩა №14-ში მივედი, სადაც ქეთოს ძმა, ვასო ცხოვრობდა. იგი გულთბილი, მორიდებული, თავისი სპეციალობის მოყვარული კაცი იყო და ფიქრობდა, რომ ეკონომისტობა ყველაზე მეტად სჭირდებოდა დღეს საქართველოს. გახარებული იყო, რომ მათთან ვიცხოვრებდი. ...უნივერსიტეტში ფაკულტეტის დეკანთან მივედი და დახმარება ვთხოვე. დამპირდა, ყოველივეს გაგიკეთებო... ჩასაბარებელი მქონდა რამდენიმე საგანი, მინერალოგიის პრაქტიკუმი უნდა გამევლო...მოვინახულე უშანგი [ჩხეიძე], რომელიც თეატრის სარდაფის ერთ ოთახში ცხოვრობდა მარტო. მას ამ დროისათვის არაერთი როლი ჰქონდა ნათამაშები და თეატრალური საზოგადოება უკვე აალაპარაკა. მისი პარტნიორები იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ წულუკიძე, ბაბუცა გამრეკელი... უშანგიმ ბევრი რამ მომიყვა თეატრში მომხდარი ამბების შესახებ. დამწუხრებულმა მითხრა, ჩვენ, ქართველებს ერთმანეთის ჭამის მეტი არაფერი გვეხერხებაო. მერე ჩემი თავგადასავალიც მომაყოლა, მეგონა „პიტომნიკებში» დაგხვრიტეს, გვიან გავიგე, რომ ცოცხალი ხარ და ახლა რას აპირებო. ვუთხარი, რაც გადავწყვიტე...მერე დაოჯახებაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი. ჩემი ჯამაგირით ყველაფერს ვერ გავწვდებიო, – მითხრა, – ჩემიანებსაც ვერ ვეხმარები. ჩემი ძმა ბიჭიკო საშუალოსდაამთავრებს, უმაღლესში სწავლის მიღებას დააპირებს, დახმარება ხომ უნდა. საშუალო სკოლა ბებიაჩემ გვიტიას წყალობით (ბებია დედის მხრივ, ვანო ვაშაძის მეუღლე, გომართელის ქალი იყო) დავამთავრე, ეს შენ კარგად იცი. ამ გაჭირვებულ, მშიერ დროში ცოლშვილიანობა და თეატრი ერთმანეთს ვერ შეეგუებაო...მერე შემომთავაზა – წავიდეთ ახლა, ავიდეთ რუსთაველზე და მცირე პური ვჭამოთო.

მივედით თუ არა რუსთაველზე, დათიკო ჩხეიძე და დოდო ანთაძე შემოგვეყარნენ. გადავეხვიეთ ერთმანეთს. აღარ მოხერხდა თავის დახსნა და თეატრის პირდაპირ რესტორანში, სახელგანთქმულ „მეფისტოში» შევედით. ეს რესტორანი ერთ საქმოსანს ჰქონდა გახსნილი და რუსთაველის თეატრის მსახიობებს ნისიადაც შეეძლოთ ესადილათ თეატრის ადმინისტრაციასთან შეთანხმების თანახმად. ცოტა ხანში კოლია შენგელაია და ვანიკო აბაშიძეც შემოვიდნენ. ორივე დიდი სიყვარულით გადამეხვივნენ, მომიკითხეს და მომილოცეს კარგად ყოფნა, უბედურების გადარჩენა. ვანიკო აბაშიძეს მოწაფეობიდან ვიცნობდი, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისის კონსერვატორიაში ვოკალის ფაკულტეტზე. 1923 წლიდან აკაკი ფაღავას სტუდიაში სწავლობდა, ორი წლის შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი გახდა. ერთხანს, 1936 წელს, ლანჩხუთის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო, სანდრო ახმეტელის უსაყვარლესი მოწაფე და ნიჭიერი მსახიობი

1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. უაღრესად გულთბილი და საყვარელი ახალგაზრდა იყო, მოხთენილი ტანადობის, ნამდვილი ქართველი კაცი და დარწმუნებული პატრიოტი. როგორც სხვა ჩემს მეგობარ მსახიობებს, ვანიკოსაც ხშირად ვხვდებოდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა უნივერსიტეტში თავი აღვიდგინე. როცა შემხვდებოდა საოცარი თბილი მოსალმება იცოდა: „სალამი ლომივით ვაჟკაცს». მან კარგად იცოდა ჩემი წარსული და მტკივნეულად შეეგება საქართველოს 21 წლის ოკუპაციას, საერთოდ არ იზიარებდა იმ მოვლენებს, რაც ოკუპაციას მოჰყვა. იგი მამა იყო ცნობილი მსახიობის დოდო (დავით) აბაშიძისა. ვანიკო ჭიათურის რაიონიდან, უფრო სწორად, სოფ. ჭალიდან იყო. ამ სოფლიდან იყო ასევე გრიგოლ აბაშიძის მამა ჯიბოც, რომლის უმცროს ვაჟთან, მიშასთან მეგობრობდა ვანიკო. კოლია შენგელაია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა, რომლის დირექტორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რწმენით კათოლიკე, იოსებ ოცხელი იყო. იმ დროს ქუთაისში საკმაოდ ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. მათ თავისი სალოცავიც ჰქონდათ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რიონის მარცხენა ნაპირზე...კოლია ბრწყინვალე, ვაჟკაცური ბუნების, კარგი მოყვანილობის შავტუხა ბიჭი იყო, უაღრესად ნიჭიერი და ყოველმხრივ საყვარელი. ერთხელ მეტეხის ხიდთან, სადაც კალაპოტი ვიწროვდება, ისკუპა და მდინარეში გადაეშვა. დაღუპული რომ ეგონათ, ორი კილომეტრის იქით ამოყო თავი წყლიდან. კოლიაც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. ჩვენ ტკბილად შევექცეოდით პურღვინოს და საუბარიც საინტერესო გვქონდა. კოლია და ვანიკო არ მომეშვნენ და დაწვრილებით მომაყოლეს ჭიათურის აჯანყებისა და „პიტომნიკების» ტრაგედიის შესახებ. სასმისები ჩუმად, უხმოთ, უსიტყვოდ დავლიეთ. მე თავი ვეღარ დავძლიე და იატაკქვეშეთისათვის ჩემს მიერ შედგენილი ფიცის სიტყვები წარმოვთქვი: „დროშასა შენსას საქართველოვ, კვლავ ვუერთგულებ, ენისას შენის უკვდავებას შევეწირები». „ამინ!» – გაიმეორეს ბიჭებმა... კოლია კი წამოხტა, გადამეხვია და მითხრა: შენს აზრსა და შენს ვაჟკაცობას ვენაცვალეო. ახლა კი მე შევეკითხე, რაც ძალიან მაინტერესებდა: რატომ წავიდა კოტე რუსთაველის თეატრიდან? ყველა ერთად ალაპარაკდა. მხოლოდ უშანგი არ იღებდა ხმას. ის უფრო სხვას უსმენდა. ითქვა, რომ დურუჯელები დამნაშავეები არ არიან, რომ თავდაჭერა ყველას მოეთხოვება – დიდსაც და პატარასაც, რომ საშა ახმეტელმა ყველაფერი გააკეთა, რომ კოტე თეატრიდან არ წასულიყო, რომ მასთან შინაც მივიდა პლატონ კორიშელთან ერთად, რომ გაუგებარია, რატომ შეიძულა საშა და რატომ მოითხოვა ახმეტელის გათავისუფლება მთავარი რეჟისორის პოსტიდან. ბოლოს დათიკო ჩხეიძემ შეგვაწყვეტინა: მოხთა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხთარიყო – პიესა „ლამარას» თავისებური, რომანტიკულ – ჰეროიკული არსით დადგმა მიუღებელი აღმოჩნდა კოტესათვის, მაგრამ ეს მიზეზი კი არა, საბაბი იყო, თორემ კოტესათვის ნათელი იყო, რომ იქ, სადაც ნდობა აღარ იყო, თანამშრომლობაც აღარ შეიძლებოდა. გეუბნებით, მოხთა ის, რაც უნდა მომხთარიყო. მე მწამს, რომ საშა დიდი გაქანების რეჟისორია და ვისაც არ ჯერა, მალე დარწმუნდებით ამაში. ახლა კი, ვინაიდან ეს სუფრა ჩემია, დავანებოთ თავი ყოველივე საკამათოს და პურღვინო შემარგეთო....პოეზია და თეატრი თავდავიწყებამდე მიყვარდა. ამ თეატრში ბევრი მეგობარი მყავდა და ასე გასინჯეთ, იმდენად შინაური, რომ თავისუფლათ შევდიოდი ხოლმე კულისებში, მაშინაც კი, როცა წარმოდგენა მიდიოდა. მე საკმაოდ დიდი წრე მყავდა მეგობრებისა და ნაცნობების ქართული თეატრის მოღვაწეთა შორის. ვიცნობდი ბევრს, მათი ცხოვრების

„კუნჭულებითაც» და ამ გარემომ მტკიცედ დამარწმუნა, რომ ისე არსად არ მოქმედებს ბილწი პატივმოყვარეობა, საკმაოდ ოსტატურად შენიღბული, როგორც თეატრალურ შემოქმედთა წრეში. მინდა ზოგი რამ გავიხსენო ქართული თეატრის ცხოვრებიდან. ცნობილია ის ჭეშმარიტად რევოლუციური სიახლენი, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში შემოიტანა. მიჩნეულია, რომ ამ დიდმა ნოვატორმა ქართული თეატრი ჩიხიდან გამოიყვანა. კოტეს გენიამ გაზარდა დიდი მსახიობები: უშანგი, თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო, ორი აკაკი და ჩვენი დროის უდიდესი რეჟისორი – საშა ახმეტელი, შავტუხა მკვრივი, თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქართველი ვაჟკაცი. სამწუხაროდ, როდესაც დიდ მასწავლებელსა და მის ღირსეულ მოწაფეს შორის შემოქმედებითი უთანხმოების ბზარი გაჩნდა, ეს მხოლოდ იდეური უთანხმოება მრავალ უნიჭო და ნიჭიერ, მაგრამ პატივმოყვარეთა მოქმედების სფეროდაც იქცა და ამ სუფთა იდეურ ნიადაგზე აღმოცენებული ბზარის გაღრმავებას შეუდგნენ ისე, რომ მისგან მღვრიე სიბილწის ნაკადი მოხეთქილიყო. სავალალო ის იყო, რომ (ჩემთვის ეს კარგად ცნობილია) რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივში რიგი წამყვან მსახიობთაგან მხოლოდ პირადულით ხელმძღვანელობდა და ამის მხრივ ნავთს ასხამდა ცეცხლზე. მამაკაცებიდან უშანგი კოტესათვის ყველაზე საყვარელი მსახიობი იყო. ეს გასაგებიც არის, უშანგი ზედმიწევნით ეთიკური ადამიანი იყო – სამეგობრო, მოუსყიდავი, უკომპრომისო და ვაჟკაცური. ამავე დროს, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომლის ინტერესებისათვის იარაღისათვისაც მოუკიდია ხელი. ეს ესატყვისებოდა ყოველმხრივ კოტეს ბუნებას. უშანგის ნიჭიერება და აღზევება შურს ბადებდა ორივე აკაკის გულში და ორი, დიდად ნიჭიერი, ყოველი ქართველისათვის საყვარელი მსახიობი, შეპყრობილი იყვნენ პატივმოყვარეობით და ძლევის სენით, რითაც დიდად უწყობდნენ ხელს განხეთქილების გაღვივებას. მათ გვერდს „უმშვენებდა» ზოგიერთი თეატრალური წვრილფეხობა. ცნობილია, რომ ეს ყოველივე 1926 წელს კოტეს რუსთაველის თეატრიდან წასვლით დამთავრდა. მასთან ერთად წავიდნენ რიგი მსახიობებისა, მათ შორის, უშანგი ჩხეიძე. და ყალიბდება ქუთაისში მეორე დიდი თეატრი კოტეს ხელმძღვანელობით. ჭეშმარიტად, „нет худа без добра": ჰქუხს შემოქმედებითი კოლექტივი ...ერთ-ერთ მათგანში იწვის უშანგის სული, იფერფლება დანიის პრინცის ნერვიული სისტემა. არავის ყვარებია ისე მძაფრად თეატრი, როგორც უშანგის, არავის მიუცია თავი თეატრისათვის ისე მთლიანად, როგორც უშანგის, უკომპრომისოდ, უპირობოდ, ...იგი იყო უპატიოსნესი პატიოსან თეატრალთა შორის, დიდბუნებოვანი ნიჭიერება, მოკლებული საქმოსნურ ბიწიერებას, უნიჭოთა იარაღს ხელოვნების სამყაროში....ბოლოს წავიდა უშანგი – პატიოსანი ადამიანის სიღარიბითა და მშობლიური ქვეყნის სიყვარულით აღსავსე გულით...

ახმეტელის ხანა რუსთაველის თეატრში ბრწყინვალე ფურცლებია საერთოდ ქართული თეატრის ისტორიაში. თუ რაოდენ დიდი იყო ეს ადამიანი, როგორც თეატრალური შემოქმედი, ამაზე მეტყველებს არა მარტო დიდი გამოძახილი, რაც ამ თეატრის გასტროლებმა გამოიწვია მოსკოვსა და ლენინგრადში 1935 წელს და მონაწილეობამ საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრალურ ოლიმპიადაზე 1930 წელს, არამედ ისიც, რომ საშა ახმეტელმა მიწვევები მიიღო რიგი ევროპული ქვეყნიდან. მე მისი ყველა დადგმა მინახავს და არ მახსოვს, რომ ღამით ძილი არ გაგვტეხოდეს ბიჭებს და თავზედ არ დაგვთენებოდეს ნანახზე მსჯელობით. მიმაჩნია, რომ ჰეროიკული თეატრი,

თავისის პრინციპებით იმდენად ესატყვისება ქართველი კაცის ბუნებას, რომ ის ეროვნულია, თუნდაც პიესა არ იყოს ქართულ მასალაზე აგებული. საშას პრინციპული შეხედულებანი – ქართული თეატრი ქართული დრამის გარეშე არ არსებობსო, დავას მხოლოდ რენეგატებში იწვევდა, მათში, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უწყობდა თანამიმდევრულად მოესპო ყოველივე ქართული და რუსული შოვინიზმის წისქვილზე ასხამდა წყალს...და წამოჰყო თავი ისევ პატივმოყვარეობის ურჩხულმა. ძლევამოსილი სატრაპი, [ბერია] უკვე ქსელავდა საშინელ ბადეს ამიერკავკასიაში უცილო ბატონობისათვის. მას ისედაც არ მოსწონდა საშა ახმეტელი. თვითონ უმგვანო და მახინჯი ფიზიკურადაც და სულიერედაც, ვერ იტანდა სრულყოფილ ადამიანებს და შურით ივსებოდა მათ მიმართ. საშა ახმეტელს თეატრის სადარბაზოს შესასვლელის კედელზე სერგო ორჯონიკიძესთან გადაღებული და გადიდებული სურათი ეკიდა. ეს განსაკუთრებით აღიზიანებდა ქონდრის კაცს – სატრაპს. თეატრის რიგითმა რეჟისორმა კ. პ. მიამბო, თუ ერთხელ, თეატრში მისვლისას „In Tiranos" პრემიერაზედ, ბერია თავის ამალით ამ სურათის წინ როგორ შეჩერდა, ირონიულად გაიღიმა და თქვა: „шедевр"... 1935 წელს საშა ტოვებს თეატრს. მოსკოვსა და ლენინგრადში აქვს ცალკე დადგმები, რამდენადაც ვიცი, ხოლო 1937 წლის სისხლის წვიმების დროს აღვირახსნილი სიბინძურე უსწორდება საბოლოოდ. საქართველომ სხვა მრავალ მოჭირნახულე შვილთა შორის საშა ახმეტელიც დაკარაგა. საშას თან მიაყოლეს მისი მეუღლე, ნიჭიერი მსახიობი, ულამაზესი თამარ წულუკიძე.

...ადამიათა ვნებანი ყველგან, მისი მოქმედების ყველა სფეროში ვლინდება. პატივმოყვარეობა და შური, გაუტანლობა და პირფერობა ყველგან შეიჩნევა და ის არ წარმოადგენს პროფესიონალურ დაავადებას ხელოვნებაში. დიახ, – ვუპასუხებდი მე. ჩამოთვლილი სიბილწენი ყველგან, ყოველ კოლექტივში შეიმჩნევა, მაგრამ ვლინდება იმ პირთა მეშვეობით, ვინც ბუნებამ დასაჯა იმ სიბილწეთა დასაჩუქრებით ან შეიწოვა სიყრმიდან. ცნობილია, ლეკვიდან მძვინვარე ძაღლის მისაღებად ლეკვს დანით ყურებს უსერავენ. აქ კი, დღიდან პირველი გრიმისა, ყოველი მოსაზღვრე მსახიობის კაბინაკონკურენტია. აქ არავინ სცოდავს. ყოველი ზედმეტი ყურადღება კოლეგისადმი მასის მიერ გამოჩენილი, თითქოს ძირს გექაჩება „შენ»: და ჭია შურისა ნელა იწყებს ჭრას თავის ჭუპრისას და თუ გამოძრომის საშუალება მიეცა, იგი შეიძლება უმსგავსო არსებად იქცეს. თავმდაბლობა მტერია საშუალო მსახიობისათვის, სხვა წრეში კი ყველას ამშვენებს. არ შეიძლება თეატრში ყველა „ვარსკვლავი» იყოს, ამავე დროს, თუ ვარსკვლავი არა ხარ, თეატრი შენთვის წამების ასპარეზია. დარბაზი გრიალებს შემახილებით და აღტაცებით გამოწვეულ ამ უამრავ ბგერებიდან შენ ერთი ჩახლეჩილი ხმაც კი არ გეკუთვნის. ტიტანური მოთმინება ჯვარცმულისა უნდა გააჩნდეს მსახიობს, როგორც ადამიანს, რომ არა შეარყიოს მისი სულიერი სამყარო ამ მწვავე განცდამ....ახლა აიღეთ თქვენ საშუალო მჭედელი, ოსტატი, ინჟინერი, ექიმი, ვექილი და სხვა. შეიძლება მსგავსი განცდანი შეექმნათ მათ? არა, შეჯიბრი აქაც არის, მაგრამ არა არის ის სპეციფიკა. მხოლოდ დიდბუნებოვანთა ხვედრია, გაუძლოს ცდუნებას, შეინარჩუნოს სულის სიმტკიცე. ამის მაგალითია კოტე მარჯანიშვილი და საშა ახმეტელი. ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ სიავეს ერთმანეთის მიმართ არ გრძნობდნენ. არცერთ მათგანს არ გაუკეთებია რაიმე გამკილავი განცხადება არც ფართო საზოგადოებისათვის, არც ვიწრო წრეში, მიუხედავად ორივე კოლექტივის „ძირა სართულების» ჭარბი ყბედობისა.

ახმეტელს არ წამოსცდენია სიტყვამძვირობა რუსთაველის თეატრისადმი მისი დატოვების შემდეგ. ეს არა მარტო განსწავლული იურისტის დიპლომატია იყო, არამედ კეთილშობილი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე აქტი. ძნელია იმის წარმოდგენა, რა ხანძარიც ტრიალებდა მის გულში. საერთოდ, თეატრის კარი მისთვის არ დახურულა, მაგრამ ისეთ ჭეშმარიტად ქართველი პატრიოტისათვის, როგორიც საშა იყო, ძნელი შესარიგებელი იქნებოდა „იუჟინობა». მას თავისი ნიჭი და ენერგია, თავისი სიცოცხლე და სულიერი შესაძლებლობანი ქვეყნის კეთიდღეობისათვის ჰქონდა განკუთვნილი, და სხვისი განდიდების სალაროში შესატანად ვერ გაიმეტებდა. მას კარაგად ესმოდა, რომ იმ ბარბაროსულ ფლანგვას ეროვნული ენერგიისას, ინტელექტუალურისა და ფიზიკურის, რასაც ხარკად ეზიდებოდა ყოველი დამპყრობი საქართველოდან, ბოლო უნდა მოღებოდა...მაგრამ ვაი, რომ ვერ მოეღო. ქართველი მსახიობი, ქართველი მძლეოსანი თუ მოჭიდავე, ქართველი მეცნიერი თუ მეტალურგი უცხოეთში მხოლოდ საბჭოეთის წარმომადგენელია. თავის დროზე ილიამ მძაფრად განიცადა ეს წარსულშიც მოარაული სიდუხჭირე: „შენი რაა, რომ ადიდებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა?..» 1926 წელი იმით იყო საინტერესო, რომ თეატრს სათავეში საშა ახმეტელი ჩაუდგა, კოტეს წასვლის შემდეგ. იწყებოდა ახმეტელის დამოუკიდებელი მუშაობის სეზონი. თეატრი ამზადებდა ანატოლი გლებოვის პიესა „ზაგმუკს». ვიცოდი ისიც, რომ მთავარ როლს უშანგი ასრულებდა. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობამ საზოგადოებაზეც მოახდინა გავლენა – უნდა ითქვას, რომ იმ ხანად თბილისის საზოგადოება ორ ბანაკად იყო გაყოფილი – ერთნი მარჯანიშვილის წასვლას ვერ ეგუებოდნენ და ამას ახმეტელის საქმიანობას, მეორენი – საშას იცავდნენ და კოტეს მძიმე ხასიათს მიაწერდნენ. მე კი მიმაჩნდა, რომ ყოველივე საქართველოს მიმართ მტრული ძალების ჩუმი, მოფიქრებული, ავკაცური მოქმედების შედეგი იყო...ეს ორი გიგანტი ერთ თეატრში ვეღარ მოთავსდებოდა. ბუნების ნორმალური კანონია, როცა უჯრედი დასრულდება, იგი ორათ იყოფა და დამოუკიდებლად იწყებენ განვითარებას. ქართული, ეროვნული ინტერესებისათვის არ უნდა ყოფილიყო საზარალო, რომ კოტე წავიდა – იგი ახალ თეატრს შექმნიდა, ხოლო საშა რუსთაველის თეატრს გაუძღვებოდა. მთავარი ის იყო, რომ ქართული საქმისადმი მტრულად განწყობილი ძალები ჩუმად სისინებდნენ და ორივე მხარეს აქეზებდნენ...ამ მოვლენის გაზვიადება მე, პირადათ, სიბრიყვედ მიმაჩნდა, რომელიც ხშირად გვემართება და მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს. კოტემ გასაკეთებელი გააკეთა, დამყაყებული ქართული თეატრალურ ცხოვრებას სიახლისაკენ გზა გაუკაფა, გემოვნება გაუფართოვა და ნიჭიერი თეატრალური ახალგაზრდობა შეუყენა ძნელად სავალ გზას. საშა ახმეტელმა, ბუნებით ტალანტით დაჯილდოვებულმა პიროვნებამ, განა ცოტა მიიღო თავის ასევე გენიალურ მასწავლებლისაგან? მორჩა. გათავდა. კოტესთან მოღვაწეობის სამი წელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ახმეტელი ქართული თეატრის მწვერვალებისაკენ დაძრულიყო. კონფლიქტის დეტალები ჩემთვის უცნობი იყო, მაგრამ ქართველთა მოჭირნახულეთ ჭკუა უნდა გამოეჩინათ და არ უნდა გაეზვიადებინათ კონფლიქტი, თვალი გაეხილათ და ის ჭირი დაენახათ, რასაც ერი ოკუპაციის პირობებში განიცდიდა. ისინი მეწისქვილეს მაგონებდნენ, რომელსაც წყალმა წისქვილი წაულეკა და ის კი სარეკელას მისტიროდა ზეჩავი. საოკუპაციო ხელისუფლება ხელს უწყობდა ამ ამბების გაზვიადებას, რათა საზოგადოების აზრი სხვა გზით წარემართა, სხვა საფიქრელით დაეტვირთა, რათა

ჩამოეშორებინა იმაზე ფიქრს, რაც ერს უჭირდა და რაც ნამდვილი საფიქრალი და საჭირბოროტო იყო. პიესა „ზაგმუკზე» ბიჭებმა კონტრამარკა მიშოვეს და მოვახერხე პრემიერის ნახვა: ბაბილონის მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობენ მონები, მათი ბელადი არადეია, რომელსაც უშანგი ბრწყინვალედ ასრულებდა. აჯანყება, მისი ცუდად ორგანიზების გამო, მარცხდება. პიესა დაიდგა მაშინ, როცა ჯერ კიდევ მოუშუშებული იყო ის ჭრილობები, რომელიც თავს დაგვატყდა 24წლის აჯანყების დამარცხებით. ამ პიესამ შემძრა, მთელი ღამე არ მეძინა, ვბორგავდი. ვფიქრობ, ზევრ სხვასაც გაუხსნა ჯერ კიდევ არსებული ჭრილობა. გაზეთები უფრო მეტს მსახიობების თამაშზე წერდნენ, აქებდნენ უშანგის, თამარ ჭავჭავაძეს, თამარ წულუკიძეს, მაგრამ ცოტას წერდნენ საერთოდ დადგმაზე. ერთი რამ ცხადი იყო: საშა ახმეტელი იწყებდა ფრთების გაშლას. მე ძალიან მიყვარდა საშა და განგებას ვთხოვდი მის გამარჯვებას.... სუფრა კარგა ხანს გაგრძელდა და მოგვიანებით დავიშალეთ. ბოლო სადღეგრძელო ახალი საქართველოს ძლიერებისა დაილია სურვილით, აღდგენილიყო დაკარგული ტერიტორიები. დათიკოს მადლობა გადავუხადე გულწრფელი ყურადღებისათვის თან ჩუმად ვთხოვე – რაღაცნაირად ვიმოქმდოთ უშანგიზე, ოჯახს მოეკიდოს-მეთქი. შენ არ იცი, გრიშა, თუ როგორ მოვაბეზრე თავი ამის ჩიჩინით. ერთხელ წამეჩხუბა კიდეც – შენც მეორე გრიშა ვაშაძე ნუ გამიხდი, რომ არ მასვენებო. მაგრამ მე მაინც ვაძალებ და ყურადღებას არ ვაქცევ მის გულის მოსვლასო. სახლში გვიან დავბრუნდი, ჭიშკარი იკეტებიდა და მეეზოვე, აისორი მარუფა გავაღვიძე. ასეთ შემთხვევაში ორიოდე გროში გვიჯდებოდა მისი გაღვიძება... ბეჯითად ვმეცადინეობდი ჩემთან მოდიოდა კარგი ახალგაზრდა კოლია გვათუა, ერთად ვმეცადინეობდით და საგნებსაც ერთად ვაბარებდით. მხაზველობით გეომეტრიას გვიკითხავდა ნიკო ნიკოლაძის ვაჟი გიორგი, ძალიამ მკაცრი და მომთხოვნი...ვსწავლობდი, მაგრამ ფიქრი არ მასვენებდა...დრო მეტად რთულია და სწორი გზა აგერჩია, არც თუ ისე ადვილი იყო. დღეს საქართველოს ცხოვრება, მის ზოგ შვილთა სულმოკლეობითა და უმეცრებით ისეთ კალაპოტში მოექცა, როცა მის ბედს უცხო ერი განაგებს, მოხერხებულათ, ფლიდურათ, ვიმეორებ, ისევ ქართველთა ხელით. სად არის შველა?! როგორ უნდა მოიქცეს ჭეშმარიტი ქართველი, თავდავიწყებითა და უანგაროთ შეყვარებული თავის სამშობლოში? რომელია სწორი გზა? ბრძოლა მიმართული მახარაძე-ორჯონიკიძის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ თუ „წაწოლის» პოლიტიკა?... ჩვენი მცირერიცხოვნება აჯანყებას ვერ აიტანდა და სრულ განადგურებამდე მიგვიყვანდა, რადგან ოკუპანტი დაუნდობელია და მხეცური ინსტინქტი ამოძრავებს: „შენ გჭამ იმიტომ, რომ მშია და შენი გემო ვიცი». ამის ნათელი მაგალითია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგი...მაშინ უნდა გამოინახოს გზა, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევინარჩუნოთ მშობლიური ენა, ტრადიცია, მეობა, მოგვცემს საშუალებას განვითარდეს ჩვენი ეკონომიკა, კულტურა, სამაგიეროთ დავთმოთ ჩვენი სუვერენიტეტი, მივცეთ ოკუპანტს მიწის ნაწილი ისე, რომ მისი მხეცური ტუჩი სულ სველი იყოს. რა არის ამისათვის საჭირო და აუცილებელი? უპირველესათ ის, რომ ოკუპანტს გავუღვიძოთ ჩვენდამი ნდობა, მოინათლოს ოკუპანტთან ურთიერთობა „მეგობრობათ»... ჩავუნერგოთ, რომ გვჯერა, რაც მოხთა საქართველოში მეგობრული გრძნობით არის ნაკარნახევი... ზარსებული სისტემისაგან გამომდინარე ყოველი სიკეთე საქართველოს აღორძინებისათვის გამოვიყენოთ... ნოე ჟორდანიას აქვს ერთი ბრწყინვალე ნაშრომი

„ბოლშევიზმი», სადაც ის სახავს, თუ რა სახის იქნება რუსული ბოლშევიკური სოციალ-პოლიტიკური წყობის არსი – სახელმწიფო იქნება მდიდარი, ხალხი ღატაკი, მუშათა კლასი რობოტად გადაქცეული, რომლის წრიდან წარმოშობლი მუშური არისტოკრატია, ელიტარული ნაწილი, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი მატერიალურად და უფლებამოსილი პოლიტიკურათ. განა ეს ასე არ არის? ყველაზე მცირეხელფასიანი მასწავლებელი და ექიმია, რატომ? რადგან ეს ორი კასტა მატერიალურ უკუგებას არ იძლევა. კაპიტალი კი, კერძო იქნება ის თუ სახელმწიფო, შაურს არ ჩადებს, თუ ორი შაური არ ამოიღო....

საახალწლოთ ჭიათურაში წავედი, ვიშოვნე გეოდეზიის სახელმძღვანელო, რასაც პროფესორი დიდებულიძე გვიკითხავდა და დღედაღამე ვმეცდინეობდი, არავისთან წავსულვარ, ჩაკეტილი სახლში ვიყავი, დაკარგული დრო უნდა ამენზღაურებინა და თავი არ უნდა დამეზოგა, რომ მიზნისათვის მიმეღწია. ჩემთან ერთად სამთო ფაკულტეტზე შესულებმა უკვე დიპლომები დაიცვეს. მე ვესწრებოდი და ვფიქრობდი, არა უშავს ჩემი გზაც მოიძებნა და საღი გონებით  ვწონიდი ყოველივეს. ეს პირველი გამოშვება იყო და მე გულწრფელად მივულოცე ბიჭებს, პირველ მერცხლებს. რა ვუყოთ მერე, ცხოვრების გზა ამ ბობოქარ რევოლუციებით ქარტეხილ დროს ყველას ერთნაირი ხომ არ ექნებოდა... უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც სომხების ყოფილ სემინარიაში დაფუძნდა...მალე ჩვენი ინსტიტუტი კვლავ გადაკეთდა და ეწოდა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი და ქალაქის ცენტრში დაიდო ბინა, კომუნარების ბაღთან. აქვე უნდა ითქვას, რომ 1930–1931 სასწავლო წელს, როცა მე დავამთავრე, ინსტიტუტმა მიიღო სხვა სახელწოდება – საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. ივნისის ბოლო რიცხვებში ქეთოს წერილი მივიღე და ქუთაისში გავემგზავრე...ჩვენ მმაჩში ხელი მოვაწერეთ და მე ჭიათურაში დავბრუნდი...მამას ძალიან გაუხარდა ჩვენი ამბავი. ჩვენთან სტუმრობდა მამას ბიძაშვილისშვილი ჭიჭ[პ]ილია ნაკაიძე, რომელიც დამპირდა მათემატიკის ლექციების მოტანას, რადგან ჩემი წიგნები მქონდა ჩემოდანში, რომელიც მატარებელში მომპარეს... მალე ქეთოსთან წავედი სურამში, სადაც იგი ისვენებდა. ჩვენთან ბაბო და ჟორჟიკა ჩამოვიდნენ. ბაბოსა და ქეთოს ერთმანეთი ძალიან მოეწონათ... რა ბედნიერები ვიყავით ორივე წყვილი....29 აგვისტოს ქეთო სოხუმში წავიყვანე. მან თავისიწრის ხალხი გამაცნო. მათ შორის კატია გლიხოვსკაია, გეოგრაფიის მასწავლებელი, ქართველზე გათხოვილი. მან სადილად დაგვპატიჟა. კატია ზედმიწევნით სიმპატიური ქალი იყო, კარგად ლაპარაკობდა ქართულად და უყვარდა ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე საუბარი. იგი ამბობდა, რომ პოლონეთის აჯანყების დროს ბევრმა პოლონელმა შეაფარა თავი საქართველოს. მე კი შევახსენე, რომ 1921 წელს, რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაში წასულმა ბევრმა ქართველმა პოლონეთს შეაფარა თავი, ხოლო პოლონეთის მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიას შესთავაზა პოლონური სტუმართმოყვარეობით ესარგებლა. ჟორდანიამ მადლობა შეუთვალა და სთხოვა ქართველი ოფიცრების ნაწილისა  და იუნკერებისათვის მიეცათ თავშესაფარი. ასეც მოხთა.

8 სექტემბერს ქეთო და მე სოხუმში წავედით. მე მალე თბილისში დავბრუნდი. არ შეიძლება არ ვთქვა, რა მდგომარეობა იყო სოხუმში. აბხაზების „ბელადი» ლაკობა და მისი ახლობლები განუხრელად პარპაშობდნენ. ქართველ მოსახლეობას (მთელი

მოსახლეობის 70 %) და აბხაზებს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა იყო, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ ყოფილი დენიკინელები და სომხები, რომლებიც პროვოკაციულ ანტიქართულ საქმიანობას ეწეოდნენ. აი, ერთი დეტალიც: სოხუმში ყოფნისას მოსახლეობის აღწერა დაიწყო. ჩვენს სახლის პატრონთან მოვიდა ორი აღმწერი, ეროვნებით რუსი და დაიწყეს მონაცემების შეტანა. და როცა სახლის პატრონს ეროვნება ჰკითხეს, მან უპასუხა „ქართველიო». აღმწერებმა დავა დაუწყეს – სადური ქართველი ხარ, შენ ხომ მეგრელი ხარო. დავა ჩხუბში გადაიზარდა. სახლის პატრონმა ორივეს ქეჩოში ხელი მოჰკიდა, წიხლი ჰკრა და კიბეზე დააგორა. ატყდა ერთი ალიაქოთი, მოიყვანეს მილიცია და ჩვენი სახლის პატრონიც წაიყვანეს, მაგრამ მალევე დაბრუნდა.... თბილისში დავბრუნდი და ქეთოს ძმებთან ვცხოვრობდი... თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად ჟორჟიკა და ბაბოც. ბაბომ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა და იქ სწავლობდა. მე დაუღალავად ვმეცადინეობდი და შედეგიც მქონდა...ჩეკა ყველგან მძვინვარებდა. ჯაშუშობა და კომკავშირლების ინფორმატორობა ზენიტს აღწევდა, საკმარისი იყო უბრალო დასმენა – ამან ის თქვა, ამან – ესო და კაცი ქრებოდა უგზო-უკვლოდ. შემოღებული იყო ქუჩიდან ადამინთა აყვანაც. ქეთოს ძმისა და მისი ამხანაგებისათვის აკრძალული მქონდა პოლიტიკურ თემებზე საუბარი, არც უნდოდათ გაფრთხილება – ყველა დაშინებული იყო. ჩემთან ხშირად დადიოდნენ აკაკი ბელიაშვილი და გოგი გოგოლაშვილი, რომლებიც ჩემს ფაკულტეტზე სწავლობდნენ და ჩვენ ერთად ვმეცადინეობდით.

### 1928 წელი... 1929 წელი...

დრო შრომაში, ნახევრად შიმშილში მიდიოდა, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რადგან მიზანი მქონდა – სამთო ინჟინრობა ჩემი ოცნების ალფა და ომეგა იყო. მეცადინეობის საქმე კარგად მიდიოდა, ჩავაბარე გეოდეზია, ეს „საგანთა საგანი» და ამოვისუნთქე...

თებერვლის ბოლოს ქეთოს წერილი მივიღე. 10 მარტს ფოთში ჩავედი, იქიდან კი გემით – სოხუმში. ქეთო ბავშვს ელოდებოდა და გამოცვლილიყო... უფრო დამშვენებულიყო. ჯახირ-ჯახირით ქუთაისში, ქეთოს მშობლების სახლში ჩავედით. მათ ძალიან გაიხარეს და შვილიშვილის მოლოდინში აფორიაქებულები იყვნენ. გამოცდები კარზე მქონდა მომდგარი და ჩემი დარჩენა ქუთაისში შეუძლებელი იყო. ქეთოს შევპირდი ერთ კვირაში ჩამოვალ-მეთქი და გამოვემგზავრე. თბილისში კარგი ამბები დამხვდა. მუშავდებოდა საკითხი რაღაც კონტრაქტის შესახებ. რას მოგვცემდა ღარიბ სტუდენტებს ეს, არ ვიცოდით, მე, ბორის გუჯეჯიანი, კოლია შონია და ალიოშა ხუჭუა ერთად ვმეცადინეობდით. მე მათზე უფროსი ვიყავი და ცხოვრების გამოცდილებაც მეტი მქონდა. ეკონომიურად საკმაოდ გვიჭირდა. ბრწყინვალე პედაგოგები გვყავდა, მათ შორის ნიკო მუსხელიშვილი, გრიგოლ წულუკიძე, კალისტრატე გაბუნია, გიორგი ნიკოლაძე, გერმანულს ნიკო ლორთქიფანიძე გვიკითხავდა... აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა. მე ქუთაისში გავემგზავრე. 14 აპრილს კი ბიჭი შეგვეძინა...ჩემი სიმამრი ცას ეწია სიხარულით, სამი დღე ქეიფობდა. პატარას ნოდარი დავარქვით. ქეთოს მშობლები თავს ევლებოდნენ. მე ის მადარდებდა,

რომ ქეთო სოხუმში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბავშვს ვერ წაიყვანდა. გადაწყდა ძიძა გვეშოვა... ქეთო სოხუმში წავიყვანე და თბილისში დავბრუნდი. 1929 წელს ხელი მოგვაწერინეს უმაღლესი სამეურნეო საბჭოს ერთ-ერთ განყოფილებაში (ხელმძღვანელი თიკანაძე, ჭიათურის ბანკის ყოფილი დირექტორი), რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვა რესპუბლიკაში სამუშაოდ არ წავიდოდით და საქართველოში ვიმუშავებდით, რისთვისაც თვეში 80 მანეთი დაგვინიშნეს. ამან მომცა საშუალება ოთახი მომეწესრიგებინა და სექტემბერში ქეთო ჩამოვიყვანე და სოხუმში აღარ გავუშვი. ნოდარი ისევ ბებიასთან დავტოვეთ. ქეთო უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

## 1930 წელი..

1930 წელს ქართული თეატრი პირველად გავიდა საკავშირო სარბიელზე. ამ წლის მაისში კოტე მარჯანიშვილის ქუთაისის თეატრმა, ხოლო ივნისში რუსთაველის თეატრმა, ახმეტელის თაოსნობით, გასტროლები ჩაატარეს მოსკოვში ხალხთა თეატრალურ ოლიმპიადაზე. იმ ხანად მათი უთანხმოება დაწყებული იყო. კოტე წერილით სთხოვდა აბელ ენუქიძეს თეატრის თბილისში გადმოყვანის შესახებ, რისი გადაწყვეტაც ჭიანურდებოდა....რუსთაველის თეატრის გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, რის შესახებაც ახმეტელი წერდა სანდრო შანშიაშვილს. სანდროს ქალიშვილის, ლატავრასაგან გავიგე, რომ წერილი გოგლამ [ლეონიძე] წაიღო და არ გამოუქვეყნებია და ინახება ლიტერატურულ მუზეუმშიო. დაწერილია 1930 წლის 2 ივლისს: «ჩემო სანდრო! შენი წერილი მივიღე. ძლივს ერთ კაცს მაინც მოვაგონდი. ისევ შენ ჩემო სანდრო, თორემ სხვებისა რა მოგახსენო. მე მაინტერესებს მანდაური ამბები. აქაური საინტერესო ის არის, რომ ჩვენი მეთოდი მუშაობისა აღიარებულია საუკეთესო მეთოდათ, მე მიწვეული ვარ [სიტყვა გაურკვეველია] ლექციების წასაკითხავად.... ამ წერილს ვატან იონა ტუსკიას. გუშინწინ ჩვენს წარმოდგენაზე მოვიდნენ იოსებ სტალინი და ორჯონიკიძე. მიდიოდა „ლამარა», მოვიდენ მეოთხე აქტზე, დამთავრებისას. სტალინმა დირექტორის კაბინეტში დამიძახა და მითხრა: ნუთუ წარმოდგენა გათავდაო. ახლა რა ვქნა? ვუთხარი ხელახლა გავიმეორებ-მეთქი. წავედი, დეკორაციები დაშლილი დამხვდა....ბიჭები დატრიალდნენ. მე ჩავედი სტალინთან, ერთი საათი ვისხედით. მოვიდა მიშა კახიანი. დავინახე, ვუთხარი სტალინს. მან მიშას დაუძახა, „აი, ეს ამხანაგია, რომელმაც შექმნა რუსთაველის თეატრი». მიშა გაწითლდა. სოსომ ხუმრობა დაუწყო. კახიანმა მთელი მოხსენება გაუკეთა თეატრის შესახებ. სოსო, წარმოიდგინე, სანდრო, ძალიან გამხდარია და გაყვითლებული. ეტყობა ძალიან ბევრს მუშაობს. იცინოდა, მასხრობდა, ძალიან კარგ გუნებაზე დადგა. თუ გინდათ დილამდე მოვიცდითო. მხოლოდ მეშინია აქტიორები ძალიან დაღლილები იქნებიანო. გავიგე, მოსკოვი ძალიან აღტაცებულა თქვენი მუშაობითო. შემდეგ წავედით დარბაზში დაიწყო მესამე აქტი. ვერ წარმოიდგენ, სანდრო, მის სახეს ფარდის ახდის შემდეგ, მისი სახე სულ სხვა იყო...უფრო წმინდანს ჰგავს, ვიდრე მრისხანე სტალინს. სტალინი, ორჯონიკიძე და მე ცალკე ვიჯექით და დაწვრილებით ვუცქერდი მთელი აქტის დროს არ განძრეულა, როცა „ზამთარია» სიმღერა დაიწყო, ერთი ღრმად ამოისუნთქა და ღიმილით მითხრა: უჰ, რა სიმღერააო. სტალინთან, როცა გამოემშვიდობა ყველას, იქვე პარტერში გადავიღეთ

სურათი – სტალინმა, სერგომ, მიშამ და მე. ამ წარმოდგენაზე ქართველი კომუნისტებიდან არავინ იყო, გარდა ჟორჟიკაშვილისა და ლადო სუხიტაშვილისა. სტალინმა გამოთქვა მწუხარება, რომ მთელი წარმოდგენა ვერ ნახა. საზოგადოდ ჩვენი ლაპარაკი იყო უბრალო...ბევრ საინტერესო ადგილებს ამ ბაასიდან მანდ ჩამოსვლისას გიამბობ. გამომშვიდობებისას მითხრა – სანამ წახვალ, კიდევ შევხვდებითო. დასმა სიმღერით გააცილა. ეს მოხდა 30 ივნისს (1930 წ.). ჩვენი ლაპარაკის დროს იქ იყო კიროვი. მას უთხრა, რატომ ლენინგრადში არ მიგყავსო. კიროვმა მთხოვა და შიძლება წავიდეთ, საქმე მხოლოდ ფულშია. 30 ივნისს ჩვენ გავათავეთ გასტროლები და ჩავალაგებთ ყოველივეს და მივდივართ ხარკოვში, გარანტიით და შეიძლება წავიდეთ ლენინგრადში. მაგრამ მცირე თეატრის დირექციამ დაგვირეკა, გასტრილები გრძელდებაო. რატომ? – ვეუბნები. შეატყობინეთ ახმეტელს გასტროლები 6 ივლისამდის გრძელდებაო. ისევ გავხსენით ჩვენი ბარგი-ბარხანა დღეს ვიწყებთ მუშაობას. რა გითხრა, რა მოგწერო. რაც აქ ხთება, ჩემთვის გაურკვეველია, არ ვიცი, დავიჯერო თუ არა. ყველაზე მეტად საქმეს აჭირებენ უცხოელნი მოყოლებულნი ელჩებიდან ყველანი იმას ამბობენ, რომ საბჭოთა ხელოვნებაში რუსთაველის თეატრი სრულიად ახალი მოვლენა არისო. ამხ. ლუნაჩარსკიმ, იმ კაცმა რომ ასე აქო ქუთაისის თეატრი, ასე განაცხადა ჟორჟიკაშვილთან, მე შეცდომაში შემიყვანეს, მითხრეს ინტრიგების გამო სრულიათ უსამართლოთ არის გამოცხადებული ქუთაისის თეატრი მეორე თეატრად, ნამდვილი ქართული თეატრი ეს არისო. ახლა კი ვხედავ, რაშია საქმეო. მე ძალიან დამიმეგობრდა, ყოველ წარმოდგენას ესწრება. დღეს საღამოს გვიმართავს, ჩემს საპატივსაცემათ, ვახშამს კახური ღვინით. არც ერთი წარმოდგენა არ გაუშვა და ამბობს, რუსთაველის თეატრი ეს ახალი მოვლენააო სრულიად სასცენო ხელოვნებაშიო. აქ გამოდის წიგნი რუსთაველის თეატრის შესახებ, სადაც იქნება წერილები: ლუნაჩარსკის, კრჟენცევის, გვოზდოვის, ბესკინას, ბლუმის და სხვების სამ ენაზედ. ყოველივეს დალაგება და მოწერა ძალიან ძნელია, ბევრი რამ მოხთა, ჩემო სანდრო, რაც ფილოსოფოსებს ვერ წარმოუდგენიათ, ტყუილათ გგონია, რომ დასი თავზრუ დასხმულია. არა, ჩემო სანდრო. მე ვერ ვგრძნობ კიდევ გამარჯვებას, მეტად სასტიკნი იყვნენ ჩემს მიმართ საქართველოში და ძალიან ღრმათ ჩაუკლავთ ჩემში რაიმეს იმედი. ამბობენ რუსთაველის თეატრი ეს მესამე თეატრია მსოფლიოშიო. ასე. ჩემო სანდრო, სასტიკი პასუხისმგებლობა მომავალში, აი, რა ზის უმთავრესად ჩემს წინაშე. წარმოიდგინე აქ უმთავრესად აკვირვებს ხალხს ის მეთოდი, რომელსაც მეტად დიდი შიშით ვარკვევდი მუშაობის დროს. მე ძალიან მწყინს, დამიჯერეთ, გულწრფელად ვამბობ, არა მარტო მე, მთელ დასს, ისამბავი, რომ ქუთაისის დასი იშლება. არ უნდა დაიშალოს და მარჯანიშვილს აუცილებლათ უნდა მიეცეს საშუალება. რუსთაველის თეატრისა ქუთაისის თეატრს ქიშპობის საკითხი სამუდამოთ მოიხსნა. ეს პერიოდი დასრულდა. ბევრს გაკოცებ. შენი სანდრო ახმეტელი»...

...1930 წლის მაისში ჩამოყალიბდა ძირეული საძიებო გეოლოგიური პარტია, რომელსაც პეტრე გამყრელიძე ხელმძღვანელობდა. აქ დავიწყე მუშაობა. პირველად სოფ. შროშაში ვიქირავეთ ბინა და იქ ვცხოვრობდით. პარტიის გეგმაში შედიოდა რაიონის გეოლოგიური აგეგმვა, შროშასა და საკასრიოს საბადოთა საძიებო შესწავლა.

1931 წელი…

გეოლოგის პროფესია თავისის შინაგანი ბუნებით, საქმიანობით, მუშაობის გარემოთი და მეთოდებით, ძალიან საჭირბოროტო და ძნელია. მიუხედავად დღეისათვის დამუშავებული კვლევისა, ძიების მეთოდებისა, რომელნიც გარკვეული მეცნიერული ჭეშმარიტებით გამაგრებულნი არიან, მაინც ეს პროფესია ზუსტ მეცნიერებათ არ ჩაითვლება. ველზე გასულ გეოლოგს, რომელიც გატაცებულია და შეყვარებული გეოლოგიაში, მუდამ ქანცგამცლელ შრომასთან აქვს საქმე. ...გეოლოგი ფიზიკურადაც ძლიერი უნდა იყოს...მაგრამ, თუ ის მოკლებულია გამტანობას, მეგობრობის უნარს, მხთალია და კაცთმოძულე თავის არსით და ბუნებით, ასეთი, ცხადია, ვერც გეოლოგად იმუშავებს, შეიძლება მცირე ხანსაც კი ვერ შეძლოს.

1931 წელს ამიერკავკასიის გეოლოგო-გიდრო-გეოდეზიურ ტრესტის მმართველად დაინიშნა სერგო ხვედელიძე, კარგი ქართველი, მაღალი ზნეობისა და ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებული კაცი... ამავე დროს, პრინციპული და სიმართლისმოყვარე. ივნისის ბოლოს ინსტიტუტი დავამთავრე და გეოლოგიურ ტრესტში მიგვამაგრეს..ამ დროს სამმართველოს მთავარი ინჟინერი ჩემი ინსტიტუტის პროფესორი კალისტრატე გაბუნია იყო. 10 ივნისს განჯის ჰიდროგეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელად დამნიშნეს. იგი განჯის გეოლოგიურ ბაზას ექვემდებარებოდა. იმ ხანათ ამიერკავკასიის გეოგიდროგეოდეზიის ტრესტმა თბილისში, ბაქოსა და ერევანში ჩამოაყალიბა რესპუბლიკური გეოლოგიური ორგანიზაციები და მათ „ბაზა» ეწოდათ. განჯა, სადაც მე უნდა მემუშავა, აზერბაიჯანის ბაზაში შედიოდა. თბილისის ბაზის უფროსად დაინიშნა კოლია ბეჟანიშვილი, რომელიც განჯაში გამყვა და განჯის ბაზის ხელმძღვანელობა გამაცნო. ჩემი მოვალეობა იყო განჯის სამხრეთით მდებარე კიზილ-კაიაში, დაბლობ, ნაწილობრივ დაჭაობებულ ადგილას ხელბურღვა ჩამეტარებინა. განჯა ყიაგრიზებით ამოყვანილ ნიადაგის მიწისქვეშა წყლებს იყენებდა. ამ საქმეს თავობდა ვინმე დიმიტრი სუხინი, სპეცილობით ტოპოგრაფი....თუ აქ მძლავრი ნიადაგის წყლები აღმოჩნდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა მისი განჯაში შეყვანა, ქალაქის წყლით მომარაგების საკითხი გადაწყდებოდა. ბაზიდან ორი ხელბურღვის ოსტატი გამაყოლეს და ყველა საჭირო მასალაც გამატანეს. ქალაქის მარჯვენა ნაწილში (მდინარე განჯა-ჩაის მარჯვენა სანაპირო) მაჰმადიანი მოსახლეობა ცხოვრობდა, აღმოსავლეთ ნაწილში კი – სომხური. მათ შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა. ჩემმა რამდენიმე წლის აზერბაიჯანში მუშაობამ დამანახვა, რომ ეს ერი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილი იყო. შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა სომხური მოსახლეობა, მაგრამ ორივესაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა გერმანელების კოლონიები. მე გავეცანი განჯიდან სამხრეთით, რამდენიმე კილომეტრზე მდებარე კოლონიას, რომელსაც „ელენენდორფს» უწოდებდნენ. ეს კოლონია მევენახეობა-მებაღეობას მისდევდა. ორშაბათიდან შაბათამდე, დილიდან საღამომდე სოფელი თითქმის ცარიელი იყო. გარდა ბავშვებისა, ძლიერ მოხუცებისა და მასწავლებლებისა, სოფელში ვერავის ნახავდით. ყველა ვენახში იყო გასული სამუშაოდ, თეთრ ხალათებში გამოწყობილები ქალიცა და კაციც. სოფელში უბრალო ხეს ვერ შეამჩნევდით. გაშენებული ჰქონდათ მარტო ხეხილი: ვაშლი, ბია, მსხალი, ქლიავი, ატამი. სოფლის შუაში იდგა პატარა „კირხე» – ეკლესია, სადაც კვირა დღეს მთელი სოფელი ლოცვათ იდგა. სოფელს სათავეში ბრგე გერმანელი ალბერტ კუნი ჰყავდა. ჩამოაყალიბებული ჰქონდათ

ამხანაგობა „კონკორდია», სადაც ყოველ გლეხს ყურძნის მოსავლის გარკვეული რაოდენობა (სურვილის მიხედვით) შეჰქონდა. ამუშავებდნენ, ღვინოს მარკით – „კონკორდია» და ჭაჭისაგან გამიხდილ არაყს კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში უკეთებდნენ რეალიზაციას, ხოლო შემოსავალი თანხა ნაწილდებოდა იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ფუთი ყურძენი ჰქონდა შეტანილი ამხანაგობაში. დადგებოდა ზამთარი და კუნი ადგენდა მონადირეთა ბრიგადებს ტახზე სანადიროდ (თათრები არ ნადირობდნენ), ევლახის მხრიდან გარეული ღორის ნანადირევი ჩამოჰქონდათ და შაშხებს იმარაგებდნენ. ყოველივე მოსაწონი იყო ამ ჭკვიანი და მშრომელი ხალხისაგან. ერთი რამ იყო, რაც ქართველი კაცისათვის ხელასაკრავად გამოიყურებოდა, ეს იყო არაჩვეულებრივი ანგარიშიანობა. ეს გერმანელები წარმოშობით შვაბები იყვნენ. ერთხელ კუნმა დამპატიჟა და მეურნეობა დამათვალიერებინა. გამოსცდებოდი მათ სოფელს და იწყებოდა სიდუხჭირე, შეუგნებლობა და ყველა მასთან დაკავშირებული სიავე. ჩვენ ხიდთან ახლოს, ერთი სომხის სახლში ვიქირავეთ ბინა. მცირე ზომის ჭაბურღილები იბურღებოდა. ვბურღავდით დარტყმითი – ბრუნვითი მეთოდით 4-დიუმიანი სატეხით. კიზილ-კაიაში კარავი გვედგა და იქ იყვნენ კოლექტორი და მბურღავები. ჩვენს კვებაზე ბაზა ზრუნავდა.

აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში წავედი ზოგიერთი საკითხის მოსაგვარებლად. თან სამეურნეო მუშაკი მალხაზოვი წავიყვანე. შევხვდი ბატონ კალისტრატეს, რომელთანაც დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენი სამუშაოების შესახებ. მოვინახულე ჩემი კონსულტანტი ინჟინერი კონიუშევსკი, ვნახე სერგო ხვედელიძეც. ჩამოსვლიდან მესამე დღეს ჩემთან სახლში მოვიდა ვიღაც დაბონძილი ახალგაზრდა, ფეხზე აზიური წვეტიანი კალოშები ეცვა. გამიკვირდა, მოიბოდიშა, თქვენთან ბატონმა კალისტრატემ გამომაგზავნა და ბარათი გამომატანაო. სახლში შევიყვანე, ქეთო ჩაის ამზადებდა, შემოვუსხედით სუფრას. ბატონ კალისტრატეს მოკლე ბარათი წავიკითხე. იგი მწერდა: „მე სხვა არ მეგულება, რომ ამ დავალება-თხოვნით მივმართო. ამის მომტანი თვითონ გიამბობთ ყოველივეს. დაეხმარეთ, შეიკედლეთ თქვენს გეოლოგიურ {არ იკითხება}. პატ. კ. გაბუნია. 18 აგვისტო, 1931 წ.» ეს ახალგაზრდა აღმოჩნდა გოგი საბაშვილი. ინსტიტუტის სამთო – გეოლოგიური ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი, წმენდის შედეგად განდევნილი ინსტიტუტიდან. იგი არამარტო გაურიცხავთ ინსტიტუტიდან, არამედ დაუპატიმრებიათ და რამდენიმე თვე მეტეხის ციხეშიც მჯდარა. გავუმასპინძლდი როგორც შემეძლო, გავამხნევე და დახმარებასაც დავპირდი. მეორე დღეს გეოლოგის სპეცტანსაცმელში და კირზის ჩექმებში გამოწყობილი მალხაზოვს განჯაში გავაყოლე.

ერთხელ სამმართველოში მივდიოდი და რუსთაველზე შევხვდი დაღონებულსა და დაფიქრებულს, ფაქტიურად ძონძებში გამოხვეულს, ტერენტი გრანელს. მე მას პირადათ ვიცნობდი. შევაჩერე, მივესალმე, როგორ ხარ-მეთქი, ვკითხე. ხმა არ ამოუღია, მწუხარეთ შემომხედა და ხელი ჩაიქნია, მერე წასვლა დააპირა. მე არ გავუშვი, ხელი წავავლე და ვთხოვე ჩემთან წამოდი, ჩემს დაწესებულებაში, აქვე, ახლოს ვარ ძერჟინსკის ქუჩაზე, ერთ ოთახში დაგაჯენ ცოტა ხანს და მერე ერთად ვისადილოთ-მეთქი. ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს მეუბნება – მე წყალობას არ ვღებულობო. მე მაინც არ მოვეშვი და წავიყვანე. ჩემს მეგობარს, კოლია ტყემალაძეს გავაცანი და მას ვთხოვე, ჩემს მოსვლამდე შეექცია. საქმე დავამთავრე და, ასევე ჩემს მეგობარს, კოლია ჯორჯაძეს, ვთხოვე ჩვენთან

ერთად წამოსულიყო....წავედით პუშკინის ქუჩაზე სარდაფში მოთავსებულ რესტორანში. დავჯექით, კარგად ვისადილეთ. მე და კოლია უფრო ვსვამდით... ტერენტიმ ცოტა შესვა... თანდათან გახალისდა თითქოს. თავისით მოინდომა ლექსების კითხვა. წამოდგა და ხმამაღლა, თითქოს ტრიბუნაზე იყო, წაიკითხა თავისი ლექსები, მათ შორის გულში ჩამრჩა მისი ლექსის ერთი ტაეპი:

„შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით მიწას მოვიარ,
წმინდაო ღმერთო, რათ გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია»

დარბაზში ცოტა სტუმრები იყვნენ. ერთი მაგიდიდან ტაშით შეგვეხმიანენ და შემოგვთავაზეს პატივი... ჩვენ ნასიამოვნები ამოვედით რესტორნიდან. დაგვემშვიდობა, ხელი ჩამოგვართვა, მადლობა გვითხრა და წავიდა... იმ დროს ტერენტი არა თუ აღიარებული თავისის შემოქმედებით, პოლიტიკური მრწამსით მისაღები პოეტიც კი არ იყო არც ხელისუფლებისთვის და არც მწერალთა კლანისათვის. იგი გარიყული იყო ყველასაგან, ზოგიერთების გარდა. ცნობილია კონსტანტინე ლორთქიფანიძის აგდებული ტონის მქონე ლექსი, მიმართული ტერენტისადმი. როგორც კონსტანტინესათვის, ისე სხვა მრავალთათვის, ვინც გუნდრუკს უკმევდა შემოსულთა ხელისუფლებას და ტერენტისთან ურთიერთობას ისე გაურბოდა, როგორც ხოლერის ბაცილას. ის კი მშიერ–მწყურვალი, მიუსაფარი და ფაქტიურად, დევნილი, თავს არავის უხრიდა, თავის რწმენას არ აფურთხებდა. ბევრს არ გვესმოდა მთლიანად, მთელი შეგნებით, თუ რა დიდი მოაზროვნე იყო ტერენტი, რა დიდი ინტელექტუალური სიღრმის პიროვნება იყო, მიუწვდომელი თანამედროვეთათვის. განა მე კი ვიყავი ხეირიანად მისი შემფასებელი? უბრალოთ მისი პესიმისტური განწყობის ლექსები რაღაცნაირათ ესადაგებოდა ჩემეულ გარემოს აღქმას, ჩემს სულიერ განწყობას. უფრო იმიტომ, რომ სულს მიფორიაქებდა ამ ახალგაზრდა მწერლის უპატრონობა და მიუსაფრობა... მე ბევრჯერ მინახავს იგი რუსთაველზე, თავის თავთან მოსაუბრე, გამხთარი, ფერმკრთალი, დაძონძილ ტანსაცმელში გამოხვეული. ღმერთო შეგცოდე, რა უბედური ძალა მაკავებდა მივსულიყავი, გამოვლაპარაკებოდი, კიდევ წამეყვანა სადმე პურის საჭმელად, წამეყვანა ჩემთან, გამეფორმებინა რაიმე სამუშაოზე, ემუშავა და ეწერა, მაგრამ ვაითუ იუკადრისოს კიდეც-მეთქი. როგორ ვცდებოდი...

ქეთო ქუთაისში ჩავიყვანე ნოდარიკოსთან და მე განჯაში გავეშურე... ჰიდროგეოლოგიური შესწავლა და კიზილ-კაიას ფართობზე ბურღვა ნორმალურად მიდიოდა. თანდათან ვლინდებოდა გრუნტის წყლები, წყალი მსხვილმარცვლოვან ქვიშაქვასთან იყო დაკავშირებული, სასმელათ კარგი და გემრიელი. გიდროგეოლოგიური შესწალისათვის მარშრუტებზე თან დამყავდა გოგი საზაშვილი და ვალოდია შოტნიევი. ვიღებდით ქანების ნიმუშებს, ვსწავლობდითმათ პარამეტრებს. გიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, რაიონი მწირი იყო. წყაროები, გარდა კიზილ-კაასი, არსად ჩანდა, იყო რამდენიმე მცირე ღელე. ყურადღებას იპყრობდა ის ფაქტი, რომ მდინარე განჯა-ჩაი განჯამდე იკარგებოდა. ვფიქრობდი, რომ ის კვებავდა რაიმე წნევიანი წყლის ფენას სადღაც განჯის ჩრდილოეთით. ამ იდეას ამაგრებდა ისიც, რომ ეს

მხარე ქვიშრობით ნაგები უნდა ყოფილიყო. ყოველივე ეს ახალი სამუშაოების მოწყობას მოითხოვდა და რასაკვირველია, გარკვეული თანხების ხარჯვას. ვინ გაიღებდა ამ თანხებს – ქალაქი თუ გეოლოგიური ტრესტი? ამის შესახებ ხმის ამოღება არ ღირდა, ზევრი რამის მოფიქრება იყო საჭირო. ეს მოითხოვდა არსებული გეგმის შეცვლას, მის უარყოფას, სამუშაოების შეჩერებას, სუხინის წყენას, მისი ვარიანტის უარყოფას. პირადი პასუხისმგებლობა დიდი იყო. იმ ხანად აზერბაიჯანის ბაზა განჯიდან ბაქოში გადავიდა და მთელი შენობა თავისი ეზოთი ჩვენს განკარგულებაში გადმოვიდა... 1931 წლის დეკემბერში ტარდებოდა საბჭოთა კავშირის გიდროგეოლოგთა ყრილობა. ალბათ ეს იყო სერგო ხვედელიძისა და კონიუშევსკის ინიციატივა, რომ ამ ყრილობაზე აზერბაიჯანიდან დელეგატად ვყოფილიყავი. ამ დროს გიდროგეოლოგიურ სამუშაოებს ჩემს მეტი არავინ აწარმოებდა. საქართველოდან კონიუშევსკი მოავლინეს. ლენინგრადში, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, 26 დეკემბერს ჩავედი. დელეგატები სმოლნში მოგვაწყვეს...ყრილობა გეოლოგიური კომიტეტის შენობაში მიმდინარეობდა, შემდეგ სექტორებად დაიყო. მე ამიერკავკასიის სექტორში ვმუშაობდი. მოხსენება გამაკეთებინეს განჯის საკითხთან დაკავშირებით. გამოვთქვი მოსაზრება განჯის ჩრდილოეთით მდინარეულ ნალექებში მეოთხეულ ფორმაციაში წნევიანი წყლების შესაძლებელი არსებობისა და სათანადო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. მოვითხოვე ეს სამუშაოები შეტანილი ყოფილიყო 1932 წლის გეგმაში. კონიუშევსკი ნაწყენი იყო, მისაყვედურა, წინასწარ რატომ არ გამაცანი შენი ვარიანტიო. ყრილობა 3 იანვარს დამთავრდა და ხუთში უკვე თბილისში გამოვემგზავრე.

1932 წელი...

განჯის ჰიდროგეოლოგიური პარტია გაიზარდა და განჯის გეოლოგო-ჰიდროგეოლოგიურ ექსპედიციად გადაკეთდა. ჩვენ დაგვევალა აღიახიშის მიდამოს შესწავლა ბურღვის სამუშაოთა წარმოებით, მის აღნაგობაში ვულკანური ქანების შესწავლით, რათა გამოგვეკვლია მათში კაოლინიზირებული მასის არსებობა. საქმე იმაშია, რომ იმ ხანად ჩამოყალიბებული იყო ე.წ. დაშკესანის კომიტეტი, რომელიც აზერბაიჯანს ექვემდებარებოდა და რომელსაც ევალებოდა მოესინჯა მეტალურგიული ქარხნის აგების პირობები განჯაში. ამისათვის საჭირო იყო გაგება იმისა, თუ დაშკესანის რკინის საბადოს ბაზაზე ასაგები ქარხანა შეძლებდა თუ არა უზრუნველყოფილიყო გარდა წყლისა, აგრეთვე კაოლინით. ჩემთვის უცნობი იყო ის ბრძოლა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, თუ სად უნდა აშენებულიყო ეს ქარხანა. საქართველოს არ ჰქონდა რკინის საბადო, მაგრამ ჰქონდა მძლავრი ნახშირის საბადოები და მდიდარი წყლის რესურსები და რაიონში მდებარე კაოლინის საბადოები. გარდა აღიახიშის საბურღავი ჯგუფისა, წარმოიშვა შესაძლებლობა კიდევ ორი ობიექტისა – ერთი მდინარე შამქორის უბნის შესწავლა მის შუა მდინარების წელში ჰიდროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და მის ქვემო დინების ზოლში მდებარე ბარიტის საბადოს ძიება. ჩემთან მოავლინეს გეოლოგი, ტელემაქ ასათიანი. იგი ბატონ კალისტარატე გაბუნიას თანაკურსელი იყო ტომსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს, მაგრამ მესამე კურსიდან დაბრუნებულიყო და უკვე ხანშიშესული კვლავ გეოლოგობას

დაუბრუნდა. მასთან ერთად კ. გაბუნიამ პრაქტიკის გასავლელად მოავლინა ლადო სიხარულიძე უფროსი კოლექტორის თანამდებობაზე.

მარტში ჩამოვიყვანე ქეთო და ნოდარიკო განჯაში. იმ დროსვე თბილისიდან ჩამოვიდნენ სერგო ხვედელიძე, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი პოგრებოვი, კონიუშევსკი, რომელთაც განჯის წყლით მომარაგების საკითხი აინტერესებდათ. დავათვალიერებინე ყველაფერი და ჩემი მოსაზრებაც გავაცანი განჯის ჩრდილოეთით წნევიანი წყლის შესაძლო არსებობის შესახებ. ძალიან გაეხარდათ, განსაკუთრებით პროფესორ პოგრებოვს.

სერგო ძალიან მადლობელი იყო ჩემი, ჩუმად გამიხმო და მითხრა, რომ ჩემს დაწინაურებას აპირებდა და პარტიაში შესვლა შემომთავაზა. მადლობა კი ვუთხარი კეთილი სურვილებისათვის, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი პარტიაში შესვლაზე და დაწინაურებაზეც. მიზეზად ის დავუსახელე, რომ კაბინეტის კაცი არ ვარ, გამოხუთულ კაბინეტში ვერ გავჩერდები, თავისუფლად უნდავიყო, საველე საქმიანობა მირჩევნია-მეთქი. მე მართლაც ველზე ყოფნა უფრო მაწყობდა, რადგან ცოდნას უფრო მეტს შევიძენდი. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ერთი ფაქტი: ტრესტში ბევრნი იყვნენ მუშფაკებში ნასწავლი კომკავშირლები, უვიცები. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ თანამდებობაზე გამძვრალიყვნენ. ამისათვის საჭირო იყო ლაქუცი, მონური საქციელი, უფროსებისადმი ძაღლივით ერთგულება. თუ ვინმე წინ ეღობებოდათ, როგორც მიმავალ ურემს გზაზე დადებული ლოდი, აიღებდნენ და ხრამში გადააგდებდნენ. ძაღლთაპირებს შორის მყოფმა უნდა იფიქროს, რომ ლოდის როლში არ აღმოჩნდეს, მით უფრო ჩემი წარსულის მქონე ადამიანმა... განჯის ჩრდილოეთით ბურღვა დავიწყე... ჭა ირეცხებოდა სუფთა წყლით ამიტომ მალი-მალ გვჭირდებოდა ჭის სამაგრი მილებით წინსვლა, ბურღვის წარმადობა მცირე იყო, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ეს ყველაზე საჭირბოროტო უბანი იყო, ბურღვის ოსტატები მართლაც კარგი მყავდნენ და ცდას არ აკლებდნენ.

განჯაში გახსნილი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილიალი. ერთ დღეს მესტუმრა უშანგის უმცროსი ძმა, ბიჭიკო ჩხეიძე, რომელიც თურმე ამ ფილიალში სწავლობდა. ბიჭიკო ბევრი რამით წააგავდა თავის უფროს ძმას. სტუდენტებს კი არა, მაშინ ყველას უჭირდა, ამიტომ რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი. ყველზე მეტად გაუხარდა, როცა გეოლოგის „ბატინკები» ვაჩუქე. უშანგის ემდუროდა – ზესტაფონის თეატრში რამდენიმე როლი მათამაშეს და მაიმედებდნენ, შენგან კარგი მსახიობი დადგებაო, უშანგიმ რომ გაიგო, მაშინ ზესტაფონში იყო და სახლი ყვირილით აიკლო, არ გავიგონო შენი სცენაზე ღოღიალიო. აქვე ვიტყვი, რომ ეს მშვენიერი ახალგაზრდა, უკვე ინსტიტუტდამთავრებული, უცნაურად დაიღუპა ზესტაფონში, გზაზე მიმავალს რაღაც დაეცა თავზე და იქვე განუტევა სული.

...ამ წელს საქართველომ დაკარაგა თავისი საყვარელი თეატრალური მოღვაწე, გენიალური რეჟისორი, კოტე მარჯანიშვილი. მოსკოვში გარდაიცვალა და მისი ფერფლი ჩამოასვენეს. განჯიდან სამძიმრის დეპეშა გამოვუგზავნე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს აზერბაიჯანში მომუშავე გეოლოგების სახელით. როგორც შემდეგ დოდო ანთაძემ მითხრა, ეს დეპეშა სამგლოვიარო მიტინგზე წაიკითხეს...

წლის ბოლოს სერგო ხვედელიძე ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს კომბინატის დირექტორად გადაიყვანეს. მან რამდენჯერმე შემომთავაზა მასთან სამუშაოდ

გადასვლა, მაგრამ უარი ვუთხარი და ცოტა ნაწყენი დამშორდა. აქვე ვიტყვი, რომ ხვედელიძე, ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, ცოლთან ერთად, 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს, ხოლო ომის დასაწყისში, დახვრიტეს. ცოლი გადარჩა და შემდეგში დაბრუნდა... აღიახიშის მიდამოების შესწავლა იმის სურათს იძლეოდა, რომ კაოლინების სერიოზული საბადო არ იყო – ქანები, რომელნიც თავისის თეთრ-მოყვითალო ფერებით, ერთი შეხედვით, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ საკმარისი იყო, შრიდან მსხვილი ნატეხი მომემტვრია, ყოველი კეთილსინდისიერი გეოლოგი უარს იტყოდა ხელი მოეწერა აქ საბადოს არსებობაზე. ერთი მცირე სიღრმის ჭაბურღილი საკმარისი აღმოჩნდა ჩემი მოსაზრების დასამტკიცებლად. ამიტომ ეს უბანი დავკეტე და უარყოფითი დასკვნები ბაქოს ბაზაში და თბილისში ტრესტის მმართველთანაც გავაგზავნე. შემდეგ გავიგე, რომ ჩემს დასკვნებს დიდი ალიაქოთი გამოუწვევიათ, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, რომელსაც „დაშკესანსტროი» ეწოდებოდა. მიზეზი კი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა იყო, რომლის შესახებ უკვე აღვნიშნე. ამ საქმისათვის აღიახიშის უბანი რეკომენდირებული იყო ვინმე ფლორენსკის მიერ, რომელიც სამხრეთ ოსეთში მუშაობდა და ისეთ ხმებს ავრცელებდა, თითქოს ჯავის რაიონი მდიდარი იყო ყველა სახის მინერალური ნივთიერებათა საბადოებით, ოღონდ ქართველები ცდილობენ დაფარონ და ოსები სიღარიბეში ამყოფონო. ამით იგი შუღლს სთესდა ქართველებსა და ოსებს შორის. მე სასწრაფოთ ვიყავი დაბარებული ბაქოში... აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას სამრეწველო განყოფილებაში თათბირზე ინფორმაცია გავაკეთე და განვაცხადე, რომ აღიახიშის მიდამოებში არ არსებობს არავითარი პერსპექტივა კაოლინური თიხების საბადოს არსებობისა, რომ ფლორინსკის დასკვნა რეალობას მოკლებულია და სიყალბეა. ამასთან, სამუშაოთა წარმოების შეწყვეტისათვის სრულ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებდი. ერთი ცინგლიანი სომეხი კომკავშირელი, რომელიც ამ განყოფილებაში მუშაობდა, მედავებოდა და მოსყიდულიც მიწოდა. გაბრაზებულმა პასუხი გავეცი და ისე, რომ დამსწრეთა შემახილებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, დავტოვე იქაურობა და ბაზაშიდაც არ წავსულვარ, მატარებელს განჯაში გავყევი. გულამღვრეული ჩავედი. ვფიქრობდი, ამ სომხის ბუშმა როგორ გამიბედა ცილისწამება-მეთქი, თან ვწუხდი, არ უნდა დამეტოვებინა შეხვედრა ასე დემონსტრაციულათ, რადგან პარტიულ ორგანოებში ჩეკისტები სხედან და მე კი ვინ ვარ – უპარტიო სპეციალისტი, უპარტიო, ე.ი. მათი გაგებით, ნახევარი კაცი, ფაქტიურათ, უუფლებო, მით უფრო ჩემი წარსულის მქონე. თუ საბაბი მიეცათ ყოველივეს ამოატივტივებენ და მაშინ მშვიდობით, ცოლ–შვილო და მშობლიურო მიწავ, ვინ იცის, როგორ დამჭედავენ...თბილისიდან დეპეშა მომივიდა, ტრესტში მიბარებდნენ. გავემგზავრე. უკვე ყველაფერი იცოდნენ. მთავარი ინჟინერი სერგო გორბუნოვი დამხვდა, მისაყვედურა, შეხვედრიდან არ უნდა გაქცეულიყო, თანაც გამაფრთხილა, თუ შენი დასკვნები არასწორიიქნება, უსიამოვნება არ აგცდება და არამხოლოდ სამსახურებრივიო. თან დაამატა – შენ ჩემსავით უპარტიო ხარ და მეტი სიფრთხილე გმართებს, მაგრამ მე სხვა რაღაცის გამოც გამოგიძახე: ბარიტებზე გეოლოგიური სამუშაოების შესაძლებლობა იქმნება და მინდა შენ მოგანდო ეს საქმეო... სერგომ ბევრი მიჩიჩინა, თუ კაცი ხარ, მიდი, ბოდიში მოიხადეო, თუ არა და ამხანაგურ სასამართლოს გადაგცემ, სხვა გზა არ არისო. არც ბოდიში მოვიხადე და არც სასამართლოზე გამოვუძახებივარ ვინმეს.

განჯის სამუშაოები კარგად მიდიოდა – ქალაქის ჩრდილოეთით, ტრამალზე გაჭრილმა ჭაბურღილმა კარგი შედეგი მოგვცა. ჩემი გეოლოგიური ვარაუდი გამართლდა და მივიღეთ წნევიანი არტეზიული წყალი, თუმცა ბურღვა გაჭირვებით და მცირედ წარმადობით მიდიოდა. ყიზილ-კაიას დაბლობშიც კარგი შედეგები გვქონდა. მიწისქვეშა წყლები აქ საკმაო ოდენობით აღმოჩნდა, ანალიზი წყლისა, ორივე შემთხვევაში, კარგი იყო. შამქორის უბანზე კი, სადაც ტელემაქ ასათიანი მყავდა მიმაგრებული, მაინცდამაინც კარგი პირი არ ჩანდა...

1933 წელი...

წლის ბოლოსათვის აღიახში დავკეტე, საინჟინრო სამუშაოები შამქორის შუა წელში დავამთავრე, ბარიტების სამუშაოები დავკეტე უპერსპექტივობის გამო და მხოლოდ ყიზილ-კაიასი და ჩრდილო განჯის სამუშაოები დავტოვე... 19 აგვისტოს კიდევ ერთი ბიჭი შეგვეძინა... პირწავარდნილი მამაჩემი ბესარიონი იყო და სახელიც მისი დავარქვი – ბესიკი.

1934 წელი...

თებერვალში განჯაში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების ანგარიში ჩავაბარე და ტრესტის საწარმოო თათბირზე დავიცავი. დამავალეს ჩოვდარის ბარიტების საბადოს შესწავლა – დაზვერვისათვისა და მარაგის გამოთვლისათვის პროექტის შედგენა. ეს სოფელი განჯის რაიონში მდებარეობდა. პროექტი ითვალისწინებდა საძიებო გვირაბის გაყვანას. პარტიაში სამუშაოთა მწარმოებლად ლადო სიხარულიძე წავიყვანე. ქეთო და ბავშვები ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიყვანე და მე ისევ განჯაში გავემგზავრე, სოფ. ჩოვდარში. ჩასვლისთანავე ყველაფერი მოვიმარაგეთ და გვირაბის გაყვანა დავიწყეთ...სამუშაოები კარგად მიმდინარეობდა. ერთ დღეს გვეწვია თბილისიდან პარტიის ა/კ სამხარეო კომიტეტიდან ვინმე ნახლებნიკოვი, რომელმაც ჩვენი სამუშაოები დაათვალიერა და პრაქტიკანტებსაც გაეცნო. თითქოს კმაყოფილი იყო. გავიხედე და რას ვხედავ – გაზეთ „ზარია ვოსტოკაში» ვართ მე და დალაქიანცი გამოჭიმულები არცთუ წესიერათ. ბრალად გვდებს ორთავეს იმაში, რომ პრაქტიკანტებს არადანიშნულებისამებრ ვასაქმებთ და ვარღვევთ მათი მომზადების წესს. ცხადია, არც მან და არც რედაქციამ არ იცოდნენ, თუ რაოდენ საჭიროა პრაქტიკანტებისათვის ველზე სამუშაოების შესრულება, პრაქტიკის მიღება სწორეთ გეოლოგიურ-საძიებო საქმიანობით შეეძლოთ მიეღოთ....ერთ დღეს კუშჩიდან ჩოვდარში ვიღაც კომკავშირელი ამოვიდა და სოფლის საბჭოსაგან დანაბარები გადმომცა, საღამოს 5 საათზე კრება გვაქვს, სადაც განჯიდან ჩამოსული პასუხისმგებელი ამხანაგი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოხსენებას გააკეთებსო... კრებაზე ხალხი ბლომათ იყო შეკრებილი. პირველი სიტყვა მისცეს ჩილინდაროვს, რომელმაც გვაცნობა, რომ... ლენინგრადში ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფებათა დავალებით, პარტიის წევრმა ნიკოლაევმა სიცოცხლეს გამოასალმა მგზნებარე ბოლშევიკი... ლენინგრადის

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი სერგეი მირონის ძე კიროვი. ეს თქვა უკვე ცრემლმორეულმა და გულაჩუყებულმა ჩილინგაროვმა. დარბაზი შეჩოჩქოლდა... ჩილინგაროვმა კრებას შესთავაზა, მოეთხოვათ სასტიკად გასწორებოდნენ ყველა ოპორტუნისტს, ტროცკის-ბუხარინელ-ზინოვიეველთა დამქაშებს და ნიკოლაევისათვის სიკვდილით დასჯა მოეთხოვათ. გაისმა ძახილი: „სიკვდილი ხალხის მტრებს», „სიკვდილი ნიკოლაევს»... ერთი სიტყვით, იყო გულმკერდში მუშტის ცემა და პარტიისადმი ერთგულების სხვა სახის მანიპულაციები... ჩვენ გვიან დავბრუნდით ჩოვდირში და ....გულიანათ დავიძინეთ. სტალინმა კიროვის მკვლელობა ხელზე დაიხვია, მკვლელობა ოპოზიციონერთა საქმიანობად მონათლა და ისეთი სისხლისღვრა მოაწყო, რომელიც ლენინგრადიდან დაწყებული, თოვლის გუნდასავით აგორებული დაეშვა თანდათან, ეს სისხლიანი რეპრესია გაფუვდა და გაიზარდა... შემდეგ „მსხვილი თევზებიც» მიწასთან გაასწორა. პოლიტიკურმა ბრძოლამ, მკაცრმა და დაუნდობელმა, შეღავათი არ იცის...

20 დეკემბერს ჩოვდარიდან ავიბარგეთ და თბილისში ჩამოვედით. როგორც მთელი ქვეყანა, თბილისიც ეკონომიურ სიდუხჭირეს განიცდიდა. თუმცა…დეკემბერში პურის წიგნაკი გაუქმდა და პური თავისუფლათ იყიდებოდა. ქეთო, ნოდარიკო, ბესიკი და მე ბედნიერები ვიყავით. ბიჭები კარგად გვყავდნენ, ყველა ჯანმრთელად ვიყავით.

სამმართველოში კამერულ სამუშაოზე ვიყავი დაკავებული – ჩოვდარის მასალას ვამუშავებდი.

1935 წელი...

ტრესტის მთავარმა ინჟინერმა სერგო სტეფანეს ძე გორბუნოვმა გამომიძახა და მითხრა, რომ ორგანიზაცია „ნახჩევანის გოგირდი» (ნახჩევანის ავტონომიური ოლქი) გთავაზობს გოგირდის საბადოს თუ საბადოების საძიებო სამუშაოების ჩატარებას და მე მხედველობაში თქვენ მყავხართო. ჩემი გეოლოგიური ანგარიში ბრწინვალედ დავიცავი და საბჭომ ჩატარებული სამუშაოები ფრიადზე შეაფასა. ბატონმა კალისტრატე გაბუნიამ ძალიან შემაქო და აღნიშნა, რომ ჩოვდარის საბადოს შესწავლის დონე იძლევა საშუალებას, საბადო გადაეცეს წარმოებას საექსპლუატაციოდ... 20 მაისს მე უკვე გავემგზავრე ნახჩევანში. თან მახლდა კოლექტორი გ.[მ]. წერეთელი, შემდეგ ჩამოვიყვანე უფროს კოლექტორათ მოისწრაფიშვილი. ცოტა მოგვიანებით ტრესტმა გეოლოგათ გამომიგზავნა დავით გუნიავა... ბაზა სოფელ გემიურში მოვაწყეთ. ამ დროისათვის ნახჩევანი პატარა ქალაქი იყო და გამოირჩეოდა იმით, რომ საღამოს მოედებოდა კოღო და მუმლი და თუ საწოლი არ იყო შემოფარგლული, ისე დაკბენდნენ ადამიანს, რომ დილისათვის გასიებული იქნებოდა... გოგირდის საბადო კი არ ჩანდა. დავრწმუნდი, რომ გარდა იმ სხვადსხვა ზომის გოგირდიანი, ვულკანური ნამსხვრევებისა, აქ საბადო არ იყო და მე უარყოფით დასკვნას ვიძლეოდი. შუა ოქტომბერში გეოლოგიური სამუშაოები დავკეტეთ და თბილისისაკენ გამოვეშურეთ.

1936 წელი...

წლის პირველ კვარტალში კამერულ სამუშაოებს ვასრულებდი და 15 აპრილს ჩავაბარე გეოლოგიური ანგარიში.

5 დეკემბერს მიღებული იქნა ქვეყნის ძირითადი კანონი – კონსტიტუცია, რომელმაც დაშალა ამიერკავკასიის ფედერაცია, შუა აზიის რესპუბლიკების ფედერაცია და შექმნა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება – კავშირი...გავრცელედა ხმა, რომ ყველა დაწესებულებაში საქმე ქართულ ენაზე იწარმოებდა, რადგან საქართველოს კონსტიტუცია ქართულ ენას ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად რაცხავდა. ქართულის არმცოდნე რუსმა, სომეხმა მოსამსახურეებმა ქართული ენის სწავლას მიჰყვეს ხელი. მაგალითად, „ზაკგეოგიდროლოგია» დაიშალა, რეორგანიზაცია განიცადა და „საქგეოლოგიად» გადაკეთდა. იგი ძერჟინსკის ქ. №19-ში იყო მოთავსებული. არაქართველ თანამშრომელთა მოთხოვნით ჩამოყალიბდა ქართული ენის შემსწავლელი წრე, სადაც გაკვეთილებს ჩემი მეუღლე, ქეთო ატარებდა. მაგრამ....ცხოვრება სხვა გზით წავიდა. კონსტიტუციის მრავალი მუხლი „ქაღალდის მშვენებად» დარჩა და გაგულისებული არაქართველები დააშოშმინა. ისეთ დაწესებულებებში, რომელნიც საკავშირო დაქვემდებარების ან საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების იყვნენ, ქართული ენა კვლავ განდევნილი დარჩა. ასევე იყო ჩვენს „საქგეოლოგიაში»...აქვე მინდა შევჩერდე ერთ მოვლენაზე. თბილისში პარტიის თავყრილობაზე სომხეთის კომპარტიის ცეკას მდივანმა ხანჯიანმა საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოცხადება მოითხოვა, ხოლო საქართველოს დედაქალაქად – ქუთაისის, სადაც უნდა გადასულიყო საქართველოს მთავრობა...მეორე დღეს ხანჯიანი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი ნახეს. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ხანჯიანმა თავი მოიკლა... დაწესებულებებში იქმნებოდა მომღერალთა გუნდები და ჟღერდა „Жизнь стало лучше, жизнь стало веселей". პარტიის ყრილობაზე ნათქვამი ეს სიტყვები აიტაცა მთელმა პარტიულმა მასამ და ყურთასმენა აღარ იყო პარტიის დიდებასა და ბელადის გენიალობაზე....ჭკვიანმა და მოხერხებულმა ლენინის პარტიამ იცოდა, როგორ მოქცეოდა ლოზუნგებით დაბრმავებულ ხალხს – ჯერ დაამშიე, დააგლახე და მერე ერთი ლუკმაც რომ აღირსო, მადლობელი იქნება...

15 მაისს ისევ ნახჩევანში გავემგზავრე...სამუშაოები ოთხი თვის განმავლობაში მდინარე გემიურ-ჩაის მარჯვენა შენაკადების ტერიტორიაზე უნდა ჩაგვეტარებინა... სამუშაოები სამძებრო ხასიათისა იყო, მარშრუტული ძიებით მოვიარე სოფლები აღალუ და ვეგელარი სომხეთის ტერიტორიაზე. მე დიდ იმედებს ვამყარებდი ძიების შედეგებზე. 25 აგვისტოს საძიებო საუშაოები დავამთავრე და თბილისში დავბრუნდით. ჩემი ოჯახი კარგად დამხვდა, ბიჭები სიხარულს ვერ მალავდნენ. ქეთუშა ბედნიერ დედათ გამოიყურებოდა... ირგვლივ ყველაფერი დამუხტული იყო და რაღაცის მოლოდინით ცხოვრობდა. ასეც მოხთა. ჩეკას სათავეში ლავრენტი ბერია ჩაუდგა. მას არავითარი რევოლუციური წარსული არ გააჩნდა და ვერ იტანდა „სტაჟიანი ბოლშევიკების» მენტორულ ტონს, გულში ბოღმა ჩახვეული დროს ეძებდა, ბევრი ასეთისაგან გათავისუფლებულიყო. მან კარგად გამოიყენა არსებული სიტუაცია ბოლშევიკურ პარტიაში, ალღო აუღო სტალინის ზრახვებს და მის ყურმოჭრილ მონათ იქცა, საქართველოს კი დაუნდობელ აფთრად მოევლინა – 1936 წლის მეორე ნახევრიდან დიდი რეპრესიები დაიწყო....

1937–1941...

ოცდაათიანი წლების პირობებში ქვეყნის მთლიანობაზე მზრუნველნი, ქართული საქმის ერთგულნი შეთქმულებათ, მოღალატედ, ხალხის მტრებათ ინათლებოდნენ. ჯერ კიდევ ძერჟინსკიმ ჯაშუშთა ქსელში გაახვია მთელი წითელი იმპერია და მუსრი გაავლეს თავისავე მოქალაქეებს, წამებისა და დახვრეტების სერია ჩაატარეს. შემდეგში ძერჟინსკი იაგოდამ, ის კი ეჟოვმა შეცვალა. როცა ეჟოვმაც სისხლში აბანავა ეს ვებერთელა სახელმწიფო, სტალინმა ისიც დაახვრეტინა ბერიას და მას ჩააბარა ადამიანთა ბედიცა და უბედობაც....კომუნიზმი ახალ რელიგიად იქცა საბჭოთა სახელმწიფოში, ხოლო სტალინი კაც-ღმერთად. ვინც მას თაყვანს სცემდა, ვისაც მისი სურათი, ხატად ქცეული, სახლში ეკიდა, ვისაც უნარი ჰქონდა დაუნდობლობის, ვერაგობის, ცილისწამების და ადამიანის, თუნდაც ახლობლის, სისხლში ხელის გასვრას არ ერიდებოდა, ის ძალაუფლებას ეზიარებოდა...ღირებულებათა ასეთი გადაფასების ეპოქა დადგა – ადამიანი უფრო პირუტყვათ სჩანდა, ვიდრე მოაზროვნეთ. უდანაშაულო ადამიანებს ასამართლებდნენ და მათ მოსამართლეებად უგნურნი, ღვარძლიანი, ვერაგნი ინიშნებოდნენ, ან გაუსამართლებლად იჟლიტებოდნენ. გაჩნდნენ რევოლუციონერის ქურქში გახვეულნი მოღალატენი, რომლებიც კეთილშობილების ნიღბით მალავდნენ თავიანთ მზაკვრობას, ერის ინტერესებისადმი მოღალატეობას. რუსული შოვინიზმის მსახურნი განაგებდნენ ერის ბედ-იღბალს, ხელს უწყობდნენ და ქომაგობდნენ ეროვნულ ნიღილიზმს. მოხერხებულად ირეცხებოდა ქართველთა შეგნებიდან პატრიოტიზმი, ეროვნული თავმოყვარეობა, ვაჟკაცური კეთილშობილება. მრავლდებოდენ ქვებუდანები, სულიერათ ბილწნი, ჯაშუშნი, ცილისმწამებელნი და ზეიმობდა რუსულ-სომხური ნაციონალიზმი, იღვრებოდა დაუსრულებლათ უდანაშაულოთა სისხლი. საშველი კი არ ჩანდა... შემდეგ წლებში რეპრესირებულნი იყვნენ მრავალი პარტიული და უპარტიო ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, მოქალაქეები, ხშირად უდანაშაულონი. მათ შორის: ბუდუ მდივანი, მამია და მარიამ ორახელაშვილები, მალაქია ტოროშელიძე, მიხეილ კახიანი, თენგიზ ჟღენტი, მიხეილ და სერგო ოკუჯავები, გალაქტიონ ვაშაძე. ალექსანდრე ვაშაძის (საჩინოს ძე) ნეშტი, ჭიათურაში ძეგლდადგმული, ჩეკისტებმა მის ძმას, კიმოთეს, ამოაღებინეს და სხვაგან დაამარხვინეს, ხოლო მეორე ალექსანდრე (სიკოს ძე) დაიჭირეს, მეტეხის ციხეში ჩასვეს ჯიბგირებთან, რომლებმაც ღამით დაახრჩვეს. ასევე გაანადგურეს ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, სანდრო ახმეტელი, ვანიკო აბაშიძე, ლელი ჯაფარიძე, ევგენი მიქელაძე; პარტიის წევრები: ყურულაშვილი, დოიძე, კუხალეიშვილი, სერგო ხვედელიძე, ბიტოლი ლეჟავა, შამშე ლეჟავა, ლევან ღოღობერიძე, შალვა ელიავა, გ. სტურუა, ლავრენტი ქართველიშვილი და მრავალი სხვა. რეპრესიები ჩატარდა ყველგან – საქართველოს ყველა კუთხეში...

ჯერ კიდევ 1936 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით აზერბაიჯანში სოფელ ჯიბრაილში უნდა ჩავსულიყავი. აქ უნდა შემედგინა გეოლოგიური ძიების პროექტი...ბაქოში გულთბილად შემხვდნენ. აქ გავეცანი საჭირო მასალებს, რომლებიც გეოლოგიურ ფონდში არსებობდა...მატარებლით პატარა სადგურამდე ჩავაღწიე, ჯიბრაილში კი ერთი

მორყეული ავტობუსით ჩავედი...საჭირო იყო მუშახელის დაქირავება... წვალებით ჩავედით ჩორნი რინოკში. ეს იყო 3 დეკემბერი, 1936 წელი. მეორე დღესვე სტეპში გავედით ლადო სიხარულიძე, უფროსი ოსტატი და მე. დავათვალიერეთ, რა გააკეთეს წინასწარ მუშებმა.... გახსნეს სასადილო, საექიმო პუნქტი, საწყობები, ჩამოყალიბდა თივის დამამზადებელი კანტორა, რომელსაც ბ. დიდებულიძე ჩაუყენეს სათავეში. მასთან ერთად იყო სულიკო ვაჩნაძე, თბილისში ცნობილი ცხენოსანი, იპოდრომის ვარსკვლავი... ბურღვის დაწყებისათვის საჭირო იყო მასალები თბილისიდან, მაგრამ ის იგვიანებდა. ბოლოს გაირკვა, რომ ტვირთი გამოგზავნილია, მაგრამ ააშორეს და სადღაც სადგურ ნიკოლაევსკის მიმართულებით უკრეს თავი, სტავროპოლის მხარეს. მისმა ძებნამ და პოვნამ თვეები წაიღო, ნერვები დაგვაწყვიტა. ბოლოს, როგორც იქნა, ვეღირსეთ ყოველივეს მიღებას და ბურღვას შევუდექით...ბურღვას კარგი პირი უჩანდა, თიხა გამოგვადგა და საკმაოდ კარგი ბლანტი ხსნარი მზადდებოდა თიხის სარეველათი. ეს იყო ოღონდ, რომ იშვიათათ ვღებულობდით გაზეთებს და არ ვიცოდით ამქვეყნათ რა ხთებოდა. მუშაობა ორ ცვლად მიმდინარეობდა, ყველა ჭაბურღილის გვერდით ვიყავით. როდის გვეძინა დღეღამეში, არავის აფიქრებდა, დრო არეული იყო...ვბურღავდით ფრთხილათ. აპრილის ბოლოსათვის პირველი 120 მეტრი გაიჭრა... იჭრებოდა სულ თიხიანი ფენები...26 მაისს, გამთენიისას, ლადომ და უფროსმა ოსტატმა დიმიტრი გოგეშვილმა გამაღვიძეს – ხსნარში ბევრი სილა ამოდის და თითქოს სისქეს და სიბლანტეს კარგავს, მგონი წყლიან ფენაში შევიჭერითო. მე ზეზე წამოვვარდი.... ჭაბურღილისაკენ გავიქეცით... ბიჭები დავაწყნარე. ლადომ ჩუმათ მითხრა – დღეს 26 მაისია, ისტორიული თარიღი და მგონი ამ დღეს დაამთხვია განგებამ ჩვენი გამარჯვების საათიო. მე მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე...ზუსტათ დილის 9 საათზე, 27 მაისს სრული სიმძლავრით ამოქმედდა არტეზიული ჭა. თავდაპირველათ ჭას სილაც მოყვებოდა, რაც მალე შეწყდა, ხოლო წყლის ნაკადი თანდათან იზრდებოდა. ყოველივეამას ახლდა ტაშის გრიალი, ყიჟინა და ერთმანეთის ხვევნა–ამბორი... უმცროსმა გოგეშვილმა, ვალიკომ, წინასწარ მომზადებული ხუთდიუმიანი და სამმეტრიანი მილი დააყენა – მიწის ზედაპირს წყლის სვეტი 2, 5 მეტრით აშორდა. თითქოს რაღაც სიმძიმე მომეხსნა, ისე მჩატეთ ვგრძნობდი თავს. წყალს სასიამოვნო გემო ჰქონდა... ნელ-ნელა დავშოშმინდით. დებეტის გაზომვით დავაზუსტეთ – წუთში 55 ლიტრი. სამმართველოს სახელზე დეპეშის ტექსტი შევადგინე. ცოტა მრავალსიტყვიანი გამომივიდა, მაგრამ აბა, რა იყო იმის ფასი, რა ღირებულება შეედრებოდა იმ სულიერ განცდებს, უძილო ღამეებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახთა ყველა სახის სიძნელე დაგვეძლია და საქმე გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო. ლადო სიხარულიძე დეპეშის გასაგზავნად გავუშვი და თან დავაბარე, მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი ენახა, რათა გაიდუკის სტეპში მოეცათ წერტილი, სადაც წყლის მიღება ყველაზე სასწრაფო იყო. როგორც ლადო შემდეგ მოგვიყვა, მეცხვარეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა შეუტყვიათ ყარანოღაის სტეპში წყლის ამოყვანის შესახებ. მთავრობის წარმომადგენელი მეორე დღესვე ჩამოვიდა, ხოლო ორ დღეში – მეცხვარეთა თავკაცი. შევარჩიეთ წერტი, იქვე გავთხარეთ შურფი და პირველი კარავი დავდგით...მე როგორც განმახორციელებელი ამ ახალი მეთოდით ბურღვისა, ცხადია, ვზეიმობდი და აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ გამარჯვებამ სიფრთხილის გრძნობა არ მომიდუნა. ბიჭებს ვარწმუნებდი, რომ საბოლოო გამარჯვება გაიდუკის ჭაბურღილს მოჰქონდა. აქ

კი ჭის ბურღვას 3 ივნისს შევუდექით. აქვე უნდა ითქვას ერთი, მეტად საცნაური რამ. როცა დეპეშა გავაგზავნე, მოველოდი რომ გეოლოგიური ტრესტიდან მომივიდოდა გამამხნევებელი დეპეშა გამარჯვების მილოცვით. კაციშვილი ხმას არ იღებდა. ყველა– ყველა, მაგრამ ბორის გუჯეჯიანი, რომელიც ტრესტის მთავარი ინჟინერი იყო, როგორ ვიფიქრებდი, არავითარ რეაგირებას არ მოახდენდა. ამან, თითქოს, განმაიარაღა. მივიღე მხოლოდ ჩემი საყვარელი ადამიანის, ქეთოს თბილი მილოცვითი წერილი. მას წინასწარ მივწერე ვრცელი წერილი. გაიდუკის ჭაბურღილი, რაც შეიძლება მალე უნდა გაგვეჭრა. მუშაობა ერთ ცვლათ მიმდინარეობდა. მეორე ცვლა ვერ აგვეწყო, მაგრამ პირველი ცვლა მუშაობდა მანამ, სანამ შეეძლო და ფაქტიურათ, ერთნახევარი ცვლა გამოდიოდა. ასევე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მოისწრაფიშვილი და ლადო სიხარულიძე. შუა იივნისისთვის 220 მეტრი გვქონდა გაბურღილი. მაგრამ საიმედო შრე ჯერ კიდევ არ ჩანდა. მძღოლმა ყიზლარიდან დეპეშა ჩამომიტანა, რომელსაც ტრესტის მმართველი რიბინი აწერდა ხელს და მთხოვდა მანქანა გამეგზავნა. გადავწყვიტე, თვითონ წავსულიყავი. რიბინთან ერთად ტრესტის თანამშრომელი გრიშა ქომეთიანიც დამხვდა – ერთი გაიძვერა და ქვებუდანი ადამიანი. არ შევიმჩნიე, შევეგებე და სადილათ დავპატიჟე. კარგი პური ვჭამეთ და კარგადაც დავლიეთ....დილით გავწიეთ გაიდუკისაკენ. ყარანოღაის პირველი ჭაც დავათვალიერებინე. ქომეთიანმა განაცხადა, რომ თბილისში ბრუნდებოდა, ხოლო რიბინი ორიოდე დღე რჩებოდა. მანქანა მივეცი და ყიზლარში გავისტუმრე, ხოლო ორი დღის შემდეგ – რიბინიც... ბურღვა ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა...აგვისტოს პირველ რიცხვებში წამოვიდა წყლის მძლავრი ნაკადი, წუთში 18 ლიტრის ოდენობით, რაც თბილისში სამმართველოს ვაცნობე. 20 აგვისტოს იქიდან მოკლე დეპეშა მივიღე, მიბარებდნენ. სხვა – არც ავი, არც კარგი. ლადოს დავავალე, თუ წერტილს მოგვცემდნენ, ეხელმძღვანელა, რათა ახალ წერტილზე გადაეტანათ მოწყობილობა და ჩემს ჩამოსვლამდე იქ გადასულიყვნენ...23 აგვისტოს უკვე თბილისში ვიყავი. ოჯახი კარგად დამხვდა. შუადღისას სამმართველოში წავედი. თავიდანვე ბორის გუჯეჯიანი ვნახე... შემდეგ თანამშრომლები, რომლებიც მილოცავდნენ და დაწვრილებით მეკითხებოდნენ სამუშაოების შესახებ.

საოცრად დაძაბული დღეები იყო. ჩეკა მძვინვარებდა. დაუსრულებელმა რეპრესიებმა შავებში გაახვია დაღუპულთა ოჯახები.... ყველა შიშის ქვეშ ცხოვრობდა და არ იცოდა, დღევანდელი დღე, რას მოუტანდა... ყოფილი ჩეკისტი მიხეილ ბარტყულაშვილი მოხვდა ჩემთან ოჩამჩირეში და (გიორგი ბარტყულაშვილისვე თხოვნით) პარტიის „ზავხოზად» მოვაწყვე. აღმოჩნდა, რომ მიხეილ ბარტყულაშვილი თეთრიწყაროს „გეპეუს» ყოფილი უფროსი იყო. დაიჭირეს და ვარკუტაში გადაასახლეს. იგი ჰყვებოდა დაკითხვების დროს ჩეკისტების წამების მეთოდებზე: სცემდნენ რკინის ჯოხებით, ჰკიდებდნენ ფეხებით თავით ძირს, აძრობდნენ ფრჩხილებს, უხვრეტდნენ ყურის აპკს, ჭრიდნენ ენას, ბროწეულის საწურივით მოწყობილ საწურში ჩაადებინებდნენ ყვერებს და უჭერდნენ, გავარვარებულ თუნუქის ღუმელზე ადებინებდნენ ხელებს...ტუსაღების უმეტესობა ჭკუიდან იშლებოდა. ამ შემთხვევაში აძლევდნენ ციანკალიუმის ტაბლეტებს, უკეთებდნენ სხვადასხვა ინექციებს, მათ შორის ხერხემლის ტვინში, რაც იწვევდა დამბლას. ამას სჩადიოდნენ ბოლშევიკები, რომელნიც ქვეყანას კაცთმოყვარეობის ლოზუნგებით აბრუებდნენ. საქართველოშიც რუსი ოკუპანტები და მათი ლაქიები წურბელებივით იბერებოდნენ ქართველი ხალხის სისხლით და მაინც ვერ გაძღნენ....

1937 წლის 18 თებერვალს მუდრეგმა, ქართველი ხალხის ეროვნული სხეულის დამანაწილებელმა და მის სისხლში ხელგასვრილმა რუსულმა ჩექმამ თვითონ ჩაიძაღლა თავი პისტოლეტით, როცაბერია მივიდა მასთან (სერგო ორჯონიკიძესთან) ბინის გასაჩხრეკად. ის თურმე ტელეფონით დაუკავშირდა სტალინს და პასუხად მიიღო: რას იზამ, ხვალ შეიძლება ჩემთან ჩაატარონ ჩხრეკაო. რითაც დარწმუნდა, რომ ჩხრეკა სტალინის დასტურით მოეწყო. ეს ბერიას ოინები იყო, სერგოში იგი კონკურენტს ხედავდა, თანაც თვითონ შესახედავად იყო რა მახინჯი, უკეთესი შესახედაობის ადამიანს ვერ იტანდა. ცნობილია, რომ ბერიას დაწინაურება ორჯონიკიძის რეკომენდაციით მოხდა. განგებამ ინება, რომ სისხლისმსმელმა ორჯონიკიძემ თავისი ჯალათი თვითონვე გამოეჭედა. ბოლშევიკური პარტიის თავკაცები ერთამანეთს დაერივნენ – არც სტალინი, არც ბერია, არც ორჯონიკიძე, არც ეჟოვი და სხვანი თავისის სიკვდილით არ გარდაცვლილან. ყველა ისინი მოკლულნი იქნენ თავისიანების მიერ. 18 თებერვალს, 5 საათსა და 25 წუთზე ჩაძაღლდა თუ ჩააძაღლეს, თავი მოიკლა თუ მოკლეს ორჯონიკიძე, კაცმა არ იცის. ჯერჯერობით ფარდააუხდელი საიდუმლოება არის ისე, როგორც სტალინის სიკვდილი..

ამ წლის ვითარება ნამდვილ მასობრივ ფსიქოზს ჰგავდა. მას თითქოს ვიღაცის სატანური ხელი მართავდა, უხილავი დირიჟორი წარმართავდა, იჭერდენ დაბეზღებულებს, არ ტოვებდნენ გარეთ არც დამბეზღებლებს. მთავარი „დირიჟორისათვის» იყო ქართველი ინტელიგენციის განადგურება, რისთვისაც ის მთავარი „რეჟისორ-დირიჟორი» სატანური შემუშავებული მეთოდით სპობდა საქართველოს მოაზროვნე ტვინს, რათა ერი გაეტეხა წელში, წაერთმია უნარი გარკვეულიყო საოკუპაციო ხელისუფლების ვერაგობაში. უნივერსიტეტის, საერთოდ, სასწავლებლების, როგორც სტუდენტობა, ისე მასწავლებელ-პროფესურა, გაჩანაგდა. ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დამაარსებელი, გამოაგდეს უნივერსიტეტიდან და მისი შემცვლელი ორაგველიძეც კი დაიჭირეს. დაიჭირეს გერონტი ქიქოძე.... ყოველივე ეს ხთებოდა ხალხის სახელით, ისპობოდნენ ხალხის მოწინავე შვილები....

ჩემი ჩამოსვლის მესამე დღეს ჩემს დასთან, ბაბოსთან მივედი. ძლიერ სამწუხარო ამბავი დამხვდა: ბაბო ჭიათურაში იყო წასული, რადგან მამაჩემი ბესარიონი, ხანდაზმული, 68-69 წლის დაეპატიმრებინათ და ჭიათურის ჩეკაში იჯდა. მამა დაბეზღების მსხვერპლი გახთა. ჩვენს სახლში ბინადარმა მასწავლებელმა (მგონი დარბაიძემ გვარათ), რომელსაც მამა, როგორც პედაგოგს პატივს სცემდა და ორი ოთახი მიაქირავა, სიკეთე „სიკეთით» გადაუხადა, რომ შინსახკომში „დანოსი» შეიტანა, რადგან ფიქრობდა, რომ რეპრესირებულის სახლს ხელში ჩაიგდებდა. ეს, თურმე ჩემი დაღესტანში ყოფნის დროს მოხთა. მამაჩემის პატიმრობას აბა, ვინ შემატყობინებდა. თუმცა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დამანახა, გეოლოგიური სამმართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, სჩანს ეს ცნობილი იყო. რეპრესირებული კაცის არამცთუ შვილი, ახლობელიც კი იჩაგრებოდა. მე თურმე უბედურების წინაშე ვიდექი და არაფერი ვიცოდი....შვებულებაში გამიშვეს. ქუთაისში წავედი. მე რომ ოჯახის პატრონი არ ვყოფილიყავი, შვილები არ მყოლებოდა და ქეთო მესამე ბავშვზე არ ყოფილიყო ორსულად, მე ჭიათურაში წავიდოდი და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ჩასვლით იქ მამაჩემს ვერაფერი შეღავათი ვერ მიეცემოდა....

შვებულების დამთავრების შემდეგ სამმართველოში გამოვცხადდი. მას ახალი მმართველი ჰყავდა – პეტრე ლობჟანიძე... დაღესტნის გიდროგეოლოგიურ პარტიას მოევლინა გრიშა ქომეთიანი. მე ეს მტკივნეულად გადავიტანე. მთავარი იყო ჩემი ოჯახისათვის მეპატრონა, რადგან არ იყო გარანტია, რომ სამსახურიდან მიმავალი ადამიანი სახლში მოხვდებოდა და არა ჩეკაში...ჩემი სიძე, გიორგი ასათიანი მოვინახულე, რომელმაც ბაბოს წერილი მაჩვენა. იგი იწერებოდა, რომ გადასაცემათ ჯერ კიდევ არაფერს ღებულობენ და რომ მისი ბედ-იღბალი ვიღაცა გამომძიებელ სიმონიანცის ხელშია. სახლში გულდამძიმებული წამოვედი. წარმოვიდგინე, როგორ წამებით სტანჯავდა ეს სიმონინცი მამას და შურისძიების ბოღმა მახრჩობდა.

სამმართველოში რამდენჯერმე მივედი... ერთ დღეს გუჯეჯიანმა დამიბარა და მაცნობა, რომ ტყიბულის ქვანახშირის სამმართველოსთან ხელშეკრულება იდება, საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლათ. მათ აინტერესებთ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ფარგლებში ააშენონ გამამდიდრებელი ქარხანა და უნდათ გრუნტის შესწავლა. ლეონიდე კონიუშევსკის აზრით, შენთვის ვაპირებთ ამ სამუშაოს შესრულების დავალებას. დავთანხმდი. სამუშაოთა მწარმოებლათ მომამაგრეს კომკავშირელი ანტიფორე კალანდაძე. სამუშაო არ იყო რთული და არ მოითხოვდა ჩემგან რაღაც განსაკუთრებულს. 26 ოქტომბერს ტყიბულში ვიყავით. ბურღვა მდინარის კალაპოტის მიმდებარე ფართოზე უნდა გვეწარმოებინა. ამ ფართობის დასავლეთ ნაწილში შინსახკომის შენობა იდგა შემოკავებული ეზოთი. აღმოსავლეთ ნაწილში კი ორი ჭაბურღილი დავნიშნეთ... რეპრესიებს არც ტყიბული გადაურჩა. მოჰყავდათ სოფლებიდან საცოდავად სანახავი გლეხები, სასულიერო პირები – თანდათან ივსებოდა ჩეკას ეზო.... მახსოვს. დეკემბერი იყო, თოვდა. ტყიბულში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ბაქრაძე ჩამოვიდა. შუადღისას რაჭისაკენ გასწია და თან მილიციის უფროსი გაიყოლია. მეორე დღეს ბაქრაძე უკანვე ჩამოვიდა და ქალაქში რომ შემოვიდა, სასტუმროს პირდაპირ გააჩერა ცხენი. მას ადგილობრივი თავკაცნი შეეგებნენ, ხოლო მხარშიამოუდგნენ ჩეკისტები, აართვეს იარაღი და ჩეკაში წაიყვანეს. ყოველივეს სასტუმროს ფანჯრიდან ვხედავდი...

იმხანათ ტყიბულის ქვანახშირის სამმართველოს მთავარი ინჟინერი იყო ვანიკო გვიჩია. ჩემი სკოლის ამხანაგი – ერთ წელს დავამთავრეთ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ვანიკო კარგი და წესიერი ოჯახის შვილი იყო და ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. აქვე ვიტყვი, რომ ვანიკო ჯაშუშობის მსხვერპლი გახდა და ჩეკას ხელით დაიღუპა... 1937–38 წლებში სტალინმა, ფაქტიურათ, გაანადგურა სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი კადრი. მის ხელში უდიდესი იმპერია გადაიქცა საფრთხობელათ ბურჟუაზიული სამყაროსათვის...

გეოლოგიური პარტიის სამუშაოები თავისი ანგარიშით 1938 წელს დავასრულეთ.

იმხანათ საქართველოსათვის მეტად საჭირო, მისი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფაქტორსაც დაესვა წერტილი – დამთავრდა შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის მშენებლობა. 1 ივნისს პირველი მატარებელი თბილისიდან სოხუმში შევიდა. აქამდე კი სოხუმში ჩასასვლელათ ფოთიდან გემით უნდა გემგზავრა... გეოლოგიურ სამმართველოს საშუალება მიეცა თანამშრომელებისათვის სახლი აეგო. ამ საქმის ერთგვარი მიზეზი ჩემთვის ბინის მოთხოვნა გახთა. მე ოჯახთან და ცოლისდასთან ერთად ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდი. ამიტომ საბინაო პირობების გაუმჯობესება

ვითხოვდი. სამმართველომ დაადგინა ჩემთვის ოროთახიანი ბინა შეემინათ, მაგრამ სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა საკითხი სხვაგვარათ დააყენა: ასეთ მდგომარეობაში სხვებიც გვყვანან და დღეს თუ ერთს შევუძენთ ბინას, ხვალ სხვა მოგვთხოვს. ამას ჯობია, სამინისტროს წინაშე დავაყენოთ საკითხი ოთხსართულიანი სახლის მშენებლობის შესახებ. ასეც მოხთა. ვაკეში, ატენის ქუჩაზე, 1938 წელს დასრულდა სახლის მშენებლობა. იმავე წელს ოჯახით გადავედი ატენის ქ. N19–ში. ნოდარი უკვე ათი წლის იყო, ბესარიონი (ბესიკი) – 5 წლის, ხოლო თენგიზი – ჩვილი.

ივნისის შუა რიცხვებში პეტრე ლობჟანიძემ გამომიძახა და ისევ დაღესტანში წასვლა შემომთავაზა, მხოლოდ პარტიის უფროსი ანტიფორე კალანდაძე იქნებოდა, ხოლო მე ტექნიკური ხელმძღვანელი. 25 ივნისს დაიწერა ბრძანება ჩემი დაღესტნის გიდრო-ლოგიური პარტიის ტექნიკური ხელმძღვნელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. პროექტი, რომელიც შევადგინე, ითვალისწინებდა არა მარტო ახალი ჭების გაჭრას, არამედ ძველი ჭების გაწმენდასაც. საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტრო კვლავ აფინანსებდა ყიზლარის სტეპების საძოვრების წყლით მომარაგების გიდროგეოლოგიურ სამუშაოებს. 10 ივლისს უკვე დაღესტანში გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად მოდიოდა უფროსი კოლექტორი ვალოდია კუხალეიშვილი, ჩუმი, მორიდებული ახალგაზრდა. ჩორნი რინოკში ჩვენი ჩასვლა ძალიან გაუხარდათ. ახალი ამბავი დამახვედრეს: საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი სუჯაშვილი ჩეკას წაუყვანია და აღარც დაბრუნებულა. მის მაგივრათ ალექსანდრე ბედიაშვილი დამხვდა. ორცვლიანი სამუშაოსათვის ორი ბრიგადა ჩამოვაყალიბეთ... ბურღვა ნორმალურად მიმდინარეობდა, მუშაობას ხალისი და მონდომება არ აკლდა... ივლისში გაიბურღა18 ჭაბურღილი. ველების მიხედვით, ყარანოღაის ველზე, რომელზედაც მოდის საძოვრების უდიდესი ნაწილი ფართობისა, ათი ჭაბურღილი გაიბურღა, ხოლო გაიდუკის ველზე – სამი... 1939 წელს 1 აგვისტოს დამნიშნეს ჩრდილო დაღესტნის გიდროგეოლოგიური სამუშაოების უფროსათ და ტექნიკურ ხელმძღვანელათ.

ამ დროისათვის ევროპის შუაგულში უკვე ფრთებს ისხამდა და ვითარდებოდა მეორე ტიპის დიქტატორი...ადოლფ შიკლგრუბერი – ჰიტლერი. ეს სახელი სიმბოლო გახთა ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნისა....ფაშისტური გერმანია, რომელთანაც სტალინმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადო, ევროპაში ბობოქრობდა... 1939 წელს წითელი არმია ფინეთს შეესია და ფინეთმა მას ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ ვოროშილოვის მყვირალა შემახილები რუსეთის ძლიერების შესახებ, ბაქიბუქათ გამოიყურებოდა. მანჰეიმის ხაზის გარღვევა წითელმა არმიამ ვერ შეძლო. ომი გაჭიანურდა... გავარდა ხმა, რომ გერმანიამ გზა ასწავლა რუსეთს, როგორ შემოევლო მანჰეიმის ხაზისათვის. რუსეთმა საბოლოოდ დააჩოქა ფინეთი. მე შევხვთი ამ ომში მონაწილე ქართველ მეომარს, რომელიც ყვებოდა, რომ ამ ხალხისადმი უდიდესი სიმპატია გაუჩნდა, რომ ქვეყნისათვის დიდი და პატარა ერთნაირათ იბრძოდა. რუსეთმა ფინეთი მაინც ვერ გაასაბჭოვა. ფინეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, თუმცა იქცა რუსეთის გავლენის სფეროთ. ფინეთი დარჩა პარლამენტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკათ და რუსეთი მის „კეთილ» მეზობლათ....

თანდათან ფართოვდებოდა წყლით მომაგრებული ფართობი საძოვრებისა. საქართველოზე მომაგრებული იყო 300 ათასი ჰექტარი და ამავე რაოდენობის ცხვარს უნდა ეძოვა. მთელი ფართობი კვადრატებად იყო დაყოფილი და თითო კვადრატი

ცალკე კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. საერთოდ, 1937–41 წლებში ყარანოღაის სტეპში 15 ჭაბურღილი გაიჭრა, ხოლო 7 – გაიდუკის სტეპში... ერთ დღეს კანტორაში მეწვივნენ ნოვოჩერკასკელი რუსები, რომლებიც პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის, სუსლოვის დავალებით იყვნენ მოსულები, რათა გაერკვიათ, ვინ ვართ და არტეზიული ჭების ბურღვის მონოპოლია როგორ ჩავიგდეთ ხელში და რატომ ვბურღავდით ჩვენს ნებაზე. სწორედ მაშინ, საუბრისას, ჩემთან შემოვიდა რამდენიმე ადამიანი ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით – გვთხოვდნენ დავხმარებოდით არტეზიული ჭების ბურღვაში, რათა წყლით მომარაგების საკითხი გადაეწყვიტათ. მე მათ უარი ვუთხარი და მიზეზად ოლქიდან მოსული სტუმრები დავასახელე. ატყდა რუსულ-ყალმუხური გინება და ცემა-ტყეპა...1938 წელს ყიზლარმა თავისი 200 წლისთავი გადაიხადა და საინტერესო წერილი მოათავსა გაზეთში „Кизлярская правда», სადაც წერდა, რომ 1738 წლს 450 ქართველთა ოჯახმა გადმოსულმა საქართველოდან დაარსა ქ. ყიზლარი... 1938 წლის დეკემბერში თბილისისკენ გამოვეშურე.... 1940 წელს ყარანოღაის ველზე სამუშაოები კვლავ გაგრძელდა. სამი ჭაბურღილი გავბურღეთ და წყალიც ხარისხიანი მივიღეთ. სახელი შორს გაგვივარდა და მსურველნი მათთვის დახმარება გაგვეწია, მრავალნი იყვნენ... როგორც შეგვეძლო ვეხმარებოდით...თბილისში დაბრუნებული ვგრძნობდი, რომ თბილისი 1941 წლის დადგომას დაძაბული ცხოვრებით ხვდებოდა.

1941 წელი...

ჩემი სახლობა კარგათ დამხვდა. ვერ შევრიგებოდით მამის დაკარგვას... ერთ კვირაში გავემგზავრე ჩორნი რინოკისაკენ... სამუშაოებს ხალისი აკლდა, ძველებური სიმხიარულე ჩაკვდა. სახელი გაგვივარდა და დახმარებისათვის კვლავ ბევრი მოდიოდა. ოქტომბრის ბოლოს ყოველივე მოვრჩით და ლიკვიდაციას შევუდექით... 1941 წელი... ბედნიერი ვიყავი მაშინ – ქეთოცა და ბავშვებიც ჯანმრთელნი მყავდნენ... 21 ივნისს დილით ადრე, ფასანაურში ღამეგათეული, თბილისში ჩამოვედი. ტანსაცმელი გამოვიცვალე და საპარიკმახეროში წავედი. თან ჩემი სამი წლის თენგო წავიყვანე. რუსთაველზე, საპარიკმახერში შევედი და თენგო სკამზე დავსვი. შუა პარსვაში მოვიხედე და ... ბავშვი სკამზე აღარ იჯდა. წამოვხტი. ამ დროს შემოვიდა ჩემი სამმართველოს ბუღალტერი და შემატყობინა, რომ ომი დაიწყო. მე გარეთ გავვარდი, სამჯერ ავუყევი რუსთაველის გამზირს, ხალხი აფორიაქებული დადის, მე ორმაგად აფორიაქებული ვარ. გადავწყვიტე ჩემს უფროს ძმას, გიორგის დავუკავშირდე – მომეშველოს. „ზარია ვოსტოკას» რედაქციასთან რომ მივუახლოვდი, ვხედავ აგერ მოყავს ჩემი ბიჭი მილიციელს. ბავშვს მოსწყინდა ჯდომა, გამოვიდა გარეთ და მაღაზიის ვიტრინებს დაუწყო თვალიერება. მერე კი ვეღარ მომაგნო და თვალცრემლიანი დააბოტებდა თურმე. ასე ნახა მილიციელმა. მილიციელიც ძალიან აფორიაქებული იყო ახალი საზარელი ამბით და ბავშვი ისე შემომაჩეჩა და გაშპა, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი. ბავშვის დაკარგვით განცდილი სიმწარე არაფრათ ჩავაგდე. იმის აღწერა და გადმოცემა ძალიან ძნელია, რაც მე განვიცადე...მაგრამ ყოველივე დაგვავიწყდა თავზარდამცემი ამბის გამო – ომი დაიწყო!... რამდენი წელი გავიდა... ახლა თენგო

გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელია, ყავს მეუღლე და კარგი გოგო, ჩემი საყვარელი ქეთინო...

*მწარე ფიქრები...*

1979 წელი...

1946 წლიდან მოყოლებული დიდი სახელმწიფოები რამდენჯერმე შემოუსხდნენ მაგიდას მოსალაპარაკებლად შეიარაღების შემცირების შესახებ და დღემდე ვერ მოხერხდა აეკრძალათ შეიარაღების რომელიმე სახეობა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ვერ გაგვახარებს. მსოფლიოში კი იმდენი იარაღი დაგროვდა, რომელსაც შეუძლია მილიარდობით ადამიანი მოსპოს... უამრავი სწავლული მუშაობს ახალი იარაღის შექმნაზე თუ მოდერნიზაციაზე... პაციფისტური რეზოლუციები ვერც წარსულში სპობდნენ და ვერც ახლა მოსპობენ ომის საფრთხეს. ეს რეზოლუციები ისეთივე მოქმედებისანი არიან, როგორც იოდის წასმა ავადმყოფის საწოლის ფეხზე.

ჩემი ცხოვრების მანძილზედ მრავალ მისაქცევ-მოსაქცევში მუდამ მყოფმა და გახლართულმა, დასკვნა გამოვიტანე ადამიანის სულიერი წყობის, მისი ლტოლვის, სწრაფვის, შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ, რაც არსებული პოლიტიკური და სოციალური გარემოს და წყობის ზემოქმედების, სხვა მრავალ უხილავ და ხილულ მიზეზთა გამო რომ ფორმირდება. ადამიანი არასოდეს ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, არამედ იმას, რაც ეგუება არსებულ წუთს, რაც არ ეწინააღმდეგება გარემოს... რადგან არ შეუძლია ყოველმხრივ ხილული იქმნეს...

რაში მდგომარეობს ქრისტიანული მოძღვრების სიძლიერე? იმაში, რომ მას სურს ქვეყნად გამეფდეს სიმართლე და არა სიცრუე, სიყვარული და არა სიძულვილი, ერთგულება და არა ღალატი, ლმობიერება და არა შურისძიება...

ჩემი დაკვირვებით, როცა ერს უჭირს, როცა იგი გვემულია აშკარად და ფარულათ, თითქოს ხსნაც არა სჩანს... არ არსებობს გამოუსწორებელი მდგომარეობა. არსებობს მხოლოდ უღირსი შვილები, უუნარონი, სხვას რომ მისჩერებიან ხელებში საზრდოსათვის, მუდამ ბავშვის თუ მოზარდის მდგომარეობაში რომ არიან... ამ უღიმღამო ფენის არსებობა ახალგაზრდობას, რომელიც ერის მომავალი იყო ყოველთვის, ბრძოლის უნარს უკარგავს. უუნარო ფენა კი ძირითადი დასაყრდენია გარეშე ძალის ბატონობისათვის, მისთა ზრახვათა გამტარე. მტერი, შემოსული უცხო ძალა, არასოდეს არ იგინება... ის სირინოზის ხმით ბრძანებლობს. აქებს მათ, ვინც წყალს ასხამს მის წისქვილზე, გმირად მოგვივლენს, ძეგლს დაუდგამს, სალოცავ ხატად გაგიხდის, რომ სულიერათ გამოშიგნოს ერი....

ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენი დროის ქართველ კაცს სამშობლო არ უყვარდეს, არა იმიტომ, რომ თვით ბუნებამ ჩაუნერგა „თავისისადმი» ერთგულება, მიკედლება და

ამ გრძნობით იყო ეს სიყვარული განპირობებული. არა, მის პატრიოტიზმს უნდა ედვას საფუძვლათ სიყვარული თავისი ერის სულიერი საგანძურისადმი, სიყვარული ყოველივე იმისადმი, რაც თავს მაღლა აგვაწევინებს, ერთგულება იმისადმი, რაც ერის თავისთავადობას გვინარჩუნებს... სავსეს რაინდობითა და კეთილშობილებით...

არისტოტელე, ჰეგელი, კანტი და მრავალი სხვა არ უარყოფდნენ უმაღლეს ძალის, აბსოლუტის, ჟამთა გამრიგის არსებობას და აგერ ვიღაც ათეისტი, პარტიული მუშაკები, რომელთაც იმის მეტი არაფერი მოუსმენიათ, რომ ქვეყნად იყო ლენინი და სტალინი, რომ არის ბრეჟნევი და მხოლოდ პარტუჯრედებში წოწიალი იციან, მაგრამ განაგებენ ქვეყნის ბედ-იღბალს, თვლიან, რომ ცნება „ღმერთი» ბურჟუების მოგონილია გლეხებისა და მუშების დამონებისათვის....

რა არის სიმდიდრე? რომელ სიმდიდრეს აქვს ფასი? ჭკვიანები იყვნენ ჩვენი ძველები, ჭირსა და ლხინში გამოცდილი ხალხი, ცხოვრების სიბრძნეს ნაზიარები, როცა ამბობდნენ, რომ ქართველ კაცს სიმდიდრედ არ მიაჩნია ის, რაც ძალით ან ქურდულათ, ან მოტყუებით, ან თვალთმაქცურათ წაერთმევა. სიმდიდრე ეს არის ადამიანის სულიერისა და ფიზიკურის შერწყმა, ფასდაუდებელი და აურწყავი. ამის შეგრძნებას რომ დაკარგავს და უღირსი სიმდიდრის, ნივთიერი ქონების გაღმერთებას რომ დაიწყებს ადამიანი, მისი მონა ხდება და მისგან ყოველი სიმრუდეა მოსალოდნელი. ასეთი ადამიანების წიაღიდან წარმოიშვებიან ქურდები, მკვლელები, სამშობლოს მოღალატენი, მრუშნი, ცილისმწამებელნი, ჯაშუშნი, ჯალათნი. თუ ერს უგროვდება მომხვეჭელთა და ზემოთ ჩამოთვლილი ბილწი თვისებანი, ასეთი ერი დეგრადაციის გზას ადგება და იღუპება. ისტორიამ იცის მრავალი შემთხვევა, მორალური კრიზისის შედაგად, დაშლილა და განადგურებულა... ადამიანს უნდა გააჩნდეს საჭირო ქონება, მატერიალურადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგრამ საამისოთ გარჯაცა და შრომაც უნდა შეეძლოს. გარჯითა და შრომით შეძენილი დოვლათი, პირიქით, აკეთილშობილებს ადამიანს. ასეთი ადამიანები არც ძუნწები არიან...: «რასაცა გასცემ შენია»... – ასე ესმოდა ქართველ კაცს და ასე ცხოვრობდა...

საბჭოთა კავშირში რწყილს ატყავებდნენ და ხალხს იჭერდნენ – ქონი ტყავს რატომ გააყოლეო.

მიმაჩნია, რომ ეშმაკობა ნიჭია მხოლოდ უზნეურთა, სულიერათ ღარიბთა. მათთვის დამახასიათებელია პირმოთნეობა, ფარისევლობა, გაუტანლობა, მომხვეჭელობა, სიცრუე, ცილისმწამებლობა. ასეთი ადამიანის შინაგანი სამყარო ღარიბია, ფუყეა. როცა ასეთები მომრავლდებიან, ერი მორალურათ დაავადებულია. გარემო, რომელიც ხელს უწყობს ასეთთა სიმრავლეს, იქმნება გარეშე ძალის მიერ თავად ერის დასათრგუნავად.

1980 წელი....

ადამიანს უნდა გააჩნდეს გამახვილებული გრძნობა სიახლისა... სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება. ამის გარეშე კაცი კაცათ ვერ ჩამოყალიბდება – იგი კაცუნაა...

ქვეყანას ჭამს და ღრღნის გაუმაძღარი, ველური ბუნების მქონე რუსეთი თავისის მზაკვრული პოლიტიკის წყალობით, რომელმაც დაფლითა და დაანაწევრა საქართველოს ეროვნული სხეული, რომელმაც ერის საუკეთესო შვილები ამოხოცა, ააწიოკა ოჯახები, მრავალი გადასახლებაში ჩახოცა...ამის გადამტან ერისაგან რუსეთი ითხოვს მაქე და მადიდეო... 62 წელი შესრულდა 1918 წლის 26 მაისიდან, როცა დაიბადა დემოკრატიული რესპუბლიკა – ჩემი თაობის ქართველთათვის საოცნებო მოვლენა და ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის საბრძოლო მიზანი, წარსულშიც და დღესაც...

იურისპრუდენციაში არის მცნება „დანაშაულებრივი ქმედება» და „დანაშაულებრივი უმოქმედობა». ამ პოზიციიდან რომ მივუდგეთ საბჭოური პერიოდის ადამიანთა დანაშაულებრივ ქმედებას ერის ინტერესებისადმი და ამისადმი ყოველი ჩვენგანის დანაშაულებრივ უმოქმედობას...ვინ გადაურჩება მკაცრ პასუხისმგებლობას?!...

უსმენ პოეზიას...მშობლიური ჰანგია, არის ის, რაც ჩვენს სისხლში დაბადებიდანვე ხმაურობდა. ამიტომაც გაღელვებს, რომ საკუთარ სულში ჩაგახედებს, მთლიანათ შეგძრავს. მოგინდება, რომ ქამარ-ხანჯალი გერტყას, ხელს იწვდი ხანჯლის ტარისაკენ და გებადება სურვილი უხილავ მტერს გულში გაუტარო ორლესული...

კომუნიზმში შესვლისათვის ბრძოლა იგივეა, რაც ძაღლმა თავის კუდს დასაჭერათ რომ სდიოს...

ქართველი ერი, თავისის შინაგანი არსით, ფილოსოფოსია, ღრმად მოაზროვნეა. ამით აიხსნება მისი ხალხური შემოქმედების ფილოსოფიური ჭვრეტა ყოფიერებისა...

**1982 წელი...**

1922 წელს 25 ნოემბერს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო» რუსთაველის სახელობის თეატრში დადგა კოტე მარჯანიშვილმა. პრემიერას, რასაკვირველია, დავესწარი – წარმატება უდიდესი იყო: თამარ ჭავჭავაძე მართლაც უნიკალური შემსრულებელი იყო. მთლიანადშეძრული ვიყავი ამ სპექტაკლით. დათიკო ჩხეიძე მაშინ თეატრში კომისარი იყო და კოტემ მას ერთ-ერთი როლი მისცა. უნიჭოთ ასრულებდა. შემდეგ ეს როლი უშანგიმ ითამაშა. როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, კოტემ და ახმეტელმა გარდატეხა მოახდინეს ქართული თეატრის ცხოვრებაში, მის მდინარებას კალაპოტი შეუცვალეს, შეუტიეს ძველი თეატრის ესთეტიკას, რუტინას და შტამპს და მაღალი პროფესიული ხელოვნება შექმნეს – მხნეობის მომნიჭებელი და მომცემი ხელოვნება...წარმატებებს შემდეგში მოჰყვა განხეთქილება და კოტე მარჯანიშვილმა ჩამოაყალიბა დღევანდელი ქუთაისის თეატრის წინამორბედი თეატრი. თბილისში დარჩნენ ალექსანდრე ახმეტელი, ორივე აკაკი, რითაც რუსთაველის თეატრისათვის

ახალი პერიოდი დაიწყო თვისობრივადაც და ორგანიზაციულადაც. ახმეტელი ცდილობდა ახალი იდეების ნაციონალური ფორმით გამოხატვას და თეატრს „გმირულ-ჰეროიკული» შეარქვა. დაიდგა: «რღვევა», «ლამარა», «ანზორი», „თეთნულდი», „ინტირანოს» და სხვა. თეატრის გასტროლებმა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში დიდი გამარჯვება მოიტანა და ახმეტელისა და თეატრის სახელი ქვეყნის გარეთაც გავიდა. აი, რას წერდა ემანუილ ზესკინი: „ამ თეატრზე, ამ სპექტაკლზე მხოლოდ აღტაცებით უნდა იწერებოდეს! რა საუცხოო თეატრია, რა საუცხოო სპექტაკლებია! იგონებ ყველაზე უფრო შთამბეჭდავ, ყველაზე უფრო ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებას და უნდა აღიარო, რომ არც ერთის შედარება არ შეიძლება ამ წარმტაც, ტემპერამენტიან, ამ განსაცვიფრებელ ფორმასთან». და ასეთი კაცი გაიმეტა გათახსირებულმა ბერიამ, რადგან საშა მას ფეხქვეშ არ ეგებოდა....საკვირველია, რატომ იყვნენ ასეთი უფლებებით აღჭურვილნი ისეთი უგვანო, სულითა და ხორცით მახინჯნი, როგორიც იყო მაშინდელი ჩეკისტთა მეთაური ბერია? პასუხი ერთია: რუსეთმა კვლავ შეაკოწიწა ძველი, დანგრეული იმპერია. ლენინმა მოხერხებულად გამოიყენა ეროვნული ლოზუნგები, დაპირდა მათ სრულ თავისუფლებას და შერეკა ახალი იმპერიის ფარგლებში. მაგრამ მოსკოვმა იცოდა, რომ სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ჩაკლული არ იყო. ამიტომ ყოველი ცდა ამისა რომ ჩაეკლათ, შექმნა განუზომელი უფლებების მქონე ჩაგვრის ინსტრუმენტი, რომელსაც „ჩეკა» ეწოდებოდა და რომლის რიგები ივსებოდა სისასტიკით, შეუბრალებლობით გამორჩეული ადამიანებით...

თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური წყობა, ერთი პიროვნებისაკენ სწრაფვის ტენდენციის შედეგად აყალიბებს არა ადამიანის პიროვნებას, არამედ სტანდარტული ყალიბის სულიერ არსებას...

გრიშაშვილის სახლი ალგეთის ქუჩაზე წარმოადგენს მის სახლ-მუზეუმს...სოსოს მიერ შეკრებილი ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები, სათეატრო აფიშები, პროგრამები, ნოტები, ფოტომასალა... ეროვნული მნიშვნელობისაა. ეს ჭეშმარიტად იშვიათი ალღოს მქონე, თავის ქვეყანაში შეყვარებულ ადამიანს შეეძლო. რაც შეეხება მის საბიბლიოთეკო მასალას, ეს ხომ განძია და განძი. რამ შეაძლებინა ამ ადამიანს, რა სიყვარულმა, რა თავდადებამ შეანახვინა გაზეთის ფურცლებიც კი, რომელთა შენახვა და დაცვა რუსეთის საქართველოში მეორედ გაბატონების ჟამს – ოციან-ოცდაათიან წლებში, სიკვდილთან თამაშს უდრიდა..

ჩემო საბრალო სამშობლო, რა შორს ხარ ღმერთისაგან და რა ახლოს რუსულ შოვინიზმთან...

1984 წელი...

საქართველო დაჯილდოებულია რიგი ორდენებით!...მერე რისთვის? იკითხავთ – წელში გამწყვეტი შრომისათვის, დიდი მოთმინებისა და ამტანობისათვის, და რაც მთავარია, თავისი მომავლისადმი გულგრილობისათვის...აფსუს! როგორ დადნი 26 მაისო?!

პოეზია უნაყოფოა, გამოწურული მტევანი, უაზროა და მკვდარია, თუ იგი კოსმოპოლიტიზმის ნიადაგზე დგას და არ ემსახურება თავის ერს, რელიგიას, ენას, სამშობლოს ინტერესებს. აბსტრაქტული კოსმოპოლიტიზმის ნიადაგზე ჯერ არ შექმნილა რაიმე ღირებულების მქონე პოეტური ნაწარმოები... საკუთარი ერის გენები ჰკვებავს პოეზიას. ყოველი გენიალური ნაწარმოები ეროვნულ ნიადაგზე იქმნება...

1985 წელი....

აკაკი ხორავას პირადად ვიცნობდი. ჭიათურაში გასტროლების დროს დიდი პურღვინოც გავუმართეთ დოდოს [ანთაძე], უშანგის [ჩხეიძე], აკაკის. მე სადღეგრძელოში ვუთხარი, ძალიან ჰგავხარ რომაელ პატრიცს-მეთქი. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული როგორც დიდი ტრაღიკოსი მსახიობი და უშანგი წინ იდგა მასზე. შემდეგში მე მინახავს მისი ბერსენევი, ოიდიპოსი, კარლ მორი, ანზორი, დიდი ხელმწიფე, რამაც მას მსოფლიო მასშტაბის მსახიობის სახელი მოუხვეჭა. აკაკი ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო. მანაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა 1915 წელს. 1917–20 წლებში აკაკი მენშევიკური პარტიის სამხედრო ორგანიზაციაში – გვარდიაში მსახურობდა, გვარდიელი იყო. ვიღაცა ოხერმა „უდანოსა» კიდეც ამის შესახებ, მაგრამ ბერიამ დაინდო, ყურაღდება არ მიაქცია. მე მაკვირვებდა ამ ხელგაშლილი კაცის, ვაჟკაცური ადამიანის, ფულის გადახდას რომ ვერავინ მოასწრებდა ის საქციელი, რომელიც აკაკი ვასაძესთან ერთად დიდი რეჟისორის (ა. ახმეტელი) მიმართ ჩაიდინეს. ვფიქრობ...ბერიას ზემოქმედების შედეგი იყო...უკანასკნელად აკაკი ვნახე მოსკოვის ტაგანკის თეატრში გასტროლების დროს, იჯდა მეათე რიგის პირველ სკამზედ, მარტო, დაღონებული სახით, გამხთარი, დაპატარავებული, ძალიან მოტეხილი. მივედი, გულთბილად მოვიკითხე, გაეხარდა ჩემი მისალმება. პირველ რიგში ბესო ჟღენტი დავინახე, მასთან მივედი და ჩემი გულისტკივილი გავუზიარე აკაკიზე. მან ხელი ჩაიქნია და არაფერი უთქვამს...

პიროვნებაში ყოველთვის ცხოვრობს...თავდადებული სიყვარული სამშობლოსადმი, ხელმისაწვდომი შრომა თავის ერის საკეთილდღეოთ. იგი ფხიზლათ აფასებს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და არ გაურბის მისთვის ბრძოლას, დაუნდობელია მშობლიური ენის მტრების მიმართ. ის მაღლა დგას თავისი კეთილშობილებით „კაცუნებზე», რომელთათვის მთავარია პირადი კეთილდღეობა და სხვა დანარჩენი თუნდაც მეწყერს წაუღია. დღევანდელობამ გარყვნა ქართველების უმრავლესობა, დააკნინა მისი კაცურკაცობა, თვალი დაუხუჭა ერის გასაჭირის მიმართ. ჭირი კი, სატკივარი კი, თავში ხელებსაცემი კი, ქართველებს ბევრი გვაქვს...

ჩვენი მეტალურგიის პროდუქცია რუსეთის არის და ჩვენი მარტო შრომაა, რომელიც უსაზღვროთ დაბალი ხელფასებით ნაზღაურდება და ყოველივე ამას „ძმობა» ეწოდება, რითაც ასე ინიღბება პირწავარდნილი რუსული კოლონიალიზმი...

რა არის ადამიანისათვის ყველაზე ძნელათ გადასატანი..ეს არის ყველაზე საყვარელი ადამიანის დაკარაგვით გამოწვეული ვარამი და საკუთარი რწმენის შებილწვა...

1986 წელი…

გარდაქმნა, საჯაროობა…შარშან აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, გორბაჩოვის მეთაურობით დაიწყო, დაიწყო ახალი ეპოქა საბჭოთა ხელისუფლების, სოციალიზმის გარადქმნისათვის ახალ ყაიდაზე. რამ გამოიწვია ეს მოძრაობა? რა არის ძირითადი მიზეზი, ხელწამკრავი პირობები ამ ახალი მოძრაობისა, რომელსაც ერთგვარი მორიდებით რევოლუციურ მოძრაობაც კი ეწოდა….მე ადრეც არა ერთხელ მითქვამს, რომ ქვეყნის ძირითადი მკვებავი გლეხობა არის და მომავალშიც იქნება. მიწათმოქმედი ერები შეიქნენ, პირველ ყოვლისა, ცივილიზაციისა და საერთოდ კულტურის შემქმნელნი და არა მომთაბარენი. ამიტომ გლეხობა, მიწათმოქმედი ფენა მოსახლეობისა, მუდამ საიმედო საყრდენი იყო ერის ბედიღბლის ტრიალში. მას უყვარდა მიწა და ჩვენი ქართველი გლეხი და, საერთოდ ქართველი კაცი, მიწას დედას უწოდებდა – დედამიწა. რევოლუციას პირველ რიგში გლეხი უნდა გაეძღო მიწით, რათა ქვეყანა ყოფილიყო გამაძღარი. ბოლშევიზმმა, როგორც გლახა მამინაცვალი, ისე მოეკიდა გლეხს _ წაართვა სიყვარული მიწისადმი, ამუშავა მონურ პირობებში და შეყარა კოლმეურნეობებში.... მთავარი ფენა გლეხობისა ნამდვილი მწარმოებელი, შრომის ორგანიზატორი, ნიჭიერი, საქმიანი კულაკებად მოინათლა, გაძევებული იქნა თავის სოფლებიდან, გასახლებული შორეულ რეგიონებში.... იგივე განმეორდა საქართველოში, როცა რუსეთი შემოესია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ახალგაზრდობამ დენა იწყო სოფლებიდან ქალაქებისაკენ. ზოგიერთი სოფელი მთლიანად გაუკაცურდა. სოფლის მეურნეობა მოიშალა და საბჭოეთი დაიმშა.

რა მოხთა მრეწველობაში?

ის, რასაც ლენინი, სტალინი და ძმანი მისნი უწოდებდნენ სოციალიზმს, იყო პირწავარდნილი სახელმწიფო კაპიტალიზმი, როცა მშრომელის ექსპლუატაცია წარმოუდგენელ მასშტაბს აღწევს. ხალხს არ აქვს უფლება არც გაფიცვის, არც დემონსტრაციის, საერთოდ ხმის ამოღებისა, როცა პრესა უნიფიცირებულია და უპრინციპო გაიძვერა, პირმოთნე ყალთაბანდების ხელშია. მცირე პროტესტიც კი რევოლუციის ღალატად, პარტიის ღალატად ინათლება. ქვეყანას განაგებს პრივლიგირებულ ადამიანთა ფენა, რომელსაც კომპარტია ეწოდება. მის ხელშია არმია, სასამართლო, მეურნეობა, ფინანსები.

ამრიგათ, 18 მილიონიანმა პარტიულმა ფენამ, ახალი მოდის „თეთრკანიანებმა», მთელი მოსახლეობა ახალი მოდის „შავკანიან» მოსახლეობათ აქცია. დაიკარგა რწმენა პატიოსანი შრომისადმი. ქვეყანა გადაიქცა ქურდების, მექრთამეების, უბრალოდ, შენიღბულ ავაზაკთა, ბრბოთა სამყაროთ.

რუსი მოსახლეობა, რუსი ერი „უფროს ძმად» მოინათლა, მოკავშირე რესპუბლიკებში ზოგან პირველ მდივნად რუსი დააჯინეს, ან გარუსებული ამ ერის შვილი, ზოგან რუსი – აუცილებლათ მეორე მდივნად და კადრები მას ჩააბარეს. აწინაურებდნენ ისეთ არამზადებს, რომლებიც „რუსოფილობდნენ». ამიტომ რიგ რესპუბლიკებში გაბატონდა

რუსული ენა, გაიდევნა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური ენა. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ისეთი მასშტაბით ცხადდებოდა რეპრესიები, კაცობრიობას რომ არა ახსოვს, დამბეზღებელთა წახალისებით. ჩეკა ჟლეტდა ერის მოწინავე ადამიანებს, ასე იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ეს იყო ნამდვილი გენოციდი. მარტო საქართველოში 1921 წლიდან დღემდე გაიჟლიტა 300 ათასი ადამიანი. 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთელი სექტემბერი და ოქტომბერი მიმდინარეობდა ნამდვილი ტერორი. საბჭოთა კავშირი გადაიქცა კომუნისტურ ურჩხულათ...მაგრამ მაინც…ვფიქრობ, ყველაფერი დამთავრდება რუსეთის დაშლით...

1982 წელს დაიწყო და 1986 წელს დამთავრდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის რესტავრაცია ხანძრის შემდეგ... ფოიეში ერთ დროს, „ცისფერყანწელთა» კაფე იყო, რომლის კედლები მოხატეს: ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ, ირაკლი და მოსე თოიძეებმა, სერგო სუდეიკინმა და სიგზმუნდ ვალიშევსკიმ, კირილე ზდანევიჩმა. მე ამ კაფეში ვყოფილვარ კოლია შენგელაიას, უშანგი ჩხეიძეს, დიმიტრი მჟავიასთან და სხვებთან ერთად. უკანასკნელად იქ ვიყავი 1925 წლის მარტში, როცა ჩეკადან გამათავისუფლეს ალიოშა ბოკერიასთან ერთად. ალიოშა ჩემი ძველი პარტიული ამხანაგი იყო. იგი იმ ჯგუფთან ერთად გაასამართლეს, რომელსაც „ინტერპარტიული კომიტეტი» ეწოდებოდა და 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა. „ფოიე-კაფე» გააუქმეს 1927 წელს, გადაათეთრეს და მოსპეს. ახლა კი აღადგინეს რესტავრატორებმა...

დიდმა ილიამ ქართველ ხალხს უთხრა, თვალი გაახილე, გამოფხიზლდი, თორემ დაიღუპებიო: „არ ვიცით – რანი ვიყავით, ვყოფილვართ, არ ვხედავთ რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელები აგვიფარებია, არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარ თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიადაც კი არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმარისია ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანათ». რარიგ ესადაგება ეს ნათქვამი დიდი კაცისა, დიდი მოაზროვნისა ჩვენს დღევანდელობას. განა ყველამ იცის, ყველას ესმის, თუ საქართველოს რა დღე ადგა დღეს, რა შავათ გამოიყურება მისი მომავალი და ეს არცოდნა ყველაზე ტრაღიკულია. ერი მცირდება რიცხობრივათ, ნელ–ნელა ითქვიფება სხვა ეროვნებათა შემოხიზნულ მასაში, ქართული ენა თანამიმდევრულათ იდევნება და კარგავს თავის პოზიციებს, ქვეყანა იძარცვება რუსეთის მიერ ისე მოქნილად, რომ ასეთი არ მოსწრებია, არ ახსოვს კოლონიალურ სისტემას....ერი გაირყვანა ზნეობრივათ, ფართო მასშტაბისაა მექრთამეობა, ქურდობა, პროსტიტუცია, ჯაშუშობა, მკვლელობა, ნარკომანია და ჭეშმარიტად ვდგევართ დღევანდელი ქართველობა უძირო თხრილის პირას და ...დავიღუპებით??? ნუთუ არ გამოჩნდება გადარჩენის გზა? ნუთუ ვეღარ მოვალთ გონზე, ვერ შევიგნებთ, რომ საჭიროა შემორჩენილი ეროვნული ენერგიის გაღვივება, გაძლიერება, რომ ფეხზე დასადგომათ დაიქუხოს კიდევ ერთხელ საქართველომა...

საზოგადოება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ფორმირდება საბჭოურ პირობებში, ხასიათდებოდა სულიერი სითბოს ნაკლებობით, ან არ არსებობით და საშინელი დეფიციტით სიკეთისა, ადამიანობისა, კაცთმოყვარეობისა....

ადამიანის ქმედებამ...გულები უნდა შეძრას და წარმართოს ერის, მშობლიური მიწის სასიკეთოდ, საკეთილდღეოდ, რადგან განმრავლდა, როგორც დიდი ილია უწოდებდა, «უგულო გული, სათავე მცონარობისა და უსაქმურობისა», რასაც დავუმატებდი – მზაკვრობისა და ქვებუდანობისა...

ბოლშევიკურმა სოციალ-პოლიტიკურმა გარადქმნებმა, რაც ძალმომრეობასა და განუკითხაობას ეყრდნობოდა, წალეკა, წარხოცა, გამოფიტა ადამიანში ყოველივე ადამიანური, ღვთისგან მინიჭებული მადლისაგან დაცალა და პირველყოფილი ადამიანის ფსიქიკამდე დაიყვანა იგი, რათა იფრო განემტკიცებინა დიქტატორული მმართველობა...

1987 წელი...

ოციანი წლების შუა პერიოდში სტალინმა ითავა გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში, რამაც დიდი ძვერები გამოიწვია ქვეყნის ცხოვრებაში: სოფლებიდან გაძევებულნი იქნენ შეძლებული გლეხობა, მონათლულნი „კულაკებათ». დანარჩენი გლეხობა დაიყო „ღარიბებათ» და „საშუალო» ჯგუფებად, რომლებიც განზოგადებულ მეურნეობებში შეყარეს, მთელი თავისი ავლადიდებით. ამ მოძრაობას ბევრი გამრჯე გლეხის ოჯახი შეეწირა – ისინი შორეულ ციმბირში გადაასახლეს. თუ წინათ თავადაზნაურობას დაერივნენ, და ჩამოართვეს თუ რამ გააჩნდათ, ეხლა შეძლებულ გლეხობას გაავლეს მუსრი. სწორეთ მათი შრომის შედეგად იკვებებოდა ქალაქის მოსახლეობა. თითქმის ყველგან ირღვეოდა ქაღალდზე დაწერილი პრინციპული შეფასების მოტივირება – ვინ უნდა ყოფილიყო შეყვანილი «კულაკთა» სიაში. ამას სოფლის პარტიული და კომკავშირული აქტივი წყვეტდა. მათ ხელთ აღმოჩნდა ადამიანთა ბედ-იღბალი. თავი წამოყო პირადმა ინტერესებმა, მეზობელთა შორის სამაგიეროს გადახდის შავმა ზრახვებმა და ისეთი ცეცხლი დატრიალდა სოფლათ, რომ ურჯულოთა შემოსევას წააგავდა... დანარჩენ გლეხობას მცირე მიწები დაუტოვეს და საერთო მიწებზე მოწეული მოსავლის ბედს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ეგრეთწოდებული გამგეობა განაგებდა. ამ „კოლმეურნეობიამ» ერთხელ და სამუდამოთ გაანადგურა სოფლის მეურნეობა...

შემჩნეულია, ყველა კომუნისტი არ გამოირჩევა იდეურ-პოლიტიკური სიმწიფით და გონებაგაყინულ ადამიანებს ჰგვანან. ასეთებს პარტიული ბილეთი „ამშვენებს», როგორც დაკავებული პოსტის პრესტიჟულობის დონე. როცა ასეთები, ამა თუ იმ მიზეზით კარაგავენ „პრესტიჟულ» პოსტებს, წამსვე გაუფერულდებიან, კარგავენ „ბრწყინვალებას» და ხელში შეგრჩებათ უმწიფარი, დაბალი დონის აზროვნების მქონე რეგვენი, ჩვეულებრივ ბაასში „გუშინდელი» თავისი მდგომარეობის შესახებ გახსენებით გულს რომ იოხებს და ჩუმ-ჩუმათ ოპოზიციურათ განწყობილის ნიღაბს რომ აჩენს ყალბი კრიტიციზმის ფრაზეოლოგიით მოხერხებულათ რომ ცდილობსჩაგიხტეს ბაასში. ასეთებს დარდი ხრავთ დაკარგულის გამო. უწინ ყინჩათ რომ დადიოდნენ და არავის

კადრულობდნენ, სკოლის ამხანაგებსა და თანაკურსელებს რომ ვეღარ ცნობდნენ, ახლა ყველას ეტანებიან და გარიყულნი წრეს ეძებენ. ვერ ხვდებიან, რომ უკვე გვიან არის და მათი ცდები ზიზღიან სიცილს იწვევს...

როგორია ჩვენი ახალგაზრდობა დღეს? ვფიქრობ, ისეთია, როგორიც უნდა იყოს იმ მოვლენათა გავლენით, რასაც ჩვენში ადგილი ჰქონდა სტალინის შემდეგ. მისი ოცდაათწლიანი მოღვაწეობის აბუჩად აგდებამ ბევრო მოზარდი, ხანდაზმულიც, და ახალი თაობაც სულიერათ დააპატარავა, ჩაქრა ის ლამპარი, რომელიც აშუქებდა ... ისტორიულ სიმართლეს, დაიკარგა რწმენა ღირებულებათა მიმართ. ადამიანი, რომელიც გაღმერთებული იყო ხალხის თვალში, რომლის სჯეროდათ და სწამდათ, გამოათრიეს მავზოლეუმიდან და დაწვეს. ყველას გვახსოვს, რომ თბილისი სამი დღის განმავლობაში აჯანყებული ახალგაზრდების ხელში აღმოჩნდა: მართავდნენ მიტინგებს და სტალინის შეურაცხმყოფელთ საქვეყნოდ ლანძღავდნენ. იმ დროს თბილისში იმყოფებოდა ჩინეთის დიდი მოღვაწე ჩუ-დე, რომელთანაც სტუდენტებმა დელეგაცია გაგზავნეს. ცხადია, მას არ შეეძლო სხვის საქმეში ჩარეულიყო. ამ გამოსვლებს ხუთი ათასი ახალგაზრდა შეეწირა. ტანკებით ჟლეტდნენ და ხიშტებით ხოცავდნენ. ჩეკისტებმა დახოცილები ტომრებში ჩაყარეს და მტკვარში გადაყარეს...განა ამის დავიწყება შეიძლებოდა?... ამიტომ არის ჩვენი ახალგაზრდობა ინდიფერენტული, მოკლებული ენთუზიაზმს, იდეურად გამოფიტული...

ინტერნაციონალიზმს ამოფარებულმა რუსულმა შოვინიზმმა გადარეცხა, ამოშიგნა ქართველთა მამულიშვილური გრძნობა, იდეურათ ინდიფერენტულობა დაეუფლა ქართველ ახალგაზრდობას, რამაც ხელი შეუწყო ...ურწმუნოებას, ნიჰილისტურ განწყობილებას... საქართველოს დაღუპვისაგან გადაარჩენს ილიას მსგავსი ბუმბერაზის დაბადება-გამოჩენა, მაგრამ გამოჩნდება კი?...

ისტორიულ ნაგებობაში, მეტეხის ტაძარში რამდენიმე წელია მოქმედებს თეატრი – სტუდია. გულს ახარებს, რომ მარქსისტებმა ტაძარი თხების სადგომათ არ გადააქციეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ტაძრის დანიშნულებას, თანაც გავიხსენებთ, რომ შესასვლელთან, მარჯვნივ წმინდა შუშანიკის ნეშტი ასვენია, შუშანიკისა, რომლისადმი მიძღვნილი ნაწარმოებით თავი მოგვაქვს და ვამაყობთ, მიზანშეწონილათ მიმაჩნია (და არა მარტო მე), თეატრი-სტუდია უფრო მოხერხებულ ადგილას გადასულიყო, ხოლო მეტეხის ტაძარი „წამებულთა პანთეონათ» გადავაქციოთ. ეს ადგილი ქართველთა სათაყვნებელი ადგილი იქნებოდა...

დიდბუნებოვან კაცთა ყოველთვის ახასიათებდა ერთხელ მიღებული რწმენა გაიხადონ სიცოცხლის საგნათ და თუ საჭიროება მოითხოვს შესწირონ სიცოცხლე, რადგან ჭეშმარიტება უფრო მეტ საღირლად მიაჩნიათ, ვიდრე თავისი სიცოცხლე. ამის მაგალითია მამაჩემი ბესარიონის მთელი ცხოვრება, მან თავის რწმენას არ უღალატა და შეეწირა კიდეც....

მონობისაგან თავის დაღწევა ძნელია, რადგან ადამიანი, დამორჩილებული ფსიხიკით...ღირსებაწართმეული არსებაა, რომელზედაც ბატონობა გაადვილებულია. დღეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში მყოფი ერები ამ ფორმის მონობაში იმყოფებიან და როგორც კურდღლები... შეცოცდნენ წითელი იმპერიალიზმის „ხახაში» და ყველა ისინი იქცნენ ადვილათ სამართავნი...ვერც გრძნობენ, რა მდგომარეობაში არიან და სურვილიც არ ებადებათ თავის საშველათ...

1988 წელი...

ქრისტეფორე რაჭველიშვილი 1918 წლის მარტში გავიცანი თბილისში. მე ქართულ ჯარში მოხალისედ წავედი, ისევე როგორც მრავალი მოწაფე ქუთაისის სასწავლებლიდან. ჩვენს მეოთხე ბატარეიაში, როგორც სხვა ბატარეიებში, მოხალისე სტუდენტობა, მოწაფეობა მსახურობდა და ძირითადად სოც.-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებისაგან შედგებოდა. ერთ დღეს მე, რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე ჩვენი პარტიის გაზეთის რედაქციაში წავედით. რედაქციაში მოგვიწვიეს დიდი პატივით, შეგვაქეს. იქ გავიცანი ქრისტეფორე რაჭველიშვილი, 21 წლის სიმპატიური, საშუალო ტანის შავგვრემანი ახალგაზრდა. შემდეგ იგი ბატარეიაშიც გვეწვია რედაქციის სხვა წევრებთან ერთად. გაზეთს ეწოდებაოდა «სახალხო ფურცელი», ხოლო ქუთაისში გამოდიოდა ჩვენი პარტიის ორგანო – „ხალხის მეგობარი»...

მონის კნავილი: გაზეთ „კომუნისტის» კვირის ნომერში მოთავსებულია ვინმე წივწივაძის წერილი. წავიკითხე და ნეტავ, არ წამეკითხა, მთელი დღე მოწამლული დავდიოდი და გამწარებული ჩემს თავს ვეკითხებოდი – ვინ ვართ ჩვენ? მონების ხროვა, გადაგვარებული, გადაჯიშებული ერი, თავმოყვარეობა დაკარგული, ზნეობრივათ დაცემული, თუ იმ წინაპართა შთამომავალნი, დიდგორისდა მისის მსგავსი ომები რომ მოიგო?! „ვეფხისტყაოსანს» რომ ქმნიდა და უცხო ქვეყნებში რომ აფუძნებდა ტაძრებსა და მონასტრებს?! კითხულობ ამ საგაზეთო ნაცოდვილარს და ვერ მიხვდები, კაცია-ადამიანი ამის დამწერი, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს ადამიანურ ღირსებაზე და არ იცის, როგორ უნდა მოექცეს მტერს თუ მოყვარეს თავისი ერისას, თუ დამფრთხალი მონაა და რა უნდა ქნას – გალახეს, შეურაცხყვეს, დაამცირეს და ეს კი მობოდიშებით კრუსუნებს – ბოდიში, უკაცრავად, არ გეთანხმები, რომ გამლახეო. ვეღარ გაიგო ზოგმა დღემდის, რომ ცვეტოვის ჯიშის ადამიანების თან გადაყოლა არ შეიძლება, პატივითა და რიდით კი არ უნდა მოექცე, ცხვირ-პირი უნდა გაუსიო, დროგამოშვებით უნდა აჭამო და ის შენი პატივისცემა და მუდამ ღორივით მოიქცევა – გასკდება, გატიკინდება და რომ გამოძღება მოგიბრუნდება და გასვრას მოინდომებს შენსასა. ცვეტოვის ჯიშისები ჩვენი ერისადმი დაგუბებულ შურსა და ზიზღს ზოგჯერ ვეღარ მალავენ და ამა თუ იმ შემთხვევის გამო გადმოანთხევენ ხოლმე. გავიხსენოთ რა მოხდა მწერალთა ბოლო ყრილობაზე რა მოხთა, გავიხსენოთ ოტია იოსელიანის თავგადასავალი და სხვა მრავალი მემატიანეს მიერ აღრიცხული. აბა, ვკითხოთ, ბატონ წივწივაძეს, რამ დაგაწერინა, შე კაცო, ასეთი გულისამრევი სტატია, რა მიზანი გქონდა. დარწმუნებული

ვარ, გვიპასუხებს – ცვეტოვის უწესო საქციელი ტაქტის დაცვით გავაკრიტიკეო. და იმას კი არ იფიქრებს, რომ მისი სტატია, თავიდან ბოლომდის უსუსური, დამფრთხალი და დაშინებული მონის კნავილია, რომლის წაკითხვა გულს აგირევს და ყოველივეს შეგაძულებს. გაგვლანძღეს, „ვეფხისტყაოსანიც» კი აგდებულათ მოიხსენია გათავხედებულმა ცვეტოვმა და შენ კი დამდგარხარ და იმის მაგიერ, რომ საკადრისი პასუხი გასცე, პირიქით, ბოდიშის მოხთის ტონით ეუბნები – უკაცრავად, რატომ მირტყამ, ჩემო ბატონოო. აი, გიდი საქართველო, ვის ხელშია შენი მფარველობა!

ბატონ გიორგი გაჩეჩილაძის სტატიამ (გაზ. «კომუნისტის» 28 ივნისი) „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით»? ფართო საზოგადოებაში დადებით მოვლენათ, დროულათ ნათქვამად იქნა აღიარებული, რადგან ჭეშმარიტებასა და სიმართლეს შეიცავს. მაგრამ მწერალთა წრეში ბევრი გააღიზიანა, აამხედრა ბატონი გიორგის წინააღმდეგ და მის ლანძღვასაც არ მოერიდა. განსაკუთრებით გაილაშქრეს მოაზროვნე საზოგადოების ნაწილის სამ კატეგორიად დაყოფის წინააღმდეგ. ასეთებს უნდა შევახსენოთ, რომ ბატონ გიორგის არ ეკუთვნის ინიციატივა ასეთი დაყოფისა. ეს დაყოფა რეალურად თვით ცხოვრებამ წარმოშვა. განა იგი დღესაც არ არსებობს? არსებობს! განა ჩვენს ეროვნულ ყოფას, ეროვნულ „მეობას» შენარჩუნების პრობლემები არ გააჩნია? გააჩნია და მერე რამდენი. ავიღოთ თუნდაც ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შემლახავი მოვლენები. თბილისში, საქართველოს დედაქალაქში ორიოდე დაწესებულება თუ მოიძებნება, სადაც საქმეთა წარმოება მთლიანად ქართულ ენაზეა. მერედა ვინ აღიმაღლა, რომელმა მწერალმა? ქართულ სკოლებში ბავშვებს, ფაქტიურათ, არ ასწავლიან არც მშობლიური ერის ისტორიას, არც გეოგრაფიას. ვის წისქვილზე ასხამს წყალს ეს უმსგავსო მოვლენა? მერედა სად არის ჩვენი მოაზროვნე ინტელიგენცია და მისი ავანგარდი ქართული მწერლობა? აბა...დამისახელეთ, ვინ აღიმაღლა ხმა, რომელმა მწერალმა? უნდა ითქვას, რომ დღეს ბევრს თავი მოქვს დიდ მამულიშვილათ, რადგან ორიოდე ცრემლნარევი ლექსით ვალს იხთის თითქოს. გულახდილათ უნდა ითქვას, რომ არავის სჭირდება ასეთი ნაცოდვილარი...საქმეს კი სჭირდება, რომ ყოველივე კეთდებოდეს სამართლიანობისა და ჭეშმარიტების თვალთახედვით...ანდა ავიღოთ ჩვენი დედაქალაქის მდგომარეობა. ყოველწლიურათ ათიათასობით სხვა ტომის ადამიანით იზრდება მისი მოსახლეობა, ქართული მოსახლეობა კი – მცირდება. რომელმა მწერალმა აღიმაღლა ხმა? ბატონ გიორგის მხოლოდ ერთი რამ მინდა შევახსენო: გარდა იმ სამი კატეგორიისა ერს ყავდა ისეთი მამულიშვილნიც პარტიული და უპარტიოთა რიგებიდან, რომელთა სიცოცხლეც ერის სამსახურს შეეწირა და რომ ყოველწლიურათ მრავლდებოდა დაუტირებელი, მიუგნებული, მშფოთვარე საფლავები...

კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ პიესა „ინტერესთა თამაშის» პრემიერა (გრიგოლ რობაქიძის პიესის „ლონდას» შემდეგ) დაიდგა 1924 წლის 29 იანვარს (პრემიერას მეც დავესწარი). თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. გრ. რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის მეთაურობით ესწრებოდა „ცისფერყანწელთა» მთელი ორდენი. მათ ეკავათ ბელეტაჟის ლოჟები. ეს დღე იმით იყო შესანიშნავი, რომ ახალგაზრდა მსახიობების მიერ ჩამოყალობებული კორპორაცია „დურუჯის» მანიფესტი

იქნა წაკითხული აკაკი ვასაძის მიერ და ამით მთელ თბილისს მოედო ეს ახალ ამბად. პირველი ქომაგები ამ მოვლენისა „ცისფერყანწელები» იყვნენ, ხოლო 1926 წლის 30 იანვარს სანდრო ახმეტელის მიერ დადაგმული იქნა გრ. რომაქიძის ბრწყინვალე პიესა „ლამარა», რამაც შეარყია არა მარტო თბილისი, არამედ მოსკოვიც. ამ დადგმაში შეყვარებული გრ. რობაქიძე ევროპაში ცხოვრების მანძილზე იხსენებდა თურმე ამ სპექტაკლს და იმ ღამის ბანკეტს, მიძღვნილს ამ გამარჯვებისადმი...

როცა შენობის შინაგან გადაკეთებას ვაწარმოებთ, ვცვლით ოთახების განლაგებას, დაუშვებელია ძირითადი კედლების ხელის ხლება. და თუ ეს მოხთება – შენობა განწირულია დასანგრევათ. ასევე საბჭოების პირობებშიც დასაშვებია ყოველნაირი გარდაქმნა, მაგრამ თუ ამ სახელმწიფოებრივ წყობის ძირითად კედელს, მის სოციალურ წყობას ხელს ვახლებთ გარდასაქმნელათ, საბჭოთა სახელმწიფო არსებული სახით განწირულია დასანგრევათ. არადა ბოლშევიკური სოციალიზმის ეკონომიკური საყრდენი, მისი „ძირითადი» კედელი ყალბათ ნაგები გამოდგა. მან ვერ გაუძლო რამოდენიმე ათეული წლების გამოცდასაც კი – იგი გაკოტრდა, რადგან ვერ უზრუნველყო შრომის მაღალი წარმადობა კერძოინიციატივიან საფუძვლების მქონე სოციალური წყობის ქვეყნების მიმართ ე.ი. კაპიტალისტურ სამყაროსთან. გორბაჩოვის ცდები ამ მხრივ გამოიყურება უპერსპექტივოთ – მას სურს ფასადის ერთგვარი შეკეთებით დააშოშმინოს რეიგანის სამყარო, რაც უპერსპექტივოა. მას სურს „ძირითადი კედლის» ხელუხლებლათ, წვრილმანი გარდაქმნით გამოასწოროს და ძლიოს ეკონომიკური კრიზისი. საბჭოთა სინამდვილეში წარმოიშვა საკმაოთ მომძლავრებული „წითელი თავადი», „წითელი ბურჟუა», სახელმწიფო სალაროში ხელისმისაწვდომი ფათურით წარმოიშვა წითელი ჩინოსანი ბიუროკრატია – პარტიული ბილეთებით მკერდდამშვენებულნი, გამაგრებულნი. ყველა ამათ ფეხებზედაც ჰკიდიათ გორბაჩოვის გარადაქმნები, მათ აწყობთ არსებული სისტემა და მას „უომრათ» არ დათმობენ. ამრიგათ, სტალინური წყობის ხელისხლება ხრუშჩოვისა და სხვათა მიერ კრიზისის დასაწყისათ გამოიყურება. სისხლის ნთხევით აგებული სახელმწიფო მხოლოდ სისხლის ნთხევით იარსებებს. ამის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. არის ერთი გზა – ქვეყანა უნდა გარდაიქმნას ნამდვილ დემოკრატიულ თავისუფლებებზედ აგებულ სახელმწიფოთ. სოციალიზმი, კომუნიზმი და ყველა სახის „იზმი» ისტორიის სანაგვე ყუთში უნდა იყოს გადაყრილი.... ისტორიის ულმობელი კანონი მოითხოვს ისევე უდანაშაულო ადამიანთა გატანჯული სული, უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლი, მშფოთვარე, მიუგნებელი და დაუტირებელი სამარეები სამაგიეროს გადახთას ითხოვენ.

ღმერთო დიდებულო! დღეს, 7 ოქტომბერს, დღის 5 საათზე გავიგე, ჩემი ვაჟის, თენგიზის მეშვეობით, რომ გუშინ აუფეთქებიათ საქართველოს მოღალატის, უბინძურესი ადამიანის, ილიას მკვლელობის ორგანიზატორის, ფილიპე მახარაძის საფლავი მთაწმინდის პანთეონში. როგორც მე ვფიქრობდი, რომ შეუძლებელია დიდი ილია განისვენებდეს იქ, რომელ მიწაში ამ ბინძური ადამიანის ლეში ყრია. ასე ფიქრობს მთელი საქართველოს ჭეშმარიტი შვილი. რაც ამ აფეთქებამ დაადასტურა. 80 წლის შემდეგ იმ ვერაგული მკვლელობისა, ადგილი აქვს სამართლიან აქტს. განგებავ! მწამდი, ამ აქტის შემდეგ კიდევ უფრო განვეწყვე შენდამი რწმენით...

რა ბედკრული ერი ვართ..გვიკრავენ და გვიკრავენ ტაშს, გვაქებენ და გვაქებენ, მხრებზე ხელს გვიტყაპუნებენ, რადგან უხარია მოყვრის სამოსელში გამოწყობილ მტერს, რომ დავკარგეთ ყოველივე ის, რითაც ოდესმე ვამაყობდით, რისთვისაც მართლა სანაქებო ვიყავით...და თუ ვინმე შემოგვძახა, ხალხნო, თვალი გაახილეთ, გაიღვიძეთ, მტერ-მოყვარე გაარჩიეთო...სულიერათ დაავადებულათ გამოაცხადებენ და იქითკენ გაისტუმრებენ, საიდანაც უკან არავინ ბრუნდება...

ქართული მიწა-წყალი, მისი ზესკნელი და ქვესკნელი, მისი ფლორა და ფაუნა, შემოქმედის მიერ არის შექმნილი...ამიტომ ქართველნი ჯიშიანი გენებით შობილნი არიან. ყოველვე მისი – ენა, დამწერლობა, ხუროთმოძღვრება, მხატვრობა...ყოველი დარგი გენიალურობის ნიშნით არის ცხებული. არაერთი ბუმბერაზი მისცა ქართულმა გენიამ კაცობრიობას...ამიტომ მრავლობს უსახური მტერი ქართველთა. მათი ნაცადი იარაღია გათიშვის ცდები ერისა, ამიტომ მთავარი ერის ერთსულოვნებაა ჭირში და ლხინში, ამის შთაგონებით უნდა ირწეოდეს ყოველი ქართული აკვანი...ერთიანობა, ასე მწარეთ გვჭირდება დღეს, რათა აღდგენილ იქნას ქართველი ერის სუვერენობა, სახელმწიფოებრივი თავისთავადობა.

## ბესარიონ ვაშაძის წერილები

### მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ელენე (იგივე ელისაბედი)

(ნეკროლოგი)

სექტემბრის 6-ს, პარასკევს დილის 4–5 საათზე, ორი კვირის ავადმყოფობას შემდეგ, კუჭისა და ფილტვების ანთებით, გადაიცვალა მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვარი მაღალღირსი იღუმენია ელენე, შობიდან 67 წლისა. განსვენებული იღუმენია იყო ქუთაისის მაზრის სოფ. სიმონეთის მცხოვრებლის აზნაურის მიქელ (იგივე მიხეილ) ჭუმბურიძის ასული. განსვენებული სიყმაწვილეშივე მიუბარებიათ სოხასტრის დედათა მონასტერში, სადაც მას მიეღო განათლება სამშობლო ენაზე, ე.ი. უსწავლია წერა–კითხვა, საღმრთო წერილი და საეკლესიო გალობა ძალიან კარგათ და მაშინ კიდეც გადაეწყვიტა მონაზნობა. ამასვე სოხასტრის დედათა მონასტერში, როგორც ჩანს ნამსახურებრითი სიიდან, იმერეთის 1847 წელში მიტროპოლიტის დავითის მიერ განწესებულ არს მორჩილად 8-ს აპრილს

იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს განკარგულებით აღკვეცილ არს მონაზონათ არქიმანდრიტ გაბრიელის მიერ გაენათის მონასტერსა შინა 28 აგვისტოს 1845 წელს.

ყოვლად საღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით განწესებულ არს თანაშემწეთ მღვიმის დედათა მონასტრის წინამძღვრის ათინაიასთან 27 დეკემბერს 1871 წელს.

დაინიშნა წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებლათ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის განკარგულებით 11 დეკემბერს 1884 წ. აღყვანილ არს იღუმენიის ხარისხზე იმავე ეპისკოპოსის გაბრიელის განკარგულებით 11 დეკემბერს 1886 წელს.

ერთგული სამსახურისათვის იმავე ეპისკოპოსი გაბრიელის მიერ ებოძა გულის ჯვარი 1892 წელში.

აწ განსვენებული იღუმენია ელენე მხნეთ და პატიოსნათ მართავდა მონასტერს თორმეტი წლის განმავლობაში. იყო შემბრალე გლახაკთა და დავრდომილთა; იყო ფრიად ღვთის მოშიში და მლოცველი. როდესაც მიიღო დანიშნულება დედათ წინამძღვრის თანამდებობაზე 1884 წელში, აწ განსვენებული იღუმენია შეუდგა მონასტრის გაუმჯობესებას:

იშუამდგომლა სასულიერო მთავრობასთან და თითო სართულიანი მონაზონთა სადგომები (სენაკები) გადააკეთა ოროლ სართულიან შენობათ, შეაკეთა ადგილობითი ეკლესია და მოუპოვა სხვა და სხვა სამჭირო ნივთები, ააგო სამრეკლო და შემოუმატა მშვენიერი ზარი და სხვა....

ამასთანავე განახორციელა ძველებური მონასტრების დანიშნულება-სწავლა-განათლება; მთავრობის ნება-რთვით და თავის მზრუნველობით დაარსა 1 იანვრიდან 1894 წელს ერთკლასიანი საეკლესიო – სამრევლო სკოლა ორთავე სქესისათვის მისდამი რწმუნებულს მონასტერში, რომელშიაც მუდამ სწავლობს არა ნაკლებ 50 ქალი და ვაჟი. განსვენებულს ძალინ უყვარდა პატარა მოსწავლე ბავშები და ყოველთვის დარიგებას აძლევდა და აგულიანებდა მათ სწავლაზე და ღარიბს მათგანს აძლევდა შემწეობას.

შეუბრალებელმა სიკვდილმა მოულოდნელათ გამოგვაცალა ხელიდან; მწარე ცრემლებით და შენდობით გამოეთხოვენ განსვენებლს მონასტრის კრებული დები – მონაზვნები და ყველა მისის ნაცნობი და მონათესავე 8 სექტემბერს, რომელ დღესაც დაკრძალეს მონასტრის სასაფლაოში.

საუკუნით იყოს ხსენება შენი, მაღალ ღირსო დედაო იღუმენია! განსვენების დღეს წირვა, წესის აგება და პანაშვიდი შეასრულა ჯრუჭის არქიმანდრიტმა მამა ბენიამენმა მღვდ. ბლაღოჩინების იოსებ წერეთლის, აბესალომ ჩაჩანიძის სამღვდელო პირების თანდასწრებით ადგილობითი მონასტრის ეკკლესიაში.

*„მწყემსი», 1896. – №19. – გვ. 4–5.*
*„კვალი», 1896 წელი. – №41. –გვ. 724–725.*

## მღვიმის დედათ მონასტერი
## (ზემო იმერეთში)

როგორც გამოკვლეულია სხვა-და-სხვა დროს, მღვიმის მონასტერი არის აშენებული მეცამეტე საუკუნეში რაჭის ერისთავის რატი კახაბერისძის და მისი მეუღლის რუსუდანის მიერ. ეს მონასტერი მდებარეობს დაბა ჭიათურიდან 2 ვერსის მანძილზედ მდინარე ყვირილის ხეობაში, რომელიც მედიდურად გადმოჰყურებს მდინარე ყვირილას და მის გარშემო ვიწრო დაცემულ მდებარე ჭალებს. ამ მონასტერს აქვს

ნამდვილი უდაბნოს ხასიათი. ამ მონასტერში შესანიშნავი თლილი ქვის ეკკლესია სხვა-და-სხვა ნაირი ჩუქურთმების სახით აჭრელებული და დახატული....

გამოქვაბული, სახელწოდებული „ბნელეთი» ღია არის მხოლოდ სამხრეთის მხრით; სიგანით 30 არშინი, სიგრძით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ 60 არშინამდის, (20 საჟ.) ხოლო სიმაღლით თუთხმეტ არშინამდეა (5 საჟ.) შებრძანდებით თუ არა „ბნელეთში», პირველად თქვენ ყურადღებას მიიქცევს ცივი წყარო, რომელიც ლამაზათ გადმოჩანჩქარებს „ბნელეთის» თაღითგან; ეს წყარო პირველ საუნჯეთ უნდა ჩაითვალოს ამ მონასტრის მცხოვრებთათვის; ეს წყარო რომ არ ყოფილიყო, მონასტერიც არ აშენდებოდა; ყოველ წლობით ნათლისღების დღეს ამ წყაროს აკურთხებენ ხოლმე და დიდძალი ხალხიც ესწრება წყლის კურთხევას. ამ „ბნელეთში» უწინ ქვითკირის სათევზე აუზი ყოფილა აშენებული, რომელშიდაც ჰყავდათ მდინარე ყვირილიდან ამოყვანილი სხვა-და-სხვა თევზები, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ამ აუზის ეხლა კვალიც აღარა ჩანს. იქვე, სადაც წყარო ჩამოდის, „ბნელეთში», ბუნებით გაკეთებულია „სტალაგმიტი». („სტალაგმიტი» ბერძნული სიტყვაა და ჰქვია ისეთ ქვას, რომელიც ბუნებით ჩნდება გამოქვაბულ ადგილებში მწვეთავი კირ-ნარევი წყლის ცრებისაგან და ხშირათ წააგავს „კონუსს» ანუ შაქრის თავს). ეს „სტალაგმიტი» სიმაღლით ორ საჟენამდეა და ძირი ირგვლივ ოთხ საჟენამდის ექნება. მნახველი რომ დააკვირდეს, შეამჩნევს, რომ ეს ბუნებით აშენებული ქვა თან-და-თან იზრდება, რასაც ამტკიცებენ „ბნელეთის» თაღიდგან ჩამომდინარე წყლის ცვრები.

„ბნელეთის» კედლების ძირში ძველათ უმარხავსთ ხოლმე გარდაცვალებულები; დღესაც შეგვიძლია ვნახოთ იმ დროის რამოდენიმე მიშენებული საფლავები განსაკუთრებით აღმოსავლეთისკენ. ამ „ბნელეთში» სამხრეთისკენ, საიდანაც შესასვლელი არის, აშენებულია ორი ლამაზი თლილი ქვის ეკკლესია; ერთი არის მიშენებული დასავლეთის მხრით თვით „ბნელეთის» კედელზედ, რომელიც მეტათ პატარა არის (სიგანით საჟენი, ხუთი არშინის სიგრძით და ამ ზომის შესაფერისი სიმაღლე). ეს პატარა ეკკლესია, როგორც მოგვითხრობენ, პირველათ აუშენებიათ, სადაც წირვა-ლოცვა სრულდებოდა მეორე დიდი ეკკლესიის აშენებამდის; დღეს ეს ეკკლესია სრულიად გაუქმებულია, ხოლო მეორე ეკკლესია ბევრათ დიდი არის პირველზედ, დაშორებულია პირველიდან ერთი საჟენის მანძილზედ; ამ ტაძარში მუდამ სრულდება ღვთის-მსახურება. აი ეს ეკკლესია არის თვითონ ის, რომელიც ამ წერილის თავში მოვიხსენიეთ.

უადგილო არ იქნება, ვგონებ, აქვე აღვნიშნოთ ამ ეკკლესიის კედლებზედ და ხატებზედ წარწერილება ძველთაგან. ტაძრის აღმოსავლეთის კედელზედ გარეთ აწერია შემდეგი ლექსი: „ბატონი-შვილის გიორგის მიერ წინამძღვარ ვიქმენ დიონოს აქა და ფრიად ღვაწლის დამდებმან ესე საფლავი ვითხარ აჰა!' ამ წარწერილების პირდაპირ საფლავი არის გაჭრილი. შიგნივ ტაძარში ჩრდილოეთის კედელზედ არის სამი მხატვრობა წარწერილებით:

„რატი კახაბერის ძე – ამა ეკკლესიის აღმაშენებელი რაჭის ერისთავი კახაბერიძე, მეუღლა მისის რუსუდან, კახაბერიძე ნიანია».

დასავლეთის ვაზის კარებზედ აწერია:

„რატის ძესა, კახაბერსა გაუმარჯოს ღმერთმან, ამინ, ამინ. საღირს ციმაკურიძესა შეუნდვნეს ღმერთმან ამინ; გოგიას-ძეს დავითს და მის მეუღლეს მარიამს შეუნდვნეს

ღმერთნმან ამინ. ამ კარების შემამკობელს... ამ...თემით მოსულსა აბესალომს ლომინას ძეს, მისა მეუღლესა თამარს შეუნდვნეს ღმერთმან ამინ». დასავლეთის მხრით-გარეთ ეკკლესიის კარის ზჭესთან არიან დასაფლავებულნი ბატონიშვილი გიორგი და მეუღლა მისის მზეხათუნ დადიანის ასული, საფლავის ქვებზედ წარწერა შებღალული და გადალესილია სიძველით და ძნელი ამოსაკითხია.

ხატებზედ არის წარწერა ხუცური ასო-მთავრული ხელით და ზოგან ასოები წაშლილია და ძნელთ გასარჩევი.

მარჯვნივ მაცხოვრის ხატზედ აწერია:

„ქრისტე! კაცთა ხსნისათვის ქვეყნად მოსრულო, არსთა მფლობელო, დღესა მას დიდსა მიხსენ მარჯვენით მდგომარეთა, მამკობი ხატისა შენისა რუსუდან».

მარცხნივ მაცხოვრის ხატზედ აწერია:

„ყოვლად წმიდაო, მღვთის-მშობელო. მეოხ ეყავნ წინაშე ძისა შენისა დღესა მას დიდსა დედოფალთ დედოფალს რუსუდანს, რომლისა ოქროითა მოვაჭედინე ხატი ესე შენი და მიითვალე მსახურება ესე».

მარჯვნივ ნათლის-მცემლის ხატზედ აწერია:

„ნაშობთა ყოველთა უმეტესო, წინა-მორბედო და ნათლის-მცემელო, მეოხ მეყავ წინაშე ქრისტესა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. რატი რაჭის ერისთავი».

დიდ ვერცხლის ჯვარზედ უკან აწერია:

„ჯვარო წმიდაო, პატიოსანო, მეოხებითა შენითა მაცხოვნე მონა შენი მე მეფეთ მეფის ძე პანკრატი ძე კონსტანტინე ... და ელენე, ამინ».

სამი წლის წინეთ მღვიმის დედათ მონასტრის წინამძღვარმა ნეტარ-ხსენებულმა იღუმენია ელენამ მთხოვა, რომ ეს წარწერილობანი ცალკე რვეულში ჩამეწერა მონასტრის უცხო მნახველთა წასაკითხავად, რადგანაც ყველა მნახველს არ ეხერხებოდა ხუცური ასო-მთავრული ხელით წარწერილობის ამოკითხვა, ამისთვის მეც ცალკე რვეულში მოვათავსე წარწერილობანი, რომელიც ინახება ეკკლესიაში – თვით მაცხოვრის ხატის წინ.

*ჭიათ. საეკ. სამ.სკ. მასწავ.ბესარიონ ვაშაძე*
*„მწყემსი», 1898, №2. – გვ. 13–14.*

## საისტორიო მასალა

### მღვიმის დედათა მონასტერი
### (შორაპნის მაზრაშია)

ამას წინად ჩვენ გვქონდა ლაპარაკი მღვიმის მონასტრის ორს ეკკლესიაზე, მისს გამოქვაბულ „ბნელეთზე» და წყაროზე (იხ. 1898 წ. „მწყემსი», №2), გარდა ამისა, მაღალ კლდეზე, რომელიც მონასტერზე დაშორებულია 70–80 საჟენზე; ამ ციცაბო კლდეში არის ხელოვნურად გამოჭრილი ერთი მეტად პატარა ეკკლესია, რომელსაც ორი საჟენი სიგრძე აქვს და ორი – სიგანე; ხოლო სიმაღლით 2,5 არშინია. ამ პატარა ეკკლესიას შიგნივ

სამსხვერპლო (სამკვეთო) და საკურთხეველი რიგზედ აქვს მოთავსებული, შიგ რაოდენიმე ძველი ხატი არის დასვენებული; არის აგრეთვე საწიგნობელი, რომელსზედაც სძევს ერთი პატარა ქართული ხელნაწერი დაუჯდომელი ღვთის მშობელისა და სხვა ლოცვები; ამ ლოცვანის ბოლოს წერია: „1857 წ.» და სახელი და გვარი „ალექსანდრე ბაქრაძე» ბერძნულათ აწერია.

ამ მონასტრის სხვა ეკკლესიები მეცამეტე საუკუნეში არიან აშენებული და ეს ეკკლესია კი რამოდენიმე ასი წლის წინეთ უნდა იყოს გაკეთებული და რაც შეეხება იმას, რომ ლოცვანში ჩაწერილა „1857 წ.», ეს ადვილი მისახვდომია, ალბად ვინმე ალექსანდრე ბაქრაძე ამ ორმოცდაორი წლის წინეთ დასათვალიერებლად შესულა ამ ეკკლესიაში, როგორც დღეს შედიან მნახველები, და ლოცვანის ბოლოს ჩაუწერია წელთა რიცხვი და სახელი და გვარი ნახვის სახსოვრად.

დასავლეთის მხრით ეკკლესიას აქვს ხელოვნურად გამოჭრილი მღვიმე, სადაც უნდა ჰქონებოდესთ ხოლმე სხვა და სხვა სარჩო და სანოვაგეს შესანახავი იქ მცხოვრებ ძმათა. აღმოსავლეთ ეკკლესიას აკრავს ხელოვნურათვე გამოქვაბული ორი პატარა სადგომი – სენაკი თავის ბუხრით; ამ სენაკებში მხოლოდ თითო ადამიანს შეეძლო მოთავსება. ეს ეკკლესია თავის პატარა გამოქვაბული ოთახებით და სალაროთი იმნაირათ არის იმ დიდი კლდეში გამოჭრილი, რომ გარედგან სრულიადაც ვერ დაინახავთ, სანამ მნახველი ადგილობრივ არ მივა. მხოლოდ წინ უდგიასაჟენნახევრის სიმაღლე ძველი მუხა, რომელიც არ ტყდება და არც იზრდება, რადგანაც ფესვები პიტალო კლდეზედ აქვს მოფრთხნილი. დასავლეთის მხრით მონასტრიდგან ამ ეკკლესიასთან ადის ერთი მეტათ ვიწრო ბილიკი – გზა; ამ პატარა გზის მეტი ეკკლესიას არც ეზო აქვს და არც სხვა გზა. ვინც სანახავად შედის, ამ გზას ცალი გვერდით უნდა გაეკრას და მეორე გვერდით არ უნდა გადიხედოს, რადგანაც საოცარი სიმაღლე აქვს და თუ გამბედავი არ არის, თვალი შეუშინდება; დანარჩენი მხრით ეკკლესია შემოზღუდულია დიდი და გაუვალი საშიში კლდეებით და სიმაღლით, ასე რომ ფრინველების მეტი ვერა მიუდგება რა.

არავითარი სხვა ლეგენდა, არც ზეპირ-გადმოცემა ამ პატარა ეკკლესიის და სენაკების შესახებ ხალხში არ დარჩენილა, მხოლოდ ამბობენ, რომ უხსოვრის დროიდგან, როდესაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს დაუძინებელი უსჯულო მტრები მოსვენებას არ აძლევდნენო, ორი მართლ-მადიდებელი ბერი შორიდგან გამოქცეულან, მოსულან ამ მიუდგომელ ციცაბო კლდეზე, გამოუჭრიათ ეს პატარა ეკკლესია და თავის სადგომები, დაყუდებულან აქ ეს წმიდა მამები და აქვე განმარტოებით დაულევიათ თავის წმიდა სული...

*ჭიათურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი*
*ბესარიონ ვაშაძე.*
*„მწყემსი», 1899 წელი. –N11. – გვ.14.*

**უჯამაგირო სოფლის სამღვდელოება. მათი დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა და მომავალი ჯამაგირები**

ჩვენი საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა არც კი იცის, თუ რანაირად დაქვეითებულია ქონებრივად სოფლის უჯამაგირო სამღვდელოება, – ჩვენდა სამწუხაროდ, ჯამაგირიანმა სამღვდელოებამაც უმეტეს ნაწილად არ იცის თავის გაჭირვებული თანა მოძმე უჯამაგირო სოფლის სამღვდელოების მეტად შევიწროებული ნივთიერი მდგომარეობა; ეს იქიდან სჩანს, რომ ქუთაისში სამღვდელოების კრებაზე, რომელიც ამა წლის 16 მარტიდგან გაიხსნა, ზოგიერთი ჯამაგირიანი მამები უჯამაგირო გაჭირვებულ მღვდლებს პირზე ხელს აფარებდენ და ეუბნებოდენ: „ჯამაგირის შესახებ კრინტიც არ დასძრათ, კუჭზედ ლაპარაკი სირცხვილია საღვდელოებისათვისო.» ამას გაიძახოდნენ უმეტესად ჯამაგირიანი მღვდლები...

მართალია მოთმინება ძალიან კარგი თვისებაა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მოთმენასაც და მოუთმენლობასაც თავთავის საკუთარი საზღვარი აქვს და როცა საზღვარს გადაცილდება, აღარც მოთმენა შეიძლება და აღარც მოუთმენლობა. ადამიანი ხომ თევზი არა არის, რომ მარტო წყლითა და ჰაერით ირჩინოს თავი.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ის თანამდებობის პირი, ის მოხელე და ის მუშაკი სასულიეროა იგი, თუ საერო, საზოგადო მოღვაწეა, თუ კერძო პირი, ბევრად უფრო პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, უფრო ენერგიულად და გულმოდგინეთ ემსახურება ყოველ უწყებაში, როდესაც იგი ნივთიერად უზრუნველ ყოფილია.

ყველა სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებაში მოსამსახურე პირები სთხოვენ მთავრობას, რომ იგინი უზრუნველ-ყოფილი გახადონ ჯამაგირებით და თუ არა გულ არეკილი გაურბიან, სტოვებენ ერთს უწყების სამსახურსა და სხვა სამსახურს ჰკიდებენ ხელს და ულუკმა-პუროთ არ რჩებიან მაინც და მით უმეტეს ჩვენი უჯამაგირო სამღვდელოება უფრო არ უნდა თხოვილობდეს ჯამაგირებს და თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას?

თითოეულმა ჩვენგანმა კარგათ იცის, რომ მცირე სამრევლოს ეკკლესიის კრებულს ჯამაგირი აქვს დანიშნული და დიდი სამრევლოები კი უჯამაგიროდ არიან, ასეც უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ დღემდის მცირე სამრევლო ეკკლესიის კრებულს ჯამაგირს გარდა სამრევლოდგან მეტად მცირე შემოსავალი ჰქონდა და დიდის სამრევლოებში კი ეკკლესიის კრებულს გაცილებით მეტი შემოსავალი ჰქონდა, რითაც კმაყოფილდებოდა და მთავრობასაც აღარ აწუხებდა. დღეს კი ორივე სამრევლოებში როგორც დიდში, ისე პატარაში დაუყონებლივ ჯამაგირების დანიშვნა არის საჭირო, რადგანაცერთშიდაც და მეორეშიდაც როგორც დრამის ფულები ისე სხვა შემოსავლებიც მეტად შეამცირა ხალხმა საყოველთაო მოძრაობისა გამო და მცირე სამრევლოს კრებული, რომელსაც ცოტა შრომა და სამსახური დაევალება იმ დანიშნული ჯამაგირით რავარც არის დიდის გაჭირვებით ცოტათი თუ ბევრად კმაყოფილდება, ხოლო დიდი სამრევლოს ეკკლესიის კრებული, რომელსაც დიდი შრომა და სამსახური მიუძღვის თავის სამწყსოში უსასყიდლოდ და უჯამაგიროდ მსახურებს.

დღევანდელი სამღვდელოების ეკონომიური მდგომარეობა ოთხ კატეგორიად უნდა გავყოთ: პირველ კატეგორიას ეკუთვნის ის სამღვდელო პირი, რომელიც ისე დაახლოვებით სცხოვრობს თავის სამრევლოზედ, რომ შინიდგან დაიარება სამსახურში, ანუ თავის სამშობლო სოფელში მსახურებს, სადაც მას აქვს საკუთარი სახნავ-სათესი, ადგილ-მამული, ტყე, წისქვილი, საბალახე და მოუდის ჭირნახული, რომელიც წლიურ

სარჩოდაც ყოფნის და კიდეც გაყიდის ხოლმე. ამასთანავე ხაზინიდან ჯამაგირიც აქვს ოცდა-ათ თუმნამდის, ასეთ მღვდელს შეუძლია იცხოვროს გაჭირვებულად და ერთ შვილსაც შეინახავს სასწავლებელში.

მეორე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი მღვდელი, რომელსაც თავის სოფელში აქვს სამრევლო და იმ პირობებში, როგორც პირველ კატეგორიაში აღვსწერეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხაზინიდგან ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი არ ეძლევა; მღვდლის ასეთი მდგომარეობა სანატრელი არ არის, მაგრამ რაკი თავის მამულში სცხოვრობს, თუკი ადგილ-მამულით ღარიბი არ არის, როგორც იქნება სიმშილს და სიცივეს აიშორებს თავიდგან – ხოლოდ შვილს ვერ აღზრდის და ვერც არას შეიძენს ოჯახისათვის.

მესამე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი სამღვდელო, პირი, რომელიც უცხო სოფელშია შორს გამწესებული, სადაც მას არა აქვს ადგილ-მამული, არა აქვს საკუთარი სახლი და არც საეკკლესიო სახლი, სდგას ნაქირავებ სახლში წვრილი ცოლ-შვილით და სცხოვ-რობს, მხოლოდ იღებს ხაზინიდგან ოცდა-ათ თუმანს წლიურ ჯამაგირად, მაგრამ ასეთი მღვდელიც დიდი გაჭირვებაშია შთავარდნილი იმიტომ რომ ხაზინიდგან დანიშნული 30 თუმანითგან სასწავლებლების გადასახადებიც უნდა დააკამყოფილოს, სახლიც უნდა იქირაოს, წლის-წლობამდის პურ-ღვინოც, შეშაც და საჭამადიც უნდა იყიდოს, ტანისამოსი და ფეხთ-საცმელიც უნდა ჩაიცვას და სხვა ყოველგვარი ოჯახის მოთხოვნილებაც უნდა დააკმაყოფილოს. ამასთანავე ხშირად ხდება მღვდლებს და მათ ოჯახობას ავად-მყოფობა და მათი მოვლა და წამლები კიდევ სხვა არის. ერთი სიტყვით, ხაზინის ოცდა-ათი თუმანი ნახევარი წლის ხარჯათაც აკი არ ყოფნის და დანარჩენს დროს კი მშიერ–მწყურვალმა უნდა იმსახუროს ცოლ-შვილით. შვილებს ვერასოდეს ვერ აღზრდის და ვერც ვალებს აიშორებ თავიდგან, ისე დაღარიბდება, დაგლახაკდება.

მეოთხე კატეგორიას ეკუთვნის ისეთი მღვდელი, რომელიც გამწესებულია უცხო სოფელში შორს, სადაც მას არა აქვს არავითარი სახნავ-სათესი ადგილ-მამული, არა აქვს არც სეკკლესიო ადგილი, არც საბინავო სახლი, სიშორის გამო სამრევლოს ვერა შორდება და ცოლ-შვილით სცხოვრობს ნაქირავებ სახლში და ყოველიფრის მონაკიდეა, რაც კი ადამიანს ოჯახში სჭირდება არაფერი თავისი არ აქვს და ხაზინიდგანაც ოცდა-ათი თუმანი არა აქვს დანიშნული. მივაქციოთ ყურადღება ასეთ გაჭირვებულს მღვდელს და ჩვენ ვნახავთ, რომ მას თავის ცოლ–შვილით შია, სწყურია, სცივა, ავათ არის დაავადმყოფებულია მოუვლელობით, ტანისამოსი არ აცვია და არც ცოლშვილს უცმევია. ცუდიც ცხოვრებით დაბეჩავებული და დაგლახავებულია, კაცი მის მდგომარეობაში არ შედის, მრევლი ეუბნება: „დღემდის გარჩინეთ, მამაო, დღეს აღარც ჩვენ შეგვიძლია და შენ თავს როგორმე უპატრონე, ჯამაგირი გამოთხოვე მთავრობას და ისე ირჩინე თავი, ჩვენგან ნურას ელიო» და სხვა. ...ასეთმა მღვდელმა უნდა გადაიტანოს ყოველგვარი გაჭირვება და ათასნაირი ნაკლულოვნება თავის უბედურ ცხოვრებაში, ძალა-უნებურად ითმენს საცოდავი მღვდელი ყოველიფერ გაჭირვებას და მასთან უნდა მოითმინოს ის დიდი სირცხვილი, რომელიც გამოწვეული იქნება მისის გაჭირვებით.

რომ მრევლს და მღვდელს შორის დამყარდეს მამაშვილური სიყვარული და პატივისცემა, მშვიდობა და სათნოება, აუცილებლად საჭიროა შემდეგი: 1) სამღვდელო პირებს, განურჩევლად იმისა დიდი სამრევლო უჭირავს, თუ პატარა, აუცილებლად დაენიშნოსთ ჯამაგირები საყოველთაოდ და უზრუნველ-ჰყონ სამღვდელოება ისე, რომ

ხალხთან არავითარი დამოკიდებულება რა ექნესთ სავალდებულოდ ფულების გადახდევინების შესახებ და თუ ვინმე თავის ნებაყოფლობით მღვდელს რასმეს აჩუქებს, ეს მისის ნება იქნება, რადგანაც ასეთი საჩუქარი არ იქნება ძალადატანებული, არ იქნება სავალდებულო, არამედ თავისი საკუთარი სურვილით და ნებაყოფლობით. 2) სადაც კი შესაძლებელი იქნეს, ადგილობითი მწყემსმთავრის კეთილნებაყოფლობით და შეხედულობით სამღვდელოება გადაყვანილი იქნეს ერთიმეორის ადგილზედ შეძლებისა გვარად ისე, რომ დაახლოებით შინიდგან ემსახურონ ან თვით სამშობლო სოფლებში იქნენ გამწესებული, ასეთ შემთხვევაში მღვდელიც უფრო უზრუნველ ყოფილად ჩათვლის თავის თავს, რადგანაც თავის სოფელში იქნება მღვდლად, სამრევლოც უფრო კმაყოფილი იქნება, რადგან მღვდელი მუდამ მოუცილებლად შინ ეყოლება და მასთან როგორც ადგილობრივი მცხოვრები, მღვდელიც საზინაო სახლსაღარ მოსთხოვს სამრევლოს და ამითი სამრევლოსაც შეღავათი ექნება, მღვდელიც კმაყოფილი დარჩება და თვით სასულიერო მთავრობაც განთავისუფლდება იმ საჩივრებისა და თხოვნების გარჩევისაგან, რომლითაც ხშირად აწუხებენ მღვდელ-მთავარს, რომ ესა და ეს მღვდელი მრევლში არ სცხოვრობს, ჩვენ დროზედ ვერ გვემსახურებაო და სხვა ამისთანა. 3) თუ ვინიცობაა მთავრობა შესაძლებლად არა სცნობს, რომ ყველა ეპარქიების სამღვდელოებას ერთბაშად ყველას ერთად არ დაენიშნებათ ჯამაგირები, საჭიროა და სასურველია, რომ რაც შეიძლება – თავდაპირველად და საჩქაროდ დაენიშნოსთ ჯამაგირები ისეთ სამღვდელოებას, რომელნიც მეოთხე კატეგორიას ეკუთვნიან და შემდეგ კი თანდა-თანობით დანარჩენებსაც მიეცესთ. 4) უკეთუ რაიმეს დიდი მიზეზით ახალი ჯამაგირები არ დაინიშნოსთ უჯამაგირო სამღდელოებას, სასურველია დროებით ჩამოაკლდეს განსაზღვრული ნაწილი ჯამაგირისა პირველი კატეგორიის სამღვდელოებას და დაეხმაროს მეოთხე კატეგორიის სამღვდელოებას საყოველთაო ჯამაგირების დანიშვნამდის და თუ არც ეს შეიძლება, იმ შემთხვევაში მეოთხე კატეგორიის მღვდელს მიეცეს ხოლმე ერთჟამიერი შემწეობა ეპარქიის რომელიმე შემოსავლის წყაროდგან და მასთან მეოთხე კატეგორიის სამღვდელოება განთავისუფლებული იქნეს ყოველგვარი გადასახადებიდგან, თუ ეს ასე არ იქნა, მეტად ცუდია იმიტომ, რომ ერთი ეკკლესიის მრევლი კმაყოფილი იქნება, მეორე – უკმაყოფილო და მშიერი, ერთი დაიჩაგრება და დაზეჩავდება სისაწყლით და გაჭირვებით, მეორე ამ დროებით ქვეყანაში ცოტათი მაინც ბედნიერი იქნება, შრომელი და მუშაკი სამღვდელოება მთლად მშიერი რჩება და შრომელი და უმუშაკო კი მაძღარი იქნება. 5) ზოგიერთი შტატის ეკკლესიაზედ ორი მედავითნე ერთად მსახურებენ, ერთი შტატის მოსამსახურედ ითვლება და ცოტაოდენი ჯამაგირიც აქვს, მეორე კი შტატგარეშე და უჯამაგიროდ მსახურებს; თუმცა როგორც პირველ მედავითნეს, ისე მეორესაც სამრევლოში შემოსავალი ფულებიდგან ნაწილი ეძლეოდათ, მაგრამ დღეს რაღა მიეცემათ საცოდავებს, როდესაც შემოსავლები დაიკეტა... სასურველია, სადაც კი დაიცალოს პირველი მედავითნის ადგილი, მეორე მედავითნეს მიეცეს ყოველთვის იმ დრომდის, სანამ ყველა მეორე მედავითნეებს პირველი მედავითნის ადგილები არ ჩამოურიგდებათ და შემდეგ ამისა, ახალი კაცების განწესებაც შეიძლება, თორემ მარტო განათლების „ცენზს» თუ უყურეთ ყოველთვის უპირატესობა მიეცემა მეორე ნამსახური მედავითნეები კი ისეთივე უადგილოთ დარჩებიან. 6) ძალიან საჭიროა და სასურველი, რომ ყოველ შტატის ეკკლესიას ექმნეს საკუთარი სახლი კრებულისათვის, ასეთ

შემთხვევაში კრებულიც უფრო განუშორებლად იმსახურებს და ხალხიც უფრო კმაყოფილი იქნება. მხოლოდ თავდაპირველად სამრევლოს დაეზაროს სახლის აშენება კრებულისათვის, მაგრამ ბოლოს მათთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ბევრნაირად.

ამა წლის გაზეთის „მწყემსი»-ს N8-ში (იხ. გვ.13) წავიკითხეთ, რომ მღვდელს 750 მანეთი ენიშნება წლიურ ჯამაგირად და მედავითნეს 250 მანეთიო, ეს ამბავი ელვასავით მოედვა მთელ სამღვდელოებაში და იქნებ ღმერთმან ქნას და ასრულდეს უწმიდესი სინოდის კანტორის შუამდგომლობა.

*დილიკოურის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვ. ბესარიონ ვაშაძე.*
*„მწყემსი», 1905 წელი. –N11. – გვ. 9–11.*

**უსარგებლო და თან მავნებელნი ჩვეულებანი ჩვენში**

ჩვენს კურთხეულ საქართველოში ბევრი კარგი ჩვეულებაა, მაგრამ ბევრი ძლიერ მავნებელი და სამარცხვინოა; ამ მავნებელ ჩვეულებათ ეკუთვნიან:

მიცვალებულთა დასაფლავებაზე ქელეხი, რომელსაც მოსდევს ოჯახისათვის ამომგდები და მავნებელი ხარჯები.

ზოგიერთი დღესასწაულების გადახდა, რომელთა შედეგი არის არა მარტო უზომო ხარჯი, არამედ დაჭრა, თავპირისმტვრევა, მკვლელობა და სხვა ათასი გარყვნილება და ბიწიერება ზნეობისა, რომელთ სრულიად ეწინააღმდეგება დღესასწაულების წმიდად და შეუგინებლად, როგორც საღვთის-მეტყველო მეცნიერება გვიჩვენებს.

სწავლა-განათლების წინააღმდეგ დაბრკოლება, მაგალითად ბოროტ-განზრახვით სკოლის შენობის ცეცხლის წაკიდება, (რომელიც ხშირი მოვლენაა სახალხო-საერო სკოლებში) მშობლებისგან გულ-ცივი დამოკიდებულება სკოლაში მოსიარულე შვილებთან და სხვა...

მგლოვიარე პირების ეკკლესიებში, წირვა-ლოცვებზე წაუსვლელობა. საეკკლესიო კანონი იმას გვირჩევს, რომ ეკკლესიაში ხშირად ვიაროთ და ჩვენი გარდაცვალებულების სული შევავედროთ ყოვლად მოწყალე ღმერთს. ჩვენ მგლოვიარე ხალხს კი სირცხვილად მიაჩნია ეკკლესიაში სიარული.

სოფლის უმეცარი ექიმობა და მკითხაობა, რომლის წყალობით მრავალი მდაბიო რასმეს ხალხი ეთხოვება წუთი-სოფელს, ეცემა ქონებითა, ზნეობითა და ათას გვარ უსიამოვნება, მტრობა და ცილის წამება არის გავრცელებული ხალხში მკითხავი დედა–კაცების წყალობით, მათხოვრობაც ერთი საძაგელი ჩვეულება არის; ზოგს შეუძლია იშრომოს და თავის საკუთარი ოფლით სჭამოს პური, მაგრამ რაკი მიეჩვევა თხოვას, ხელობათ გადაექცევა და მუდამ სხვის ჯიბეზე და ქონებაზე უჭირავს თვალი და სხვა და სხვა.

ცხოვრება წინ მიდის, მეცნიერება ფართოვდება და ამიტომ, სადაც ცოტა განათლებამ შეანათა საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში, ზემოდ-ჩამოთვლილ ჩვეულებათა

მოსპობას კიდეც შეუდგენ და ზოგან კი ბაიბურშიდაც არ არიან. ამ მავნებელ ჩვეულებათ შეუძლიათ მკაცრად შეებრძოლონ ჩვენი ნასწავლი მამები მასწავლებლის და სოფლის მოსწავლეების დახმარებით, რადგანაც ისინი უფრო დაახლოვებულნი არიან ხალხთან თავიანთ სამწყსოში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უმეტესი მათგანი ვერ ასრულებს თავიანთ მოვალეობას, რადგანაც უმეტეს მათგანს პირადი ინტერესები გაუხდია სატრფიალო საგნათ; არ უნდათ შეებრძოლონ ხალხის მავნებელ მიმართულებას. არ უნდათ თავის მრევლში ვისმეს აწყენინონ; უნდათ ყველას ასიამოვნონ და მითი დაიმსახურონ ხალხში პატივის-ცემა და სიყვარული...

ზოგიერთი დიპლომიანები სანამ იშოვიან თბილ ადგილებს, გვპირდებიან ბევრს რასმეს გავაკეთებთ საზოგადოებაშიო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, არათუ გააკეთებენ რასმეს და გავლენას იქონიებენ მრევლზე, პირიქით, მრევლის გავლენის ქვეშ ვარდებიან და თავის მიმართულებაზე მიყავსთ მოძღვარი...

მაშ, რათ გვეჭირვება დღეს ნასწავლი მღვდლები, – განა მარტო იმიტომ, რომ საეკკლესიო საბუთები აწარმოვონ და მრევლში მღვდელმოქმედება შეასრულონ?! არა, საჭიროა ნასწავლი მამები იმისათვისაც, რომ ხალხში გაავრცელონ სწავლა-განათლება და ამითი მოსპონ ზოგიერთი მავნე ჩვეულებანი. მარტო „დიპლომი» კი არა კმარა ხალხის საკეთილდღეოთ, საჭიროა „დიპლომთან» კარგი მომზადება პრაქტიკულად და ენერგია, მტკიცე ხასიათი, უანგარობა და პირუთვნელობა. თუმცა ამას პირველში მოყვება მრავალი დაბრკოლება და უსიამპოვნება, მაგრამ ჭეშმარიტება თავისას გაიტანს და შედეგი მაინც ნაყოფიერი იქნება, თორემ, თქვენი მტერია, მარტო „დიპლომმა» და მიწაში ჩაფლულმა „ტალანტმა» (ქანქარმა, ნიჭმა) ხალხის ჭირ-ვარამს ვერა უშველოს რა....

*ჭიათურის საეკ.-სამრევ.სკოლის მასწ. ბესარიონ ვაშაძე*
*„მწყემსი», 1900 წელი, №13–14. – გვ.15–17.*

**ახალი და ძველი ჭიათურა**

ამა წლის „ივერიის» 8-ში მოთავსებულია კორრესპონდენცია ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრების შესახებ, რომელშიდაც, სხვათა შორის, შემდეგი საიცარი და დაუჯერებელი ამბავი სწერია:

„კამათის დროს გამოირკვა, რომ საკუთრად სოფელი ჭიათურა და ის, რასაც ეხლა ჭიათურას უწოდებენ, სულ სხვა-და-სხვა ყოფილა. ეხლანდელი ჭიათურა სოფელ ჭიათურას გარეშე ყოფილა. ამ ახალს ჭიათურას, არ იცის, რა უწოდოს კაცმაო» და სხვ...

ვინც კი არ ყოფილა ჭიათურაში და დაახლოებით ვერ იცნობს ჭიათურას, ნამდვილად დაიჯერებდა ამ ამბავს და შეცდომაში შევიდოდა; მე, ამ სტრიქონების დამწერი, თვითონ ჭიათურაში დაბადებული, აღზრდილი და მკვიდრი მცხოვრები ვარ. რა საეჭვოა, რომ ჩემი სამშობლო დაბა კარგად ვიცი; ვიცი აგრეთვე ჭიათურის წასული და აწმყო, მისის

გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მდებარეობა და მდგომარეობა, – და ეს არც გამიგონია და არც მინახავს, თუ ჩვენს ჭიათურაში კიდევ მეორე ჭიათურა იყო. როგორც მახსოვს, შავი ქვის მუშაობა გაიხსნა 1879–1880 წლებში; აგერ თითქმის 23–24 წლიწადი გადის მას აქეთ, რაც ჭიათურის გარშემო მთა-მადნიან მეზობელ სოფლებში შავი ქვის წარმოება არის; თვით ჭიათურა კი უმთავრესი „ცენტრია» მთელი შავი ქვის სოფლებისა; ჭიათურაში შავი ქვის საწყობები და პლატფორმეები, საიდგანაც საზღვარგარედ გადააქვთ შავი ქვა; შავი ქვის მაწარმოებლების ეხლანდელი კრება რიცხვით მეხუთე იყო და კარგი ხანია წინა კრებებზედაც იყო კითხვები აღძრული ჭიათურის „პოსადათ» გადაკეთებაზედ; საგანგებო ინჟინრებიც და მიწისმზომელებიც იყვნენ ჭიათურაში მოწვეულნი, რომელთაც რაოდენიმეჯერ გეგმები აიღეს და დაწვრილებით გაზომეს ჭიათურა და არცერთ პლანებში და ზომებში მეორე ახალი ჭიათურა არა არის ნაჩვენები და მოხსენიებული; მიკვირს ძალიან რანაირად და საიდან გამოძებნეს ძველ ჭიათურაში მეორე ახალი ჭიათურა და ვინ არის ნეტავი ახალი ჭიათურის აღმომჩენი ქრისტეფორე კოლუმბი!?.

რომ პატივცემული მკითხველი შეცდომაში არ შევიყვანოთ აქ მოკლედ მოგახსენებთ, თუ რატომ გონებიათ ზოგიერთ შავი ქვის მრეწველებს ჭიათურაში კიდევ მეორე ახალი ჭიათურა:

ჭიათურაში სცხოვრობენ სულ 25 კომლი, მკვიდრი ანუ ძირითადი მცხოვრები; სანამდის შავი ქვის წარმოება გაიმართებოდა და სავაჭრო სახლები გაშენდებოდა. როგორც სხვა გარეშე მეზობელი სოფლების მცხოვრებელებს ისთე ჭიათურის მკვიდრ მცხოვრებთ ჰქონდათ თავის საკუთარი ტყეები, გარემოები, საწისქვილოები, საბალახოები, სავენახე და სახნავ-სათესი მიწები; ამ ხსენებულ ადგილებს სხვა-და-სხვა სახელწოდება ჰქონდათ და დღესაც აქვთ, სახელდობრ: „ვარდნალი», „თხილნარი». „მელისა», „მბურღვათი», „სამზიარი», „ფონი», „ჭერეხი», „ცხენის ზურგა», „ნახორალი», „ბრეკი», „ლოდები», „ნაფეთვარი» და სხვა...ამ ჩამოთვლილ ადგილებს ეს კერძო სახელები ჰქვიათ და ყველა ერთად შეადგენენ ჭიათურას. სათითაოდ რომ თითეულ ნაკვეთ ადგილს ჭიათურა დავარქვათ, მაშინ ერთი და ორი ჭიათურა კი არა, ბევრი ჭიათურები გვექნებოდა.

როდესაც შავი ქვის წარმოება გაჩაღდა, აქაურმა მკვიდრმა მცხოვრებლებმა მიატოვეს ხვნა-თესვა, მიყვეს ხელი შავი ქვის წარმოებას და მუშაობას და ეს სახნავ-სათესი მიწები და ადგილები, ზოგი სადუქნე ადგილებად გადააქციეს და საიჯარავოდ გასცეს მეპატრონეებმა, სადაც ბაზარი გაშენდა, ზოგი შავი ქვის საწყობებათ გახადეს, ზოგი რკინის გზამ მიიკუთვნა თავის საჭიროებისათვის; ზოგიერთი ადგილების გარეშე მოსულმა ხალხმა დაიქირავეს, ზედ დასდგეს თავისათვის საბინაო და სავაჭრო სახლები და დროებით სცხოვრობენ; ამნაირად ჭიათურაში არიან ორნაირი მცხოვრებნი: მკვიდრნი, ცხოვრებნი და დროებით მცხოვრებნი – სწორედ ამ გარემოებას შეყავს შეცდომაში შავი ქვის მწარმოებელთა კრების ზოგიერთი წევრები და მკვიდრ მცხოვრებლებს დაარქვეს ძველი ჭაიათურა და და ახალ დროებით მოსულს და დროებით მცხოვრებლებს კი ახალი ჭიათურა.

ჭიათურა მდებარეობს მდინარე ყვირილას ხეობაში. აღმოსავლეთის სამზღვრავს სოფ. შუქრუთი და მღვიმის დედათ მონასტრის მამულები და თვით მონასტერი, დასავლეთით ყვირილის ხეობა და ნაწილი ორი სოფლისა წინსოფლისა და ნავარძეთისა,

სამხრეთით სოფელი პერევისა და ჩრდილოეთით სოფ. ზედარგანი და სოფ. რგანის ნაწილი; ზომით, მაგალითად რომ ავიღოთ ორი ოთხ-კუთხი (კვადრატული) ვერსტის მეტი სივრცით არც კი იქნება, ასთე ვიწრო მდებარეობა აქვს ჭიათურას და ამ ვიწრო მდებარეობაში ძლივს ითავსებს სახელს ერთი ჭიათურა და მეორე ახალი ჭიათურა რა მანქანებით აღმოჩდა და ან სად არის ამავე ჭიათურაში, – ეს აღარ ვიცით...დროებით მცხოვრებთა რიცხვი ჭიათურაში თითქმის 400 კომლამდე ითვლება.

აქ უადგილოდ არ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა იმაზრდაც ვთქვა, თუ ჭიათურას რატომ დარქმევია ძველ დროში ეს სახელი: ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მდინარე ყვირილის ზეობაში, სადაც ჭიათურა დღეს მდებარეობს, უწინ ყოფილა დიდი უდაბური გაუტეხელი ტყე გარშემო მაღალ მთებით შემორტყმული; ამ ხეობაში ორი მონადირე გადმოყოლია ნადირს დასაჭირავად; ეს მთიული მონადირეები რომ მომდგარან მდინარე ყვირილის ნაპირზედ, იქვე დაუნახავთ ერთნაირი წვრილი თევზი, რომელსაც დღეს ვეძახით „მაღლარტას», ან „გველენა» თევზს; ეს „გველენა» თევზი უფრო ჭიას წააგავს, ვინემ თევზს; იმ დროს ერთი მონადირე ეკითხება მეორეს: „ეს რა არის, ჭიაა თუ რაა»? იმ დროიდგან დარქმევია ამ ადგილს „ჭიათურა», ამასთანავე ამბობენ, რომ ამ მონადირეებმა ნადირი შეიმწყვდიეს და კიდეც დაიჭირეს მღვიმის გამოქვაბულში, სადაც დღეს მღვიმის დედათა მონასტერია გაშენებული; მონადირეებმა ეს ამბავი მოახსენეს რაჭის ერისთავს რატს, რომელმაც ინება ამ ადგილების დათვალიერება და კიდეც ააშენა მღვიმის კლდის გამოქვაბულში მშვენიერი ქვის ეკკლესია, სადაც დღეს სამწირვლო ეკკლესია არის მღვიმის დედათა მონასტერში. ისტორიული გამოკვლევიდგან ჩვენ ვიცით, რომ მართლაც, რაჭის ერისთავმა რატმა მღვიმის მონასტრის ეკკლესია ააშენა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეში, მაშასადამე ჭიათურაც 12–13 საუკუნეებში არის აღმოჩენილი რაჭის ერისთავის რატის დროს და არა ეხლა, შავი ქვის წარმოების დროში.

*მღ. ბესარიონ ვაშაძე*
*„მწყემსი», 1903 წელი, №N9–10. – გვ.9–10.*

**სიტყვა მღვ. ბ. ვაშაძისა – მღვ. მიხ. ჯაფარიძის ცხედრის წინ**

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა
წარმართებულ ხარ შენ დღეს,
რამეთუ ადგილი განსასვენებელი
მიგელის შენ!‘

მაღალ-ღირსო და ყოვლად პატიოსანო მამაო მიხაილ!

საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ყველანი დროებით სტუმრები ვართ ამ გაუტანელ და დროებით წუთის-სოფელში და ადრეა თუ გვიან ჩვენზედაც მოაწევს ღვთის განჩინება. ჩვენც ყველანი გარდავიცვლებით ამიერ ქვეყნიდგან და შენებრ

ჩავესვენებით ცივ სამარეში. მხოლოდ სიკვდილი ადამიანისა ორგვარია: ზოგიერთი გადაიცვლება თუ არა, მაშინვე დავიწყებული შეიქნება, როგორც ხალხისათვის უსარგებლო, გამოუდეგარი და უნაყოფო. და ვისაც კი ცოტათ თუ ბევრთ უშრომია და რაიმე ნაყოფი მოუტანია საზოგადოებაში თავის მოძმეების საკეთილდღეოდ მღვდელია იგი, თუ ერი, იგი მუდამ დაუვიწყარია ხალხის გულში. მოკლედ დავასახელებ მღვდლის მოვალეობას და მერე უფრო ნათლად წარმოვიდგეთ შენს ღირსეულ პიროვნებას: მღვდელი არის ქრისტეს მოციქულის მოადგილე და თავის სამწყსოს შუამდგომელი ღვთის წინაშე; მოძღვარი არის წმინდა საიდუმლოების აღმასრულებელი პასუხის-მგებელი ღმერთთან და კაცთან მღვდელობის მოვალეობა და სამსახური არცერთს მოვალეობასა და სამსახურს არ შეედრება; თითქმის ყოველ თანამდებობის პირს აქვს განსაზღვრული დრო და ჟამი თავისის მოვალეობის შესრულებისათვის, მაგრამ მღვდლების თანამდებობის და მოვალეობის შესრულებისათვის კი არ არის დანიშნული და განსაზღვრული დრო; მღვდელმა თითონაც არ იცის, თუ როდის დაიღლება ან დაისვენებს; მღვდელი მუდმივ უნდა იყოს ფხიზელი გუშაგი და დარაჯი მისდამი რწმუნებული სამწყსოსი დღეც და ღამეც და შემთხვევის დროს თავი თვისიც უნდა დასდვას ცხოვართათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირი მოვლენაა, რომ სოფლებში გადამდები სენით ავთმყოფობის დროს, შიშისა გამო ჭირისუფლები და მახლობელი ნათესავებიც კი სტოვებენ საცოდავ ავათმყოფს და მეზობლები ხომ გაურბიან და არ ეკარებიან; ამ დროს ვინღა არის ავათმყოფის გამამხნევებელი და მანუგეშებელი ხორციელათ და სულიერათ? ისთევე მღვდელი, ისთევე მოძღვარი; იმ დროს მღვდელი დაურიდებლად შედის ავათმყოფთან, ათქმევინებს აღსარებას, მიაღებიებს წმიდა საიდუმლო ზიარებას, ანუგეშებს და ამშვიდებს. ნეტარება იმ მოძღვარს, რომელიც თავის დიდ მოვალეობას პირნათლათ და ღირსეულათ შეასრულებს თავის სამწყსოში. აი, ამ მხრით ნეტარი და ბედნიერი ხარ შენ, მამაო მიხაილ, რომელიც 42 წლის განმავლობაში ღირსეულად და პირნათლად ასრულებდი შენს მოვალეობას. შენ ღრმად მორწმუნე და ღვთის მოყვარე მღვდელი იყავი; რავდენადაც იცნობდი შენ იყავი დარბაისელი, მტკიცე ხასიათის აუჩქარებელი, დინჯი, წრფელი სინდისის მქონე, შენი საყვარელი სამწყსოს კეთილი გზის მაჩვენებელი, ერთგული, ჭირში და ლხინში დამშვენებელი და მანუგეშებელი, მტკიცედ და ბეჯითად აღმასრულებელი შენი მოძღვრული მოვალეობისა; ისე ღირსეულად გაატარე და განვლე შენი მღვდელობის 42 წლის სამსახური, რომ არავითარი საყვედური არ მიგიღია, კეთილო მწყემსო, არც მთავრობისგან და არც საზოგადოებისაგან. უმთავრესი მიზანი შენი ამ ქვეყნად ცხოვრებისა, შენი სულის და გულის მისწრაფება იყო პატიოსანი მოძღვრის სახელის და სამწყსოს სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება და მეორე მხრით ღირსეული ოჯახის წინ გაძღოლა და შვილების აღზრდა და სწავლა–განათლება, რომელი მიზანიც და მისწრაფება კიდეც დააგვირგვინე და სასახელოდ შეასრულე.

მოგმართავ თქვენ, მამაო ბიქტორ და ყველასაგან დიდათ პატივცემულო ტრიფონ მიხაილის ძევ, და გთხოვთ ნუ სტირით მამა მიხაილს, მამა თქვენი არაა მკვდარი, ეს დაუვიწყარია ხალხის გულში; სიკვდილი არ ეთქმის ისეთ მამას, რომელმაც თქვენებრ ღირსეული შვილები აღუზარდა სამშობლო კუთხეს; მამა მიხაილმა თქვენი აღზრდით და განათლებით დაამშვენა სამშობლო ეკკლესია და ქართული ლიტერატურა; ვგონებ არ ვსტყუვი და არც ვპირმოთნეობ, რომ ერთი თქვენგანი საშუალო განათლებით შრომობთ

ქრისტეს ყანაში და წინ უძღვით ქრისტეს წმიდა ეკლესიას სამწყსოს და თანამოძმე სამღვდელოებას და მეორე კი სასახელოდ და ნაყოფიერად შრომობთ პედაგოგიურ ასპარეზზე უმაღლესი განათლებით, წვრთნით, ზრდით ახალგაზრდობას და სამშობლო ქვეყანას უმზადებთ ერთგულ შვილებს და იმავე დროს უანგარო შრომით ამკობთ და ამშვენებთ მშობლიური ენას, ლიტერატურას. არა, თქვენი მამა მკვდრათ არ ჩაითვლება.

ბოლოს ისევ შენ მოგმართავ, მამაო მიხაილ, და მოგახსენებ, რომ შენ არა ხარ მკვდარი, არამედ გარდაიცვალე სიკვდილისაგან ცხოვრებად და ჩვენ, როგორც მიწიერი ადამიანები, კიდევ ვიტყვით, რომ შენის გარდაცვალებით დაობლდა არა მარტო შენი ნაჭირნახულევი და ნაამაგარი საყვარელი ცოლშვილისა ოჯახი, არამედ თვით შენი მოსიყვარულე და ღრმად პატივმცემელი სამწყო, რომლის საკეთილდღეოდ პირნათლად გიმსახურია და არ გიღალატნია უკანასკნელ კუზოს ფიცრამდის; ამიტომაც არის, რომ შენ გაციებულს გვამს საერთო გრძნობით და მწუხარებით ყველანი თავს დაგტირიან და უკანასკნელად გემშვიდობებიან. მშვიდობით, კეთილო მწყემსო, მშვიდობით საყვარელო მამაო და მუდამ სახსოვარო ერთგულო მოძღვარო, გიხაროდენ და მხიარულ იყავი, ნეტარო მწყემსო, რამეთუ სასყიდელი შენი მრავალ არს ცათა შინა. წარსდექი იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ და ნურც იმ ქვეყნად მოაკლებ, სულმნათო, კეთილო სულო, შენს წმიდა ლოცვას და მფარველობას დაობლებულ ოჯახს და სამწყსოს.

*მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.*

*„შინაური საქმეები», 1912 წელი. – №18–19. – გვ.17–19.*

### კეთილი მაგალითი მდიდარი მონასტრების და ქალაქის ეკლესიების წინამძღვართა და კრებულთა საყურადღებოდ

რწმუნებულის ჩემდამო ზედარგნის წმიდის მთავარანგელოზის ეკელსიის გამშვენებისთვის შემწეობა ვსთხოვე სხვა და სხვა ღვთის მოყვარე პირებს, ზოგმა კიდეც შემოსწირა ამ ხსენებულ ეკკლესიას სხვა და სხვა უსაჭიროესი ნივთები და ზოგნი ეხლაც მპირდებიან დახმარებას; სხვათაშორის, წარსული 1906 წლის 28 დეკემბრიდგან თხოვნით მივმართე ქალაქ კიევში კიევის „ზლატო-ვერხო-მიხაილოვის» პირველი კლასის მონასტრის წინამძღვრის, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის მოადგილეს (ნამესტნიკს) მამა არქიმქნდრიტს მიტროფანეს, რომელსაც მოკლედ აუწერე ეკკლესიის აუცილებელი საჭიროება. ამ მიმდინარე წლის 7 თებერვლიდგან 100 იმავე მონასტრის მმართველისაგან მივიღე შემდეგი შეწირულება: 1) ერთი ხელი სრული კარგი შავი ხავერდ შესამოსელი 2) მწვანე აბრეშუმის დაფარნები წმიდა ბარძიმ-ფეშხუმისათვის; ეს ნივთები ცოტათი ნახმარი არიან, მაგრამ სულ რომ მცირედ დავაფასოთ ყველა-ყველა ერთად კიდე ღირს ჩვენ ეკკლესიისათვის არა ნაკლებ 40 მანეთისა; მე და ჩემი სამრევლოს მხრით უღრმეს მადლობას მოვახსენებ კიევის „ზლატო-ვერხო-მიახილოვის» მონასტრის წინამძღვარს ყოვლად უსამღვდელოესს მეუფეს და მისს მმართველობას, რომ აქ შორეულ, ღარიბ ეკკლესიას მოაქცია თავისი კეთილი ყურადღება და შემწეობა აღმოუჩინა.

ეს შეწირულება ნამდვილ მაგალითად და მისაბაძავად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მონასტრის და ქალაქის მდიდარი ეკკლესიების წინამძღვრებისათვისაც; თუ კი შორეული რუსეთის მონასტერი მიაქცევს ყურადღებას ჩვენს ღარიბ ეკკლესიებს, მით უმეტესად ზნეობრივად უფრო მოვალენი არიან ჩვენი ადგილობითი მონასტრების და ქალაქის ეკკლესიების წინამძღვარნი და კრებულნი, რომ თავიანთ სამშობლო ღარიბ ეკკლესიებს ნივთიერი დახმარება და შეწირულება აღმოუჩინონ შეძლებისა და გვარად; საზოგადოება ყველა ჩვენს მონასტრებზე და ქალაქის ეკკლესიებზე საყვედური რა გვეთქმის, რადგან ზოგიერთი მათგანი სოფლის ღარიბ ეკკლესიებს უგზავნიან ხმარებიდგან გამოსულს ნივთებს, მაგრამ ჩვენდა სანწუხაროდ, ზოგიერთს სოფლის მონასტრებში და ქალაქის მდიდარ მონასტრებში და ეკკლესიებში, როდესაც საეკკლესიო ნივთები გამოვლენ ხმარებიდგან, ნაცვლად იმისა, რომ მადლის გულისთვის მათთვის გამოუდეგარი ნივთები სოფლის ღარიბს ეკკლესიებში გამოგზავნონ სახმარებლად, დააწყობენ ნივთების საწყობ შკაფებში და სალაროებში, ანუ საკუჭნაოებში და იქ ყოვლად უნაყოფოდ და უმნიშვნელოდ ინახებიან დიდი ხნის განმავლობაში და რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს ნივთები დაიხრწნებიან, დალპებიან და დაფორდებიან, მხოლოდ მაშინ გამოიღებენ არხივიდგან და ცეცხლს მისცემენ.

*ზედარგნის წ-ის მთავარანგელოზის ეკკლესიის*
*მღვდელი ბ. ვაშაძე.*
*„მწყემსი», 1907 წელი, №9–10. – გვ.10–11.*

## სამრევლოების გაფართოება და შტატების შემცირება და შემოკლება გააუმჯობესებს თუ არა სოფლის სამღვდელოების მდგომარეობა

წარსულის წლების [1907] „მწყემსის» 7-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ცოტა რამ ჩვენი სამღვდელოებისა და მისის ნივთიერი მდგომარეობის შესახებ», რომელშიდაც ამ წერილის ავტორი სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საუკეთესო საშუალებად და უებარ წამლად მიაჩნია შტატების შემცირება სამრევლოს გაფართოება; ერთის მხრით რომ შევხედოთ, თუ ძალიან არ ჩაუკვირდეთ საქმეს, გეგონებათ, რომ ვითომ შტატების შემცირება და სამრევლოების გაფართოება ძალიან უშველის საქმეს, მაგრამ მეორეს მხრით კი თუ კი ღრმად და პრაქტიკულად ჩაუკვირდება კაცი ამ საქმეს, ეს საშუალება მეტად გამოუდეგარი და პირიქით დიდი მაზარალებელიც იქნება საქმის გაუმჯობესებისათვის და სამრევლოების მმართვა-გამგეობისათვის. ამ თხუთმეტიოდე წლის წინედ რუსეთის ეპარქიებში მიმართეს ამ საშუალებას, ესე იგი, ორორ-სამსამი სამრევლოები ერთად შეაერთეს, მაგრამ საქმეები აიბუწ-დაიბუწა, ზარალის მეტი ვერა ნახეს რა; განსაკუთრებით ზნეობისა და სარწმუნოების მხრით მეტად საშიშო და სამწუხარო მდგომარეობაში ჩაცვინდნენ გაფართოებულ-გადიდებული სამრევლოების მმართვა-გამგეობა. მაგრამ როდესაც რუსეთის სამრევლოები დარწმუნდა, რომ სამრევლოების გაფართოებას დიდი ზარალები და ცუდი შედეგი მოყვა დახურული და შეერთებული შტატები ისევე ხელახლა დაანაწილეს. ეს მოხდა რუსეთში რამდენიმე წლის წინეთ მაშინ, როდესაც

სამღვდელოებაზედ და ქრისტეს წმიდა ეკკლესიაზედ სულ სხვა გვარი შეხედულება ჰქონდა მართლ-მადიდებელ ხალხს და დღევანდელს პირობებში რომ ორი-სამი შტატი ერთად შესდგეს და მათ ერთი მღვდელი დაენიშნოსთ, ხალხი ჩამოშორდება ჭეშმარიტ გზას და ვინ იცის, რომ მწვალებლობაც კი გაჩნდეს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხალხს რაკი თავისს მოძღვრის არჩევის უფლება მიენიჭა, თითოეულ მოგვარეს სამრევლოში თავის საკუთარი კანდიდატი ჰყავს მღვდლობის თანამდებობაზე და ყოველ ადგილის დაცვაზე დიდი ალიაქოთი, პარტიობა და განხეთქილება ჩამოვარდება ხოლმე და რომელი პარტიაც გვაროვნებით თავის კანდიდატს ვერ გაიყვანს, ის გვაროვნული პარტია ერთხელ და სამუდამოთ უკმაყოფილოთ რჩება მღვდლებზედ და მის მომხრე პარტიაზედაც; ეს ხდება ჩვენს პატარა სამრევლოებში და ორი-სამი სამრევლო, რომ ერთ შტატად შეერთდეს, იქ კიდევ ერთი ათად ზედმეტად ცუდად და უსიმოვნოდ ჩაივლის არჩევნები... მაგალითად, ორი შტატის სამრევლო ერთ შატად შეერთდა; ამ გაფართოებულ შტატებში თუ ოთხი და სამი არა, ორი ეკკლესია მაინც ექმნება ერთს მღვდელს; ერთი მათგანი შტატად დარჩება და მეორეს კი ჩამოერთმევა შტატის სახელი; აქაც უსიამოვნება და შეტაკების შემდეგ ერთ რომელიმე ეკკლესიათაგანს შეუნარჩუნეს შტატის სახელი და მეორეს კი ჩამოართვეს, აქ ისეთივე მუდმივი უკმაყოფილება ჩნდება. რას იზამს ამ დროს მღვდელი? მღვდელი ხედავს ხალხის უსიამოვნებას, სწუხს, იტანჯება და თანაც იმაცადინებს, რომ თავისს სამრევლოს ეკკლესიებში უმეტ–ნაკლოდ სწიროს, ხალხსაც უმეტ-ნაკლოდ ემსახუროს, მაგრამ „უფალთა' სამსახურს მოძღვარი ვერც დიდხანს შესძლებს და ვერც პირნათლად, ერთი და ერთი ეკკლესიის შემომავალნი მაინც კიდევ უკმაყოფილონი და მუდამ მომდურავნი იქნებიან თავისს მღვდელზედ, რადგანაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე დროს სჭირდებათ მღვდელი, როგორც ერთი ეკკლესიის შემომავალს, ისთე მეორისასაცა. ამ ორ შეერთებულ სამრევლს კიდეც რომ ეახლოვებოდესთ ერთი მეორე ეკკლესია ერთმანეთის ჯინაზედ ერთი მეორის ეკკლესიაზედ არც კი მივლენ სალოცავად; ამას გარდა ისიც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორი მეზობელი ეკკლესიის შემომავალი ერთი და იგივე დღესასწაული და დღეობა აქვსთ დადებული და ამიტომ ერთსაც და მეორესაც ერთს დროს უნდა თავი ეკკლესიაში წირვა-ლოცვა, ნათვლა, ქორწინება და სხვა მღვდელ-მოქმედება; რანაირადაც უნდა მოიქცეს მღვდელი საყვედურს, გულძვირობას და უსიამოვნებას მაინც ვერ აიშორებს ასეთ შემთხვევაში და მასთან შრომაც ერთი ორად მოემატება და ნაყოფი კი ასეთ მისს უმადურს შრომას ძალიან ცოტა ექნება. იმ დროს უკმაყოფილო ხალხს გული აუცურდება, აზრი შეეცვლება და თავის თავს ჰკითხავს: „დღემდის თუ საკუთარი მღვდელი გვყავდა და საკუთარი წირვა-ლოცვა და მღვდელ მოქმედებაც გვქონდა ჩვენ-ჩვენ დროზედ, დღეს რაღა უბედურება დაგვემართა, რომ მღვდელი საზიარო და საძებარი შეგვექმნაო და სხვა»... დღეს აქა-იქა კიდევ რაოდენიმეთი მაინც იფარებენ სამღვდელოებას და მაშინ სიძულვილი, უკმაყოფილება და უსიამოვნება ერთი ათად იმატებს ხალხსა  და სამღვდელოებას შორის და წირვა-ლოცვის სურვილსაც დაჰკარგავს. დღეს კიდევ ღვთის მოყვარე ერი და ნელ-თბილი სარწმუნოებაც სრულიად გაცივდება და თანაც ხალხისგან შეძულებული სამღვდელოება ნივთიერადაც და ზნეობრივადაც დაქვეითდება და მეტად დაეცემა და დაბეჩავდება.

ამიტომ ჩემის ფიქრით ძალიან საჭიროა, რომ უფრო ახლოს ამოუდგეს მღვდელი თავის სამრევლოს, რომ უფრო ერთგულად, თავთავის დროზე და საჭიროებაზე

უნაკლოდ და პირნათლად ემსახუროს თავის სულიერ შვილებს; ძალიან საჭიროა, რომ მღვდელი დაუახლოვდეს თავის მოწაფეებს. გაიცნოს და გაიგოს ფსიხოლოგიურად თითოეული თავის მოწაფის სულიერი, ხორციელი მდგომარეობა, იყოს მათთან განუშორებლად ჭირში და ლხინში და ასეთ შემთხვევაში უეჭველია, რომ სულიერი მამა მეტ გავლენას იქონიებს თავის მრევლზედ თავის ქადაგებით, სწავლა-მოძღვრებით დაახლოვებით და ერთგული სამსახურით და ამით უეჭველა მოძღვარი სარწმუნოებასაც უფრო ააყვავებს, თავის ავტორიტეტს და პიროვნებასაც აღადგენს იქ ნივთიერადაც დაჯილდოვდება. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია არათუ შეერთება რაოდენიმე შტატისა და სამრევლოების გაფართოება, არამედ პირიქით, ძალიან საჭიროდაც მიმაჩნია, რომ დღევანდელი დიდი ორასი-სამასი კომლიანი სამრევლოები ადგილის მდებარეობის მიხედვით კიდეც დანაწილდეს პატარა ას-ასორმოცდაათ კომლიან სამრევლოებად. შტატების რიცხვმა კი არ უნდა იკლოს, არამედ უნდა იმატოს შეძლებისა და შეხედულებისა გვარად და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება რომ სარწმუნოება აყვავდეს, ხალხმა სამღვდელოებაც შეიყვაროს და საქმეც გაუმჯობესდეს, თორემ მღვდელმა რომ სამრევლო გაიფართოვოს, შეჯდეს ცხენზედ და თავის ვეებერთელა სამრევლოში ხანდისხან ცხოვრების დასაკურთხებლად გავიდეს, ხალხს არ დაუახლოვდეს, სწავლა-მოძღვრება არ გაავრცელოს და თავისი სამსახური შეზღუდოს მარტო უმნიშვნელო მღვდელ-მოქმედების შესრულებით, როგორც ზევითა ვსთქვით, საქმე წინ კი არ წავა, საბოლოოდ დაიღუპება ხალხის თვალში ჩვენ აღარაფერი არ ვიქნებით. მე ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ სადაც მღვდელი ძალიან დაახლოებულია თავის მრევლთან, თავის დროზედ მუდმივად ასრულებს წირვა–ლოცვას და ამბობს ქადაგებას ზნეობაზე და სარწმუნოებაზედ და ყველას თავთავისს დროზედ უსრულებს საჭირო მღვდელმოქმედებას, იქ სარწმუნოებაც მტკიცედ არის დაცული, მღვდელსა და სამრევლოს შორის უფრო კეთილი განწყობილება და სიყვარული და მოძღვარიც, რა თქმა უნდა, უფრო უზრუნველყოფილია. ავიღოთ უბრალო მაგალითი, მასწავლებელი უნაყოფოდ შრომრობს, სწავლობს, იტანჯება, ნერვებს ტყუილა უბრალოდ იშლის, პროგრამას ვერ ასრულებს, ცუდად აქვს სწავლების საქმე დაყენებული და მთავრობაც და მოწაფეების მშობლებიც ემდურის მას იქ და იმ სკოლაში, სადაც ზედმეტად ბევრი მოწაფეები ერთად სწავლობენ _ და სადაც სკოლაში საკმაოდ ნორმალური რიცხვია, იქ მასწავლებელიც ბედნიერია და მოსწავლეებიც; სწავლა კარგ ნიადაგზეა დაყენებული და მასწავლებლის შრომაც მეტი დაფასებული და ნაყოფიერია. ეგრევე ითქმის ერთს მღვდელზედ და დიდს ვეებერთელა სამრევლოზედ, სადაც მღვდელი სამრევლოს სიდიდისა გამო უნაყოფოდ შრომობს. ამნაირად წერილის ავტორს მამას „ერთი სოფლის მღვდელთაგანს» ვერ ვეთანხმები იმაზედ, რომ ვითომ შტატების შეერთებამ და სამრევლოების გაფართოებამ რაიმე ნაყოფი მოუტანოს სამღვდელოებასა და ხალხს. სტატიის ავტორი ბრძანებს: „მიკვირს რას აკეთებენ ის მღვდლები, რომლებიც 100–200 კომლიან სამრევლოებში მსახურებენ, რადგანაც ასეთ მღვდლებს მრევლში შეიძლება კვირაობითაც არ შეხვდესთ საქმე. კიდევ კარგი თუ ასეთ პატარა სამრევლოს მღვდლებს წიგნის კითხვა ეხალისებათ, ან ეზო-გარემო აქვსთ და ფიზიკურად შრომობენ თორემ თქვენი მტერი ისინი ძილმა დაასნეულოს და უდროვოდ საიქიოს გაამგზავროსო». იქვე მამა რედაქტორს სამართლიანი შენიშვნა მიუცია ავტორისათვის, რომელსაც საკმაოდ მიუჩნევია მარტო წირვა-ლოცვის შესრულება და

შემწვარი ცხვრების კურთხევა გარდაცვალებულთა მოსახსენებლად.... არა მგონია ისეთი მღვდელი სადმე მოიპოვებოდეს, რაც უნდა მცირე მრევლში იყოს, რომ უსაქმოდ ატარებდეს დროს და ძილმა დაასნეულოს მით უმეტეს ჩვენს დროში. დავანებოთ თავი და თუნდა ნურას ვიტყვით იმაზედ რომ ყოველ სამღვდელო პირს, როგორც მის თითოეულს მოწაფეს და როგორც ხორცში მყოფ ადამიანს ათასგვარი ზრუნვა და შრომა სჭირდება თავისს ოჯახში თავის წვრილი ცოლშვილის შესანახავად და აღსაზრდელათ; თანაც ხშირად არის რომ თითოეული სოფლის მღვდელი ცოტა აქვს ადგილმამული თუ ბევრი, მეურნეობის „როლს» ასრულებს თავის ოჯახში; ყოველი კაცი შრომოს და იღწვის არსობის პურისათვის და რაღა მაინც დ ამაინც მღვდელი მიეცემა ძილს და უზრუნველ უშრომლად იცხოვრებს მაშინ, როდესც შემოსავლის წყაროები ამ უკანასკნელად თითქმის დაუშრა სამღვდელოებას; და თუ მღვდელს პატარა მრევლი უჭერია და მეტს თავისუფალ დროსაც ჰპოვებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მცირე სამრევლოიანი მღვდლები არასფერს არ აკეთებენ და თავისის ჯანსაღობა ტყუილა ყოფნით ძილით მოიშალონ; მიკვირს ძალიან წერილის ავტორი რომ თითონაც მღვდელი ბრძანდება და რატომ ავიწყდება, რომ მას და მის თანამოძმე სამღვდელოებას მრავალი საშრომი აქვს ქრისტეს ყანაში. რისთვის ავიწყდება მამა ავტორს გარდა პირდაპირი მოვალეობისა ერთსა და იმავე დროს სამღვდელოებას შემოხვეული აქვს კისერზე ათასი სხვა და სხვა მეორეხარისხოვანი თანამდებობა და პასუხისგება. რაც შეეხება მრევლსა და მღვდელს შორის პირდაპირი ნივთიერი დამოკიდებულების მოსპობას და სამაგიეროდ სამღვდელოების გადაწყვეტილი ჯამაგირების დანიშვნას, ამაზე თითოეული ჩვენგანი დაეთანხმება მამა ავტორს იმიტომ რომ მღვდელი და სულიერი მამა არ უნდა იყოს თავის მოწაფის ანუ სულიერი შვილის შემჩერე; ჯერ საზოგადოდ ყოველი თხოვნა ამცირებს ადამიანის პიროვნებას და თავმოყვარეობას და მერე ნივთიერი თხოვნა, კუჭზედ მუდამ ტირილი და წუწუნი რომ ყველასათვის დამამცირებელი და შემზღალავია და მით უმეტეს სამღვდელო პირისთავის და წმიდა ეკკლესიის მოსამსახურისთვის მაინც ყოვლად აუტანელია, უადგილო და შეუფერებელია.

*მღვ. ბ. ვაშაძე*
*„მწყემსი», 1908 წელი, №1–2. – გვ.8–11.*

**შეწირულება**
**მამაო რედაქტორო!**

ამ წლის იანვრის თვეში, რწმუნებულს ჩემდამი ზედარგნის მთავარ ანგელოზის ეკკლესიას შემოსწირეს: აზნაურმა გრიგოლ – იგივე ჯიბო იოსების ძე აბაშიძემ საცეცხლური ბრინჯაოსი, ღირებული ოთხ მანეთად; ბესარიონ სიმონის ძე სიკინჭალაშვილმა ტრაპეზზედ დასადგმელი სამღეროვანი სასანთლე, ღირებული ხუთ მანეთად; ბესარიონ საჩინოს ძემ ბუხრაშვილმა წმიდის ნიკოლოზ სასწაულთ-მომქმედის ხატი, ღირებული სამ მანეთად.

უმორჩილესად გთხოვთ, მამაო რედაქტორო ამ ზემო-აღნიშნულ ღვთის-მოყვარე პირებს ჩემი უღრმესი მადლობა გამოეცხადოს თქვენის გაზეთის „მწყემსის» საშუალებით. ფრიად სასურველია ასეთ კეთილ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ.

*მღვ. ბესარიონ ვაშაძე*
*„მწყემსი», 1908 წელი, №3–4. – გვ.22.*

## ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მობრძანება დაბა ჭიათურაში და ჭიათურის მომავალი ეკკლესიის აღშენების საქმე

ჭიათურის ძირითადი მკვიდრნი, ცხოვრებნი ადრიდგანვე ზედარგნის მთავარ ანგელოზის შტატის ეკკლესიის სამრევლოს შეადგენენ, თვით სოფელი ზედარგანი ზედ მობმულია დაბა ჭიათურაზე ჩრდილოეთის მხრით, მაგრამ ცალკე რომ ავიღოთ ეს სოფელი, მეტად პატარა და უკიდურესად გაღარიბებულია; ზედარგანში მხოლოდ სამოცი კომლი სცხოვრიბს და მათში მხოლოდ მეათედ ნაწილს, ესე იგი, ექვს კომლს შეუძლიან ცხოვრება და დანარჩენები კი მეტის-მეტად გაჭირვებულნი არიან. მკითხველს გაუკვირდება, თუ რატომ მოხდა ეს, რომ მცხოვრებნი გაღარიბებულან იქ, სადაც შავი ქვის მადნის აურაცხელი სიმდიდრე სძევს. აი მიზეზსაც მოგახსენებთ. მეოთხმოცე წლებში, თავდაპირველად ზედარგანში გაიხსნა შავი ქვის წარმოება. ამიტომაც სხვა სამრეწველო სოფლებზე ზედარგანი უმალ დაზარალდა; შავი ქვის წარმოებამ სოფელი ზედარგანი მეტად გაანადგურა და ააოხრა უიმისოდაც უნაყოფოს და მცირე სახნავ-სათესს მიწებს ქვეშ ნიადაგი გამოეცალათ, ადგილები დაიქცენ, ნამშრალები და სახლკარი თავის სამოსახლოებით ზოგი უკვე დაიქცენ, ზოგი კი დღესც ინგრევიან, წყლები დაშრენ, ტყეები, ვენახები და საბალახოები მთლად გახმენ და მოისპენ, აღარასფერი ჭირნახული აღარ მოდის და აღარავითარი საშუალება და სახსარი ცხოვრებისათვის ზედარგნელებს აღარ აქვსთ; შავი ქვის მადანიც თითქმის გამოილია და რაც არის, იმასაც გასავალი და ფასი აღარ აქვს, – და ამიტომაც ზოგი მათგანი სხვა გარეშე სოფლებში გადვიდენ საცხოვრებლად და ზოგიც ეხლა თან და თანობით მიდიან, ამიტომაც სასულიერო მთავრობამ მთელი დაბა ჭიათურის დროებით მცხოვრებნი და მართლ მადიდებელი საზოგადოება ზედარგნის სამრევლოს მიაწერა და ამნაირად ამ ცალკე ნაირად ზედარგნის კრებული, როგორც არის დაბა ჭიათურის საშუალებით არსებობს და ირჩენს თავს.

დაბა ჭიათურაში თითქმის ყოველგვარი დაწესებულება გვაქვსთ, მხოლოდ არა გვაქვსთ ჭიათურისთვის საკუთარი ეკკლესია, რაც ყოვლისფერზე უსაჭიროესია ქრისტიანულს ცხოვრებაში; და ამიტომაც ჭიათურლები მოკლებულნი არიან წირვა–ლოცვას და იმსულიერ საზრდოს, რასაც ქრისტეს წმიდა ეკკლესია იძლევა თითოეული ჩვენგანისათვის. მართალია დაბა ჭიათურა მიწერილია ზედარგნის ეკკლესიაზე, მაგრამ ხსენებული დაბა წარმოადგენს სამრეწველო რაიონს, სადაც უმეტესს ნაწილად შავი ქვის მრეწველნი და მოვაჭრეები სცხოვრობენ,... სიარული არ ეხერხებათ და ამიტომაც ჭიათურისთვის საჭიროა საკუთარი ეკკლესია თვით ჭიათურაში და არა ჭიათურის

გარეშე, რისთვისაც 1901–1902 წლებში ჭიათურლებმა გამოიწყეს შვენიერი პლანის ქვითკირის ეკკლესია, შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომაც 5 000 მანეთი ერთჟამიერად გადასდო ეკკლესიის აღსაშენებლად; ეკკლესიაც ნამდვილ საშუალო ადგილზე იყო გამოწყებული, მაგრამ რადგანაც მდინარის მხრით დამბები არ ჰქონდა გაკეთებული საეკლესიო ადგილები წყალმა წალეკა, ნაშრომი წახდა და 5000 მანეთიც უთავბოლოთ გაიფანტა. ამნაირათ დღემდე ეკკლესიის საქმე შეჩერებულია.

მიხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ჭიათურაში შავი ქვის წარმოება შეჩერებულია და საზოგადოებაც დიდი კრიზისს, უფულობას და გაჭირვებას განიცდის, აქაურმა პატივცემულმა საზოგადოებამ ხელახლა განიზრახა ეკკლესიის აღშენება, რისთვისაც ამა წლის 16 ივნისს კრება მოხდა ადგილობრივი თეატრის დარბაზში, ადგილობრივი ბლაღოჩინის, დეკანოზის მამა აბესალომ ტყემალაძის და სამრეწველო ბოქაულის ბიქტორ ალექსანდრეს ძის ჩუმაკოვის თანდასწრებით. ბოლოს თათაბირის შემდეგ კრებამ ერთხმად გადასწყვიტა: გამოითხოვოს ადგილობითი მღვდელ–მთავრის ნებართვა და ლოცვა-კურთხევა სამი წლის ვადაში აღშენდეს ხის ეკკლესია შუა გულ ბაზარში ისთევე იმ ადგილზე და იმ საძირკველზე, სადაც 1901–1902 წლებში იყო გამოწყებული, განაჩენიც დადგა და ეკკლესიის აღმაშენებელი კომიტეტიც აირჩა. კომიტეტში, სხვათა შორის, დანიშნულია კარგად ცნობილი და ეკკლესიის აღშენების საქმეში მოღვაწე და ქველმოქმედი გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე, რომელმაც აღაშენა თავის ფულით დაბა ყვირილის წმიდათა მოწამეთა – არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს ეკკლესია. მოიმედე ვართ ჭიათურლები, რომ ბატონ გედევან ჩუბინიძე ამ საქმეს ჩვეულებრივს ენერგიით წაუძღვება წინ და ადგილობითი საზოგადოების დახმარებით კიდეც დააგვირგვინებს ამ წმიდა საქმეს საზოგადოების დახმარებით. გედევან ზურაბის ძე ძალიან კარგად იცის, რომ ქრისტეს წმიდა ეკკლესია არის ერთად ერთი ქრისტიანთა მანუგეშებელი დაწესებულება, ეკკლესიაა სულიერი მასაზრდოებელი და დაუშრეტელი ლამპარია, რომელიც გვინათებს და გვიწალდავს გზას საუკუნო ცხოვრებისაკენ. ღმერთო მაღალო! წმიდა ყვენ მოყვარენი სახისა შენისა მშვენიერებისანი.

ოცდა-ერთს ივნისს დღით შაბათს დაბა ჭიათურაში მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი საქველეთ-უბნის ეკკლესიის საკურთხევლად _ თაბაგრებში; ეკკლესიის კურთხევის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესი ორი დღე ჭიათურაში დარჩა. მისმა მეუფებამ ინახულა საზოგადოებისაგან არჩეული საეკკლესიო ადგილი. 24 ივნისს ყოვლად სამღვდელომ ინება ხალხთან მოლაპარაკება ეკკლესიის შესახებ, მოლაპარაკების შემდეგ ჭიათურის საზოგადოებას აღუთქვა თავის მხრივ შეასაფერისი დახმარება და ლოცვა-კურთხევით იმავე ადგილზედ ეკკლესიის აღშენებისთვის და კიდეც მოეწონა საეკკლესიო ადგილი იმ პირობით, რომ საეკკლესიო ადგილი მდინარის მხრით წინდაწინ უნდა შემოიზღუდოს და გამაგრდეს მაგარი კედლებით და დამბით რომ გიჟმა მდინარე ყვირილამ ჩვეულებრივად აღარ წალეკოს საეკკლესიო ადგილი. ერთმა კომიტეტის წევრთაგანმა ზედარგნის სამრევლოში მცხოვრებმა შავი ქვის მაწარმოებელმა გიგია თევდორეს ძე ბრეგვაძემ წერილობით განუცხადა ყოვლად უსამღვდელოესს გიორგის, რომ იგი – ბრეგვაძე თავისს მხრივ 500 მანეთს შესწირავს ჭიათურის აღსაშენებელი ეკკლესიის საქმეს. ყოვლად სამღვდელომ მწყემს-მთავრული დარიგება და ლოცვა-კურთხევა უბოძა საზოგადოებას და იმავე დღეს – 24 ივნისს წაბრძანდა ქ. ქუთაისს.

*მღ. ბ. ვაშაძე.*
*„მწყემსი», 1908 წელი, №13–14. – გვ.11–12.*

*[„სოფლის მღდლის» პასუხი ამ წერილზე მოთავსებულია „შინაურ საქმეებში» – 1908 წელი, №6. – გვ.8–10].*

## შეუგნებელი ჟინიანობა და გაუბედაობა

იმერეთის ეპარქიის სამასწავლებლო საბჭოს შუამდგომლობით ყოვლადუსამღვდელოესმა გიორგიმ ნება დაგვრთო ჭიათურის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო შკოლის „ეკლესია- შკოლად» გადაკეთებისა. კომიტეტმა ფული შეაგროვა და დღესაც აგროვებს, მაგრამ შეცდომით ისეთი დიდი პლანი ააღებინა, რომელიც ეკლესია-შკოლას არ შეეფერება და ძვირათაც ჯდება, საშვალება კი არაფერი არ მოგვეპოება, გარდა ღვთის მოყვარე პირების ნებაყოფლობითი შემოწირულებისა. ამ დიდებული პლანის შედგენის შემდეგ ის ვაჟბატონები, რომელნიც მხოლოდ პირად სარგებლობაზე ფიქრობენ, რომელთაც ცხოვრების მიზნად გაუხდიათ მხოლოდ თავისი გაუმაძღარი კუჭი, სხვის კბენასა და ენა-ტანიობას არიან მიჩვეულნი და საზოგადო საქმის გაკეთებისა კი არაფერი სცხიათ, ჩასულან და მის მეუფებასთან დაუბეზღებიათ კომიტეტი, რომ ვითომც ეკლესია-შკოლის სახით იგი აშენებდეს ჭიათურაში საზოგადო ეკლესიას და ამით ვითომ მღვდელმთავარიც შეცდომაში შეყავდეს და საზოგადოებასაც ატყუებდეს. ასეთ უსაფუძვლო ჭორს „პროვოკაციის» სუნი უდის და მიზნათ აქვს კეთილი საქმე ჩაშალოს; მაგრამ კომიტეტი სრული დარწმუნებულია, რომ ამას სასულიერო მთავრობაც მიხვდება და საზოგადოებაც. დიახადაც საჭიროა ჭიათურაში საზოგადო ეკლესია, მაგრამ 1895 წლიდგან ამ 17 წლის განმავლობაში ბევრი ზომები იქნა ხმარებული, მაგრამ არ მოხერხდა ერთი იმ მიზეზით, რომ ყველამ თავის ეზოში მოინდომა ეკლესიის აშენება და პარტიული ბრძოლა ატყდა, მეორე რომ მკვიდრნი მცხოვრებნი 28 კომლის მეტი აქ არ არის და დროებით მცხოვრებნი კი საზოგადო განაჩენში არ შემოვიდენ, ამიტომაც იყო, რომ ეკლესია-შკოლა ვირჩიეთ და სათანადო ნებართვაც მივიღეთ. ეს ყველამ შეიტყო და შეწირულებაც ამ სახით და ამ მიზნით იკრიბება და არა სხვაფრივ. რადგან პლანი შეუფერებლად იქმნა ცნობილი, კომიტეტი ახალი პლანის ძებნას შეუდგა. სხვათაშორის, ჩვენ „კომიტეტს» ძალიან გვიქეს პლანი კვახჭირის მთავარანგელოზის ეკლესიისა, სადაც ამ წლის სეკტემბრის შუა რიცხვებში გავგზავნეთ ერთი ჩვენი კომიტეტის წევრთაგანი, ტეხნიკოსი იონა გრიგოლის ძე ბელიაშვილი. ამას ეკლესია ძალიან მოწონებოდა, მაგრამ რაღაცა მოსაზრებით კვახჭირის მღვდელს, მამა იასონ ჩხიკვაძეს პლანის განათხოვრება დაზარებოდა და ბელიაშვილი ცარიელი დაბრუნდა. იმავე სეკტემბრის 23-ს იმავე ტეხნიკოსთან ერთათ კომიტეტმა მე გამგზავნა სოფ. კვახჭირში.

მივედით კვახჭირის ეკლესიაზე, მნათე დავიბარეთ და გამოვკითხეთ, თუ ვის ხელშია ეკლესიის პლანი. პლანი აღმოჩნდა გლეხის, სარდიონ ოდილაძის ხელში. ჩვენ

გაგვიკვირდა: ეკლესიის პლანი უნდა ინახებოდეს ეკლესიის საქმეეში და არა უბრალო გლეხთან. მივმართეთ მღვდელს, მამა ჩხიკვაძეს და ვსთხოვეთ, ეკლესიის პლანი ენათხოვრებია და შესაფერი სასყიდელიც მიეღო ეკლესიის სასრგებლოდ, მაგრამ მან თავი გააქნია და ცივი უარი გვითხრა: „პლანი ჩემ ხელში არ არის, სარდიონ ოდილაძეს აქვს და ჩემ ხელშიდაც რომ იყოს, მაინც ვერ გათხოვებთ, ვინ იცის, ამისათვის რა სასჯელი მომელისო». ჩვენ მოვახსენეთ, რომ არავითარო საშიში პასუხის გება არ მოგელისთ, ხომ ხედავთ ყაჩაღები არა ვართ, მე თქვენი თანამმა მღვდელი ვარ, ეგ განათლებული ტეხნიკოსია, ორივ კომიტეტის წევრნი ვართ და რათ უნდა შეგიყვანოთ შეცდომაში, რომ რამე სასჯელი მოგელოდეს; პლანს წავიღებთ ვადით, ხელწერილს მოგართმევთ, რომ ვადაზე დაგიბრუნოთ, თანაც რამოდენიმე მანეთს ეკლესიას შევწირავთ და ესეც სასრაგებლოა თქო». ბევრი თხოვნა–ღრიტინის შემნდეგ, გვითხრა: „წადით, ეპისკოპოსს სთხოვეთ, თუ ნებას მოგცემსთ, ბლაღოჩინს მოწერს, ბლაღოჩინი კი მე მაცნობებს, მერე პლანი მაინც ჩამოერთმევა ოდილაძეს და საბოლოოდ აღარ დაეკარგება ეკლესიასო». – ეს იმდენათ უბრალო საქმეა, რომ ამისთვის ყოვლადსამღვდელოს შეწუხება არა ღირს, საქმეც გაგრძელდება და ამდენი დროც აღარ გვაქვს–თქო, მოვახსენეთ. ბევრი მაგალითი მოვუყვანეთ, ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ ვერა გავაწყეთ რა, ბოლოს ვსთხოვეთ დაებარებია ოდილაძე და პლანი მაინც ეჩვენებია, რომ 80 ვერსტის სიშორიდგან მოსვლას ტყუილა არ ჩაევლო. მაგრამ ამაზედაც ცივი უარი მივიღეთ: „მე ვერ დავიბარებ, თქვენ თითონ მიდით და თუ გაჩვენებსთ, მისი ნება არისო». ცივათ მოგვიჭრა მ. იასონმა. მეტი ღონე არ იყო, თვითონ ჩვენ მივედით სარდიონ ოდილაძესთან, რომელიც იქვე მღვდლის მეზობლად სცხოვრობს, მაგრამ მან სხვაგან გაგვასწრო. მის ოჯახობას ვსთხოვეთ ეკლესიის პლანი ეჩვენებია. დიდის სიხარულით და სიამოვნებით გამოგვიტანეს და გვაჩვენეს და თანაც გვითხრეს: რომ სარდიონი შინ იყოს, აუცილებლად პატივს გცემსთ და გათხოვებსთო; ჩვენ კი პლანის ჩვენებისთვისაც დიდი მადლობა შევწირეთ, რადგან მღვდელს რომ ქონოდა შენახული, დარწმუნებული ვართ არცკი გვაჩვენებდა... ამნაირათ გამოვბრუნდით ჭიათურაში ცარიელ-ტარიელი და თანაც მალიან უკმაყოფილო და გულდაწყვეტილი მამა ჩხიკვაძეზე. დღესაც ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდგენია, ნუ თუ იმდენი ქრისტიანული კაცთმოყვარეობა, ძმათ-მოყვარეობა და თანაგრძნობა ვერ უნდა გამოიჩინოს სამღვდელო პირმა და ისიც ეკლესიის აშენების საქმეში, რომ 80 ვერსტის მანძილზე ჭიათურითგან ორჯერ ჩასულებს ისეთი თხოვნა ვერ შეგვისრულოს, რისი შესრულებაც თამამად შეუძლია და ზნეობრივადაც ვალდებულია?!

კომიტეტის მინდობილობით ჭიათურის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო შკოლის გამგე, კომიტეტის წევრი – საქმის მწარმოებელი მღვდელი

*ბესარიონ ვაშაძე.*
*„შინაური საქმეები», 1912 წელი; №35. – გვ.7–9.*

* * *

ფრთები შეისხი ოცნებავ!
გამტყორცნე უცხო მხარეში,
თორემ აქ გული გაწყალდა,
სულ მუდამ სიმწუხარეში.

ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე,
აქვითინ-აკვნესებულმა,
შავ-ბედით, ტიალ ცხოვრებით
დაჩაგრულ-დაკნინებულმა,

გამხეცებული მტარვალი
მუსრს ავლებს ტანჯულ-მოძმეებს,
არ ინდობს დიდსა, პატარას,
აყენებს სისხლის ტბორეებს...

მომაკვდავთ გმინვა გაისმის,
მთა-ბარათ, მინდორ-ველათა,
ცოცხალ-მკვდართ სვავნი ჰკორტნიან,
არვინ ჰყავთ ფარველ მცველათა.

მინდა ვეკვეთო ქვეყნის მტერს,
შუა გავაპო წყეული,
ანდა შევკავდე გმირულათ,
სიცოცხლე მოძულებული.

მაგრამ...ბორკილი, ხუნდები,
აღარ მაძლევენ ნებასა,
და გალაღებულ მტარვალსა,
ველარ ვაყენებ ვნებასა...

ფრთები შეისხი, ოცნებავ!
გამტყორცნე შორს, სხვა მხარეში,
თორემ გაწყალდა გული აქ,
ტანჯვა და სიმწუხარეში.

*ბ. პელაშვილი [ბ. ვაშაძე]*
*„ჩვენი კვალი» 1908 წელი, №23. – გვ.368.*

# გიგუცა და ყურძნის აკიდო

პატარა გიგუცას ყურძენი ძალიან უყვარდა და განსაკუთრებით ყურძნის აკიდო. დღე და ღამე, ძილშიაც და ფხიზლობის დროსაც სულ ყურძნის აკიდო ელანდებოდა; ღამე ძილში ხშირად წამოიძახებდა: „მომეცით დანა, ყურძნის აკიდოები უნდა დავსჭრაო", მძინარე ბავშვს დედა მიეალერსებოდა ხოლმე და გიგუცაც ისევ ტკბილად ჩაიძინებდა ხოლმე. მეორე დღეს დედმამის დაუკითხავად გიგუცა ვენახში დაიბადებოდა თავისის დანით ან სასხლებით, ამოარჩევდა მწიფე ყურძენს, ასჭრიდა აკიდოებს, ზოგს თითონ სჭამდა და ზოგსაც მეზობლების ბავშვებს აწვდიდა.

გიგუცას მამა, ბესო, ვენახში რომ ჩავიდოდა ერთს ამბავს დააწევდა... «ვინ არის ეს არამზადა, რომ ჩემ ნაოფლარვ ვენახს აოხრებსო». გიგუცა იმ ზომამდე მიეჩვია ყურძნის პარვას, რომ თუმცა მამის მრისხანე ყვირილი ეყურებიდა, მაგრამ არ იშლიდა, გადაიპარებოდა ხოლმე ვენახში და ასე გახდა თავისივე ვენახის ქურდი.

ერთხელ გამწარებულმა ბესომ საფანტით გატენა თოფი და ჩაესაფრა ვენახში ქურდის დასაჭერად და გასასამართლებლად. სწორედ ამ დროს გაწუწკებული გიგუცა გადაევლო ვენახის მაღალ ღობეს და გაჩნდა ყურძენში; ბესოს შემოესმა ბავშვის ფეხის ხმა და სწრაფად მიაძახა: „ვინა ხარ, შე ძაღლო, რომ ერთი მოსახლე კაცი ამომაგდე, ეხლა კი სადღა წამიხვალო»?... ბესომ თოფი მოიმარჯვა და ის იყო უნდა გაესროლა, რომ გიგუცამ დაონახა მამა, შეშინდა და მიაყვირა: „მამა, მამილო, მე ვარ შენი გიგუცა, ნუ მომკლავო». გაშმაგებული ბესო ერთხანს შეჩერდა, თვალებზედ ბური გადაეკრა, თოფი ძირს ჩამოაგდო და მერე როცა მოვიდა გონს, მივარდა გიგუცას და მოათრია სახლში დედასთან: „აი, დავიჭირე ჩემი ვენახის ქურდი. რას უყურებდი ადამიანო! ამ ლაწირაკმა ვენახი ამოაგდო და მეზობლებს ვაბრალებდი და ქვეყნის ცოდვა დავიდევი; ტყუილა კი არ არის ნათქვამი, რომ „მომპარავმა ერთი ცოდვა ქნა, დამკარგავმა ათასიო».

გიგუცა ამ დროს შეშინებული იდგა. ფერი უვლიდა, სირცხვილით ხან გაწითლდებოდა, ხან გაყვითლდებოდა, მისჩერებოდა დედ-მამას, თითქოს ინანიებდა თავის დანაშაულს. მამამ რომ მოიბრუნა გული, ყურები მაგრად დაუსრისა და დაემუქრა კვლავ მასწავლებელს ვეტყვიო. სკოლიდან დაგითხოვენ და აღარც შინ მიგიღებთო. გიგუცამ ისირცხვა ქურდობა და აღარც კი ჰქონდა ხალისის ვენახში შესვლისა.

როდესაც მოიზარდა თავის თავზე ლექსიც გამოსთქვა:

„აკიდო მიყვარს ყურძნისა,
აკიდო, აკიდელაო,
სანამ მინდოდა, ვიგემე,
ოდელა, დელი-დელაო.
მამაჩემმა კი ერთხელა,
საფანტით თოფი ტენაო;
გვიან შემიტყო ქურდობა,
ოდელა, დელა-დელაო.
ეხლა ჭკვაში ჩავვარდი,
ბავშვი ვარ ამოტელაო,

ღმერთმა ქურდობა მაშოროს,
ოდელა, დელი-დელაო».

*მღვ. ბეს. ვაშაძე.*
*„ჯეჯილი", 1909 წელი. –N10. – გვ. 24–26.*

### ვუძღვნი ქართული ლიტერატურის მანათობელს, საყვარელ მგოსანს აკაკის

უზენაესის ზეგარდმო ნიჭით ცხებულო!
ქართულ მწერლობის წინამძღოლად მოვლინებულო,
ჭეშმარიტად პოეზიისთვის მოვლინებულო,
სამშობლოს ენის სიყვარულით გატაცებულო;
აწმყოთი არა, მომავალი იმედით გატაცებულო;
ჩაგრულ სამშობლოს და ერისთვის თავდადებულო;
ქართველთ მგოსანო, ნიჭით სავსე ყოვლად შემკულო;
ვარსკვლავო მნათო, ივერთ დიდებავ და სიქადულო;
ჩვენო სახელო, მამულისშვილო, ყოვლად ქებულო;
ამერ-იმერთა პუშკინ-მგოსანო და დიდებულო;
დატრფი სამშობლოს ენატკბილო, განათლებულო;
ყველა მგოსნებთან უპირატესო, აღმატებულო;
მრავალი შრომით, ხსოვნებით გაჭაღრებულო;
თანამოღვაწე ილიასგან დაობლებულო;
მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გამხნევებულო;
გულწრფელი ერის პატივისცემით დაფასებულო;
ბევრის მნახველო და ბევრის მომსწრე დაფიქრებულო;
მწარე და ტკბილი ფიქრებ-ოცნებით აჭრელებულო;
და იმავე დროს სულგრძელებით დამშვიდებულო;
სიტყვა-პასუხში მჭერ-მეტყველო და მოსწრებულო;
მშობელი ქვეყნის დიდო მოღვაწე წარმატებულო;
ჭირში და ლხინში თანამგრძნობო, გამარჯვებულო!...

ამ ნახევარსა საუკუნეში
შენ გაგვიწალდე გზა და ხიდია;
წინ უძღვი მშობელ ლიტერატურას
და შენი შრომა მეტად დიდია.

ყველა პატივს გცემს, ყველა გაფასებს;
შენი სურათი ყველგან ჰკიდია,
მტკიცედ დარწმუნდი დიდო მგოსანო,

რომ შენს ქებაში არ ვართ ფლიდია.

ეს ნახევარი საუკუნეა,
დამღერ სამშობლოს ტკბილის ხმებითა;
სამშობლოს ამკობ ტკბილის ლექსებით;
ჩანგ-ქნარს აჟღერებ ტრფიალებითა.

ადვილი ენით დაგვისურათე
ქართველი ხალხის სულის კვეთება...
ვაშა მგოსანო, რომ არ მოგწყინდა
მედგარი შრომა, საქმის კეთება.

ცხოვრების ჩარხის ცუდმა ტრიალმა
ვერ დაგიმონა, მგოსანო ტკბილო,
შენმა მოთმენამ და იდეალმა
არ გიღალატა, მამულისშვილო!

გულწრფელი ლოცვით შევევედრები
ქვეყნის გამჩენსა, შემოქმედ ღმერთსა;
და მოგილოცავ სამწერლო შრომის
ორმოცდა ათსა ბედნიერ წელსა.

ჩვენს სანუგეშოდ, სასიქადულოდ
იცოცხლე კვლავაც მრავალჟამიერ,
რომ არ მოგვაკლო ტკბილი ლექსები
და გაამხნევო იმერ-ამიერ!...

*მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.*
*30 ნოემბერი, 1908 წ. დაბა ჭიათურა.*
*„შინაური საქმეები», 1908 წელი. –N28. – გვ.12–13.*

### დ. საჩხერის ეკკლესიის კურთხევა და ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილი

21 ნოემბერს, დღით კვირას მისმა მეუფებამ აკურთხა საჩხერის ახალი წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებლის სახელობაზედ აგებული ტაძარი. შესრულდა თუ არა ტაძრის კურთხევის წესი, ბლაღოჩინმა მღვდელმა ვლადიმერ აბრამიშვილმა შემთხვევის

შესაფერისი სიტყვა წარმოთქვა: მიულოცა საჩხერის საზოგადოებას ახალი ტაძრის კურთხევა და უძღვნა ქება-დიდება ეკკლესიის აღშენების მოთავეს ბ.ფილიპე გრიგოლის ძე მგალობლიშვილს. (ხსენებულ პირს ბევრი კარგი საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობა მიუძღვის, როგორც დ. საჩხერეში, ისე სხვა ადგილებშიაც და კარგი იქნება „ვინმე» მისის მოღვაწეობის მცოდნე მის ბიოგრაფიულ წიგნაკს შეადგენდეს და კიდეც გამოცემდეს. ა. – ა.დათ.ღ-ძე). „განიცადენზედ» მშვენიერი ქადაგება წაიკითხა ბლაღოჩინმა – მღდელმა მამა იოსებ წერეთელმა (მოძღვრიშვილმა). ქადაგების პირველ ნახევარში მამა ორატორმა მკაფიოდ დაასურათა ყ-წ. ქალწული მარიამის ტაძრად მიყვანების მნიშვნელობა, როგორც მისაბაძი მაგალითი ქრისტიანულ ცხოვრებაში, მეორე ნახევარში კი განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას კაცობრიობისათვის და ან რა მდგომარეოებაში აყენებს ადამიანს ურწუნოება. ეკკლესიის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო არა მარტო საჩხერიდან, ჭიათურიდან და საჩხერის მახლო სოფლებიდანაც, რასაც ამინდიც ხელს უწყობდა.

მეტად სასიამოვნო და სასიქადულოა ასეთი ტაძრის აშენება ჩვენში და ჩვენს დროში; დიდია და სასიამოვნოა ის გარემოებაც, რომ საჩხერის ახალი ტაძარი აშენებულია საქართველოს ეკკლესიის მანათობელის, მოციქულთა სწორისა, წმიდა ნინოს სახელობაზედ, მით უმეტეს, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს დასავლეთ საქართველოში ამ წმინდანის სახელზედ იშვიათად შეხვდებით ეკკლესიას. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 21 ნოემბერი დიდ სანახსოვრო და სამხიარულო დღესასწაულად ჩაითვლება, როგორც საზოგადოდ ყველა საჩხერლებისათვის, ისე კერძოდ საჩხერეში ნამყოფ მსაჯულის ფილიპე გრიგოლოს ძე მგალობლიშვილისათვის, რადგანაც იგივ არის თავი და თავი მიზეზი, ინიციატორი და დამაგვირგვინებელი ამ ეკკლესიის აღშენებისა. რომ ფილიპე არ მოვლინებოდა საჩხერეს, ეს ეკკლესიაც არ აშენდებოდა. გასაკვირველი და შესანიშნავი არის, სხვათაშორის ერთი ფაქტი საჩხერის ეკკლესიის აღშენების ისტორიაში. 1905–1906 წლებში მოძრაობის დროს როდესაც სოფლის ხალხს ზოგიერთი გარეწარი ვაჟბატონების ჩაგონებით იერიში მიჰქონდა ეკკლესიის წინააღმდეგ, როცა ეს ხალხი ზიზღს უცხადებდა სამღვდელოებას, ხოლო აღშენებულ ტაძრებს დაქცევას და განადგურებას უქადოდა, სწორედ იმ საშინელ დროს „მისიონერ» სამღვდელო პირივით ბ. ფილიპე მგალობლიშვილი საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში დაბრძანდებოდა თუ ცხენით, თუ ქვეითად, თხოვდა და ემუდარებოდა ხალხს, რომ საჩხერეს ეკკლესიის აშენებაში დახმარებოდნენ თუ ფულით, თუ მასალით, თუ მასალის მიტანით და სხვა. ვინ გაბედავდა იმ წლებში და იმ დროს, რომელიმე „ჩინოვნიკის» პატივისცემას და დახმარებას რომელიმე კერძო ან საზოგადო საქმეში და ისიც ეკკლესიის აღშენებაში? მაგრამ მორწმუნე და ჭაღარით მოსილი მადლიანი მისწრაფებით გატაცებული თაოსანი ფილიპე რომ მივიდა ჭიათურისა და ნავარძეთის მეურნე გლეხებთან და სთხოვა მათ, რომ ჭიათურის რკინიგზის სადგურამდის თავიანთი ურმით მიეზიდათ ეკკლესიის თაღის მასალად მჩატე ქვა, მოძრაობით აღელვებულმა გლეხებმა რომ დაინახეს თავისის ღარიბი ქოხის წინ საჩხერის მომრიგებელი მოსამართლე, არათუ დაეზარათ მხნე მუშაკის თხოვნის შესრულება, პირიქით ერთ ურმის მაგიერ ორ-ოლი მეურნენი გამოდიოდნენ ზოგიერთ ოჯახებიდან და დიდის კმაყოფილებით მიეზიდებოდნენ ქვის მასალას დანიშნულ ადგილზედ. „ისეთმა

პატივსაცემმა კაცმა იკადრა ჩვენთან მოსვლა და თხოვნა, რაც უნდა დაგვემერთოს და ვინც რა უნდა გვითხრას, უარს ვერ შევკადრებთო», ამბობდნენ გლეხები.

აი სწორედ ასეთი თავდადებული და დაუზარებელი შრომით და ენერგიით მიაღწია ზ. ფილიპე მგალობლიშვილმა თავისს წმიდა და უანგარო მიზანს და დღეს კი მისდა სასახელოდ ძვირფასი ტაძრით ამაყობს დაბა საჩხერის მართლ-მადიდებელი საზოგადოება. ვინ მოსთვლის რამდენი უანგარო შრომა, ხარჯები და პირადი უსიამოვნება დაუთმენია ზ. ფილიპეს საღვთო საქმის შესრულებისათვის. ღმერთმა დაუმადლოს და დაუფასოს ზ. ფილიპეს ის კეთილი საქმე, რომლის მადლიერი ბევრი არავინ იქნება დღევანდელ ჩვენ სარწმუნოება-ზნეობა დაცემულ საზოგადოებაში.

მღვდ. ბესარიონ ვაშაძე.
„შინაური საქმეები», 1911 წელი. –N1. – გვ.11–12.

### ღია წერილი ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებლის მღვდლის გერვასი ბარათაშვილისადმი

მამაო გერვასი!

პირველ ყოვლისა უმორჩილესად ბოდიშს ვიხდი მკითხველ საზოგადოებასთან, რომ ეს წერილი უმეტეს ნაწილად კერძო ხასიათის არის, მაგრამ რადგანაც ჩვენს შორის ბინდ-ბუნდით არის მოცული ცუდი და გამოურკვეველი დამოკიდებულება და მასთან ჭიათურის ადგილობითი საზოგადოებაც ძალიან დაინტერესებულია გაიგოს, თუ რომელი ჩვენგანი დამნაშავეა, ნებას ვაძლევ ჩემს თავს ყველას საყურადღებოდ და განვაცხადო შემდეგი: სწორედ მეოთხე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც თქვენ მერეკის სამრეკლოდან ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში გადმოხვედით საღმრთო სჯულის მასწავლებლად, ესე იგი, დასტოვეთ სამსახური საეპარქიო უწყებაში და სახალხო განათლების უწყებაში დაიკავეთ ადგილი. იმ დროიდგანვე იმ ზომაზედ გაგიტაცათ ფულის სიყვარულმა, რომ არ დაკმაყოფილდით თქვენი დიდი ჯამაგირით და ჩემს სამრევლო დაბა ჭიათურაში მოურიდებლად და თავისუფლად დაიწყეთ ხელის ფათური. მოინდომეთ ჭიათურის ხელში ჩაგდება, რისთვისაც ყოველი ღონე იღონეთ, ყოველი ზომები მიიღეთ: დადიოდით ხალხში საიდუმლოთ, ჩემს თავს აძულებდით საზოგადოებას და თქვენი თავი კი ყველას გააცანით და დაასახელეთ ჭიათურის სამრეკლოს მღვდლად, რითაც რამოდენიმე პირები კიდეც შეიყვანეთ შეცდომაში, მასთან მთავრობასთანაც მრავალჯერ სიტყვიერად ერთხელ წერილობითაც კი დამაბეზღეთ და ცილი დამწამეთ, ვითომ მეჭიათურაში ეკკლესიის აშენების წინააღმდეგი ვიყო და კიდეც თხოულობდით ჩემს გაძევებას ჭიათურიდგან.

ეს ბოროტი სურვილი დღესაც გაქვსთ, თუკი განახორციელებთ... თქვენი ასეთი ამხედრება ჩემს წინააღმდეგ გახსოვსთ როდის იყო? 1907–1908 წლებში, სწორედ მაშინ, როდესაც მე ღვთის გაჩინებამ თითქმის ერთ დროს მომაშორა სამუშამოდ ახალგაზრდა მეუღლე და ოჯახის მოამაგე და მოჭირნახულე მამა და ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილს

თანა-მოძმის ნუგეშისა და გამხნევების მაგივრად თქვენის შეუფერებელი მოქმედებით ძარღვები ამიშალეთ, სიცოცხლე და ენერგია მომიწამლეთ. აი ძმობაც ამასა ჰქვიან…თქვენ კი არც ამას მიაქციეთ ყურადღება, სასულიერო მთავრობამ დ. ჭიათურა მიაწერა რწმუნებულს ჩემდამი ზეგარდნის სამრევლოს, რადგანაც ზედარგანი ნამეტანი პატარა სამრევლოა, სადაც მხოლოდ ათი კომლი სცხოვრობენ და ისინიც უკიდურესს სიღარიბეს განიცდიან ხუთი აზნაურისა და სამი გლეხის გარდა, შავი ქვის მადნის დამუშავების მიზნით მაშინ, როდესაც ზოგიერთს სამრევლოებში 200–300 კომლი სცხოვრობენ და იქაც კი უჭირსთ ეკკლესიის კრებულთ თავის რჩენა დღევანდელ პირობებში.

იმ მიზნით, რომ მე როგორმე დავეფარე სასულიერო მთავრობას თქვენის ძალმომრეობისაგან და ყველას გაეგო, რომ ჭიათურა მე მეკუთვნის სამრევლოდ და არა თქვენ, სწორედ რვა „რეზოლუციაა» დადგენილი და დაკანონებული თქვენს წინააღმდეგ, რომელთაგანი ერთი არის ყოვლად უსამღვდელოესის აწ უკვე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ და შვიდი კი დღევანდელი იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის გიორგის მიერ, მაგრამ თქვენ კი არცერთ „რეზოლუციას», განკარგულებას არ დაემორჩილეთ. ამას ისიც დავუმატეთ, რომ 1909 წლის ნოემბრის 9–10 რიცხვებში ყოვლად უსამღვდელოესი გიორგი ბრძანდებოდა მღვიმის დედათა მონასტრში, სადაც მე და თქვენ ერთად წარვუდექით მისს მეუფებას, რომელმაც მწყემსმთავრული დარიგება გიბოძათ შემდეგი სიტყვებით: „თქვენ თქვენი საკუთარი ადგილი გიკავით საერო უწყებაში, მაგ შტატის ადგილი სრულიად საკმარისია თქვენთვი, სხვის სამრევლოში შეცილებას თავი დაანებეთო» და სხვა. იმავე დღეს თქვენ როდესაც დაბრუნებულხართ მონასტრიდგან ჭიათურაში ჩემს დასამცირებლად ხმა გაგივრცელებიათ, ვითომ ყოვლად უსამღვდელოესობამ გიორგიმ მე არ მიმიღო და გარეთ გამომაგდო; მიუხედავად ყველა ამისა თქვენ დღესაც ისევ ძალაზე ადგიხართ და დღესაც თქვენებურად აფათურებთ ხელს ჩემს მრევლში. ასეთი ძალადობით და საქციელით თქვენს თავსაც ამცირებთ საზოგადოების თვალში და ჩემს თავმოყვარეობას და უფლებასაც ფეხქვეშ სთელავთ. ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა თქვენ თავიდგანვე ჭიათურის საავათმყოფოდგან დაიწყეთ. თქვენ არ შეგიძლიათ უარყოთ შემდეგი ფაქტი: იმ დღიდანვე, რაც მე თქვენ ახალი დანიშნულება მოგილოცეთ, ე.ი. 1908 წლის დასაწყისში თქვენი სიძის მამა ი. ვაშაძის თანდასწრებით, მადლობის ნაცვლად შემდეგი მუქარა გამომიცხადეთ: „თუ ნება-ყოფლობით საავათმყოფოში ადგილი არ დამითმე, იცოდე, რომ ბრძოლას არ მოგიშლი და არ მოგისვენებო», რაზედაც მე შემდეგი გიპასუხეთ: „საავათმყოფოში ადგილი დაცლილია, ორივემ ვითხოვოთ და, ვისაც მოგვცემენ, იმას დარჩეს-თქო». მართლაც ორივემ ვითხოვეთ, მაგრამ თქვენ არ მოგცესთ იმ მოსაზრებით, რომ თქვენ უიმისოდაც ბევრი საქმეები და დიდი ჯამაგირი გაქვსთ, მასთან თქვენ სამრევლოს მღვდელი არა ხართ, ეპარქიის უწყებას არ ეკუთვნით, კრებული არა გყავსთ და საეკკლესიო საბუთები არა გაქვსთ და სად უნდა ჩაგეწერა შესრულებული მღდელმოქმედება? მართლაც ჯიზზედ მექცევით და ძალაზე ადგიხართ, თორემ აბა რა გიჭირსთ მაგისი ფასი? თქვენი წლიური ჯამაგირი 1020 მანეთს უდრის, ე.ი. თვეში 85 მან მოგიწევსთ, მე კი წლიურად 282 მან. ხაზინიდგან მაქვს, ე.ი. თვიურად 23 მან. 50 კაპ. და საავათმყოფოდგანაც 8 მან. 33 კაპ. და სრულიად 31 მან. 83 კაპ., მასთან მე 10 სულს ვარჩენ ისიც სულ ნაყიდი სარჩოთი, ორ ვაჟს გიმნაზიაში ვზრდი და ერთ ქალსაც პროგიმნაზიაში, თქვენ კი ამოდენა ჯამაგირთან ოჯახში ცოლი და ორი შვილი

გყავსთ. ასეც რომ არ იყოს და რვა გზის აკრძალულიც არ გქონდესთ მღვდელმოქმედება ჩემ სამრევლოში, სად გაქვსთ თქვენ იმდენი თავისუფალი დრო, რომ საღმრთო სჯულის მასწავლებლობაც და თანაც მღვდელმოქმედებაც აასრულოთ? თქვენ ასწავლით საღმრთო სჯულს ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებლის ყველა კლასებში, აგრეთვე საქალაქო სასწავლებელთან დაარსებულ მოსამზადებელ კლასებში და ოთხკლასიან კერძო საქალებო პროგიმნაზიაშიდაც. ამ მოკლე დროში აქვე ხსნიან ტეხნიკურ სასწავლებელს, სადაცა, იმედია, თქვენვე დაიკავებთ საღმთო სჯულის მასწავლებლის ადგილს...რომ მეტად გესარგებლნათ ჩემს სამრევლოში და რომ უფრო შეგეწუხებიეთ და შეგევიწროებიეთ, სხვათა შორის თქვენ კიდევ მიმართეთ ერთ უკუდურეს საშუალებას: მიეწერეთ შორეული შუქრუთის ეკლესია, სადაც თქვენ, სიშორის გამო სრულიადაც არ გეხერხებათ სიარული და სადაც თქვენი სიძე მ. ვაშაძე არის მღვდლად. – ეს იმისათვის, რომ მღვიმის მონასტერს მეტრიკული წიგნები არა აქვს და შუქრუთის ეკკლესიის საბუთებით კი სარგებლობთ შემთხვევის დროს, რაზედაც თქვენ ყველას განუცხადეთ, რომ ვითომ თქვენც გაქვსთ მონიჭებული საეკკლესიო საბუთები, ვითომ ჭიათურა ზედარგნის მცირე სამრევლოში კი არ შედის, თქვენ მოგაკუთვნესთ, მაგრამ რადგანაც ტყუილს მოკლე ფეხები ასხია, ამ ხერხს ყველა მიგიხვდა...თქვენ კიდევ არ გასვენებთ ჭიათურის საავათმყოფოში ფეხის ჩაუდგმელობა: ძალიან იშვიათი არის ხოლმე, რომ მე შინ არ ვიქნე და ჩემ მაგიერად თქვენ მოგითხოვონ საავათმყოფოში.

ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში სულ ორი შემთხვევა მქონდა, რომ შემთხვევით შინ ვერ დავესწარი და თქვენ გთხოვესთ მღდელ-მოქმედება, ისიც იმიტომ რომ, სხვა მღდელი ვერ ეშოვათ. აქაც იჩინა თქვენმა ერთგვარმა ხრიკმა.– პირველ შემთხვევაში თქვენ მოგითხოვიათ საავათმყოფოს გამგე ექიმისათვის ოფიციალური წერილი, ვითომ ამით გინდათ აგრძნობინოთ საავათმყოფოს, რომ თქვენ აუცილებლად საჭირო ხართ მისთვის ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ასეთ მოწერილობებს საბუთად გამოიყენებთ და უფრო ადვილად შეიძლებთ ჩემს გაძევებას. მეორე შემთხვევა აპრილის პირველ რიცხვებში მოხდა პირველ აპრილს მე ქუთაისში წავედი ავათმყოფი შვილის სანახავათ. თურმე ამ დღეს ერთ მძიმე ავათმყოფს, სახელდობრ ვასილ ნოზაძეს ზიარება უსურვებია; მე რომ შინ არ უნახავართ, თქვენი სიძის მ.ი. ვაშაძისათვის უცნობებიათ; მან თურმე მოციქულს უთხრა, მ. გერვასი წავიდა საზიარებლადო, რაც ტყუილი აღმოჩნდა. თქვენ თურმე თქვენებურად ოფიციალური მოწერილობა მოგეთხოვათ საავათმყოფოსთვის, რაც კანონიერი არ იყო და საცოდავმა ვაჟკაცმა თურმე აღსარების და ზიარების ნატვრაში განუტევა სული და უკანასკნელად საყვედურითა და ტირილით ეთქვა საცოდავ მომაკვდავს: „მე ქრისტიანი კაცი ვარ და უაღსარებოთ და უზიარებლათ არ უნდა მოვმკვდარიყავიო»! ამ ამბავმა ააშფოთა და ააღელვა თურმე, ვინც კი გაიგო და გაიძახოდენ: „რომელ კანონში უწერია მღვდელს, რომ, ქრისტიანი კვდებოდეს, ოფიციალური ქაღალდი მოითხოვოს და უმისოთ არ აზიაროსო». ამითი, რასაკვირველია, თქვენ გინდოდათ ჩემთვის ჩირქი მოგეცხოთ, მაგრამ ყოველი ფხიზელი და საღი გონების ადამიანი მიხვდება, რომ ამ შემთხვევაში მე სრულებითაც არა ვარ დამნაშავე. ამ შეუფერებელი საქციელით თქვენს თავს უფრო მოსცხეთ ჩირქი და ჩაიგდეთ თქვენი თავი საცოდაობაში და მძიმე პასუხის გებაში. ნუ თუ თქვენი მოვალეობა რა იყო და არ იცით, რომ სასიკვდინე ზიარებაზე და ნათვლაზე არსად და არას დროს უარის თქმა არ შეგიძლიათ?!

ეხლა გკითხავთ, თქვე დალოცვილო, რატომ ნათვლებზე და ქორწინების შესრულებაზე თხოულობთ ოფიციალურ მოწერილობას და ნებართვას? აი ეს სამწუხარო მაგალითი ცხადათ ამტკიცებს, თუ რა მოკლე მოსაზრება და გულცივი შეხედულება გქონით მღვდელობაზე და მისს დიად მოვალეობაზე.

დასასრულ უმდაბლესად ვთხოვ ჩვენს თანა-მოძმე სამღვდელოებას, რომ თავისი პირუთვნელი სწორი აზრი და შეხედულება გამოსთქვას ამ გაზეთის საშუალებით თქვენი შეუფერებელი საქციელის შესახებ. იმედია, თვით პატივცემული რედაქციაც თავის დროზედ გამოსთქვამს თავის საკუთარ აზრს ჩვენს შესახებ და მითი გაიგებს ყველა, თუ რომელი ჩვენნგანია დამნაშავე ღმერთთან, კაცთან და სვინდისთან...

*თქვენგნივ უსამართლოდ დევნილი მღვდელი*
*ბესარიონ იაკობის ძე ვაშაძე.*

*„შინაური საქმეები», 1911 წელი. –N11. – გვ.12–14.*

**დიდათ პატივცემულო მამაო რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ ამ წერილს ადგილი უბოძოთ „შინაური საქმეების» მახლობელ ნომერში და მით მომცეთ შეძლება სიმართლის აღსადგენად ორიოდე სიტყვა მოვახსენო მკითხველებს მ. გერვასი ბარათაშვილის საპასუხო წერილის გამო.

მ. გერვასი ბარათაშვილი თავის წერილში, რომელიც მოთავსებულია ამ წლის „შინაური საქმეების»NN№13, ვითომ ჩემს საპასუხოდ, არსებითად ვერავითარ პასუხსაც ვერ იძლევა; სიტყვა ბანზედ აუგდია, აშორებია სალაპარაკო საგანს და რაღაცა აბდა-უბდას მოყოლია, რაც ჩემს სალაპარაკო საგანს სრულიადაც არ შეეხება. ამიტომ იმ საპასუხო წერილის შინაარსს იმდენად ღირსად არა ვსთვლი, რომ სრული პასუხი მივსცე, მხოლოდ საამხანაგო სამართალში ჩემი გამოწვევის შესახებ მ. ბარათაშვილი ამბობს, ვითომ მე ჯერ დავთანხმდი და მერე უარი მეთქვას და სხვა. ეს სრულებით ტყუილია; მე არაოდეს არ დავერიდები, სამედიატორო სამართალს, რადგან ძალიან მაღლა ვაყენებ მას, რადგანაც იგი არის არა მარტო ფორმალურ კანონებზედ დამყარებული, არამედ სინდისზედ, პატიოსნებაზე, და ზნეობაზე, რასაც მოწმობს ჩემი წერილი, რომელიც დასტამბულია 1907 წლის გაზეთ „მწყემსის» №3. მაგრამ საქმე აი რაში გახლავს: ამ წლის თებერვლის პირველ რიცხვებში, როდესაც ბარათაშვილმა მოციქულად დააყენა ჩემთან ყველასაგან დიდად პატივცემული ნიკოლოზ კირილეს ძე რაზმაძე (ჭიათურის მომრიგებელი მსაჯული) მედიატორეებში გამოსვლის შესახებ, მე მოვახსენე მოციქულს, რომ მ. ბარათაშვილს არასოდეს არ დავერიდები ზნეობრივ სამართალში, მაგრამ სადაც ორი გამოჩენილი მღვდელმთავრის 8–9 რეზოლუციას არ დაემორჩილა მ. ბარათაშვილი, ეჭვი მაქვს, რომ სამედიატორო სასამართლოს დადგენილებასაც არ დაემორჩილებათქო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვიფიქრებ და პასუხს მოგახსენებთქო». მართლაც რამოდენიმე დღის შემდეგ მე მივედი ბატონ ნიკოლოზ რაზმაძესთან და ვსთხოვე გადაეცა მ. ბარათაშვილისათვის, რომ მე მას დიდის

კმაყოფილებით დავეთანხმებოდი და სიამოვნებით გამოვყვებოდი სამედიატორო სამართალში, მხოლოდ იმ პირობით, რომ, რადგანაც ჩვენ მღვდლები ვართ, ჩვენ ისევე მღვდლებმა უნდა გაგვასამართლოსთქო და ისიც ადგილობითი მღვდელმთავრის ნებართვითთქო, ერის კაცებს არა აქვთ უფლება, რომ ჩვენ გაგვასამართლონ და არც მივსცემ ნებას ჩემს თავსთქო. ასეთი ჩემი კანონიერი მოთხოვნილება და განცხადება თვით ბატონმა იურისტმა მოციქულმაც მომიწონა, მაგრამ მ. ბარათაშვილმა კი რაღაც მოსაზრებით ეს აზრი დამიწუნა და ჩემის მხრით ესრეთი განცხადება უარათ ჩათვალა და იმავე დღიდგან მთელ საზოგადოებაში ხმა დაჰყარა, რომ ვითომ მე მასთან დამნაშავე ვარ და სამედიატორო სასამართლოში გასვლას ვერიდებოდი. ჩემი წერილის შემდეგ (იხილეთ „შინაური საქმეების» №13) 22 აპრილს მ. ბარათაშვილმა ხელახლა მომიგზავნა ხუთი მოციქული და შემომითვალა გავსულიყავი მასთან სამედიატორო სამსჯავროში, მე ყოყმანი კი არ დამიწყია, როგორც ამბობს მ. ბარათაშვილი, არამედ გადაჭრით გამოვუცხადე მათ, ყოველივე ის, რაც უწინდელ მოციქულს, ბატონ ნიკოლოზ რაზმაძეს მოვახსენე. ჩემი პასუხიდამ მ. ბარათაშვილმა ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ მე ვითომ ერის კაცებს არ ვენდობოდე და ამიტომ ვარჩევ მღვდლებს მედიატორეთ; თუ მას ეს ჩემზე ეთქმის, მაშ მეც მეთქმის მასზედ, რომ იგი ვითომ მღვდლებს ერიდება და მარტო ერის კაცებთან ჰქონია საქმე. აი, სწორედ მე ვისურვე სამღვდელო პირები ყოფილიყვნენ მედიატორებათ და კიდეც ასე მოხდა: მედიატორებად არიან არჩეულნი ბლაღოჩინი _ მღვდელი მამა იოსებ წერეთელი და მღვ. იოაკიმე მოდებაძე და მათ კი ერთმანეთის შეთანხმებით თავმჯდომარედ აირჩიეს ყველასგან პატივცემული და ცნობილი დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძე, კაცი გუმანიური, საიმედო, გამოცდილი და ეგრეთვე დაახლოვებული და მცოდნე ჩვენი სამღვდელოების ავ-კარგისა, რომელნიც მოკლე დროში გაარჩევენ ჩვენს საქმეს. მ. ბარათაშვილი უსირცხოდ გაიძახის: „როდესაც მოაწია ჩვენმა გასამართლების დრომ, მ. ვაშაძემ უარი განაცხადა საამხანაგო სასამართლოზედო», რაც მტკნარი სიცრუეა, ცილისწამებაა; მაშინ არავითარი სასამართლი ჩვენში არ შემდგარა, მხოლოდ მოლაპარაკება გვქონდა ურთიერთშორის ბატონი ნიკოლოზ რაზმაძის პირით, როგორც ზევით მოგახსენეთ, სხვა კი არაფერი. მ. ბარათაშვილს სულითა და გულით სურს უსიამოვნება და განხეთქილება ჩამოაგდოს მე და მ. ვლადიმერ კაპანაძეს შორის და აცხადებს, რომ მ. ვლადიმერ კაპანაძეს მე მედიატორათ არ ვღებულობ; მ. ვლადიმერ კაპანაძე მედიატორათ არ მინდოდა იმიტომ კი არა, რომ ის ცუდი კაცი იყოს, ან მითი მისის დამცირება მინდოდეს, არამედ იმიტომ, რომ მ. ვლადიმერი წასულ წლებში სასულიერო მთავრობასთან თხოულობდა, რომ ჩემთვის ჭიათურა ჩამოერთმიათ და მისთვის მიეცათ, მთავრობამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა და ასეთ შემთხვევაში ცოტად თუ ბევრათ მ. ვლადიმერ კაპანაძე მოინტერესე პირათ ჩაითვლება ამ საქმეში და ამისათვის მ. ბარათაშვილს კიდეც რომ დაენიშნა იგი თავის მედიატორეთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ მ. ვლადიმერი, როგორც შეგნებული პირი, არ მისცემდა თავის თავს ნებას, რომ ჩვენს საქმეში მედიატორეთ გამოსულიყო. ვითომ მე შემეთვალოს მოციქულების პირით მ. ბარათაშვილისათვის, რომ „შინაურ საქმეებში» ჩემს წერილზედ პასუხი არ მომცეთქო, – ესეც უკუღმართად გადაბრუნებული და გადამახინჯებული ცილისწამებაა, – პირიქით ჩემი აზრი იყო და არის, რომ მ. ბარათაშვილს არ დავერიდები არც პოლემიკაში და არც სამედიატორო სამართალში და ის კი სულ სხვა ჰანგებზე ლაპარაკობს. ჩემი ფიქრია, რომ როგორც პოლემიკას მოერიდა

მ. ბარათაშვილი, ისთე არც სამედიატორო სამართალში უნდოდა გულით გამოსვლა, მაგრამ ეგონა, თუ მე უარს ვიტყოდი, მედიატორობაზედ და მერე თავისებურათ დაკრავდა ბუკ-ნაღარას და ხმას დაჰყრიდა, რომ მე დამნაშავე გამოვდივარ მასთან. კიდევ დახედეთ მ. ბარათაშვილის დაფარულ აზრებს და გულაუხდელობას, თუკი იმან გამოამჟღავნა ის სამღვდელო პირი, ვისზედაც მე შევუთვალე, რომ მედიატორად ნუ დანიშნავთქო, რატომ იმ პატივცემულ მოძღვარზედაც არ მიგვითითა, რომლის დანიშვნის წინააღმდეგიც ის იყო, მაგრამ ეს ხერხიც ყველასათვსი გასაგები არის?!..

*მღვდელი ბესარიონ ვაშაძე*
*28 მაისს 1911 წ დაბა ჭიათურა.*
*„შინაური საქმეები», 1911 წელი. –N16. – გვ.11–13.*

## ვაი ჩვენს სირცხვილს, თუ ეს მართალია?!...

*„მოყვარეს პირში უძრახე,*
*მტერს პირს უკანაო».*

ამ წლის გაზეთ „შინაური საქმეები»-ის 17-ში მოთავსებულია „დამსწრეს» წერილი, რომელიც შეეხება შორაპნის საბლაღოჩინოს სამღვდელოების კრებას. სხვათა შორის ბატონი „დამსწრე» წერს: „კრებამ კარგათ ჩაიარა, მაგრამა ბოლოს ცოტა კამათი შეიქნა გაზეთ „შინაური საქმეების»-ს შესახებ. ბლაღოჩინმა უთხრა სამღვდელოებას, გაზეთი „შინაური საქმეები» მთლად სამღვდელოების ლანძღვა-გინების მეტს არაფერს არ აკეთებს, არაფერი იმაში ჩვენი სასარგებლო და სერიოზული არა არის. ამისთანა გაზეთი რათ გვინდა და ისიც ისე ძვირიო», რაზედაც სამღვდელოების კრების ერთ წევრს მღ. მ. გ. მაღრაძეს შესაფერისი პასუხი და შენიშვნა მიუცია მ. ბლაღოჩინის დ. სუხიაშვილის უსამართლო განცხადების შესახებ. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, თუ ეს ფაქტია, მაგრამ ნება-უნებლიეთ უნდა დავიჯეროთ, რადგანაც მ. ბლაღოჩინს „დამსწრეს» წერილზე ხმაც არ ამოუღია და ხმის ამოუღებლობა და სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო, იტყვიან. კიდევ ვიტყვი, რომ ეს სამწუხარო ანბავი დასაჯერებელი არ უნდა იყოს და თუ მართალია, არ ეპატივება არც ერთს სამღვდელო პირს და მით უმეტეს ბლაღოჩინს, რომელსაც მეტი მოეთხოვება.

ჩვენზე მონდობილი ხალხი და სამწყმსო ხშირად გვისაყვედურებენ ლანძღვა-გინებით, რომ მღვდლები წირვა–ლოცვისა და ჭამის მეტს არას აკეთებენ სოფლებშიო; ჟურნალ-გაზეთებს არ იწერენ, არ კითხულობენ, არ ვითარდებიან, არ ადევნებენ თვალ-ყურს თანამედროვე ცხოვრებას, ლიტერატურაში არ შრომობენ, ქუდი რომ შეუგდოთ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში, გამოსატანათ არ შევლენ: ან სხვას შეაგზავნიან, ან სულაც იქ მიატოვებენ, რითაც ბევრად ჩამორჩენილი არიან ჩვენ ერისკაცებზეო და სხვა. და ნუ თუ ასეთ დროს ასეთი მაგალითი სამარცხვინო და სამწუხარო არ არის? ისიც კიდევ

მაშინ, როდესაც ამას ჩადის არა უბრალო და უსწავლელი, მღვდელი, არამედ მთელი საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების წარმომადგენელი, კეთილ-მოწესე, სემინარიელი მოძღვარი. და ისიც როდის და რა დროს? მეოცე საუკუნეში, როდსაც დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, კულტურის გზას ადგია, წინსვლას და განათლებას ესწრაფება! მე ვფიქრობ, ყოველმა კეთილმოწესემ კეთილი მაგალითი უნდა უჩვენოს და კეთილ წესიერება დაცვას თავისს თანამოძმე სამღვდელოების წრეში, კეთილ გზაზე უნდა დააყენოს ყოველი სამღვდელო პირი, თორემ მარტო კრების მოხდენა და ცირკულიარების მშრალი კითხვა ვის რას არგებს?!

თუ მ. ბლაღოჩინს „შინაური საქმეები» არ მოსწონს პირადათ და უკმაყოფილოა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გაზეთის გამოწერა ყველას უნდა აეკრძალოს, ან დასაწუნარი იყოს და ძვირად ღირდეს. „შინაური საქმეები» უნდა ითქვას, პურუთვნელი, მიუდგომელი და გულახდილი გაზეთია და ასეთიც უნდა იყოს. რა გაზეთი იქნება ის გაზეთი, რომელიც პირმოთნეობას და ცალმხრივებას ეწევა! და თუ ასეთ მისის ხასიათი ვისმე ეჩოთირება და ვერ თმენულობს, ვეტყვით: „ავს ნუ იზამ და ავისაც ნუ გეშიანია». მთელ საეგზარხოსოს, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, მთელ საქართველოს სამღვდელოებას ერთად ერთი გაზეთი „შინაური საქმეები» გვაქვს მაშინ, როდესაც ამავე საეგზარხოსოში ამ ჟამად ათი პერიოდული გამოცემა გამოდის, მათში ხუთი ქართულია და ხუთი რუსულია და ნუ თუ ისე დავქვეითდით და დავწვრილმანდით მეოცე საუკუნის ქართველი სამღვდელოება ზნეობრივად და ეკანომიურად, რომ ერთადერთი გაზეთის არსებობასაც არ შევუწყოთ ხელი?!... როდესაც ერთს რომელიმე გაზეთს ვიწუნებთ, მეორე იმავე დროს უკეთესი უნდა გვქონდეს; აბა, გვიბრძანეთ მ. ბლაღოჩინო, რომელი გვაქვს ჩვენ სასულიერო უწყებას უკეთესი გამოცემა ადგილობრივი, ან უცხო ენაზე, რომ „შინაური საქმეები» ავითვალწუნოთ და ის მოვიწონოთ? თუ სასურველია ვისთვისმე, რომ აღარც ეს გაზეთი გვექნეს და მთლად გადაგვარებისა და დაჩლუნგების გზას დავადგეთ?!...

რაც შეხება სიძვირეს, ამაზე ლაპარაკიც მეტია. ალბათ, ეძვირება იმათ, ვისაც წაკითხვის სურვილი არა აქვს. „შინაური საქმეები» არათუ ძვირია, პირიქით, ძალიან იაფია და ყველასთვის ხელ მისაწვთომია. ნუ თუ ის ნაძალადევად და ძალა-უმადურათ გამოწერილი გაზეთები, რომლებითაც ყველა ჩვენგანი ვერ სარგებლობს და მაინც ძალათი გვატენიან ხელში, 3-4 მანეთი იაფია და მშობლიურ ენაზე გამოსული ერთად ერთი გაზეთი, რომელიც სიმართლეს ემსახურება, რომლით სარგებლობაც შეგვიძლია ამავე ფასათ ძვირია? ან შეიძლება, იმიტომ არავის მოსწონს და ეძვირება, რომ ამ სიმპატიური გაზეთის რედაქტორად ისევ ჩვენი შინაური თანაძმა არის და არა უცხო ვინმე? ტყუილად კი არ ამბობენ: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო»... ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მამა რედაქტორი ერთისა და ორი პირის აზრს ყურადღებას არ მიაქცევსდა ჩვეულებრივი სამართლიანობით და ენერგიით განაგრძობსა შრომას და ჩვენც, მისის თანამოძმე სამღვდელოება მუდამ მზათ ვიქნებით თანაგრძნობა გავუწიოთ და ხელი შევუწყოთ მას და მის გამოცემას.

*მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.*

*„შინაური საქმეები», 1912 წელი. –N26–27. – გვ.13–15.*

## გრიგოლ ვაშაძის ლექსები

### 25 თებერვალი

მე მრისხანებით მევსება გული
სულში იღვრება შხამი ლოდინის
როდესაც უცქერ, როგორ ზეიმობს
თვის გამარჯვებას ყოველწლიურად
შემოსეული თავის როდინით
რითაც რომ „გვნაყავს»
„გვნაყავს» უტიფრათ,
ვირის სიმშვიდით, ვირის ყროყინით –
გაიხარეთო თავისუფლებით,
თანაც ერთგულად გვემსახურეთო,
თქვენი მარჯვენით და თქვენი თოხით.
ქარხანა თქვენი – ნაწარმი ჩვენი,
მიწა თქვენია – ნაყოფი ჩვენი;
ჩვენს სალოცავში უნდა ილოცოთ,
ძველ სალოცავებს თავი ანებეთ –
მიაფურთხეთ და შეაჩვენეთო...
და ასე გადის მრავალი წელი...

*(№58)*

### სერგო ორჯონიკიძეს

...ერმა ქართველმა ვით არ დაგწყევლოს
რომ შენსა მოდგმას ქვეყნათ არ ევლოს,
უწმინდურო და სლიპინა გველო.
ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჩამოარიგე
ქართული მიწა, ქართული მდელო.
მურტალო, ბილწო, ერის მომსპობო და
დამთრგუნველო...

*(№ 58)*

### სერგო ორჯონიკიძეს

არარაობის სამყაროდან ეშმამ მუდრეგმა
მწვანე საგზური შენს ამქვეყნათ
მოთრევას მისცა,
რომ ჯვარზე გეკრა, არ დაგენდო,
შენ, სისხლით უძღებს,
წილხვდომილი ღვთისმშობლისა –
ქართული მიწა.
მაგრამ არ შეგრჩა...
იმ დაღვრილმა უსამართლოთ
მოძმეთა სისხლმა,
აბორგებული რომ შფოთავდა და
ბობოქრობდა,
თვალთა სინათლე დაგიბრმავა,
ვით გზაში ნისლმა
და ჩაგაძაღლა იმავე ხელმა,
ვინც შენ ადრევე თვით
გამოგზარდა.

*(№58).*

## 1921 წელი

საქართველო წასაქცევათ რო უნდოდათ –
წააქციეს – უნდოთა!
მიწა მისი გასაყოფათ რო უნდოდათ –
მიჭრეს-მოჭრეს და მიუგდეს
ურდოთა!

*(№60).*

## გალაკტიონი

...მაგრამ სიმწარემ სინამდვილის
ჯვარზე გაგაკრა,
ვეღარ გაუძელ მწარე სიზმრებს,
ვიღაცის ძახილს
ფანჯრის რაფიდან გაუღიმე
სიკვდილის აჩრდილს,
სისხლიან ტუჩით სასიკვდილო
უხმო ცმაცუნით

თქვი კიდევ ერთხელ, რომ
„ეს არ არის საქართველო»!.

*(№58).*

* * *

გასამრჯელოს დაგიწესებ,
ისეთს, არვის ენახოსო –
არც მოკვდები, არც დარჩები,
როგორც შვენის უნიფხოსო.

*(№66)*

**ხალხურ ყაიდაზე**

შენ, კარგო, ბიჭო, ქიტესა,
რად უღალატე ქრისტესა,
ჩვენმა ძველებმა წარსულში
რამდენი სისხლი წრიტესა,
რწმენისთვის თავდადებულნი
სამშობლოს მტრები ჟლიტესა,
რატომ გგონია ურწმუნოს,
კარგი დღე გაგითენდესა!
მარტო იმიტომ არ ვცხოვრობთ,
პური და ხორცი გვქონდესა,
ასე ნადირიც კი ცხოვრობს,
მუდამ ილესავს კბილებსა.
კაცი ტუჩზემოთ თუ არ ხარ,
სტომაქი მგელსაც ებოძა!
მარტო ჭამისა ამყოლსა
ავი დღე მუდამ ექნება.

*(№66)*

**ალავერდი**

ალავერდის ტაძარი,
თეთრი გედი რომ არი,
მის საქებლათ, სადიდებლათ
ყველა ფეხზე ამდგარი
(ქალები კი დამჯდარი)
სადღეგრძელოს შესვამენ.
როცა მტერი მომხვდური,
ცეცხლის ალში გვახვევდა,
მწარეთ მოსაგონარი
უდგებოდა დღეები
ალავერდსაც _ თეთრ გედსაც,
მაგრამ, როგორც უკვდავი,
ხალხი, მისი შემქმნელი,
არ კვდებოდა ტაძარი,
ისიც იყო უკვდავი.

*(№62)*

სამშობლოს

მე მუდამ შენი მონა ვიყავი,
შენზე მლოცველი, შენზე მტირალი,
და ჩემი გული, სავსე ჭრილობით,
სულ მუდამ შენსკენ იყო მზირალი.

შენს ძლიერებას უფალს შევთხოვდი,
მარჯვენა ჩემი მას ემსახურა.
ბევრი ვერ შევძელ, გთხოვ პატიებას,
მაგრამ იცოდე, ისე ვისარჯე,
შენს სამსახურად
ნამუსის ქუდი არ შემირყვნია და
იგი თავზე მუდამ მეხურა.

*(№62)*

საქართველო

ვინ არ გიღრენდა, წალკოტათ ქცეულს,
ვინ არ სინჯავდა ხმალს შენს სხეულზე,
მუდამ ცეცხლი და მუდამ ხანძარი–

მაინც შესძელი, მაინც გაუძელ:
გეწერა წიგნი, გეგო ტაძარი!
სუმოკლეობით შენი შვილების,
ბევრჯერ მიწაზე იყავ გართხმული,
მაგრამ მათ გვერდით, იყვნენ ისინი,
ვისაც საფიცრათ ჰქონდა მამული
და სალოცავათ მხოლოდ ჯვარცმული.
სიმდიდრე შენი – სპეტაკი სული,
რითაც იყავი მუდამ ძლიერი,
გაუნაწილე ერებს მრავალთა,
ზიარებისა, ვით სეფისკვერი.

*(№62)*

მიუგნებელი საფლავი (ძღვნათ მამას)

ცხოვრებამ ბევრი სიმწრით შეგმოსა
ვინ არ დაკარგე, რა არ დაკარგე.
გულგაუტეხი კაცი იყავი –
შენს კუთხეს ბევრი სიკეთე არგე.
ჩაგუბებული სევდა კრთოდა
მუდამ თვალებში,
სიმწრის ღიმილი თამაშობდა
ხშირად ბაგეზე;
ჯანღონით სავსეს აღარ გყავდა
მესიდუმლე,
მეცხედრე შენი და გულის მზე –
ადრე დაკარგე.
უცბათ მოვარდნილ უჯიშოთა
თქეშსა და ღვარცოფს,
მუხლი ხომ ბევრმა მოუდრიკა
და ქვეშ გაეგო.
შენ შენი ხატის, ჯვარცმულის
მრწამსს
არ განუდექი – დარჩი ერთგული.
არ გაპატია მოყვრის ქურქში
გახვეულ მტერმა –
„უარყავიო» – ჩაგძახოდნენ
მიწაზე გართხმულს,
ხელებშეკონილს მოხუცს და ძაბუნს.
წყურვილისაგან დამსკდარი ბაგით,
ათრთოლებული უფალს შესთხოვდი

პატიებას მომალადე ჯალათებისთვის–
ვით არ იციან, რას სჩადიან
გონება ჩლუნგნი.
მაღალი იყავ, როგორც კაცი
ჭეშმარიტებას ნაზიარები,
წაგართვეს ის, რის წართმევაც
ჯალათთ შეეძლოთ,
მაგრამ ვერ შესძლეს უფლის მიერ
ბოძებული სულის დათრგუნვა...
ერთი საფლავით გაამდიდრეს
მიუგნებელ საფლავთა რიგი...

*(№63)*

**ჩემს პატარა სიზმარეთელ თამუნიკოს**

მოგჩერებივარ და თვალებში
სინოტივე მიჩნდება ხშირად –
როგორ მაწუხებს მე ბედი შენი
(ამ) უმსგავსო გარემოსთან
გადაჯაჭვული.
მე შენს თვალებში ნაადრევი
სევდაც ვიხილე,
ჩემო პატარა ანგელოზო,
ჩემო თამუნი...
შენმა გაჩენამ, ამ ქვეყნად მოსვლამ –
თითქოს სინათლის პატარა შუქმა,
მეტი ნათება მისცა სიცოცხლეს,
და გააღვივა გრძნობა იმისი,
რომ დარჩენილა შეუცნობი
კიდევ რაღაცა...
რომელსაც კვლავაც სიახლე შეაქვს
ყოფნის ორომტრიალში...
ო, როგორ მიყვარს ასრულება
შენი სურვილის,
როგორ მახარებს გახარების
შენის კისკისი,
სად ეშმაკურად, ცალი თითის
ტუჩზე მიდება
და თვალებისაც ეშმაკური
აციმციმება.
თითქოს ამბობენ: „ჩუ! დიდო ბაბუ,
იქ, ოთახში, მეზობელში

ეშმა რომ ბუდობს,
მის ყურს არ მიწვდეს მე და შენი
მხიარულება»....
ჩემო პატარა, კუდრაჭა და
ეშმაკო გოგო,
მუხლმოდრეკილი შევღაღადებ
ჟამთა გამრიგეს
რომ შენი თავი არ წამართვას
და გამიზარდოს.

*(№64)*

**ცხოვრება**

ხელს და ხელს შუა გაქრა
სიცოცხლე,
ასე მგონია, გუშინ მოვედი,
რა სიზმარია უწვდომის ხილვა,
ხან უბედობა, ხან მცირე ბედი.
ათასჯერ მრავალს, ათასჯერ მრავალს,
გამძლეს, უგამძლეს, უცბათ წარმავალს
სიღრმე და წუმპე, წუმპე და სიღრმე
სიბნელე მრუმე, ნათელის ზოლით,
კადნიერება აღვირახსნილი
და მორიდება ჭმუნვით და ძრწოლით...
ღალატი – სახლში, ღალატი – ხალხში
სამშობლოსა და ქვეყნის სიკეთის,
ფინიშთან მისვლა უკადრისობით,
აღოღვა ტახტზედ სიავკაცობით
მოძმეთა ძვლებით აგებულ კიბით.
შავის ჩვენება ღია ფერებით,
შენარჩუნება ბატონობისა,
ხან ტყვიითა და ხან მოფერებით.
გასარიყავი არ ირიყება, შემოსაკრები–
არ იკრიბება.
გაშიშვლებულებს ტანთ არ აცვიათ...
გახვეულ ქურქში _ ნაბადს აწვდიან
და ყოველივე ბრმათ ესახებათ
როგორც სიკეთე მოპოვებული.
აბა, რათ გვინდა, ვის სჭირდება
სიმრავლე ენის,

გვაქვს ერთი ენა ბელადის და რევოლუციის:
სულ ნელა, ნელა თანმიყოლებით
მას შეეჩვიოთ – გონივრულია...
და საბოლოოთ, მრავალი ცდით,
რაც მთავარია, შერეულ კერით,
ენა, ადათი მშობლიური
განწირულია...
რა ვუყოთ მერე, ის, რაც ვერ შეძლო
ნიკი მეორემ,
შეძლო ბრწყინვალეთ კაცმა დიდთავამ,
პატარა ტანით – არც ქრისტიანმა
და არც ურიამ...

და შერჩეულმა ლოზუნგებმა,
ლამაზათ თქმულმა,
კალაპოტიდან ამოაგდო მოდგმა კაცთა –
გზა აუბნია.

(№68)

* * *

ქართველთა დედა, ჩვენო ნათელო
და წარმმართველო,
შენ გევედრება მოწიწებით
დღეს საქართველო
ბოლო მოეღოს ამ მოთქმა-წუხილს.
გაგვიორკეცე ბრძოლის ჟინი
მომხვდურთა ბრბოსთან
რომ გამარჯვების ზარებს რეკდნენ
იქით გელათი, აქეთ – სიონი.

*(№68)*

## ვერ დავივიწყებ

ვერ დავივიწყებ, რაც დავკარგეთ,
ბრძოლის წაგებამ რაც რომ გვარგუნა –

და ბედის წერამ მრუდეთ გვაბრუნა
წელში გაგვტეხა, დაგვაძაბუნა...
მეგობარი ხარ? დანას რათ ლესავ?
რწმენას რათ მართმევ?
მე ჩემებრ ვკვნესი, ჩემებრ ვიმღერ,
ჩემებრ ვლოცულობ,
შენს სალოცავში რისთვის მიმათრევ
და ჩემსა ენას, ღვთისგან დალოცვილს,
ძალითა მართმევ...დამაჭიანე, მტერი
მიმრავლე,
ძმა გადამკიდე...

*(№19)*

ძლიერ გვიჭირს

ღმერთმა იცის, რა დრო დგება,
ბედი რას სჯის და რა გველის,
ცხადია, რომ ძლიერ გვიჭირს
და გვჭირდება თავდადება ჩვენ
სამასი არაგველის...
სხვა გზა არ არს – ჩვენ უფსკრულთან
ვდგევართ ახლოს
და მოსპობა, როგორც ერის,
ამოძირკვა ქართულ ენის
ტკბილ სიტყვებით გაბანგულებს
უსათუოდ მალე გველის.

*(№68)*

ექსპრომტი

თითქოს ყველა წყნარდება
დგება კარგი დარია
ბრიყვი ვანკა აწესრიგებს
რაც კი არივ-დარია.
ჟენევაში შეხვედრა
კარგის საწინდარია,
თუმცა კიდევ მტრულად
ბზუის

კრაზანთ საბუდარია.

*(№68)*

**ჩემი ცხოვრების გზა**

მე კარგად ვიცოდი და კარგად მესმოდა,
გზა არჩეული – ძლიერ რთულია,
თუმც მამხნევებდა და ძალას მაძლევდა
მისი შეგნება, რომ გზა ქართულია.
განვლილი ნაბიჯები, აწონ-დაწონილი,
ის, რაც თავს გადამხთა და გარდასულია,
მისის გახსენება ცრემლს უფრო მიმრავლებს,
რადგან წმინდათ მიჩნს და მართლა ქართულია.
ამ გზაზე ჩემსავით ბევრმა იარა,
ვის არ უბრძოლია და არ უვლია,
სული და გული დაუღონათ იარამ,
მაგრამ იცოდნენ, მხნედ მიდიოდნენ,
რადგან სჯეროდათ – გზა ქართულია.
მტერმა ვერ გაგვტეხა, ვერ დაგვასამარა,
ქედი ხარის გვაქვს და გული ლომის,
თუმც ძალა აღმართს ხნავს და
რიყეს ფარცხავს
და ძირიანად ზოგჯერ ითხრება
წინაპართაგან ჩვენთვის დარგული.
კრულ იყოს ყოველი ჩვენი გორისა,
ვინც მტერს მიენდო და მრუდეთ უვლია,
კრულ იყოს ყოველი აღზევებული
მტერს მინდობილი, ძაღლივით ერთგული,
მტრის ცულის ტარად გადაქცეული.

*(№68)*

* * *

საქართველოს
გაუმრავლდეს ძეობა,
მამა ღმერთმა

ნუ მოაკლოს მხნეობა!
მთავარია:
არ შეერყვნას დედა ენა,
ზნეობა,
არ დაკარგოს –
სულისა სათნოება!

*(№78)*

## კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

ა

**აბაშელი, ალექსანდრე** (ნამდვ. გვარი ჩოჩია) – (1884–1954). პოეტი. იყო საჩოჩიოს ფოსტის მოხელე. რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს გადაასახლეს. დაბრუნების შემდეგ, 1908 წელს მუშაობდა თბილისში „კავკაზისა» და „ნოვაია რეჩის» რედაქციებში. იყო „აკადემიური მწერლობის კავშირის» აქტიური წევრი. 1936 წლის სახელმწიფო ჰიმნის სიტყვების ავტორი

**აბაშიძე, ალექსანდრე (საშა)** – ოფიცერი. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე, ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური

**აბაშიძე, ბაბო** – პოეტ ირაკლი აბაშიძის და

**აბაშიძე, გია** – კიტა აბაშიძის ვაჟი

**აბაშიძე, გიორგი** – გასაბჭოების შემდეგ იმერეთში ჩამოყალიბებული პარტიზანული რაზმის მეთაური

**აბაშიძე, გრიგოლ** _ პოეტი და პროზაიკოსი. იყო ჟურნალების: „მნათობის», „ნიანგისა» და „დროშის» რედაქტორი. 1967 წელს – საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ხოლო 1973 წლიდან თავმჯდომარე

**აბაშიძე, დევი (დოდო)** –მსახიობი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

**აბაშიძე, დიმიტრი** – ტარასი აბაშიძის ძმა. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე, ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური

**აბაშიძე, დიმიტრი** – ნოტარიუსი (1898 წ.)

**აბაშიძე, ვანიკო** – რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი. ლანჩხუთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი. დახვრიტეს 1937 წელს

**აბაშიძე, ვასო** – (1879–1926). მსახიობი. ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1885 წელს დაარსა გაზეთი „თეატრი»

**აბაშიძე, ირაკლი** – პოეტი, აკადემიკოსი. „ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი

**აბაშიძე, მიშიკო (მიხეილ)** – ჯიბო აბაშიძის უმცროსი ძმა. 1922 წელს უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილ ბოლშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგის მონაწილე (სიტყვით გამოვიდ), გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**აბაშიძე, სოსანა** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი

**აბაშიძე, ტარასი** – სოც.–დემოკრატი, პორუჩიკი, 1921 წლის 24 თებერვალს ჭიათურაში ჩამოყალიბებული რაზმის მეთაური, რომლის თანაშემწეც იყო გრიგოლ ვაშაძე

**აბაშიძე, ტასო (ანასტასია)** – (1891–1958). მსახიობი. ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა–აბაშიძის ქალიშვილი. პროფესიული განათლება პარიზში მიიღო. 1921–25 წლებში მოღვაწეობდა თბილისის რუსთაველის სახ. თეატრში. 1926–27 წლებში – ჭიათურის, ხოლო 1933–48 წლებში მარჯანიშვილის სახ. თეატრში.

**აბაშიძე, ტიტიკო** – 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელი იმერეთში. აჯანყების დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს, ჩეკისტმა ათარბეგოვმა გაუსამართლებლად კაბინეტში დახვრიტა

**აბაშიძე, შოთა** – პარიზში აღმოაჩინა და შეიძინა გიგო გაბაშვილისეული ფიროსმანის სურათი, რომელიც შემდეგ თბილისში გამოაგზავნა

**აბაშიძე, ჯიბო** – გრიგოლ ვაშაძის ოჯახის ახლობელი. დაპატიმრებული იყო 1937 წელს გრიგოლ ვაშაძის მამასთან, ბესარიონთან ერთად. რეპრესირებული. გადასახლებიდან დაბრუნდა, პოეტ გრიგოლ აბაშიძის მამა

**აბდუშელიშვილი, ტარიელ** – გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი, რომელმაც 1925 წელს ციხიდან გათავისუფლებული გრიგოლი სამსახურში მოაწყო

**აბესაძე, ლიდა** – გრიგოლ ვაშაძის თბილისელი ნაცნობი

**აბესაძე, ქეთო** – გრიგოლ ვაშაძის თბილისელი ნაცნობი

**აბოვიანი, ხაჩატური** – მწერალი

**აბრამიშვილი, ნიკოლოზ** – კაპიტანი. დაიღუპა 1942 წელს სტალინგრადთან

**აბრამიძე, ივანე** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთის ქ. პერიგოში

**აბულაძე, ბიძინა** –1922 წელს ჩამოყალიბებული ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის წევრი

**აბულაძე, სულიკო** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთის ქ. პერიგოში

**ადამია ს.** – სოხუმის მუსიკალური სკოლის დირექტორი (20-იანი წლები), ქეთო თუთბერიძის მეგობარი

**ავალიშვილი, ზურაბ** – (1876–144). მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ცნობილი დიპლომატი. კითხულობდა ლექციებს საფრანგეთში, პეტერბურგში. იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. ემიგრანტი 1921 წლიდან

**ათარბეგოვი გ.** – ს. ორჯონიკიძის თანამებრძოლი, ბოლშევიკი. რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელი კავკასიაში. დაიღუპა ავიაკატასტროფაში

**ალექსი – მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო)** – (1857_1920). მსახიობი და რეჟისორი. ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის დრამატულ დასებს. საუკუნის

დასაწყისში მოღვაწეობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. 1910, 1914–15 წლებში ხელმძღვანელობდა ქუთაისისა და თბილისის თეატრებს.
**ალიევი, საფარ** – ამიერკავკასიის ჰიდრო-გეოლოგიური ტრესტის აზერბაიჯანის ბაზის ბურღვის ინჟინერი
**ალილუევა, ანა** – სტალინის ცოლისდა. რეპრესირებული
**ალილუევი, პავლე** – გენერალი. სტალინის ცოლიძმა. რეპრესირებული
**ალიმონაკი, ლერი** – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე
**ალხაზიშვილი, შალვა** – მწერალი, ყოფილი სოც.-ფედერალისტი. 1922 წელს ჩამოყალიბებული ფუტურისტების ლიტერატურული ჯგუფის წევრი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ამაღლობელი, სერგო** – (1899–1946). თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი, დრამატურგი. 1925 წელს იყო რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორი, შემდეგ – სახკინმრეწვის დირექტორი და სხვა
**ამაშუკელი, რეზო** – თანამედროვე ქართველი პოეტი
**ამილახვარი, ალექსანდრე** – ალექსანდრე ბაგრატიონის ერთგული თანამდგომი. ცხოვრობდა რუსეთში. მიუსაჯეს 18 წლით პატიმრობა
**ამილახვარი, დიმიტრი** – დე გოლის არმიის პოლკოვნიკი. საფრანგეთის ეროვნული გმირი. დაიღუპა აფრიკაში
**ამირეჯიბი, შალვა** – პოეტი. „ცისფერყანწელთა» მეგობარი. იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, პარტიის თავმჯდომარე (კოტე აფხაზის შემდეგ), პარიტეტული კომიტეტის წევრი. წავიდა ემიგრაციაში
**ამირეჯიბი, ცაცა** – ცნობილი ქართველი მსახიობი
**ამირეჯიბი, ჭაბუა** –ცნობილი ქართველი მწერალი. ავტორი ნაწარმოებებისა „დათა თუთაშხია», „გორა მბორგალი» და სხვა
**ანდრონიკაშვილი** – გრიგოლ ვაშაძის პედაგოგი უნივერსიტეტში სწავლის დროს
**ანდრონიკაშვილი ვ.** – მსახიობი
**ანდრონიკაშვილი, პაატა** – ერეკლე მეფის დროს თბილისში მოწყობილი ზარბაზნებისა და თოფების ქარხნის ხელმძღვანელი
**ანთაძე, დოდო** – რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე. სწავლობდა თბილისის გ. ჯაბადარის სტუდიაში 1919–1920 წლებში. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთაველი სახელობის, მოზარდ მაყურებელთა, თბილისის მუშათა, ქუთაისის, გრიბოედოვისა და მარჯანიშვილის სახელობის, ასევე სხვა თეატრებში. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ანთელაძე** – ჭიათურაში შექმნილი ეროვნული გვარდიის რაზმის წევრი, პედაგოგი
**ანჩაბაძე, ვიანორ** – მაშო ანჩაბაძის ვაჟი. სოხუმში, დედასთან ერთად, მრავალი ქართული საქმის მფარველი. რეპრესირებული
**ანჩაბაძე, მაშო** – შალვა დადიანის და, სოხუმში მრავალი ქართული საქმის მოთავე
**ანჯაფარიძე, ვერიკო** – მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი
**არაბიძე, ვასო** – ცაცა ამირეჯიბის მეუღლე
**არაბული, ამირან** – ფილოლოგი, ფოლკლორისტი
**არველაძე, ნათელა** – თეატრმცოდნე
**ართმელიძე** – დემოკრატიული საქართველოს ჯარის ოფიცერი. მონაწილეობდა ბათუმის განთავისუფლებაში მაზნიაშვილთან და წულუკიძესთან ერთად

**არსენიშვილი, ალი** – (1892–1939). კრიტიკოსი და მთარგმნელი. ცისფერყანწელი. დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნებში დამოუკიდებელ პარტიად მონაწილე – „ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა» – წევრი
**არჩაია, ვასილ** – ჭიათურის ელსადგურის მთავარი მექანიკოსი. იყო გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრი 1924 წლის აჯანყების დროს
**ასათიანი, გიორგი (ჟორჟიკა)** – გრიგოლ ვაშაძის დის, ბაბოს მეუღლე, პროფესიით ფარმაცევტი
**ასათიანი, გურამ** – ლიტერატურათმცოდნე
**ასათიანი, ვანო** – გიორგი ასათიანის ძმა, მშენებელი-ინჟინერი
**ასათიანი, ლევან** – გრიგოლ ვაშაძის ახლობელი
**ასათიანი, ლენტო** – გიორგი (ჟორჟიკა) ასათიანის დედა
**ასათიანი, ტელემაქე (ტელემაკი)** – გეოლოგი, მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ყიზლარში
**ასათიანი, შალვა** – გიორგი (ჟორჟიკა) ასათიანის ძმა. სოც.-ფედერალისტი. 1921 წელს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად იყო მოხალისედ საარტილერიო დივიზიაში
**ასლანიკაშვილი, იოსებ** – (1891–1955). ექიმი-ენდოკრინოლოგი, მთამსვლელი, საზოგადო მოღვაწე. იყო ჟურნალების „შევარდენი» (1920–1922 წწ.), „თეატრი და მუსიკა» (1919–1921 წწ.), „თანამედროვე მედიცინა» (1924–1933 წწ.) და სხვ. რედაქტორი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს ალპინისტთა კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი
**ასტახოვა** – პარმენ თვალჭრელიძის მეუღლე, ალექსანდრე თვალჭრელიძის დედობილი
**აფაქიძე, ვალოდია** – ჭიათურის მილიციის დაბალი ჩინის მოხელე (20-იანი წწ.)
**აფხაზი, კონსტანტინე (კოტე)** – (მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები – 1923). ლიდერი „უპარტიოთა კავშირისა», რომელიც 1921 წელს შეუერთდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. მონაწილეობდა დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში. 1921 წლიდან იყო ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო კომისიის წევრი. დახვრიტეს 1923 წლის 19 მაისს
**აფხაიძე, ემანუელ** – (1899–1970). მსახიობი. მოღვაწეობდა ბათუმის, ქუთაისის, რუსთაველის სახ. თეატრებში. გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი
**აფხაიძე, შალვა** – (1894–1968). პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. იყო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი
**აშიანცი, იაშა** – მუშაობდა მძღოლად ყიზლარში, გეოლოგიურ პარტიაში, გრიგოლ ვაშაძესთან
**ახვლედიანი** – ჭიათურის „კომუნხოზის» მთავარი ბუღალტერი
**ახვლედიანი, ელენე** – (1901–1975). ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი
**ახმეტელი, ალექსანდრე (სანდრო)** – (1886–1937). რეჟისორი. 1919 წელს თბილისის საოპერო სტიდიაში დადგა „თქმულება შოთა რუსთაველზე». 1923 წელს კ. მარჯანიშვილმა მიიწვია რუსთაველის სახ. თეატრში. 1926–35 წლებში ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. იყო ერთ-ერთი ინიციატორი მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის» დაარსებისა (1924 წ.). იყო მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი. დახვრიტეს 1937 წელს

ბ

**ბაბლუანი თემურ** – კინორეჟისორი
**ბაგრატიონი ალექსანდრე არჩილის ძე** – არტილერიის პირველი გენერალი პეტრე პირველის მეფობის ხანაში, მისი უახლოესი მეგობარი
**ბაგრატიონი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე** – ქართველი კომუნარი. დახვრიტეს პარიზში კომუნარების კედელთან
**ბაგრატიონი, ალექსანდრე** – საქართელოს სამეფო ტახტის მაძიებელი. რუსებმა სმოლენსკის ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა
**ბაგრატიონი, დავით** – ჭიათურელი, გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების მხარეს დადგა
**ბაგრატიონი, იოანე** – საქართველო-რუსეთს შორის დადებული ტრაქტატის (1783 წლის 24 ივლისი) ერთ-ერთი ხელის მომწერი
**ბაგრატიონი, ირაკლი** – კუნძულ მალტის რაინდთა ორდენის წევრი
**ბაგრატიონი, პეტრე** – (1765–1812). რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. 1812 წლის სამამულო ომის გმირი
**ბაინდუროვი, ილო** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი
**ბაირამოვი, მანსუდ** – 1925 წელს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად იჯდა მეტეხის ციხეში ჯაშუშობის ბრალდებით
**ბაკურაძე, ვანო** – 1919 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიხეილ ჭიაურელის მიერ დადგმული პიესების ადმინისტრატორი
**ბალანჩივაძე, მელიტონ** – (1862–1937). კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე. ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი. 1882 წელს ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერის გუნდი, რომელმაც 1883 წელს თბილისში პირველად საჯარო კონცერტი გამართა. მან შექმნა ქართულ მუსიკაში რომანსის ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები. 28 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა რუსეთში. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1918 წელს ქუთაისში დაარსა მუსიკალური სასწავლებელი.
**ბარათაშვილი, ანა** – ისაია ვაშაძის მეუღლე
**ბარათაშვილი, გერვასი** – მწერალ მარიკა ბარათაშვილის მამა
**ბარათაშვილი, ვახტანგ** – ახლდა ტიტე ჩაჩანიძეს ჭიათურელ იატაკქვეშელებთან შეხვედრისას 1924 წლის 25 აგვისტოს. იურისტი. სოც.–ფედერალისტთა ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. მწერალ მარიკა ბარათაშვილის ძმა
**ბარათაშვილი, კოლია (ნიკოლოზ)** – გრიგოლ ვაშაძის შორეული ნათესავი
**ბარათაშვილი, მარიკა** – მწერალი, საზოგადო მოღვაწე
**ბარამიძე, ალექსანდრე** – ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი
**ბარბაქაძე, ალექსი** – სოფ. შრომის საძიებო–გეოლოგიური პარტიის (ხელმძღ. ს. ხვედელიძე) ამფეთქებელი
**ბარნაველი (ბარნოვი), ვასილ** – (1856 – 1965). მწერალი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. შემდეგ – მოსკოვის სასულიერო აკადემია. არის ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი

**ბარტყულაშვილი, მიხეილ** – ყოფილი ჩეკისტი, თეთრიწყაროს „გეპეუს» უფროსი. 1937 წელს გადაასახლეს ვარკუტაში. დაბრუნების შემდეგ მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან გეოლოგიურ პარტიაში ოჩამჩირეში

**ბატნერი ბ.** – 1938 წლის მარტში მოსკოვში „ხალხის მტრების» წინააღმდეგ გამართული სასამართლოს მდივანი

**ბაქარაძე, სალომე** – მწერალ გიორგი ქუჩიშვილის დედა

**ბაქრაძე, დიმიტრი** – (1826–1890). ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. მისი ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის. მოყვარულთა საზოგადოება, თბილისის საეკლესიო მუზეუმი. 1889 წელს გამოქვეყნდა მისი „ისტორია საქართველოსი». აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში

**ბახტაძე** – გრიგოლ ვაშაძის მოწაფე, პრაქტიკანტი. მუშაობდა სოფ. კუშჩში

**ბახტაძე** – ჩეკისტი. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისიდან წარგზავნილი ჭიათურაში, სადაც მასთან დაკითხვაზე მიჰყავდათ გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრები. დახვრიტეს 1937 წელს

**ბახტაძე, ვალერიან (ვალია)** – (1896–1930). კომპარტიის წევრი. იბრძოდა მენშევიკთა წინააღმდეგ. იყო მეთერთმეტე არმიის ცხენოსანი დივიზიის სამხედრო კომისარი.

**ბეგაშვილი** – ნიკო მუსხელიშვილის ასისტენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

**ბედია** – პარტიული მუშაკი, „ქართველოფილი»

**ბედიაშვილი, ალექსანდრე (საშა)** – საქართველოს მთავრობის წარმომადგენლად ყიზლარში (სუჯაშვილის შემდეგ)

**ბელიაშვილი, აკაკი** – (1903–1961). მწერალი. კინოდრამატურგი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**ბელიაშვილი, იონა** – ტოპოგრაფი, მარკშეიდერი, მენშევიკური პარტიის წევრი, აკაკი ბელიაშვილის მამა

**ბეჟანიშვილი, ნიკოლოზ (კოლია)** – ამიერკავკასიის ჰიდრო–გეოლოგიური ტრესტის თბილისის ბაზის უფროსი

**ბერბიჭაშვილი, გიგლა** – ილია ჭავჭავაძის მკვლელი

**ბერია, ლავრენტი** – ბოლშევიკური პარტიის ერთ–ერთი ლიდერი. 1937 წელს იყო საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი, შემდეგ – საკავშირო ჩეკას ხელმძღვანელი. სტალინის სიკვდილის შემდეგ დახვრიტეს

**ბერიძე, გრიშა** – ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე, გრიგოლი ვაშაძის მეგობარი. მონაწილეობდა 1919 წელს ქუთაისის გიმნაზიაში მ. ჭიაურელის მიერ დადგმულ პიესაში

**ბეშკენაძე, პალიკო** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი ამხანაგი. სოც.-ფედერალისტური პარტიის მიმდევარი. დაიღუპა 1921 წელს მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ კოჯორთან ბრძოლაში

**ბოგდანოვი, ალექსანდრე** – გრიგოლ ვაშაძის მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, კლასის დამრიგებელი (1912 წ.) პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება

**ბოგოიავლენსკი, სერგეი** – სოფ. კუშჩის ბარიტის საბადოს უბნის მთავარი ინჟინერი. ანტისაჭოთაგანწყობის პიროვნება

**ბოდოკია, თამარ** – ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული. ჩეკისტ ბახტაძის მეუღლე

**ბოკერია, ალიოშა** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი. სოც.-ფედერალისტი. ანტისაბჭოთა გამოსვლების აქტიური წევრი. 1924 წლის აჯანყების მონაწილე

**ბოროდინი, ალექსანდრე** – რუსი კომპოზიტორი

**ბოშკო** – გრიგოლ ვაშაძის ლათინური ენის მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ანტიქართული გამწყობილების პიროვნება, რის გამოც მოსწავლეთა კატეგორიული მოთხოვნით გააძევეს გიმნაზიიდან

**ბრეგვაძე, სილოვან** – წითელი არმიის „გენერალი», ყოფილი მეწისქვილე. 1921 წლის თებერვალში, ჭიათურაში გასაბჭოებისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილე

**ბრეგვაძე, ნესტორ** – სოფ. ზედარგნის მრევლის წარმომადგენელი, რომელმაც სთხოვა ბესარიონ ვაშაძეს სააღდგომოდ ტაძრის გახსნა და წირვის ჩატარება ბოლშევიკური მმართველობის დროს (1923 წ.)

**ბრეგვაძე, ტარიელ** – ჭიათურაში ქართული მილიციის უფროსი (1918–1921 წწ.)

**ბროსე, მარი ფელისიტე** – (1802–1880). ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი. შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები. ჩაუყარა საფუძველი ქართველოლოგიას ევროპაში. ფრანგულ ენაზე თარგმნა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებები

**ბუაჩიძე, ბენიტო** – (1905–1937). კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. „პროლეტარული მწერლობის» ერთ-ერთი ორგანიზატორი. რეპრესირებული

**ბუაჩიძე, დავით** – სამთო-ინჟინერი. პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი გამოშვება (1926 წ.)

**ბუდიონი, სიმონ** – რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი. საბჭოთა კავშირის მარშალი

**ბუიღლიშვილი** – გრიგოლ ვაშაძე მის ოჯახში ცხოვრობდა ქუთაისში სწავლის დროს

**ბულუღაშვილი, ოვან-ბაბა (პაპა)** – საინგილოში (აზერბაიჯანი) ხელმძღვანელობდა მრავალ ქართულ საქმეს

**ბური, პავლე** – თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის თანამშრომელი, გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი

**ბურჯანაძე, იროდიონ** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ამხანაგი. „კომუნხოზის» თანამშრომელი, გასაბჭოების შემდეგ – ბოლშევიკი

**ბუხარინი** – ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწე. რეპრესირებული

**ბუხნიკაშვილი, ალექსანდრე (საშა)** – გეოლოგი, გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

## გ

**გაბაშვილი, ეკატერინე** – (1851–1938). მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში პროზის მცირე ჟანრები – პატარა მოთხრობა, მინიატურა, სურათი

**გაბელაშვილი, მიხეილ (მიშა)** – ჭიათურის ელსადგურის მუშა, შემდეგ დაამთავრა თბილისის ზოოვეტ.ინსტიტუტი

**გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე)** – (1825–1896). იმერეთის ეპისკოპოსი 1860–96 წლებში. პედაგოგი, ფსიქოლოგი, საზოგადო მოღვაწე
**გაბუნია, დავით** – გეოლოგი. სოფ. შრომაში საძიები–გეოლოგიური პარტიის (ხელმძღ. ს. ხვედელიძე) წევრი
**გაბუნია, დათიკო** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი ამხანაგი
**გაბუნია, კალისტრატე** – (1888–1937). გეოლოგი, გამოყენებითი გეოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი. დაამთავრა ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი. 1924 წელს დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა გამოყენებით გეოლოგიას (სასარგებლო წიაღისეულის ძიება, საინჟინრო და ჰიდროგეოლოგია, კაუსტობიოლითების გეოლოგია). კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტის გამოყენებითი გეოლოგიის კათედრას. მონაწილეობდა საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის, ამიერკავკასიის გეოლოგიურ-საძიებო ტრესტისა და საქართელოს გეოლოგიური საზოგადოების დაარსებასა და შემდგომ მუშაობაში. შესწავლილი აქვს საქართველოს წიაღისეულის მრავალი საბადო (ახალციხის დიატომიტი, ალგეთის ლითოგრაფიული ქვა, ჭიათურის მანგანუმი, ფოლადაურის რკინის მადანი, შროშის ცეცხლგამძლე თიხები). იკვლევდა საქართველოს გეოლოგიური აგებულების საკითხებს
**გაგუა, კიჭო** – ზესტაფონთან, „პიტომნიკებში», ვაგონებში უდანაშაულო ხალხის დახვრეტის მონაწილე
**გალკოვი, პავლე** – კრემლის კომენდანტი 1918 წელს
**გალუსტიანი, ისაკ** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი
**გამეზარდაშვილი, ტარასი** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი. გასაბჭოებამდე ჰქონდა სავაჭრო, შემდეგ იყო ჭიათურის გლეხკომის თავმჯდომარე (1923 წ.), რეპრესირებული
**გამრეკელი, აკაკი (კაკო)** – ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მიერ დაარსებული საავადმყოფოს თერაპევტი, შემდეგში ცნობილი ექიმი
**გამრეკელი, ბაბუცა** – მსახიობი
**გამრეკელი, ბორის** – მუშაობდა ჭიათურის თეატრში. საშა გამრეკელის უფროსი ვაჟი
**გამრეკელი, ბუტა** – საშა გამრეკელის ვაჟი
**გამრეკელი, დავით** – საშა გამრეკელის ვაჟი. ცნობილი მომღერალი
**გამრეკელი, თამარ** – საშა გამრეკელის ქალიშვილი
**გამრეკელი, ირაკლი** – საშა გამრეკელის ნახევარძმა, მხატვარი
**გამრეკელი, საშა (ალექსანდრე)** – ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბუხჰალტერი, ჭიათურის კლუბის მამასახლისი
**გამსახურდია, ზვიად** – საქართველოს პრეზიდენტი (1989–1992 წწ.)
**გამსახურდია, კონსტანტინე** – (1893–1975) მწერალი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. სწავლობდა ლაიპციგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1914 წელს. 1922 წ;ლიდან რედაქტორობდა „აკადემიური მწერლობის კავშირის» ჟურნალებს – „ილიონი», „საქართველოს სამრეკლო» და „ლომისი»
**გამყრელიძე, ბორის** – სოფ. ზოდის მცხოვრები. 1924 წლის აჯანყების მონაწილე. გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრი. მასთან ერთად იყო გახიზნული ტყეში

**გამყრელიძე, გრიგოლ (გრიშა)** – სოფ. ზოდის მცხოვრები. ხელისუფლების მიერ 20-იან წლებში „შემორიგებული ყაჩაღი». 1924 წლის აჯანყების მონაწილე. გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრი. მასთან ერთად ტყეში იყო გახიზნული
**გამყრელიძე, გუგული** – 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ – ემიგრირებული პარიზში
**გამყრელიძე, პეტრე** – გეოლოგი
**გარგებაძე, ნიკო** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთის ქ. პერიგოში
**გარდტი** – ჭიათურის მაღაროების სააქციო საზოგადოება „კარუტოს» გერმანელი მმართველი
**გაფრინდაშვილი** – ჭიათურელი მრეწველი. დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია
**გაფრინდაშვილი მიხეილ (მიშა)** – ვანო ვაშაძის შვილიშვილი, ვისთან ერთადაც გრიგოლ ვაშაძე, თურქეთის გზით, ემიგრაციაში წასვლას აპირებდა
**გაფრინდაშვილი, ვალერიან** – პოეტი, ცისფერყანწელი
**გაფრინდაშვილი, ისაია** – ვანო ვაშაძის სიძე
**გაფრინდაშვილი, მარო** – მიშა გაფრინდაშვილის და
**გაჩეჩილაძე, დავით** – 1922 წელს ჩამოყალიბებული ფუტურისტები, ლიტერატურული ჯგუფის წევრი
**გეგეშიძე, გულნარა (გუნია)** – ბაბო ვაშაძის სკოლის მეგობარი, სოფ. ბოსლევიდან
**გეგეჭკორი** – სტუდენტი. უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილ ანტისაბჭოთა მიტინგის მონაწილე (სიტყვით გამოვიდა), გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი
**გეგეჭკორი, ევგენი** – (1881–1954) მენშევიკი. 1907–1912 წლებში იყო მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან. სოც.–დემოკრატიული ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი. 1917 წლის ნოემბრიდან ე.წ. ამიერკავკასიის კომისარიატის – მთავრობის თავმჯდომარე. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წლის მარტიდან წავიდა ემიგრაციაში
**გედევანიშვილი** – დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე და ლაზარეთის უფროსი (1920წ.)
**გედევანიშვილი** – დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის გენერალი
**გედევანიშვილი, დიმიტრი** – ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი
**გედევანიშვილი, იოსებ (სოსო)** – (1873–1939). სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი. სოც.-ფედერალისტი. 1906 წელს სოც.-ფედერალისტების მიერ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციაში მონაწილეობისათვის 4 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. იჯდა მეტეხის ციხეში გრიგოლ ვაშაძესთან ერთად. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, რუსეთის არმიის კაპიტანი, დამოუკიდებელი საქართველოს პოლკოვნიკი, შემდეგში გენერალი.
**გედევანიშვილი, პაატა** – ახლდა კათალიკოს ანტონ პირველს რუსეთში გაძევებისას (1756–1763წწ.)
**გეკერი** – ბოლშევიკთა მეთერთმეტე არმიის მეთაური, რომელმაც 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია მოახდინა

**გელაშვილი, ზაქრო** – სოც.-ფედერალისტი, იატაკქვეშელი. 1924 წელს აჯანყების დამარცხების შემდეგ, დაპატიმრებისას, გადმოხტა მეორე სართულიდან და ჩეკისტებმა იქვე ჩაცხრილეს

**გელოვანი, დადაშ** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სოც.-ფედერალისტთა პარტიის მიმდევარი. ჩაქოლეს 1924 წელს სვანეთში

**გელოვანი, მირზა** – (1917–1944). პოეტი. მუშაობდა გამომცემლობა „ფედერაციაში» და „საბჭოთა მწერალში», გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში». დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში

**გოზალიშვილი, ლაზარე** – მეცნიერი, გამომცემელი

**გვათუა, ნიკოლოზ (კოლია)** – გრიგოლ ვაშაძის ინსტიტუტის ამხანაგი

**გველესიანი, შალვა** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი მეგობარი

**გველესიანი, გრიგოლ (გრიშა )** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ლათინური ენის მასწავლებელი

**გველესიანი, პელაგია** – გრიგოლ ვაშაძის ბებია

**გვერდწითელი, ელიზბარ** – პარტიზანული რაზმის ერთ-ერთი მეთაური 1924 წლის აჯანყების დროს

**გვეტაძე, რაჟდენ** – (1897–1952). მწერალი. 1915 წელს დაუახლოვდა ცისფერყანწელებს, აქტიურად თანამშრომლობდა მათ პერიოდულ ორგანოში. მწერალი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „დროშის» რედაქტორად, გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის» დირექტორად

**გვიჩია, ვანიკო** – გეოლოგიური ტრესტის მთავარი ინჟინერი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**გიორგაძე** – სოც.-დემოკრატი, ნინო ლომინაძის მეუღლე

**გიორგაძე, გრიგოლ (გრიშა)** – დაიღუპა 1921 წლის თებერვალში კოჯორში მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში

**გიორგობიანი** – ვასო თუითბერიძის მეგობარი

**გლდანსკი** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ბარიტების საბადოს სოფ. კუშჩის უბანზე, ჩეკისტი

**გლებოვი, ანატოლი** – რუსი დრამატურგი. მისი პიესა „ზაგმუკით» რუსთაველის სახ. თეატრმა გახსნა 1926 წლის სეზონი

**გლიხოვსკაია, ეკატერინე** – გრიგოლ ვაშაძის მეუღლესთან, ქეთოსთან ერთად მუშაობდა სოხუმში გეოგრაფიის მასწავლებლად

**გლუშაკოვი** – ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი (1910 წელი)

**გოგეშვილი, დიმიტრი** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ბურღვის ოსტატად ყიზლარში

**გოგეშვილი, ვალიკო** – დიმიტრი გოგეშვილის ძმა. მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ყიზლარში ბურღვის ოსტატად

**გოგიბერიძე** – ჭიათურელი ბოლშევიკი, ჭიათურის აღმასკომის თავმჯდომარის, მიხეილ ნიორაძის სასწავლებლად უცხოეთში წასვლის შემდეგ

**გოგლიძე** – 1937 წელს იყო საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარი

**გოგოლაშვილი, გოგი** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი

**გოგოლაშვილი, თამარ** – გოგი გოგოლაშვილის და

**გოგოლაძე, ტარასი** – ევალებოდა 1924 წლის აჯანყებაში დამარცხებულთა – გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრების – გადაყვანა

**გოგუაძე, ვალოდია** – ოფიცერი. ასკერთა წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური. იბრძოდა სადგურ ნატანებთან, სადაც იბრძოდა, ასევე, გრიგოლ ვაშაძეც

**გოთუა, ლევან** – (1905–1973). მწერალი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**გოკიელი, ლევანი** – თსუ-ს საინჟინრო ფაკულტეტის პედაგოგი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**გომართელი, ივანე** – (1875–1938). ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე. იყო „მესამე დასის» წევრი, შემდეგ მენშევიკ-ავტონომისტი. 1902 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი. 1906 წელს პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული კრების, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი. სოც.-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი „სხიველთა» ჯგუფის თავკაცი. საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეის გამზიარებელი. გასაბჭოების შემდეგ ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასა და საექიმო პრაქტიკას

**გორბუნოვი, სერგო** – გეოლოგიური ტრესტის ბუღალტერი, გრ. ვაშაძის ამხანაგი

**გორგაძე, ვასო** – ლიტერატურული მიმდინარეობა „არიფიონის» წევრი

**გორდეზიანი, ბენო** – მხატვარი, 1922 წელს ჩამოყალიბებული ფუტურისტთა ლიტერატურული ჯგუფის წევრი

**გოროდეცკი, სერგეი** – (1884–1967). რუსი პოეტი. 1919 წელს ტიციანის საღამოს მონაწილე (სიტყვით გამოვიდა)

**გოცაძე, არჩილ** – ჭიათურის ნოტარიუსი (1940 წ.)

**გრანელი, ტერენტი** (ნამდვ. გვარი კვირკველია) – პოეტი

**გრანელლი** – მონაწილეობდა 1919 წლის 20 თებერვალს ოპერის თეატრში დადგმულ ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში»

**გრებენკა, ევგენი** – უკრაინელი პოეტი, რომანს „შავი თვალების» ავტორი

**გრიშაშვილი, იოსებ** (ნამდვ. გვარი მამულაიშვილი) – (1889–1965). პოეტი, აკადემოკოსი, საზოგადო მოღვაწე.

**გუდიაშვილი, ლადო** – მხატვარი. რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 1916 წელს სხვა მოღვაწეებთან ერთად დაარსა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. 1919–1926 წლებში პარიზში მეცადინეობდა ე.წ. „თავისუფალ აკადემიაში». მოხატა რუსთაველის თეატრის სარდაფში არსებული კაფე „ქიმერიონი».

**გუნია, ვალერიან** – (1862–1938). მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრალური მოღვაწე. 1886 წელს დაარსა ჟურნალი „ცნობის ფურცელი», 1907 წელს – „ნიშადური». 20-იან წლებში მუშაობდა ჭიათურის თეატრში. იყო თეატრის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი

**გუნიავა, დავით** – გეოლოგი, გრიგოლ ვაშაძის მეგობარი, მუშაობდა მასთან ერთად ყიზლარში

**გუნცაძე, ბაბუცა** – გრიგოლ ვაშაძის მამიდაშვილი, პროკოფი გუნცაძისა და ივდითი ვაშაძის ქალიშვილი

**გუნცაძე, ვასილ** – სამთო ინჟინერი, გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი

**გუნცაძე, პროკოფი** – ბესარიონ ვაშაძის სიძე (დის, ივდითის ქმარი), მკერავი, სოფ. კვალიეთის მცხოვრები
**გუნცაძე, შალვა** – ბესარიონ ვაშაძის მამიდაშვილი, პროკოფი გუნცაძისა და ივდითი ვაშაძის ვაჟი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში
**გურამიშვილი, ოლღა** – ილია ჭავჭავაძის მეუღლე
**გუჩკოვი** – რუსეთის მეფის მთავრობის სამხედრო მინისტრი
**გუჯეჯიანი** – ჭიათურის გასაბჭოების დღეს მის სახლზე გააკრეს წითელი აზრა, ნიშნად რუსული არმიის შემოსვლისა და ბოლშევიკების გამარჯვებისა
**გუჯეჯიანი, ბორის** – გეოლოგი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

## დ

**დადიანი გ.**[მ.] – მისი მეთაურობით საჩივარი გაიგზავნა საკავშირო ცეკაში საქართველოს მთავრობის „უკლონისტობაზე»
**დადიანი, ბაბო** – საზოგადო მოღვაწე. გრიგოლ წერეთლის ქალიშვილი
**დადიანი, ირინე** – საფრანგეთის ეროვნული გმირის, დიმიტრი ამილახვრის მეუღლე
**დადიანი, კოკი** – ნიკო დადიანის ვაჟი. გარდაიცვალა საფრანგეთში
**დადიანი, ნიკო** – ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ვაჟი
**დადიანი, შალვა** – (1887–1959). მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე. წელს. მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში ალექსი მესხიშვილთან ერთად. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი». არსებითად, კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ დრამატურგიაში
**დავითაია, სოვეტია** – ჭიათურელი, სოც.-რევოლუციური პარტიის წევრი
**დავითაშვილი ნ.** – ქართული პროფესიული თეატრის მოღვაწე
**დავითაშვილი, გიორგი** – მსახიობი. ითამაშა გრ. რობაქიძის „ლამარაში» (რეჟისორი ალ. ახმეტელი) რუსთაველის სახ. თეატრის მოსკოვში გასტროლების დროს
**დალაქიანი** – გეოლოგი. 1933 წელს განჯის რაიონში ხელმძღვანელობდა ალუნიტებზე მომუშავე გეოლოგიურ პარტიას
**დალაქიშვილი, ბიქტორ** – სოც.-დემოკრატი, სოფ. ხრეითის თავკაცი
**დანგაშვილი, ივანე** – დაიღუპა 1944 წელს საფრანგეთში
**დგებუაძე გ.**[ვ] – ვალიკო ჯუღელთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებაში
**დევიძე, ზაქრო** – გრიგოლ ვაშაძესთან ერთად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ეზოში ბოლშევიკური მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილ მიტინგზე. რეპრესირებული
**დეკანოზიშვილი, გიორგი** – სოც.-ფედერალისტური პარტიის წევრი
**დიდებულიძე ბ.** – მუშაობდა სოფ. ჩორნი რინოკში. თივის დამამზადებელი კანტორის უფროსი
**დიდებულიძე, ალექსანდრე** – (1882–1951). მეცნიერი, ენერგეტიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1918 წლიდან იყო თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის გამგე. ხელმძღვანელობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას

**დიდებულიძე, დიტო** – მუშაობდა ყიზლარში (30-იანი წწ.) ქართულ დასახლებაში
**დიდებულიძე, მიხეილ** – ალექსანდრე დიდებულიძის ძმა
**დობროვოლსკი** – გრიგოლ ვაშაძის საღვთო სჯულის მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. რეაქციონერი
**დოლიძე** – ბოლშევიკი. დახვრიტეს 1937 წელს
**დოლიძე** – პოლკოვნიკი, ქუთაისის ლეგიონის უფროსი, სოც.-დემოკრატი, რუსეთში თებერვლის რევოლუციის მონაწილე. გრიგოლ ვაშაძის ძმის, გიორგის მეგობარი
**დუგინი, ივანე** – მძღოლი. მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ყიზლარში (1938 წელი), დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში
**დუდუჩავა მ.** – ლიტერატურული კრიტიკოსი

**დუმბაძე, ბიქტორ** – ბოლშევიკი. ბუდუ მდივნის ე.წ. „ქართველოფილების» ჯგუფის წევრი
**დუმბაძე, ზინა** – მომღერალი
**დუმბაძე, ნოდარ** – ...მწერალი, საზოგადო მოღვაწე. იყო ჟურნალ „ნიანგის» რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1972 წლიდან)
**დუნკანი, აისიდორა** – ამერიკელი მსახიობი

ე

**ებრალიძე, ეფრემ** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთის ქ. პერიგოში
**ეგაძე, მაყვალა** – გეოლოგი. კალისტრატე გაბუნიას მოწაფე, გოგი საბაშვილის მეუღლე
**ეგაძე, ოთარ** – ჟურნალისტი, დრამატურგი, ხელოვნების კრიტიკოსი
**ევტუშენკო, ევგენი** – რუსი პოეტი. ესწრებოდა ქართველ მწერალთა ყრილობას 1981 წლის მარტში
**ელიავა, შალვა** – ბოლშევიკი. სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. რეპრესირებული
**ელიგულაშვილი** – გრიგოლ ვაშაძის მეგობრის, დათიკო ელიგულაშვილის ძმა. საქართველოს ფინანსთა მინისტრი 1918–21 წწ.
**ელიგულაშვილი, დათიკო** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი, სოც.–ფედერალისტი. დაიღუპა მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში კოჯორთან 1921 წლის თებერვალში
**ელისაბედაშვილი გ.** – საქართველოს რევკომის წევრი (1921 წ.)
**ენუქაშვილი, დავით** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ენუქიძე, აბელი** – ბოლშევიკი, „ქართველოფილი»
**ენუქიძე, ტრიფონ (სიმონ)** – კომპარტიის წევრი. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე
**ეჟოვი** – საკავშირო ჩეკას ხელმძღვანელი. 30-იანი წლების რეპრესიების ერთ-ერთი მოთავე. რეპრესირებული
**ერმაკოვი** – ფოტოგრაფი. გადაიღო ილია ჭავჭავაძის დაკრძალავა
**ესენინი, სერგეი** – რუსი პოეტი
**ეული, სანდრო** (ნამდვ. გვარი ქურიძე). – (1890–1965). პოეტი. „პროლეტარული მწერლობის» ერთ-ერთ მეთაური

ვ

**ვალიშევსკი, ზიგმუნდ** – მხატვარი. მონაწილეობდა რუსთაველის სახ. თეატრის სარდაფში გახსნილ კაფე „ქიმერიონის» მოხატვაში

**ვარაზაშვილი, ისიდორე** – სოც.-ფედერალისტებისაგან გამოყოფის შემდეგ, 1919 წელს დაარსა ანარქო – სინდიკალისტური მიმდინარეობა

**ვასაძე, აკაკი** – (1899–1978). რეჟისორი და მსახიობი. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1916 წლიდან ქუთაისის თეატრში. სწავლობდა გ. ჯაბადარის დრამ. სტუდიაში. 1920–58 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის სახ. თეატრში, ხოლო 1958–68 წლებში იყო ქუთაისის მესხიშვილის სახ. დრამატულ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

**ვაშაკიძე** – საშა ბედიაშვილის მეუღლე

**ვაშაძე, ნიკოლოზ** – დემეტრე ვაშაძის ძმა

**ვაშაძე, ალექსანდრე საჩინოს ძე** – ბოლშევიკი. 1921 წლის თებერვალში ჭიათურაში ალექსანდრე სიკოს ძე ვაშაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ცხენოსანი რაზმი და შეეგება მამისონის უღელტეხილით გადმოსულ წითელ არმიას. იყო ლენინთან შვეიცარიაში. რეპრესირებული

**ვაშაძე, ალექსანდრე სიკოს ძე** – იბრძოდა თურქების წინააღმდეგ. ბოლშევიკი. შორაპნის მილიციის უფროსი, „ჩონის» („ჩასტი ოსობოვო ნაზნაჩენია») უფროსი. რეპრესირებული

**ვაშაძე, არკადი** – მიემხრო ბოლშევიკებს, მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს დამცველთაგან იარაღის ჩაბარებაში 1921 წელს

**ვაშაძე, ბაბო** – გრიგოლ ვაშაძის და, ჟურნალისტი

**ვაშაძე, ბესარიონ** – გრიგოლ ვაშაძის მამა, მღვიმევის მონასტრის წინამძღვარი, ჭიათურის სამრევლო სასწავლებლის გამგე, ჭიათურის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. დახვრიტეს 1937 წელს.

**ვაშაძე, ბესიკ** – გეოლოგი. გრიგოლ ვაშაძის ვაჟი

**ვაშაძე, გალაქტიონ** – ბოლშევიკი. ალექსანდრე საჩინოს ძე ვაშაძის უფროსი ძმა. პატრიოტული კომიტეტის წევრთა სასამართლოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს

**ვაშაძე, გივი** – გრიგოლ ვაშაძის ძმის, გიორგის ვაჟი

**ვაშაძე, გიორგი** – გრიგოლ ვაშაძის უფროსი ძმა

**ვაშაძე, გიორგი** – გივი ვაშაძის ვაჟი

**ვაშაძე, გრიგოლ (გია)** – გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილი

**ვაშაძე, დავით** – თამარ ტარასაშვილის ძმა, ინჟინერი. პარიზიდან ჩამოსულ თამარ ტარასაშვილს ახლდა ჭიათურაში სტუმრობისას

**ვაშაძე, დავით (ისაიას ძე)** – რებეკა ვაშაძის უფროსი ძმა, გრიგოლ ვაშაძის ბიძაშვილი. განათლება მიიღო უცხოეთშიდამკვიდრდა გერმანიაში და შეირთო გერმანელი ქალი, გარდაიცვალა 80 წლის

**ვაშაძე, დემეტრე** – იოვანე ვაშაძის ბაბუა

**ვაშაძე, ეკატერინე** – ბესარიონ ვაშაძის და

**ვაშაძე, ეფროსინე** – ბესარიონ ვაშაძის და

**ვაშაძე, ექვთიმე** – სოფ. წესიდან ჩამოსახლებული

**ვაშაძე, ვასიკო** – გრიგოლ ვაშაძის მოგვარე

**ვაშაძე, ზოსიმე** – ბესარიონ ვაშაძის დიდი ბაბუა (XVIII ს.)

**ვაშაძე, თენგიზ** – გრიგოლ ვაშაძის ვაჟი. გეოლოგი

**ვაშაძე, თიურა** – სიმონ ვაშაძის ქალიშვილი. ჟურნალისტი

**ვაშაძე, იაკობ (იაშა) ბესარიონის ძე** – გრიგოლ ვაშაძის უმცროსი ძმა. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში

**ვაშაძე, იაკობ სვიმონის ძე** – გრიგოლ ვაშაძის ბაბუა

**ვაშაძე, ივდითი** – ბესარიონ ვაშაძის და

**ვაშაძე, იოვანე** – სვიმონ ვაშაძის მამა, მღვიმის მაცხოვრის სახელობი მონასტრის არქიმანდრიტი (1822 წ.)

**ვაშაძე, იონა** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი. დაიღუპა 1924 წელს

**ვაშაძე, ისაია** – კონსტანტინე გამსახურდიას პირველი მეუღლის, რებეკა ვაშაძის მამა, ბესარიონ ვაშაძის ბიძაშვილი

**ვაშაძე, ისიდორე** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი

**ვაშაძე, კიმოთე** – ალექსანდრე და გალაქტიონ ვაშაძეების ძმა

**ვაშაძე, კოწია** – ბოლშევიკი

**ვაშაძე, ლადია** – 1924 წლის 28 აგვისტოს აჯანყების მონაწილე. დაიღუპა 1924 წელს ზესტაფონთან, ვაგონებში ხალხის დახვრეტის დროს

**ვაშაძე, ლევანტი** – ბოლშევიკი, ჭიათურელი

**ვაშაძე, მარგალიტა** – ისაია ვაშაძის ქალიშვილი, რებეკა ვაშაძის და

**ვაშაძე, მიხაკო** – გრიგოლის ბიძა, ბესარიონის უმცროსი ძმა

**ვაშაძე, ნადია** – ნესტორ ვაშაძის ქალიშვილი

**ვაშაძე, ნათელა** – გრიგოლ ვაშაძის ძმის, გიორგის ქალიშვილი

**ვაშაძე, ნანა** _ გივი ვაშაძის ქალიშვილი

**ვაშაძე, ნესტორ (სიკოს ძე)** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი

**ვაშაძე, ნოდარ** – გრიგოლ ვაშაძის ვაჟი. გეოლოგი

**ვაშაძე, პატუკა** – ლადია ვაშაძის უფროსი ძმა. 1924 წლის აჯანყების მონაწილე

**ვაშაძე, პაღასი** – სიკო ვაშაძის ქალიშვილი

**ვაშაძე, პაშა** – გრიგოლ ვაშაძის მამიდა, ბესარიონის და

**ვაშაძე, რებეკა** – კონსტანტინე გამსახურდიას პირველი ცოლი, ისაია ვაშაძის ქალიშვილი

**ვაშაძე, საჩინო** – ალექსანდრე ვაშაძის მამა

**ვაშაძე, სვიმონ** – სოფ. მღვიმის წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მოძღვარი, ბესარიონ ვაშაძის ბაბუა

**ვაშაძე, სიკო** – ალექსანდრე ვაშაძის მამა

**ვაშაძე, სიმონ** – რებეკა ვაშაძის უმცროსი ძმა. განათლება მიიღო უცხოეთში. მუშაობდა ჭიათურაში (ქუთაისში) გერმანული ენის მასწავლებლად. სოც.-ფედერალისტი. დახვრიტეს 1937 წელს

**ვაშაძე, სოფიო** – კიმოთე ვაშაძის მეუღლე

**ვაშაძე, ქაქუჩა** – იოანე ვაშაძის ბიძაშვილი, ნიკოლოზ ვაშაძის ვაჟი

**ვაშაძე, ქეთევან** – გრიგოლი ვაშაძის ბიცოლა, ნესტორის მეუღლე

**ვაშაძე, ქეთი** _ გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილი

**ვაშაძე, ქრისტინე ისიდორეს ას.** – მღვიმევის დედათა მონასტრის მონაზონი

**ვაშაძე, შალვა** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი
**ვაშაძე, შაქრო** – გრიგოლ ვაშაძის ბიძაშვილი
**ვაშაძე, ხათუნა** _ გრიგოლ ვაშაძის შვილიშვილი
**ვაჩნაძე, მერაბ** – ოფიცერი. ნატო ვაჩნაძის პირველი ქმარი
**ვაჩნაძე, ნატო** – კინომსახიობი, რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას მეუღლე
**ვაჩნაძე, სულიკო** – მუშაობდა ყიზლარში მეცხვარეთათვის გახსნილ მანუფაქტურაში
**ვერულაშვილი, დათიკო** – ჭიათურელი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში
**ვეშაპელი, გრიგოლ** (ნამდვ. გვარი ვეშაპიძე) – (1891–1926). საზოგადო მოღვაწე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, კავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. მოკლეს პარიზში
**ვიშინსკი ა.** – სახელმწიფო ბრალმდებელი 1938 წლის მარტში მოსკოვში „ხალხის მტრების» წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესზე
**ვოეკონეკოვი, ნიკოლოზ** – ჭიათურის მაღაროს მთავარი ინჟინერი
**ვოიტინსკი** – გაზეთ „ბორბას» რედაქციის თანამშრომელი საქართველოში
**ვოლკოვი, ანდრეი** – პავლე ვოლკოვის ძმა. მუშაობდა ყიზლარში გრიგოლ ვაშაძესთან ბურღვის ოსტატად
**ვოლკოვი, პავლე** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ყიზლარში ბურღვის ოსტატად
**ვოლსკაია, ანეტა** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი
**ვოროვსკი** – საბჭოთა დელეგაციის წევრი გენუის კონფერენციაზე
**ვოროშილოვი, კლიმენტი** – სახელმწიფო, პარტიული და სამხედრო მოღვაწე. მარშალი. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი

**ზ**

**ზალიპსკი** – მომღერალი. 1919 წლის 20 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული ზ. ფალიშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის» მონაწილე
**ზამბახიძე** – თსუ პედაგოგი (20-იანი წლები)
**ზამთარაძე** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი, მუშაობდა ჭიათურის ელსადგურის მუშად, შემდეგში დაამთავრა ზოოვეტერინალური ინსტიტუტი
**ზამთარაძე [ავტორის მოგონებით]** – საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე. რეპრესირებული 1937 წელს
**ზანდუკელი, მიხეილ** – (1889–1968). პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი
**ზარდალიშვილი ი.** – ჭიათურის თეატრის მსახიობი
**ზაქარიაძე** – გენერალი, დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის გენერალური შტაბის უფროსი
**ზდანევიჩი, კირილე** – მხატვარი. მონაწილეობდა რუსთაველის სახ. თეატრის სარდაფში მოთავსებული კაფე „ქიმერიონის» მოხატვაში
**ზდანოვიჩი, გიორგი** (ფსევდ. მაიაშვილი) – (1854–1917). ქუთაისში დაამთავრა გიმნაზია. სწავლობდა პეტერბურგში. 1875 წელს დააპატიმრეს, გაასამართლეს, მიუსაჯეს კატორღა 6 წლით. 1886 წლიდან ცხოვრობდა ტომსკში და ხელმძღვანელობდა „სიბირსკაია

გაზეტას». 1889 წელს ქუთაისში დაბრუნდა. საქართველოს სოც.–ფედერალისტების პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. პუბლიცისტი, ეკონომისტი

**ზვიადაძე, ივანე** – გეოლოგი

**ზინოვიევი** – ბოლშევიკი. რეპრესირებული

თ

**თაბუკაშვილი, რეზო** – მწერალი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. 1978 წელს იტალიაში მიაკვლია მიხეილ თამარაშვილის საფლავს, მასვე მიუძღვნა ფილმი „კვალი ნათელი»

**თავაძე, დავით** – გეოლოგი. მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ნახჩევანში

**თათარაშვილი, კონდრატე** – მწერალი. „არიფიონელი»

**თალაკვაძე** – სოც.-დემოკრატი. 20-იან წლებში არალეგალური კრებების ერთ-ერთი ორგანიზატორი ჭიათურაში

**თამარაშვილი, მიხეილ** – (1858–1911). ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა კონსტანტინეპოლში პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში, ესპანეთში, პარიზში. დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ მეფის მოხელეთა მიერ განიდევნა. მოღვაწეობდა იტალიაში. სიცილიაში აღმოაჩინა კრისტოფორო დე კასტელის სურათების ალბომი, დიდი წვლილი მიუძღვის საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ მასალების მოძიებაში. 1978 წელს გადმოსვენებულია საქართველოში და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში

**თარხნიშვილი, ელენე** – მილანის საოპერო თეატრის მომღერალი 1907–08 წლებში

**თაყაიშვილი** – გენერალი, საინჟინრო ჯარების მეთაური დამოუკიდებელ საქართველოში

**თაყაიშვილი, ექვთიმე** – (1863–1953). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იყო ერთ-ერთი პირველი პროფესორი. 1921–45 წლები გაატარა საფრანგეთში ემიგრაციაში, სადაც მეთვალყურეობდა ჟორდანიას მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულობას. განძთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში. ეწეოდა ფართო არქეოლოგიურ საქმიანობას

**თედეევი** – გეოლოგიური ტრესტის სპეცსექტორის უფროსი, ყოფილი ჩეკისტი

**თეოდოსი** – ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი. 1986 წელს სტუმრობდა საქართველოში

**თვალჭრელიძე, ალექსანდრე** – (1881–1957). გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, გეოლ.-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. 1912 წელს დაამთავრა

მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1919 წელს სათავეში ჩაუდგა თსუ-ს მინერალოგიისა და პეტროგრაფიის

კათედრას, შემდეგ ასეთივე პროფილის კათედრის გამგეა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იყო საქართველოში მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევათა ფუძემდებელი
**თვალჭრელიძე, პარმენ** – (1866–1919). ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ფსევდონიმი „ცახელი». იზიარებდა „თერგდალეულთა» იდეურ-ესთეტიკურ შეხედულებებს. პირველი ლექსები (1885 წ.) ცენზურამ აკრძალა. იყო პოპულარული საბავშვო პოეტი. მოკლეს 1919 წელს ქუთაისში
**თიკანაძე** – ჭიათურის ბანკის დირექტორთა სამეურნეო საბჭოს ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი
**თოდრია, სილვა** – „პროლეტარული მწერლობის» ერთ-ერთ დამაარსებელი (1926 წ.)
**თოიძე, ირაკლი** – მხატვარი
**თუთბერიძე, ალიოშა (პატე)** – გრიგოლ ვაშაძის ცოლისძმა
**თუთბერიძე, დიომიდე** – ქეთო თუთბერიძის მამა, გრიგოლ ვაშაძის სიმამრი. მუშაობდა ქუთაისში, სანოტარო კანტორაში
**თუთბერიძე, ვასო** – გრიგოლ ვაშაძის ცოლისძმა, ეკონომისტი, მუშაობდა აბრეშუმის ქარხანაში ბუღალტერ-ეკონომისტად
**თუთბერიძე, იოველ** – დიომიდე თუთბერიძის მამა. იმერეთში ცნობილი მკერავი
**თუთბერიძე, რაისა** – გრიგოლ ვაშაძის ცოლისდა
**თუთბერიძე, ქეთო** – გრიგოლ ვაშაძის მეუღლე. დაქორწინდნენ 1927 წელს. მუშაობდა მასწავლებლად სოხუმში. გარდაიცვალა 1964 წელს
**თუთბერიძე, ჭუკუ** – გრიგოლ ვაშაძის ცოლისძმა, დაამთავრა თსუ-ს ეკონომიური ფაკულტეტი. მუშაობდა გრიგოლთან შამქორის პარტიაში, სოფ. ზაგლიკში უმცროს კოლექტორად
**თუმანიშვილი, გიორგი** – ქართული პროფესიული თეატრის განახლების ერთ-ერთი მოთავე. დახვრიტეს 1937 წელს
**თურდოსპირელი, დავით** (ნამდვ. გვარი ჩხეიძე). – (1888–1948). მწერალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. მწერალ გიორგი ქუჩიშვილის ძმა
**თუშმალიშვილი** – სოც.-ფედერალისტი. მონაწილეობდა პარტიის დავალებით დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციაში გედევანიშვილთან ერთად

## ი

**იაშვილი, კოწია** – პაოლო იაშვილის ძმა, გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი მეგობარი, ყოფილი იუნკერი
**იაშვილი, პაოლო** – (1894–1937). პოეტი. იყო (1913 წ.) ჟურნალ „ოქროს ვერძის» რედაქტორი. სწავლობდა საფრანგეთში ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. 1915 წელს დაბრუნდა ქუთაისში, სადაც სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად სიმბოლისტების, „ცისფერყანწელების» ჯგუფი დაარსა. რედაქტორობდა ჟურნალ „ცისფერ ყანწებს». იყო ქართული ვერსიფიკაციის ნოვატორი, 1919 წლის დაფუძნებელი

კრების აჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის „ესთეტიკურიი ლიგა პატრიოტებისა» წევრი. 1937 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა
**იაშვილი, ჭუნა** – პაოლო იაშვილის უმცროსი ძმა, 1924 წლის აჯანყების მონაწილე. დაიღუპა 1924 წელს
**იაშვილი, ჯიბო** – პაოლო იაშვილის მამა
**იაშჩენკო, ვლასი** – უკრაინელი გეოლოგი, რომელიც მონაწილეობდა ყიზლარში არტეზიული ჭების ახალი მეთოდით ათვისების შესახებ ვაშაძის წინადადების განხილვაში
**ივანოვი, გრიგოლ** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი
**ილია მეორე (ერისკაცობაში შიოლაშვილი – ღუდუშაური)** – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი
**იმედაშვილი, იოსებ** – (1876–1952). მწერალი, საზოგადო მოღვაწე
**იმერლიშვილი, თამარ** – მომღერალი, მსახიობი
**ინაშვილი, ალექსანდრე** (სანდრო) – (1887–1958). მომღერალი. 1933 წელს მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და სოლისტად. 1937 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში
**ინგოროყვა, პავლე** – ლიტერატურათმცოდნე. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1924–25 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „კავკასიონს». დაარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი». ეკუთვნის გამოკვლევები ქართული მწერლობის, კულტურის, ისტორიის საკითხებზე
**იოსელიანი, გექტორ** – ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსდამთავრებული. დახვრიტეს 1924 წელს
**იოსელიანი, ოტია** – თანამედროვე მწერალი
**იოსელიანი, პლატონ** – (1809–1875). ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
**იოსელიანი, ფაჩუ** – გეოლოგი, სოფ. შრომის საძიებო-გეოლოგიური პარტიის წევრი
**იურკევიჩი, ანეტა** – მსახიობი, მწერალ ვიქტორ იურკევიჩის ქალიშვილი
**იურკევიჩი, ვიქტორ** – (1854–1920). მწერალი, საზოგადო მიოღვაწე. იბეჭდებოდა ფსევდონიმით „რუს-იმერელი»
**იშხნელი ა.** – ქართული პროფესიული თეატრის მოღვაწე, მსახიობი

კ

**კავთელაძე, მიხეილ (მიშა)** – ჭიათურის ჩეკას უფროსი გასაბჭოების წლებში. რეპრესირებული
**კაზარიანი, სურენ** – ახლად აშენებული გეოლოგთა საცხოვრებელი სახლის დარაჯი, გრიგოლ ვაშაძის მეზობელი
**კაზაროვი, არმაპეტ** – დაშნაკების ჯარის ოფიცერი. იჯდა მეტეხის ციხეში გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით.
**კაკაბაძე კ.** – სამთო-ინჟინერი, 1926 წლის სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება. გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი

**კაკაბაძე, დავით** – მხატვარი. მონაწილეობდა რუსთაველის სახ. თეატრის სარდაფში გახსნილ კაფე „ქიმერიონის» მოხატვაში
**კაკაბაძე, ნადია** – გრიგოლ ვაშაძის მეუღლის, ქეთო თუთბერიძის მეგობარი. გრიგოლის მეგობრის, გიორგის ხამაშურიძის მეუღლე
**კაკიტელაშვილი, მიხეილ (მიშა)** – გრიგოლ ვაშაძის ქუთაისელი მეგობარი
**კალანდაძე, ანტიფორე** – გეოლოგიური საქართველოს თანამშრომელი. 1938 წელს დაინიშნა ყიზლარის პარტიის უფროსად, ხოლო შემდეგ – აზერბაიჯანის გეოლოგიური სამმართველოს მმართველად
**კალისტრატე (ერისკაცობაში კალისტრატე ცინცაძე)** – (1866–1952) ღვთისმეტყველების კანდიდატი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ კიევის სასულიერო აკადემია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1932–1952 წლებში
**კამენევი** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. დახვრიტეს 1937 წელს
**კამპანიონი, ანტონ** – გრიგოლ ვაშაძის ქუთაისელი ნაცნობი
**კაპანელი, კონსტანტინე** – (ნამდვ. გვარი ჭანტურია) _ (1889–1952). ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე – ესთეტიკოსი. კითხულობდა ლექციებს თბილისის კონსერვატორიაში, ამიერკავკასიის კომ. უნივერსიტეტში, მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში
**კარმელი, შალვა** – ცისფერყანწელი
**კასრაძე, დავით** – მწერალი
**კასტელი, კრისტოფორო დე** – (მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევარი და შუა წლები) იტალიელი მისიონერი, პატრი. საქართველოში ჩამოვიდა 1628 წელს, შექმნა საინტერესო ჩანახატები (2 ალბომი)
**კაუცკი** – 1920 წელს იმყოფებოდა საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციასთან ერთად
**კაცობაშვილი ე.** – მომღერალი
**კაჩუხოვი მ.** _ ფოტოგრაფი
**კახიანი, მიხეილ** – (1896–1937). სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. 1922 წელს იყო საქართველოს კპ-ის თბილისის კომიტეტის მდივანი. დახვრიტეს 1937 წელს
**კახიძე** – აჯანყებულთა რაზმის მეთაური, იბრძოდა კაცხთან
**კახიძე, ანეტა** – გრიგოლ ვაშაძის დეიდა
**კახიძე, ვახტანგ** – გრიგოლ ვაშაძის დეიდაშვილი, ანეტა კახიძის ვაჟი
**კახიძე, ნესტორ** – გრიგოლ ვაშაძის დეიდის, ანეტას მეუღლე
**კედია, სპირიდონ** – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებელი. ეროვნული საბჭოს წევრი
**კეკელიძე, კორნელი** – (1879–1962). ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. მასწავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრას. აქვს მრავალი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ნაშრომი
**კეკელიძე, მიხეილ** – 1924 წლის მონაწილე. კორნელი კეკელიძის ვაჟი. რეპრესირებული

**კერენსკი** – რუსი მენშევიკი. რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაური
**კერესელიძე ვ.** – გეოლოგი. გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი
**კვანტალიანი, სოლიკო** – გრიგოლ ვაშაძის ქუთაისელი მეგობარი
**კვირკველია ზ.** – საქართველოს რევკომის წევრი 1921 წელს
**კვიტაიშვილი, თამარ** – პავლე საყვარელიძის მეუღლე
**კვიცარიძე, გიგლა** – ჭიათურის შინსახკომის უფროსი 1937 წელს
**კვიცარიძე, დავით** – მწერალი
**კიკვიძე** – „ჩემოს» საავადმყოფოს ფერშალი
**კიკიანი, გრიგოლ (გრიშა)** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი მეგობარი, იუნკერი
**კილაძე, მარო (მარიამი)** – გრიგოლ ვაშაძის უფროსი ძმის, გიორგის მეუღლე
**კირიონ მეორე (გიორგი საძაგლიშვილი)** – (1855–1918). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917–1918 წლებში. საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც რუსული სასულიერო ხელისუფლება სასტიკად დევნიდა. ავტორია ისტორიულ, არქეოლოგიურ და ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევებისა
**კიროვი, სერგეი (ნამდვ. გვარი კოსტრიკოვი)** – პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. 1920 წლის 29 მაისს დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად დამოუკიდებელ საქართველოში. 1931 წელს მოკლეს სმოლნში
**კიღურაძე, დათიკო (დავითი)** – ჭიათურელი იატაკქვეშელი. 1924 წელს იყო გრიგოლ ვაშაძის რაზმის წევრი, მასთან ერთად გაიხიზნა ტყეში
**კლდიაშვილი, დავით** – (1862–1931). მწერალი. პოდპოლკოვნიკი. შემოქმედების მთავარი თემა _ იმერეთის გაღარიბებებული აზნაურების ყოფის აღწერა
**კლდიაშვილი, სერგო** – მწერალი.
**კობახიძე** – პედაგოგი. გრიგოლ ვაშაძის უფროსი ძმა, გიორგი ცხოვრობდა მის ოჯახში ქუთასის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს
**კოვროვი, მიშა** – მუშაობდა ყიზლარში გრიგოლ ვაშაძესთან
**კონიუშევსკი, ლეონიდე** – ინჟინერი, გეოლოგი. ანტიქართული განწყობის პიროვნება
**კონსტანტინოვი ო.** – გაზეთ „კავკაზის» პირველი რედაქტორი (1846 წ.)
**კოპალეიშვილი, ალიოშა** – ჭიათურელი იატაკქვეშელი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე
**კორიშელი, პლატონ** – სანდრო ახმეტელი მასთან ერთად მივიდა კოტე მარჯანიშვილთან სახლში თხოვნით, რათა მარჯანიშვილი თეატრიდან არ წასულიყო
**კორონა** – ა. სვანიძის (სტალინის პირველი ცოლისძმა) მეუღლე
**კორძაია, ელენე** _ გრიგოლ ვაშაძის შვილთაშვილი
**კოტელნიკოვი, ნიკოლოზ** – „კარუტოს» მთავარი ინჟინერი 20-იან წლებში
**კოტილევსკი** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი (გლუშაკოვის შემდეგ)
**კოღუაშვილი, მიხეილ (მიშა)** – სოც.–ფედერალისტი. ემხრობოდა მენშევიკებს. იმალებოდა ხევსურეთში. დახვრიტეს ვალიკო ჯუღელთან ერთად
**კოჩიაშვილი კ.** – 1914 წლის 24 მაისს პარიზში მოწყობილი დემონსტრაციის მონაწილე
**კრასინი** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი
**კუდერტონი (კუდრიავცევი)** – 1925 წელს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად იჯდა მეტეხის ციხეში ჯაშუშობის ბრალდებით
**კუზნეცოვი** – გეოლოგი

**კუიბიშევი** – საბჭოთა პარტიული და სახლმწიფო მუშაკი
**კუნი, ალბერტი** – აზერბაიჯანში გერმანელთა კოლონიის მეთაური
**კუჭუხიძე, ბიქტორ** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი
**კუხალეიშვილი, ვალოდია** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან

## ლ

ლაბაძე – პორუჩიკი, დაიღუპა 1921 წელს
**ლაბაძე, თათული** – მასწავლებელი. ბოლშევიკი. გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი
**ლაბაძე, სერგო** – 1921 წელს დახვრიტეს თურქეთის დიქტატორის, ემირ-ფაშას თანამებრძოლ ჯემალ-ფაშას მკვლელობის გამო
**ლაბაძე, შალვა** – ჭიათურის პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი
**ლაკობა, ნესტორ** – აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი. რეპრესირებული
**ლასხიშვილი, გიორგი** – სოც.-ფედერალისტი
**ლაღიაშვილი, იოსებ** – თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე. 1886 წელს მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი
**ლაშქარაშვილი** – 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი
**ლევაშოვი** – მეფის არმიის გენერალ-ადიუტანტი
**ლევიძე, ჟორა** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი
**ლენჩევსკი ი.** – მეორე მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა ოსვენციმის ბანაკში გრიგოლ ფერაძესთან ერთად. ფარულად ფერაძის ჯვარი ბანაკიდან მან გამოიტანა
**ლეონიდე** (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე) – (1860–1921). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1918–1921 წლებში
**ლეონიძე, გიორგი** – (1900– ). პოეტი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი. აკადემიკოსი. 1918 წელს დაუახლოვდა „ცისფერყანწელებს» და 1922–23 წლებში მათ ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს» რედაქტორობდა. სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევითურთ მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოები გამოსცა. მუშაობდა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად
**ლეჟავა, ავქსენტი** – 1921 წელს ჭიათურაში დამოუკიდებელი საქართველოს დამცველთაგან იბარებდა იარაღს
**ლეჟავა, ბიტოლი** – ბოლშევიკი. დახვრიტეს 1937 წელს
**ლეჟავა, ბიჭია** – ბესარიონ ვაშაძის ბაზუის, იაკობის დის, ეპრასიას მეუღლე
**ლეჟავა, გრიგოლ** – სესია ლეჟავას ვაჟი
**ლეჟავა, დავით** – ამიერკავკასიის სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტის რექტორი (30-იანი წწ.)
**ლეჟავა, დოტია** – სესია ლეჟავას ვაჟი
**ლეჟავა, ეპრასია** – ბესარიონ ვაშაძის მამიდა
**ლეჟავა, ერემია** – სესია ლეჟავას ვაჟი, მეფის არმიის ოფიცერი
**ლეჟავა, პოკია** – სესია ლეჟავას ვაჟი, რომელმაც განათლება პარიზში მიიღო და იქვე დარჩა საცხოვრებლად
**ლეჟავა, სერგო** – ჭიათურის სადგურის მილიციის უფროსი 1921 წელს

**ლეჟავა, სესია** – ჭიათურელი მრეწველი. დაიღუპა „პიტომნიკებში» ხალხის დახვრეტის დროს 1924 წელს
**ლეჟავა, შამშე** – ბოლშევიკი. დახვრიტეს 1937 წელს
**ლილუაშვილი, კოწია** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ლილუაშვილი, შალვა** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი მეგობარი
**ლიტვინოვი** – საბჭოთა დელეგაციის წევრი გენუის კონფერენციაზე
**ლობჟანიძე, პეტრე** – გეოლოგიური სამმართველოს მმართველი. კომპარტიის წევრი. ქუთაისი ციხეში იჯდა გრიგოლ ვაშაძის ბიძასთან, მიხაკოსთან ერთად
**ლოზოვსკი** – საბჭოთა პარტიული მუშაკი. გადაასახლეს 1937 წელს
**ლოლუა, ლევან** – გიმნაზიის მოსწავლე. გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ცხოვრობდა ბესარიონ ლომინაძის ოჯახში
**ლომაძე, დათიკო** – ჭიათურელი ბოლშევიკი. რეპრესირებული
**ლომინაძე, ბესარიონ** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი. გრიგოლ ვაშაძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს მის ოჯახში ცხოვრობდა
**ლომინაძე, ბესო** – ბესარიონ ლომინაძის ვაჟი, ცნობილი ბოლშევიკი. თავი მოიკლა 1937 წელს
**ლომინაძე, ვალოდია** – ბესო ლომინაძის ძმა
**ლომინაძე, თამარ** – ბესო ლომინაძის და
**ლომინაძე, ლევან** – ბესარიონ ლომინაძის ვაჟი
**ლომიძე, მიხეილ** – ჭიათურის ჩეკას უფროსი 1924 წელს
**ლომინაძე, ნინო** – ბესო ლომინაძის და
**ლორთქიფანიძე** – ქუთაისის რეალური სასწავლებლის ყოფილი (გარიცხული) მოსწავლე (10-იანი წწ). დაჭრა სასწავლებლის დირექტორი
**ლორთქიფანიძე** – გრიგოლის ცოლისძმის, ვასო თუთბერიძის მეგობარი
**ლორთქიფანიძე, გრიგოლ** – აწარმოებდა მოლაპარაკებას დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკურ მთავრობას შორის ქუთაისში 1921 წელს
**ლორთქიფანიძე, კონსტანტინე** – მწერალი. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი. რედაქტორობდა გაზეთ „ლიტერატურნაია გრიზიასა» და ჟურნალ „ცისკარს». 1977 წლიდან იყო ალმანახ „განთიადის» მთავარი რედაქტორი
**ლორთქიფანიძე, ნ.** _ ფოტოგრაფი
**ლორთქიფანიძე, ნიკო** – (1880–1944). მწერალი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლება მიიღო ავსტრიაში. გარდაცვალებამდე მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გერმანული ენის კათედრის გამგედ
**ლორთქიფანიძე, ჯვებე** – გრიგოლ ვაშაძის თანაპოლკელი
**ლოსაბერიძე, ნიკოლოზ (კოლია)** – გრიგოლ ვაშაძის თბილისელი მეზობელი
**ლუნაჩარსკი** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი

მ

**მაზნიაშვილი, გიორგი** – სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1921 წლის 9 მარტს თურქებისაგან გაათავისუფლა ბათუმი

**მაიაშვილი გ.** – იხ. ზდანოვიჩი გიორგი
**მაიკოვსკი, ვლადიმერ** – პოეტი
**მაისურაძე** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან მძღოლად ყიზლარში
**მაისურაძე, არჩილ** – მეჩექმე. გ. ლეონიძემ მისგან გაიგო ფიროსმანის შესახებ
**მამარდაშვილი ა.** – ექიმი-ფსიქიატრი
**მამულაიშვილი, გოგი** – ჭიათურელი მილიციელი, მონაწილეობდა ზესტაფონთან, „პიტომნიკეზში» ხალხის დახვრეტასა და 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ტყეში შეფარებული გრიგოლ ვაშაძის რაზმის დაპატიმრებაში.
**მამულია ს.** – ბოლშევიკი. რეპრესირებული
**მანველიშვილი, ალექსანდრე** – კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი
**მანჯავიძე** – იაშა ვაშაძის ძიძა, სოფ. გუნდაეთის მცხოვრები
**მარი, ნიკო** – (1865–1865). ენათმეცნიერი, ფილოლოგი. ორიენტალისტი
**მარიახინი** – ინჟინერი. რეპრესირებული 1937 წელს
**მარსაგიშვილი, არსენ** – გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი. ცეკავშირის თანამშრომელი. მუშაობდა ყიზლარში მეცხვარეთათვის გახსნილ მანუფაქტურაში (30-იანი წლები).
**მარქარიანი** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი
**მარჯანიშვილი, კოტე** – (1872–1933). მსახიობად მუშაობდა სხვადასხვა თეატრებში, 1904 წლიდან მოღვაწეობდა, როგორც რეჟისორი. მუშაობდა რიგაში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში, მოსკოვის სამხატვრო თეატრში და სხვა. 1922 წელს დაბრუნდა საქართველოში. სათავეში ჩაუდგა თეატრს. ამავე წელს დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო», რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის განახლებას. დადგმული აქვს: „მზის დაბნელება საქართველოში», „გაყრა», „გააზნაურებული მდაბიო», ჰამლეტი», „ურიელ აკოსტა», „კაკალ გულში» და სხვები
**მასხარაშვილი, საშურა** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი, ვისთან ერთადაც გრიგოლი თურქეთში უნდა გადასულიყო
**მასხულია, ლევან** _ გრიგოლ ვაშაძის შვილთაშვილი
**მატულევიჩი** – 1938 წელს მოსკოვში „ხალხის მტრების» წინააღმდეგ გამართული სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
**მაღრაძე, ელგუჯა** – მწერალი
**მაყაშვილი, კოტე** – (1875–1927). პოეტი, საზოგადო მოიღვაწე. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე (1926 წლამდე). 1921 წლის თებერვალში კოჯორთან ბრძოლაში დაღუპული მოწყალების დის, მარო მაყაშვილის მამა
**მაშაშვილი, ალიო** – იხ. მირცხულავა ალიო
**მაჩაბელი, ივანე** – (1854–1898). მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. „სამოციანელთა» წარმომადგენელი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა საზღვარგარეთ. 1879 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო „ვეფხისტყაოსნის» 1888 წლის გამოცემის რედაქტორი. აქტიური მონაწილეა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური საზოგადოების, სასკოლო კომიტეტის, სათავადაზნაურო ბანკის, „ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისიის დაარსებაში
**მაჩაბელი, ლილი** – გეოლოგიური ტრესტის საფინანსო განყოფილების ეკონომისტი
**მაჩაბელი, ტასო** – ივანე მაჩაბლის მეუღლე, მსახიობი

**მაჭავარიანი** – ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე, რომელმაც პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლა გიმნაზიის დირექტორი
**მაჭავარიანი, ალიკო** – გრიგოლ ვაშაძის თანამებრძოლი და მეგობარი. მონაწილეობდა ჭიათურაში 1924 წლის აჯანყების დროს, იმალებოდა გრიგოლთან ერთად. რეპრესირებული
**მაჭავარიანი, დათიკო** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიაში 1919 წელს მიხეილ ჭიაურელის მიერ დადგმულ პიესის „ოთხი იმერელი» მონაწილე
**მაჭავარიანი, მიხეილ (მიშა)** – ქუთაისელი მკერავი, ბესარიონ ვაშაძის ნაცნობი
**მაჭარაშვილი** – 1924 წლის აჯანყების მონაწილე, რომელმაც ზესტაფონთან ვაგონებში ხოცვა-ჟლეტის დროს გაქცევა მოახერხა
**მახარაძე, ფილიპე** – (1868–1941). ბოლშევიკი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1903 წელს აირჩიეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში. 1922 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ სამუშაოზე. იყო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე.
**მგალობლიშვილი, ტარასი** – 1924 წელს იყო ჭიათურის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე
**მდივანი, ბუდუ** – საქართველოს ბოლშევიკური პარტიის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი. „ქართველოფილების» წარმომადგენელი. დახვრიტეს 1937 წელს
**მდივანი, სოსიკო** – ბუდუ მდივნის ძმა
**მეგრელი, დუტუ** – (1867–1938). მწერალი
**მელიმიში, ჰასან** – ლაზი. ცხოვრობდა თურქეთში. 1931 წელს მუშაობდა ბათუმში, სოხუმში. 1937 წელს დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით. თურქი მწერლის, ნაზიმ ჰიქმეთის დახმარებით ათავისუფლებენ. წერდა ლექსებს, ხატავდა. გარდაიცვალა 1986 წელს
**მელიქიშვილი (მელიქოვი), ბიქტორ** – ჭიათურელი მრეწველი. დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია
**მელიქიშვილი, სტეფანე** – გაზეთ „დროების» გამომცემელი 1876 წელს
**მელკუმიანცი** – ამიერკავკასიის ჰიდრო-გეოლოგიური ტრესტის ინჟინერი
**მელქაძე, დიმიტრი** – ყოფილი დალაქი, გასაბჭოების შემდეგ _ ბოლშევიკი

**მერაბიშვილი** – მედიკოსი, მუშაობდა ეთიოპიაში
**მესხი, ბუჭუჭი** – 1922 წელს ბოსლევის სადგურზე თავდასხმისა და 1924 წელს იმერეთში ჩამოყალიბებული პარტიზანული რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი
**მესხი, დავით** – მწერალი. ავტორი ვოდევილისა „ოთხი იმერელი», რომელიც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 1919 წელს დადგა მიხეილ ჭიაურელმა
**მესხი, ეფემია** – (1862–1941). სასცენო მოღვაწეობა დაიწო 1882 წელს თბილისში. ითამაშა სპექტაკლებში : „ქეთევან წამებული», „პატარა კახი», «თამარ ცბიერი» და სხვები.
**მესხი, კოტე (იაკობი)** – (1857–1914). მსახიობი და რეჟისორი. 1885 წელს ქუთაისში დაარსა პროფესიული თეატრი. 1894 წლიდამ მოღვაწეობს თბილისში. შეასრულა როლები სპექტაკლებში: „სამშობლო», „ღალატი», „ვაი ჭკუისაგან» და სხვა.
**მესხიშვილი, ვლადიმერ (ლადო) –** იხ. ალექსი – მესხიშვილი
**მეტრეველი, ლევან** – ლიტერატურული ჯგუფის „არიფიონის» წევრი

**მიასნიკოვი ალექსანდრე** (ნამდვ. გვარი მიასნიკიანი, ფსევდონიმი – მარტუნი) – ს. ორჯონიკიძის თანამებრძოლი, ბოლშევიკი. 20-იან წლებში საქართველოში მიმდინარე რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაიღუპა ავიაკატასტროფის შედეგად
**მიკენასი** – ფრანგი ხუროთმოძღვარი, რომელმაც საფრანგეთის ქ. პერიგოში 1943 წელს დაღუპულთადმი მიძღვნილი ძეგლი ააგო
**მიმინოშვილი, რომან** – ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1981 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი
**მინდელი ვ.** – ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიხეილ ჭიაურელს მიერ დადგმულ პიესის მონაწილე
**მირიანაშვილი, არჩილ** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთის ქ.პერიგოში
**მირცხულავა, ალიო** – (1903–1976). პოეტი. საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, ჟურნალების: „მნათობისა» და „დროშის» რედაქტორი. 1968 წლიდან წიგნის პალატის დირექტორი
**მისაბიშვილი ი.** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი ამხანაგი. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი. იატაკქვეშეთის მიერ ჯაშუშად მიჩნეული და ლიკვიდირებული
**მიქაძე** – 1925 წელს დაპატიმრებული გრიგოლ ვაშაძის გამომძიებელი
**მიქელაძე ე.** – კომპოზიტორი. დახვრიტეს 1937 წელს
**მიშველიძე, ჭაბუკი** – ბოლშევიკი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**მიწიშვილი, ნიკოლო** – პოეტი. დახვრიტეს 1937 წელს
**მიხაილოვი ა.** _ ფოტოგრაფი
**მიხალევი** – გაზ. „კავკაზის» თანამშრომელი
**მკრტიჩიანი** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი, ტრესტის მაშინდელი მმართველის, სერგო კანდელაკის მოწინააღმდეგე
**მოგილევსკი ს.** – ბოლშევიკი. ს. ორჯონიკიძის თანამებრძოლი. რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი კავკასიაში. გარდაიცვალა ავიაკატასტროფის შედეგად.
**მოდებაძე** – ჭიათურის სკოლის პედაგოგი. ქირით ცხოვრობდა ბესარიონ ვაშაძესთან გრიგოლის აზრით, მან დაასმინა ბესარიონი
**მოდებაძე, კარპე** – ჭიათურის „მანგანუმტრესტის» მმართველი 1925 წელს. ბოლშევიკი, „ქართველოფილი». გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი
**მოდებაძე, პაშა** – ჭიათურის ჩეკას უფროსის, მიშა კავთელაძის (დახვრიტეს 1937 წელს) მეუღლე
**მოისეენკო** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი
**მოისწრაფიშვილი** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან გეოლოგიურ პარტიაში უფროს კოლექტორად
**მოროზოვა** – მომღერალი. 1919 წლის 20 თებერვალს ოპერის თეატრში დადგმული ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის» მონაწილე
**მოსაშვილი, ილო** – (1896–1954). 1951–54 წლებში იყო მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე. .„არიფიონის» წევრი
**მოსეშვილი, გოგი** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**მოსეშვილი, პავლე** – გოგი მოსეშვილის მამა, მრეწველი

**მჟავანაძე, ვასილ** – გენერალ-ლეიტენანტი. საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს პირველი მდივანი

**მჟავია, დიმიტრი** – მსახიობი. 1920 წლიდან მუშაობდა რუსთაველის სახ. თეატრში. გარდაიცვალა 1965 წელს. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**მუსხელიშვილი, ნიკო** – (1891–1976). მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი. 1941 წლიდან გარადაცვალებამდე იყო მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი

**მუხაძე, გრიგოლ** – (1879_1948) გრიგოლ ვაშაძის ნათლია. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, აკადემიკოსი. პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1946 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა.

**მცურავიშვილი მ.** – მომღერალი

ნ

**ნადარეიშვილი, ელიზბარ** – სოც.–რევოლუციონერთა პარტიის წევრი. ჭიათურაში მუშაობდა თერძად

**ნადირაძე, კულაუ** – პოეტი. ცისფერყანწელთა თვალსაჩინო წევრი.

**ნაზაროვი** – გრიგოლ ვაშაძის მეზობელი თბილისში, ატენის ქუჩაზე

**ნაკაიძე ჭიპილია** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი

**ნაკაიძე, ლადიკო** – გრიგოლ ვაშაძის ნათესავი

**ნასიძე, გრიგოლ** – გეოლოგი, სამთო ინჟინრების პირველი გამოშვება (1926 წ.)

**ნატროშვილი, გიორგი** – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. „ლიტარატურული გაზეთის», (1943–63), ჟურნალ „დროშისა» (1963–1973) და „მნათობის» (1973–82) მთავარი რედაქტორი. ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი (1982 წლიდან)

**ნაფეტვარიძე** – სოც.-დემოკრატი. 20-იან წლებში არალეგალური კრებების ერთ-ერთი ორგანიზატორი ჭიათურაში

**ნაფეტვარიძე, გიორგი** – პოეტი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში

**ნახლებნიკოვი** – ამიერკავკასიის პარტიის სამხარეო კომიტეტის თანამშრომელი, რომელმაც უარყოფითად შეაფასა განჯის გეოლოგიური ბაზის მუშაობა

**ნეფერი** – ირანელი პროფესორი. 1934 წელს თბილისში ჩამოვიდა ფირდოუსის 100 წლის აღსანიშნავ იუბილეზე

**ნიკიტენკო, ჟორჟიკა** – ჭიათურის ელსადგურის მთავარი მექანიკოსის თანაშემწე. მენშევიკური პარტიის წევრი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**ნიკოლაევი** – ბოლშევიკი, რომელმაც მოკლა ს. კიროვი

**ნიკოლაძე ი.** – დამფუძნებელი კრების 1919 წლის არჩევნებში დამოუკიდებელ პარტიად მონაწილე – „ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა» – წევრი

**ნიკოლაძე, გიორგი** – (1888–1951). მათემატიკოსი, მეტალურგი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ნიკო ნიკოლაძის ვაჟი. მისი

უშუალო მონაწილეობით აშენდა ფეროშენადნობი სადნობი საცდელი ღუმელი, რაც საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობას. 1928 წელს თსუ-ში კითხულობდა ლექციებს. დაარსა პირველი ტანვარჯიშის საზოგადოება თბილისში, მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე და სხვა

**ნიკოლაძე, ნიკო** – (1843–1928). პუბლიცისტი. კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე. 1871 წელს რედაქტორობდა ჟურნალ „კრებულს». 1878 წლიდან გამოსცა ჟურნლი „ობზორი». 1894–1912 წლებში არჩეული იყო ფოთის ქალაქის თავად. ხელმძღვანელობდა თბილისის წყალსადენის, ფოთის ნავსადგურის, გროზნო-ფოთის ნავთობსადენისა და სხვა პროექტებს

**ნიკოლოზ მეექვსე** – ალექსანდრიისა და აფრიკის პატრიარქი. 1986 წელს სტუმრობდა საქართველოს

**ნიკურაძე** – 1924 წლის აჯანყების მონაწილე ჭიათურაში

**ნინიძე, კარლო** – დახვრიტეს 1923 წელს აჯანყების ორგანიზაციის ბრალდებით

**ნიორაძე, დათიკო** – ქუთაისელი ექიმი

**ნიორაძე, ელენე** – ქეთო თუთბერიძის დედა

**ნიორაძე, მიხეილ (მიშა)** – ბოლშევიკი. ჭიათურის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგში თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე. რეპრესირებული

**ნიშნიანიძე, შოთა** – პოეტი. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი

**ნოზაძე, პალიკო** – 1922 წელს შექმნილი ფუტურისტული ჯგუფის წევრი. ემიგრანტი

**ნოზაძე, ჟორჟიკა** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი. პალიკო ნოზაძის ძმა. მასთან ერთად გაიხიზნა საფრანგეთში. სწავლობდა პარიზში, კათოლიკურ სასწავლებელში

**ნუცუბიძე გ.** – მოსკოვის წარმომადგენლობის მდივანი დამოუკიდებელ საქართველოში

**ნუცუბიძე, გიორგი** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**ნუცუბიძე, შალვა** – (1888–1969). ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი. აკადემიკოსი. იყო თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი. იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას

ო

**ობოლაძე** – მილიციელი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. მოკლა გლეხმა ღლონტმა

**ობრეზკოვი** – რუსეთის წარმომადგენლობის მდივანი პარიზში 1871 წელს

**ოდიშელიძე** – მეფის რუსეთის გენერალი, დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი (1920წ.)

**ოთხმეზური** – სტუდენტი. 1925 წელს იჯდა გრიგოლ ვაშაძესთან ერთად მეტეხის ციხეში

**ოკუჯავა, ოლია** – გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე. რეპერესირებული

**ოკუჯავა, მიხეილ** – ბოლშევიკი, ოპოზიციონერი, რეპრესირებული

**ოკუჯავა, სერგო** – ბოლშევიკი, ოპოზიციონერი. მიხეილ ოკუჯავას ძმა. რეპრესირებული

**ოლეინიკოვი, ივანე** – ჩორნი რინოკის მილიციის უფროსი გრიგოლ ვაშაძის მუშაობის პერიოდში

**ორახელაშვილი, ივანე (მამია)** – (1882–1937). საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. 1920–21 საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის თავმჯდომარე, 1921–25 წლებში – საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს მდივანი. რეპრესირებული

**ორახელაშვილი, მარიამ** – (1887–1937). ბოლშევიკი. სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. სხვადსხვა დროს იყო ჟურნალების – „მშრომელი ქალი», „წითელი სხივი», „პედაგოგიჩესკოე ობრაზოვანიე» და სხვათა რედაქტორი. რეპრესირებული

**ორბელი, რუსუდან** – ცნობილი მეცნიერის _ რუბენ ორბელის ქალიშვილი

**ორბელი, იოსებ** – (1887–1961). აღმოსავლეთმცოდნე, საზოგადო მოღვაწე

**ორჯონიკიძე, სერგო (გრიგოლი)** – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. 1921 წელს შემოუძღვა საქართველოში მეთერთმეტე არმიას

**ოყროშიძე** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი

**ოტიანი გ.** – გეოლოგი, მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ნახჩევანში

**ოცხელი, იოსებ** – (1865–1919) პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე. 1892 წელს ქუთაისში დაარსა კერძო „ქართული საჩვენებელი საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით» – პირველი დასავლეთ საქართველოში. 1900 წელს დაინიშნა ქუთაისის სკოლის ინსპექტორად. ეს სკოლა, მისი შემწეობით, გადაკეთდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიად, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. პედაგოგიკაში იყო ი. გოგებაშვილის მიმდევარი. ავტორია არაერთი პედაგოგიური სტატიისა

## პ

**პაკაძე (გულისაშვილი )** – ჟურნალისტი. „ჯვარი ვაზისას» რედაქტორი

**პანკევიჩი პ.** _ ფოტოგრაფი

**პაპავა** – ჭიათურელი მრეწველი. მუშაობდა „კარუტოში». რეპრესირებული

**პატარიძე, კუკური** – რუსთაველის სახ. თეატრის რეჟისორი. მსახიობი

**პატატიშვილი, დავით** – პოეტი. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში

**პეტიპა, მარიუსი** – ბალერონი. ქორეოგრაფი. რუსეთის რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში

**პეტრიაშვილი, გურამ** – მწერალი

**პეტროვა, ვერა** – ტრესტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ეკონომისტი, მუშაობდა ტრესტის საგეგმო განყოფილებაში

**პილოსუდსკი** – პოლონეთის მთავრობის მეთაური 20-იან წლებში

**პიროგოვი** – ს. ორჯონიკიძის პირადი მდივანი

**პლეხანოვი, გიორგი** – მარქსიზმის რუსი თეორეტიკოსი. რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე, ლიტერატურული კრიტიკოსი, იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ

**პოგრებოვი** – ჰიდროგეოლოგი. ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი

**პოპოვი** – ჩეკისტი. ზესტაფონთან ვაგონებში ხალხის დახვრეტის აქტიური მონაწილე. მუშაობდა ჩეკას წინასწარ პატიმრობის საკანში, სადაც 1925 წელს იმყოფებოდა გრიგოლ ვაშაძე

**პოტაპენკო** – მოსკოვიდან მოვლინებული გეოლოგი, მუშაობდა სოფ. კუშჩის უბანში
**პოტიომკინი, პავლე** – საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წლის 24 ივლისში დადებული ტრაქტატის ხელმოწერის ერთ-ერთი მონაწილე
**პრინციპი, გავრილა** – ავსტრიის სამეფო ტახტის მემკვიდრის, ფერდინანდის მკვლელი

ქ

**ქელიაბოვი** – რუსეთის მეფე ალექსანდრე მეორის მკვლელი
**ქემჩუჟინა, პოლინა** – საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკის, მოლოტოვის მეუღლე. რეპრესირებული
**ქვანია, ისაკი** – სამეგრელოში მეგრულ ენაზე გამოსცემდა გაზეთს. მოსკოვში კალინინთან იჩივლა ქართველი ბოლშევიკების (ბუდუ მდივნის ჯგუფი) „უკლონისტობაზე»
**ქორდანია, ვახტანგ** – თენგიზ ვაშაძის მეგობარი
**ქორდანია, თედო** – (1854–1916). ისტორიკოსი, პედაგოგი, ფილოლოგი, საზოგადო მოღვაწე
**ქორდანია, ნოე** – (1868–1953). სოციალ-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი. 1918–1921 წლებში იყო დამუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წლის მარტიდან წავიდა ემიგრაციაში
**ქორქოლაძე, კოკი** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი. ბადრაგი, რომელმაც 1925 წელს დაპატიმრებული გრიგოლ ვაშაძე თბილისში გადმოიყვანა
**ქუკოვი, გიორგი** – საბჭოთა კავშირის მარშალი. ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი
**ქღენტი, ბესო** – ლიტერატურათმცოდნე. კრიტიკოსი. ლიტერატურული მიმდინარეობის – ფუტურიზმის დამაარსებელი
**ქღენტი, თენგიზ** – საქართველოს კომპარტიის წევრი. ოპოზიციონერი. დახვრიტეს 1937 წელს.

რ

**რადეკი** – ბოლშვიკი. დახვრიტეს 1937 წელს
**რადიანი, შალვა** – ლიტერატურის კრიტიკოსი
**რაზმაძე, ანდრია** – მათემატიკოსი. თსუ-ს ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში
**რამაზაშვილი** – რუსეთის წარმომადგენლობის თარჯიმანი დამოუკიდებელ საქართველოში
**რამიშვილი, ნოე** – (1881-1930). სოც.-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. თანამშრომლობდა მენშევიკურ გაზეთებში: „სხივი», „ერთობა». ებრძოდა ბოლშევიკებს. 1919–21 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი., „ერთობის» რედაქტორი. 1918–21 წლებში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ამასთან ერთად განათლებისა და სამხედრო მინისტრი. 1921 წლიდან ემიგრაციაშია.

მონაწილეობდა საქართველოში 1924 წლის ამბოხების მომზადებაში. პარიზში მოკლა ქართველმა ემიგრანტმა

**რაჩკოვსკი, გრიგოლ** – გეოლოგი, სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება (1926 წ.)

**რაჭველიშვილი, ქრისტეფორე** – (1894_1937). ისტორიკოსი, ფილოლოგი. დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხარკოვის უნივერსიტეტი. მეფის წინააღმდეგ სტუდენტთა მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის გარიცხეს და დააპატიმრეს. 1917 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი. 1937 წელს დახვრიტეს

**რეხვიაშვილი მ.** – რეპრესირებული 1937 წელს

**რიბაკოვა** – გეოლოგი. ალავერდის მაღაროების სოფ. კუშჩის ბარიტის საბადოს უბნის თანამშრომელი (1933 წ.).

**რიბინი** – ამიერკავკასიის ჰიდროგეოლოგიური ტრესტის, ხოლო სამმართველოდ გადაკეთების შემდეგ (1936 წელი) – სამმართველოს მმართველი

**რიკოვი ა.** – ოპოზიციონერი ბოლშევიკი. 1937 წელს გადაასახლეს შორეულ აღმოსავლეთში

**რობიტაშვილი, შაქრო** – მუშაობდა ყიზლარში მეცხვარეთათვის გახსნილ მანუფაქტურაში. (30-იანი წლები)

**როყვა** – გეოლოგი, გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი

**რუმიანცევი** – გრიგოლ ვაშაძის გეოგრაფიის მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შავრაზმელი

**რუხაძე, გიორგი** – ვლადიმერ რუხაძის ძმა, ჭიათურის ელსადგურის მუშა

**რუხაძე, ვარლამ** – (1874–1935). პოეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1898–1899 წლებში, დაუკავშირდა „მესამე დასს». იყო „აკადემიური მწერლობის კავშირის» წევრი

**რუხაძე, ჭიჭიკო** – გრიგოლ რუხაძის ძმა, გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი

**რცხილაძე, გრიგოლ** – სოც.–ფედერალისტი. ჟურნალისტი, „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების» თავმჯდომარე 1908–1917 წწ.

ს

**საბანეევა** – მომღერალი. მონაწილეობდა 1919 წლის 20 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში». საქართველოს მთავრობამ 1919 წელს გადასცა ჯილდო საქართველოს ღერბით

**საბაშვილი, გოგი** – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, უნივერსიტეტიდან გარიცხული წმენდის შედეგად. მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან განჯის ჰიდრო-გეოლოგიურ პარტიაში

**სალუქვაძე** – პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი 30-იან წლებში

**სანაკოევი** – სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის საკითხის ორგანიზატორი

**სარაჯიშვილი, ალექსანდრე** – (1851–1914). მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მღვაწე. იყო თეატრალური კომიტეტისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი; ილია ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად

გამოსცა „ვისრამიანის» ტექსტი, იყო „ივერიის» რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი
**სარაჯიშვილი, ვანო** – (1879–1924). ცნობილი ქართველი მომღერალი
**საფაროვა-აბაშიძე, მაკო** – (1860–1940). მსახიობი. შეასრულა როლები სპექტაკლებში: „ხათაბალა», „ჟორჟ დანდენი», ეჭვით ავადმყოფი» და სხვა.
**საფონოვი** – მარგანეცის საბადოს ექსპედიციის ტექნიკოსი
**საღარაძე** – მფრინავი. მართავდა თვითმფრინავს, რომელშიც აფეთქდნენ ათაბეგოვი, მიასნიკოვი და მოგილევსკი
**საღარაძე, ლევან** – დამასკოს მოქალაქე
**საყვარელიძე** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ამხანაგი, ფარმაცევტი
**საყვარელიძე, სიმონიკა** – დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. გასაბჭოების შემდეგ შევიდა ბოლშევიკთა პარტიაში. მონაწილეობდა ზესტაფონთან, „პიტომნიკებში» ხალხის დახრეტაში 1924 წელს
**საყვარელიძე, სოლომონ** – გრიგოლ ვაშაძის მამიდის, პაშას მეუღლე. შორაპნის დეპოს მექანიკოსი, სოც.–დემოკრატიული პარტიის წევრი
**საყვარელიძე, ტიტიკო** – ჭიათურელი იატაკქვეშელი. დაიღუპა 1924 წელს
**სახანბერიძე** – ჩაის მაღაზიის მეპატრონე ქუთაისში
**სევასტოპულო, გიორგი** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეზობელი
**სევერიანინი (ნამდვ. გვარი ლოტარევი)** – რუსი სიმბოლისტი პოეტი
**სვანიძე** – ბოლშევიკი. სტალინის [პირველი] ცოლისძმა. რეპრესირებული
**სვანიძე** – ჭიათურელი მრეწველი, დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია
**სვანიძე, გრამიტონ** – ახალგაზრდა სოც.–ფედერალისტთა წრის ხელმძღვანელი
**სიმონიანცი** – მძღოლი. მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან გაიდუკის სტეპში
**სიმონიანცი** – ჩეკას გამომძიებელი, რომელთანაც მიჰყავდათ ბესარიონ ვაშაძე დასაკითხად. მონაწილეობდა 1924 წელს ზესტაფონთან ხალხის დახვრეტაში
**სისოევი** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორი გრიგოლ ვაშაძის მოწაფეობის დროს
**სიხარულიძე** – სოც.-ფედერალისტი
**სიხარულიძე, ლადო** – გეოლოგი, შამქორის პარტიის აღიახიშის უბნის უფროსი კოლექტორი; სოფ.ჩოვდართან ბარიტის სამიებო პარტიის სამუშაოთა მწარმოებელი
**სიხარულიძე, სერაპიონ** – ყოფილი მუშა, ჭიათურაში შექმნილი ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი
**სკიბცოვა** – გეოლოგი. სოფ. კუშჩის ბარიტის საბადოს უბნის თანამშრომელი
**სოკოლნიკოვი** – რუსი ბოლშევიკი. იყო 1922 წლის 11 აგვისტოს საკავშირო ცეკას ბიუროს მიერ შექმნილი კომისიის წევრი
**სოლოგუბი (ნამდვ. გვარი ტერენიკოვი)** – რუსი სიმბოლისტი მწერალი.
**სორინი, საველ** – რუსი ემიგრანტი მხატვარი. მელიტა ჩოლოყაშვილისა და მერი შერვაშიძის პორტრეტების ავტორი
**სტურუა გ.** – ბოლშვიკი. რეპრესირებული
**სუდეიკინი, სერგეი** – მხატვარი. მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის კაფე „უქიმერიონის» მოხატვაში

**სულაკაური, არჩილი** – მწერალი
**სულაქველიძე, კონსტანტინე (კოწია)** – „ახალგზელთა» ჯგუფის ხელმძღვანელი, მენშევიკი, ყოფილი გენერალ-გუბერნატორი
**სულიაშვილი, დავით** – ლიტერატურული ჯგუფის „არიფიონის» წევრი
**სულტანოვი, აზალი** – ბაქოს ბაზის მთავარი ინჟინერი (30-იანი წლები)
**სუმბათაშვილი, ალექსანდრე** – საქართველოს ემიგრანტი მთავრობის ელჩი ინგლისში
**სუმბათაშვილ-იუჟინი** – ცნობილი მსახიობი. დაესწრო კოტე მარჯანიშვილის დადგმის – ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო» – პრემიერას და მაღალი შეფასება მისცა მას
**სუსლოვი მ.** – პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. 1939 წელს იყო საკ. კპ (ბ) სტავროპოლის სამხრეთ კომიტეტის პირველი მდივანი. არტეზიული ჭების ბურღვის „მონოპოლიზაციის» გამო მოითხოვდა ჰიდრო-გეოლოგიური მუშაობის შეწყვეტას ყარანოღაისა და გაიდუკის სტეპებში, რომელსაც გრ. ვაშაძის პარტია ასრულებდა
**სუხინი, დიმიტრი** [მეორეგან მითითებულია ვალოდია) – ტოპოგრაფი. ქ. განჯის საქალაქო საბჭოს მინდობილობით კურირებდა ქალაქის წყლით მომარაგების საკითხს
**სუჯაშვილი** – საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ყიზლარში (1933 წ.)

**ტ**

**ტაბაღუა, დიანოზ** – დაიღუპა 1944 წელს საფრანგეთში
**ტაბიძე, გალაკტიონ** – (1891–1959). საქართველოს სახალხო პოეტი. „ცისფერყანწელი». ჟურნალ „მნათობის» ერთ-ერთი დამაარსებელი. 1922–23 წლებში გამოსცა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი». საყოველთაო აღიარება მოუტანა 1919 წელს გამოლცემულმა კრებულმა „არტისტული ყვავილები»
**ტაბიძე, ტიციანი** – (1895–1937). პოეტი. პირველი ლექსები დაიბეჭდა 1911 წელს. ცისფერყანწელების ერთ – ერთი მოთავე. 1920 წლიდან რედაქტორობდა „რუბიკონსა» და „ბარრიკადს». დახვრიტეს 1937 წელს
**ტალახაძე** – ჭიათურაში 1924 წლის აჯანყების ჩასაქრობად თბილისიდან გამოგზავნილი სამხედრო სკოლის კურსანტების მეთაური
**ტარასაშვილი, თამარ** – პარიზში დაარსა სამხატვრო გალერეია, რომელსაც „დარიალი» ეწოდებოდა. ინჟინერ დავით ვაშაძის და. გრიგოლ ვაშაძის ნათესავი
**ტატიშვილი ი.** – ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონის» (1927–1928) წევრი
**ტკაჩევი პ.** – რუსი რევოლუციონერი ემიგრანტი, რომელმაც ივანე მაჩაბელს მიაწოდა ცნობები პარიზის კომუნაში ქართველების მონაწილეობის თაობაზე
**ტოგონიძე, პეტრე** – გეოლოგი. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული
**ტომსკი** – რუსეთის სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. დახვრიტეს 1937 წელს
**ტოროშელიძე, მალაქია** – ბოლშევიკი. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. რეპრესირებული
**ტროცკი** – რუსი პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. რეპრესირებული
**ტუსკია, ანტონ** – მარგალიტა ვაშაძის მეუღლე. მენშევიკი
**ტუხაჩევსკი, მიხეილ** – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, მარშალი. კომპარტიის წევრი. დახვრიტეს 1937 წელს

**ტყაბლაძე, გრიგოლ (გრიშა)** – მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი
**ტყემალაძე მერი** – გრიგოლ ვაშაძის ძმის, იაშას მეუღლე
**ტყემალაძე, ნიკოლოზ (კოლია)** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი. (1926 წლის სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება)

უ

**უგრეხელიძე, ნესტორ** – გეოლოგი
**უზნაძე, დიმიტრი** – (1887–1950). ფსიქოლოგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამაარსებელი, ქართული ფსიქოლოგიის სკოლის ფუძემდებელი. დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტი. 1909–18 წლებში იყო ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. შექმნა განწყობის თეორია
**ულრიხი ვ.** – 1938 წელს მოსკოვში „ხალხის მტრების» წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესის თავმჯდომარე
**უმიკაშვილი, პეტრე** – (1838–1904). საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი
**ურმანოვი, პეტრე** – გრიგოლ ვაშაძის მძღოლი ყიზლარში

ფ

**ფადეევი, ალექსანდრე** – რუსი მწერალი
**ფავლენიშვილი ა.** – ქართველი კომუნარი. პარიზში ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრი. დახვრიტეს კომუნარების კედელთან
**ფალიაშვილი, ზაქარია** – (1871–1933). კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი. 1896 წლიდან დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერა და დამუშავება. აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების» დაფუძნებაში. შექმნა ოპერები: „დაისი», „ლატავრა»; „საზეიმო კანტატა» და სხვ.
**ფანცულაია** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოასწავლე, გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი
**ფანჯიკიძე, გურამ** – მწერალი. სხვადასხვა წლებში იყო ალმანახ „განთიადისა» და ჟურნალ „ცისკრის» რედაქტორი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს» დირექტორი. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი
**ფაღავა, აკაკი** – (1887–1962). რეჟისორი, პედაგოგი, თეატრთმცოდნე. დადგა სპექტაკლები: „ჰამლეტი», „ოტელო», რღვევა», „გუშინდელნი» და სხვა. მონაწილეობდა ქართული დრამატული თეატრის (1921 წლიდან რუსთაველის სახ. თეატრი) დაარსებაში. იყო ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი
**ფაღავა, ეთერ** – ცნობილი ბალერინა, დ. ვაშაძის დისშვილი, ნოე ჟორდანიას შვილიშვილი
**ფაღავა, ვერა** – მხატვარი. ნოე ჟორდანიას შვილიშვილი

**ფაღავა, მექი** – ვექილი. გარდაიცვალა პარიზში. მისი საფლავის ეპიტაფია: „მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა, ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა, სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე, ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე»!

**ფაჩულია** – დამოუკიდებელი საქართველოს კონტრდაზვერვის უფროსი

**ფედერმანი** – განჯის ბაზის უფროსი გრიგოლ ვაშაძის შემდეგ. ანტიბოლშევიკური განწყობის პიროვნება

**ფერაძე, გრიგოლ** – (1899–1945). ისტორიკოსი, თეოლოგი. ცნობილია არქიმანდრიტ ფერაძის სახელით. 1927 წლიდან მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში

**ფიალკოვსკი** – გრიგოლ ვაშაძის მასწავლებელი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება

**ფირცხალავა, სამსონ** – სოც.-ფედერალისტი. პუბლიცისტი. საზოგადო მოღვაწე. წავიდა ემიგრაციაში, მაგრამ დაბრუნდა, დააპატიმრეს. გადასახლებიდან არ დაბრუნებულა

**ფლორენსკი** – გეოლოგი. მუშაობდა სამხრეთ ოსეთში. თესდა შუღლს ქართველებსა და ოსებს შორის

**ფომინი, ბორის** – სამთო ინჟინერი. მუშაობდა გეოლოგიურ ტრესტში

**ფრანგიშვილი, პავლე** – (სცენის მოყვარულთა) ავჭალის აუდიტორიის რეჟისორი

**ფურცხვანიძე** – იარაღის მაღაზიის მფლობელი ქუთაისში (მდებარეობდა თეატრის პირდაპირ)

**ფხაკაძე, ვალოდია** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი

**ფხაკაძე, სიმონიკა** – ოფიცერი, გრიგოლ ვაშაძის ახლო ნათესავი

**ფხალაძე, ბენია** – ჭიათურის ელსადგურის მუშა, გრიგოლ ვაშაძის მეგობარი. ბოლშევიკი

**ფხალაძე, ვასიკო** – ჭიათურის ელსადგურის მუშა, გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი

## ქ

**ქადაგიძე, ბიქტორ** – ბესარიონ ვაშაძის დის, ეკატერინეს მეუღლე

**ქადაგიძე, ელიზბარ** – ბესარიონ ვაშაძის დის, ეფროსინეს მეუღლე

**ქავთარაძე, პეტრე** – ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონის» (1927–1928) წევრი. იურისტი, მწერალთა კავშირის წევრი. მთარგმნელი. რეპრესირებული – „გულაგის» ბანაკში შიმშილით გარდაიცვალა

**ქავთარაძე, სერგო** – (1885–1971). პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. 1921 წელს იყო საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარი, 1923–24 წლებში საბჭოთა საელჩოს მთავარი მრჩეველი თურქეთში და ა.შ.

**ქართველიშვილი, ლავრენტი** – (1890–1938). სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. რეპრესირებული

**ქაშიბაძე** – რკინეულის მაღაზიის მეპატრონე ქუთაისში

**ქვარიანი, კოწია** – მეფის არმიის კაპიტანი, ჭიათურის მილიციის უფროსი (1921 წ.)

**ქიაჩელი, ლეო (ნამდვ. გვარი შენგელაია)** – (1884–1963). 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. გაიქცა და არალეგალურად ცხოვრობდა მოსკოვში. 1912 წლიდან შვეიცარიაში გაემგზავრა და სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში. 1909 წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა
**ქიქოძე, გაბრიელი** – იხ. გაბრიელი
**ქიქოძე, გერონტი** – (1885–1960). მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი. 1921–22 წლებში მიწათმოქმედების სახ. კომისრის მოადგილე. 1927–28 წლებში იყო ლიტერატურული დაჯგუფების „არიფიონის» ერთ-ერთი მოთავე
**ქიქოძე, ზაალ** – 1917 წელს პტერებურგში ყოფნის დროს გალაკტიონი მასთან ცხოვრობდა ბინაში
**ქომეთიანი, გრიშა** – გეოლოგიური ტრესტის თანამშრომელი, გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი
**ქორელი, მიხეილ (ქორიძე)** – (1876–1949). რეჟისორი. დგამდა სპექტაკლებს ქუთაისში, ბათუმში, თბილისსა და ჭიათურაში.
**ქურხული, ილიკო** – (1885–1954). მოხეტიალე მუსიკოსი, მევიოლინე, მესტვირე, მომღერალი. 1921–27 წლებში იმოგზაურა თურქეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში. ბულგარეთში ბულგარულ ენაზე გამოსცა წიგნი ქართული ხალხური სიმღერების შესახებ 1927 წლიდან საქართველოშია – ეწეოდა მუსიკალურ მოღვაწეობას
**ქუჩიშვილი, გიორგი (ნამდვ. გვარი ჩხეიძე)** – (1886–1947). მწერალი. პირველი ლექსი 1906 წელს გამოაქვეყნა. ქართულ მწერლობის რევ.-დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი

ღ

**ღამბაშიძე, შალვა** – (1899–1955) – მსახიობი. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. სწავლობდა გ. ჯაბადარის სტუდიაში. მუშაობდა ბათუმის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. 1937–47 წლებში იყო მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი
**ღარიბიანი** – წყალტუბოს სანატორიუმის ექიმი
**ღარიბიანი გარ.** – ბურღვის ოსტატი. მუშაობდა ყიზლარში გრიგოლ ვაშაძესთან (1938 წ.)
**ღვალაძე, ელეფთერ** – ჭიათურელი პედაგოგი, ბოლშევიკი
**ღლონტი** – გურიაში მოკლა მოსახლეობის ამწიოკებელი მილიციელი ობოლაძე
**ღოღობერიძე კ[უშა]** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი, 1924 წლის მოვლენების მონაწილე
**ღოღობერიძე, ალმასხან** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი, კ. ღოღობერიძის მამა
**ღოღობერიძე, ლევან** – სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. რეპრესირებული
**ღოღობერიძე, ჟანგო** – პოეტი, ემხრობოდა ფუტურისტებს

ყ

**ყანჩელი, სანდრო** – 1919 წლის 17 აპრილს სიტყვა წარმოთქვა გამოვიდა ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ საღამოზე
**ყაუხჩიშვილი** – ქუთაისელი ექიმი, კათოლიკე
**ყაუხჩიშვილი, ნინო** – პროფესორი. 1974 წელს თბილისში ჩატარებული ქართული ხელოვნების შემსწავლელი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე
**ყიასაშვილი, ნიკო** – მენშევიკთა ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის ეზოში ანტისაბჭოურ მიტინგზე 1922 წლის 25 თებერვალს
**ყიფიანი დ.** – ბესარიონ ვაშაძის მამიდაშვილი
**ყიფიანი ი.** – ცისფერყანწელი
**ყიფიანი, დავით** – ნოტარიუსი (1912 წ.)
**ყიფიანი, დიმიტრი** – (1814–1887). საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადაასახლეს. იყო: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიათა თავადაზნაურობის წინამძღოლი, თბილისის ქალაქისთავი, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების», „ქართული დრამატული საზოგადოების» ერთ-ერთი ფუძემდებელი, იღწვოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დასწყევლა, რის გამოც დ. ყიფიანმა მოითხოვა ეგზარქოსს საქართველო დაეტაოვებინა. დ. ყიფიანი გადაასახლეს, სტავროპოლში მოკლეს მეფის აგენტებმა
**ყიფიანი, კოწია** – ჭიათურელი მრეწველი. დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია
**ყიფშიძე** – სერგო ხვედელიძის მეუღლე. ქმართან ერთად გადაასახლეს 1937 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა თბილისში
**ყულიევი** – პოეტი. ესწრებოდა 1981 წლის მარტში ჩატარებულ ქართველ მწერალთა ყრილობას
**ყულოშვილი, მიხეილ** – მღვდელი
**ყურბანოვი, აზილ** – აზერბაიჯანის მოქალაქე. გრიგოლ ვაშაძესთან ერთად 1925 წელს იჯდა ციხეში ჯაშუშობის ბრალდებით
**ყურბანოვი, ალი** – გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი სოფ. ჯიბრაილიდან
**ყურულაშვილი გ.** – ბოლშევიკი, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი 1928 წელს. რეპრესირებული

## შ

**შაგინიანი** – ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარე (10-იანი წ.)
**შალიკაშვილი, ვალერიან** – (1874–1919). მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. მუშაობდა ქუთაისის, ჭიათურის, ბაქოსა და სხვა ქალაქების თეატრებში. დადგა სპექტაკლები: „მსხვერპლი», „სინათლე», „დარისპანის გასაჭირი» და სხვა
**შალიკაშვილი, ივანე** – ნუხის მაზრის გამგებელი
**შანშიაშვილი, ლატავრა** – სანდრო შანშიაშვილის ქალიშვილი

**შანშიაშვილი, სანდრო** – (1888–1979). პოეტი, დრამატურგი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1906 წელს. 1914 წელს გამოსცა გაზეთი „საქართველო», ხოლო 1917 წელს – ჟურნალი „მერანი»

**შარაშიძე, გიგო** – პედაგოგი. მუშაობდა გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსის მიერ სოფ. ბახვში დაარსებულ ქართულ სკოლაში, ჭიათურის ოთხკლასიან სკოლაში მასწავლებლად

**შარაშიძე, დავით** – პარიზში გამოცემული ქართული ემიგრანტული მთავრობის გაზ. „ბრძოლის» რედაქტორი, მენშევიკი

**შარაშიძე, ნინო** – გიგო შარაშიძის მეუღლე. პედაგოგი. მეუღლესთან ერთად მასწავლებლობდა სოფ. ბახვში, ჭიათურაში

**შატბერაშვილი, გიორგი** – (1910–1965). მწერალი. პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1933 წელს

**შევარდნაძე, დიმიტრი (დიტო)** – (1885–1937). ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი (1916 წ.). დიდი შრომა გასწია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დაარსებისათვის, რომლის დირექტორი იყო 1933–37 წლებში. დახვრიტეს 1937 წელს

**შენგელაია, დემნა** – (1896–1980). მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. პირველი მოთხრობა 1915 წელს გამოაქვეყნა. ავტორი შემდეგი ნაწარმოებებისა: „განძი», „სანავარდო», „შთაგონება» და სხვა

**შენგელაია, ნიკოლოზ (კოლია)** – (1901–1943). კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. 1919–20 წლებში სწავლობდა თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1924 წელს კ. მარჯანიშვილმა მიიწვია რეჟისორის ასისტენტად ფილმზე: «ქარიშხლის წინ». მის მიერ გადაღებული ფილმებია: „ელისო», „ნარინჯის ველი», შავ მთებში» და სხვები. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**შერვაშიძე, თამარ** – კოკი დადიანის დედა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილის ქალიშვილი, ნიკო დადიანის მეუღლე

**შერვაშიძე, მერი** – ქართველი ენიგრანტი. გალაკტიონ ტაბიძის მუზა

**შმერლინგი, ოსკარი** – (1863–1938). ფერმწერი და გრაფიკოსი. 1921 წლიდან მოღვაწეობდა სამხატვრო აკადემიაში. ქართული კარიკატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი

**შნეიდერი, იოახიმ** – ებრაელი ხელოსანი, რომელმაც დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციისათვის ყალბი ბეჭდები დაამზადა

**შონია, ვალერიან** – გრიგოლ ვაშაძის სტუდენტობის ამხანაგი

**შოტნიევი, ვალოდია** – გეოლოგიური ტექნიკუმის მოსწავლე. მუშაობდა განჯის ბაზაში კოლექტორად

**შტერნი, ლინა** – აკადემიკოსი. რეპრესირებული 1937 წელს

**შუვალოვი** – რუსეთის ჟანდარმერიის უფროსი 1871 წელს

**შულგინა** – მომღერალი. მონაწილეობდა 1919 წლის 20 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში»

**შულმანი** – მეტეხის ციხის ზედამხედველი, ზედმეტი სახელი – „ჯალათი» (1925 წელი)

**შხვაცბაია** – ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე, რომელთანაც უსიამოვნება ჰქონდა გრიგოლ ვაშაძის უფროს ძმას, გიორგის

ჩ

**ჩაპლაზიდი** – პაჭუ თუთბერიძის მეგობარი

**ჩარკვიანი, ჯანსუღ** – პოეტი. სხვადსხვა დროს მუშაობდა ჟურნალების: „დილისა» და „ცისკრის» მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად

**ჩაჩავა, გრიგოლ (გრიშა)** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა არალეგალური წრის წევრი

**ჩაჩავა, ნიკოლოზ (კოლია)** – 1922 წელს ჩამოყალიბებული ფუტურისთა ლიტერატურული ჯგუფის წევრი. ვაშაძეების ოჯახის ახლობელი

**ჩაჩანიძე** – პოლკოვნიკი. ჭიათურაში 1924 წლის აჯანყების საერთო ხელმძღვანელი

**ჩაჩანიძე ვ.** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი. სამთო-ინჟინრების პირველი, 1926 წლის, გამოშვება

**ჩაჩანიძე, ტიტიკო** – სოც.-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ჯგუფის წარმომადგენელი. დააპატიმრეს 1924 წელს გრიგოლ ვაშაძესთან ერთად

**ჩაჩიკაშვილი, სანდრო** – 1919 წლის 17 აპრილს სიტყვით გამოვიდა ტიციან ტაბიძის საღამოზე

**ჩერნოვი** – რუსი სოც.-რევოლუციონერი

**ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე** – ქართული პროფესიური თეატრის განახლების ერთ-ერთი მოთავე

**ჩიკვილაძე, ელისაბედ** – ბესარიონ ვაშაძის მეუღლე

**ჩიკვილაძე, ნიკო** – გრიგოლ ვაშაძის ბაბუა დედის მხრიდან

**ჩილინგაროვი** – ქ. განჯის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც სოფ. კუშჩში კიროვის მკვლელობის გამო კრება ჩაატარა

**ჩიტაძე, მარო** – გრიგოლო ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი. რეპრესირებული

**ჩიქოვანი, ავტონომიოს** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა არალეგალური წრის წევრი, გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**ჩიქოვანი, ალეკო** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული. გრიგოლ ვაშაძესთან ერთად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ეზოში 1922 წლის 25 თებერვალს მოწყობილი ანტისაბჭოთა მიტინგზე

**ჩიქოვანი, ანდრო** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა არარეგალური წრის წევრი. გრიგოლ ვაშაძის მეგობარი

**ჩიქოვანი, ვარდენ** – ზესტაფონთან, ვაგონებში ხალხის დახვრეტის მონაწილე. ჩეკისტი. შემდეგში წყალტუბოში სტალინის სახლის კომენდანტი

**ჩიქოვანი, სიმონ** – (1903–1966). პოეტი. „ფუტურისტ-ლეფელების» ჯგუფის ლიდერთაგანი. 1954–60 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს»

**ჩიჩერინი, გიორგი** – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1923–30 წლებში იყო სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას გენუის კონფერენციაზე 1922 წელს და ლოზანის კონფერენციაზე 1922–23 წლებში

**ჩიჩუა** – ბორის გუჯეჯიანის მეუღლე

**ჩიხელიძე, სავლე** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი, ინჟინერ-გეოლოგი

**ჩოგოვაძე, მამუკა** _ გოირგი ვაშაძის შვილიშვილი
**ჩოგოვაძე, რევი** _ გიორგი ვაშაძის შვილიშვილი
**ჩოლოყაშვილი, ქაქუცა** – 1924 წლის აჯანყების მეთაური
**ჩუბინაშვილი, გიორგი** – (1885–1973). ხელოვნების ისტორიკოსი, აკადემიკოსი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი
**ჩუბინიძე** – ჭიათურელი მრეწველი. დააპატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია
**ჩხეიძე, ბიჭიკო** – უშანგი ჩხეიძის უმცროსი ძმა. სწავლობდა ქ. განჯაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილიალში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ზესტაფონში, სადაც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო
**ჩხეიძე, ბორის** – პოეტი
**ჩხეიძე, გიორგი** – იხ. ქუჩიშვილი გიორგი
**ჩხეიძე, დათიკო** – ჭიათურის თეატრის მსახიობი. ქართული ჯარის ყოფილი ოფიცერი. 1924 წლის აჯანყების მონაწილე. რეპრესირებული
**ჩხეიძე, თემურ** – რეჟისორი
**ჩხეიძე, ნიკოლოზ (კარლო)** – (1864–1926). სოციალ-დემოკრატი, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. 1917 წელს იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის წინ საქართველოში დაბრუნდა. იყო ამირკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე (1919–21 წწ.) 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა
**ჩხეიძე, ნინო (ნუცა)** – (1881–1963). მსახიობი. პირველი ტრაგიკოსი მსახიობი ქალი ქართულ თეატრში. შეასრულა როლები სპექტაკლებში: „დამნაშავის ოჯახი», „ღალატი», „მარგარიტა გოტიე», „ჰამლეტი» და სხვა
**ჩხეიძე, ნოდარ** – პოეტ გიორგი ჩხეიძის ვაჟი (ქუჩიშვილი). სახალხო არტისტი
**ჩხეიძე, ოთარ** – მწერალი
**ჩხეიძე, რეზო** – კინორეჟისორი
**ჩხეიძე, უშანგი** – (1898–1953). მსახიობი. სწავლობდა თსუ-ში, პარალელურად გ. ჯაბადარის თეატრალურ სტუდიაში. 1920 წლიდან მუშაობდა თბილისის ქართული დრამის, ხოლო 1921 წლიდან რუსთაველის სახ. თეატრში. იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხენოსანთა რაზმის წევრი. 1928–30 წლებში მუშაობდა ქუთაისის თეატრში, ხოლო 1930 წლიდან მარჯანიშვილის თეატრში. გრიგოლ ვაშაძის ნათესავი, მეგობარი
**ჩხეიძე, ციალა** – მწერალი და მთარგმნელი
**ჩხენკელი, აკაკი** – იყო მენშევიკური რუსეთის მთავრობის წევრი, შემდეგ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომი») თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (1918–1919), ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული ორიენტაციის არამარქსისტული სოციალისტების ჯგუფიდან
**ჩხენკელი, ივანე** – დაიღუპა 1943 წელს საფრანგეთში, ქ.პერიგოში
**ჩხენკელი, კიტა (პეტრე)** – (1895–1963). ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი
**ჩხიკვაძე, გოგი** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი ამხანაგი

**ჩხიკვიშვილი, ბენია** – აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი 1920 წელს

ც

**ცინცაძე, კალისტრატე** – იხ. კალისტრატე
**ცირეკიძე, სანდრო** – «ცისფერყანწელი»
**ციციაშვილი, სიმონ** – გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ციციშვილი, გიორგი** – მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი. პროფესორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად, „ლიტერატურნაია გრუზიას» რედაქტორად. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად
**ციცქიშვილი, ვასილ** – გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი, თამარ გოგოლაშვილის მეუღლე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (1927–32) ვაჟი, ქიმიის მასწავლებელი. გადაასახლეს 1937 წელს
**ცომაია** – სტუდენტი. დაიღუპა ბათუმის ასკერებისაგან გათავისუფლების დროს
**ცომაია, ბაგრატ** – „კომუნხოზის» ტექნიკოსი, გრიგოლ ვაშაძის ახლობელი
**ცუცქირიძე, მიხეილ (მიშა)** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ამხანაგი. ბოლშევიკი. „კომუნხოზის» თანამშრომელი
**ცქიტიშვილი, პლატონ** – ქუთაისელი მღვდელი
**ცხაკაია, მიხა** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი
**ცხვედაძე, სერგო** – ბოლშევიკი, „ქართველოფილი»

ძ

**ძერჟინსკი, ფელიქსი** – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. ჩეკას პირველი ხელმძღვანელი
**ძოწენიძე, გიორგი** – (1910–1976). გეოლოგი, სახელმწიფო და პარტიული მუშაკი. აკადემიკოსი. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1959–76 წლებში იყო საქართველოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვულკანოლოგთა და სედიმენტოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის, ბულგარეთისა და ლონდონის გეოლოგთა და აშშ-ს გეოგრაფიული საზოგადოებების წევრი

წ

**წერეთელი, აკაკი** – (1840–1915). პოეტი. საზოგადო მოღვაწე. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» დაარსებასა და მის შემდგომ საქმიანობაში, ქართული მუდმივი თეატრალური დასისა

და დრამატული საზოგადოების შექმნასა და მუშაობაში, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში
**წერეთელი** – ოფიცერი, რომელიც ზესტაფონთან, „პიტომნიკებში», ვაგონებში ხალხის დახვრეტის დროს, მაჭარაშვილთან ერთად გაიქცა
**წერეთელი –** პაღასი ვაშაძის მეუღლე
**წერეთელი** – ქალბატონი, რომელიც გრიგოლ ვაშაძესთან ერთად მოხვდა ბოსლევის ინციდენტში
**წერეთელი, ალიოშა** – 1919 წელს ჩამოყალიბებული ანარქო-სინდიკალისტების ჯგუფის მეთაური
**წერეთელი, ანდრო** – ჭიათურის კინოთეატრის ხელმძღვანელი ოციან წლებში
**წერეთელი, გედე** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ამხანაგი
**წერეთელი, გერონტი** – ეკონომისტი. გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი, სოც.-ფედერალისტი
**წერეთელი, გიორგი** – 1924 წლის აჯანყების დროს დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული პარტიზანული რაზმის ერთ–ერთი მეთაური
**წერეთელი, გრიგოლ** – ავტორი წიგნისა „ქართული ემიგრაცია და ადამიანები»., რომელიც 1971 წელს პარიზში გამოიცა
**წერეთელი, დავითი (დათიკო)** – ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლე, გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი
**წერეთელი, დათო** – ქეთო წერეთლის ძმა. მუშაობდა „კარუტოს» მაღაროში გრიგოლ ვაშაძესთან ერთად
**წერეთელი, დიმიტრი (მიტუშა)** – ყიზლარის ჰიდრო-გეოლოგიური პარტიის სამეურნეო დარგის მუშაკი
**წერეთელი, ვალოდია** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი მეგობარი
**წერეთელი, ვარლამ** – გრიგოლ ვაშაძის მასწავლებელი ქუთაისის გიმნაზიაში
**წერეთელი, თამარ** – მომღერალი, რომანსების ცნობილი შემსრულებელი, გრიგოლ ვაშაძის ბავშვობის მეგობარი. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს სახ. ქალთა გიმნაზია
**წერეთელი, თინა** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი
**წერეთელი, თინათინ** – იურისტი
**წერეთელი, ირაკლი (კაკი)** – (1882–1959). სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოსა და რუსეთის მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი. რედაქტორობდა ქართველ მენშევიკთა ჟურნალ „კვალს». დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში იყო ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლიდან იმყოფებოდა ემიგრაციაში
**წერეთელი, ნაპა** – ვაშაძეთა ოჯახის ახლობელი. ჯიბო იაშვილთან ერთად ჭიათურაში გახსნილი ჰქონდა აფთიაქი. დააატიმრეს 1924 წელს, თუმცა აჯანყებაში არ მონაწილეობდა
**წერეთელი, ქაიხოსრო** – პოლკოვნიკი
**წერეთელი, ქეთევან (ქეთო)** – ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული, გრიგოლ ვაშაძის ნაცნობი
**წივწივაძე ა.** – ლენინის დაცვის უფროსი 1918 წელს

**წინამძღვრიშვილი, ანდრია** – საფრანგეთში, ქ. მონტობიენში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ აგებული სავანის ხელმძღვანელი

**წულაძე, სერგი** – „ვეფხიატყაოსნის» ფრანგულ ენაზე მთარგმნელი

**წულუკიძე, გრიგოლ** – თსუ პროფესორი, სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის პედაგოგი. გრიგოლ ვაშაძის პედაგოგი

**წულუკიძე, თამარ** – რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი. ალექსანდრე ახმეტელის მეუღლე. რეპრესირებული. გადასახლებიდან 20 წლის შემდეგ დაბრუნდა თბილისში, მაგრამ შვილის, სანდრო ახმეტელის სიკვდილის შემდეგ მინსკში გადავიდა საცხოვრებლად და იქ გარადაიცვალა

**წულუკიძე, ფრიდონ** – გენერალი, იბრძოდა ბათუმის გათავისუფლებისათვის

**წუწუნავა, ალექსანდრე** – (1881–1955). რეჟისორი. თეატრალური მოღვაწე. 1910 წლიდან მოღვაწეობდა სხვადსხვა თეატრებში. იყო ქართული ეროვნული მხატვრული კინემატოგრაფიის ფუძემდებელი. გადაღებული აქვს ფილმები: „ქრისტინე», „ვინ არის დამნაშავე»?, „ჯანყი გურიაში» და სხვა

ჭ

**ჭაბუკიანი, ვახტანგ** – ბალერონი. ბალეტმეისტერი. ქართული საბალეტო სკოლის ფუძემდებელი

**ჭავჭავაძე, გარსევან** – ერეკლე მეორის ელჩი რუსეთში, საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის ხელმოწერის მონაწილე

**ჭავჭავაძე, ელისაბედ** – ილია ჭაჭავაძის უმცროსი და

**ჭავჭავაძე, თამარ** – რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი

**ჭავჭავაძე, ილია** – (1837–1907). პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1863 წელს დაარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე», იყო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე, ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების» თავმჯდომარის მოადგილე, დაარსა პერიოდული გამოცემა „ივერია». ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული პედაგოგიური მეცნიერებისა და ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებაში. მოკლეს 1907 წელს

**ჭალაშვილი, სიკო (კაკია)** – 1914 წელს აჯანყების დამარცხების შემდეგ გრიგოლ ვაშაძის დაპატიმრებული რაზმის დარაჯი

**ჭანტურია, ტარიელ** – პოეტი. მინიჭებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის პრემია

**ჭიაურელი, მიხეილ** – (1894–1974). მსახიობი. კინორეჟისორი. მხატვარი. 1921 წელს დაარსა სატირის თეატრი. მას ეკუთვნის პირველი ქართული ხმოვანი ფილმი „არსენა». 1919 წელს მიიწვიეს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც დადგა ორი სპექტაკლი „პანსიონის ზღუდეთა შორის» და „ოთხი იმერელი»

**ჭილაია, სერგი** – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი, პროფესორი

**ჭილაძე, თამაზ** – მწერალი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ჟურნალ „ცისკრის» განყოფილების გამგედ, „საბჭოთა ხელოვნების» მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად და სხვა

**ჭიჭინაძე** – დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი
**ჭიჭინაძე, კალისტრატე** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი
**ჭიჭინაძე, კონსტანტინე** – (1891–1960). პოეტი, მთარგმნელი. ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონის» (1927–28 წწ.) წევრი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1908 წელს
**ჭუმბაძე, არისტო** – მწერალი. დახვრიტეს 1937 წელს
**ჭუმბურიძე, დიდიმ** – გრიგოლ ვაშაძის თბილისელი მეზობელი, მეორეული ტანსაცმლით მოვაჭრე

## ხ

**ხაბურზანია ვ.** – ქართველი კომუნარი
**ხალვაში, ფრიდონ** – (1925). მწერალი. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი
**ხამაშურიძე, გიორგი (ჟორჟიკა)** – გრიგოლ ვაშაძის ქუთაისელი მეგობარი
**ხანჯიანი** – სომხეთის კომპარტიის ცკ მდივანი. მოითხოვდა ამიერკავკასიის დედაქალაქად თბილისის, ხოლო საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის აღიარებას
**ხაჟომია, გოგი** – მუშაობდა გრიგოლ ვაშაძესთან გაიდუკის სტეპში
**ხარაიძე, ერმილე** – დილიკაურის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დიაკვანი
**ხარატიშვილი, ისიდორე** – სოც.-ფედერალისტი
**ხარაძე, არჩილ** – მათემატიკოსი, თსუ-ს პედაგოგი 20-იან წლებში
**ხარბანიდი, ვლადიმერ** – თოფურია-ანჯაფარიძის სამრეწველო ფირმის მმართველი ჭიათურაში
**ხარიტონოვი** – საქართველოს გეოლოგიური ტრესტის სამეურნეო მომარაგების განყოფილების უფროსი
**ხარიტონოვი, ვალოდია** – „კომუნხოზის» ტექნიკოსი
**ხარშანელი, ვალოდია** – ვაშაძეების ოჯახის ახლობელი
**ხეჩინაშვილი** – საჩხერის სადგურის უფროსი 1924 წლის აგვისტის აჯანყების დროს
**ხეჩინაშვილი, მარიამ (მარუსია)** – გრიგოლ ვაშაძის ახლობელი, საჩხერის სადგურის უფროსის ქალიშვილი
**ხვედელიძე, ალექსანდრე** – სოც.-ფედერალისტი (1918 წ.), თურქებთან ბრძოლის მონაწილე გრიგოლ ვაშაძეთან ერთად
**ხვედელიძე, იოსებ** – მღვიმევის მონასტრის დიაკვანი
**ხვედელიძე, სერგო** – ამიერკავკასიის გეოლოგო-ჰიდრო-გეოდეზიური ტრესტის მმართველი. ჭიათურის პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარე. იდგა ბოლშევიკურ პოზიციაზე. ტყვარჩელის საბადოს (ქვანახშირის) კომბინატის დირქტორი. 1937 წელს გადაასახლეს მეუღლესთან ერთად. თბილისში დარჩენილ ხვედელიძის შვილებს მოსამსახურე ქალი ზრდიდა. ს. ხვედელიძე გადასახლებაში დახვრიტეს, ხოლო მეუღლე რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა
**ხვიჩია გ.** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი. 1926 წლის სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება
**ხიზანიშვილი, ნიკო (ურბნელი)** – (1851–1906). პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე

**ხიმშიაშვილი, თანხაზ** – აჭარის მთავრობის თავმჯდომარე 1922 წელს. სოფ. ქედაში ჩაატარა აჭარის ცაკის მესამე სხდომა, სადაც მიაღებინა დადგენილება აჭარის დამოუკიდებლად გასვლის შესახებ
**ხოდოროვიჩი** – მოქანდაკე, რომელმაც გამოაქანდაკა ილიას მარჯვენა და სახე
**ხორავა, აკაკი** – (1895–1972). ცნობილი ქართველი მსახიობი. 1923 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა რუსთაველის სახ. თეატრში
**ხრუშჩოვი, ნიკიტა** – საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი 1954 –1964 წლებში
**ხუნდაძე, გიორგი** – „ჩემოს» საავადმოფოს ქირურგი
**ხუნდაძე, დიმიტრი** – გრიგოლ ვაშაძის დის, ბაბოს ნათლია
**ხუნდაძე, სიმონ** – ლიტერატურული კრიტიკოსი
**ხუროძე, ზაქრო** – ბოლშევიკური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლთა იატაკქვეშეთის წევრი (1924 წ.)
**ხუჭუა, ალექსანდრე (ალიოშა)** – გეოლოგი, გრიგოლ ვაშაძის კურსელი
**ხუხაშვილი გ.** – ქართველი კომუნარი
**ხუხუნაიშვილი ი.** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი. 1926 წლის სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება

ჯ

**ჯაბადარი, გიორგი** – ხელმძღვანელობდა სამსახიობო სტუდიას, სადაც სწავლობდნენ უშანგი ჩხეიძე და სხვა ცნობილი ქართველი მსახიობები
**ჯაბუშანური, გაბრიელ** – პოეტი
**ჯავახიშვილი გ.** – რეპრესირებული
**ჯავახიშვილი ნ.** – ქართული პროფესიული თეატრის მოღვაწე
**ჯავახიშვილი, ივანე** – (1876–1940). ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი. მისი მეთაურობით დაარსდა ქართული უნივერსიტეტი (თბილისის სახ. უნივერსიტეტი). 1919–1926 წლებში იყო უნივერსიტეტის რექტორი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე. სხვა ნაშრომების გარდა დაწერა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველი ერის ისტორია»
**ჯავახიშვილი, მიხეილ (ნამდვ. გვარი ადამაშვილი)** – (1880–1937). მწერალი. რედაქტორობდა გაზეთებს „ივერიასა» და „გლეხს». ერთხანს სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში. 1910 წელს საქართველოში დაბრუნებული დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1913 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მცირე ხნით დაპატიმრებული იყო 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით. დახვრიტეს 1937 წელს
**ჯავახიძე ლ. ე.** _ ფოტოგრაფი
**ჯაიანი** – გეოლოგი, ინჟინერი. მუშაობდა ყიზლარში გრიგოლ ვაშაძესთან ერთად
**ჯანაშვილი, გიორგი** – ინგილო, რომელიც საინგილოში (აზერბაიჯანი) მრავალ ქართულ საქმეს ედგა სათავეში
**ჯანაშია, ბეკო** – სერგი ჯანაშიას მამა
**ჯანაშია, ზაზა** – სერგი ჯანაშიასა და ბაბუცა გუნცაძის ვაჟი, ინჟინერი

**ჯანაშია, ნუგზარ** – სერგი ჯანაშიასა და ბაბუცა გუნცაძის ვაჟი, ინჟინერი
**ჯანაშია, სერგი** – გრიგოლ ვაშაძის მამიდაშვილის, ბაბუცა გუნცაძის მეუღლე
**ჯანდიერი** – ოფიცერი. გრიგოლ ვაშაძესთან ერთად იჯდა ციხეში 1925 წელს
**ჯაოშვილი მ.** – გრიგოლ ვაშაძის ჭიათურელი ნაცნობი, ელსადგურის ბუღალტერი
**ჯატიევი, ალექსანდრე (საშა)** – სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნის ერთ-ერთი ორგანიზატორი
**ჯაფარიძე, გოგი** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი მეგობარი, დახვრიტეს 1924 წელს
**ჯაფარიძე, გოგიტა** – ბოლშევიკი. 1921 წელს ჭიათურაში იბარებდა იარაღს დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხებული დამცველებისაგან
**ჯაფარიძე, გრიგოლ**– ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი, რომელმაც გიმნაზიაში ჩამოაყალიბა თეატრალური წრე და მოიწვია მიხეილ ჭიაურელი სპექტაკლის დასადგმელად და რომელშიც გრიგოლ ვაშაძეც მონაწილეობდა (სუფლიორი)
**ჯაფარიძე, ლელი** – დახვრიტეს 1937 წელს
**ჯაფარიძე, მიხეილ (მიშა)** – გრიგოლ ვაშაძის ინსტიტუტელი მეგობარი
**ჯაფარიძე, რევაზ (რეზო)** – მწერალი
**ჯაფარიძე, სიმონ** – შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, „ჩემოს» საავადმყოფოს თერაპევტი. დაპატიმრებული იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ლაშქარაშვილის რაზმის წევრების მკურნალობისათვის
**ჯაყელი, ალექსანდრე** – ამერიკელი მრეწველის, ჰარიმანის შუამავალი ქართულ მხარესთან
**ჯაში, დიმიტრი** – ილია ჭავჭავაძის მოურავი
**ჯიბლაძე, გიორგი** – ფილოლოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, აკადემიკოსი
**ჯიბლაძე, სილიბისტრო** – (1859–1922). პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, მენშევიკი. იყო „მესამე დასის» დამფუძნებელი წევრი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და გენერალ გრიაზნოვის მოკვლის ორგანიზატორი. 1917 წლის თებერვლის შემდეგ აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მის აღმასკომში. 1918–21 იყო საქართველოს მენშევიკური პარტიის ცკ-სა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. დახვრიტეს 1922 წელს
**ჯინჭველაშვილი, ლავროსი** – გრიგოლ ვაშაძის გიმნაზიელი ამხანაგი. ბოლშევიკი
**ჯიქია, რაჟდენ** – გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი. გეოლოგი, სამთო-ინჟინრების პირველი გამოშვება (1926 წ.)
**ჯიღაური, გოგი** – ჰიდროგეოლოგი, კალისტრატე გაბუნიას მოწაფე, გრიგოლ ვაშაძის ამხანაგი
**ჯორჯაძე, არჩილ** – სოც.-ფედერალისტური პარტიის ფუძემდებელი
**ჯორჯაძე, ნიკოლოზ (კოლია)** – გეოლოგიური სამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსი, გრიგოლ ვაშაძის მეგობარი
**ჯუღელი, ვალიკო** – სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალი. დააპატიმრეს 1924 წლის აჯანყებამდე. დახრიტეს 1924 წლის 29 აგვისტოს
**ჯუღელი, ილო** – ბოსლევის ინციდენტის მონაწილე. ვალიკო ჯუღელის ძმა

ჰ

ჰარიმანი – ამერიკელი მრეწველი

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ა

აბაშელი, ალექსანდრე – N55, გვ.1620
აბაშიძე, ალექსანდრე (საშა) – N73, გვ. 785, 793, 794
აბაშიძე, ბაბო – N73, გვ. 803
აბაშიძე, გია – N58, გვ. 334
აბაშიძე, გიორგი – N73, გვ. 687, 785; N75, გვ. 31, 43
აბაშიძე, გრიგოლ – N55, გვ. 1838; N57, გვ.88, 672; N61, გვ. 65, 69; N65, გვ. 53; N71, გვ. 1310; N72, გვ. 2;
აბაშიძე, დევი (დოდო) – N67, გვ. 81;
აბაშიძე, დიმიტრი – N57, გვ. 597; N73, გვ. 956
აბაშიძე, დიმიტრი – N53, გვ.64;
აბაშიძე, ვანიკო – N55, გვ. 1632; N63, გვ. 34; N68, გვ. 84; N73, გვ. 775
აბაშიძე, ვასო – N57, გვ. 36, 531
აბაშიძე, ირაკლი – N61, გვ. 64; N65, გვ. 44, 153; N67, გვ.6
აბაშიძე, კიტა (ივანე) – N7, გვ.1
აბაშიძე, მიშიკო (მიხეილი) – N71, გვ. 1310, 1412; N73, გვ.734
აბაშიძე, სერგი _ №115
აბაშიძე, სოსანა – N65, გვ. 156
აბაშიძე, ტარასი – N57, გვ. 597, 598–600; N75, გვ. 16, 17
აბაშიძე, ტასო (ანასტასია) – N54, გვ. 531; N57, გვ. 37, 531
აბაშიძე, ტიტიკო – N73, გვ. 1109–1111, 1127, 1130; N75, გვ. 68
აბაშიძე, შოთა – N68, გვ. 34
აბაშიძე, ჯიბო – N55, გვ. 1838; N71, გვ. 1310; N72, გვ.2
აბდუშელიშვილი, მარიამ _ №78
აბდუშელიშვილი, სოფიო – N10, გვ.1
აბდუშელიშვილი, ტარიელ – N71, გვ. 1217; N73, გვ.1156
აბესაძე, ლიდა – N57, გვ. 518
აბესაძე, სამსონ – N4, გვ. 1
აბესაძე, ქეთო – N55, გვ. 1959; N57, გვ. 518
აბოვიანი, ხაჩატურ – N70, გვ.71

აბრამიშვილი, ნიკოლოზ – N63, გვ.33
აბრამიძე, ივანე – N62, გვ. 6
აბულაძე, ბიძინა – N58, გვ. 160
აბულაძე, იუსტინე – N57, გვ. 76
აბულაძე, სპირიდონ – N23, გვ. 1
აბულაძე, სულიკო – N62, გვ. 9
ადამია ს. – N71, გვ. 1378
ავალიშვილი, ზურაბ – N60, გვ. 22; N73, გვ. 724, 1207, 1212
ათაბეგოვი – N55, გვ. 1614; N57, 36, 641; N65, გვ. 162; N73, გვ. 1101, 1103, 1109–1111; N75, გვ. 32; 67
ალექსი–მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) – N 54 , გვ. 531; N60, გვ. 12; N66, გვ. 55, 56; N67, გვ. 3, 4
ალიევი, საფარ – N55, გვ. 1495
ალილუევა, ანა – N59, გვ. 98
ალილუევი, პავლე – N59, გვ. 98
ალიმონაკი, ლერი – N57, გვ. 42; N68, გვ. 49
ალხაზიშვილი, შალვა – N57, გვ. 4, 88, 174; N58, გვ. 160; N73, გვ. 687, 1209
ამაღლობელი, სერგო – N66, გვ. 532
ამაშუკელი, ნინო _ №94
ამაშუკელი, რეზო – N61, გვ. 69
ამილახვარი, ალექსანდრე – N66, გვ. 10
ამილახვარი, დიმიტრი – N62, გვ. 6
ამირეჯიბი, შალვა – N68, გვ. 70
ამირეჯიბი, ცაცა – N73, გვ. 714
ამირეჯიბი, ჭაბუა – N61, გვ. 69
ამფილოხი (არქიმანდრიტი) – N47, გვ. 2
ანდრონიკაშვილი – N71, გვ. 1277
ანდრონიკაშვილი ვ. – N57, გვ. 37
ანდრონიკაშვილი, ელეფთერ – N68, გვ. 85
ანდრონიკაშვილი, ირაკლი – N68, გვ. 85
ანდრონიკაშვილი, ლუარსაბ – N68, გვ. 85
ანდრონიკაშვილი, ნინო – N68, გვ. 38, 84
ანდრონიკაშვილი, პაატა –N60, გვ. 29
ანთაძე, დოდო N63, გვ. 34; N71, გვ. 1284, 1307,1309, 1402; N73, გვ. 713, 715, 775, 776, 777, 807, 860, 911; N75, გვ. 32
ანთაძე კ. – N19, გვ. 1
ანთელაძე – N57, გვ. 559
ანჩაბაძე, ვიანორ – N71, გვ. 1262
ანჩაბაძე, მაშო - N71, გვ. 1262
ანჯაფარიძე, ვერიკო – N53, გვ. 42; N71, გვ. 1302
არაბიძე, ვასო – N73, გვ. 714
არაბული, ამირან – N64, გვ. 25

არველაძე, ნათელა – N57, გვ. 37
ართმელიძე – N57, გვ. 620
არსენიშვილი, ალი – N59, გვ.8; N67, გვ.4, 5; N68, გვ. 70; N71, გვ. 1408
არჩაია, ვასილ – N57, გვ. 603; N73, გვ. 757, 795, 804; N75, გვ. 24, 46
ასათიანი, გიორგი (ჟორჟიკა) – N55, გვ. 1535, 1806; N71, გვ. 1225; N72, გვ. 21; N73, გვ. 852–855, 1150, 1211; № 101
ასათიანი, გურამ – N58, გვ. 361
ასათიანი, ვანო – N73, გვ. 853
ასათიანი, ლევან - N57, გვ. 174; N58, გვ. 158; N71, გვ. 1235; N73, გვ. 687, 760
ასათიანი, ლენტო – N73, გვ. 854
ასათიანი, ტელემაქე (ტელემაკი) – N55, გვ. 1529, 1530; N65, გვ. 156
ასათიანი, შალვა – N73, გვ. 853
ასლანიკაშვილი, იოსებ – N51, გვ. 1; N59, გვ. 7
ასტახოვა – N55, გვ. 1578
აფაქიძე, ვალოდია – N57, გვ. 570; N73, გვ. 852
აფხაზი, კონსტანტინე (კოტე) – N62, გვ. 51; N73, გვ. 1133; N75, გვ. 40
აფხაიძე, ემანუელ – N63, გვ. 34; N73, გვ. 775
აფხაიძე, შალვა – N59, გვ.8; N67, გვ. 4, 5; N68, გვ.30; N71, გვ. 1408
აშიანცი, იაშა – N55, გვ. 1718
ახვლედიანი – N73, გვ. 761; N75, გვ. 23
ახვლედიანი, ელენე – N62, გვ. 6
ახმეტელი, ალექსანდრე (სანდრო) – N53, გვ. 42, 47, 50, 52, 53; N57, გვ. 31, 33, 37; N58, გვ. 329; N63, გვ. 35; N68, გვ. 56; N71, გვ.1303, 1314, 1315; N73, გვ. 776, 7777, 778, 791

ბ

ბაბლუანი, თემურ – N61, გვ.4
ბაგრატიონი, ალექსანდრე არჩილის ძე – N57, გვ. 576; N68, გვ. 32
ბაგრატიონი, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე – N66, გვ. 20
ბაგრატიონი, ალექსანდრე – N66, გვ. 10
ბაგრატიონი – N54, გვ. 660
ბაგრატიონი, იოანე – N60, გვ. 29
ბაგრატიონი, ირაკლი – N70, გვ. 73
ბაგრატიონი, პეტრე – N63, გვ. 40
ბაინდუროვი, ილო – N57, გვ. 184; N73, გვ. 1140
ბაირამოვი, მანსუდ – N73, გვ. 1172, 1173, 1177, 1179
ბაკურაძე, ვანო – N74, გვ. 1

ბალანჩივაძე, მელიტონ – N54, გვ. 531; N59, გვ. 7
ბარათაშვილი, ანა – N54, გვ. 660
ბარათაშვილი, გერვასი – N11, გვ. 1; N54, გვ. 652
ბარათაშვილი, ვახტანგ – N54, გვ. 652; N75, გვ. 44
ბარათაშვილი, კოლია (კოლია) – N71, გვ. 1452; N73, გვ. 950; N75, გვ. 47
ბარათაშვილი, მარიკა – N54, გვ. 652
ბარამიძე, ალექსანდრე – N67,გვ. 10, 11
ბარბაქაძე, ალექსი – N71, გვ. 1443
ბარნაველი (ბარნოვი), ვასილ – N58, გვ. 12; N61, გვ. 71; N73, გვ. 815
ბარტყულაშვილი, მიხეილ – N65, გვ. 143
ბატნერი ზ. – N55, გვ. 1840
ბაქარაძე, სალომე – N59, გვ. 66
ბაქრაძე, დიმიტრი – N61, გვ. 85
ბახტაძე – N55, გვ. 1573
ბახტაძე – N55; N73, გვ. 773, 956, 1016, 1–21, 1026, 1084, 1094
ბახტაძე, ვალერიან (ვალია) – N66, გვ. 55; N73, გვ. 1092, 1094; N75, გვ. 62, 63
ბეგაშვილი – N58, გვ. 61
ბედია – N54, გვ. 643; N55; გვ. 1633, 1658
ბედიაშვილი, ალექსანდრე (საშა) – N55, გვ. 1862, 1921, 1959; N63, გვ. 59
ბელიაშვილი, აკაკი – N57, გვ.4, 177; N58, გვ.158; N71, გვ.1389; N73, გვ.687, 692, 694, 762
ბელიაშვილი, იონა – N71, გვ. 1389
ბელინსკი – N70, გვ. 23
ბეჟანიშვილი, ნიკოლოზ (კოლია) – N55, გვ. 1495
ბერბიჭაშვილი, გიგლა – N68, გვ. 34; N70, გვ. 25
ბერეკაშვილი, აკაკი – N57, გვ. 154
ბერია, ლავრენტი – N53, გვ. 79; N55, გვ. 1630, 1633, 1777, 1816, 1839, 1889, 1910, 1911; N57, გვ. 2, 35; N58, გვ. 108, 188; N59, გვ. 2, 112; N60, გვ. 26; N61, გვ.51, 54; N63, გვ.35; N65, გვ. 20; N68, გვ. 34; N72; N73, გვ. 770, 774, 778; N75, გვ. 39
ბერიევი ნ. – N47, გვ. 2
ბერიძე, გრიშა – N74, გვ.1
ბეშკენაძე, პალიკო – N53, გვ. 107; N75, გვ. 1
ბიწაძე, შურა _ №94
ბოგდანოვი, ალექსანდრე – N53, გვ. 85, 91, 96, 97, 99; N75, გვ. 2
ბოგოიავლენსკი, სერგეი – N55, გვ. 1570, 1572, 1582, 1584, 1587
ბოგოლიუბსკი _ №99; №101
ბოდოკია, თამარ – N73, გვ. 1121; N75, გვ. 56
ბოკერია, ალიოშა – N57, გვ. 98; N58, გვ. 94; N71, გვ. 132; N73, გვ.703, 760, 813, 817, 907, 930, 1208, 1209; N75, გვ.31, 44
ბოროდინი, ალექსანდრე – N70, გვ.23
ბოშკო – N53, გვ.81, 102; N75, გვ.3
ბოცვაძე, ვასო – N57, გვ.154
ბრეგვაძე, სილოვან – N54, გვ.628; N75, გვ. 19

ბრეგვაძე, ნესტორ – N73, გვ.900; N75, გვ.39
ბრეგვაძე, სპირიდონ – N47, გვ.1; N48, გვ.1
ბრეგვაძე, ტარიელ – N75, გვ. 22
ბროსე, მარი ფელისიტე – N61, გვ.85
ბუაჩიძე, ბენიტო – N66, გვ.53
ბუაჩიძე, დავით – N67, გვ.13
ბუდიონი, სიმონ – N56, გვ.1993
ბუიღლიშვილი – N54, გვ.517
ბულგანინი – N65, გვ.19, 21
ბულუღაშვილი, ოვან-ბაბა (პაპა) – N58, გვ.163
ბური, პავლე – N75, გვ.26
ბურჯანაძე, იროდიონ – N54, გვ.603, 628, 609; N73, გვ.687, 782, 795, 922; N75, გვ. 18, 21
ბუხარინი – N55, გვ.1616; N71, გვ.1393,1477
ბუხნიკაშვილი, ალექსანდრე (საშა) – N71, გვ.1441; №100

გ

გაბაშვილი, გიგო –N68, გვ.34
გაბაშვილი, ეკატერინე – N61, გვ.62, 88
გაბელაშვილი, მიხეილ (მიშა) – N57, გვ.184
გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) – N58, გვ.294
გაბუნია, დავით – N54, გვ.656; N71, გვ.1441, 1443
გაბუნია, დათიკო – N73, გვ.1209; N75, გვ.22
გაბუნია, კალისტრატე – N55, გვ.1494, 1510–1512, 1529, 1532, 1597, 1599; N65, გვ.156; N71, გვ.1420, 1422, 1441
გაბუნია, ნატო – N57, გვ.36
გაგელიაროვი – N55,გვ.1566
გაგუა, კიჭო – N73, გვ.1116, 1119, 11121
გალკოვი, პავლე – N67, გვ.14
გალუსტიანი, ისაკ – N57, გვ.184
გამეზარდაშვილი, კალისტრატე – N71, გვ.1269,1270
გამეზარდაშვილი, ტარასი – N73, გვ.687, 758, 801
გამრეკელი, აკაკი (კაკო) – N53, გვ.69; N71,გვ.1260; N73, გვ.1046
გამრეკელი, ბაბუცა – N71, გვ.1260, 1302
გამრეკელი, ბორის – N54, გვ.541; N73, გვ.694
გამრეკელი, ბუტა – N54, 541
გამრეკელი, დავით – N53, გვ.69; N54, გვ.541; N73, გვ.694, 1045
გამრეკელი, თამარ –N54, გვ.541
გამრეკელი, ირაკლი – N53; N58, გვ.160
გამრეკელი, საშა (ალექსანდრე) – N53, გვ.69; N54, გვ.541; N66, გვ.25; N73, გვ.694, 695, 1046
გამსახურდია, ზვიად – N65, გვ.153

გამსახურდია, კონსტანტინე – N54, გვ.659; N58, გვ.369; N61, გვ.19, 62, 64, 65; N73, გვ.772, 773, 1092 N75, გვ.6, 25
გამყრელიძე, ბორის – N73, გვ. 694, 977, 974, 979, 1010; N75, გვ. 52, 55
გამყრელიძე, გრიგოლ (გრიშა) – N73, გვ.956, 970, 972, 974, 982; N75, გვ.49, 51, 53
გამყრელიძე, გუგული – N73, გვ.692
გამყრელიძე, პეტრე – N71, გვ.1440, 1441; N100
გარგებაძე, ნიკო – N62, გვ. 9
გარდტი – N71, გვ.1219
გაფრინდაშვილი – N73, გვ.1051
გაფრინდაშვილი მიხეილ (მიშა) – N71, გვ.1227
გაფრინდაშვილი, ვალერიან – N68, გვ.39; N71,გვ.1408
გაფრინდაშვილი, ისაია – N71, გვ.1412
გაფრინდაშვილი, მარო – N71, გვ.1243
გაჩეჩილაძე, დავით – N58, გვ.158
გაჩეჩილაძე ტ. – N5, გვ.1
გეგეშიძე, გულნარა (გუნია) – N54,გვ.538, 545; N73, გვ.786
გეგეჭკორი – N73, გვ.703
გეგეჭკორი, ალექსანდრე (საშა) – N54, გვ.640, 665; N68, გვ.91; N71, გვ.1233, 1479
გეგეჭკორი, ევგენი – N60, გვ.21; N71, გვ.1489
გედევანიშვილი – N54, გვ.504
გედევანიშვილი – N54, გვ.590
გედევანიშვილი, დიმიტრი – N70, გვ.24
გედევანიშვილი, იოსებ (სოსო) – N73, გვ.737, 747, 748
გედევანიშვილი, პაატა – N70, გვ.23
გეკერი – N54, გვ.530, 588, 589
გელაშვილი, ზაქრო – N73, გვ.734, 778, 779, 1110; N75, გვ.31, 37, 40, 41, 43
გელოვანი, დადაშ – N53, გვ.107; N75, გვ.1
გელოვანი, ლილი – N71, გვ.1441; N100
გელოვანი, მირზა – N63, გვ.39; N65,გვ.37, 76
გოზალიშვილი, ლაზარე – N64, გვ.67
გვათუა, ნიკოლოზ (კოლია) – N71, გვ.1323, 1383
გველესიანი შალვა – N54, გვ.513; N73, გვ.751; N75, გვ. 28
გველესიანი, გრიგოლ (გრიშა ) – N53, გვ. 91
გველესიანი, პელაგია – N1,გვ.1; N8, გვ.1; N53, გვ.27; N54, გვ.547, 548, 551, 555 N73, გვ.850, 877, 1039, 1041, 1056–1058, 1066; N75, გვ.58
გვერდწითელი, ელიზბარ – N54, გვ.671; N73, გვ.692
გვეტაძე, რაჟდენ – N67, გვ.4, 5; N71, გვ.1408
გვიჩია, ვანიკო – N55, გვ.1831; N58, გვ.4; N67, გვ.13; N71, გვ.1348
გიორგაძე – N53, გვ. 100;
გიორგაძე, გრიგოლ (გრიშა) – N75, გვ.1
გიორგობიანი – N71, გვ. 1383
გლდანსკი – N55, გვ. 1570

გლებოვი, ანატოლი – N71, გვ.1343
გლიხოვსკაია, ეკატერინე – N71, გვ. 1377
გლუშაკოვი – N53, გვ.88; N75, გვ.3
გოგეშვილი, დიმიტრი – N55, გვ.1716, 1756
გოგეშვილი, ვალიკო – N55, გვ.1760, 1798
გოგიბერიძე – N54, გვ.628; N73, 687, 694–696; N75, გვ.36
გოგლიძე – N55, გვ.1777, 1912
გოგოლაშვილი, გოგი – N58, გვ.43; N71, გვ.1251; N73, გვ.710, 711, 762, 769
გოგოლაშვილი, ვალოდია – N7, გვ.1
გოგოლაშვილი, თამარ – N58, გვ.43; N71, გვ.1251, 1389; N73, გვ.710; N75, გვ.48
გოგოლაშვილი ი. – N46,გვ.10
გოგოლაძე, ტარასი – N73, გვ.1079
გოგუაძე, ვალოდია – N75, გვ.8
გოთუა, ლევან – N59, გვ.105
გოირიმლიშვილი, ივანე – N3, გვ.1
გოკიელი, ლევან – N58, გვ.61; N61, გვ.34; N71, გვ.1325
გომართელი, ივანე – N54, გვ.498 N60, გვ.17; N73, გვ.724; N75, გვ.4
გორბაჩოვი, სერგეი – N58, გვ.375
გორბუნოვი, სერგო – N55; გვ.1549, 1574, 1583, 1598, 1611
გორგაძე, ვასო – N60, გვ.12; N66, გვ.55
გორგაძე, მიხეილ – N57, გვ.154
გორგაძე, სერგი – N57, გვ.76
გორდეზიანი, ბენო – N58, გვ.160
გოროდეცკი, სერგეი – N68, გვ.70
გოცაძე, არჩილ – N25, გვ.1
გრანელი, ტერენტი (ნამდვ. გვარი კვირკველია) – N57, გვ.41, 42; N58, გვ.95; N63, გვ.76
გრანელლი – N59, გვ.8
გრებენკა, ევგენი – N58, გვ.228
გრიშაშვილი, იოსებ (ნამდვ. გვარი მამულაიშვილი) – N61, გვ.80; N70, გვ.95
გუდიაშვილი, ლადო – N57, გვ.98; N58, გვ.94; N61, გვ.22; N62, გვ.6
გუნია, ვალერიან – N61, გვ.21; N75, გვ.2
გუნიავა, დავით – N55, გვ.1601, 1628, 1855
გუნცაძე, ბაბუცა – N73, გვ.895
გუნცაძე, ვასილ – N55, გვ.1652, 1655, 1656
გუნცაძე, პროკოფი – N54, გვ.567; N73, გვ.890–897
გუნცაძე, შალვა – N73, გვ.895
გურამიშვილი, ოლღა – N61, გვ.88
გუჩკოვი – N58, გვ.221
გუჯეჯიანი – N54, გვ.605; N75, გვ.17
გუჯეჯიანი, ბორის – N55, გვ.1640, 1655–1657, 1658, 1668–1673, 1677, 1714, 1799; N71, გვ.1420

დ

დავითაშვილი ნ. – N57, გვ.37
დადიანი გ.[მ.] – N60, გვ.26
დადიანი, ბაბო – N62, გვ.51
დადიანი, ირინე – N68, გვ.34
დადიანი, კოკი – N62, გვ.49
დადიანი, ნიკო – N61, გვ.89
დადიანი, შალვა – N53, გვ.25; N57, გვ.2; N6, გვ.12; N61, გვ.62; N66, გვ.55; N67; N68, გვ.24; N71, გვ.1262; N73, გვ.773, 815
დავითაია, სოვეტია – N68, გვ.68
დავითაშვილი ნ. – N57, გვ.37
დავითაშვილი, გიორგი – N58, გვ.329
დათიაშვილი გ. – N18,გვ.1
დალაქიანი – N55, გვ.1566
დალაქიშვილი, ბიქტორ – N75, გვ.16
დანგაშვილი, ივანე – N62, გვ.10
დგებუაძე გ.[ვ] – N54, გვ.510
დევდარიანი გ. – N54, გვ.643
დევდარიანი, სეით – N58, გვ.68; N73, გვ.1133–1135; N75, გვ.64
დევიძე, ზაქრო – N73, გვ.734
დეკანოზიშვილი, გიორგი – N58, გვ.377
დემეტრაძე დ. – N67, გვ.10, 11
დიდებულიძე ბ. – N55, გვ.1737
დიდებულიძე, ალექსანდრე – N58, გვ.63; N71, გვ.1346; N75, გვ.26, 29
დიდებულიძე, დიტო – N55, გვ.1864
დიდებულიძე, მიხეილ – N75, გვ.26
დობროვოლსკი – N53, გვ.95, 96; N75, გვ.2
დოლიძე – N55, გვ.1632
დოლიძე – N54, გვ.530
დუგინი, ივანე – N55, გვ.1863, 1864, 1970,
დუდუჩავა მ. – N66, გვ.55
დუმბაძე, ბიქტორ – N73, გვ.687
დუმბაძე, ზინა – N57, გვ.127
დუმბაძე, ნოდარ – (1928– ).
დუნკანი, აისიდორა – N64, გვ.47–50
დურმიშიძე, ოლინკა _ № 94

ე

ებრალიძე, ეფრემ – N62, გვ.6
ეგაძე, მაყვალა – N55, გვ.1531
ეგაძე, ოთარ – N58, გვ.359
ევტუშენკო, ევგენი – N61, გვ.66, 69
ელიავა – N73, გვ.1139
ელიავა, შალვა – N54, გვ.641, 665; N55, გვ.1633; N60, გვ.23; N68, გვ.80, 91; N73, გვ.687, 769
ელიგულაშვილი –1918–21 წწ. N55, გვ.1704
ელიგულაშვილი, დათიკო – N53, გვ.107; N55გვ.1704; N75, გვ.1
ელისაბედაშვილი გ. – N54, გვ.640; N68, გვ.91
ენუქაშვილი, დავით – N55, გვ.1704
ენუქიძე, აბელ – N59, გვ.2; N65, გვ.54; N68, გვ.56, 79
ენუქიძე, ვანო – N62, გვ.2
ენუქიძე, ტრიფონ (სიმონ) – N65, გვ.54
ეჟოვი –N55, გვ.1774, 1777, 1778, 1910, 1911; N57, გვ.35; N61, გვ.95; N72
ერისთავი, დავით – N57, გვ.35
ერისთავი, რაფიელ – N70, გვ.71
ერისთავი-ხოშტარია, ანასტასია – N61, გვ.88
ერმაკოვი – N59, გვ.95
ესენინი, სერგეი – N64, გვ.47–50
ეული, სანდრო (ნამდვ. გვარი ქურიძე). – N61, გვ.64

ვ

ვალიშევსკი, ზიგმუნდ – N57, გვ.98; N58, გვ.94
ვარაზაშვილი, ისიდორე – N73, გვ.687
ვარდიძე, შალვა – N64, გვ.66
ვარდოშვილი, ხარიტონ – N68, გვ.70
ვასაძე, აკაკი – N53, გვ.42, 45, 48; N57, გვ.31, 33; N58, გვ.328; N63, გვ.34; N73, გვ.715, 777, 778
ვასილიევი ვ. – N3, გვ.1
ვაშაკიძე – N55, გვ.1959
ვაშაძე, ალექსანდრე საჩინოს ძე – N53, გვ.8; N54, გვ.557, 603, 608, 611, 615, 616, 628; N55, გვ.1631, 1889; N68; N71, გვ.1269; N73, გვ.754, 785,786, 903, 967, 993,1015, 1197, 1209; N75, გვ.18, 19, 21, 22, 36, 39, 56
ვაშაძე, ალექსანდრე სიკოს ძე – N54, გვ.557, 567, 599, 602, 608, 610, 611; N55, გვ.1615, 1719; N68, გვ.80; N71, გვ.1253; N73, გვ.687, 790, 873, 967, 983, 984, 888, 991–1001, 1006, 1007, 1017, 1053, 1069–1071; N75, გვ.18, 19, 21, 22, 47, 53, 54, 55, 56, 59
ვაშაძე, ალექსი – N17, გვ.1
ვაშაძე, არკადი – N54, გვ.610
ვაშაძე, ბაბო (ბაბულია) – N25, გვ.1; N26–44, გვ.1; N53, გვ.11, 13, 14, 23, 29; N54, გვ.538, 548, 553, 555, 608, 668; N55, გვ.1595, 1806, 1821, 1824, 1838, 1960; N58, გვ.354; N61, გვ.19; N68;

N71, გვ.1237; N72, გვ.2–23; N73, გვ.756, 786, 803, 842, 849–851, 855, 903, 904 – 906, 991, 1048–1050, 1053, 1058, 1062,1087, 1211; N75, გვ.39, 58, 59, 61; N80; N81; N83; N85; N96; N102;
ვაშაძე, ბესარიონ – N1,გვ.1;N2, გვ.1; N3, გვ.1; N4, გვ.1; N5, გვ.1; N6, გვ.1; N7, გვ.1;N10, გვ.1;N11, გვ.1; N24, გვ.1; N26–44, გვ.1, 2; N45,გვ.1; N48, გვ.1; N49, გვ.1; N53, გვ.4–11, 13–24, 25, 27, 59, 62, 64; N54, გვ.524–528, 538, 548, 558, 560, 606, 612;N55, გვ.1779, 1806, 1819, 1820, 1824, 1837–39; N59, გვ.107; N61, გვ.19; N68, გვ.80; N72, გვ.1–23; N73, გვ.694, 737, 738, 756, 780, 783, 826–830, 846, 873, 891, 905, 1042, 1061, 1063, 1065, 1067–1069, 1211; N75, გვ. 7, 17, 35, 39, 60; N76; N77; N83
ვაშაძე, ბესიკ – N55, გვ.1561, 1594, 1630, 1678, 1882; N70, გვ.4
ვაშაძე, გალაქტიონ – N54, გვ.557, 664; N55, 1776, 1889; N65, გვ.152; N73. გვ.825; N75, გვ.18, 64; N110 ; N113
ვაშაძე, გივი – N71, გვ.1427 N 119; N 122
ვაშაძე, გიორგი – N53, გვ.11, 13, 39, 65, 84; N54, გვ.510, 513, 521, 523–528, 533; N71, გვ.1255; N73, გვ.719, 783, 842, 843–846, 849
ვაშაძე, გიორგი – N119
ვაშაძე, გრიგოლ (გია) – N58, გვ.78; N 115
ვაშაძე, დავით – N62, გვ.2
ვაშაძე, დავით (ისაიას ძე) – N54, გვ.555, 659, 668, 652; N58, გვ.117; N62; N68; N73, გვ.781; N75, გვ.38; N80
ვაშაძე, დარისპან – N17, გვ.1
ვაშაძე, დემეტრე – N53, გვ.60, 62;
ვაშაძე, ეკატერინე – N54, გვ.567
ვაშაძე, ეფროსინე – N54, გვ.566
ვაშაძე, ექვთიმე – N54, გვ.566
ვაშაძე, ვანო ისიდორეს ძე – N54, გვ.567; N71, გვ.1227
ვაშაძე, ვასიკო – N73, გვ.959
ვაშაძე, ზოსიმე – N54, გვ.567
ვაშაძე, თენგიზ – N55, გვ.1678, 1882, 1964, 1966; N58, გვ.236, 237; N110; N112
ვაშაძე, თიურა – N58, გვ.117; N73, გვ.782; N75, გვ.38
ვაშაძე, იაკობ (იაშა) ბესარიონის ძე – N53, გვ.13, 37, 40, 54, 55–58, 65; N54, გვ.538, 546, 548, 553, 554; N68, გვ.38; N71; გვ.1237; N73, გვ.783, 796, 841, 850, 856–865, 944, 1048, 1051, 1053, 1087, 1099, 1211; N81; N82; N96
ვაშაძე, იაკობ სვიმონის ძე –N1, გვ.1; N8, გვ.1; N18, გვ.1;N22, გვ.1; N48, გვ.1; N53, გვ.11, 59, 62–64; N54, გვ.566; N68, გვ.21; N73, გვ.871, 873, 877, 984, 1039
ვაშაძე, ივდით – N54, გვ.567
ვაშაძე, ილიკო – N17, გვ.1
ვაშაძე, იოვანე – N 53, გვ.60, 62;
ვაშაძე, იონა – N73, გვ.1097, 1164
ვაშაძე, ისაია – N24,გვ.1; N54, გვ.567, 659; N61, გვ.19; N73, გვ.874
ვაშაძე, ისიდორე – N1, გვ.1; N8, გვ.1; N18, გვ.1;N21, გვ.1; N54, გვ.566
ვაშაძე, იულია _ N94
ვაშაძე, კიმოთე – N55, გვ.1631; N73; გვ.753, 1014

ვაშაძე, კოწია – N54, გვ.557, 608, 649
ვაშაძე, ლადია – N54, გვ.536; N73, გვ.967, 1097, 1117; N75, გვ.47
ვაშაძე, ლევანტი – N54, გვ.557
ვაშაძე, ლუარსაბ – N17, გვ.1
ვაშაძე, მალაქია – N23, გვ.1
ვაშაძე, მარგალიტა – N53, გვ.71; N54, გვ.657; N73, გვ.781
ვაშაძე, მიხაკო – N53, გვ.187, 18, 25–34; N54, გვ.546, 548, 555; N55, გვ.1821; N73, გვ.873, 1039, 1041
ვაშაძე, ნადია –N72, გვ.1
ვაშაძე, ნათელა – N71, გვ.1427; N73, გვ.849; N119
ვაშაძე, ნანა _ N119
ვაშაძე, ნესტორ (სიკოს ძე) – N54, გვ.567, 602; N72, გვ.1; N73, გვ.873, 980, 1063
ვაშაძე, ნიკოლოზ – N53, გვ.61
ვაშაძე, ნოდარ – N53, გვ.40; N55, გვ.1492, 1510, 1514, 1531, 1543,1547,1587, 1594, 1630, 1678, 1882; N105; N111
ვაშაძე, პარმენ ისიდორეს ძე – N54, გვ.567
ვაშაძე, პატუკა –N73, გვ.964, 967
ვაშაძე, პაღასი – N54, გვ.567
ვაშაძე, პაშა – N53, გვ.54; N54, გვ.534, 535, 554, 564, 567; N73, გვ.850, 857, 863–865, 869, 870, 1054
ვაშაძე, რებეკა – N53; N54, გვ.659; N58, გვ.116
ვაშაძე, საჩინო – N18, გვ.1; N73, გვ.823
ვაშაძე, სვიმონ – N53, გვ.60–62; N80
ვაშაძე, სიკო – N18, გვ.1; N22, გვ.1; N54, გვ.566, 567
ვაშაძე, სიმონ – N54, გვ.555, 659, 668; N58, გვ.117; N73, გვ.781
ვაშაძე, სოფიო – N73, გვ.904
ვაშაძე, ქაქუჩა – N53, გვ.61;
ვაშაძე, ქეთევან – N73, გვ.1064
ვაშაძე, ქეთი _ N114; N118
ვაშაძე, ქრისტინე ისიდორეს ას. – N54, გვ.567; N54, გვ.567; N94
ვაშაძე, შალვა – N54, გვ.593
ვაშაძე, შაქრო – N71, გვ.1412; N73, გვ.758, 760, 903, 960
ვაშაძე, ხათუნა _ N114; N117
ვაჩნაძე, მერაბ – N71, გვ.1311; N73, გვ.693
ვაჩნაძე, ნატო – N71, გვ.1311; N73, გვ.693
ვაჩნაძე, სულიკო – N55, გვ.1737, 1864
ვერულაშვილი, დათიკო – N62, გვ.9
ვეშაპელი, გრიგოლ (ნამდვ. გვარი ვეშაპიძე) – N60, გვ.17; N61, გვ.78; N73, გვ.1135, 1136
ვიშინსკი ა. – N55, გვ.1840
ვოეკონეკოვი, ნიკოლოზ – N71, გვ.1221
ვოიტინსკი – N60, გვ.20
ვოლკოვი, ანდრეი –N55, გვ.1863, 1871

ვოლკოვი, პავლე – N55, გვ.1871
ვოლსკაია, ანეტა – N65, გვ.157
ვოროვსკი – N68, გვ.43
ვოროშილოვი, კლიმენტი – N56, გვ.1988
ვოტრენი, ნიკოლოზ – N7, გვ.1

ზ

ზალიპსკი – N59, გვ.8
ზამბახიძე – N71, გვ.1422
ზამთარაძე – N57, გვ.184
ზამთარაძე – N55, გვ.1919, 1920
ზანდუკელი, მიხეილ – N67, გვ. 10, 11
ზარდალიშვილი ი. – N57, გვ.37
ზაქარიაძე – N54, გვ. 589
ზდანევიჩი, ილია – N68, გვ.70
ზდანევიჩი, კირილე – N57, გვ. 98
ზდანოვიჩი, გიორგი (ფსევდ. მაიაშვილი) – N53, გვ.65, 67, 72;
ზვიადაძე, ივანე – N55, გვ.1855
ზინოვიევი – N71, გვ.1477

თ

თაბუკაშვილი, რეზო –N64, გვ.58; N68, გვ.33
თავაძე, დავით – N55, გვ.1628, 1855
თათარაშვილი, კონდრატე – N60, გვ.14
თალაკვაძე – N59, გვ.103
თამარაშვილი, მიხეილ – N64, გვ.66
თარხნიშვილი, ელენე – N70, გვ.56
თაყაიშვილი – N54, გვ.585
თაყაიშვილი, ექვთიმე – N54, გვ.619; N57, გვ.76; N 61, გვ.85; N68, გვ.62; N70, გვ.84
თედეევი – N55, გვ.1538
თეოდოსი – N58, გვ.14
თვალჭრელიძე, ალექსანდრე –N55, გვ.1577
თვალჭრელიძე, პარმენ – N53, გვ.89; N55, გვ.1577
თიკანაძე – N71, გვ.1433
თოდრია, სილვა –N58, გვ.94
თუთბერიძე, ალიოშა (პატე)– N58, გვ.264; N71, გვ.1249
თუთბერიძე, დიომიდე – N55, გვ.1819, 1820; N71, გვ.1248
თუთბერიძე, ვასო – N71, გვ.1249, 1383

თუთბერიძე, იოველ – N55, გვ.1820
თუთბერიძე, რაისა – N55, გვ.1565, 1594, 1725, 1820, 1853; N71, გვ.1249
თუთბერიძე, ქეთო – N55, გვ.1512, 1514, 1522, 1543, 1557, 1560, 1562, 1565, 1587, 1622, 1662–64, 1725, 1751, 1799, 1807, 1822, 1835, 1853, 1963; N58, გვ.41; N61, გვ.13; N71, გვ.1244, 1250–52, 1365, 1366, 1367,1377; N73, გვ.708, 709, 711, 752, 763, 788; N84; N98; N105; N109
თუთბერიძე, ჭუკუ – N55, გვ.1530
თუმანიშვილი, გიორგი – N57, გვ.35
თურდოსპირელი, დავით (ნამდვ. გვარი ჩხეიძე). – N59, გვ.67
თუშმალიშვილი – N73, გვ.739

ი

იაკობაშვილი მ. – N23, გვ.1
იაშვილი, კოწია –N54, გვ.505
იაშვილი, პაოლო – N55; გვ.1632; N58, გვ.158, 328; N59, გვ.8; N61, გვ.62; N65, გვ.152; N67, გვ.4, 5; N68, გვ.24, 39, 70; N70, გვ.18, 21; N71, გვ.1408; N73, გვ.1015, 1098
იაშვილი, ჭუნა – N73, გვ.1015, 1097
იაშვილი, ჯიბო – N53, გვ.69; N73, გვ.789, 790, 1067
იაშჩენკო, ვლასი – N55, გვ.1715, 1716
ივანოვი, გრიგოლ – N53, გვ.85;
ილია მეორე (ერისკაცობაში შიოლაშვილი – ღუდუშაური) – N58, გვ.13; N65, გვ.74
იმედაშვილი, იოსებ – N59, გვ. 107
იმერლიშვილი, თამარ – N57, გვ.127
ინაშვილი, ალექსანდრე ( სანდრო) – N59, გვ.8
ინგოროყვა, პავლე – N59, გვ.8; N61, გვ.88; N67, გვ.10, 11
იოსელიანი, გექტორ –N73, გვ.808
იოსელიანი, ოტია – N58, გვ.320
იოსელიანი, პლატონ –N61, გვ.85; N70, გვ.71
იოსელიანი, ფაჩუ – N71, გვ.1441; N100
ისარლიშვილი, რაფაელ – N68, გვ.92
იურკევიჩი, ანეტა – N73, გვ.731
იურკევიჩი, ვიქტორ –N73, გვ.731
იშხნელი ა. – N57, გვ.37

კ

კადუხოვი ვ. – N18, გვ.1
კავთელაძე, მიხეილ (მიშა) – N73, გვ.1063,1065,1079, 1088
კაზარიანი, სურენ – N55, გვ.1856
კაზაროვი, არმაპეტ – N73, გვ.737–748,1175

კაკაბაძე კ. – N67, გვ.13
კაკაბაძე, დავით – N57, გვ.98; N58, გვ.94; N62, გვ.5
კაკაბაძე, ზურაბ – N57, გვ.114
კაკაბაძე, ნადია – N58, გვ.43; N71, გვ.1224; N73, გვ.708, 709, 711, 752, 763
კაკიტელაშვილი, მიხეილ (მიშა) – N55, გვ.1704
კალანდაძე, ანტიფორე – N55, გვ.1719, 1823, 1825, 1828, 1851, 1859, 1860, 1875, 1880; N65, გვ.76
კალანდაძე, ფორე – N67, გვ.27
კალაძე, კარლო – პოეტი N73, გვ.814
კალისტრატე (ერისკაცობაში კალისტრატე ცინცაძე) – N58, გვ.261
კამენევი – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. დახვრიტეს 1937 წელს N68, გვ.79; N71, გვ.1477
კამპანიონი, ანტონ – N54, გვ.526
კანდელაკი, სერგო – N55, გვ.1557
კაპანელი, კონსტანტინე (ნამდვ. გვარი ჭანტურია) – N60, გვ.12; N66, გვ.55, 56
კარმანი, რუდოლფ – N46, გვ.10
კარმელი, შალვა – N67, გვ.4, 5; N71, გვ.1408
კასრაძე, დავით – N58, გვ.292
კასტელი, კრისტოფორო დე – N64, გვ.60
კაუცკი –N73, გვ.698
კაჩუხოვი _ N76; N77
კაცობაშვილი ე. – N57, გვ.127
კახიანი, მიხეილ – N54, გვ.643; N55, გვ.1889; N65, გვ.152; N68, გვ.57, 80; N73, გვ.774
კახიძე –N73, გვ. 1081, 1083, 1087
კახიძე, ანეტა – N55, გვ.1573; N79
კახიძე, ვახტანგ – N55, გვ.1573; N79
კახიძე, ნესტორ – N53, გვ.101; N71, გვ.1461; N73, გვ.872
კედია, სპირიდონ – N60, გვ.21
კეკელიძე, კორნელი – N57, გვ.76
კეკელიძე, მიხეილ – N73, გვ.1109
კერენსკი – N53, გვ.112; N54, გვ.528;
კერესელიძე ვ. – N67, გვ.27
კესარი (არქიმანდრიტი) – N8, გვ.1
კვანტალიანი, სოლიკო – N70, გვ.2, 8
კვინიტაძე გ. – N54, გვ.604
კვირკველია ბ. – N54, გვ.640; N68, გვ.91
კვიტაიშვილი, თამარ – N54, გვ.656
კვიცარიძე, გიგლა – N72, გვ.3, 18
კვიცარიძე, დავით – N61, გვ.69
კიბორძალიძე ი. – N59, გვ.83
კიკვიძე – N53, გვ.69;
კიკიანი, გრიგოლ (გრიშა) – N54, გვ.505, 507

კიკნაძე, ელენე _ N94
კიკნაძე ნ. – N54, გვ.643
კილაძე, მარო (მარიამ) – N58, გვ.232; N73, გვ.842
კირიონ მეორე (გიორგი საძაგლიშვილი) – N65, გვ.72
კიროვი, სერგეი (ნამდვ.გვარი კოსტრიკოვი) – N54, გვ.504; N 55, გვ.1589, 1590; N59, გვ.111; N61, გვ.8, 9; N63, გვ.71; N68, გვ.80; N71, გვ.1476
კიღურაძე, დათიკო (დავით) – N73, გვ.907, 908, 930–933, 987, 989, 1022, 1028, 1029, 1076, 1080, 1083, 1091, 1096
კლდიაშვილი, დავით – N61, გვ.62
კლდიაშვილი, სერგო – N67, გვ.4, 5; N70, გვ.21 N71, გვ.1408
კობახიძე – N53, გვ.84;
კოვროვი, მიშა – N55, გვ.1876
კოლოვსკი ს. – N18, გვ.1
კონიუშევსკი, ლეონიდე – N55, გვ.1511, 1521, 1653, 1654
კონსტანტინოვი ო. – N70, გვ.71
კონცელიძე, სოსიკო – N55,გვ.1596
კოპალეიშვილი, ალიოშა – N54, გვ.668; N73, გვ.760, 763, 798, 799, 907
კოპალი ზ. – N68, გვ.70
კორიშელი, პლატონ – N71, გვ.1315
კორონა – N59, გვ.99
კორჩიშვილი, პლატონ – N71, გვ.1315
კორძახია, ელენე _ N118
კოტელნიკოვი, ნიკოლოზ – N71, გვ.1221
კოტილევსკი – N53, გვ.96, 98;
კოღუაშვილი, მიხეილ (მიშა) – N73, გვ.779, 1112
კოჩიაშვილი კ. – N65, გვ.21
კრასინი – N68, გვ.43
კუდერტონი (კუდრიავცევი) – N73, გვ.1174, 1188–91
კუზნეცოვი – N71, გვ.1448
კუიბიშევი – N73, გვ.726
კუნი, ალბერტი – N55, გვ.1506, 1531
კუჭუხიძე, ბიქტორ – N71, გვ.1226, 1253; N73, გვ.85.
კუხალეიშვილი, ვალოდია – N55, გვ.1632; N71, გვ.1320

## ლ

ლაბაძე – N54, გვ.598
ლაბაძე, ვახო _ N85; N102
ლაბაძე, თათული – N71, გვ.1268
ლაბაძე, სერგო – N65, გვ.90; N73, გვ.782
ლაბაძე, შალვა – N54, გვ.652; N73, გვ.783; N85; N102

ლაკობა, ნესტორ – N54, გვ.639, 640; N71, გვ.1285, 1381; N73, გვ.769, 770, 1129
ლასხიშვილი, გიორგი – N58, გვ.377; N61, გვ.77
ლაღიაშვილი, იოსებ – N58, გვ.12
ლაშაური, მინდია – N46, გვ.10
ლაშქარაშვილი – N60, გვ.19; N73, გვ.722
ლებანიძე, მურმან – N61, გვ.69; N65, გვ.153
ლევაშოვი – N66, გვ.20
ლევიძე, ჟორა – N55, გვ.1651
ლეკიშვილი ს. – N61, გვ.9
ლენინი (ვლადიმერ ულიანოვი) – N53, გვ.112;N54, გვ.631, 632, 634, 635, 646, 665; N57, გვ.34,96; N58, გვ.373; N61, გვ.44; N73, გვ.726, 728, 783, 831, 834, 898
ლენჩევსკი ი. – N58, გვ.287
ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე) – N65, გვ.72
ლეონიძე, გიორგი – N65, გვ.76; N67, გვ.4, 5; N68, გვ.70; N71, გვ.1408
ლეჟავა, ავქსენტი – N54, გვ.610
ლეჟავა, ბიტოლი – N55, გვ.1632; N71, გვ.1268; N73, გვ.687, 1038
ლეჟავა, ბიჭია – N54, გვ.560; N73, გვ.811
ლეჟავა, გრიგოლ – N54, გვ.527
ლეჟავა, დავით – N55, გვ.1494
ლეჟავა, დოტია – N54, გვ.526, 527; N73, გვ.811
ლეჟავა,ევა –N8,გვ.1
ლეჟავა, ეპრასია – N54, გვ.527, 566
ლეჟავა, ერემია – N54, გვ.527
ლეჟავა, პოკია – N54, გვ.527
ლეჟავა, სერგო – N54, გვ.605, 613, 614
ლეჟავა, სესია – N54, გვ.527; N73, გვ.811, 1051, 1067, 1088, 1118
ლეჟავა, სოგრატ – N8, გვ.1
ლეჟავა, შამშე – N55, გვ.1632
ლეჟავა, ცუღია _ N85
ლილუაშვილი, კოწია –N58, გვ.118
ლილუაშვილი, შალვა – N54, გვ. 58
ლიტვინოვი – N68, გვ.43
ლობჟანიძე, პეტრე – N55, გვ.1821, 1878, 1968; N56, გვ.1986
ლოზოვსკი – N59, გვ.38
ლოლუა, ლევან – N53, გვ.78; N58, გვ.116
ლომაძე, დათიკო – N71, გვ.1269
ლომინაძე, ბესარიონ – N53, გვ.77, 85, 99; N58, გვ.113
ლომინაძე, ბესო – N53, გვ.77, 79, 80, 81–84, 99, 101, 103, 104; N58, გვ.114, 115
ლომინაძე, ვალოდია – N53, გვ.77, 99, 104, 105;
ლომინაძე, თამარ –N53, გვ.77, 99;
ლომინაძე, ლევან – N58, გვ.114, 115
ლომიძე, ელისაბედ _ N94

ლომიძე, მიხეილ – N71, გვ.1269; N73, გვ.903, 906, 968, 1017, 1094
ლომინაძე, ნინო – N53, გვ.99; N58, გვ.113
ლორთქიფანიძე – N53, გვ.88.
ლორთქიფანიძე – N71, გვ.1383
ლორთქიფანიძე, გრიგოლ – N54, გვ.631, 632
ლორთქიფანიძე, კონსტანტინე – N58, გვ.99; N73, გვ.814
ლორთქიფანიძე, ნ. _ N91
ლორთქიფანიძე, ნიკო – N71, გვ.1422
ლორთქიფანიძე, ჯვებე – N71, გვ.1372;
ლოსაბერიძე, ნიკოლოზ (კოლია) – N73, გვ.708
ლუნაჩარსკი – N68, გვ.59, 60

მ

მაზნიაშვილი, გიორგი – N54, გვ.585, 620
მაიაშვილი გ. – იხ. ზდანოვიჩი გიორგი
მაიკოვსკი, ვლადიმერ – N64, გვ.50
მაისეენკო – N55, გვ.1557
მაისურაძე – N55, გვ.1717
მაისურაძე, არჩილ – N68, გვ.85
მალხაზოვი – N55, გვ.1498, 1500
მამარდაშვილი ა. – N59, გვ.14
მამულაიშვილი, გოგი – N73, გვ.980, 981, 988, 989, 1115, 1819
მამულია ს. – N55, გვ.1633; N68, გვ.80
მანველიშვილი, ალექსანდრე – N64, გვ.67
მანჯავიძე, ე. – N53, გვ.13; N81
მარი, ნიკო – N59, გვ.60–62; N61, გვ.85; N68, გვ.7
მარიახინი – N55, გვ.1831; N57, გვ.185
მარსაგიშვილი, არსენ – N55, გვ.1736, 1862
მარტიაშვილი ლ. – N57, გვ.154
მარქარიანი – N55, გვ.1549
მარჯანიშვილი, კოტე – N53, გვ.42, 43, 45, 52, 55; N55, გვ.1546; N57, გვ.31, 32; N58, გვ.328; N68, გვ. 56; N71, გვ.1256, 1314, 1315; N73, გვ.775, 776, 777, 860
მასხარაშვილი, საშურა – N71, გვ.1228; N73, გვ.753
მასხულია, ლევან _ N117
მატაფიევი მ. – N8, გვ.2
მატულევიჩი – N55, გვ.1840
მაღრაძე, ელგუჯა – N61, გვ.69
მაყაშვილი, კოტე – N61, გვ.7, 62
მაშაშვილი, ალიო – იხ. მირცხულავა ალიო
მაჩაბელი, ივანე – N61, გვ.20; N66, გვ.20; N70, გვ.47

მაჩაბელი, ლილი – N55, გვ.1651
მაჩაბელი, ტასო – N70, გვ.47
მაჭავარიანი, ალიკო – N54, გვ.668; N73, გვ.907, 930–933, 947, 976, 982, 1022, 1028, 1035, 1050, 1051, 1056, 1059, 1076–79, 1086
მაჭავარიანი, დათიკო – N74, გვ.1, 10
მაჭავარიანი, მიხეილ (მიშა) – N53, გვ.14
მაჭავარიანი, მუხრან – N65, გვ.153
მაჭარაშვილი – N73, გვ.1117
მახარაძე, ფილიპე – N53, გვ.112; N54, გვ.531, 625, 626, 640, 642, 665; N55, გვ.1592, 1839, 1895; N57, გვ.160; N58, გვ.144; N59, გვ.2; N60, გვ.22; N61, გვ.14,63, 88; N62, გვ.57, 69; N65, გვ.55; N66, გვ.21; N68, გვ.91; N70, გვ.25; N71, გვ.1233; N73, გვ.702, 724, 757, 860, 918
მგალობლიშვილი, სოფრომ – N61, გვ.62
მგალობლიშვილი, ტარასი – N54, გვ.628; N71, გვ.1269; N73, გვ.687, 967, 1017, 1084, 1094
მგალობლოვი ს. – N47, გვ.2
მდივანი, ბუდუ – N53, გვ.71; N54, გვ.632, 643, 663; N55, გვ.1614, 1631, 1776, 1889; N58, გვ.110; N59, გვ.2; N60, გვ.22; N65, გვ.152; N68, გვ.43; N71გვ.1233, 1479; N73, გვ.687, 705, 707, 711, 723, 727, 735, 749, 785, 1132, 1153
მდივანი, სოსიკო – N60;, გვ.22; N73, გვ.724
მდინარაძე, გრიგოლ – N49, გვ.1
მდინარაძე, სამსონ – N49,გვ.1
მეგრელი, დუტუ – N59, გვ.62
მელაშვილი, ახმედ – N65, გვ.143
მელიმიში, ჰასანი – N70, გვ.92
მელიქიშვილი (მელიქოვი), ბიქტორ – N73, გვ.1068, 1141
მელიქიშვილი, სტეფანე – N61, გვ.20
მელკუმიანცი – N55, გვ.1502
მელქაძე, დიმიტრი – N54, გვ.609, 614
მერაბიშვილი – N64, გვ.66
მესხი, ბუჭუჭი – N54, გვ.672; N65, გვ.24, 157; N73, გვ.687, 785, 789, 794
მესხი, დავით – N74 გვ.1
მესხი, ეფემია – N57, გვ.36
მესხი, კოტე (იაკობი – N57, გვ.36
მესხი, პროკოფი – N54, გვ.570
მესხი, სერგეი – N61, გვ.19; N66, გვ.21
მესხიშვილი, ვლადიმერ – იხ. ალექსი–მესხიშვილი
მიასნიკოვი ალექსანდრე (ნამდვ. გვარი მიასნიკიანი, ფსევდონიმი – მარტუნი) – N54, გვ.641; N57, გვ.35, 36; N65, გვ.162; N70, გვ.60; N73, გვ.1101, 1103, 1127, 1130
მიკენასი – N62, გვ.9
მიმინოშვილი, რომან – N61, გვ.66, 69
მინდელი ვ. –N74, გვ.1
მირიანაშვილი, არჩილ – N62, გვ.9
მირცხულავა, ალიო – N61, გვ.64; N73, გვ.814

მისაბიშვილი ი. – N57, გვ.184; N73, გვ.704, 778, 779
მიქაძე – N73, გვ.1198, 1209
მიქელაძე მ. – N55, გვ.1632; N68, გვ.80
მიშველიძე, ჭაბუკი – N55, გვ.1491; N71, გვ.1261, 1269; N73, გვ.687
მიწიშვილი, ნიკოლო – N55, გვ.1632; N57, გვ.2;  N67, გვ.4, 5; N68, გვ.70; N71, გვ.1408
მიხაილოვი ა. _ N76; N77
მიხალევი – N70, გვ.71
მკრტიჩიანი –  N55,გვ.1557
მოგილევსკი ს. – N57, გვ.35, 36; N65, გვ.162; N73, გვ.1101, 1103, 1127, 1130
მოდებაძე – N72, გვ.1
მოდებაძე, კარპე – N71, გვ.1217; N73, გვ.687
მოდებაძე, პაშა – N73, გვ.785, 687, 1079, 1088
მოისეენკო – N55, გვ.1549
მოისწრაფიშვილი – N55, გვ.1601, 1628, 1717, 1797
მოროზოვა – N59, გვ.8
მოსაშვილი, ილო –  N60, გვ.2; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4
მოსეშვილი, გოგი – N 54, გვ.533; N58, გვ.118; N71, გვ.1457
მოსეშვილი, პავლე – N58, გვ.118
მჟავანაძე, ვასილ –  N61, გვ.59
მჟავია, დიმიტრი – N58, გვ.94; N63, გვ.34; N73, გვ.713, 776
მუსხელიშვილი, ნიკო – N58, გვ.61  N60, გვ.26; N61, გვ.35; N71, გვ.1277, 1422; N73, გვ.712
მუხაძე, გრიგოლ – N53, გვ.68.
მცურავიშვილი მ. – N57, გვ.127

ნ

ნადარეიშვილი, ელიზბარ – N68, გვ.68
ნადირაძე, კულაუ – N67, გვ.4, 5; N68, გვ.30, 70; N71, გვ.1408
ნაზარეტიანი – N68, გვ.92
ნაზაროვი – N55, გვ.1854
ნაკაიძე ჭიპილია – N71, გვ.1373
ნაკაიძე, ლადიკო –  N54, გვ,678; N73, გვ.842
ნაკაშიძე, ნინო – N61, გვ.88
ნასიძე, გრიგოლ – N71, გვ.1449
ნატროშვილი, გიორგი – N61, გვ.65; N65, გვ.153
ნაფეტვარიძე – N59, გვ,103
ნაფეტვარიძე, გიორგი – N55, გვ.1575
ნახლებნიკოვი –  N55,გვ.1575
ნეფერი – N57, გვ.1; N56
ნიკიტენკო, ჟორჟიკა – N54, გვ.597, 603, 604, 613; N73, გვ.757, 795
ნიკოლაევი –  N55, გვ.1588; N59, გვ.111

ნიკოლაძე ი. – N59, გვ.8; N62, გვ.5
ნიკოლაძე, გიორგი – N58, გვ.61; N61, გვ.35; N71, გვ.1323, 1422
ნიკოლაძე, ნიკო – N61, გვ.20, 88; N62, გვ.92; N63, გვ.24, 26, 27, 30; N66, გვ.21; N71, გვ.1323
ნიკოლოზ მეექვსე – N58, გვ.13
ნინიძე, კარლო – N73, გვ.1138
ნიორაძე, დათიკო – N71, გვ.1445
ნიორაძე, ელენე – N71, გვ.1248
ნიორაძე, მიხეილ (მიშა) – N71, გვ.1269, 1365; N73, გვ.786
ნიორაძე, ოლღა _ N94
ნიშნიანიძე, შოთა – N6, გვ.66
ნოზაძე, პალიკო – N57, გვ.174; N58, გვ.160; N73, გვ.687, 691, 694–696
ნოზაძე, ჟორჟიკა – N57, გვ.174; N73, გვ.692
ნუცუბიძე გ. – N61, გვ.9
ნუცუბიძე, გიორგი – N54, გვ.628;
ნუცუბიძე, შალვა – N58, გვ.377; N71, გვ.1277

ო

ობოლაძე – N56, გვ.1977
ობრეზკოვი – N66, გვ.20
ოდიშელიძე – N54, გვ.584, 586, 589, 590
ოთხმეზური – N73, გვ.736
ოთხმეზური, ირაკლი – N46,გვ.9, 10
ოკუჯავა, მიხეილ – N54, გვ.643; N55, გვ.1615; N65, გვ.152; N68, გვ.80; N73, გვ.687
ოკუჯავა, სერგო – N54, გვ.643; N55, გვ.1615, 1631, 1815, 1889; N73, გვ.687
ოლეინიკოვი, ივანე – N55, გვ.1689
ორახელაშვილი, ივანე (მამაია) – N53, გვ.8, 104; N54, გვ.640, 643, 665; N55, გვ.1615, 1776, 1889; N59, გვ.2; N60, გვ.23; N65, გვ.152; N68, გვ.85; N70, გვ.27; N71, გვ.1233, 1478; N73, გვ.687, 769, 903
ორახელაშვილი, მარიამ – N54, გვ.643; N55, გვ.1615, 1776, 1889; N71, გვ.1485; N73, გვ.687
ორბელი რუსუდან –N68, გვ.40
ორბელი, იოსებ – N68, გვ.40
ორბელი, ლეონ – N68, გვ.40
ორბელი, რუბენ – N68, გვ.40
ორჯონიკიძე, სერგო (გრიგოლი) – N54, 531, 588, 625, 639, 641, 664, 685; N55, გვ.1614, 1815, 1816, 1839, 1895; N57, გვ.160; N58, გვ.142; N59, გვ.2, 111; N60, გვ.2; N60, გვ.8; N65, გვ.22; N68, გვ.57, 91; N71, გვ.1285; N72, გვ.22; N73, გვ.687, 700, 726, 906, 918, 1099, 1112, 1128–31, 1145
ოტიანი გ. – N55, გვ.1609
ოქროპირიძე, დიმიტრი – N24, გვ.1
ოყროშიძე – N55, გვ.1823

ოცხელი, იოსებ – N54, გვ.523, 525; N71, გვ.1310; N73, გვ.778, 844


პ

პაკაძე (გულისაშვილი) – N64, გვ.66
პანკევიჩი პ. _ N90
პაპავა – N53, გვ.66; N71, გვ.1222; N73, გვ.757
პატარიძე, კუკური –N73, გვ.775
პატარიძე, მიქელ – N57, გვ.154
პატატიშვილი, დავით –N63, გვ.39
პეტიპა, მორის – N54, გვ.552
პეტრიაშვილი, გურამ – მწერალი N61, გვ.66
პეტროვა, ვერა – N55, გვ.1549, 1801, 1803, 1811, 1852
პილოსუდსკი – N71, გვ. 1225
პიროგოვი – N73, გვ.1131
პლეხანოვი, გიორგი – N53, გვ.112; N54, გვ.499; N61, გვ.43; N73, გვ.698
პოგრებოვი – N55, გვ.1526, 1654; N103
პოპოვი – N73, გვ.731, 1178, 1188, 1190, 1191
პოტაპენკო – N55, გვ.1573
პოტიომკინი, პავლე – N60, გვ.29
პრინციპი. – N56, გვ.1976


ჟ

ჟელიაბოვი – N56, გვ.1977; N65, გვ.81, 82
ჟემჩუჟინა, პოლინა –N59, გვ.98
ჟვანია, ისაკ – N73, გვ.770
ჟიკაშვილი, ჟორა – N68, გვ.58
ჟორდანია, ვახტანგ – N58, გვ.237
ჟორდანია, თედო – N61, გვ.85
ჟორდანია, ნოე – N53, გვ.112; N54, გვ.499, 506, 631, 632, 633, 666; N55, გვ.1680; N57, გვ.103; N58, გვ.68, გვ.373; N60, გვ.20; N61, გვ.44, 47; N62, გვ.2; N63, გვ.27; N68, გვ.33, 91; N71, გვ.1233, 1380, 1397; N73, გვ.698, 699, 788, 1133–1135, 1209
ჟორჟოლაძე, კოკი – N73, გვ.1193
ჟუკოვი, გიორგი – N61, გვ.54; N65.
ჟღენტი, ბესო – N57, გვ.4, 177; N58, გვ.158; N63, გვ.36; N66, გვ.53; N67, გვ.6, 10, 11; N73, გვ.687, 692, 814
ჟღენტი, თენგიზ – N55, გვ.1617; N68, გვ.80

## რ


რადეკი –N68, გვ.79
რადიანი, შალვა – N66, გვ.53; N67, გვ.10, 11
რაზმაძე, ანდრია – N58, გვ.61; N61, გვ.35; N71, გვ.1277; N73, გვ.712
რამაზაშვილი – N61, გვ.9
რამიშვილი, ისიდორე – N73, გვ.712
რამიშვილი, ნოე – N54, გვ.511, 584, 591; N60, გვ.17; N71, გვ.1233
რაჩკოვსკი, გრიგოლ – N67, გვ.13
რაჭველიშვილი, ქრისტეფორე – N58, გვ.310, 377; N70, გვ.24
რეხვიაშვილი მ. –N 68, გვ.80
რიბაკოვა – N55, გვ.1570
რიბინი – N55, გვ.1650, 1664, 1665–68, 1708, 1709, 1783–88, 1792
რიკოვი ა. – N55, გვ.1616; N59, გვ.2; N68, გვ.79
რობაქიძე, გრიგოლ – N46, გვ.1, 9; N57, გვ.174; N58, გვ.328, 329; N61, გვ.65; N70, გვ.73; N73, გვ.691
რობაქიძე, ლიდა – N46,გვ.9
რობიტაშვილი, შაქრო – N55, გვ.1736, 1863
როინიშვილი, ქრისტინე _ N92
როყვა – N55, გვ.1578, 1580–1583
რუზველტი, ფრანკლინ – N65, გვ.11
რუმიანცევი – N53, გვ.86
რუხაძე, გიორგი – N54, გვ.596, 603, 628, 681
რუხაძე, გრიგოლ – N71, გვ.1260; N73, გვ.795
რუხაძე, ვარლამ – N53, გვ.79; N61, გვ.62; N71
რუხაძე, ვლადიმერ – N54, გვ.596, 603, 613
რუხაძე, ჭიჭიკო – N73, გვ.795
რცხილაძე, გრიგოლი – N58, გვ.377


## ს


საბანევა – N59, გვ.7
საბაშვილი, გოგი – N55, გვ.1512, 1513, 1519, 1530
სალია, კალისტრატე – N46, გვ.9, 10; N63, გვ.72
სალია, ნინო – N46, გვ.9, 10; N63, გვ.72
სალუქვაძე – N71, გვ.1351
სანაკოევი –N73, გვ.769
სარაჯიშვილი, ალექსანდრე – N57, გვ.35, 76
სარაჯიშვილი, დავით – N62, გვ.78–82
სარაჯიშვილი, ვანო – N71,გვ.1257
საფაროვა–აბაშიძე, მაკო – N57, გვ.36

საფონოვი – N71, გვ. 1222
საფონოვა, ვერა – N71, გვ.1223
საღარაძე – N73, გვ.1130
საღარაძე, ლევან – N71, გვ.1253
საყვარელიძე – N24,გვ.1
საყვარელიძე, პავლე – N54, გვ.655
საყვარელიძე, სიმონიკა – N58,გვ.263; N73, გვ.1115, 1118, 1119
საყვარელიძე, სოლომონ – N54, გვ.534, 546, 548, 567; N73, გვ.795, 864, 865, 869, 870
საყვარელიძე, ტიტიკო –N73, გვ.907, 1025, 1097
სახანბერიძე – N54, გვ.563
სახოკია, თედო – N65, გვ.46
სევასტოპულო, გიორგი – N73, გვ.1023, 1036, 1038
სევერიანინი (ნამდვ. გვარი ლოტარევი) –N70, გვ.17
სვანიძე – N73, გვ.757
სვანიძე, გრამიტონ – N65, გვ.157; N73, გვ.731
სიმონიანცი – N55, გვ.1717
სიმონიანცი – N72, გვ.3, 18
სისოევი – N53, გვ.96, 97;
სიხარულიძე – N73, გვ.760
სიხარულიძე, ლადო – N55, გვ.1530, 1586, 1587, 1732, 1742, 1752, 1753, 1756, 1762, 1765, 1793, 1798
სიხარულიძე, სერაპიონ – N54, გვ.559, 597
სკიბცოვა – N55, გვ.1570
სოკოლნიკოვი – N73, გვ.726
სოლოგუბი (ნამდვ. გვარი ტერენიკოვი) – N70,გვ.17
სორინი, საველ – N62, გვ.3
სოფრომაძე გ. – 25, გვ.1
სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი) – N53, გვ.80, 104, 106, 111; N55, გვ.1526, 1592, 1615, 1617, 1640, 1774, 1777, 1840, 1876, 1877, 1916; N57, გვ.26; N58, გვ.373; N61, გვ.10, 44, 47, 51, 55; N63, გვ.27, 28; N65, გვ.10–21; N67, გვ.10, 11, 80, 81; N68, გვ.57 N72, გვ.22; N73, გვ.700, 726, 833
სტაროვი, ს. – N61, გვ.8
სტურუა გ. –N54, გვ.643; N55, გვ.1633; N65, გვ.54; N68, გვ.80
სუდეიკინი, სერგეი – N57, გვ.98; N58, გვ.94
სულავა, ალექსანდრე – N66, გვ.53
სულაკაური, არჩილ – N58, გვ.197
სულაქველიძე, კოლია – N71, გვ.1489
სულაქველიძე, კონსტანტინე (კოწია) – N73, გვ.1133, 1138, 1141
სულიაშვილი, დავით – N60, გვ.11; N67, გვ.3, 4
სულტანოვი, აზალ – N55, გვ.1634
სუმბათაშვილი, ალექსანდრე –N60, გვ.23; N73, გვ.766
სუმბათაშვილ–იუჟინი – N73, გვ.776

სუსლოვი – N55, გვ.1904
სუხიევი – N8,გვ.2
სუხინი, დიმიტრი [მეორეგან მითითებულია ვალოდია) – N55. გვ.1519
სუხიშვილი, ლადო – N68, გვ.58
სუჯაშვილი – N55, გვ.1862, 1863; N57, გვ.188

ტ

ტაბაღუა, დიანოზ – N62, გვ.10
ტაბიძე, გალაკტიონ _ N59, გვ.5, 6, 67; N60, გვ.11; N64, გვ.50; N65, გვ.37, 76; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3,4; N68, გვ.25; N71. გვ.1408; N73, გვ.916
ტაბიძე, ტიციან – N55, გვ.1632; N58, გვ.328; N59, გვ.8; N61, გვ.63, 88; N62; N65, გვ.76, 152; N67, გვ.4, 5; N68, გვ.69, 70, 80; N70, გვ.21; N71, გვ.1408
ტალახაძე – N73, გვ.970
ტარასაშვილი, თამარ – N62, გვ.2
ტატიშვილი ი. – N60, გვ.12; N67, გვ.3, 4
ტეპცოვი ვ. – N2,გვ.1
ტკაჩევი პ. – N66, გვ.20
ტოგონიძე, პეტრე – N71, გვ.1457
ტომსკი – N68, გვ.79
ტოროშელიძე, მალაქია – N55, გვ.1776; N61, გვ.64; N65, გვ.22; N67, გვ.6; N68, გვ.80; N73, გვ.687
ტროცკი – N71, გვ.1393
ტუსკია, ანტონ – N54, გვ.659
ტუსკია, იონა – N68, გვ.56
ტუხაჩევსკი, მიხეილ – N71, გვ.1393
ტყაბლაძე, გრიგოლ (გრიშა) – N69, გვ.1 N95
ტყემალაძე, მერი – N73, გვ.959, 860, 861
ტყემალაძე, ნიკოლოზ (კოლია) – N54, გვ.593, 605; N67, გვ.13; N73, გვ.959, 860, 861

უ

უგრეხელიძე, ნესტორ – N55, გვ.1566
უზნაძე, დიმიტრი – N58, გვ.178; N61, გვ.84
ულრიხი ვ. – N55, გვ.1840
უმიკაშვილი, პეტრე – (1838–1904). N61, გვ.20
უორდროპი, მარჯორი – N70, გვ.47, 51
ურმანოვი, პეტრე – N55, გვ.1863, 1949–1951

ფ

ფადეევი, ალექსანდრე – N61, გვ.64
ფავლენიშვილი ა. – N66, გვ.20
ფალავანდიშვილი, შაქრო – N54, გვ.661
ფალიაშვილი, ზაქარია – N54, გვ.531
ფანცულაია – N53, გვ.85
ფანცხავა, სოსიკო – N57, გვ.154
ფანჯიკიძე, გურამ – N61, გვ.69
ფაღავა, ვერა – N62, გვ.2
ფაღავა მექი – N62, გვ.50
ფაღავა, აკაკი – N57, გვ.37; N68, გვ.84
ფაღავა, ეთერ – N68, გვ.33
ფაჩულია – N60, გვ.21
ფედერმანი – N55, გვ.1566, 1568,1571, 1577, 1579,1580, 1582; N99; N101
ფერაძე, გრიგოლ – N58, გვ.287
ფერაძე, ლავრენტი – N6,გვ.1
ფიალკოვსკი – N53, გვ.86
ფირცხალავა, სამსონ – N58, გვ.377
ფლეროვი, ნიკოლოზ – N8, გვ.2
ფომინი, ბორისი – N55, გვ.1652
ფრანგიშვილი, პავლე – N64, გვ.18; N73, გვ.775
ფურცევა – N65, გვ.19
ფურცხვანიძე – N54, გვ.561
ფხაკაძე, ვალოდია – N54, გვ.493; N58, გვ.118
ფხაკაძე, სიმონიკა – N54, გვ.597
ფხალაძე, ბენია – N54, გვ.628; N57, გვ.184; N71, გვ.1384; N73, გვ.782, 795
ფხალაძე, ვასიკო – N54, გვ.604

## ქ

ქადაგიძე, ბიქტორ – N54, გვ.567
ქადაგიძე, ელიზბარ – N54, გვ.566
ქავთარაძე, გიორგი – N1, გვ.1
ქავთარაძე, პეტრე – N60, გვ.12; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4
ქავთარაძე, სერგო – N54, გვ.620, 632, 640; N61, გვ.9; N63, გვ.28; N73, გვ.687
ქართველიშვილი, ლავრენტი – N55, გვ.1615, 1633, 1889, 1909, N65, გვ.152; N71, გვ.1486
ქაშაკაშვილი, გურა – N63, გვ.38
ქაშიბაძე – N54, გვ.563
ქვათაძე, ტარასი – N54, გვ.615
ქვარიანი, კოწია – N54, გვ.610, 611, 614
ქვარიანი, სიმონ – N53, გვ.68

ქიაჩელი, ლეო  (ნამდვ. გვარი შენგელაია) – N60, გვ,11; N61, გვ.62, 64; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4
ქიქოძე პ. –  N66 , გვ.53
ქიქოძე, გაბრიელი –  იხ. გაბრიელი
ქიქოძე, გერონტი – N58, გვ.294; N60, გვ.11; N61, გვ.84; N66, გვ.55; N67, გვ.3, 4; N68, გვ.70
ქიქოძე, ზაალი – N57, გვ.67
ქომეთიანი, გრიშა –  N55, გვ.1718, 1781, 1783–88, 1808, 1822, 1855, 1879, 1880
ქორელი, მიხეილ (ქორიძე) – N57, გვ.36
ქორქია კ. – N5, გვ.1
ქურხული, ილიკო – N59, გვ.8
ქუჩიშვილი, გიორგი (ნამდვ. გვარი ჩხეიძე) –  N59, გვ.66

ღ

ღამბაშიძე, შალვა – 71, გვ.1402; N73, გვ.860, 911
ღარიბიანი – N55, გვ.1864
ღვალაძე, ელეფთერ – N54, გვ.628
ღლონტი – N56, გვ.1977
ღოღობერიძე კ[უშა] – N54, გვ.669; N73, გვ.817, 819, 820
ღოღობერიძე, ალმასხანი– N73, გვ.820, 821
ღოღობერიძე, ლევან  – N54, გვ.643; N55 , გვ.1633; N68, გვ.80
ღოღობერიძე, ჟანგო – N58, გვ.160; N67, გვ.42

ყ

ყანჩელი, სანდრო – N68, გვ.70
ყაუხჩიშვილი – N71, გვ.1438
ყაუხჩიშვილი, ნინო – N59, გვ.48
ყიასაშვილი, ნიკო – N73, გვ.704
ყიფიანი – N71, გვ.1408
ყიფიანი, ალექსანდრე – N46, გვ.9, 10
ყიფიანი დ. –  N73, გვ.1176
ყიფიანი, დავით –  N8, გვ.2; N9, გვ.2
ყიფიანი ი.  – ცისფერყანწელი  N67, გვ.4, 5
ყიფიანი, დიმიტრი –N22, გვ.2; N57, გვ.35
ყიფიანი, კოწია – N73, გვ.1051, 1067
ყიფიანი, პართენ – N47, გვ.1; N48, გვ.1
ყიფშიძე – N55, გვ.1491
ყულიევი – N61, გვ.64
ყულოშვილი, მიხეილ –  N58, გვ.163

ყურბანოვი, აზილ – N58, გვ.386; N59, გვ.74
ყურბანოვი, ალი – N55, გვ.1636
ყურულაშვილი  გ. – N55, გვ.1632; N61, გვ.64

შ

შაგინიანი –  N53, გვ.77
შათირიშვილი, ალექსანდრე – N46,გვ.10
შალიკაშვილი, ვალერიან – N57, გვ.36
შალიკაშვილი, ივანე –  N58, გვ.164
შანშიაშვილი, ლატავრა – N68, გვ.56
შანშიაშვილი, სანდრო – N60, გვ.11; N61, გვ.65; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4; N68, გვ.56; N73, გვ.815
შარაშიძე, გიგო – N53, გვ.71; N58, გვ.43, 294; N61, გვ.22; N71; N73, გვ.738
შარაშიძე, დავით – N53, გვ.71; N58, გვ.43, 294; N61, გვ.22; N73, გვ.738
შატბერაშვილი, გიორგი – N60, გვ.24
შევარდნაძე,  დიმიტრი (დიტო) – N57, გვ.2
შენგელაია, დემნა – N58, გვ.158; N61, გვ.66; N71, გვ.1234, 1235; N73, გვ.692
შენგელაია, ნიკოლოზ (კოლია) – N57, გვ.4, 174; N58, გვ.94; N70; გვ.45; N71, გვ.1234, 1235, 1313, 1314; N73, გვ.687, 692, 693; N74, გვ.1
შერვაშიძე, გიორგი–  N62, გვ.49; N71, გვ.1286
შერვაშიძე, თამარ – N62, გვ.49; N71 გვ.1286
შერვაშიძე, მერი – N62, გვ.4
შმერლინგი, ოსკარ – N61, გვ.21
შნეიდერი იოახიმ –N73, გვ.740
შონია, ვიალერიან – N71, გვ.1420
შოტნიევი, ვალოდია – N55, გვ.1499, 1516, 1519, 1530
შტერნი, ლინა – N59, გვ.98
შუვალოვი – N59, გვ.8
შულმანი – N62, გვ.87; N67, გვ.42; N73, გვ.731, 741, 742, 747, 751
შხვაცბაია – N54, გვ.525

ჩ

ჩაპლაზიდი –  N71, გვ.1383
ჩარკვიანი, ჯანსუღ –   N61, გვ.66
ჩაჩავა, გრიგოლ (გრიშა) – N53, გვ.107
ჩაჩავა, ნიკოლოზ (კოლია) – N57, გვ.4, 177; N58, გვ.161;  N73, გვ.687, 691, 684, 910

ჩაჩანიძე – N73, გვ.927, 928, 956
ჩაჩანიძე, ტიტიკო – N73, გვ.910, 912, 922, 930–933, 947, 951, 954, 956, 1029, 1076, 1079, 10780, 1083; N74
ჩაჩიკაშვილი, სანდრო – N68, გვ.70
ჩერნოვი – N53, გვ.112
ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე – N57, გვ.36
ჩერჩილი, უინსტონ – N65, გვ.11
ჩიკვილაძე, ელისაბედ (ვაშაძე) – N20, გვ.1; N24,გვ.1; N48,გვ.1
ჩიკვილაძე, ნიკო – N69, გვ.2
ჩილინგაროვი – N55, გვ.1588
ჩიტაძე, მარო – N71, გვ.1268
ჩიქოვანი, ავტონომიოს – N53, გვ.107; N73, გვ.703
ჩიქოვანი, ალეკო – N73, გვ.705
ჩიქოვანი, ანდრო – N53, გვ.107; N65, გვ.96
ჩიქოვანი, ვარდენ – N73, გვ.1139, 1140
ჩიქოვანი, მიხეილ – N65, გვ.153
ჩიქოვანი, სიმონ – N57, გვ.174; N58., გვ.158; N61, გვ.65; N65, გვ.153; N71, გვ.1234; N73, გვ.687, 692
ჩიჩერინი, გიორგი – N54, გვ.512; N60, გვ.22; N68, გვ.43; N70, გვ.75 N73, გვ.722, 724
ჩიჩუა – N55, გვ.1658
ჩიხელიძე, სავლე – N73, გვ.803
ჩოგოვაძე, მამუკა _ N119; N120
ჩოგოვაძე, რევი _ N119
ჩოლოყაშვილი, მელიტა – N62, გვ.4
ჩოლოყაშვილი, ქაქუცა – N54, გვ.671; N60, გვ.19; N73, გვ.687, 722, 785, 1113, 1136
ჩუბინაშვილი, გიორგი – N61, გვ.84, 87
ჩუბინიძე – N73, გვ.1051
ჩხეიძე, ბიჭიკო – N55, გვ.1544; N71, გვ.1302
ჩხეიძე, ბორის – N58, გვ.63
ჩხეიძე, გიორგი – იხ. ქუჩიშვილი გიორგი
ჩხეიძე, დათიკო – N54, გვ.508, 510, 511, 520; N57, გვ.31; N58, გვ.64; N71, გვ.1218, 1307, 1314–18; N73, გვ.714, 775, 953, 955, 958, 1156
ჩხეიძე, თაკო _ N116
ჩხეიძე, თემურ – N58, გვ.63
ჩხეიძე, ნიკოლოზ (კარლო) – N53, გვ.112; N54, გვ.499; N58, გვ.64, 221; N60, გვ.21; N61, გვ.43; N71, გვ.1233; N73, გვ.698, 1137
ჩხეიძე, ნინო (ნუცა) – N54, გვ.531; N5, გვ.36; N58, გვ.63
ჩხეიძე, ნინო – N108
ჩხეიძე, ნოდარ – N58, გვ.63
ჩხეიძე, ოთარ – N58, გვ.64
ჩხეიძე, რეზო – N58, გვ.64

ჩხეიძე, უშანგი – N53, გვ. 42, 44, 45, 46; N54, გვ.508, 512, 514,  N55, გვ.1545; N57, გვ.31; N58, გვ.63, 94, 118;, 329; N64, გვ.18; N65, გვ.97; N71, გვ.1284, 1302, 1345, 1397; N73, გვ.712–716, 719, 762, 775, 776, 777, 780, 860, 911; N74, გვ.1, 9,10
ჩხეიძე, ციალა –  N58, გვ.63
ჩხენკელი, აკაკი – N60, გვ.21; N73, გვ.724, 766
ჩხენკელი, ივანე – N62, გვ.6
ჩხენკელი, კიტა (პეტრე) – N68, გვ.32
ჩხიკვაძე პ. –  **N61, გვ.64**
ჩხიკვაძე, გოგი – N54, გვ.496
ჩხიკვიშვილი, ზენია – N68, გვ.70

ც

ცვაიგი, შტეფან – N65, გვ.13
ცინცაძე, კალისტრატე – იხ. კალისტრატე
ცირეკიძე, სანდრო –  N67, გვ.4,5; N68, გვ.39;
ციციაშვილი, სიმონ – N55, გვ.1704
ციციშვილი ს. –  მღვდელი  N58.
ციციშვილი, გიორგი – N61, გვ.69
ციცქიშვილი,  ვასილ – N73, გვ.710, 711
ცომაია –   N54, გვ.621
ცომაია, ბაგრატ –  N54, გვ.655; N73, გვ.756, 782, 795, 1922
ცუცქირიძე, მიხეილ (მიშა) – N54, გვ.604, 628; N71, გვ.1384; N73, გვ.782, 795
ცქიტიშვილი, პლატონ –  N54, გვ.540
ცხაკაია, მიხა – N54, გვ.641; N58, გვ.162; N63, გვ.71; N73, გვ.773
ცხვედაძე, სერგო –  N73, გვ.687
ცხომელიძე ვ. _ N88

ძ

ძამანაშვილი – N55, გვ.1852
ძერჟინსკი, ფელიქს – N73, გვ.730
ძოწენიძე, გიორგი – N55, გვ.1549

წ

წერეთელი, აკაკი – N53, გვ.65;  N57, გვ.35; N61, გვ.20
წერეთელი, მიხაკო –  N62, გვ.36
წერეთელი – N73, გვ.1117
წერეთელი –  N54, გვ.567

წერეთელი – N73, გვ.789
წერეთელი ვ. – N58, გვ.2
წერეთელი, ალიოშა – N61, გვ.78; N73, გვ.687
წერეთელი, ანდრო – N54, გვ.543
წერეთელი, გედე – N65, გვ.136
წერეთელი, გიორგი – N54, გვ.597, 598; N61, გვ.19; N62, გვ.36; N73, გვ.956
წერეთელი, გრიგოლ – N62, გვ.51
წერეთელი, დავით (დათიკო) – N54, გვ.540, 542, 543
წერეთელი, დათო – N71, გვ.1222
წერეთელი, დიმიტრი (მიტუშა) – N54, გვ.559, 560; N55, გვ.1601, 1718, 1725, 1748; N73, გვ.760, 798
წერეთელი, ვალოდია – N73, გვ.760
წერეთელი, ვარლამ – N54, გვ.553
წერეთელი, თამარ – N71, გვ.1291,1302; N73, გვ.778, 807, 709, 812
წერეთელი, თინა – N65, გვ.24
წერეთელი, თინათინ – N62, გვ.25
წერეთელი, ირაკლი (კაკი) – N53, გვ.112; N 54, გვ.499; N60, გვ.21; N61, გვ.43; N71, გვ.1233; N73, გვ.698
წერეთელი, კოტე – N7, გვ.1
წერეთელი, ნაპა – N53, გვ.69; N73, გვ.1067
წერეთელი, ქაიხოსრო – N53, გვ. 64
წერეთელი, ქეთევან (ქეთო) – N54, გვ.533; N71, გვ.1221
წივწივაძე ა. – N67, გვ.15
წიკლაური, ანზორ – N58, გვ.61
წინამძღვრიშვილი, ანდრია –N64, გვ.68
წულაძე, სერგი – N62, გვ.2
წულუკიძე, გრიგოლ – N71, გვ.1348, 1422
წულუკიძე, ერეკლე – N54, გვ.661
წულუკიძე, თამარ – N71, გვ.1302, 1345; N73, გვ.778, 791
წულუკიძე, ფრიდონ – N54, გვ.620
წუწუნავა, ალექსანდრე – N57, გვ.36

ჭ

ჭაბუკიანი, ვახტანგ – N58, გვ.380
ჭავჭავაძე, გარსევან – N60, გვ.29
ჭავჭავაძე, ელისაბედ – N62, გვ.43
ჭავჭავაძე, თამარ – N57, გვ.31; N58, გვ.329; N71, გვ.1345; N73, გვ.777
ჭავჭავაძე, ილია – N57, გვ.35; N58, გვ.352; N61, გვ.14, 19, 82, 88; N62, გვ.57; N63, გვ.30; N66, გვ.20; N73, გვ.702
ჭალაშვილი, სიკო (კაკია) – N73, გვ.1029, 1031–1035, 1053, 1086

ჭანტურია, ტარიელ – N65,გვ.76, 153
ჭიაურელი, მიხეილ – N65, გვ.97; N71, გვ.1283; N74, გვ.8–10
ჭილაია, სერგი – N65, გვ.153
ჭილაძე, თამაზ – N61, გვ.66
ჭიპაშვილი, ლუკა – N6, გვ.1
ჭირაქაძე ს. – N46, გვ.10
ჭირიტაშვილი, კოტე – N58, გვ.163
ჭიჭინაძე – N54, გვ.584, 589
ჭიჭინაძე, კონსტანტინე – N60, გვ.11; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4
ჭუმბაძე, არისტო –N58, გვ.144
ჭუმბურიძე, დიდიმ – N73, გვ.717, 720
ჭუმბურიძე, ოქროპირ –N47, გვ.1; N48, გვ.1

ხ

ხაბურზანია ვ. – N66, გვ.21
ხალვაში, ფრიდონ – N61, გვ.69
ხალინდრავა, შარნო _ N85
ხალინდრავა, შოთა _ N85
ხამაშურიძე, გიორგი (ჟორჟიკა) – N58, გვ.43; N71, გვ.1244; N73, გვ.708, 709, 763
ხანჯიანი – N55, გვ.1623; N68, გვ.43
ხაჟომია, გოგი – N55, გვ.1717, 1745
ხარაიძე, ერმილე – N24, გვ.2; N61, გვ.19
ხარატიშვილი, ისიდორე – N73, გვ.760
ხარაძე, არჩილ – N61, გვ.35; N71, გვ.1422
ხარაძე, ევგენი – N58, გვ.61; N61
ხარბანიდი, ვლადიმერ – N73, გვ.788
ხარისჭირაშვილი, პეტრე – N64, გვ.62–66
ხარიტონოვი – N55, გვ.1569, 1651, 1724
ხარიტონოვი, ვალოდია – N71, გვ.1264
ხარშანელი, ვალოდია – N71, გვ.1410
ხეჩინაშვილი – N73, გვ.964, 965
ხეჩინაშვილი, მარიამ (მარუსია) –N73, გვ.964
ხვედელიძე, ალექსანდრე – N55, გვ.1886; N73, გვ.980
ხვედელიძე, იოსებ – N54, გვ.560
ხვედელიძე, სერგო – N55. გვ.1491, 1510; N71, გვ.1255; N73, გვ.687, 759, 760; ხალინდრავა, შოთა _ N85103
ხვიჩია გ. – N67, გვ.13
ხიზანიშვილი, ნიკო (ურბნელი ) – N62, გვ.67
ხიმშიაშვილი, თანხაზ – N60, გვ.23; N73, გვ.768–769
ხომერიკი, მილოსი – N54, გვ.678; N73, გვ.712

ხორავა, აკაკი – N53, გვ.42, 45, 48; N58, გვ.329; N63, გვ.33, 34; N73, გვ. 715, 775, 777
ხრუშჩოვი, ნიკიტა – N61, გვ.10, 54; N65, გვ.19, 21
ხუნდაძე – N24, გვ.2
ხუნდაძე, გიორგი – N71, გვ.1260
ხუნდაძე, დიმიტრი – N61, გვ.19
ხუნდაძე, სიმონ – N66, გვ.53; N71, გვ.1326
ხუროძე, ზაქრო – N73, გვ.788
ხუჭუა, ალექსანდრე (ალიოშა) – N55, გვ.1657; N71, გვ.1420
ხუხაშვილი გ. – N66, გვ.21
ხუხუნაიშვილი ი. – N67, გვ.13

ჯ

ჯაბადარი, გიორგი – N73, გვ.775
ჯაბუშანური, გაბრიელ – N57, გვ.51
ჯავახიშვილი გ. – N68, გვ.80
ჯავახიშვილი ნ. – N57, გვ.37
ჯავახიშვილი, ივანე – N58, გვ.62, 334; N60, გვ.11; N61, გვ.35, 88, 90; N64, გვ.68; N65, გვ.130; N70, გვ.45; N71, გვ.1242, 1276, 1277
ჯავახიშვილი, მიხეილ (ნამდვ. გვარი ადამაშვილი) – N55, გვ.1632; N57, გვ.1–2; N62, გვ.64; N65, გვ.152; N66, გვ.55, 56; N67, გვ.3, 4; N68, გვ.31, 80; N70, გვ.45, 73; N73, გვ.815

ჯავახიძე, ლ. ე. _ N92
ჯაიანი – N55, გვ.1657, 1674, 1678, 1685, 1695, 1700
ჯანაშვილი, გიორგი – N58, გვ.163; N59, გვ.68
ჯანაშია, ბეკო – N73, გვ.896
ჯანაშია, ზაზა – N73, გვ.896
ჯანაშია, ნუგზარ – N73, გვ.896
ჯანაშია, სერგი – N73, გვ.896
ჯანდიერი – N73, გვ.1176
ჯაოშვილი მ. – N73, გვ.1139
ჯატიევი, ალექსანდრე (საშა) – N55, გვ.1538; N73, გვ.769
ჯაფარიძე ვ. – N66, გვ.21
ჯაფარიძე, გოგი – N71, გვ.1453
ჯაფარიძე, გოგიტა – N54, გვ.610
ჯაფარიძე, გრიგოლ – N65, გვ.97; N71, გვ.1262, 1283
ჯაფარიძე, ლელი – N55, გვ.1632; N68, გვ.70
ჯაფარიძე, მიხეილ (მიშა) –N71, გვ.1383
ჯაფარიძე, რევაზ (რეზო) –N61, გვ.66, 69; N70, გვ.73
ჯაფარიძე, სიმონ – N 53, გვ.68; N71, გვ.1260; N73, გვ.1133
ჯაყელი, ალექსანდრე – N73, გვ.758

ჯაში უ. – N65, გვ.54
ჯაში, დიმიტრი – N70, გვ.25
ჯგუბურია, მურმან – N62, გვ.37
ჯიბლაძე, გიორგი – N57, გვ.113
ჯიბლაძე, სილიბისტრო – N73, გვ.1133
ჯინჭველაშვილი, ლავროსი – N54, გვ.629
ჯინჭველაშვილი, შალვა – N57, გვ.154
ჯიქია, რაჟდენ – N67, გვ.13; N71, გვ.1348
ჯიღაური, გოგი – N55, გვ.1523
ჯონუა ა. – N61, გვ.61, 69
ჯორჯაძე, არჩილ – N58, გვ.377; N89
ჯორჯაძე, ნიკოლოზ (კოლია) – N55, გვ.1651, 1854; N58, გვ.96
ჯუღელი, ვალიკო – N54, გვ.510, 591; N65, გვ.157; N73, გვ.687, 790, 919, 1101, 1112, 1113
ჯუღელი, ილო – N73, გვ.790

ჰ

ჰარიმანი – N73, გვ.758

## სარჩევი

წინასიტყვაობა;
საარქივო მასალების ანოტირებული ბიბლიოგრაფია;
გზის დასაწყისი;
გასაბჭოება;
1922 წელი...;
1923 წელი... ჭიათურა...;
1924 წელი...;
1925 წელი...;
1926 წელი... 1927 წელი...;
1928 წელი... 1929 წელი...;
1930 წელი...;
1931 წელი...;
1932 წელი...;
1933 წელი...;

1934 წელი...;
1935 წელი...;
1936 წელი...;
1937_1941...;
1941 წელი...;
მწარე ფიქრები...;
ბესარიონ ვაშაძის წერილები;
გრიგოლ ვაშაძის ლექსები;
კომენტარები;
საძიებელი;
ფოტოარქივი.